ბრალი

კაპრალი

რომან ზოიძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

ეიძლება ფილმი გეგონოთ, ან რაინდობის დროინდელი ამბავი. მართლა რთულია დაჯერება, რომ ეს დღეს მოხდა...

20 წელი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ფეხსა და მკლავში დაჭრილს, უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი თანამებრძოლები ჰოსპიტალისკენ მიგყავდეს. როცა სამი დაჭრილი მებრძოლი სამშვიდობოს გამოიყვანა, რომან ზოიძე ექიმებს არ დაემორჩილა და უკან, ცხელი წერტილისკენ გასწია... დღეს სამივე ქართველი ცოცხალია და ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება გმირი, რომელმაც მათ სიცოცხლე აჩუქა...

ქართულმა შენაერთებმა უკან დახევა დაიწყეს, რომანი და მისი თანამებრძოლები, ჯერ შინდისში ეკლესიასთან შეჩერდნენ, შემდეგ კი მატარებლის რელსებს მეორე სოფლისკენ გაუყვნენ. თურმე წინ ქართული დროშებით შენიღბული რუსული ჩასაფრება ელოდათ... მოულოდნელი აღმოჩნდა ბიჭებისთვის მშობლიურ დროშებსმიღმა მტრის ტყვიამფრქვევის აღმოჩენა. ალყაში მოქცეულებს რესურსი მხოლოდ საათსა და ოც წუთს ეყოთ. რუსები ისე უცბად გადმოვიდნენ შეტევაზე, რომ ველარც შეტყობინების გადაცემა მოასწრეს და დერეფნის გარეშე დარჩნენ.

70 მეტრის რადიუსში მიმდინარეობდა ორმხრივი სროლა. მტერი ძალიან ბევრი იყო. ერთი რუსული ასეული, სხვადასხვა შენაერთებით, ჩვიდმეტიოდე ქართველს ებრძოდა. როგორც შეეძლოთ, მტერს აკავებდნენ, თან დაჭრილები გაჰყავდათ. 17-მა ბიჭმა ისეთი წინააღმდეგობა გაუწია რუსებს, რომ მათი მანქანების კოლონამ, როგორღაც უკან დაიხია და სხვა გზით წავიდა. 17–მა ბიჭმა მაშინ რამდენიმე ქართული ასეული გადაარჩინა.

ამ ამბის მომსწრე რუსი ოფიცერი, საშა დროზდოვი, დღემდე გაკვირვებული ყვება თურმე ამ ისტორიას.

ალყაში საბოლოოდ ორნი დარჩნენ, რომანი და მისი ნათლია - ალექსანდრე ონიანი. რომანი კიდევ დაჭრილა, არტერიაში მოხვედრია ანასხლეტი და სისხლისგან იცლებოდა... ალექსანდრე საერთოდ უვნებლად იყო გადარჩენილი, თუმცა რომანი არ მიუტოვებია... ეხვეწებოდა ნათლული, მე მაინც ველარ გადავრჩები და შენ მაინც გააღწიე, რომ შემდეგ საფლავზე ჩემი სადღეგრძელო თქვაო, მაგრამ ისინი ბოლომდე ერთად დარჩნენ...

მუხლებზე იდგნენ და მამაო ჩვენოს ამბობდნენ, ორი გააქტიურებული ყუმბარა ფეხებშორის ჰქონდათ დამალული. რუსები მოიტყუეს, ვითომ ხელაწეულები ბარდებოდნენ მტერს და როდესაც მათ სიახლოვეს მტრის რაოდენობამ იმატა, ყუმბარები გაიხსნა. 300 მეტრის რადიუსით გაიშალა ანასხლეტი და 48 რუსის ჯარისკაცი დააზიანა, აქედან 35 დაიღუპა... დიდი დანაკლისი მიაყენეს რუსებს. 2 კაცმა თითქმის გაანადგურა მტრის ასეული...

გმირობის ისტორია 1988 წლის 9 ივნისს, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში დაიწყო, როცა სამშობლოს რომან ზოიძე შეეძინა.

მარინა ზოიძე, დედა: „შუახევის რაიონში, სოფელ კარაპეტში ვცხოვრობდით. მეწყერსაშიში ზონა იყო და იქიდან კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში გადაგვასახლეს. რომანი იქ დაიბადა და ოთხ წლამდე იქ იზრდებოდა. ბავშვებმა ჰაერი ვერ აიტანეს და 1993 წელს გადმოგვასახლეს მარნეულის რაიონში, სოფელ შულავერში. თავიდან აქაურობას ვერ ეჩვეოდა, უცხო გარემო იყო, თან ბევრი აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს და მათი საუბარი არ ესმოდა... როცა წამოიზარდა, უკვე კარგად ფლობდა აზერბაიჯანულ და რუსულ ენას. ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა...

სულ მეტყოდა ხოლმე, რომ გავიზრდები, არაფერს მოგაკლებო... გაიზარდა და როცა მართლა რაღაცა შეეძლო, ბედმა გვიმტყუნა...“

ფრიდონ ზოიძე, რომანის ძმა: „სკოლიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, სამხედრო გამხდარიყო. ჩვენს ოჯახს სამხედრო ხაზი წინაპრებიდან მოგვდევს, ბაბუაჩემი, მისი ძმები, ჩვენი ბიძაშვილები, ყველანი სამხედროები იყვნენ და არიან. მეც სასაზღვრო პოლიციაში ვმუშაობ ამჟამად. როცა ბავშვობაში გვეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეთო, ორივე ჯარისკაცს ვამბობდით... ძალიან უყვარდა ისტორია, ბევრს კითხულობდა და ალბათ, აქედანაც მოდიოდა მისი სურვილი.“

დედა: „18 წლის რომ გახდა, კომისარიატიდან მოწვევა მოუვიდა. ჯან-ღონით სავსე ბიჭი იყო, კარგი სიმაღლეც ჰქონდა და კომისარიატში შემოწმება რომ გაუვლია, უთქვამთ, ეს ბიჭი პირდაპირ სენაკში გავუშვათო. წელი-წადი რომ მოიხადა სავალდებულო, შემდეგ გადავიდა კონტრაქტზე. მაგრამ მანამდე სახლში მოვიდა და გვითხრა, კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი და მშობლების თანხმობა მჭირდებაო. ვუთხარი, ჯერ სამხედრო ბილეთი აიღე, სახლში დაბრუნდი, სადმე ჩააბარე და ისწავლე-მეთქი, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე... შენც და მამამაც აუცილებლად უნდა მოაწეროთ ხელიო.

ისეთი მიზანსწრაფული და მონდომებული იყო, რომ ვერ შევეწინააღმდეგეთ. მამამისმა უთხრა, მამი, შენ როგორც გაგიხარდება ისე მოიქეციო, ეს იყო და ეს...“

ძმა: „მეც წინააღმდეგი ვიყავი. ვეუბნებოდი სენაკი შორია-მეთქი. მაგ პერიოდში შევიტანე სასაზღვროში საბუთები და ყოველდღე ველოდებოდი, რომ უნდა დაერეკათ. რომანსაც ვეუბნებოდი გაიარე ტესტირება და შენც დაგაწყებინებ-მეთქი. შენი დიდი ხათრი მაქვს, ძმაო, მაგრამ იქ ერთი ოცეული ბიჭები ვინც ვართ, ყველანი გადავდივართ საინჟინრო ასეულშიო. საინჟინრო ქიმიური ასეული, ასე ერქვა მათ ასეულს. დანაღმვა, განაღმვა, სანგრების გათხრა... ეს იყო მათი მისია. საკმაოდ საფრთხილო და საშიში პროფესიაა.

მათზე ასეც ამბობდნენ, ცხოვრებაში ორ შეცდომას უშვებენ, პირველი ამ პროფესიის არჩევაა და მეორე შეცდომას რომ უშვებენ ისე იღუპებიან, მესამე შეცდომის დრო აღარ რჩებათო. ვკითხე მაინცდამაინც ეს პროფესია რატომ აირჩიე-მეთქი და მიპასუხა: - ერთი ნაცნობი მყავს, საინჟინრო ასეულშია და როცა ამ თემაზე ვლაპარაკობთ, ძალიან მინდა ეს ყველაფერი ვისწავლოო... მინდა, რომ ჩემს მტერს ,,სიურპრიზები" მოვუწყოო... ოცეულის ბიჭებმა მოვილაპარაკეთ და ამ საქმეს ვერ ვუღალატებო."

2008 წლის აგვისტოს ომში, ერთ ოცეულში 9 ჯარისკაცი არც ერთ ბრიგადას და დანაყოფს არ დაუკარგავს. ყველაზე დიდი დანაკლისი საინჟინრო ასეულმა განიცადა – მათ შინდისის გმირები უწოდეს, ერთ-ერთი რომანი იყო.

ძმა: „მეც მაქვს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა გავლილი და ვიცი, როდესაც შემადგენლობის 30% იკარგება ბრძოლის დროს, დანაყოფი უკან იხევს. ეს სისხლის დაკარგვას ნიშნავს, 9 ადამიანი ოცეულისთვის ძალიან ბევრია... მაინც არ მოეშვნენ და ბოლომდე გმირულად იბრძოლეს..."

დედა: „16 აგვისტოს ზუსტად ერთი წელი შეუსრულდებოდა, რაც კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ 11 აგვისტოს, შუადღის მერე ყველაფერი გაჩერდა...

რაც კონტრაქტზე იყო, სამ თვეში ერთხელ თუ ამოვიდოდა სახლში. სულ მენატრებოდა და გზას გავყურებდი. პირველ ივლისამდე ბოლო ორი კვირა შვებულება ჰქონდა აღებული და სახლში იყო ამოსული. ძალიან უცნაურად იქცეოდა. სახლში რომ მოდიოდა, არ უნდოდა, რომ დამეძინა, სურდა სულ მასთან ვყოფილიყავი. მეტყოდა ხოლმე, დედა ბავშვობაში, რომ იავნანას მიმღეროდი ერთხელ ისე მიმღერეო.... ოთახში იყო წამოწოლილი და ,,გაპუტულო გლეხის შვილო" წავუღიღინე, ეგ არ გამაგონოო და მაშინ ,,ვისი ბედისა ხარ მეთქი"- ვუმღერე. გაიღიმა. იმ ღამეს ბევრი ვილაპარაკეთ, სანამ ცოლს მოვიყვან ჯერ ბინა უნდა ვიყიდოო, მერე წარმოიდგინა, როგორი ქორწილი ექნებოდა. შეყვარებული ჰყავდა და სექტემბერში დაოჯახებას აპირებდნენ... არ უყვარდა ამ თემაზე ბევრი საუბარი. მარტო ის ვიცით, რომ ქუთაისელი გოგო უყვარდა. მარტო ჩვენი კარის მეზობელს, თავის თანაკლასელ გოგონას უყვებოდა-ხოლმე მის ამბებს. მარტო მისთვის უთქვამს ომში ვარ და დედაჩემს არ უთხრაო... მხოლოდ ის ვიცი, რომ გოგო ქუთაისელია, წარმოშობით აჭარიდან. მშობლები საბერძნეთში ჰყოლია და თურმე რომანს ეხვეწებოდა კონტრაქტი დაარღვიე, ჯარიმის ფულს ჩემი მშობლები გადმოგირიცხავენ და ჩვენც საბერძნეთში წავიდეთო... შეყვარებულის ძმამაც დაურეკა, უკვე სიძედ მიაჩნდა რომანი და მანაც უთხრა: წამოდი ჯარიმის ფულს ჩვენ გადმოგირიცხავთო, მაგრამ არ ქნა... მე თუ შევქმნი ჩემი ხელით შევქმნი ცხოვრებასო... ხუთ შვილზე ოცნებობდა...

როცა პირველი ხელფასი აიღო. 90 ლარიანი ტელეფონი იყიდა. სახლში რომ მოვიდა ვუთხარი, დედა ეს რა გიყიდია, ორი თვის ხელფასი აიღე და ცოტა ნორმალური მობილური გეყიდა-მეთქი. მითხრა, დედი რომ დაგირეკავ, ხომ დაგელეპარაკებიო და მეტი რა მინდაო... ბოლოს გარდერობი მიყიდა, ხუმრობით მითხრა კიდეც, ერთი უჯრა ჩემიაო... 6 სექტემბერს უფროსი ძმისშვილი ერთი წლის ხდებოდა. მეუბნებოდა ისეთი რაღაც უნდა ვუყიდო, რომ მთელი ცხოვრება დარჩეს სამახსოვროდო... ძმის შვილს ბოლო საჩუქარი, ველოსიპედი უყიდა... მთელ ოჯახს რომანი ინახავდა..."

ძმა: „მდინარეზე ჩავდიოდით და იქ ვსვამდით ხოლმე ლუდს. საღამოს სახლში რომ მოვდიოდით ეზოში ვიდექით და ვლაპარაკობდით. დედა ფანჯრიდან გადმოგვძახებდა-ხოლმე ამოდითო. რომანი კი ეტყოდა ,,დედა, სამშობლო - ცხინვალი გვიხმობსო". ეს ფრაზა ამოიჩემა ბოლო ერთი კვირა და ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა. როგორც აღმოჩნდა ამ ყველაფერში რაღაც გამოძახილი იყო..."

დედა: „პირველ აგვისტოს სენაკში უნდა გამოცხადებულიყო. კვირას წავიდა სახლიდან, მეორე კვირას ისევ უნდა ჩამოსულიყო, მეგობრის მეჯვარე იყო და ქორწილში მოდიოდა. იმ დღეს, როცა სენაკში მიდიოდა, წვერი მამამისმა გაპარსა, რა ლამაზი ხარ მამიო, მოეფერა მამამისი და რომანმა უთხრა: ,,ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო..." ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. ჩაიცვა და სახლიდან გავიდა... მეგობარი მანქანით ეზოში ელოდებოდა, მას უნდა წაეყვანა სენაკში... ფანჯრიდან ვუყურებდი როგორ ჩავიდა კიბეებზე. ჩაჯდა მანქანაში და ხელი დამიქნია, აბა, თქვენ იცითო..."

მანქანა რამდენიმე წუთი გაუნძრევლად მდგარა, შემდეგ სახლისთვის ბიჭებს რამდენიმე წრე დაურტყამთ და წასულან. რომანი მეგობრის ქორწილშიც ვერ ჩამოვიდა, იქ იდგა სადაც მის ქვეყანას გმირი ყველაზე მეტად სჭირდებოდა...

ოჯახის წევრებს ცხელ წერტილში ყოფნის ამბავს ბოლომდე არ უმხელდა, როცა დაჭრილი ძმას ესაუბრა, უთხრა ფეხი მივარტყი მანქანიდან ჩამოსვლისას და გადაყვლეფილი მაქვსო...

14 აგვისტოს გაიგო ოჯახმა ეს უბედურება... ბოლომდე ეგონათ, რომ სენაკის ტყეში იყო... შინდისის გმირები უწმინდესის დახმარებით გადმოასვენეს. რომანის გარდაცვალების ამბავს მისი თანამებრძოლები, ცანავა, კალმახელიძე და ჩიტიძე შეესწრნენ, ისინი დაჭრილები იყვნენ მის შორიახლოს, სამი დღის შემდეგ იპოვეს, სამივე კომაში იყო, ჰოსპიტალში გააცოცხლეს... შინდისის ტრაგედიას მხოლოდ ისინი გადაურჩნენ. დღეს ბიჭები ყვებიან ისტორიას, რომელიც დიდ ტკივილთან ერთად გულში სიამაყის გრძნობას აცოცხლებს...

ისინი იდგნენ იქ, სადაც გმირები ერთხელ და სამუდამოდ დგებიან – საქართველოს სადარაჯოზე.

უმცროსი სერჟანტი

ალექსანდრე ონიანი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1981 - 2008

ასეთი გმირობა მარტო ქართველს თუ შეუძლია, ეს, ალბათ, ყველაზე შემზარავი ტრაგედიაა და კიდევ ერთი დასტური ქართული სულის სიძლიერისა. ალექსანდრე ონიანი რომან ზოიძის ნათლია იყო... აქ შინდისის ტრაგედია გრძელდება...

რომან ზოიძე უკვე სისხლისგან იცლებოდა, ალეკოს სთხოვდა: დამტოვე, თავს უშველეო, არ დაგტოვებ და არც მათ ჩავბარდებითო, – იყო ნათლიის პასუხი, მტკიცე და საბოლოო, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა...

მამაო ჩვენო წაიკითხეს - ნათლიამ და ნათლულმა, ხელები აუწევია ონიანს, ბოლოს თურმე აღარც ესროდნენ რუსები... როგორც გადარჩენილი ბიჭები ამბობენ, მათი ტყვედ აყვანა უნდოდათო. ღიმილნარევი სახით მიიწევდნენ რუსი სამხედროები ქართველი გმირებისკენ. ონიანს ფეხებში ჰქონდა დამალული გააქტიურებული „ლიმონკა“ და მტრის მოახლოებას ელოდა. სწორედ ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა... ნათლია-ნათლულის გმირობამ ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნა. მათ მტერი საათნახევრის განმავლობაში შეაჩერეს შინდისთან და, საკუთარი სისხლის ფასად, ყველაზე დიდი დანაკარგიც მოუტანეს რუს აგრესორებს.

ელენე ონიანი, და: „ალეკომ და რომანმა ერთმანეთი სენაკში, ჯარში მსახურობის პერიოდში გაიცნეს. ზოიძე მოსანათლი იყო და ჩემი ძმა სახლში გვეუბნებოდა-ხოლმე, ერთი ბიჭია ჯარში და უნდა მოვნათლოო... თვითონ ალეკოც გვიან მოინათლა, დაახლოებით 23 წლის იქნებოდა. ამის მიუხედავად, ყველა დღესასწაულს ესწრებოდა და სწამდა უფლის.

ერთ დღეს, როდესაც დავურეკე, მითხრა, რომ ნათლია გავხდიო. პირველი და უკანასკნელი ნათლული იყო ჩემი ძმისთვის ზოიძე...

სამწუხაროდ, მისი ნათლული ვერ გავიცანით. მხოლოდ ჩემი უმცროსი ძმა იცნობდა.

...ვერაფრით ვუკავშირდებოდით ალეკოს. მის მეგობრებთან დავიწყეთ რეკვა. ერთმა მისმა თანამებრძოლმა მითხრა, როცა ჭურვი ჩამოაგდეს ლიანდაგს აქეთ ვიყავი მოფარებული და ალეკო ლიანდაგის მეორე მხარეს იმალებოდაო.

ბრძოლის ველზე მამაცურად ყოფილა, დაჭრილები გადმოჰყავდა და ყველაფერს უხმოდ აკეთებდა. იმ ბიჭებმა გვითხრეს მერე, ბოლოს შეგვრცხვა ბიჭებს და ჩვენც ვეხმარებოდითო... ერთ-ერთი ჩვენი საუბრის დროს ვთხოვე, იარაღი ხომ ჩააბარეთ და წამოდი, დედაშენი ძალიან ცუდადათ არის და ვერავინ გაიგებს, მანდ იქნები თუ არა-მეთქი. მითხრა, რას მეუბნები, ახლა ვჭირდები აქ ხალხს და ვინც უკან ბრუნდება, ყველას პასუხი მოეთხოვებათო...

დაჭრილები ერთად შეუყვანია შენობაში. ორმხრივი სროლა მიმდინარეობდა. 17 ბიჭი იყო დაახლოებით დაჭ-რილი. ტყვიები გამოლევიათ და ერთადერთი „ლიმონკა“ ჰქონდათ დარჩენილი... დაჭრილი ბიჭები ეხვეწებოდნენ, წადი, შენ მაინც გაასწარი რუსებსო. შეეძლო წასულიყო, მაგრამ არ დატოვა არც ერთი... ნათლული, ზოიძეც ეხვეწებოდა, „სვანი“ წადიო (ასე ეძახდნენ ჯარში), მაგრამ არ დაუტოვებია... მერე ბიჭებს უთქვამთ, სისხლი მაინც წაისვი და ჩაწექი, ვითომ დაჭრილი ხარო, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, საკონტროლოდ მაინც ესროდნენ და შეამოწმებდნენ ცოცხალი იყო, თუ არა...

ზოიძე უკვე სისხლისგან იცლებოდა, ნუ გეშინია, არ დაგტოვებ და არც მათ ჩავბარდებითო, უთქვამს ალეკოს....

ბიჭები მოუგროვებია ზოიძესთან, მამაო ჩვენო წაუკითხავთ... ბოლოს თურმე აღარც ესროდნენ, ღიმილიანი სახით მიიწევდნენ მათკენ რუსები. როგორც ბიჭები ყვებიან მათი ტყვედ აყვანა უნდოდათ. დაჭრილები ბოლომდე ეხვეწებოდნენ გაიქეცი, ჩვენი გულისთვის რატომ უნდა მოიკლა თავიო, მაგრამ...

ამათ ტყვედ არ ჩავბარდებით. „ლიმონკა“ გაუხსნია, დანარჩენებს თვალები დაუხუჭავთ და აფეთქების ხმაც გაისმა...

ალექსანდრე ონიანი 1981 წლის 9 მარტს დაიბადა, მრავალშვილიან ოჯახში. ორი და და ორი ძმა ჰყავდა. ლენტეხში, სოფელ შახუნდერში გაიზარდა. სანიმუშო ბავშვი ყოფილა. ცხრა კლასის დაამთავრების შემდეგ მოიხადა სავალდებულო. პირველად უმცროსი ძმა წავიდა კონტრაქტზე, შემდეგ - ლექსო.

მამა რვა წლის წინ გარდაეცვალათ და ოჯახზე ზრუნვა ბიჭებმა იკისრეს.

ელენე ონიანი, და: „როცა კონტრაქტზე მიდიოდა, წინააღმდეგობა არ ჰქონია ოჯახიდან, რადგან ლექსო ისეთი ადამიანი იყო, რომელიც რასაც იტყოდა, აუცილებლად გააკეთებდა... ვაზიანში მსახურობდა, შემდეგ სენაკში ძმასთან ერთად გადავიდა.

ხელფასს როცა აიღებდა საჩუქრებს ყიდულობდა ჩვენთვის, დისშვილებზე გაგიჟებული იყო. დიდი ამაგი ჰქონდა მათზე.

დასაოჯახებელი იყო, მაგრამ, როგორც ვიცით, ჰყავდა შეყვარებული... ამბობდა, ჯერ უმცროსი ძმა უნდა დავნიშნოო... სხვანაირი პიროვნება იყო. დედაზე გიჟდებოდა და ძალიან ხშირად ადიოდა მის სანახავად.

... ომამდე 10 დღით ადრე, ლენტეხში, სახლში იყო ასული. ამ ათი დღის განმავლობაში, ძალიან შეცვლილი ყოფილა. საერთოდ თბილი და მოსიყვარულე იყო, სხვანაირად იქცეოდაო, ამბობენ. მთელი სანათესაო შემოუვლია. ყველა უნახავს, ბოლოს უთქვამს, შეიძლება ველარ ამოვიდეო...

სახლიდან დაახლოებით 1 აგვისტოს გავიდა. დედაჩემი მთაში იყო ასული, ცხვარი ჰყავდა აყვანილი. სანამ სახლიდან წავიდოდა, ასულა მთაში დედასთან და გამ-ომშვიდობებია...

ცუდი წინათგრძნობა გვქონდა. იმ კვირაში, როცა ომი დაიწყო გულზე ჩამოკიდებული ორი ჯვარი გამიტყდა...

როცა დედა საინფორმაციო გამოშვებებში ამბებს იგებდა, ალეკო გიჟდებოდა, ეუბნებოდა - ნუ უჯერებო.

ბოლოს რა რიცხვში ველაპარაკე აღარ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, როგორ გავიგონე სხვა ბიჭების ხმა, გავიქეცით ბიჭებოო და ტელეფონი გაითიშა...

ჩემი უფროსი ძმა ციხეშია და მან დაგვირეკა - ომი დაიწყოო... ორივე წაიყვანესო. მაშინვე უმცროს ძმას, სოზარს დავურეკე, მერე ალეკოსაც და ორივემ მითხრეს სენაკში ვართ, არაფერი არ ხდებაო. ვერ დავიჯერე, რომ ომი იყო ქვეყანაში... შემდეგ გავიგეთ სენაკის ბაზა დაიბომბაო. ალეკოს დავურეკე და მითხრა, რომ ყველაფერი კარგადაა, არაფერზე ინერვიულოთო...

ტელევიზორი ჩავრთე და მაშინვე მივხდი, რომ საშინელება ტრიალებდა ქვეყანაში... უმცროს ძმას ველარ ვუკავშირდებოდით... 11 აგვისტოს უფროსი ძმა მირეკავს ციხიდან და მეუბნება, რომ სოზარს დავუკავშირდი, სადღაც არის, მაგრამ ვერ ამბობს, სად არისო. არეული აქვს გონება, ძალიან მძიმე დღეშია და იქნებ, როგორმე დაეხმაროთო...

მთელი ღამე ტელეფონი ხელში მეჭირა, რომ რომელიმეს დაერეკა და არ ჩამძინებოდა. ღამის 4 საათზე სოზარმა დარეკა, ხარაგაულის ტყეში ვარ, გადავრჩიო. ხარაგაულის სასაფლაოებზე სძინებიათ ბიჭებს... საშინელ მდგომარეობაში იყო...

სოზარს და ალეკოს ერთად არ უბრძოლიათ... სოზარი გადარჩა...

მე ვხვდებოდი, ალეკო ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დამირეკავდა.

მიცვალებული სამი დღის შემდეგ მოგვიყვანეს... ყველას სცოდნია, როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა, ჩვენ მერე გვითხრეს, მისი გმირობის ამბავი... ერთ-ერთ ინტერვიუში რუსი ჯარისკაცი ყვება, ჩვენმა უფროსმა გვითხრა, ასეთი ჯარისკაცები მე რომ მყოლოდა, ძალიან ამაყი ვიქნებოდიო და ბრძანება გაუცია, რომ ეს გარდაცვლილი ბიჭები არ გაეძარცვათ. მათ საამაყოდ იბრძოლეს თავისი ქვეყნისთვისო.

ბოლოს სვანეთში რომ ყოფილა, მამის საფლავზე იყო ასული, რაღაც მთასავითაა და უთქვამს, რა კარგი ადგილია, რომ მოვკდები აქ დავიმარხებიო. ჩემს ბიძაშვილს უთქვამს, რა დროს ეს არის, ჩვენამდე აქ ბევრი დაიმარხებაო... ალეკო იმ ადგილზე დავკრძალეთ...

საშინელია მის გარეშე ცხოვრება. ერთი ოცნება ჰქონდა, უნდოდა, რომ დიდი სახლი ეყიდა და ყველა დედმამიშვილს ერთად გვეცხოვრა."

ეს ოცნება ალექსანდრე ონიანს აუხდენელი დარჩა. სამაგიეროდ, მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ერის საამაყო ისტორიაში, ისევე, როგორც აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულმა ქართველმა ვაჟკაცებმა. დღეს მათი სახელი ყველამ იცის... შინდისის სისხლიანი ტრაგედია, 17 გმირის სახელს ითვლის.

კაპრალი

სერგეი გოროზია

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

ერან თავისი სოხუმი დაიბრუნა ცხინვალში. 9 სოფელი, ცხინვალამდე შეუსვენებლივ - შეძახილით – წინ!!!!!! არ შეუსვენია ერთი წამი. თანამებრძოლები გაიხსენებენ, რომ არასოდეს უნახავთ ასეთი ბედნიერი ადამიანი, როგორც სერგეი გოროზია იყო, იმ ღამით ცხინვალში. არავინ იცის, საიდან იღებდა იმ ზღვა ენერგიას ის პატარა ბიჭი... ერთად დადუმდა მისი ტყვიამფრქვევი და გულისცემა...

სოხუმში დაბადებული, გალში გაზრდილი ბიჭი, ქართულ ჯარში შევიდა და ცხინვალთან დაეცა გმირულად.

ჯარში შესვლამდე ცოტა ხნით ადრე, დედას სოხუმში გაეპარა, ფიცი დადო სომხების მიერ მოკლულ მამის საფლავთან, რომ ქართულ ჯარში შევიდოდა და სოხუმს დაიბრუნებდა. სოხუმი ვერ დაიბრუნა, მაგრამ საარაკო გმირობის ჩადენა შეძლო...

სულ 20 წლის იყო.

სერგეი ნანატრი შვილი იყო, მისი მშობლები 4 წელი ელოდნენ შვილს...

სერგეი მეხუთე წელს დაიბადა. დედაც, მზია კვირკველია ნახევრად რუსი ჰყავდა და მამაც – კონსტანტინე გოროზიაც - ორივე ბებია ეროვნებით რუსი იყო. ოჯახშიც ძირითადად რუსულად საუბრობდნენ, მაგრამ, როგორც სერგეის დედა იტყვის, ქართველობა, სამშობლოს სიყვარული, მათ ოჯახში არასოდეს მდგარა მეორე პლანზე.

მოკლედ, მათი ოჯახი რუსულენოვანი ქართული ოჯახი იყო და არა გარუსებული ქართველების. საოჯახო ბიბლიოთეკაში თუ რამე მოეპოვებოდათ _ საქართველოს ისტორია, ქართველი მწერლები, რუსულად, მაგრამ ქართველი მწერლები - რუსთაველიდან - დუმბაძემდე...

სერგეი რომ დაიბადა, სამამულო ომიდან ლეიტენანტის წოდებით დაბრუნებული ბაბუა ცოცხალი უკვე აღარ იყო, მაგრამ შინ ინახებოდა აურაცხელი ჯილდოები – ორდენები, მედლები, რომლებსაც პატარა სერგეი ხშირად პარავდა ბებიას და მკერდს იმშვენებდა... დედა გაიხსენებს, რომ სერგეის პატარაობიდანვე ჰქონდა მიდრეკილება სამხედრო ნივთებისკენ - თვალი სულ სამხედრო ქუდებისკენ, ავტომატებისკენ გაურბოდა და სულ მათ ყიდვას ითხოვდა...

2 წლის იყო სერგეი, მის მშობლებს გოგონაც რომ შეეძინათ, 90-იანი წლებიც დაიწყო და ქვეყანაც აირია. ომგამოვლილ ბებიას ჯერ კიდევ 9 აპრილის შემდეგ უგრძნო გულმა - აქ ცხოვრება უკვე დამთავრდა, აქ ცხოვრება უკვე გაუსაძლისი გახდებაო და აფხაზეთის ომამდე, მათ ოჯახში დაიწყო ომი - ბებია კატეგორიულად ითხოვდა სოხუმიდან საცხოვრებლად რუსეთში გადასულიყვნენ, სერგეის მამა კი სასტიკ უარზე იყო - მე დავიბადე და მოვკვდები აფხაზეთში - ასეთი იყო მისი პოზიცია.

შვილმა გაიმარჯვა. ოჯახი არ წავიდა არსად.

დაიწყო ომი. ამ დროს სერგეის მშობლები ბავშვებიანად გალში, ენგურჰესის დასახლებაში იმყოფებოდნენ სტუმრად. ომი მძვინვარებდა, რუსები რომ ენგურის ხიდს მოადგნენ, სოფელში პანიკა ატყდა, დედაწულიანად იყრებოდა სოფელი.

მზია კვირკველია: „ჩვენც ავიბარგეთ. ჩემს მშობლებს უნდოდათ ჩვენ ბავშვებიანად გადმოვსულიყავით ზუგ-დიდისკენ და თვითონ დარჩენილიყვნენ გალში, მაგრამ ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტა - ჩვენ არსად არ მივდივართ. გაჯიუტდა, მაგრამ ეს არ იყო ბავშვური გაჯიუტება, ეს ზრდასრული ადამიანის გააზრებული პოზიცია იყო. დავრჩით. საბერიოში (ასე ჰქვია ენგურჰესის დასახლების იმ ნაწილს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით), ერთადერთი ოჯახი ვიყავით. ჩვენგან ენგურის ხიდამდე 12 კილომეტრია. მთელი 16 წელიწადი იქ გავატარეთ. 3-4 წელი ფეხი არ გაგვიდგამს საბერიოდან. დიდი სირთულეები გადავიტანეთ. კიდევ იმან გვიშველა, რომ ენგურჰესთან ახლოს ვცხოვრობდით და აფხაზებს ბრძანება ჰქონდათ, ჰესის გარშემო, 5 კილომეტრ რადიუსში მოსახლეობას არ შეხებოდნენ, ენგურჰესის უსაფრთხოების მიზნით, თორემ ჩვენი დარდი ვის ჰქონდა. ასე გადაურჩა ჩვენი სახლები გადაწვას. მერე ნელ-ნელა შევეჩვიეთ სიტუაციას და დავიწყეთ სიარული სოხუმში, ჩემი ქმრის დედას მივაკითხეთ. რაკი ჩემი მეუღლე იარაღით ხელში არ იბრძოდა, სოხუმში შესვლის და ცხოვრების უფლება მოგვცეს... დავდიოდით სოხუმში. მერე ჩემი ქმრის დედა ლოგინად ჩავარდა, მე აქეთ მოხუც, ბრმა დედას ვერ ვტოვებდი, ჩემი ქმარი წავიდა დედამისის მისახედად. დედამისი რომ გარდაიცვალა, სახლი ვერ გაიმეტა მისატოვებლად და დროდადრო დავდიოდით აქეთ-იქით. შესახედავად კი გავდა უფრო რუსს, ვიდრე ქართველს, მაგრამ მისი იქ ყოფნა სახიფათო იყო, ლაპარაკში მაინც ქართველობდა და სულ იმის მეშინოდა, არ მოეკლათ...“

ცოლ-შვილს სამი თვე არ ენახა მამა. დედამ 14 წლის სერგეი თან გაიყოლა და სოხუმში წავიდნენ. საკუთარ ეზოს რომ მიუახლოვდნენ, დედა საშინელმა წინათგრძნობამ შეიპყრო. ბიჭიც შეამზადა - ყველანაირი უბედურებისთვის მზად იყავი, შეიძლება მამიკო ცოცხალი არ დაგვხვდესო... ბიჭი იქით ამშვიდებს წინათგრძნობას აყოლილ დედას.

ეზოში სომეხი კარის მეზობელი დახვდათ, ვისთან ერთადაც გაიზარდა და მთელი ცხოვრება გაატარა კონსტანტინე გოროზიამ...

მზია კვირკველია: „მათი იქ ყოფნა არ გამკვირვებია, კარის მეზობლები იყვნენ, გვეიმედებოდნენ. ვკითხე, კოსტია სადაა-მეთქი. „კოსტია უმერ“ - ცივად მიპასუხეს... სამი თვის წინ დაღუპულა... რატომ არ გაგვაგებინეთ, ან აქ რას აკეთებთ-მეთქი? ჩვენ აქ ვცხოვრობთო. სახლი დაუსაკუთრებიათ, უკვე იქ ცხოვრობდნენ თურმე. როგორ თუ აქ ცხოვრობთ-მეთქი? ცინიკურად მიპასუხეს, მე მგონი შენ ვერა ხარ, ვერ გრძნობ შენ ვინ ხარ და ჩვენ ვინ ვართ, ნუ გავიწყდებათ, ქართველები რომ ხართო...

საიდანღაც მოსულმა რუსმა ან აფხაზმა კი არ წაგვართვა სახლი, საკუთარმა კარის მეზობელმა, სომეხმა... ჩემი ქმარი აივანზე უპოვიათ მკვდარი, გასისხლიანებული, შეიძლება დაეცა და მოკვდა, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ თვითონ მათ მოკლეს, სახლი რომ დაესაკუთრებინათ. არც ჩვენთვის გაუგებინებიათ რამე, არც იქაური პოლიციისთვის, არადა ის მეზობელი თვითონ პოლიციის მაიორია... თვითონ დამარხეს. ბავშვი ბღაოდა, ღრიალებდა, ვეუბნებოდი, ჩვენი შვილები ხომ ერთად გაიზარდნენ, ნუთუ ბავშვები იმის ღირსი მაინც არ იყვნენ, გაგეგებინებინათ, თვითონ დაემარხათ ბავშვებს მამა-მეთქი. ასეთი რამეები ახლა რაში გჭირდებათ, ქართველები ხართ, ნუ გავიწყდებათო. კიდევ გამიმეორა.

ბიჭო, განა არ იცი ვინ იყო კონსტანტინე, ვის ებრძოდა, ვინ მოკლა-მეთქი?

არ იბრძოდა, მაგრამ სულით მოღალატე იყო, ვძულდითო... მიისაკუთრეს ჩვენი ორსართულიანი სახლი, უზარმაზარი ბაღით, ქუჩაში გამოგვყარეს... გადავწყვიტე მეჩივლა სოხუმის პროკურატურაში. თურმე ყველგან არსებობს ადამიანი. არასოდეს დამავიწყდება ის კაცი. წარმოშობით გუდაუთელი აფხაზი იყო. ძალიან დამეხმარა. ბოლოს მითხრა, კი შენ გეკუთვნის სახლი, მაგრამ არ გირჩევ აქ დარჩენას, თუ ვინმე აფხაზი არ გყავს, შენც მოგკლავენო... მე დაგეხმარები, რომ როგორმე პატარა ფული გამოვართვა შენთვის, ბავშვებისთვის პურის ფული მაინც იქნებაო. იმ კაცმა სომხებს არაოფიციალურად წაართვა 50 ათასი რუსული რუბლი ჩვენთვის და მოგვცა... წამოვედით“.

სომხების მიერ მოკლული მამა. წართმეული სახლი. დამცირება ყოველ ფეხის ნაბიჯზე. არაერთხელ შევარდნიათ სახლში კბილებამდე შიარაღებული აფხაზები - ფულის მოთხოვნით. უკრძალავდნენ ქუჩაში დგომას, სტადიონზე თანატოლებთან ერთად თამაშს... ბიჭი იზრდებოდა და უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა მისთვის ამგვარი ყოფა.

მზია კვირკველია: „ერთ დღეს მოვიდა და პირდაპირ მითხრა, დედიკო, როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასე? დამიჭერენ და ჯარში წამიყვანენ... ხდებოდა კიდეც ასე, ბიჭებს იჭერდნენ, თუ ოჯახი იმწამსვე არ გადაიხდიდა გამოსასყიდს, მიჰყავდათ ჯარში. ან აღრიცხვაზე უნდა დაგეყენებინა და გეხადა 200 დოლარი ყოველ გამოძახებაზე. დავაყენე აღრიცხვაზე, ორჯერ მომიწია კიდეც გადახდა. საშინლად ღიზიანდებოდა, სახლი წაგვართვეს და კიდე იქით უნდა ვუხადოთ ფულიო?! ვამშვიდებდი, სამაგიეროდ უშიშრად დადიხარ, ჯიბეში საბუთი გიდევს-მეთქი. რა საბუთი, რომ მოვიდნენ და დამიხიონ ეგ ფურცელი და მაინც წამიყვანონ, ჭკუა დაუშლით ამ განუკითხაობაშიო? ვამშვიდებდი, ნუ გეშინია, სახლს გავყიდი და შენ იქ არ დაგტოვებ-მეთქი. კიდე მეორე სახლი უნდა გავყიდოთ და ისევ მაგათ უნდა მივცეთო? რისთვისო? თურმე რა... ნიადაგს იმზადებს, რომ აქეთ წამოვიდეს ჯარში... ერთ დღეს მეუბნება. დედა, რაღაცის თქმა მინდა და ვერ გიმხელ, უკვე რამდენიმე თვეა ვწვალობო. მე უკვე ვგრძნობდი, რასაც მეტყოდა... მითხრა კიდეც - დედა, მე მივდივარ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

გადავირიე... მამიდაშვილი ჰყავს დაღუპული, 21 წლის ბიჭი, სოხუმის დაბომბვის დროს ისიც კისერში დაიჭრა და დაიღუპა. ის არ გვეყოფა-მეთქი? გაუთავებლად ვდაობდით. სამსახურიც ვუშოვე, ენგურჰესში ზეინკლად მოვაწყვე, დიდი არაფერი, ასი ლარი ჰქონდა ხელფასი, მომატებას პირდებოდნენ, მაგრამ მითხრა, დედა, ეს არაა გამოსავალი. კარგად გამიგე, თუ გინდა, რომ კაცად დავდგე, გამიშვიო. ერთხელ მშვიდად ვკითხე, რატომ გინდა იქ წასვლა-მეთქი.

საამაყო ჯარი ჰყავს სააკაშვილსო. ხომ იცი, ჯარი ჩემი ოცნებაა, მე ყველაფერს მივაღწევ, მე ოფიცერი გავხდებიო... ჯერ ერთი ეს და მერე, ვთქვათ და ჩვენი ჯარი შემოვიდა აფხაზეთში, რა ვუთხრა მე იმ ჯარისკაცებს, თქვენ რომ იბრძოდით, მე სად ვიმალებოდიო? აქ, ჩუმად, აფხაზეთში ვიჯექი და ველოდებოდი ამ მშვენიერ დღესო?

თუნდაც ვერ დაიბრუნოს საქართველომ აფხაზეთი, მაშინ მე უნდა მივატოვო აქაურობა და თქვენც საქართველოში უნდა წაგიყვანოთო.

დავთანხდი... იმასაც მეუბნებოდა, ხომ იცი, ამათ ჯარში თუ წამიყვანეს, მე აუცილებლად გამოვიქცევი ან გზაშივე მომკლავენ გამოქცეულს, თუ გავაღწიე საქართველოში, აქ თქვენ დაგწვავენო... მაიძულებდა დავთანხმებულიყავი...

მე თვითონ ვეხმარებოდი საბუთების შეგროვებაში და უხაროდა... ურთულეს პირობებში გაიარა კარანტინი, 50 კაციდან 2 დარჩნენ. ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში ჩაირიცხა. 43-ე ბატალიონში. გახარებული იყო, ყველანაირი უბედურება უკან მოვიტოვე, ყველაფერი გადავლახე, ყველა ნორმატივი ჩავაბარეო.

19 წლის იყო ჯარში რომ შევიდა. 20-ის იქ გახდა. ძალიან უხაროდა, პატარ-პატარა წარმატებები ჰქონდა. გახარებული მეუბნებოდა, უფროსები მეუბნებიან, ნამდვილი ჯარისკაცი ხარო. ყველას გავაგებინე, რომ აფხაზეთიდან ვარ და რომ ჩემი მთავარი მიზანი აფხაზეთის დაბრუნებაა.

ძალიან კმაყოფილი იყო მეგობრებით, უფროსებით. ერაყში წასასვლელად ემზადებოდა, ამისთვის 43-ე ბატა-ლიონიდან 42-ეში გადავიდა. ერთი თვის გადასული იყო 42–ე ბატალიონში, როცა ომი დაიწყო... დაღუპვამდე 42 დღით ადრე, გალში ჩამოვიდა, საერაყო შვებულება ჰქონდა. თურმე მზვერავებში ჩაწერილა ბოლოს და იქ რომ ჩამოვიდა, მზვერავობდა, თავის ძალებს სინჯავდა. მითხრა, სულ ვეუბნები ჩემს უფროსებს, რომ მე აფხაზეთი კარგად ვიცი და მინდა დავუმტკიცოო. რომ ვაცილებდი, შიშით გული მისკდებოდა, ვინმეს არ ვეცანით და არ დაეჭირა,

ცოტა ფულიც გავიყოლე თან, რიგითი თუ შეგვხვდებოდა რომ თავიდან მომეშორებინა, თორემ ისე 25 ათასი დოლარი ღირებულა ქართველი ჯარისკაცი... მე გული მისკდებოდა, ის კიდევ ტელეფონით ყველა აფხაზურ და რუსულ საგუშაგოს უღებდა სურათებს. უნდოდა დაემტიცებინა, რომ შეუძლია დაზვერვა...“

დაიწყო ომი. სერგეი დედას ბოლოს 7 აგვისტოს, შეღამებულზე ელაპარაკა. მთლად რომ დაემალა, დედას უფრო ეჭვებში ჩააგდებდა და ამიტომ ცოტა უთხრა, ბევრი დაუმალა.

მზია კვირკველია: „ბოლოს მითხრა, დედა, სანთელი მაინც დაანთე ჩემზეო. იმის შემდეგ მე მისი ხმა აღარ გამიგია... რომ მელაპარაკა თურმე უკვე ცხინვალის მისადგომებთან ყოფილან.

იცით, რა მასულდგმულებს? იმ ღამეს რომ გაიგო მოგების გემო... ბიჭები მიყვებიან, ვერ აგიწერთ რა მდგომარეობაში იყო სერგო, დედამიწაზე ვერ ეტეოდა, სულ იმას გაიძახოდა, აბა, ბიჭებო, წინო... ოცმეთაური მიყვებოდა, სამ-სამი გადიოდნენ, ეს სამეულები იცვლებოდნენ და სერგოს სულ გასვლა უნდოდა და ყველას მაგიერ გადიოდაო. ვეუბნებოდით, დაისვენე, როცა საჭირო იქნება ვეღარ გახვალო და რას ამბობთ, მე ვერ გამოვალო? რაღაცნაირი ძალა მოიკრიბა, არ გაჩერებულა, არ დაუსვენია, სულ წინ-წინს იძახდა, ასეთ მდგომარეობაში გავატარეთ მთელი ღამეო. სნაიპერობაზე ოცნებობდა, მაგრამ მე-ტყვიამფრქვევე იყო, თუმცა იმ ღამით ავტომატით უწევდა სულ ბრძოლა. 8 აგვისტოს, მეტყვიამფრქვევე დაჭრილა. ის ტყვიამფრქვევი სერგეის უპოვია, წუთში გაუმართავს და იმ ტყვიამფრქვევით იბრძოდა ბოლომდე...“

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა. ხალხს უყვიროდა, გაიქეცით, თავს უშველეთო და თვითონ იბრძოდა, ბიჭებს ეუბნებოდა 2 კაცის სიცოცხლე რომ გადავარჩინო, ეგაც საქმეაო. პოზიცია მაშინაც არ მიუტოვებია, როცა ავიაციამ დაბომბვა დაიწყო. უწერია კიდეც საბრძოლო მოკვლევაში, რომ სერგეი გოროზია თავის პოზიციაზე ბოლომდე იდგა, რათა გაეყვანათ დაჭრილები და დაღუპულები...

შვილი ცხინვალში იბრძოდა და დაიღუპა. დედა გალში იყო და არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. გზები ჩაკეტილი იყო და 9 აგვისტოს მაინც წამოვიდა ტყე-ტყე, 18 წლის ქალიშვილთან ერთად. თბილისში 10 აგვისტოს ღამით ჩამოაღწია. მივიდა ვაზიანში, პასუხის გამცემი არავინ დახვდა, იქ სამხედრო პოლიციის გარდა არავინ იყო. მეორე დღეს მისულს უკვე ბატალიონის მეთაური კიკაბიძე დახვდა.

მზია კვირკველია: „კიკაბიძემ ვერ მითხრა პირდაპირ - დაიღუპაო. მითხრა დაჭრილია, ტყვედ არის აყვანილიო... არ ვამტყუნებ, ძნელი სათქმელია - შენი შვილი დაიღუპა... ორი დღის მერე რომ მივედი, მერე მითხრა, უფრო სწორედ თვითონ ისევ ვერ მითხრა, ჯარისკაცი მომიყვანა, ვისაც ნანახი ჰყავდა სერგო მკვდარი. იმ ბიჭმა მომიყვა, სერგო კისერში იყო დაჭრილი, ღრმად ხერხემლამდე, მე დავუხუჭე თვალები, გოროზია მკვდარიაო.

იმ ბიჭს კი ათქმევინა მკვდარიაო, მაგრამ თვითონ მითხრა, მე, ქალბატონო, დაჟინებით ვერ გეტყვით რომ მაინცდამაინც დაღუპულია, რადგან ყოფილა ასეთი შემთხვევები, მოუტანიათ ბიჭებს ასეთი ამბავი, მაგრამ ცოცხლები გამოჩენილანო. ჩემზეც თქვა ერთმა მოკვდაო და რომ ვნახე ვუთხარი, სად მოვკვდი, აგერ ვარ, შე უპატრონო-მეთქი, დღემდე ვერ იჯერებს ის კაცი ცოცხალს რომ მიყურებსო. ალბათ, ვინმეში ავერიე, ყველას საღებავი გვესვა სახეზე, ყველა ერთმანეთს ვგავდითო, მე სერგო არ მინახავს მკვდარი და შეიძლება ბიჭები ცდებოდნენო.

კი მითხრეს მკვდარიაო, მაგრამ მე თვითონ არ მინდოდა ამის დაჯერება და კიკაბიძის ნათქვამს ვებღაუჭებოდი...“

იმედს ბოლო „დეენემის“ პასუხმა მოუღო. მერე დედა გალში წავიდა. ადგილობრივებს შესვლის უფლება მიუციათ, შემოვიდეს რას ვერჩითო, მაგრამ მალე გამოჩენილან გუდაუთელები. ბოლო სიტყვებით ლანძღეს გმირიც და გმირის დედაც. დედას შვილის სურათი მიატანინეს.

მზია კვირკველია: „აჰა, კრასავჩიკ, სდოხ სუკა?“ ვდგავარ დედა და ვისმენ ამას...“

„ისევ გამოჩნდნენ ეს ვაჟბატონები. რაო, გმირს ტირიხართო? ბიჭები იყვნენ ახალგაზრდა ბიჭები სამძიმარზე მოსული, ისე სცემეს, ისე სცემეს ჩემ თვალწინ, ჩემი სერგი დამავიწყდა, თავბედს ვიწყევლიდი, ეს რა ვქენი... ერთს წელს ქვემოთ ჩასცხეს, თვალებიდან არ ამომდის, როგორ დაგორავდა სიმწრისგან საწყალი ბიჭი...“

„დეენემის“ პასუხმა რომ საბოლოოდ გაარკვია ყველაფერი, დედამ გალში ტრადიციულად დაიტირა შვილი. დასტიროდნენ სერგოს სურათებს და ტანსაცმელს.

AR 141

კაპრალი

თეიმურაზ ბერიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1974 - 2008

ბინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტრა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ბოლო პერიოდში ძალიან ჩაფიქრებული იყო, რომ ვეკითხებოდი რატომ ხარ ასე-მეთქი არაფერიაო, მპასუხობდა. არაფერს ამბობდა... მეც საერთოდ არაფერს მიგრძნობდა გული, ცუდზეც არ ვფიქრობდი, სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, მერე ძალიან შემეშინდა და რაღაც საშიშროება ვიგრძენი.

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამ-შვიდობოს ვარო“- თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლა-მეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

არ არსებობს ღამე, რომ სიზმარში არ ვნახო...

ცხოვრება გრძელდება და მე ჩემს შვილებს ვჭირდები, მათ უნდა მივხედო და ბიჭს ვუმკურნალო, რომ ჯანსაღი და სრულფასოვანი ვაჟკაცი გაიზარდოს. თემური გმირია. გმირი იქნება შვილებისთვის და პირველ რიგში ქვეყნისთვის. ის წავიდა, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც კიდევ დიდი ხანი არ დაივიწყებს ხალხი.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“

სამოქალაქო პირი, ექიმი

გოგა აბრამიშვილი

1967 - 2008

ეს ომში იარაღით არ უბრძოლია. მაგრამ მთელი სიმამაცით და თავგანწირვით იბრძოლა. არაერთი დაჭრილის სიცოცხლე იხსნა და გორის სამხედრო ჰოსპიტალი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დატოვა – ვიდრე ნაღმის ანასხლეტმა არ იმსხვერპლა...

გოგა აბრამიშვილი, 1967 წელს, სიღნაღში დაიბადა. სიღნაღშივე იზრდებოდა, სკოლაც იქ დაამთავრა. ჭკვიანი და წარჩინებული მოსწავლე ყოფილა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1985 წელს, სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხულა - სამკურნალო ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან ჯარში გაუწვევიათ და მოსკოვთან ახლოს მსახურობდა. ჯარიდან დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო და სწორედ მაშინ გაიცნო, მომავალი მეუღლე, ნანა გვერდწითელი.

ნანა გვერდწითელი, მეუღლე: „ჯარიდან რომ დაბრუნდა, ჩვენს კურსზე დაჯდა. წელიწადნახევარში დავქორწინდით. ტყუპი გოგონები შეგვეძინა, გოგას მუშაობა უწევდა. ძალიან რთულ პერიოდში გვიწევდა ცხოვრება.

შვილები რომ შეგვეძინა, გოგა არაჩვეულებრივი მამა აღმოჩნდა, ძალიან ბედნიერი იყო. ვერც ერთი ძიძა ვერ დამეხმარებოდა ისე, როგორც გოგა მეხმარებოდა, ბავშვებს ჩემი რძე არ ყოფნიდათ და საჭმელს გოგა უკეთებდა, ერთს მე ვაჭმევდი - მეორეს თვითონ... შემდეგ ბიჭიც შეგვეძინა, მამა რომ დაეღუპა თენგო 7 წლის იყო...“

გოგა აბრამიშვილისთვის აგვისტოს ომი პირველი არ იყო.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა შინიდან ომში გაეპარა მეუღლეს და 3 თვის ტყუპებს. ორჯერ ყოფილა მეგობრებთან ერთად ომში წასული.

ნანა გვერდწითელი: „პირველად ორი თვით იყო წასული, მეორედ სამი თვით. ღვთის წყალობით, მშვიდობით დაბრუნდა. ჩვენ ვიცოდით, რომ იქ ექიმის დამხმარედ იყო წასული, არადა, ომში ჩვეულებრივ იბრძოდა... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კლინიკურ ორდინატურაში ჩავაბარეთ, გოგამ ქირურგიის განხრით, მე გინეკოლოგიის განხრით. გოგა კლინიკაში მუშაობდა ქირურგად... ჯერ რესპუბლიკურში მუშაობდა, შემდეგ პოლიკლინიკაში, მერე გვარდიაში გადაიყვანეს... საველე სამედიცინო ბატალიონის უფროსი იყო. შემდეგ ეუთოში მუშაობდა. 2008 წლიდან გორის ჰოსპიტალში მუშაობდა ტრავმატოლოგად. ჩემი მშობლები გორში ცხოვრობენ და გორში მუშაობისას მათთან იყო. პარასკევს მოდიოდა და ორშაბათს ისევ გორში მიდიოდა. ბოლოს 22 ივლისს იყო ჩამოსული. ბავშვები სიღნაღში იყვნენ, მეც მათთან ჩავედი და გოგაც აღარ ჩამოსულა თბილისში, ცარიელ სახლში რა გავაკეთოო...

მე ჩავედი გორში 27 ივლისს და იმ დღესვე გამოვბრუნდი. მას მერე აღარ მინახავს... ბავშვები წავიყვანე ზღვაზე და მხოლოდ ტელეფონით მქონდა ურთიერთობა, სულ გვამშვიდებდა. ჩემმა პატარა დამ აიკვიატა, გოგას დავურეკოთ და ვუთხრათ, რომ ძალიან გვიყვარსო. გამეცინა, ახლა რომ გოგას დავურეკო და ვუთხრა, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მთელი ცხოვრება ეყოფა საშაყიროდ-მეთქი. 11 აგვისტოს, ალბათ, დაღუპვამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე, ყველა ველაპარაკეთ, ჩვეულებრივ გველაპარაკა, გვამშვიდებდა - არაფერი არ ხდება, ნუ ნერვიულობთ, სრული სიწყნარეაო. გავუბრაზდი, როგორაა მშვიდობა, დაიქცა ქალაქი-მეთქი. მაინც მარწმუნებდა არაფერი არ ხდებაო...

როგორც ამბობენ და გადმოცემით ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანი გადაარჩინა. გოგა ჰოსპიტალში დარჩა. ჩემი მშობლები ახლოს ცხოვრობენ, მაგრამ არ წავიდა მათთან. მასთან ერთად, ჰოსპიტალში ერთი ექიმი ქალი და რენტგენოლოგი იყვნენ დარჩენილი, რომელიც 12 საათზე წასულა. გოგა პატრონობდა ჰოსპიტალს, ყველაფერს უვლიდა და ყველაფერს ინახავდა. შემდეგ ჰოსპიტალში მისი 4 თუ 5 თანამშრომელი მისულა, ეზოში ჩასულა, მათთვის დავალებები რომ მიეცა, ედარაჯათ და არ გაძარცვულიყო ჰოსპიტალი. მათ რომ ესაუბრებოდა, ერთ-ერთს უთქვამს, დავწვეთ, რაღაც შრიალის ხმა ისმისო... გოგა ფეხზე იდგა და ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა თავში. ნაღმი ჩამოაგდეს ეზოში, შენობის სახურავზეც, მაგრამ იქ არ აფეთქდა. გოგამ ჩააბნელა თვითონ ჰოსპიტალი, სინათლე არსად ენთო და ძალიან გაუჭირდათ დანახვა, ვინ დავარდა...

მე, ეს ამბავი, დილით გავიგე. დამირეკეს, ცუდადაა და სიღნაღში მოგვყავსო.

ყველაფერი გასაგები იყო... უბრალოდ, ხავსს ვებღაუჭებოდი, ვფიქრობდი, დაჭრილია და, ალბათ, არსად ადგილი არ არის და ამიტომ მიჰყავთ ნაოპერაციები სიღნაღში-მეთქი. ყველამ იცოდა, რომ გოგა აღარ იყო, მხოლოდ მე და ჩემმა შვილებმა არ ვიცოდით... ალბათ, ბოლო მატარებლით ჩამოვედით, რადგან მას შემდეგ დაზიანდა ლიანდაგი... საღ ჭკუაზე რომ ვყოფილიყავი ბავშვებს არ წამოვიყვანდი, მთელი გზა იბომბებოდა...

თენგო სულ იმ ოთახში იყო, სადაც მამა ესვენა, არ გადიოდა. ძალიან ემოციური ბავშვია, მაგრამ ამ ემოციებს არ გამოხატავს. მე და ჩემს დედამთილს ტირილის უფლებას არ გვაძლევდა.... ჩემი ახლობლები სულ ცდილობდნენ მის ბავშვებთან გაყვანას. როგორც კი ოთახში შემობრუნდებოდა არ გვაძლევდა ტირილის საშუალებას... დღესაც, როდესაც გოგაზე ვლაპარაკობ, ტირილის უფლება არა მაქვს...

ძალიან ჰგავს გოგას თვისებებით და როდესაც შევამჩნევ, რომ რაიმე საქციელის დროს ძალიან ჰგავს და ამას აღვნიშნავ - უბედნიერესია, ძალიან უხარია და ეს მომენტი ძალიან ხშირადაა. თენგო, მამის სურვილის გამო, ძიუდოზე შევიყვანეთ...

ცხრამეტი წელი ვიცხოვრეთ მე და გოგამ ერთად. დღესაც არ მაქვს გაცნობიერებული, რომ გოგა ჩემს გვერდით არ არის. ეუთო, გორის ჰოსპიტალი, თითქოს მივეჩვიე, რომ წასული იყო და შემდეგ ისევ ბრუნდებოდა. ვერ გეტყვით, რომ არარეალური ადამიანი ვარ და ზღაპრებში ვცხოვრობ, მაგრამ მინდა, რომ ასე იყოს...“

კაპიტანი

ერეკლე ყულოშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2004 წ.
ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2004 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

ერან სამშობლოსთვის სიცოცხლე გაიმეტა, სამშობლოს მტერმა – კასეტური ბომბი მის გასანადგურებლად, სამშობლომ – ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი... დაღუპვის შემდეგ.

ერეკლე ყულოშვილი – მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის მეთაური – გმირულად დაეცა ცხინვალის მისადგომებთან.

პირველად ვარ გმირის ოჯახში. რაღაც უცნაური განცდაა – თითქმის მოუხელთებელი, სენტიმენტებისგან, ჩვეულებრივი ცრემლებისგან დაცლილი, რაღაც გაუხუნარი სევდით მოსილი და ამაღლებული.

გმირზე, ერეკლე ყულოშვილზე, მისი მეუღლე – ნინო კანდელაკი მიამბობს. გვერდით ოთახში ძიძას ხელში ატატებული ნიკუშა დაჰყავს. ნიკუშა ხუთი თვისაა. მამის დაღუპვიდან 2 თვის თავზე მოევლინა ქვეყანას. ნიკუშა ცქმუტავს, ჩვენკენ იწევს, იქით, სადაც მამის გმირობის ამბებს ყვებიან. ნიკუშა უმამოდ გაიზრდება, მაგრამ მას მამის მაგალითი გაზრდის – საზღაპროდ ექნება მამის ბრძოლა და ომები.

ნიკუშას ისევე მოუყვებიან მამის გმირობას, როგორც დღეს უყვებიან აგვისტოს ომამდელ თუ აგვისტოს ომის ამბებს – დედამისს.

ნინო კანდელაკი: „ერეკლეს ძალიან კარგად ვიცნობდი. ვიცოდი მისი ჯილდოების შესახებაც, 2004 წელს მიღებული ჰქონდა მედალი მხედრული მამაცობისთვის; და ამავე წელს – გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი, სამაჩაბლოს მოვლენების გამო; არაერთი სიგელი და ჯილდო... ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მე ჩემი მეუღლე, როგორც სამხედრო, სწორედ ომის, მისი დაღუპვის შემდეგ გავიცანი. ხალხმა რამდენჯერმე ტელევიზიით მნახა და გაიგო, რომ ერეკლეს მეუღლე ვარ. ქუჩაში მაჩერებენ ერეკლეს ნაცნობები, მისი კურსანტები, ლექტორები, ან ვისთანაც ადრე უმსახურია, მაჩერებენ და მიყვებიან ამბებს. აი, ასეთი ქმარი გყავდაო... თვითონ ერეკლეს არ სჩვეოდა თავის დამსახურებაზე, გმირობაზე საუბარი, საოცრად თავშეკავებული და მოკრძალებული იყო, ყველას თავს აყვარებდა თავისი სითბოთი, მეგობრობით და არსად, არასოდეს, არც სუფრაზე, არც საზოგადოებაში არ უთქვამს: იცით, მე ეს ორდენი მაქვს, ან ეს გავაკეთეო“.

ერეკლე ყულოშვილი მამულის დაცვას შეეწირა, მისი დიდი წინაპარი, მღვდელი მიხეილ ყულოშვილი – სარწმუნოებას, თავი მოჰკვეთეს მაჰმადიანებმა. გმირის გმირი წინაპარი საინგილოში, ყულოშვილების საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებს. ერეკლე თბილისში დაიბადა, ექიმ მიხეილ ყულოშვილის ოჯახში, მაგრამ 90–იანი წლების დასაწყისში, როცა ყველაფერი აირია, როცა დიდი გამყინვარება დაიწყო, როცა თბილისს თვალთ დაუბნელდა და ათასი ჯურის ფორმირება ბრმა ტყვიებით სეტყვავდა ქალაქს, შეშინებულმა დედამ 12-იოდე წლის ერეკლე და მისი და თბილისს გაარიდა. ოჯახი რამდენიმე წელი საინგილოში ცხოვრობდა.

„უამრავ საინტერესო ამბავს მიყვებოდა, მაკვირვებდა. ჩემთვის ის სამხედრო იყო, ოფიცერი, რომელსაც, როცა სამსახურიდან ურეკავდნენ, ფეხზე დგებოდა და ისე საუბრობდა. გავიდოდა რამდენიმე წუთი და უცებ მეტყოდა, „აი, სოფელში, ბაჭიები რომ მყავდა“, ან „ბოჩოლამ რომ ფეხი იტკინა“... და უცებ ეს 30 წლის კაპიტანი პატარა ბიჭი ხდებოდა. ბავშვობაში ეზოში ასი ბაჭია ჰყავდა, ზაქს ზრდიდა, გოჭებს ზრდიდა... ერთი გოჭი ლეკვივით ჰყავდა მიჩვეული. სოფელში რომ ჩავიდოდით, ეს გოჭი მიუცუხცუხდებოდა, ფეხებთან დაუწვებოდა, ესეც ეფერებოდა, ზურგს ფხანდა, „გოჭუნა-გოჭუნას“ ეძახდა და ჭკუაზე არ იყო. ბავშვობიდანვე საოცრად მშრომელი ყოფილა, დედას გვერდში ედგა, მაგრამ ამას მისთვის სწავლაში ხელი არ შეუშლია. იცოდა ფრანგული, გერმანული, თურქული, აზერბაიჯანული, რუსული, წერდა და კითხულობდა ინგლისურადაც. საოცარი მათემატიკური ნიჭი ჰქონდა. ათასების ფარგლებში ანგარიშობდა ზეპირად. არტილერისტებს სულ სჭირდებათ გამოთვლა. პოლიგონზე კალკულატორს კი გამოიყენებ, მაგრამ ომის დროს ეს შეუძლებელია და ამიტომ ერეკლე თავის ჯარისკაცებს გონებაში თვლას აჩვევდა. რომ ჰკითხავდი, დავუშვათ, 25 787 გავყოთ 24 560-ზე, პასუხს მაქსიმუმ 20 წამში გეტყოდა. ხაზვა უყვარდა...“

როგორც ნინო მიამბობს, ერეკლემ ბავშვობაში ყველაფერი გამოსცადა, ე.წ. ქუჩაც ნახა და შრომის ფასიც იცოდა, კარგადაც სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თავდაცვის აკადემიაში შეიყვანა მამამ. მამა-შვილის მიზნები გადაიკვეთა. შვილს შეიარაღება აინტერესებდა, მამას უნდოდა, შვილი ქუჩისთვის მოერიდებინა და ბიჭი ჯარს გაეზარდა. გაუზარდა კიდეც.

ნინო კანდელაკი: „ჩემი მშობლები მაშინ საზღვარგარეთ იყვნენ და „სკაიპით“ ველაპარაკებოდი ხოლმე. იმ დღეს, ლაპარაკი რომ დავამთავრე, რატომღაც არ გამოვედი „სკაიპიდან“, ბედისწერა იყო, ალბათ. უცებ მომდის მესიჯი: „სალამი“. ამდაგვარი მესიჯები „სკაიპში“ უამრავია, მაგრამ ჩემი ყურადღება გვარმა მიიქცია. კი, ნახევარი კახის რაიონი ყულოშვილია, მაგრამ თბილისში იშვიათად არიან. გარდა ამისა, ეწერა ერაყი, ბაღდადი... ეწერა არა, ვთქვათ, ირაკლი, არამედ ერეკლე... მეც მივესალმე და... არა აქვს მნიშვნელობა, სად შედგება შეხვედრა, მთავარია, რომ შედგეს. ხუთი თვე ვკონტაქტობდით „სკაიპით“, შემდეგ ტელეფონითაც და ჩვენი შეუღლება მანამ გადაწყდა, სანამ ჩამოვიდოდა და რეალურად მნახავდა. მე ერეკლეს დავხვდი, როგორც პატარძალი... ცხოვრებაში კიდევ უფრო უკეთესი იყო... ჩამოვიდა 21 ივნისს. არასოდეს დამავიწყდება ის წამი, იღება კარი და გამოდის ერეკლე, ჩემი მეფე ერეკლე. არ ვიცი, მერე რა მოხდა, რამდენიმე წუთი კი არა, 15-20

წუთი აქ არ ვიყავი საერთოდ, საჩუქრები ჩამომიტანა ძალიან ბევრი, მთელი პარკით, მორიდებულად მომცა, საოცრად მორიდებული ადამიანი იყო... უყვარდა სიურპრიზების, საჩუქრების კეთება, ბაღდადიდან მოახერხა და სააღდგომოდ საჩუქრად ციფრული ფოტოაპარატი გამომიგზავნა. როგორც მეუღლეები, სულ 14 თვე ვიყავით ერთად, მაგრამ მისი ხასიათიდან და ქმედებებიდან გამომდინარე, ეს 14 თვე საუკუნის ტოლფასია. თან ამ ხნის მანძილზე უმეტესად პოლიგონზე იყო, ხან ყაზარმული, ხან სწავლებები, ხან სამსახური... არ ვიცი, რაღა დარჩა, მაგრამ იქიდანაც ახერხებდა ყურადღების მოქცევას და არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ ერთი თვე ერეკლე არ იყო ჩემ გვერდით. დღეში 20-ჯერ ვრეკავდით ერთმანეთთან, უცებ დარეკავდა 21-ედ, როგორ ხარო, მკითხავდა. მე ვეუბნებოდი, რომ აი, კინოს ვუყურებ, მენატრები. გენატრებიო? მკითხავდა, მაშინ გამიღე კარიო. არადა ვიცი, რომ არის ახალციხეში, 25 მთის იქით, ვაღებ კარს – დგას ტალახით დასვრილი ჩექმებით, ყვავილებით ხელში... ჩამეხუტებოდა და ისევ წავიდოდა, გამახარებდა, ძალას მომცემდა...“

6 აგვისტოს ნინომ ჩვეულებისამებრ გააცილა ქმარი სამსახურში.

ერეკლემ საღამოს დარეკა და შეატყობინა, რომ შინ ვერ მივიდოდა – გორში გამოიძახეს. ტელევიზორთან ორი სული ნერვიულობს – ცოლი და ჯერაც არშობილი ვაჟი.

ნინო კანდელაკი: „ბოლოს ტელეფონით 7 აგვისტოს, ღამის 12-ის ნახევარზე ვესაუბრე. მითხრა: „ახლა აქ არ არის ისეთი სიტუაცია, რომ მეუღლეს ტელეფონით ველაპარაკო. არაფერზე ინერვიულო, შენს თავსა და ბავშვს გაუფრთხილდიო“. იმ ღამეს უკანასკნელად გავიგე ერეკლეს ხმა“...

8 აგვისტო. დილა. რუსების იერიში ცხინვალზე. ერეკლე ცხინვალის მისადგომებთანაა, ნაძვნარში, ქვეით ბრიგადასთან ერთად.

ალბათ, ხვდება, რომ ვეღარ იხილავს ვერც ცოლს, ვერც მშობლებს, ვეღარც ახლობლებს, მეგობრებს, ვაჟს, რომელსაც სულმოუთქმელად ელოდა... მაგრამ ახლა ამის დრო არაა, საარტილერიო დივიზიას მტრის მდებარეობის კოორდინატებს აწვდის. მისი მიწოდებული ყველა კოორდინატი უტყუარია. მტერი დანაკარგს ვეღარ აუდის. მოგვიანებით დოკუმენტებშიც ჩაიწერება: „მეოთხე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიის მეთაურის, კაპიტან ერეკლე ყულოშვილის მიერ მოწოდებულმა კოორდინატებმა მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა“.

ბრძოლის ველი. ერეკლე გმირულ მაგალითს აძლევს თანამებრძოლებს. გადარჩენილი ჯარისკაცების მეხსიერებაში ასე დარჩება – ფიჭვთან მუხლებზე დაშვებული, რუკითა და რაციით, კოორდინატებს გადასცემს. და მორჩა. გათავდა. იმ ადგილს ნახევარტონიანი „ისკანდერი“ (კასეტური ბომბი) დაეცა.

ცოლმა 10 აგვისტოსვე გაიგო ქმრის განუკვდავების ამბავი. მაგრამ ერეკლეს ცხედრის გადმოსვენება აგვისტოს ბოლომდე ვერ მოხერხდა. მერე კი 4 თვე ცხედრის იდენტიფიცირება გაძნელდა.

„45 ცხედარი გადმოასვენეს. მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო. გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ამ ცხედრებს შორის ერეკლეც იქნებოდა. ჯოჯოხეთური ოთხი თვე გავიარე. უმძიმესი დღეები, რომელიც ათას წლად მეჩვენებოდა. ყოველ დილით ღმერთს იმას ვთხოვდი, მეუღლის საფლავი მაინც მაღირსე-მეთქი. 9 ოქტომბერი ბედნიერი დღე იყო. დილის ცხრის ნახევარზე, მამის დაღუპვიდან ზუსტად ორ თვეში, ქვეყანას ჩვენი ბიჭი მოევლინა. ერეკლე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ გოგო გვეყოლებოდა. როცა ექოსკოპიაზე გვითხრეს, რომ ბიჭი იყო, ვკითხე, რატომ გეგონა, რომ გოგო იქნებოდა-მეთქი. რას ვიფიქრებდი, რომ ღმერთი ასე დამასაჩუქრებდა და ბიჭი მეყოლებოდაო, – მიპასუხა. ბიჭს სახელი ერთად შევურჩიეთ – ნიკუშა. მერე მე ძალიან მინდოდა ერეკლეს დარქმევა, მაგრამ მოძღვარმა მირჩია, რაც ერეკლესა და შენ ერთად გქონდათ გადაწყვეტილი, ის დაარქვითო. ნიკუშას თუ ბიჭი ეყოლება, ღვთის წყალობით, ერეკლეს იმას დაარქმევს“.

ნოემბერში ოჯახს „დეენემის“ პასუხი მოუვიდა და გაირკვა – გმირი ერეკლე გმირების გვერდით განისვენებს მუხათგვერდში.

ნინო კანდელაკი: „ხშირად მიკითხავს: როცა მეთაური ხარ, რა ფუნქციები გაქვს-მეთქი? ვისაც ომში წავიყვან, უკან უნდა დავაბრუნოო. ეს პირობა შეასრულა. 400 კაცი წაიყვანა და 400-ივე ოჯახს დაუბრუნა. ერეკლეს დივიზიიდან, ერეკლეს გარდა, სამი ოფიცერი და მძღოლი დაიღუპა. ერეკლეს გვერდით დაეცა ალექსანდრე თანდაშვილიც, არ მოსცილდა. ერაყში გაიცნეს ერთმანეთი, სულ ერთად იყვნენ ომის დღეებში. არ მოშორდა, თორემ ერეკლეს გვერდით არ უნდა ყოფილიყო, როგორც არტილერისტი. 9 აგვისტოს დაიღუპნენ ილია ბარდაველიძე და გიორგი კირაკოზაშვილი. გიორგი კირაკოზაშვილი 9 აგვისტოს შევიდა იქ, სადაც ქართული ჯარი აღარ იყო. შეიძლებოდა, რომ არ შესულიყო, მაგრამ ის მაინც შევიდა და მოახერხა კიდეც ერთი საცეცხლე წერტილის განადგურება, მაგრამ შემდეგ სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა და დაიღუპა სკოლის ეზოში. ეს 4 ოფიცერი ბრძანების გამო კი არ იყო შესული, ვალს იხდიდა სამშობლოს წინაშე, ეს იყო მათი მოვალეობა, მათი სულისა და გულის ტკივილი...“

თურმე რამდენი ალალი გული ძგერდა. თურმე ჩვენს შორის რამდენი გმირი დადიოდა. ზუსტად იმდენი – რამდენიც ბრძოლის ველზე დაეცა. და კიდევ ისინი, ვინც დღესაც დადიან ჩვენს შორის – აგვისტოში რომ საქართველოსთვის, ჩვენთვის იბრძოდნენ. ვინც ჩვენი ბიჭების გმირობაზე ქირქილებს, საკუთარ, ყორანივით გაშავებულ ნამუსს იხეხავს.

კაპიტანი

გიორგი კირაკოზაშვილი

უმწიკვლო სამსახურისთვის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2004 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1975 - 2008

ადგა ჯარი! ადგა ჯარი! – ასე აღვიძებდა მამა პატარა ძილისგუდებს – ოთო და ნიკუშა კირაკოზაშვილებს. „ადგა ჯარი“... მამა იმთავითვე სამშობლოს ჯარისკაცებს ხედავს პატარა ბიჭებში... მაგრამ აგერ 7 თვეზე მეტია, ბიჭები ამ შეძახილის გარეშე იღვიძებენ დილაობით. მამა – გიორგი კირაკოზაშვილი სამშობლოს შეეწირა აგვისტოს ომში...

„ადგა ჯარი“, – აღვიძებდა მამა ბიჭებს და როცა სამშობლოს გაუჭირდა, თავად ადგა და წავიდა მამულის დასაცავად.

მამის ძმაკაცმა ობლებს ზარდახშა აჩუქა – მამის ნივთები აქ შეინახეთ და ხშირად ათვალიერეთო. ასეც მოიქცა „ჯარი“ და აი, ათვალიერებს კიდეც პატარა ნიკუშა მამის მედლებს... ოთო კი ნაღვლიანად ყვება:

„ზაფხულში სოფელში ვიყავით, დედა და მამა შაბათ-კვირას ჩამოდიოდნენ. ერთ ჩამოსვლაზე ვთხოვე, მამადავითზე წამიყვანე-მეთქი. წამომიყვანა მამადავითზე, აკაკი წერეთლის საფლავიც მაჩვენა, მამა მაშინ ვნახე ბოლოს... ისე, მგონი, ნიკუშამ უფრო ბევრჯერ ნახა მამა...“

ნიკუშა: „აი, ოთო რომ ჩამოიყვანა მამამ სოფელში, მეც ვთხოვე, წამიყვანე-მეთქი. წამომიყვანა და თავისი სამსახურიც მაჩვენა. იცი, რა მაგარი იყო? იქ ბევრი ჯარისკაცები იყვნენ, ავტომატიც კი მათხოვეს, ფორმა ჩამაცვეს, თავისი მობილებით სურათებს მიღებდნენ. ბევრი ვეთამაშე მაშინ ჯარისკაცებს. მე ამ ყველაფერს მარიამს მოვუყვები, როცა გაიზრდება. ისე, იცი, რატომ მიყვარს მარიამი ასე ძალიან? მეცოდება, მამა საერთოდ რომ არ უნახავს და თან, მგონი, მამაც ასეთი იყო პატარაობაში, ხანდახან მამას ვეძახი. მე დედას ვუთხარი უკვე, რომ სახელი უნდა შევიცვალო და გიორგი უნდა დავირქვა, მერე მეც სამხედრო გამოვალ და გიორგი კირაკოზაშვილი ვიქნები. ისეთივე მაგარი, როგორიც მამა იყო“.

ბიჭებს გმირი მამა ჰყავთ. ეს გმირი მამა ფოტოდან გაზრდის მათ ვაჟკაცებად. ბევრად უფრო მეტს მისცემს ბიჭებს, ვიდრე ბევრი ცოცხალი მამა ერთად აღებული.

გმირი გიორგი კირაკოზაშვილი 33 წლის წინათ დაიბადა სოფელ ჩაილურში,

ჯარში 15 წელი იმსახურა. სამხედრო აკადემიაში ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შევიდა. მსახურობდა გვარდიაში, სპეცრაზმში, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ პირველ ბრიგადაში. ბოლოს – მეოთხე ბრიგადაში, იყო ბატალიონის დაზვერვის უფროსი.

ისტორიის მასწავლებელს ეკა კირაკოზაშვილს ოცნებად ჰქონდა სამხედრო პირზე გათხოვება. ეს ოცნება გაუმხილა კიდეც ნათესავს. ნათესავმა ახალგაზრდა, უმცროსი ლეიტენანტი გიორგი კირაკოზაშვილი გააცნო. გიორგი კირაკოზაშვილი კი, თავის მხრივ, პედაგოგ მეუღლეზე ოცნებობდა – ხშირად ვიქნები ოჯახიდან გასული და პედაგოგი კარგ შვილებს გამიზრდისო.

პირველად ნიკოლოზობას, 19 დეკემბერს შეხვდნენ. გიორგიმ მომავალი მეუღლე ხელოვნების მუზეუმში ცვილის ფიგურების გამოფენაზე წაიყვანა. მეორედ ეკა დაბადების დღეზე ნახა, როგორც დღეს ქალბატონი ეკა სევდიანი ღიმილით იხსენებს: „უცებ მანქანიდან გადმოაძვრინა ხელოვნური ყვავილები და მომაჩეჩა, ისიც თურმე ძმაკაცს აყიდინა, თვითონ ყვავილებით სიარული შერცხვა, როგორც გვიან გავიგე...“

გაცნობიდან ერთი თვის თავზე ჯვარი დაიწერეს. გაცნობიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, კვლავ ნიკოლოზობას, ვაჟი შეეძინათ და ნიკუშა დაარქვეს... მათი ბედნიერება კი ომის ცეცხლმა დაადნო ცვილივით...

როცა დაქორწინდნენ, გიორგი იმხანად გვარდიაში მსახურობდა და ხშირად უწევდა ნაწილში დარჩენა. ახლად მოყვანილი ცოლი თავიდან ნერვიულობდა, მერე ნელ-ნელა შეეჩვია ჯარისკაცის ცოლობას.

ბიჭები სულ დანატრებული იყვნენ მამას. მამა კი, მოვიდოდა თუ არა შინ, ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებებს ეძებდა. ბიჭები არ უსვენებდნენ. არ აცლიდნენ მოსმენას, მერე მამა ერთს „სამხედრო ენაზე“ დაიყვირებდა და ბიჭებიც ლოგინის ქვეშ ძვრებოდნენ. მერე კი მამა ეძებდა მათ და ეს უკვე რიტუალად ექცათ.

ეკა: „სამსახურიდან ხშირად დაღლილი და გაღიზიანებული ბრუნდებოდა. ასეთ დროს პირდაპირ მაფრთხილებდა, ვერ ვარ ხასიათზე და რამეს თუ ვიტყვი უხეშად, გეხვეწები, შენს თავზე არ მიიღო და არ გამიბრაზდე, უბრალოდ, მძიმე დღე მქონდაო. მე ამაზე ყოველთვის მეცინებოდა. მერე ერთი ჭიქაც რომ დაელია, ისეთი მხიარული ხდებოდა, მე რომც დამეწყო ჩხუბი, თვითონ ხმას აღარ ამოიღებდა. ერთხელ, როდესაც ასეთი დამძიმებული დაბრუნდა, გაფრთხილებაც ვერ მოასწრო, მე ხმა არ ამოვიღე, ისე ვასადილე, ერთი ჭიქა ღვინო დავუდგი. გვერდით მივუჯექი და ხმას არ ვიღებ. მიყურა, მიყურა და სიცილი დაიწყო, იცი, დღეს რა მოხდაო? დღეს ჯარისკაცი იდგა და თვლემდაო, დავუყვირე, განაწესში დგახარ, რა დროს ძილია-მეთქი. ამ საწყალს თურმე ისე ღრმად ეძინა, რომ ჩემს ყვირილზე უკან გადავარდა და თავი გაიტეხაო. არ სჯობდა, ყვირილის მაგიერ იავნანა მემღერა, ეგება აღარ წაქცეულიყო, შარს ავიცილებდი, მთელი დღე ისევ მე მომიწია თავგატეხილი ჯარისკაცის მოვლაო.

ძალიან უყვარდა ფორტეპიანოსა და გიტარაზე დაკვრა, თუ ბიჭებიც ხასიათზე იყვნენ, ერთად მღეროდნენ ხოლმე, ქართულ ლექსებზე სიმღერებსაც წერდა, მერე ძმაკაცებთან ერთად მღეროდა. ნამდვილი ქართველი იყო, უყვარდა ძმაკაცებთან ქეიფი. მეც ძალიან მიყვარდა მათ სუფრასთან ყოფნა, მაგრამ ხშირად არ მივყავდი, მარტო ბიჭები ვიკრიბებითო, სიცილით მეტყოდა ხოლმე...“

ბიჭები – ოთო და ნიკუშა, ხშირად რთავენ ვიდეოზე ჩაწერილ მამის ქეიფებს და მამასთან ერთად ახლა უკვე ასე მღერიან...

გიორგი საკუთარ სახლზე ოცნებობდა, ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ბანკიდან კრედიტი აიღო, სამსახურიდან – შვებულება, ერთოთახიანი ბინა იყიდა, გარემონტებას შეუდგა. ცოლს ისეთ ბინას ჰპირდებოდა, სახლიდან გამოსვლა რომ არ მონდომებოდა. ყველაფერს თავად აკონტროლებდა, ფინანსებსაც, მუშებსაც. ცოლი მხოლოდ დასათვალიერებლად მიჰყავდა. ზაფხულში, სიტუაცია რომ დაიძაბა, სამსახური ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა, უხუმრია კიდეც, რემონტის დამთავრებას არ მაცლიანო. 6 აგვისტოს გიორგი ომში წავიდა. წავიდა საბოლოოდ. დაიღუპა 9 აგვისტოს. მანამდე კი ყოველდღე რეკავდა შინ.

ეკა: „სულ რამდენიმე წამს მელაპარაკებოდა, ბევრს ვერაფერს მეუბნებოდა, არც მე მალაპარაკებდა. ბავშვებს მოიკითხავდა, ჯერ ცოცხალი ვარო, მეტყოდა და ტელეფონს თიშავდა. ხანდახან მინდოდა, სიტყვებით მაინც მოვფერებოდი და არ მაცლიდა, ან მომისმენდა და წავედიო, მეტყოდა. ბოლოს 8 აგვისტოს დარეკა ღამის 12-ის ნახევარზე. წინა დღით მისი უახლოესი ძმაკაცი დაიღუპა და ბრდღვნიდა იქაურობას, ხმაც აღარ მომეწონა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა უკვე გადარჩენაში. ვკითხე, დაჭრილი ხომ არ ხარ-მეთქი, არაო... ძალიან ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ბინაზე მკითხა, რას შვრები, თანხას ხომ ისე ხარჯავ, როგორც დავგეგმეთო. მერე თვითონვე მითხრა, რას გეკითხები, რა დროს ბინააო. ბოლოჯერ მესმოდა გიორგის ხმა. 9-ში დილით დაიღუპა...“

9 აგვისტო. დილა. გიორგი ჯარისკაცებთან ერთად ცხინვალის შესასვლელთან ახლომდებარე სკოლის შენობაშია გამაგრებული. დავალება – საარტილერიო დივიზიონს მტრის ადგილმდებარეობის კოორდინატები უნდა მიაწოდონ. მტრის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაა საჭირო. შორს არაა, იქვეა. ნაძვნარია გასავლელი. წესით, მორიგეობით გიორგის არ ეკუთვნის იქ გავლა, 8 აგვისტოს იყო გადასული მტრის მხარეს, მაგრამ თავად მოინდომა გადასვლა. მიზეზი – დაღუპულ ძმაკაცს გადმოვასვენებო. წინააღმდეგობა არ გაუწიეს. მიდის, მეკავშირესთან, გოჩა დუჩიძესთან ერთად. გოჩამ და გიორგიმ ჩასაფრებული სნაიპერი შენიშნეს. გიორგიმ ყუმბარმტყორცნი მოიმარჯვა სასროლად, მაგრამ... სნაიპერი წამებში ასწრებს სროლას. გიორგი ყელში იჭრება, სამიოდე ნაბიჯი და ადგილზე იღუპება...

გიორგი იღუპება, ფეხმძიმე მეუღლეს კი კიდევ რამდენიმე დღე იმედი აქვს, რომ მეუღლე ცოცხალი ჰყავს. ბევრი ეუბნება, რომ ცოცხალი ნახა, დაჭრილი იყოო... თავად ისტერიულად რეკავს მეუღლის ტელეფონზე.

ეკა: „ერთ დღესაც წამიერად დაირეკა გიორგისთან და ისევ გაითიშა, ამან ისე გამახარა, ვიფიქრე, მორჩა, გიორგი ცოცხალია-მეთქი, არადა, გიორგი დაღუპული იყო. ეტყობა, მის თანამებრძოლს დასჭირდა კარტა და გამოიყენა. ამიტომაც დაირეკა წამიერად მის ნომერზე... მერე გიორგის კურსელის მამამ დამირეკა, გორის სამხედრო ჰოსპიტალში ეხმარებოდა დაჭრილი ჯარისკაცების გადმოყვანაში, დამირეკა და მითხრა, გიორგი ცოცხალია, ჩემი ხელით ჩავაბარე მთავარ ექიმსო. ამ ზარის შემდეგ გავიქეცი ეკლესიაში მამა სოკრატესთან და დალოცვა ვთხოვე. 10 აგვისტოს დაჭრილი ჯარისკაცები თბილისში ღუდუშაურის კლინიკაში გადმოიყვანეს. მეც მივედი გიორგის მოსაძებნად. მთელი დღე საავადმყოფოსთან გავატარე. იქ დავაღამე ის დღე. სიახლე კი არაფერი იყო. სახლში ისევ იმედით დავბრუნდი, თუმცა სახლთან უამრავი ადამიანი დავინახე შეკრებილი... ყველა ტიროდა... ჩემს დანახვაზე კი უფრო ხმამაღლა ატირდნენ და მერე არაფერი მახსოვს... ამბავი მამიდაჩემმა გაიგო, გაახსენდა, რომ ჩვენი მეზობელი ჯარისკაცი გიორგის დაქვემდებარებაში იყო და მას პირდაპირ ბრძოლის ველზე დაურეკა. სიმართლე მწარე იყო...“

ცოლს ხშირად ეუბნებოდა თურმე, თუ ახალგაზრდა მოვკვდები, უკანასკნელ გზაზე ძმაკაცები გამაცილებენ, თუ სიბერეს მივაღწევ – ჩემი შვილებიო.

ახალგაზრდა დაეცა ბრძოლის ველზე – 33 წლის. გმირულად დაეცა. დარჩა ბიჭები – 7 წლის ნიკუშა და 6 წლის ოთო, ეკა თვალცრემლიანი იხსენებს, „ბიჭებზე ამბობდა, ესენი ჩემი ვაჟკაცები არიან და მარიამი შენი იქნებაო“. მარიამი მამის დაღუპვიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. 4 თვისაა, მაგრამ ძმები უკვე უყვებიან მამის გმირობის ამბავს. ჯერ დედას აყოლინებენ დეტალურად და მერე პაწია დაიკოს უამბობენ...

P.S. ოთო, ნიკუშა და მარიამ! – იცოდეთ, რომ თქვენ გმირი მამა გყავთ.

პოლკოვნიკი

დათო ელიზბარაშვილი

უმწიკვლო სამსახურის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.



1971 - 2008

„მე დავეცემი ბრძოლის ველზე მკერდგახვრეტილი
და უკანასკნელ ამოოხვრას გაჰყვება სული.
წითლად შევღებავ მწვანე ბალახს, ყვითელ ბაიას
და სამუდამოდ დასრულდება ცხოვრება ჩემი...
გადაიქროლებს ბრძოლის ველზე წყნარი ნიავი,
თმას ამიწეწავს და სახეზე მეალერსება,
თითქოს მას სურს, რომ დამიბრუნოს
სული ჩემი შორს გაფრენილი.
მე მას ვუამბობ, რაც მაწუხებს ყველაზე ძლიერ,
თუ როგორ ჩაწვნენ ბრძოლის ველზე ქართველთ შვილები...
...და მიმატოვებს მე ნიავი უდაბურ ველზე,
უკანასკნელი მეგობარიც გზას გაუდგება,
დარჩება მარტოდ ტრიალ ველზე ცხედარი ჩემი
ცხოველთ და ფრინველთ საჯიჯგნად და გამოსაკვებად“...

ეს სტრიქონები პოეტს კი არა, აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ პოლკოვნიკ დათო ელიზბარაშვილს ეკუთვნის.

ეს ლექსი მან ჯერ კიდევ მაშინ დაწერა, როცა 18 წლის ბიჭი იყო და სამშობლოდან შორს, გორკის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა.

გავიდა კიდევ 18 წელი და მისი ლექსი წინასწარმეტყველურად აჟღერდა.

10 აგვისტო. ქართული ჯარი უკან იხევს. ფხვენისი. დროის მოსაგებად ველის დანაღმვაა აუცილებელი. ველზე დასანაღმად შესულ პირველ ჯგუფს პოლკოვნიკი დათო ელიზბარაშვილი ხელმძღვანელობს. უკან გამოსულს, ახალ ჯგუფს ჩაუყენებენ სათავეში. ამჯერად ველზე მარტო შევა. დანარჩენებს დარჩენას უბრძანებს. 11 აგვისტო. ღამის 2-ის ნახევარი. მინდვრის დანაღმვისას მტერი შეამჩნევს, „მი-24“-ის ჰაერიდან შემოტევას ხელის ტყვიამფრქვევით უმკლავდება. მაგრამ წამი და დათო ელიზბარაშვილი ველს მოეფინება... ნაწილებად.

დაიბადა კახეთში, სოფელ შილდაში, 1971 წელს. მის დაბადებას ოჯახი 8 წელს ელოდა. სკოლაში რომ შეიყვანეს, ისეთი პატარა ყოფილა, ჩანთას ძლივს ერეოდა. მაგრამ ყველა კითხვაზე ნდომებია პასუხის გაცემა. „მე ყველაფერი ვიცი, მე უნდა ვთქვა“, – მისი ეს სიტყვები დღემდე ახსოვს პირველი კლასის მასწავლებელს. აი, რუსული ენა კი დათო ელიზბარაშვილისთვის ტელევიზორს უსწავლებია. რუსული არხების ყურება-ყურებაში რუსული ისე კარგად უსწავლია, რომ, როცა სკოლიდან ლენინგრადში ექსკურსიაზე წავიდნენ, პედაგოგებს თარჯიმნობასაც კი უწევდა. შემდეგაც გამოადგა ეს ცოდნა, როცა 16 წლის ბიჭმა სწავლის გაგრძელება გორკის სამხედრო სასწავლებელში გადაწყვიტა.

შილდელი ბიჭი დამოუკიდებლად მიდის რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად. თან სამხედრო სასწავლებელში. ეს პერიოდი მეტად მძიმე აღმოჩნდება მისთვის. „ალბათ, დიდი ხანი გაივლის კიდევ, რომ მე ჩემს საქართველოს ვერ ვნახავ. სამი თვე და სამი დღეა, რაც დედა და ზურო არ მინახავს. ჩემს სიცოცხლეში ეს პირველი თათარაობა ჩატარდება საქართველოში, მე რომ ვერ დავესწრები“.

მძიმე იქნება იმდენადაც, რომ სწორედ მისი იქ ყოფნის დროს დატრიალდება აქ ცხრა აპრილის ტრაგედია. სწორედ მაშინ იწერება წინათგრძნობით სავსე სტრიქონებიც და სწორედ ამ დროს ჩნდება მის დღიურშიც ეს ჩანაწერი: „რამდენჯერ მიფიქრია პაგონებზე, რომლებიც ახლა მხრებზე მაქვს, რამდენჯერ მიოცნებია მათზე. ახლა კი არაფერს დავიშურებდი, ისევ ჩემი სამოქალაქო ტანსაცმელი რომ ჩავიცვა და მოვშორდე ამ ნაცისტთა კასტას, რომელთაც ასე ვეზიზღებით“...

სწორედ იმ მძიმე წუთებში დადებს იმ აღთქმას, რომელსაც 18 წლის შემდეგ საქმით დააგვირგვინებს.

„...ვფიცავ, რომ ერთ-ერთ პირველ რიგში ჩავდგები და დავიცავ ჩემს საყვარელ სამშობლოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და მხოლოდ ჩემი და ჩემისთანების სიკვდილის შემდეგ თუ იზეიმებს მტერი, მაგრამ მჯერა, რომ საქართველოში დარჩებიან ბავშვები, რომლებიც ჩვენზე კარგები გაიზრდებიან და შურს იძიებენ ყოველი დაღვრილი სისხლის წვეთისთვის“.

გორკის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. „გადმომხედა უზენაესმა და დავბრუნდი სახლში... თითქოს ისევ თავიდან ვიწყებ ყველაფერს... უსაზღვროა სიყვარული სამშობლოსი და იმ ხალხისა, რომელთა შორისაც აღვიზარდე, ვინც მე მზრდიდა და სამშობლოს სიყვარულს მასწავლიდა. მე მზად ვარ, გავიღო ყოველგვარი მსხვერპლი მათი ბედნიერებისთვის“!

თქვა და იმავე წელს წავიდა კიდეც აფხაზეთის ომში. თავშიც დაიჭრა... ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში საინჟინრო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. შემდეგ, კადეტთა კორპუსში მოღვაწეობდა. ბოლოს გორის ბატალიონის საინჟინრო ნაწილის გამნაღმველთა ბრიგადის მეთაური იყო.

დათო ელიზბარაშვილმა და ქეთინო მირიანაშვილმა ერთმანეთი ახლობელთან, წვეულებაზე გაიცნეს, 1998 წლის ზაფხულში. შემდეგ ყველაფერი ისე იყო, როგორც ხდება ხოლმე, მაგრამ სწრაფად – დარეკვები, გავლა-გამოვლა, ბლომად ყვავილები, ხელის თხოვნა და უეცარი ნიშნობა.

„ზოგადად, ნათქვამი ჰქონდა, რომ უნდა მოსულიყო, მაგრამ კონკრეტული დრო არ უთქვამს, ისე მოვიდა ოჯახში მოულოდნელად. მალევე ვიქორწინეთ. სულ ჩქარობდა, ყველაფერი ეჩქარებოდა, თითქოს მოსწრებაზე იყო...“

იმ შემოდგომაზე დათო მოსკოვის სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს სასწავლებლად, მალე მეუღლეც წაიყვანა და დღეს იმ წლებს ქეთინო მირიანაშვილი გახანგრძლივებულ

საქორწინო მოგზაურობად იხსენიებს.

„უბედნიერესი წლები იყო ჩემთვის ის წლები, მარტო ვიყავით, სწავლისგან თავისუფალ დროს ბევრს დავდიოდით, მუზეუმებში, კინოში, თეატრში...“

სწორედ იმ წლებში დათო ღამით მტვირთავადაც მუშაობდა ზედმეტი გროშებისთვის, მეუღლისთვის რომ პატივი ეცა...

ჯერ – ბიჭი, მერე გოგოც ეყოლათ. დათო მხოლოდ საკუთარ ჭერსღა ნატრობდა.

ახლა ამ ნაოცნებარ ჭერქვეშ ვესაუბრები პოლკოვნიკის ქვრივსა და ჯარისკაცებს.

უნივერსიტეტის ქუჩაზე დათო ელიზბარაშვილს სამოთახიანი ბინა 2007 წლის დეკემბრის ბოლოს გამოუყვეს. თვითონ არემონტებდა, თავის ძმაკაცებთან ერთად. როგორც მისი მეუღლე მიამბობს, აკეთებდა ყველაფერს, რაც ეხერხებოდა და არც ეხერხებოდა. ელექტრობა არ სცოდნია და გზადაგზა უსწავლია. ზაფხულისთვის, როგორც იქნა, მოაწესრიგა სახლი, სექტემბრისთვის ახალმოსახლეობასაც აპირებდნენ. გახარებული ყოფილა, ახალ წელს ჩემს სახლში შევხვდებიო, მაგრამ...

ნაოცნებარ ჭერქვეშ 4-ჯერაც არ გაუთევია ღამე.

მისი მეუღლე, 8 წლის ბიჭი და 4 წლის გოგონა მისი დაღუპვის შემდეგ გადმოვიდნენ დათოს ნაოცნებარ სახლში.

დაღუპვამდე კი ოჯახმა ერთად გაატარა 2 კვირა ურეკში. ის-ის იყო, ივლისის მიწურულს, შვებულებიდან უნდა გასულიყო, გორში სამორიგეოდ რომ გამოიძახეს, წავიდა და წავიდა... ოჯახს ნახვით აღარ უნახავს – ჯერ ყაზარმული გამოცხადდა, შემდეგ საომარი მოქმედებებიც დაიწყო...

ქეთევან მირიანაშვილი: „როცა ახერხებდა, მირეკავდა. მისი ძმა წაიყვანეს რეზერვიდან და სულ იმის დარდი ჰქონდა, რომ წინა ხაზზე არ მოხვედრილიყო. მატყუებდა, ქვევით ვდგავარ, წინა ხაზზე არ ვარო. 10-ში, ღამის 12-ის ნახევარი იყო, ბოლოს რომ ველაპარაკე, გოგოც დავალაპარაკე. დილით ჩემმა მაზლმა დამირეკა, დათოსი რა ისმისო. 6 საათიდან რეკვა დავიწყე. აღარ გადიოდა, უკვე... დილით, 11-ისთვის, დამირეკა მაზლმა, დათო აღარ არისო. სადღაც 2 საათში უკვე მოასვენეს... შილდაში მამის გვერდით დავკრძალეთ. იქ ძალიან ბევრი რეზერვისტი ჩამოვიდა, მათი მშობლებიც. მადლობას უხდიდნენ... მშობლები მეუბნებოდნენ, შვილები გადაგვირჩინაო... “

დათო ელიზბარაშვილი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. არანაკლები ჯილდოა მისი ჯარისკაცების სიყვარული და მათ თვალზე მომდგარი ცრემლი, როცა მასზე მიამბობდნენ.

ლევან მირზაშვილი: „ხშირად მივყავდით ძმათა სასაფლაოზე და თუ ვინმე ჰყავდა თანამებრძოლი დაღუპული, ყველას ოჯახს აკითხავდა და ჩვენც სულ გვარიგებდა, თუ მოხდა და თანამებრძოლი დაგეღუპათ, არ უნდა დაივიწყოთ, უნდა მიხვიდეთო... თუ რამე ცოდნა გვაქვს, მისგან გვაქვს ნასწავლი. როცა დანაღმულ ველზე შევდიოდით, ჯერ ხომ გვერდიდან არ გვშორდებოდა, და თუ რამეს საეჭვოს შეამჩნევდა, შანსი არ იყო, ჯარისკაცი შეეშვა, თვითონ შედიოდა, თვითონ გაანადგურებდა, რაც გასანადგურებელი იყო და მერე, უბრალოდ, პრაქტიკულად გვასწავლიდა...“

ილია ედიშერაშვილი: „სამსახურშიც პატივისცემით გვეპყრობოდა, არც დისტანციას გვაგრძნობინებდა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ რომ გავიდოდით სადმე, იქ ვერც ვგრძნობდით მის მეთაურობას, იქ ჩვენი მეგობარი იყო. ერთად ვიყავით სულ“.

ბადრი გიგუაშვილი: „არასოდეს დაუყვირია ჯარისკაცისთვის. ჯარისკაცები უყვარდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ყველას უყვარდა...“

ამბობენ, რომ სულ ეჩქარებოდა, სულ მოსწრებაზე იყო. ამბობენ, რომ ყველას ეხმარებოდა, რომ არ შეეძლო უარის თქმა. სამშობლოსაც ვერ უთხრა უარი...

გიორგი და გელა
რომელაშვილები

გიორგი, ლეიტენანტი: ითვლება უგზო–უკვლოდ დაკარგულად
გელა, კაპრალი: ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

გელა: 1983 - 2008
გიორგი: 1979 - 2008

ძმები რომელაშვილები, ოჯახთან ერთად, ოსებმა ცხინვალიდან გამოყარეს. მაშინ გია თერთმეტი წლის იყო, გელა – შვიდის. ბავშვობა გორში, დევნილობაში გაატარეს.

ვერ ივიწყებდნენ მშობლიური ქალაქიდან გამოყრის სიმწარეს.

„ამბობდნენ, წინ ცხინვალელები უნდა წავიდეთ, ცხინვალი ხომ ჩვენიაო. სულ იმას იძახდა გია: ნეტა, ჩემი ტანკით ცხინვალის ცენტრში, თეატრის წინ გამატარაო“, – იხსენებს გმირების მამა.

გია რომელაშვილი ბოლოს გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში მსახურობდა ოცმეთაურად, გელა იმავე ოცეულის მემიზნე-ოპერატორი იყო.

გელა ოჯახში ბოლოს 6 აგვისტოს ნახეს, გია 7-ში ყოფილა შინ. მას შემდეგ ბიჭები აღარ უნახავთ.

„უკვე ცხინვალში იყვნენ, იბრძოდნენ, მე კი არ მაგებინებდნენ, ტელეფონზე მეუბნებოდნენ, გორთან ვდგავართო.

როგორც მათი ასმეთაურისგან და სხვა თვითმხილველებისგან ვიცი, გია წინ მიუძღოდა ტანკების კოლონას, მერე გელას ტანკი მიჰყვებოდა, მათ უკან ოთხი თუ ხუთი ტანკი მიდიოდა. უნივერსიტეტთან გელას ტანკს ესროლეს. ტანკს ცეცხლი გაუჩნდა, გელა ამოვიდა და მერე დაუდგენელია, სნაიპერმა ესროლა თუ დახვრიტეს. ეკიპაჟის ორი წევრი გადარჩა, მარტო გელა დაიღუპა.

გიას ტანკს კი, როგორც მეუბნებიან, ოსეთის თავდაცვის მინისტრმა ბარანკევიჩმა მოარტყა. მამუკა არეშიძისგან ვიცი, ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტი შეესწრო და ბარანკევიჩი ტრაბახობდა თურმე: #406 ტანკი თავის ეკიპაჟიანად გავანადგურეო...“

ძმები ერთად დაეცნენ ბრძოლის ველზე. შინ ამაოდ ელოდნენ მათ. იყო იმედები და ამ იმედების მწარედ გაცრუება.

25 დეკემბერს დეენემის ანალიზის პასუხით გაიგეს, რომ ბოლოს, 16 ნოემბერს, გადმოსვენებული 10 ცხედრიდან ერთ-ერთი გელა რომელაშვილის იყო. გია კვლავ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, რადგან მის ცხედარს დღემდე ვერ მიაგნეს.

გელა წარდგენილია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე. გიას მხოლოდ მას შემდეგ წარადგენენ, როცა ცხედარს მიაკვლევენ, ანდა 2 წლის შემდეგ.

მამა: „ქუჩებზეცაა საუბარი, რომ მათი სახელობის ქუჩა იყოს თბილისსა და გორში, არ მინდა მათი დაცალკევება, მინდა, რომ გია და გელა რომელაშვილების ქუჩა ერთად იყოს...“

ბიჭები დევნილობაში იზრდებოდნენ გორში. გორში არ დაბადებულან, მაგრამ იქ ორივეს დიდი სამეგობრო ჰყოლია. ორივე სპორტსმენი იყო. გია – შავი ქამრის მფლობელი კარატეში.

„გელა უფრო გვიან გამოვიდა ბავშვობიდან, 25 წლის დაიღუპა და მაინც ბავშვური ჰქონდა რაღაც“, – მათ ამბავს ძირითადად მამა მიყვება, დედა ცრემლებით საუბრობს თავის ტრაგედიაზე.

გიამ გორის უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტი დაამთავრა, გელამ სამი წელი ისწავლა და შემდეგ ჯარში წასვლა არჩია. ბიჭები ჯარში 2004 წელს ჩაირიცხნენ. გიამ სამხედრო აკადემიაც დაამთავრა. გელაც აპირებდა შემოდგომაზე ჩაბარებას, მაგრამ...

მურაზ რომელაშვილი, ბიჭების მამა: „ძალიან მშრომელი ბიჭები იყვნენ. გიამ ყველანაირი ხელობა იცოდა, სახლს დაიწყებდა საძირკვლიდან და დაამთავრებდა. ავეჯის აწყობაც ეხერხებოდა, მზარეულობაც. თვითონ ისწავლა ყველაფერი. მონდომებული, „ჟილკიანი“ იყო, რასაც იტყოდა, აკეთებდა კიდეც“.

მაია დგებუაძე, გელა რომელაშვილის მეუღლე: „ჩემი მეუღლე თვითნასწავლი ელექტრიკოსი იყო, ყველაფერი ეხერხებოდა, მაცივრების, ტელევიზორების, კომპიუტერების, ტელეფონების შეკეთება. ყველას, ვისაც მობილური გაუფუჭდებოდა, მასთან მოჰქონდა, ისიც აკეთებდა და აკეთებდა, მეგობრები ეხუმრებოდნენ, ერთი „ბუტკა“ ჩადგი, ფულს გააკეთებო“.

გია რომელაშვილს ხუთ წელიწადზე მეტხანს ჰყვარებია ნათია გოგიშვილი.

ნათიაც გიასავით ცხინვალიდან დევნილია და მაშინ გორში, სასტუმრო „ქართლს“ იყო შეფარებული.

მამა: „ვიცოდით, რომ უყვარდა, ერთხელაც მოვიდა და მითხრა: მამა, ცოლი უნდა მოვიყვანოო. არ დამიშლია. ვითომ მოიტაცა, წაიყვანა სოფელში ნათესავებთან. სანამ ეგენი ჩამოვიდნენ, გავშალე სუფრა ას კაცზე, მაგრამ რად გინდა, ქორწილზე, ორივენი, ცოლიცა და ქმარიც მთვრალები ჩამოვიდნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, არადა მთელი ნათესაობა მოსულია, ამდენი ხალხია და ესენი აზრზე არ არიან, სად არიან, ვის ქორწილში არიან. გაბრაზებულმა სიმამრმა უთხრა, ვინ გიშლიდათ, რას გაიპარეთო და გიამ მოუბოდიშა, მეტს აღარ ვიზამთო. საკუთარ ქორწილში მალევე მიიძინეს...

გიას გოგონა ნანა 6 წლის ხდება ახლა, წელს მიდის სკოლაში“...

გელამ და მაია დგებუაძემ ერთმანეთი 2006 წელს, ზაფხულში, ბორჯომში გაიცნეს – გვერდიგვერდ სახლებში ისვენებდნენ. იმ დღიდან დაიწყო მათი ურთიერთობა, რომელიც შეუღლებით დასრულდა 2008 წლის თებერვალში.

„არ გავპარულვართ, აქეთ-იქით სიარულს რა აზრი აქვს-მეთქი, ვუთხარი და ვაჟკაცურად პირდაპირ სახლში დავადექი 2 თებერვალს. 9 თებერვალს ჯვარი დავიწერეთ, ხელის მოწერა 8 აგვისტოს გვინდოდა სიმბოლურად, 2 თებერვალს დავქორწინდით, ანუ 02.02. 8 აგვისტოს ვაპირებდით ხელის

მოწერას 08.08... ადვილად დასამახსოვრებელი ციფრები რომ ყოფილიყო, მაგრამ 8 აგვისტოს ჩემი მეუღლე დაიღუპა. ძალიან თბილი ადამიანი იყო, ძალიან მოსიყვარულე, ძალიან მხიარული, სერიოზულიც იყო, ბავშვურიც... 14 თებერვალს ძალიან დიდი, ფუმფულა სათამაშო ძაღლი მომიტანა. იცოდა, 8 მარტს ვერ ჩამოვიდოდა და... 8 მარტს მირეკავს, ძაღლის კუდი გაარღვიე, შიგნით საჩუქარიაო. არ ვარღვევდი, იმიტომ, რომ ხშირად ხუმრობდა ხოლმე, ბოლოს გავარღვიე და ოქროს საყურეები დამხვდა, თავისი ხელით გაურღვევია, ჩაუდია და გაუკერია... არ იცის, რომ გოგონა გვყავს, სქესს შეგნებულად არ ვადგენდით, გვინდოდა, სიურპრიზად დაგვეტოვებინა, მარიამი ომის მერე დაიბადა, 6 თვისაა“.

მამა: „საერთოდ, უყვარდა სიურპრიზების კეთება. მობილური ტელეფონი უყიდია ჩემთვის. ჩემი მეუღლისთვის უთქვამს, ეს მამას მოვუტანე, ხელი არავინ ახლოსო. მოიტანა და კი არ მომცა, დადო ეს ტელეფონი. თვითონ დარეკა მერე ამ ტელეფონზე. რეკავს და რეკავს, ავყვირდი, ვისია, აიღეთ, გასკდა ტელეფონი-მეთქი. და შენიაო, შენ მოგიტანაო“.

ძმებს უყვარდათ ცურვა, თევზაობა, ნადირობა. თავისუფალ დროს იპოვიდნენ თუ არა, სათევზაოდ ან სანადიროდ მიდიოდნენო, – მიამბობს მამამისი, ეგ იყო მაგათი ჰობიო. თვალცრემლიან მაიას კი ეცინება იმის გახსენებაზე, თუ როგორ წაიყვანა გელამ სათევზაოდ და როგორ დასვა ჩუმად 4 საათი მდინარის პირას, თევზები არ დამიფრთხოო...

ორი ბიჭი ჰყავდათ მურაზ და ნანული რომელაშვილებს და ორივე ომმა წაართვათ. მათ ცრემლიან თვალებში ობოლ სხივს მხოლოდ ობოლი შვილიშვილების ტიტინი აჩენს...

უმცროსი სერჟანტი

უშანგი (შმაგი) სოფრომაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1983 - 2008

ერძოლის ველზე დაჭრილი მეგობრის გამოსაყვანად შევიდა. მანამდე რამდენიმე გამოიყვანა კიდეც. ახლა კი... გადმოატრიალა მეგობარი და... ის მკვდარი იყო.

თავზარდაცემული შმაგი მართლაც შმაგივით უმისამართოდ გავარდა. თანამებრძოლები გამოედევნენ... არავისი არაფერი ესმოდა. მირბოდა. ბიჭებმა მანამდე სდიეს, სანამ ცხრავე ერთად არ ჩაუვარდა ოსებს ტყვედ.

მათგან მხოლოდ შვიდი მებრძოლის გამოხსნა მოხერხდა.

შმაგი დახვრიტეს, ხელებზე შეუტყვიათ, ტანკისტი რომ იყო და დახვრიტეს.

ის 24 წლის იყო.

„დეტალური, ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, არ ვიცი, რა ვითარებაში დახვრიტეს, რამდენი ტყვია ესროლეს, ან როდის დახვრიტეს, 10 აგვისტოს თუ 12 აგვისტოს, ვერ დაადგინეს", – მიამბობს შმაგი სოფრომაძის მეუღლე თეა ტაბატაძე.

უმცროსი სერჟანტი იყო. ახლა გმირია. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს...

გმირის ოჯახში ორი პატარა ბიჭი დარბის. 3 წლის გიგი და 2 წლის ზაზა.

პატარა გიგიმ ტანით იგრძნო ტრაგედია – მამა რომ ტყვედ ჩავარდა, სიცხე მისცა. ნატრობდა, კითხულობდა, მამა სად არისო.

თეა ტაბატაძე: „გიგი დღემდე მეკითხება, „დე, შაგი სად არის?.." სულ ვეუბნები, ღამე რომ გძინავს, მოდის და გეფერება-მეთქი. მაგ იმედით არის. „ახლა რო დავიძინებ, მალე უნდა გავიღვიძო, რო შაგი ვნახო და მეც მოვეფეროო".

ხიფათებითა და თავგადასავლებით სავსე ბავშვობა თერჯოლის რაიონში, სოფელ ძევრში გაატარა. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, თბილისში, კოლეჯში განაგრძო სწავლა, თან მამას ეხმარებოდა. ეხმარებოდა ყველგან, სადაც კი მამა მუშაობდა.

20 წლის იყო, 19 წლის თეა ტაბატაძე რომ გაიცნო ტელეფონით.

„მეგობართან უკამათია, ნორმალური, ოჯახის გოგოები აღარ არსებობენო. მეგობარმა მისცა ჩემი ნომერი, აი, დაურეკე და ნახავ, თუ არ არსებობენო... დამირეკა. პირველად გავუთიშე. კი ვინანე, რატომ გავუთიშე, რა კარგი ხმა ჰქონდა-მეთქი. მეორედ გადმორეკა. გახარებია, პირველად რომ გავუთიშე და ეგრევე არ ავყევი. მერე დაიწყო ჩვეულებრივ, „საიდან გაქვს ჩემი ნომერი", თავიდანვე ყველაფერი გულწრფელად მითხრა, არაფერი დაუმალავს, თავიდანვე გახსნილი იყო ჩემთან... ძალიან მიზანდასახული და იმავდროულად სულსწრაფი, რასაც მიზნად დაისახავდა, აღწევდა კიდეც. საკუთარ თავში დარწმუნებული, მამაკაცური იყო ძალიან... ზუსტად არც ვიცი, რით მომხიბლა. მართალი გითხრათ, პირველად რომ ვნახე, არ მომეწონა, მაგრამ მერე თვითონ მიყვებოდა, პირველი ნახვიდანვე შემიყვარდიო..."

მაშინ შმაგი ჯერ კიდევ არ იყო ჯარისკაცი. თეას უთქვამს, ნუ დადიხარ უსაქმურადო და შმაგიც მალევე შევიდა ჯარში, ჯერ ვაზიანში მსახურობდა, შემდეგ გორის სატანკო ბატალიონში გადაიყვანეს...

„არანაირ საქმეს არ თაკილობდა, ცოლად რომ მივყვებოდი, ზუსტად ვიცოდი, ოჯახს არასოდეს მოაშიებდა, არაფერს იუკადრისებდა..." – ამბობს თეა.

მშობლები წინააღმდეგი არ ყოფილან, მაგრამ მოცდას ურჩევდნენ. თან თეას მამა საზღვარგარეთ იყო და თეასთვის ყურადღების მიქცევა ნათესაობისთვის ჰქონია დავალებული. ჰოდა, სასიძოსაც მთელი სანათესაო ჩამოუვლია, ყველასთვის სათითაოდ უთხოვია თეას ხელი, მხარდამჭერებს აგროვებდა სასიმამროსთან.

„სულსწრაფი იყო, დროს რატომ ვკარგავთო, ისედაც ბევრი ვიცადეო, ამბობდა, ერთი წელი მისთვის ცოტა კი არა, ბევრი იყო... ვიქორწინეთ, პატარა სუფრა გვქონდა", – იხსენებს თეა.

„იდეალური ქმარი და მამა იყო. გორში მსახურობდა, შეეძლო, იქ დარჩენილიყო და შაბათ-კვირას ევლო, როგორც სხვები დადიოდნენ, მაგრამ ის ყოველდღე ჩამოდიოდა სახლში და ყოველ დილით, 6 საათზე დგებოდა და ისევ მიდიოდა... რომ მოვიდოდა, იმის მაგივრად, რომ შესულიყო და დაესვენა, გამოეძინა, ჩვენთან ერთად იყო. რამდენჯერ ჩასძინებია მჯდომარეს. ვეუბნებოდი, შედი, დაისვენე-მეთქი, არა, თქვენთან მირჩევნია ყოფნაო... რამდენჯერ კილომეტრები უვლია ფეხით, რომ ჩვენთან მოსულიყო".

ქორწინებიდან ერთი წლის თავზე ერთი ბიჭი შეეძინათ, მეორე წელს – მეორე. მეორე ბიჭისთვის შმაგის თავისი ინიციატივით დაურქმევია სიმამრის სახელი. „გაუხარდება, მთელი ცხოვრება ბიჭზე ოცნებობდა და ჩვენ ვაჩუქოთ ერთი ბიჭიო", – იხსენებს თეა.

„2 კვირის გადმოსულები ვიყავით, ვარემონტებდით, წესიერად არც გვიძინია, 4 აგვისტოს თერჯოლაში წავედით, 5-ში ყაზარმული გამოცხადდა და წამოიყვანეს. ტელეფონი სახლში დარჩა. მეგობრების ტელეფონებზე თუ ვუკავშირდებოდი. ყველანი გაფრთხილებული ჰყავდა, გვიმალავდნენ, რომ წინა ხაზზე იყო. 6-ში რომ დამირეკა, ძალიან მოწყენილი იყო, დავემშვიდობე, რაღაცას მეუბნებოდა, რომ გავთიშე. გადარეკვა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, მერე დავურეკავ-მეთქი და ვეღარც დავურეკე... როგორც შემდეგ ჩვენი ახლობლის ძალისხმევით შევიტყვეთ, 7 აგვისტოს ერედვში იყო... ისეთი ხიფათებიდან იყო გამოსული, წესით, ესეც უნდა გადაეტანა... ცხინვალიდან ჩამოსული ბიჭები ყვებოდნენ,

როგორ მამაცურად იბრძოდა, იმ ტყვიების წვიმიდან ცოცხალი როგორ დაბრუნდა, არ გვესმისო. თან იმდენი საცეცხლე წერტილი გაუნადგურებია მტრისთვის...“

გმირის ცხედარი აგვისტოშივე გადმოასვენეს, დეენემის პასუხი ოჯახმა ოქტომბერში მიიღო.

შმაგის ამბებს მხოლოდ თეა მიამბობს, დედა ცრემლად იღვრება. სიტყვას ვერ ანდობს, რაც ცრემლმა უნდა თქვას.

მისი სიცოცხლის ბოლო წუთები ქართულ ცეკვას ჰგავდა, თავგანწირულ როკვას ბრძოლის ველზე...

მაიორი

გელა ჭედია

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

ლუკა ჭედია სულ ორი წლისაა და უკვე მაიორის სამხედრო ფორმა აცვია, დიდი სევდიანი თვალებით კი ყველგან მამას ეძებს. მამა – მაიორი გელა ჭედია გმირულად დაიღუპა 2008-ში, 9 აგვისტოს.

სწორედ მას სურდა და აპირებდა, რომ თავის პატარა ბიჭისთვის სამხედრო ფორმა ჩაეცმია. მშობიარობას თავად დაესწრო და როცა ვაჟიანობა ახარეს, უთქვამს, კიდევ ერთი ჯარისკაცი შეეძინა საქართველოსო. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, პატარა ლუკას სამხედრო ფორმა ვერ შეუკერა... გმირულად დაღუპული გელა ჭედია ვერც იმას მოესწრო, რომ ბიჭს მისთვის მამა დაეძახებინა.

ბიჭი მარტო დედას ამბობდა. გელა ჩასჩიჩინებდა: „მა-მა“, „მა-მა“...

მერე იყო ომი. ომამდე კი – ცხოვრება. მარტვილის რაიონში გატარებული ბავშვობა და იმთავითვე აღებული პასუხისმგებლობა პატარა ძმებზე – 6-7 წლის იყო, როცა პატარა ძმებს იტოვებდა, როცა დედა – მანანა გელენიძე სამსახურში, ბიბლიოთეკაში მიდიოდა. შინ დაბრუნებულ დედას იქით აბარებდა ძმებს – ხვიჩასა და გოჩას, თან აფრთხილებდა, არაფერი ატკინოო და მაშინღა გარბოდა სათამაშოდ. მერე კი, როცა თავად, სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო აკადემია დაამთავრა და ჯარში დამკვიდრდა, ძმებიც ჯარში შეიყვანა. მარტო ძმებს კი არა, ყველას – ნაცნობსა და უცნობს ჯარში ეპატიჟებოდა.

სამხედრო აკადემია 1999 წელს დაამთავრა. მერე იყო კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადა, ათთვიანი კურსები თურქეთში, 2003-ში უკვე კაპიტანი ჭედია ერაყში პირველ ქართულ სამშვიდობო მისიას ხელმძღვანელობდა მეთაურის რანგში. ერაყიდან ჩამოსვლის შემდეგ, მეგობრებთან ერთად, კოჯრის სამხედრო ნაწილში წმინდა გიორგის ეკლესია ააგო... ომამდე ცოტა ხნით ადრე მეხუთე ქვეითი ბრიგადის 53-ე ბატალიონს ჩაუდგა სათავეში.

სამი წლის წინათ ლელა ხასაიაზე იქორწინა.

ერთმანეთი დიდი ხნით ადრე მეგობრების ქორწილში გაიცნეს. ერთი ნეფის მეჯვარე იყო, მეორე – პატარძლის. ნეფე-პატარძალს ჯვარი არ დაუწერიათ. ბავშვი ორივეს უნდა მოენათლა, მაგრამ გელამ ბავშვი მარტომ მონათლა. ლელას ეწყინა. მერეღა მიხვდა, რატომაც მოიქცა გელა ასე: „თვითონ მითხრა, ორივეს რომ მოგვენათლა, ცოლად ვეღარ მოგიყვანდიო... ვხვდებოდი, რომ სიმპათიები ჰქონდა და მეც მქონდა სიმპათიები, მაგრამ ხმამაღლა არაფერი თქმულა... სამი წლის წინათ, 29 აპრილს, ჩვენთან ჩამოვიდა ჯვარში, იმათთან ერთად, ვისი მეჯვარეებიც ვიყავით. არც იმ დღეს უთქვამს რამე სუფრაზე. მეორე დღეს დამირეკა, გინდა თუ არა ზუგდიდში ჩამოდი, ჯვარი დავწეროთ ამათო. მე მეხუთე კურსზე ვიყავი, გამოცდა მქონდა ჩასაბარებელი და წავედი ჩემი კონსპექტებით. რომ ვნახე, ბოტანიკურ ბაღში გავისეირნოთო... საერთოდ, სიგარეტს არ ეწეოდა, იმ დღეს კი მთელი ორი საათი არ გაჩერებულა... იმ დღეს ამიხსნა სიყვარული, შემომთავაზა ცოლობა და იმ დღესვე წამიყვანა...

2 წელი და 4 თვე ვიყავით ერთად, აქედანაც, როგორც თვითონ დაითვალა, ერთი წელი ჩემთან არ იყო – ხან კოდორში, ხან ცხინვალში, ხან ბათუმში მოუწია ყოფნა...“ – იხსენებს ლელა ხასაია.

ლუკა რომ შეეძინათ, იმ პერიოდშიც ცხინვალის რეგიონში იყო სამშვიდობო მისიით. ჩამოვიდა, უშუალოდ დაესწრო მშობიარობას. მეორე დღეს სამაჩაბლოში დაბრუნდა.

მალევე ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ლანა დაარქვა, ცოლს კი – „ბომბორა“.

ლელა ხასაია: „ჩემთვის „ლელა“ არასოდეს დაუძახია, სულ „ლელუს“ და „ჩემს ბედნიერებას“ მეძახდა. ლანა რომ გავაჩინე გავსუქდი და „ბომბორა“ დამარქვა, ბომბორა იქნები, სანამ არ გახდებიო. ტელეფონში ჩემი ნომერი ეწერა, როგორც „ბომბორა“. რომ დავურეკავდი: ჰო, ბომბორ, როგორ ხარო...“

მერე მოვიდა აგვისტო და მტერი. ომში სამივე ძმა იბრძოდა.

პირველად გოჩა გამოიძახეს (მეოთხე ქვეითი ბრიგადის 43-ე ბატალიონში მსახურობს), 6 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, განგაშიაო. ხმაურზე გამოღვიძებულმა რძალმა ფორმაში ჩაცმული მაზლი რომ დაინახა, ქმარი გააღვიძა. მალე გელასაც დაურეკეს.

53-ე ბატალიონი მართლაც ახალი შექმნილი იყო... პირველი, ვინც გამოიძახა, საკუთარი, შვებულებაში მყოფი პატარა ძმა იყო – ხვიჩა, რომელიც მარტვილში მშობლებთან ჩასულიყო. „ომი იწყება, სასწრაფოდ გამოცხადდი ბატალიონში“, – ასე დაიბარა ძმამ ძმა ომში.

ლელა ხასაია: „ბოლოს, 8 აგვისტოს, ღამის ათ საათზე ველაპარაკე გელას. მითხრა, შეიძლება, ვეღარ დაგირეკოო. რატომ-მეთქი? შეანელა ლაპარაკი... შეიძლება ვეღარ დაგირეკო, ტელეფონი მიჯდებაო... ეს იყო, რაც ბოლოს მითხრა... 9 აგვისტოს დილის ცხრა საათზე ხვიჩამ დამირეკა, გელაც აქაა, ორას მეტრშიო. სადღაც ნახევარ საათში ხვიჩა დაიჭრა...“

9 აგვისტო. დილა. 53-ე ბატალიონი იღებს ბრძანებას – დაიკავოს პოზიციები ზემო ფრისთან, რომლის მახლობლად მტრის მსუბუქი არტილერიაა განლაგებული. მტერი ამ პოზიციიდან ქურთას, კეხვს, თამარაშენს ბომბავს. ბატალიონმა ეს საცეცხლე წერტილები უნდა გაანადგუროს. გელა ჭედიას მიერ დაგეგმილი პირველი შეტევის შემდეგ მტერი უკან იხევს. მათ დაკავებულ პოზიციებს ქართველები იკავებენ. მაგრამ რამდენიმე საათში მტერი, დამხმარე ძალებით, უკან ბრუნდება, არადა, ამ ფერდობზე მტრის დაბრუნება და სამი-ოთხი ქართული სოფლის სრული განადგურება ერთია.

მაიორი ჭედია სრულ საბრძოლო მზადყოფნას აცხადებს. თავად შეუძლია რაციით, საველე შტაბიდან უხელმძღვანელოს ბრძოლას, მაგრამ მეთაური საველე შტაბს ტოვებს და თავად მიდის პირველი შეტევაზე.

გააფთრებულ ბრძოლაში ხვიჩა დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა ფეხში.

„იბრძოლე, არ დანებდე, ეს რა ჭრილობაა, არაფერი მოგივა, გახსენი ცეცხლი, მტერი არ დაინდო“, – ეტყვის მეთაური ძმა თავის პატარა, შვილივით გამოზრდილ ძმას.

მერე კი... ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯარისკაცის გადასარჩენად გახოხდება და ვერაგი ტყვია ყელის არეში ხვდება. დაჭრილ მეთაურს ერთ-ერთი პირველი ძმა – ხვიჩა ნახავს, ჯარისკაცების დახმარებით შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაყვანას მოახერხებს როგორღაც, მაგრამ ალყაში არიან და ჰოსპიტალში ვერ მიჰყავთ.

ცეცხლოვანი ალყა შვიდ საათს გრძელდება, ამ ხნის განმავლობაში, გელა ჭედია გონებას არ კარგავს, მაგრამ ხმას ვერ იღებს. ასე უხმოდ, სახეზე ღიმილით ჩააკვდება ძმას ხელებში... ალყას გაარღვევენ. ძმა ძმას წამოასვენებს.

რძალთან ვერ დარეკავს, ნათესავს დაურეკავს, თქვენ გააგებინეთ, სახლი გაამზადეთო. ნათესავი წავა ლელასთან, მაგრამ ისიც ვერ ბედავს თქმას. მეზობლებს სთხოვს, თქვენ უთხარითო. თავად შევა, ვითომ ბიჭების ამბის გასაგებად მიაკითხა. ლელამ პატარა ლანა აჩვენა. ეუცნაურა – ნათესავ ქალს არანაირი რეაქცია არ ჰქონია, გაშტერებული უყურებდა პატარას. ქუჩიდან შემოსული ხმაურიც არ მოეწონა, გამოვიდა, ქუჩა სავსე იყო მეზობლებით. დამუნჯებული მეზობლებით. „ვერც იმათ მითხრეს. იმათ დუმილზე მივხვდი, რომ გელა აღარ იყო...“

როცა დაღუპული ქმარი შინ დაჭრილმა მაზლმა მიუსვენა, მაიორის ცოლმა მეორე მაზლის – გოჩას ძებნა დაიწყო, მის ბრიგადის მეთაურს, კობა ტალახაძეს დაუკავშირდა: „გელა აღარ მყავს, გოჩა მაინც დამიბრუნეთ უვნებელი...“

ბიჭების ამბავი არც მარტვილში მშობლებმა – გიული ჭედიამ და მანანა გელენიძემ იცოდნენ.

„გელა და ხვიჩა დაჭრილები არიანო, ისე წამოიყვანეს დედ-მამა, აქ გაიგეს გელას დაღუპვის ამბავი. ბავშვობიდან ვამაყობდი, სულ გელა-გელას ვიძახდი და ისევ „გელა, გელა“ უნდა ვიძახო, მხოლოდ...“ – წინადადებას ვერ ამთავრებს გმირის დეიდა, ციცო გელენიძე.

ოჯახმა გმირის მარტვილში დაკრძალვა გადაწყვიტა. გადასვენების პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, უკან დაბრუნება მოუწიათ – რუსმა ოკუპანტებმა არ გაატარეს. მოძღვრის რჩევით, გელა ამაღლების ეკლესიაში დაასვენეს.

14 აგვისტოს მისი დაბადების დღე იყო. 30 წლის უნდა გამხდარიყო....

გელას „ნივა“ ემსახურებოდა და სადაც „ნივას“ დაინახავს, მამას უხმობს: „იქა მამა“.

მამა ეკლესიაში დასვენებული ახსოვს და სადაც ეკლესიას დაინახავს, მამას ეძებს... „იქა მამა“...

„ძალიან ენატრება, ყველა დეტალი ახსოვს, როგორ ატარებდა ზღვაზე, როგორ ეთამაშებოდა...“ – ყვება ლელა ხასაია და თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალავს, რადგან პატარა ლუკა ყველას უშლის ტირილს – თვითონ გმირ მამასაც კი.

„საფლავზე რომ ვართ, მამის სურათს ელაპარაკება, არ იტიროო“...

გელა ჭედია მშობლიურ სოფელში, გიორგი ჭყონდიდელის ეკლესიაში განისვენებს. მშობლიურ სოფელში, საიდანაც 16-იოდე წლის პატარა ბიჭი წამოვიდა და გმირად დაბრუნდა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გელა ჭედიას პირველად ზიარება ლუკას დაბადებამდე, ცხინვალის რეგიონში მიუღია, როცა იქ სამშვიდობო მისიით იყო.

საომარი მისიის დროსაც სწორედ ცხინვალის რეგიონში ეზიარა... ამჯერად უკვე გმირობას, უკვდავებას.

უფროსი ლეიტენანტი

სერგო მელია

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

ბაგრა რომ დაატოვებინეს, 14 წლის იყო სერგუნა მელია – პუტკუნა, ფრიადოსანი ბიჭი, გარეთ თამაშს რომ წიგნების კითხვა ერჩია, საქართველოს ისტორიაზე რომ გიჟდებოდა მაშინაც და მერეც. წამოწოლილი კითხვის გამო რომ გულმკერდის დეფორმაცია მიიღო... მისი და და პატარა ძმა რომ გარეთ თამაშობდნენ, ის შინ იჯდა და დილით რომ ისტორიულ რომანს კითხულობდა, შუადღეს დეტექტივით ხალისობდა, საღამოს კი სხვა ჟანრს ირჩევდა...

ბავშვობა სოფელ ახალაძეში გაატარა. ომის დაწყების პირველი დღიდან მტრის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. მამამ ზღვით სცადა ცოლ-შვილის გაყვანა, მაგრამ მოაბრუნეს და ალბათ, ცოცხლები ვერც გადარჩებოდნენ, გაგრაში მცხოვრებ ბიძას რომ არ ემარჯვა – ბიძამ გაგრაში აფხაზები დაიჭირა და საკუთარ ძმისშვილებსა და რძალში გაცვალა. შემდეგ ძმაც გამოიხსნა, ამავე ხერხით.

იქ, ცხინვალის აბრასთან ჩამომჯდარს აუცილებლად გაახსენდებოდა, როგორ ჩაუწუილა გაცვლის დროს ტყვიამ 2 სანტიმეტრში, როცა თვალებახვეული მიწაზე იჯდა და სიმწრისგან ღიღინებდა... გაახსენდებოდა ის სიმწარეც და შემდეგ მთელი ცხოვრებაც დევნილობაში – ჯერ აბაშაში, ბებია-ბაბუასთან, შემდეგ თბილისში...

გაახსენდებოდა და, ალბათ, გულს გაჰკრავდა კიდეც ფიქრი – ამჯერად გადავრჩები?

მის ჯარისკაცებს ხომ დღესაც ახსოვთ მისი სიტყვები ბრძოლის წინ:

„ნუ გეშინიათ, მეომრებო, თუ დავიღუპებით, იცოდეთ, არასოდეს მოვკვდებით. ჩვენ მუდამ ცოცხლები ვიქნებით“.

იარაღის დარიგებისას ხომ ეტყვის კიდეც თავის ბიჭებს – დღეს ნახავთ, ბიჭებო, ლამაზ სიკვდილს ბრძოლის ველზე...

ლამაზ სიკვდილამდე გზაა. გულანთებული ბიჭის გზა...

თვალცრემლიანი და – ნანა მელია მიამბობს: „სკოლა რომ დაამთავრა, კადეტთა კორპუსში უნდოდა ჩაბარება და მამამ არ გაუშვა, სერგო ნერვიულობდა, ცხოვრებას მინგრევო. „ასე სჯეროდა, ჯარში თუ იმსახურებდა, გაგრას დაიბრუნებდა...“ თავდაცვის აკადემიაში ჩააბარა. ისტორიაში 5 მიიღო, ქართულში – 4, მათემატიკაში – 3 და ფიზკულტურაში – 2... მაინც ჩარიცხეს...

ყველა წინააღმდეგობა გადალახა, ფიზიკურიც და მორალურიც. გახსოვთ, ალბათ, რა ხდებოდა ჯარში წინა ხელისუფლების დროს.

„მამაჩემს ეუბნებოდა, ცხვარი გამზარდე და მგლების ხროვაში შემაგდეო... პირველ კურსზე რომ იყო, გამორბოდა, კარტში ფული წააგებინეს, არ იყო ძველი ბიჭი... ძლივს გავუშვით. ყველაფერს გაუძლო. კარანტინები ჰქონდათ, საშინელება იყო. მახსოვს, ტკიპებიანი რომ მოდიოდა. თან საშინლად ალერგიული იყო, მაგრამ მაინც გაუძლო ყველაფერს. აკადემიის დამთავრების შემდეგ, სენაკში მსახურობდა 2 წელი, იქაც გაუსაძლისი პირობები იყო, ხელფასი არც მიუციათ, საშინლად განიცდიდა, ბიჭები მშივრები არიან, ფეხსაცმელი არა აქვთ, ჩუსტებით როგორ ვარბენინო, რა ჯარი უნდა გამოვიდესო. რომ დაინახა, რომ ტერიტორიების დაბრუნებაზე არავინ ფიქრობდა, გული აიყარა, მოსკოვში ბიძაჩემთან წავიდა სამი წელი... ეს ხელისუფლება რომ მოვიდა და ჯარში სიტუაცია რომ შეიცვალა, ისევ დაბრუნდა და ჩადგა სამსახურში. ჯერ ფოთში მსახურობდა, შემდეგ ბათუმში. შემდეგ მუხროვანში გადმოჰყვა მეგობარს. ბოლოს ვაზიანში მსახურობდა, მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის მეორე მსუბუქი ქვეითი ასეულის მეთაურად“.

თავდაუზოგავმა ბრძოლამ საკუთარ ტანთან შედეგი გამოიღო – ფორმაში ჩადგა, ის კი არა, თურმე, როცა ჯარისკაცებს სჯიდა ათ კილომეტრზე სირბილით, მათთან ერთად დარბოდა. დას ეტრაბახებოდა, ლომებივით ბიჭები მყავსო.

ნანა მელია: „ასეული რაც ჩააბარეს, სალაპარაკოდაც ვეღარ ვნახულობდი. ვეუბნებოდი, ოფიცერი ხარ, ხომ შეგიძლია, შენც ისე მიხვიდე ოჯახში, როგორც სხვები დადიან-მეთქი. ბიჭებს რომ რამე დაემართოთ, ხომ მოსაკლავი მექნება თავი, მათ დედებს თვალებში როგორ შევხედოო. ნაწილიდან რომ გამოვიდოდა, სულ ტელეფონზე ეკიდა, აბა, სად ხართ, რას აკეთებთო... მართლაც, შვილებივით უვლიდა ბიჭებს. ნაწილიდან არ გამოდიოდა ფიზიკურად და რომ ვეუბნებოდი, ცოლი მოიყვანე-მეთქი, მპასუხობდა, მე სახლში არა ვარ და შენ მოგიყვანოო? თუ ნაწილში წავიყვანოო? ხუმრობდა...“

გმირულად დაღუპვამდე 2 თვით ადრე 30 წელი შეუსრულდა. ცხოვრებაში პირველად გადაუხდია დაბადების დღე.

4 აგვისტოს ბაბუა გარდაეცვალა და სოფელში წაასვენა. 7 აგვისტოს, დილით, გამთენიისას დაურეკეს და გამოიძახეს. ჩამოვიდა თბილისში, ფორმა აიღო. ბიძაშვილს უკითხავს, რას იზამ, ჩამოხვალ ბაბუაშენის გასვენებაშიო? პასპორტი მიუგდია, თუ ცოცხალი ვიქენი, ჩამოვალო...

წასულა. დედის ზარებს არ პასუხობდა, არც დისას. შემდეგ თავად ურეკავდა, როცა სიჩუმის წამს დაიჭერდა გაგანია ბრძოლის დროს. რომ არ ენერვიულათ, ატყუებდა, ზარი მაქვს ჩაწეული და ახლა ვნახე დანარეკი და გირეკავთო. დედას 7-ში ღამით ეუბნებოდა: დამაძინე ახლა და შენც დაიძინე, გორში ვარ, ნუ ნერვიულობთო. დას, 8-ში დილით: ახლა გავიღვიძე, რა ხდება, რას ამბობენ ტელევიზორშიო და დაც იდგა და ბრძოლის ამბებს უყვებოდა ბრძოლის ველზე მყოფ, მთელი ღამის ნაომარ ძმას... ცხინვალში იბრძოდა... უკან დახევისას მისი ასეული სხვა ასეულის მეთაურს – ნატროშვილს ჩააბარეს, თავად შტაბს მიამაგრეს. ის და მისი მეგობარი მურად ტორჩინავა შტაბთან ერთად

იბრძოდნენ. წინ მიდიოდნენ, მაგრამ მობრუნდნენ – მტერმა ბენზინგასამართ სადგურს დაარტყა. იქ მელიას ასეულის ბიჭები აფეთქდნენ. ნატროშვილი ადგილზე ჩაიფერფლა. სერგო მელია ბიჭების ამოსაყვანად ჩავიდა. ამოიყვანა ერთი, მეორის ამოსაყვანად რომ ჩასულა, ჯავშანი გაუხდია, ველარ ვერევი, ერთი ამისიც, კაცი ვერ ამომყავსო... გაუხდია ჯავშანი, მოუკიდებია მეორე დაჭრილიც და ამოუყვანია (ორივე დაჭრილი გადარჩა). მანქანაც მოიყვანეს მათ გადასაყვანად. სანამ დაჭრილებს მიხედავდნენ, დაღლილი ბიჭები მიწაზე ჩამოსხდნენ... სიგარეტის მოსაწევად. უკან მედდები ამზადებდნენ დაჭრილებს გადასაყვანად.

სიგარეტს არ ჰქონდათ მოკიდებული, რომ დაბომბვა დაიწყო – ტანკებს დაარტყეს. „ტანკებს დაარტყეს“, – ერთმანეთისთვის არ ჰქონდათ ბიჭებს ნათქვამი, რომ ახლა მათ უკან აფეთქდა ბომბი...

მურად ტორჩინავა 7 მეტრზე გაისროლა, ადგილზე რომ მივიდა, ნახა, სერგო მელიაც იქვე ეგდო – მიწა ეყარა. გადაფერთხა მიწა. სისხლი ვერსად ნახა, მაგრამ თვალები ჰქონდა ოდნავ ღია და პირი. უგონოდ იყო. სუნთქვის ჩატარება სცადა, მაგრამ რეაქცია არ იყო...

ეს მოხდა „დუბოვი როშაში“... 8 აგვისტოს, ნაშუადღევს.

თვითონ ფეხში დაჭრილმა ტორჩინავამ ტყიდან ტრასამდე ატარა ძმაკაცი. ტრასაზე დაქოქილი სატვირთო მანქანა ნახეს, გადაწყვიტეს, დანარჩენი დაჭრილები და გარდაცვლილები იმ მანქანით გამოეყვანათ. მაგრამ მანქანას ნამსხვრევი მოხვედროდა და მწყობრიდან გამოსული ველარ დაქოქეს.

ოჯახმა სერგო „ენტევეს“ კადრებში ამოიცნო...

ჟურნალისტმა 8-ში გადაიღო ის სატვირთო მანქანა, სადაც სერგო მელია ესვენა, გამოაცხადა კიდეც: „აი, დაღუპული ქართველი ოფიცერი, რომლის გაყვანა ვერ შეძლესო...“

ნანა მელია: „შემდეგ ჟურნალისტსაც ვესაუბრეთ, გვითხრა, „ფეესბეს“ ვყავდი შეყვანილი და მანქანაზე ასვლის საშუალება არ მომცეს, მაგრამ ერთს გეტყვით, ის კაცი იქ არ დაუტოვებიათო. იმედი გაგვიჩნდა, ვიფიქრეთ, იქნებ ცოცხალია, იქნებ ტყვედაა, იქნებ „ფეესბემ“ აიყვანა... მაგრამ 29 დეკემბერს მოვიდა დეენემის პასუხი, რომ ჩემი ძმა განისვენებს მუხათგვერდის სასაფლაოზე. იმ 43 კაცში იყო, რომელიც 26 აგვისტოს გადმოასვენეს...

როგორც შემდეგ გაირკვა, ის მანქანა იმავე ღამეს გამოიყვანეს, იმ ადგილიდან 200-300 მეტრში ჩამოაგდეს...

ის დაეცა ბრძოლის ველზე. დაეცა გმირულად და ეს დაცემა არ იყო შემთხვევითი, მან იცოდა, სად მიდიოდა... თანამებრძოლები იხსენებენ, რომ მუდამ წინ იწევდა, რომ რამდენჯერმე ძლივს მოატრიალეს... გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, ალბათ, იმასაც, რომ აუხდენელი რჩებოდა ნატვრა – გაგრის აღება...

ლეიტენანტი

რეზო მამისაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1983 - 2008

ომში ისე წავიდა, ცოლს არ გააგებინა. მარტო ერთი წამოსცდა – ბიჭებს ვერ მივატოვებო. არადა, ბიულეტენზე იყო, ახალი ნაოპერაციები.

ცოლი დაამშვიდა, ვაზიანში შტაბში ვიქნებიო და წავიდა... რეზო მამისაშვილი ცოლს ბოლოს 7 აგვისტოს ელაპარაკა. მას შემდეგ თამუნა ჭყოიძეს მისი ხმა აღარ გაუგონია. „8 აგვისტოს ვრეკავდი, არ მპასუხობდა, მივხვდი, რომ ჩემს თავს არაფერი კარგი არ ხდებოდა“, – ყვება თამუნა... ამ დროს მისი ქმარი უკვე გმირი იყო. უკვე თავი ჰქონდა მიტანილი მამულის სამსხვერპლოზე...

„სიკვდილის არ ეშინოდა... საკუთარი სურვილით იბრძოდა პირველ ხაზზე, არავის ძალა არ დაუტანებია, როგორც ბატალიონის უფროსმა მითხრა... დაბომბვა რომ დაიწყო, ბიჭს ჩაეხუტა, რომელსაც კანტუზია დაემართა, ამშვიდებდა... როცა გადაეფარა, მაშინ დაიღუპა... კი იცოდა, რომ ტყვიაგამძლე არ იყო, მაგრამ... იმ მომენტში მისთვის სხვისი სიცოცხლის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მე იმ ბიჭის არც გვარი ვიცი, არც სახელი, ღმერთმა სულ დალოცვილი ატაროს... მის გადარჩენას შეეწირა. მე, ცხადია, ვამაყობ, რომ ბევრი გადაარჩინა რეზომ, რომ ყველას ეფარებოდა, რომ არ შეეშინდა, რომ არ გამოქცეულა, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ მე მისით მანამდეც ვამაყობდი, სანამ ცოლად გავყვებოდი და შემდეგაც... ხანდახან ვფიქრობ, იქნებ სჯობდა კიდეც, რომ გამოქცეულიყო, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემთან ერთად იქნებოდა-მეთქი... არ ვიცი... შეიძლება ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ... არა. არასწორად ვამბობ, ახლა მე თვითონაც ჯარში ვარ, ავიაციაში, და ვხვდები, რომ სწორად მოიქცა. ასე უნდა მოქცეულიყო, იმიტომ, რომ სულ 2 თვეა, ვუყურებ ჩემს თანამშრომლებს და რომელიმეს რომ რამე დაემართოს, მეც ვერ მივატოვებ და მესმის მისი... მეც იგივეს გავაკეთებდი, შეიძლება ვერ შევძლო, მაგრამ ვეცდებოდი...“

რეზო მამისაშვილმა და თამუნა ჭყოიძემ ერთმანეთი 2002 წელს გაიცნეს ვერაზე, გამომცემლობის შენობაში, თამუნა დამწყები ჟურნალისტი იყო და ერთ-ერთ რედაქციაში მუშაობდა, რეზოს იმ შენობაში ლექციები უტარდებოდა, იურიდიულზე სწავლობდა.

„ჩემი თანამშრომელი, ირმა პარუნაშვილი რეზიკოს კურსელი იყო და მან გამაცნო... რეზიკომ რომ გამიცნო, იმ დღესვე მითხრა, შენ ჩემი ცოლი გახდებიო, ეს მაშინ სასაცილოდ არ მეყო, მაგრამ ორ წელიწადში მე მისი ცოლი გავხდი... მასთან არასოდეს არ ვიყავი დაძაბული, დაკომპლექსებული. მეუღლე რომ გავხდი, კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა... ძალიან თბილი ადამიანი იყო, კეთილი, ჩუმი, წყნარი...

ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ძალიან ვუყვარდი... ისე წავიდა ომში, არ გამაგებინა, იცოდა, რომ ვინერვიულებდი. რაღაც-რაღაცები კი წამოსცდა, მე ჩემს ბიჭებს ვერ მივატოვებო, შენ გაიგებ, მე როგორი ძლიერი ვარო, ვიდრე შენ იცოცხლებ და გეყვარები, მე მანამდე ვიცოცხლებო. სიკვდილი პირობითი ცნებაა, არ არსებობსო... რა ვიცი, ძალიან ბევრ ლამაზ სიტყვას მეუბნებოდა, მეუბნებოდა, შენი სიყვარულისთვის გავჩნდი, შენ რომ შემყვარებოდი, მაგიტომ გავჩნდიო... ცდილობდა, რომ არ მეტირა. როგორც კი ტირილს დავიწყებდი, ჩამეხუტებოდა, მეტყოდა, მე ხომ შენთან ვარ, შენ არასოდეს არ უნდა იტიროო... რეზო მე არ მინახავს გაბრაზებული, საოცრად მშვიდი ადამიანი იყო, მაშინაც კი, თუ ოჯახში ვინმე ეკამათებოდა, ჩაეხუტებოდა, დააწყნარებდა... ხანდახან ეუბნებოდნენ კიდეც, რა დღეში გაგდებს ცოლი, ცოტა მკაცრი იყავიო, ეცინებოდა, „ვაბლატავებო“, პრობლემა არააო... ხუმრობა უყვარდა...“

რეზო მამისაშვილმა ბავშვობაც და ცხოვრებაც გლდანში გაატარა, დღეს საგარეჯოს რაიონში, მარიამისჯვარში განისვენებს – ბებოსა და პაპას გვერდით, საყვარელი ბებოსა და პაპას გვერდით, ვისთანაც გაატარა ამ ქვეყნად ყოფნის პირველი წელიწადი, როცა დედა ფეხმძიმედ იყო მის უმცროს ძმაზე. მერეც გამორჩეულად ჰყვარებია ბებოც და პაპაც.

„ხანდახან დამირეკავდა, გულს გამიხეთქავდა, აქა და აქ ვარ, ცუდად ვარ, სასწრაფოდ მოდიო, გავვარდებოდი ტაქსით, მივიდოდი და რას ვხედავ, ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა... ცდილობდა, სულ ერთად ვყოფილიყავით, ომში წასვლის წინაც, ბოლო დღეები ერთად ვიყავით, ახალი ნაოპერაციები ვიყავი, სიცხეები მქონდა და 6 აგვისტოს, სამედიცინო შემოწმებაზე წამიყვანა, სამხედროების ოჯახებს რომ ეკუთვნოდათ, ბოლო დღესაც ჩემზე იზრუნა...“

თამუნა რომ გაიცნო, მაშინ სავალდებულო სამსახურს იხდიდა, მერე საკუთარი ნებით დარჩა ჯარში, სამხედრო აკადემიაც დაამთავრა და ვაზიანში, მეოთხე ქვეით ბრიგადაში, 42-ე ბატალიონში გააგრძელა მოღვაწეობა.

„ეკლესიური ბიჭი იყო, ლოცულობდა, მარხულობდა... ერთხელ ჯარში, მარხვის დროს, მზარეულს ხორციანი კოვზი ჩაუდია ლობიოში და რეზოს არ უჭამია, ცარიელ პურზე გადაუვლია და იმ ლობიოს აღარ გაჰკარებია, მაქსიმალურად ცდილობდა მარხვის დაცვას, უნდოდა, ყველაფერი კარგად გაეკეთებინა... ეკლესიურ წიგნებს კითხულობდა, ბოლო დროს განსაკუთრებით. ძალიან იყო ჩაღრმავებული, მამა გაბრიელის, მამა პაისის ცხოვრებით იყო დაინტერესებული. ცდილობდა, ამოეცნო, რა იყო ნამდვილი, ჭეშმარიტი, კეთილი, სწორი... შაბათ-კვირას, თუ სახლში იყო, აუცილებლად მივყავდი წირვაზე, ბოლო 7 თვე მისი ნაწილი ნიქოზში იყო სამშვიდობო მისიით. ნიქოზის მოძღვარმა გვითხრა, რეზოს უთხოვია, ხშირად მოდით, ბიჭები რომ უფრო შემოვიდნენ რწმენაშიო, ბევრს დააწყებინა მარხვა, ძალიან მონდომებული იყო... სამშობლო უყვარდა ძალიან,

სწამდა, რომ რუსები ვერ დაგვამარცხებდნენ. ამბობდა, რომ შეუძლებელი არაფერია... სიკვდილის არასდროს ეშინოდა, ხშირად ლაპარაკობდა სიკვდილზე...“ – ყვება თვალცრემლიანი თამუნა.

რეზომ და თამუნამ 2004 წელს, 8 აგვისტოს იქორწინეს, 4 წლის შემდეგ, 2008-ის 8 აგვისტოს კი... დაიღუპა.

„ბიჭებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც ნიშნავდა პირველ ხაზზე წასვლა, მაგრამ წავიდნენ. გაბედეს და წავიდნენ, არ შეშინებიათ სიკვდილის...“

რეზო მამისაშვილი გმირულად დაეცა „დუბოვი როშაში“. მისი ცხედარი საკმაოდ გვიან, 26 აგვისტოს გადმოასვენეს, 42 გმირის ცხედართან ერთად, ამოცნობა ვერ მოხერხდა, მხოლოდ მოგვიანებით, დეენემის პასუხის წყალობით გახდა ცნობილი, რომ ის მუხათგვერდში განისვენებდა.

მანამდე არავინ იცოდა დანამდვილებით მისი ბედი.

„მერე მშობლებმა მარიამისჯვარში, თავის სოფელში გადაასვენეს. მე მინდოდა გმირთა საფლავზე ყოფილიყო... საამაყო ადგილზე, უფრო ხშირადაც ვივლიდი... მაგრამ მშობლებმა ასე გადაწყვიტეს...

გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. თუმცა, მე ისედაც ვიცოდი, ჩემთვის ისედაც გმირი იყო და სიცოცხლეშივე ვამაყობდი მისით...

ვიცი, სამშობლოსთვის დაღუპული ადამიანი სამოთხეში ხვდება და მაგითღა ვიმშვიდებ გულს...“ – ყვება თამუნა.

დღეს თამუნა უკვე თავად მსახურობს ჯარში.

„ომში წასვლის წინ მითხრა, მინდა ისეთი ძლიერი იყო, როგორი ძლიერებიც არიან ჯარში სხვა ქალებიო. ძალიან პატივს სცემდა იმ ქალებს, რომლებიც ჯარში იყვნენ. მიყვებოდა, ისეთი ძლიერი გოგოები არიან, სიტყვა დავიღალე, არ გამიგიაო... ომმაც აჩვენა, რა ყოჩაღი ქალებიც გვყავს ჯარში...“

ერთმა კარგმა ქართველმა ბიჭმა ამ ქვეყნად სულ 25 წელი დაჰყო, იმისთვის, რომ სხვის შვილებს მშვიდად ეცხოვრათ ქართულ მიწაზე...

რეზერვისტი

ლევან ჭოჭუა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1985 - 2008

ეს ერთ-ერთი იყო იმ შვიდი რეზერვისტიდან, ვინც სენაკის სამხედრო ბაზაზე დაიღუპა აგვისტოს ომის დროს, როცა რუსეთმა სენაკის ბაზა დაბომბა.

ლევან ჭოჭუა მეომარი არ ყოფილა, ის მხოლოდ რეზერვისტი იყო – 22 წლის სტუდენტი ბიჭი.

გამოიძახეს. ადგა. არც ბაქოში გაქცეულა და არც ბუჩქებში.

წავიდა, გამოცხადდა პირნათლად და...

დაიღუპა სენაკში. დაბადებითაც სენაკში დაიბადა. მშობლები – მძლავრი ჭოჭუა და ნუცა სერგია-ჭოჭუა ხობში მსახურობდნენ და ამიტომაც მათ ლევანი და მისი და ხობში შეიყვანეს სკოლაში.

ლიკა ლევანზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ მაინც ერთ მერხს უსხდნენ.

„ლიკა მეორე კლასში იყო, ლევანი რომ სკოლაში შევიყვანეთ, მაგრამ იმდენად ნიჭიერი აღმოჩნდა, რომ კომისია შედგა, შეამოწმეს და პირდაპირ მეორე კლასში დასვეს. 5 წლისამ თვითონ ისწავლა წერა-კითხვა, 6 წლისა ვეფხისტყაოსანს კითხულობდა, ერთუცნობიან განტოლებებს ხსნიდა...“ – იხსენებს თვალცრემლიანი დედა.

ოჯახი სენაკში ცხოვრობდა და ყოველდღე ხობში დადიოდა. არადა იმ დროს უკვე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ტყვიების წვიმაში უწევდათ ცხოვრება. ოჯახი სენაკიდან საცხოვრებლად ხობის რაიონში, ბებია-ბაბუასეულ ძველ სახლში გადავიდა და ბავშვებიც იქვე შეიყვანეს სკოლაში. თავიდან ასე ფიქრობდნენ, დროებითო. მაგრამ ბავშვებმა ის სკოლა დაამთავრეს. დაამთავრეს წარჩინებით და და-ძმა მოსკოვში წავიდა სასწავლებლად, მოსკოვის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა ორივემ და ორი წლის შემდეგაც ორივე ერთად დაბრუნდა საქართველოში, ორივემ აქ, ტექნიკურ უნივერსიტეტში, განაგრძო სწავლა.

ორივემ ერთად დაამთავრა ბაკალავრიატი, ორივემ ჩააბარა მაგისტრატურაში, მაგრამ უკვე მარტო ლიკა ამთავრებს მაგისტრატურას...

არადა, როგორც დედამისი მიყვება, ლევანი დოქტ-ორანტურისთვისაც ემზადებოდა, ჟურნალ „ტრანსპორტში“ სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებდა...

თან საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში მუშაობდა მიკროდაფინანსების საკრედიტო ექსპერტად... დღე-დღეზე ფინანსთა სამინისტროში უნდა დაეწყო მუშაობა... ბაკალავრიატი რომ დაუმთავრებია, დედას შეუთავაზებია, იქნებ შენ და ლიკამ მაგისტრატურა საზღვარგარეთ გაიაროთო. ლევანს უარი უთქვამს. დედა ამ უარს თბილისის სიყვარულით ხსნის. ამიტომაც აპირებს ოჯახი სამეგრელოდან მის გადმოსვენებას...

ლევანი რეზერვში პირველად 2007 წელს გამოუძახიათ, 18 დღით. 2008 წლის ზაფხულშიც – 8 დღით...

მესამედ – 8 აგვისტო რომ ჯერაც არ იყო გათენებული...

ლიკა ჭოჭუა, და: „ახალი ჩაძინებულები ვიყავით, ტელეფონმა რომ დარეკა. ერთად გამოგვეღვიძა, საათს შევხედე, 02:47 იყო... ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს ზარი საბედისწერო აღმოჩნდებოდა ჩვენი ოჯახისთვის. ლევანმა მობილური აიღო და დავინახე, სახე როგორ შეეცვალა. ცოტა ხანში ტელეფონი გაითიშა. ვკითხე, ვინ იყო-მეთქი. ვიღაც უცნობი მირეკავს და მეუბნება, რომ ხვალ, დღის 2 საათზე, ხობის კომისარიატში უნდა გამოვცხადდეო. ისევ დარეკა ლევანის მობილურმა, ამჯერად მეც მესმოდა მათი საუბარი...“

ლიკა ჭოჭუა: „იმ უცნობთან საუბარი რომ დაამთავრა, ტელევიზორი ჩამართვევინა, რამდენიმე წუთში „კურიერის“ საგანგებო გამოშვება დაიწყო. „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი ტყვიების წვიმის ფონზე საუბრობდა პირდაპირ ეთერში. ლევანს ჟურნალისტებზე ვუთხარი, აი, ესენი არიან ნამდვილი გმირები, თორემ რეზერვისტები როგორ გახდებით გმირები, ნორმალურად იარაღის სროლაც კი არ იცით-მეთქი. ლევანმა პასუხი არ გამცა, დაფიქრებულმა შემომხედა... ამ სიტყვებს ვერ ვპატიობ ჩემს თავს... ვერ ვხვდებოდი, რომ გმირობისთვის სულაც არ არის აუცილებელი იარაღის კარგად ფლობა, გმირობისთვის ის სულისკვეთებაც საკმარისია, რომელიც ლევანს ჰქონდა... „კურიერის“ დამთავრების შემდეგ ტელევიზორი დატოვა, დაძინებას არ აპირებდა, ჩაეძინა, ექვსს ხუთი წუთი რომ აკლდა, გავაღვიძე, ხუთ წუთში უკვე წავიდა, ქუჩაში რომ გავიდა, მხოლოდ რამდენიმე ტაქსი მოძრაობდა, აივნიდან გადავხედე, ლევანის ფეხის ხმა ახლაც ჩამესმის ყურში, ბოლოჯერ ამომხედა და წავიდა... მესიჯებს ვუგზავნიდი, ლევან სად ხარ, ლევან სად ხარ... მწერდა, რომ სამი საათი ელოდა ტრანსპორტს; რომ 9 საათამდე დასავლეთის მიმართულებით არაფერი გავიდა; გორს რომ ბომბავდნენ, იქ მოხვდა; მწერდა, ვერ წარმოიდგენ, რა ხდება, გორში ომია გაჩაღებულიო. „ზესტაფონში ვარ“, „აბაშას გავცდი“... ამის შემდეგ, ლევანმა მხოლოდ ერთხელ დამირეკა სენაკის ბაზიდან...“

ნუცა ჭოჭუა: „სახლში მოვიდა და ჩვენ გავყევით სენაკის ბაზაზე, მე და მამამისი. ზუსტად მიასწრო 2 საათზე. დამპირდა, დაგირეკავთო, აღარ დაურეკავს. საღამომდე ჭიშკართან ვიდექი, ხან ვის ვაბარებდი, დამირეკოს-მეთქი, ხან – ვის, არ მირეკავდა, მე ვრეკავდი და უკვე გათიშული ჰქონდა ტელეფონი. ბოლოს ახლობელი ვნახე, იქ მუშაობდა, დილით ადრე დავარეკინებო, დამამშვიდა, წამოვედით.... შუაღამისას მომიკაკუნა მეზობელმა, სენაკის ბაზაზე გამომყევიო... წავედით... მივედით, ბაზა დაბომბილი იყო, საშინელება ტრიალებდა, იყო ყვირილი, ტირილი, ძებნა, უბედურება, ის ადგილი დაიბომბა ბაზაზე, სადაც ლევანის ბატალიონი იდგა... ფეხთ დავიხადე, მე და ჩემი ქმარი ყველგან ვეძებდით ლევანს... ვაწერინებდი ოფიცრებს ლევანის

გვარსა და სახელს, არ ვიცითო, მპასუხობდნენ, დავრბოდი, ვკიოდი, ყველა ასე იყო, ყველა თავის შვილს ეძებდა და ტიროდა... ვერც მკვდარი ვიპოვე, ვერც ცოცხალი... დილიდან ჩემს ტელეფონზე ლევანის ტელეფონიდან დაიწყო რეკვა, გამიხარდა, ცოცხალია, მირეკავს-მეთქი, ვპასუხობდი: ხო, შვილო, ლევან-მეთქი, და ითიშებოდა ტელეფონი... თურმე ლევანი უკვე პროზექტურაშია, შესატყობინებლად რეკავენ. რომ ხვდებიან, დედა ვარ, არ მელაპარაკებიან... ბიძაშვილმა ამოიცნო ლევანი... დასახიჩრებული იყო ჩემი ლამაზი ბიჭი... ლევანი ამ ქვეყნიდან წავიდა იმ რწმენით, რომ მიდიოდა სამშობლოს დასაცავად... დანიშნული შეყვარებული დარჩა... ეკა ფაჩუაშვილი უნივერსიტეტში სწავლობს მეოთხე კურსზე. იმ გაგანია ომში ჩამოვიდა სამეგრელოში და ჩვენთან ერთად ტიროდა ის დღეები...“

ლიკა ჭოჭუა: „ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ ლევანის და ვარ... ძალიან მიმძიმს მისი ტანსაცმლის ყურება, რომელსაც ის ვეღარასოდეს ჩაიცვამს, მის მობილურს დღემდე ვხმარობთ და როცა რეკავს, მგონია, რომ ლევანს ურეკავენ... ერთადერთი იმის რწმენა მასულდგმულებს, რომ ლევანი უფალთანაა და კიდევ ვნახავ იმქვეყნად. ეს მაძლევს იმის ძალას, რომ არ დავეცე... ლევანი მებრძოლი სულის ადამიანი იყო, არაერთი წინააღმდეგობა გადაულახავს, ამჯერადაც ასე მეგონა, მაგრამ მისი მებრძოლი სული უძლური აღმოჩნდა რუსული ბომბების წინააღმდეგ...“

გარდაცვალების შემდეგ ლევანს გადაეცა მედალი მხედრული მამაცობისთვის.

სერჟანტი

ელგუჯა ინაური

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1977 - 2008

ეას ამ ქვეყნად დარჩა 2 ბიჭი, სახლის ჩაყრილი საძირკველი და სახელი – გმირის სახელი. ის ელგუჯა ინაურია. გმირებს წარსული დრო არ ესადაგებათ.

ომამდე ერთი წლით ადრე შევიდა ჯარში. 7 აგვისტოს, გამთენიისას, გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. 8-ში სამაჩაბლოში იბრძოდა, მაგრამ რუსული ბომბი დავალებაზე გამობრუნებულს დაეწია გორში, 9 აგვისტოს, დილით – სატანკო ნაწილის დაბომბვისას... ელგუჯა ინაურმა სულ 31 წელი იცოცხლა...

ერგნეთში გატარებული ბავშვობა. ფათერაკები. თანატოლების აყოლიება.

ბლის ქურდობა თუ შუაზე გადახლეჩილი ფეხი, სადღაც რომ ჩავარდა...

ცელქი იყო, მაგრამ კარგად სწავლობდა და უფროსმა დამ ბოლო კლასებში თბილისში გადმოიყვანა თავისთან. სკოლა ვარკეთილში დაამთავრა. მერე იყო იურიდიული ფაკულტეტი და ჯარი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სოფელში დაბრუნდა, სადაც ბოლოჟამს ყოველთვის ომი იყო, მაგრამ ხალხი არ დრკებოდა და არც დღეობებს იშლიდა. სწორედ დღეობაზე გაიცნო შორენა მშვენიერაძე – მომავალი მეუღლე. შორენა ძმაკაცის დეიდაშვილი იყო. თანატოლი გოგონა რუსთავიდან, რომელსაც დეიდა ჰყავდა ნიქოზში გათხოვილი, დედულეთიც აქეთ ჰქონდა – დედის მშობლები არკნეთში ცხოვრობდნენ. პაპას იმ წინა ომის დროს ოსებმა კონდახი ჩაარტყეს, სამ თვეში გარდაიცვალა. იმხანად, როცა ელგუჯამ შორენა გაიცნო, შორენას მშობლები სწორედ არკნეთში იყვნენ გადასული – მოხუცი დედის მოსავლელად, მერე დარჩნენ კიდეც, დღესაც იქ არიან. აქეთ ვერ გადმოდიან... მხოლოდ ერთხელ, ისიც ძლივს მოახერხეს გადმოსვლა, რომ შვილისთვის დაქვრივება მიესამძიმრებინათ...

დაქვრივებამდე იყო გაცნობა და ქორწილი სამ თვეში.

ქორწილს სექტემბერში აპირებდნენ და მაისში იქორწინეს. აჩქარებას თურმე იმანაც შეუწყო ხელი, რომ არკნეთში სიარული არ მოსწონდა – ოსების მიმართ მთლად კარგად არ იყო განწყობილი... გასაგები მიზეზების გამო...

„ისეთი პიროვნება იყო, დიდი დრო არ უნდოდა იმის მიხვედრას, რომ კარგი ადამიანი იყო... 21 წლისები ვიყავით... მახსოვს, თავსხმა წვიმაში მოვიდა ხელის სათხოვნელად, არ ველოდებოდი, ორი დღის წინ მნახა... ხელი სთხოვა მამაჩემს და გავყევი...“ – ყვება შორენა. სიყვარულში გაუმართლა, კარიერა კი ვერა და ვერ აიწყო. არათუ კარიერა, სამსახურიც კი ვერ იშოვა ვერასდიდებით. ამიტომაც დასახლდა სოფელში, ხეხილი ჩაყარა, ნაკვეთებს უვლიდა, ცალკე მიწაზე მუშაობდა, ცალკე კი ბენზინის მანქანა ჰქონდა ნაქირავები. მერე, ბაზრობის მოშლის შემდეგ, მხოლოდ მიწასთან ჭიდაობით ინახავდა მრავალსულიან ოჯახს. ზრდიდა ორ ბიჭს – ნოდარსა და ნიკოლოზს.

მოგვიანებით ჯარში შევიდა, გორის ჯავშანსატანკო ბატალიონში მსახურობდა, თავიდან კაპრალი იყო, ომამდე დააწინაურეს, ათმეთაურად, ეკიპაჟის უფროსი იყო...

მშობლების აშენებული სახლი პატარა იყო, თან ბიჭები ეზრდებოდა და ახალი სახლის მშენებლობა წამოიწყო. აგვისტოს დასაწყისში ერთკვირიანი შვებულება აიღო – საძირკველი ჩაყარა, სარდაფს თხრიდა. შორენა იხსენებს, რომ ჩქარობდა, თითქოს მოსწრება უნდოდა... 7 აგვისტოს შვებულებიდან უნდა გასულიყო, ამიტომ 6 აგვისტოს, ინათა თუ არა, ბიჭები წამოყარა, სათევზაოდ წავიდეთო, გახარებული ბიჭები ფრენა-ფრენით გაჰყვნენ მამას ლიახვზე...

„მთელი დღე ლიახვზე გაატარეს, ბავშვები დღემდე ამ დღეს იხსენებენ...“ – ყვება თვალცრემლიანი შორენა. იმ საღამოს კი... უკვე განგაში გამოცხადდა. შუაღამისას გუჯაც გამოიძახეს. სახლიდან ღამის 4 საათზე გავიდა.

შორენა მშვენიერაძე: „ისეთი ნელი ნაბიჯებით მიდიოდა... სანამ თვალს მოეფარა, ერთი 15-ჯერ მოიხედა უკან, ალბათ, გრძნობდა... ამის შემდეგ აღარ მინახავს... დილით სანთელი დავანთე ხატებთან, გამოვედი, იმდენად არეული ვიყავი, დამავიწყდა, სანთელი რომ ჩაიწვა, უცნაურად მოეკიდა მარტო გუჯას ჯვარსა და მაცხოვრის ხატს და ჩაქრა. იქვე ღვთისმშობლის ხატი იყო, იმას არ წაჰკიდებია, არც ფარდებს... დედამთილმა რომ ნახა, ენიშნა, ჩვენს თავს რაღაცა ცუდი ხდებაო... იმ დილითვე მელაპარაკა, დაწყნარდა, იცოდა, რომ მოვდიოდი და ბავშვები მომყავდა, მაგრამ საღამომდე ვერაფრით ვერ გამოვედი ერგნეთიდან. შუადღეს უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, 4-ის შემდეგ საშინელი სროლები დაიწყო, დედამთილ-მამამთილმა გამომაცილეს, თვითონ არ წამოვიდნენ... გუჯა რვაში უკვე კონფლიქტის ზონაში იყო, მთელი დღის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებების ადგილას იყვნენ, შემდეგ უფროსმა გორში გამოაბრუნა დავალებით, „ბეტეერი“ უნდა შეეკეთებინათ და 9-ში დილით უნდა დაბრუნებულიყვნენ... 8 აგვისტოს ველაპარაკე კიდეც... 9-ში, დილით, სადღაც ათის ნახევარზე, უკვე ის-ის იყო, უნდა გასულიყვნენ. სატანკო ნაწილის გადმოსწვრივ იდგნენ, ნაწილი რომ დაიბომბა... გუჯა ეკიპაჟის დანარჩენ ბიჭებთან ერთად დაიღუპა. მათ გარდა კიდევ 4 ბიჭი იმსხვერპლა ამ დაბომბვამ, ნაწილში, სასადილოში მყოფი 17-18 ბიჭიც დაიღუპა... რომ გამოცხადდა, სატანკო ნაწილი დაიბომბაო, მოსვენება დავკარგე. გუჯას დაღუპვა 10 აგვისტოს გამაგებინეს, როცა უკვე დაკრძალული იყო... მე რუსთავში ჩემს ძმასთან ვიყავი, ბავშვებთან ერთად, საშინელი სიტუაცია იყო, სოფელი იცლებოდა, მაგრამ, რომ გაიგეს, გუჯას მოასვენებენო, დარჩნენ, დაელოდნენ, დაკრძალეს და დაიცალა სოფელი... ჩემმა დედამთილ-მამამთილმა არ დატოვეს სოფელი.

ომის დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ, ნიღბიანი მაროდიორები ჩემს დედამთილს მიუცვივდნენ. გაგებული ჰქონდათ, რომ ჯარისკაცი დაიღუპა. ჩემმა დედამთილმა ფორმა გადამალა, მაგრამ ჯარისკაცის მაისურები ნახეს კარადაში, დაგლიჯეს, საქართველოს დროშებთან ერთად, გაძარცვეს სახლი, კედლებს ნატყვიარები დღესაც ატყვია. მადლობა ღმერთს, არ გადაგვიწვეს სახლი, გაამწარეს საწყალი ქალი.

ორმოცზე ჩავედი, რუსები ჯერაც კარალეთში იდგნენ, ბავშვები ვერ ჩავიყვანე, საშიში იყო, ვერც შავები ჩავიცვი, სოფელში ვინც იყო მობრუნებული, შენდობა ვათქმევინეთ... ბიჭები 7 და 8 წლისანი არიან, ძალიან უყვარდათ მამა, პატარა სულ უკან დაჰყვებოდა, სამსახურიდან რომ მოვიდოდა. მეგონა, უფრო რთულად გადაიტანდნენ, მაგრამ ყოველდღე რომ ვუხსენებ, ასე იყო, ისე იყო, მამა ასე არ გააკეთებდა, მამა ასე გეტყოდა, ისე გეტყოდა... მხნედ არიან, გვერდით ეგულებათ თითქოს, უბრალოდ, მივლინებაშია... არა, იციან, რომ მამა ზეცაშია, მაგრამ გრძნობენ, რომ უყურებთ და ცუდად მოქცევას ერიდებიან, ცდილობენ, კარგად მოიქცნენ...“

„ძალიან ბევრი რამ დამრჩა სამახსოვროდ, ჩემი გულიდან არ ამოირეცხება არასოდეს... განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. ყველანაირად ვუგებდით ერთმანეთს, ძალიან მძიმე პერიოდები გადაგვიტანია ერთად.

ბევრი კარგი რამ მაქვს გასახსენებელი, ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი, მაგრამ... მყუდრო ოჯახი გვქონდა...“

კაპიტანი

ალექსანდრე თანდაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1971 - 2008

ეს ალალბედზე გადაურჩა რუსი „სალდათის“ ორლესურ ნიჩბებს 9 აპრილს.

ის ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს აფხაზეთის ომში და ვეღარ გადაურჩა შარშან რუსეთის თავდასხმას.

ალექსანდრე თანდაშვილი დღე-დღეზე 37 წლის უნდა გამხდარიყო. 19 წლიდან მოყოლებული ფორმა არ გაუხდია – იყო სპეცრაზმელი, მესაზღვრე, მშვიდობისმყოფელი ერაყში, ბოლოს ვაზიანში მსახურობდა და სიცოცხლე ცხინვალში დაასრულა. იყო იმ პოზიციაზე, სადაც ყოფნას არავინ და არაფერი ავალებდა, მხედრული გულის გარდა.

მან თავის გასავლელი გზა კაცურად გაიარა.

ახლახან თბილისში, მეტრო სამგორთან, საბაგიროს ქუჩას მისი სახელი მიენიჭა. თავად მას – გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი... განისვენებს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე...

ოფიციალურად ალექსანდრე ერქვა, დედა ალიკას ეძახდა, ძმა და მეუღლე – ალეკოს...

დაიბადა ქიზიყში, სოფელ ანაგაში, დიმიტრი და ლენა თანდაშვილების ოჯახში. წლინახევრის იყო, ოჯახი რომ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

დედა: „სანზონაში ვცხოვრობდით, სკოლაც აქ დაამთავრა, ვერ ვიტყვი, რომ ბრწყინავდა, მაგრამ მასწავლებლებს ძაან უყვარდათ, საშუალოდ სწავლობდა, ძიუდოში ვარჯიშობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა, თან ჭიდაობდა“.

სწორედ ვარჯიშიდან ბრუნდებოდა, 1989 წლის 8 აპრილს აქციას რომ შეუერთდა და ზურგზე მოკიდებულმა სპორტულმა ზურგჩანთამ რომ გადაარჩინა – რუსი ჯარისკაცის მოქნეული ნიჩაბი ჩანთამ შეაკავა.

ნიჩაბს გადაურჩა, მაგრამ მსუბუქად მაინც მოიწამლა...

დედა: „ჭიდაობაზე შეარჩიეს ბიჭები და ალიკა აიყვანეს სპეცრაზმ „ალფაში“. მე არ მინდოდა, წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ თვითონ ასე ჰქონდა გადაწყვეტილი. ასეთი იყო, რასაც მოინდომებდა, ბოლომდე აკეთებდა. 19 წლის იყო მაშინ. მას მერე სულ ჯარში მსახურობდა, ოჯახში მისი დაბადების დღე აღარ გადაგვიხდია, სულ აღმა-დაღმა დადიოდა. მერე დაიწყო აფაზეთის ომი, იბრძოდა, მისი რაზმიდან პირველი დაჭრილი იყო. უმძიმესი ტრავმა მიიღო, ფეხზე არტერია ჰქონდა გაგლეჯილი, მარცხენა ხელზე გამავალი ჭრილობები... თვე-ნახევარი იწვა ქუთაისის საავადმყოფოში...“

დათო თანდაშვილი, ძმა: „ალეკოს აფხაზეთში დაჭრის ამბავი პირველად მე გავიგე და გავვარდი ქუთაისში, 18 წლის ვიყავი, გარეგნობით ძალიან ვგავდი ალეკოს და საავადმყოფოში რომ შევედი, ექთნები თოკით გამომიდგნენ. ეგონათ, ალეკო წამოხტა ახლად ნაოპერაციები. მერე მიხვდნენ და პალატამდე მიმაცილეს, მითხრეს, ჯერაც არ მოსულა გონზეო. რომ შევედი, პირველად გაახილა თვალი და დღემდე მახსოვს, რომ მითხრა – ვიცოდი, პირველი შენ მოხვიდოდიო...“

თვე-ნახევრის შემდეგ ქუთაისის საავადმყოფოდან გამოწერეს. თბილისში ჩამოსულს დახვდა – უშუქობა, უტრანსპორტობა, უპურობა და უსულგულობა. დედამისი იხსენებს, რა გოლგოთას გადიოდნენ სანზონიდან ისნამდე, როცა ჰოსპიტალში გადახვევაზე მიდიოდნენ. მეტრო ჩერდებოდა, შესვლა შესწრებაზე იყო, ერთხელ მემანქანეს ვთხოვე, შეხვევაზე გვაგვიანდება, ეგებ თქვენს კაბინაში შეიყვანოთ-მეთქი, შემომიღრინა, აქ ყველა დაჭრილია და მე რომელი ერთი წავიყვანოო. როგორც იქნა, შევაღწიეთ ვაგონში“...

შეაღწიეს ვაგონში, ძლივს დასვა – ფეხზე დიდხანს დგომა არ შეიძლებოდა, მაგრამ ვიღაც დომინოს თამაშისგან დაღლილმა ბიძამ „დაანამუსა“: არცა გრცხვენია, ასაკოვანი კაცი ფეხზე ვდგავარ, შენ ზიხარო.

„წამოდგა, მოუბოდიშა, ცოცხალი თავით აღარ დაჯდა... ისეთი წლები იყო, არავის აინტერესებდა, შენ რომ დაჭრილი იყავი... ისევ ჩადგა მწყობრში. ვერც ამ დაჭრამ ვერ შეაცვლევინა გადაწყვეტილება. მეომრად დავიბადე, მე სხვა გზას ვერ ავირჩევო“.

იარაღი ბავშვობიდან ჰყვარებია, ნებისმიერ იარაღს დაგიშლიდა და აგიწყობდაო, – ამბობს მამამისი. ძმა, დათო აკონკრეტებს, ბიძაჩემი მონადირე კაცია, იმას დაჰყვებოდა, სანადირო თოფებით დაიწყო იარაღის სიყვარულიო... მამამისს თან ეცინება, თან თვალზე ცრემლი ადგას, ისე იხსენებს, როგორ გააკეთა პატარა ალიკამ თავისი ხელით მშვილდი, თან ისეთი მაგარი, გასროლილი ისარი ხეში ღრმად ესობოდაო.

ომის შემდეგ სასაზღვრო ჯარში დაიწყო მუშაობა. სწორედ აფხაზეთში ნაომარი ბიჭების თაოსნობით ჩამოყალიბდა სასაზღვრო ჯარის სწრაფი რეაგირების რაზმი – „მოტომანი“. შემდეგ საქართველოს საზღვრებს იცავდა.

მამა: „მისი ამბები ძმაკაცებისგან ვიცოდით, თორემ თვითონ ბევრს არ ლაპარაკობდა. რომ ჰკითხავდი, შვილო, როგორაა საქმე, ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი ნორმალურადააო, გეტყოდა. წუწუნს ვერ გაიგებდი. ამაყობდა ქიზიყელობით“...

სასაზღვრო ჯარში მსახურობდა, უკვე ასმეთაური იყო, მასზე 8 წლით უმცროსი, 17 წლის თამუნა რომ გაიცნო. თამუნას ბიძაშვილის მეუღლეც მესაზღვრე იყო, ალეკოსთან ერთად მსახურობდა ფოლადაურში, თამუნამაც იქ გაიცნო ალეკო. თამუნას ეგონა, რომ ალეკოს, უბრალოდ, მოეწონა და მორჩა. მაგრამ არაფერიც არ მორჩა. იყო ბევრი ყვავილი, სიურპრიზი და 8 თვის თავზე ქორწინება. საჩუქრები და სიურპრიზები არც ქორწინების მერე მოუკლია მეუღლისთვის.

„ენით ვერ ავწერ, იმხელა სიყვარული შეეძლო. 10 წელი

ცოლ-ქმარი ვიყავით და ერთი წამით არ შენელებულა, არ გაცვეთილა ჩვენი გრძნობა“.

ალეკოს ერთადერთი ქალიშვილი დარჩა – ანა. ანა ათი წლისაა და კარგად ხვდება, რა ტრაგედიაც დაატყდა.

ალექსანდრე თანდაშვილს ვაზიანში მუშაობა ომამდე სულ რაღაც 2 თვით ადრე დაუწყია. ერაყში ყოფნისას გაიცნო და დაუმეგობრდა ერეკლე ყულოშვილს. ერეკლეს შეუთავაზებია ვაზიანში გადასვლა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადასულა კიდეც. თამუნა იხსენებს, რომ ივლისის ბოლოს ზღვაზე წასულან დასასვენებლად: „მეგობრებმა მოვილაპარაკეთ, რომ ბავშვები არ წაგვეყვანა და მხოლოდ მეუღლეებთან ერთად წავსულიყავით. თბილისში 3 აგვისტოს ჩამოვედით, ბავშვი სოფელში გვყავდა გაგზავნილი და მე მასთან წავედი, ალეკო თბილისში დარჩა“.

ძმას – დათოს ალეკო სწორედ ზღვაზე წასვლამდე უნახავს და გამომშვიდობების მერე, რატომღაც მიბრუნებულა და გადახვევია, ალბათ, გულმა მიგრძნო, რომ ჩემს ძმას ბოლოჯერ ვხედავდიო, მეუბნება.

დედას კი ალეკო ბოლოს სწორედ ზღვიდან დაბრუნებული უნახავს:

„სანახავად მოვიდა ჩემთან, ბავშვს, ანას დაბადების დღე ჰქონდა, საჩუქარი გაატანა თამუნას. პატარა სუფრა გავშალე, ანა დავლოცოთ-მეთქი. მარტო მე, ჩემი მეუღლე და ალეკო ვიყავით. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, გემრიელად გველაპარაკა, ხან რა მოგვიყვა, ხან – რა. მოვესიყვარულეთ ერთმანეთს. მაიმედებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო.

სახლი არ ჰქონდა, ამ ბინაში ორი ძმა ვერ დაეტეოდა, მეუღლის მშობლებთან ცხოვრობდა, სესხი აიღო, მეუღლის კორპუსში მანსარდაში ფართი შეიძინეს, ბინა უნდა აეშენებინა, პროექტი თავისი ხელით დახაზა, მამამისსაც დაუხატა აქ, ასეთი სახლი უნდა გავაკეთოო. მეოცნებე იყო, ძალიან უნდოდა, საკუთარი სახლი ჰქონოდა... მე სოფელში გასვენებაში წავედი, 7 აგვისტოს ჩამოვედი, ჩამოვედი თუ არა ტელეფონის ზარი იყო.

დედა, მივდივარო. მე მეგონა, პოლიგონზე მიდიოდა... ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავის თავი ენანებოდა... რომ ჩამოხვალ, აუცილებლად შემომეხმიანე-მეთქი. აბა, რას ვიზამო. თურმე ომში მიდიოდა. ჩვენ არ გაგვაგებინა...“

6 აგვისტოს ბიძაშვილის საფრანგეთიდან ჩამოსვლა აღუნიშნავთ რესტორანში.

თამუნა: „გვიან დამირეკა, ძალიან გახარებული იყო, ყველა მალაპარაკა. ეს იყო ჩვენი ბოლო ლაპარაკი. მისულა სახლში, დაწოლილა და ღამის 2 საათზე გამოუძახიათ კიდეც... მე მესხეთში ვიყავი, ვეღარ მოვდიოდი, ვნერვიულობდი, 9 აგვისტოს გავიგე, რომ ერეკლე ყულოშვილი დაღუპულა, მხოლოდ ერეკლეს დაღუპვა გავიგე, არადა, თურმე ერთად დაღუპულან 8 აგვისტოს ერეკლე და ალეკო. ვეღარ მოვითმინე, წამოვედი თბილისში, მერე აქ მოვიდა სამხედრო პირი ვაზიანიდან, ვისაც გარდაცვლილთა სიები ჰქონდა, მითხრა, რომ ალეკო ამ სიაში იყო...“

ოჯახმა იცოდა, რომ ალეკო დაიღუპა, მაგრამ არ იყო ცხედარი და არც ის იცოდნენ ზუსტად, რა ვითარებაში დაიღუპა. ვერსიები მრავალი იყო – რომ სნაიპერმა ესროლა; რომ დაბომბვაში მოყვა; ზოგი უყვებოდა, ერეკლეს გამოსაყვანად შევიდაო; ზოგი – დაინახა, როცა ერეკლე ყულოშვილი შედიოდა, თვითონაც ჩაუჯდა მანქანაში, ერეკლე ეჩხუბებოდა, დარჩიო, მაგრამ არ მიატოვა და შეჰყვაო... მამამისს ისიც მოუყვნენ, როგორ უნახავთ ალეკო და ერეკლე მკვდრები – გოჩა და ხვიჩასავით...

ცხედარი ვერ იპოვეს და დაკარგულების სიაშიც ეწერა. ნოემბრის ბოლოს დეენემის პასუხით გაირკვა, რომ ალექსანდრე თანდაშვილი მუხათგვერდშია დასაფლავებული, რომ მისი ცხედარი მალევე გადმოუსვენებიათ.

დედა: „2008 წლის მერვე თვის რვა რიცხვში დაიღუპა ჩემი შვილი, ჩვენი ბინაც რვა ნომერია და მისი საფლავის ნომერიც...“

დედამისი მაჩვენებს ალეკოს ხელით უფრო დახატულ, ვიდრე დახაზულ ბინის პროექტს, ტირის და ყვება, როგორ ცდილობს, არ გაეღვიძოს, როცა სიზმარში ალიკას ხედავს. თამუნაც ტირის, როცა ღამღამობით პატარა ანას ქვითინი ესმის...

კაპრალი

გიორგი ჯავახიშვილი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

8 აგვისტო. ნაომარი ბიჭები ხეთაგუროვში, ტყეში ისვენებენ. ჩაფხუტები მოიხსნეს, ჯავშანჟილეტები გაიხადეს. მოეშვნენ.

მეთაური ბიჭებს ეტყვის, არ გეგონოთ, რომ ომი უკვე მოვიგეთ, ჩაიცვით, დაიხურეთ... იმდენად დიდია პირველი გამარჯვების სიხარული, რომ ბიჭებისთვის ომი მოგებულია.

გიორგი ჯავახიშვილი, ალბათ, უბედნიერესი კაცი იყო იმ წამებში. აკი უთხრა კიდეც მამამისს, როდესაც ჯარში სამსახური დაიწყო, შენი დაწყებული საქმე უნდა გავაგრძელოო. მამამისი სამაჩაბლოში იბრძოდა, შემდეგ აფხაზეთში, თან იბრძოდა პარტიზანულად, 1994 წლამდე, სანამ არ დაინვალიდდა. პატარა გიორგი მაშინ ხუთიოდე წლის იყო, მთელი ცხოვრება ომში დაინვალიდებულ მამას უყურებდა, ცალი მხარი რომ წართმეული ჰქონდა. მაგრამ 18 წლის გახდა თუ არა, სანამ გაიწვევდნენ, თვითონ მიაკითხა ჯარს და ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში დაიწყო სამსახური.

ალბათ, იწვა ხეთაგუროვის ტყეში და ფიქრობდა, რომ მამის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა, თან ვაჟკაცურად. ჯერ არ იცოდა, გმირი თუ გახდებოდა. შეყვარებულიც გაახსენდებოდა, თამუნა. ცოლად რომ არ გაჰყვა, ჯერ ერაყი მოიარე და მერე გამოგყვებიო, რომ უთხრა. ამაყი იქნებოდა, წარმოიდგენდა, როგორ დაბრუნდებოდა რუსთავში გამარჯვებული, როგორ მივიდოდა, როგორ ეტყოდა, ანდა სულაც არაფერს არ ეტყოდა და შეხედავდა ამაყად... დედა აუცილებლად გაახსენდებოდა, დედა, რომელსაც მეგობრის ტელეფონით დაურეკა და მოატყუა, ქუთაისში ვართ წვრთნებზეო. მოატყუა, რომ არ ენერვიულა. არადა, დედაც, მამაც, მთელი ოჯახი იქვეა, გიორგის მშობლიურ სოფელ ქსუისში. ასეთ ამაღლებულ წამებში თავისი ჩაყრილი ატამი, ალბათ, არ გაახსენდებოდა, იმ წელს პირველად რომ მოისხა ნაყოფი. ეს მაშინ გაუხარდა, ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე რომ ნახა დახუნძლული, ახლა ატამი რა მოსატანია, როცა... როცა წამიც და გმირი გახდები. წამიც და უკვდავებას ეზიარები.

ავიაცია ტყის დაბომბვას დაიწყებს.

ყუმბარის ნამსხვრევი თავში დაჭრის გიორგის. მაგრამ დაინახავს თუ არა, ტრიალ მინდორზე დაჭრილ კაპიტანს, ორ ბიჭთან ერთად გაიქცევა მის გამოსაყვანად. ასმეთაური შამათავა არ უშვებს, დაჭრილი ხარ, დარჩიო. ვერ დააკავებს, ის მაინც შევარდება გამოსაყვანად. და... სნაიპერის ტყვია. ისევ თავში. დაცემა უგონოდ. სნაიპერის ტყვია მეორე ბიჭსაც მოხვდება. ისიც დაეცემა – ოღონდ უკვე უსულოდ. თანამებრძოლები შევარდებიან, კაპიტანსაც მოაფარებენ ნანგრევებს (ის გადარჩება), გიორგისაც და მის თანამებრძოლსაც გამოიყვანენ. გიორგი უგონოდაა, ოდნავ ფეთქავს. მეორე მკვდარია. ასმეთაურის ღრიალი – ეს ბავშვი გაიყვანეთ, როგორც გინდათ... ის მართლაც ბავშვი იყო... მხოლოდ 19 წლის.

გიორგის დედას, ქალბატონ ფატის არაფერი აქვს მოსაყოლი, გიოს ბავშვობისა და გმირული დაღუპვის გარდა.

გიორგი გარდაბანში დაიბადა. 9 კლასი რუსთავში, მეექვსე სკოლაში დაამთავრა. მერე ოჯახი მშობლიურ სოფელ ქსუისში გადავიდა საცხოვრებლად – იქ მარტოხელა ბებია ჰყავდათ მისახედი, თან ინვალიდი მამისთვისაც უფრო იოლი იქნებოდა, ეზოში გასვლის მაინც არ მოერიდებოდა. სკოლაც იქ დაამთავრა. ჯარში წავიდა.

„ჩუმად შეაგროვა საბუთები, მე წინააღმდეგი ვიყავი, – ყვება თვალცრემლიანი დედა, – მამამისი ხშირად უყვებოდა ბრძოლების ამბებს. ისტორია უყვარდა ძალიან. ხატავდა, კარგად სწავლობდა, სამხედრო აკადემიაში უნდოდა ჩაბარება. ვერ გეტყვით, რომ ფიზიკურად ძალიან ძლიერი ბავშვი იყო, სუსტი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა ვარჯიში, სულ ვარჯიშობდა. ბოლო ერთ თვეს ისე დავაჟკაცდა... ძალიან დავა-ჟკაცდა... ომამდე ერთი კვირით ადრე ვნახე, სოფელში იყო ჩამოსული, მოწყენილი, სევდიანი. თავის პატარა ბლოკნოტში ავტომატს ხატავდა... გამოვკითხე, რატომ ხარ მოწყენილი, ეს არეულობა რომაა, თქვენ ხომ არ უნდა გამოგიძახონ-მეთქი, არაო, მითხრა. თამუნა არ მომყვება და მაგაზე ვდარდობო. დავამშვიდე. ძალიან უხაროდა, მის დარგულ ატმებს რომ კარგად ესხა. ნახე, დედა, რა კარგად ასხია ჩემს ატმებსო, დამწიფებას ვერ მოესწრო. ვერ მოესწრო ვერაფერს...

არ დავუჯერე, როცა მითხრა, ქუთაისში ვართო. თვითონ ტყვიების წვიმაში ვიყავით, 8 აგვისტო რომ დაღამდა, მაშინ გაგვიკეთა ჯარმა კორიდორი და გამ-ოვედით. მანამ, რამდენი კოლონაც შემოვიდოდა, გიორგის ვეძებდი, რა ვიცოდი, რომ იქ იყო ჩემი შვილი, თორემ რა წამომიყვანდა...

9 აგვისტო თენდებოდა, გარდაბანში, დედაჩემთან რომ ჩამოვაღწიეთ. იმ საღამოს გამაგებინეს, რომ გიორგი რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა, კომაში იყო. მთელი ერთი კვირა ველოდებოდი, რომ ხმას ამოიღებდა. როგორ არ ეცადნენ ექიმები, მაგრამ ვერაფერი ვერ უქნეს ჩემს პატარა ბიჭს... ზოგჯერ არც მჯერა, რომ აღარაა ჩემი გიორგი...

ნაწილში რომ მივდივარ, თვალცრემლიანი მხვდებიან ხოლმე ბიჭები. გიორგი კარგად ვერ დავიცავითო. სულ 8 თვე იმსახურა და ძალიან დიდი სიყვარული დაიმსახურა. ალბათ, ამიტომაც არ დამიტოვეს ამ ბიჭებმა ცხინვალში და გამომიყვანეს... ყველას გული დასწყვიტა ჩემმა პატარა გიორგიმ, მის ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს მოსვლა

აღარ უნდათ, მარტო ცარიელი სურათები რა არის, გიოს სიცილი გვენატრებაო, ძალიან ხალისიანი იყო. მხიარულობა უყვარდა, მღეროდა... ახლა, 19 მაისს, მიჩურინის ქუჩას დაერქვა გიორგი ჯავახიშვილის სახელი... ხომ ასეთი უბედური დედა ვარ და მაინც მეამაყება, რომ ასეთი გმირი შვილი გამიზრდია, თვალსა და ხელს შუა გამიზრდია ჩემი პატარა ბიჭი. ეჰ...“

კაპრალი

ლევან იოსებიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

ქამდე მხოლოდ თბილისში, საბურთალოზე იყო იოსებიძის ქუჩა – საბჭოთა კავშირის გმირის, ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპული თინა იოსებიძის სახელობის.

ახლა რუსთავში ეწოდა პირველი მაისის ქუჩას იოსებიძის ქუჩა – რუსეთთან ბრძოლაში დაღუპული ლევან იოსებიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

თინა იოსებიძე ლევან იოსებიძის პაპის და იყო.

თინა იოსებიძე – საბჭოთა კავშირის გმირი.

ლევან იოსებიძე – საქართველოს გმირი...

ლევან იოსებიძის სახელი ეწოდა იმ ქუჩას, სადაც დაიბადა და გაიზარდა ლევანი, სადაც გაატარა 20-წლიანი და გმირობით წერტილდასმული ცხოვრება.

ალბათ, არაფერია იმაზე ტრაგიკული და თან საამაყო, რომ ყოველდღე იარო საკუთარი შვილის ქუჩაზე და აღარ გყავდეს შვილი.

ლევანი მესამე შვილი იყო. ის რომ გაჩნდა, მშობლებს უკვე ჰყავდათ 6 წლის ირინე და ხუთი წლის რუსუდანი.

ლია იოსებიძე, დედა: „ჩემი მამამთილი ძალზე განიცდიდა, ბიჭი რომ არ გვყავდა. მე მეტი შვილის გაჩენას არც ვაპირებდი, მაგრამ ღვთის საჩუქარივით იყო... დავიტოვე ბავშვი. მაშინ არ იყო ექო, რომ სქესი დაგვედგინა. ყველა, აქაც, სოფელშიც მოუთმენლად ელოდა, ვინ გაგვიჩნდებოდა. ლევანის გაჩენა ყველას გაუხარდა, ორი გოგოს შემდეგ რომ მეყოლა...“

დაიბადა. ენაც მალე ამოიდგა, ფეხიც მალე აიდგა და შეიყვარა თავისი ქუჩა რუსთავში და მამაპაპეული სოფელი თორტიზა, თავიც მალე შეაყვარა ყველას. თვითონ ზღაპრები უყვარდა. ჯერ დედა უყვებოდა, მერე დედის რჩევით და ზღაპრების სიყვარულით თავად დაიწყო ზღაპრების კითხვა და წიგნიც შეიყვარა.

დედა: „სულ წიგნი ეჭირა, აქაც და სოფელშიც, ყველა მეზობლის ბიბლიოთეკა ჰქონდა გადაკითხული. ხან საიდან მოჰქონდა წიგნები, ხან – საიდან, სულ კითხულობდა. ძალიან უყვარდა ისტორია, მეოთხე-მეხუთე კლასში უკვე სანიკიძის წიგნებს კითხულობდა. მიკვირდა, ამ წიგნებს იგებ, რომ კითხულობ-მეთქი? სკოლაშიც კარგად სწავლობდა, ყველა მადლიერი იყო... მერე ძალიან აგვერია ცხოვრება, ჩემი დედამთილი დაიღუპა, მე და ჩემი მეუღლე იძულებული გავხდით, ოთხი წელი სოფელში წავსულიყავით ავადმყოფი მამამთილის მოსავლელად. ლევანი მარტო არ ყოფილა, ჯერ თვითონ და მისი და იყვნენ, მერე დეიდასთან იყო, მაგრამ ჩემს გარეშე დარჩა ის 4 წელი და ძალიან განვიცდი... სკოლას ამთავრებდა, პაპამისი რომ დაიღუპა. სახლის მიტოვება მეძნელებოდა, ის კი მეხვეწებოდა, ახლა მჭირდები, წამოდიო... წამოვედი. თვითონ ბავშვი იყო ისეთი... მეგობრებიც ისეთი ჰყავდა, არ მეშინოდა. ჭიდაობაზე დადიოდა. მერე ხელის ტრავმა მიიღო, სოფელში მაჯის გადაწევის დროს იდაყვზე ძვალი ამოტყდა და ორი ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ მაინც ვარჯიშობდა, ტრენაჟორებზე დადიოდა, ყოველ დილით დარბოდა...

ბანკეტზე გამაცნო თავისი მასწავლებლები, მკოცნიდნენ, თქვენ არ იცით, რა შვილი გყავთო... სკოლა უყვარდა ძალიან, ბოლო კლასებში ბავშვები გაკვეთილებს აცდენენ ხოლმე. სკოლაში იცინოდნენ, კლასში სამი ბავშვი რომ იჯდეს, ერთ-ერთი იოსებიძეაო. სულ სკოლაში იყო, ძალიან უყვარდა სკოლა. მერეც, როცა ნაწილიდან მოვიდოდა, მეგობრებთან ერთად ან ფანტანთან იყო, ან სკოლასთან. ძალიან უყვარდა მეგობრები, ირაკლი ბეჟიტაშვილი, ლევან წიქარიშვილი, გიორგი ვანიშვილი, ლაშა... ტყუპები არიან კიდევ დები, მისი თანაკლასელები იყვნენ, ნაწილიდან მოვიდოდა თუ არა, დადებდა ჩანთას და მეგობრებთან გარბოდა...“

სკოლა 2006 წელს დაამთავრა, სექტემბერში ჯარშიც გაიწვიეს.

დედა: „მოსწონდა ჯარში, თვითონ გადაწყვიტა კონტრაქტით დარჩენა. ძალიან მეშინოდა, წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვერაფერს გავხდი... ერაყში წასასვლელად ემზადებოდა. ვუთხარი, დედა, იქიდან რომ ჩამოხვალ, თუ საშუალება გექნა, იქნებ ჩააბარო, თუნდაც სამხედრო აკადემიაში-მეთქი. ნამდვილად მეცოდებოდა. ჰქონდა უნარი...“

საკონტრაქტო სამსახურს ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში გადიოდა. აგვისტოს დასაწყისში ერთკვირიანი შვებულება მისცეს, ერაყისთვის რომ პასპორტი აეღო. თორტიზაში ჩავიდა დღეობაზე, დები მოინახულა, 4 აგვისტოს იქიდან წამოსულა და თავისი მეზობელი გოგონები სახინკლეში დაუპატიჟია. გოგოებს დაზარებიათ.

ლევანის პასუხი კი დღემდე ზარავთ გოგოებს:

„წამოდით, წამოდით, ომში უნდა წავიდე და შეიძლება აღარც დავბრუნდეო...“

5 აგვისტოს ნაწილში წავა, 6 აგვისტოს ისევ შინ დაბრუნდება.

დედა: „თავისი ბავშვობის მეგობრის ნახვა უნდოდა. ალბათ, გული ცუდს უგრძნობდა. არ ვიცი... მე ვერაფერს მეუბნებოდა, უბრალოდ, ვხედავდი, რომ ჩემი შვილი მოწყენილი იყო. საერთოდ, ისეთი ბიჭი იყო, ლაპარაკი არ უყვარდა და როცა დაღონებული იყო, ვფიქრობდი, ალბათ, გადაიღალა, დასვენება უნდა-მეთქი. 7 აგვისტო დაიწყო, სადღაც ღამის 2 საათი იყო, რომ დაურეკეს. ხმაურზე გამომეღვიძა, დამამშვიდა: არაფერიაო. დაიწყო რეკვები, ეს იქით რეკავდა, ამას აქეთ ურეკავდნენ ბიჭები. მე მაინც არ მოველოდი, რომ ომი დაიწყებოდა. რომ ჩაიცვა, ვკითხე, სასწავლო განგაშია-მეთქი? არაფერი თქვა, ერთი მაკოცა და გარეთ რომ გავიდა, მოტრიალდა, დედა, ცხინვალში არეულობააო, ეს თქვა და წავიდა...“

მაგრამ გათენდა და დედამ გაიგო – ომი დაიწყო.

თავზარდაცემული დედა, გორის რაიონში, თორტიზაში მყოფ ქალიშვილებს დაურეკავს, ჰოსპიტალში მისვლას სთხოვს, დაჭრილები მიჰყავთ და ლევანი არ მიიყვანონო. ჰოსპიტალში მისულ ლევანის დას ნანახი შეზარავს.

დედა: „დამირეკა, ეს სად ვარ, შენ არ იცი, როგორი დაჭრილები მოჰყავთო და უცებ მითხრა, ვაიმე დედა, გორს ბომბავენო. გაწყდა კავშირი, ვერც მე ვრეკავდი, ვერც მირეკავდნენ. ვიფიქრე, მომიკლეს-მეთქი... ლევანის ამბავიც არაფერი ვიცოდი, ვრეკავდი და არ გადიოდა. ნაწილში ჰქონია ტელეფონი დატოვებული, არ წაუღია, უთხრეს, არ შეიძლებაო. ბევრმა წაიღო, მაგრამ ლევანმა არ წაიღო. ჩანთა, თავისი ტელეფონით, ნაწილში დატოვა. არც თვითონ არ დაურეკია. მართალი გითხრა, რაღაცნაირი მორიდებული ბავშვი იყო, ეტყობა, ვერც ვერავის ვერ სთხოვა, არ ვიცი... მე და ჩემი ქმარი გორში გავვარდით, სოფლიდან 9-ში გოგოები და მეზობლები წამოვიყვანეთ. 10 აგვისტოს ჯარი რომ თბილისისკენ წამოვიდა, ავფორიაქდი, ლევანზე არაფერი ვიცოდი. ვიჯექი და ველოდი, რაღაც სიჯიუტით... 15 აგვისტოს მეზობელმა მითხრა, ნაწილში დავრეკეთ და ლევანი ნაწილშიაო. არ დავიჯერე, გამორიცხულია, ლევანი ნაწილში იყოს და მე არ დამირეკოს-მეთქი. ვაზიანში წავედით, მანამდე არც მიფიქრია, რომ მომეძებნა, რატომღაც ჯიუტად ველოდი, რომ უნდა მოსულიყო...“

ლევან იოსებიძის დედა-მამა ვაზიანში მივლენ. მამა გადავა. ასმეთაურს ელაპარაკება. დედა გადადის – ცუდი ხომ არაფერია?

პასუხი: „თქვენი შვილი დაიღუპა, ქალბატონო“.

დედა: „ვიკითხე, ჩემი შვილი მკვდარი ვინ ნახა-მეთქი, და ასე მითხრეს, ვინც ნახა, ისიც მკვდარიაო. მითხრეს გელა მებაღიშვილზე, ჩემი შვილის ასმეთაურზე... მებაღიშვილს გამოუტანია ამბავი, ლევანი დაღუპულა მაიორ დოლიძესთან ერთად, ისინი უშუალოდ ცხინვალში, შანხაის დასახლებაში იყვნენ...

ჩემს შვილს დიდი ხალი ჰქონდა, სულ იმას ვეუბნებოდი, სად უნდა იყო, დედა, რომ ვერ გიპოვო-მეთქი. ვერ ვიპოვე... მარჯვენა მკლავზე სვირინგი ჰქონდა. მერე მეზობელს გაახსენდა, ლევანს მკლავზე ძვალი რომ ჰქონდა ატეხილი, მაგრამ, რომ ვუთხარით ეს ნიშნები, უარი გვითხრეს...“

ბიჭები მუხათგვერდში გადაასვენეს.

მალევე დეენემით გაირკვევა, რომ ლევან იოსებიძე მათ შორის იყო.

დედამ შვილი მუხათგვერდიდან რუსთავის სასაფლაოზე გადაასვენა.

გადაასვენებენ და მეგობრები, ირაკლი ბეჟიტაშვილი და ლევან წიქარიშვილი საფლავზე უმღერებენ „ბინდისფერია სოფელს“. უმღერებენ დედის თხოვნით.

თუმცა, რატომ, თვითონ ლევანის თხოვნით. რომ მიდიოდა, ბიჭებისთვის უთქვამს, თუ ომიდან არ დავბრუნდი, ჩემი შესანდობარის მერე „ბინდისფერია სოფელი“ იმღერეთო. შესანდობრამდე კი თვითონაც ჰყვარებია ხალხური სიმღერების მღერა. ხან მძინარე ძმაკაცებს წამოყრიდა, ვიმღეროთ, მემღერებაო.

დედა: „ჩემი შვილის მეგობრები არასოდეს მტოვებენ, სულ მოდიან, ისინი რომ აქ არიან და საუბრობენ, ასე მგონია, ჩემი შვილი ჩემს გვერდით არის-მეთქი...

თავდაცვის სამინისტრომ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ძნელია, როცა 20 წლის ვაჟკაცს კარგავ, სიზმარივით ქრება და შენ გვერდზე არ არის... ვივლი მისი სახელობის ქუჩაზე, ვისუნთქავ მისი ქუჩის ჰაერს და ჩემი შვილისთვის არაფერი არ იქნება...

მაგრამ, თუ 20 წლის ასაკში ჩემს შვილს მაინც ეწერა დაღუპვა, ალბათ, სამშობლოსთვის დაღუპვა ყველაზე დიდი სახელია...

მაინც დღემდე არ მჯერა... მე ხომ ჩემი შვილი მკვდარი არ მინახავს.

6 აგვისტოს წავიდა და ცინკის კუბოთი მომისვენეს 21 ოქტომბერს, სახლშიც არ დამისვენებია, ლევანის მოძღვარმა მითხრა, ნუღარ გასტანჯავთ, ისედაც ნატანჯი სხეული აქვს, პირდაპირ დაკრძალეთო. ეზოში მოვასვენეთ ნახევარი საათით და გადავასვენეთ სასაფლაოზე.

ძალიან ძნელია დედისთვის შვილის სიკვდილი. რომ გავიგებდი ვინმეზე, შვილი მოუკვდაო, უიმე-მეთქი, ნეტა როგორ არის ცოცხალი–მეთქი... აი, თურმე როგორ არის ცოცხალი...“

უმცროსი სერჟანტი

გიორგი ანწუხელიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1984 - 2008

დედამისს დღემდე არ სჯერა, რომ ის მკვდარია. დღემდე ცრემლი არ ჩამოვარდნია თუშის ქალს... ის შვილს დღესაც ელის...

გიორგი ანწუხელიძე ახმეტაში, ალვანში დაიბადა.

მისი მეუღლე მაკა ჩიკვილაძე გვიამბობს, რომ მის გმირ მეუღლეს დალხენილი ბავშვობა ნამდვილად არ ჰქონია. მამა ავადმყოფი ჰყავდა, ვერ მუშაობდა და გიორგის ჯერ კიდევ პატარაობიდან დააწვა მძიმე ტვირთი – დედასთან ერთად, ის ინახავდა ორ დას, მამას, გამზრდელ მამიდას, მუშაობდა, ცხვარში დადიოდა, მერე ჯარში გაიწვიეს და მას შემდეგ ჯარში მსახურობდა, 24 წლის 18 აგვისტოს უნდა გამხდარიყო...

ომში რომ წავიდა, მისი ბიჭუნა – ლევანი 10 თვის იყო, მეუღლე – მეორე ბავშვზე ორი თვის ორსული. ომში ისე წავიდა, ბავშვის სქესი არ იცოდა, გოგონა უნდოდა, და ჰყავს კიდეც – ანა ჯერ 3 თვისაც არაა... ანამ დაბადებამდე იგლოვა მამა, ყველა სტრესი მასზე გადავიდა და რომ დაიბადა, ცალი ფილტვი არ გაეხსნა, თვე-ნახევარი აპარატზე იყო მიერთებული იაშვილის კლინიკაში. თავდაცვის სამინისტროს თანადგომით, ექიმთა ძალისხმევით ანა მდგომარეობიდან გამოვიდა. დღეს შინაა დედასთან, თუმცა კვლავ ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა...

მისმა გმირმა მამამ და დედამისმა კი ერთმანეთი ამ სამი წლის წინათ რესტორანში გაიცნეს. მაკა ჩიკვილაძე ახლობლის დაბადების დღეზე იყო, გიორგი, სხვა ჯარისკაცებთან ერთად, სავახშმოდ შევიდა იმ რესტორანში, მერე სუფრები გაერთიანდა, მაკამ ახლოს გაიცნო გიორგი, რომელიც ადრეც ენახა.

მაკა ჩიკვილაძე: „იმ საღამოს შემდეგ ხშირად მირეკავდა. ვხვდებოდით, თუმცა ბევრჯერ არც შევხვედრივართ, გიორგი მალევე წაიყვანეს ორფოლოს პოლიგონზე, დღეში ათასჯერ მირეკავდა, დავიწყების საშუალებას არ მაძლევდა, პოლიგონიდან რომ დაბრუნდა, დამირეკა, ნახვა მინდაო, მე არ გავედი, გვიანი იყო და გამიბრაზდა. მერე ისევ იმ რესტორანში ვნახეთ შემთხვევით ერთმანეთი, ვილაპარაკეთ და... ტაქსი გააჩერა, გაგაცილებო და დეიდამისთან წამიყვანა, აღარ გამომიშვა...“

მაშინ გიორგი სენაკში მსახურობდა, შინ იშვიათად იყო. შემდეგ კუჭის წყლულმა შეაწუხა, ჰოსპიტალში მკურნალობდა, ჯარს ჩამოშორდა, მოგვიანებით ისევ აღიდგინა თავი, მეოთხე ბრიგადაში დაიწყო მუშაობა მეტყვიამფრქვევეს თანაშემწედ, ომამდე ორი თვით ადრე.

6 აგვისტოს ცოლ-შვილი გორის რაიონის სოფელ ძევერაში გააცილა.

მაკა ჩიკვილაძე: „კარგად მახსოვს, ოთხშაბათი იყო და ვთხოვე, იქნებ პარასკევს ჩამოხვიდე-მეთქი, კიო, ჩამოვალო. რაღაც არ გვინდოდა თითქოს დაშორება, თითქოს ვგრძნობდით... საშინელება ატყდა, თავიდან მიწისძვრა გვეგონა, მთელი სახლი ზანზარებდა, სარდაფში ვიმალებოდით. 7 რომ თენდებოდა... ვუთხარი, შეიძლება ცხინვალში წაგიყვანონ და თავს გაუფრთხილდი-მეთქი...“

ომი დამთავრდა, ჯარი თბილისში დაბრუნდა, გიორგი არ ჩანდა. არც ცოცხალი, არც მკვდარი. ოჯახს გიორგი დაღუპული ეგონა. ყველგან ეძებდნენ. ოქტომბერში ნათესავი, ოსის ქალი, რომლის ვაჟიც ოსურ ჯარში მსახურობს, ეტყვის, რომ გიორგი ცოცხალია და ორი კვირის წინ ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. ოჯახს იმედი გაუჩნდება. მეტიც, დარწმუნდებიან, რომ ცოცხალია, თან „კვირის პალიტრაში“ წაიკითხავენ, რომ „ალანია“ იღებს ფილმს, სადაც არის კადრები, თუ როგორ აწამებენ ოსები ქართველ ჯარისკაცს, მეოთხე ბრიგადის სერჟანტს – გიორგი ანწუხელიძეს. ოჯახი „ალანიას“ მიაკითხავს და ფილმის გასვლამდე ნახავს კადრებს, სადაც გიორგი წელზემოთ შიშველია, თავჩაღუნული, სცემენ, ზედ ადგებიან, ეკით-ხებიან, სად იყავი, გიორგი, გუშინ? გიორგი პასუხობს, აზრზე არ ვარო, გონებას კარგავს, წყალს ასხამენ.

ზუსტად არ იციან, როდინდელია ეს კადრები, ტელეკ-ომპანია ამბობს, რომ აგვისტოს კადრებია.

მაკა: „ალბათ, ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, თორემ გიორგი ტყვედ არ ჩავარდებოდა...

ვიცოდით, რომ ცოცხალი იყო და ვეძებდით, მაგრამ მერე 20 იანვარს მოგვივიდა პასუხი, რომ დაიღუპა. დასკვნაც მოგვივიდა თავდაცვის სამინისტროდან, რომ დაღუპულია. ტყვეობის ამბებს ახლა სამხედრო პოლიცია იძიებს. დეენემზე ეჭვი არ მაქვს, ყველასი დაემთხვა და რა ვიცი... თან აღწერილობაში წერია, რომ კბილები არ აქვს, გიორგის ისე სცემდნენ, რომ კბილები არ შერჩებოდა...

გვამის ამოსაცნობადაც იყვნენ წასული ჩემი და და გიორგის სიძე, ამოსაცნობი არაფერი იყო...

ეჰ... ნაწილიდან რომ მოვიდოდა, სულ სახლში იყო ჩვენთან, ბავშვს არ შორდებოდა. აძინებდა, უცვლიდა. რამდენჯერ შევსულვარ, გულზე ეწვინა და ასე ეძინათ მამა-შვილს... 27 ივლისს თანაცხოვრების ორი წელი შეგვისრულდა, 6 აგვისტოს მერე აღარც მინახავს, აღარც მილაპარაკია, ვურეკავდი, მაგრამ სულ მიუწვდომელი იყო, ტელეფონი აქ ჰქონდა დატოვებული... დეკემბერში ერაყში მიდიოდა. სულ ვეხვეწებოდი, არ წახვიდე, ერთი წელი რა გაძლებს უშენოდ-მეთქი და ახლა სულ წავიდა...“

კაპრალი

კახა კოშაძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1986 - 2008

აგვისტოს 11, შინდისი, ბოლო ბრძოლა კახა კოშაძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მტერთან შეტაკებისას დაიღუპა. დღის პირველი საათისთვის ბრძოლა უკვე დასრულებული იყო, კახას სიცოცხლეც დასრულდა და მისი სახელი მარადისობამ მიისაკუთრა. სამშობლოსთვის დაღუპული გმირი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს. მის ოჯახს კი დღემდე უჭირს იმის დაჯერება, რომ კახა მათთან აღარ არის. „მე თვითონ ჩამოვალო“, – ეს იყო მისი ბოლო სიტყვები, მერე კავშირი შეწყდა.

ზვიად კოშაძე, ძმა: „სად ხარ-მეთქი, კარგად ვარ, ჩემზე აღარ ინერვიულოთ, მერე მე თვითონ ჩამოვალო. ეს დამამახსოვრდა. თავისი ნომრიდან დარეკა. უკან რომ გადავრეკე, უკვე გათიშული იყო“.

ოჯახს ამ ფრაზამ: „არ ინერვიულოთ, მე თვითონ ჩამოვალო“, იმედი მისცა, რომ კახა შინდისიდან გამოსვლის შემდეგ ტყვედ ჩავარდა, თუმცა დეენემის ანალიზმა სხვა შედეგი აჩვენა.

მამა: „როგორც გვითხრეს, შინდისის სადგურიდან აიყვანეს მიცვალებული. ჯარისკაცი, რომელიც კახასთან ერთად იყო მანქანაზე, ამბობს, ჯერ კახა გადახტა, მერე მე და გავიქეცით, მას მერე აღარ გვინახავსო“.

კოშაძეების ოჯახი ტრაგედიას ვერ ეგუება. მამა რომ იტყვის, „კახა მეგობრული ბიჭი იყოო“, დედას ელდა ეცემა: „იყო და არის! რომ იტყვის ხოლმე, იყოო, გულზე მხვდება...“

აკაკი კოშაძემ და მზია ვარსიმაშვილმა 3 ბიჭი გაზარდეს.

თამაზი სულ 11 თვით უფროსია კახაზე. კახა 22 წლის იყო.

„ორი აკვანი გვედგა, ერთი რომ მორჩებოდა ტირილს, მეორე იწყებდა. ხან ერთმანეთს აჰყვებოდნენ...“, – იხსენებს დედა.

გავიდა დრო და პატარა ცრემლისმღვრელი ბიჭები დაიზარდნენ და ომში წავიდნენ სამშობლოსთვის სისხლის დასაღვრელად. უმცროსს, 17 წლის ზვიადსაც უნდოდა ომში წასვლა. მაგრამ ასაკი არ უწყობდა ხელს.

დედა: „კახა გამორჩეული იყო ძმებში, დაუზარელი. რაც არ უნდა მეთქვა, ყველაფერს აკეთებდა. თუ რამეს ვეტყოდი, ისეთს, მისთვის მიუღებელს, წყნარად, ხმის აუწევლად მიხსნიდა: ასე სჯობსო, იქით მაჯერებდა. სკოლიდან წელგამართული და ამაყი ვბრუნდებოდი, საშუალო მოსწავლე იყო, მაგრამ ყველა მასწავლებელი მადლობას მიხდიდა, ასეთი კარგი და ზრდილობიანი შვილი გყავსო... ბიჭები არსად არ მიდიოდნენ, აქ იყვნენ ხოლმე, ეზოში, მაგრამ საღამოს რომ შეაგვიანდებოდათ, სინათლე არ იყო ხოლმე და სანთლით ვეძებდი... მეზობლები მეუბნებიან, ერთი უწმაწური სიტყვა არ გაგვიგია შენი შვილებისგანო.

ვერ ვიჯერებ, ჩემი შვილი მე ცოცხალი მგონია. ჩემს ტვინში ვერ გავატარე ეს აზრი, უბრალოდ, გააზრებაც არ შემიძლია, რომ ჩემი შვილი აღარაა. კარს გავაღებ, თუ ფანჯარაში ვიყურები, ასე მგონია, წუთი წუთზე უნდა გამოჩნდეს და სახლში შემოვიდეს. რატომღაც ასეთი გრძნობა მაქვს და არ ვიცი, საიდან მოდის ეს გრძნობა“.

კახას რკინის კაცის წოდება ჰქონდა, ასი კაციდან ორმა აიღო ეს წოდება.

დედა: „ძალიან მშრომელი იყო, ყველას ეხმარებოდა, ერთხელ კლასის რემონტი გააკეთა, შეღება, მერხები დააჭედა. რემონტი რომ დამთავრდა, აცეტონი მთხოვა, მივეცი, ეს არ მეყოფაო, მერე „ბრიტვები“ მთხოვა, დავეჭვდი, მივედი სკოლაში, რას ვხედავ. შევედი კლასში, კახა დგას და თეთრად შეღებილ დაფას აცეტონით წმენდს, დამრიგებელი ზის და ტირის: ყველაფერი კახამ გააკეთა, ბოლოს დაფაც თეთრად გადაღებაო. კახა დგას გაბუსული, საღებავი დამრჩა და რაღაც ხომ უნდა შემეღება, ხომ არ გავაფუჭებდიო...“

კახა კოშაძემ სკოლის დამთავრების შემდეგ, სტომატოლოგიურზე ჩააბარა. მერე ჯარში გაიწვიეს.

დედა: „ჯარი სულ 3 თვის მოვლილი ჰქონდა და ისევ ჯარში წავიდა კონტრაქტით. უფროსი ბიჭიც სენაკში მსახურობდა, კარგი პირობები იყო, სისუფთავე, კარგი კვება, ვიფიქრე, ერთად წავლენ, წამოვლენ, რას ვიფიქრებდი... გუშინდელ დღესავით მახსოვს, ერთად როგორ გავიდნენ... სიცილით გადიოდა... ღიმილით წავიდა ბავშვი ჯარში...“

ოჯახს დეენემის პასუხი 11 ოქტომბერს მიუვიდა. მისი საფლავის ნომერიც 11-ია.

კაპრალი

ნიკა ყალაბეგიშვილი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1989 - 2008

დედამისს შავები არ ჩაუცვამს და არც აპირებს ჩაცმას – რადგან არ სჯერა, რომ ის მკვდარია...

ნიკა ყალაბეგიშვილი ომში რომ წავიდა, 18 წლის იყო. ნოემბერში 19-ის უნდა გამხდარიყო. დეენემის პასუხის თანახმად, მის ცხედარს ზემო ნიქოზში მიაკვლიეს, სადაც 8 აგვისტოს დაბომბვისას დაიღუპნენ ბიჭები.

გმირობამდე სულ ერთი მტკაველი სიცოცხლე განვლო. 18 წელი.

მის თავგადასავალში, გმირობამდე, არაფერია უჩვეულო, გამორჩეული.

წყნარი, ჩუმი ბიჭი ყოფილა. უყვარდა კომპიუტერი, კითხულობდა წიგნებსაც. ბოლოს კარატეთი დაინტერესებულა, ყიდულობდა წიგნებს, კითხულობდა, მერე ერთი წელი ვარჯიშობდა კიდეც კარატეში. ეს იყო ჯარში წასვლამდე.

დოლი ყალაბეგიშვილი, დედა: „ძალიან ჩვეულებრივი ბავშვი იყო, წყნარი. ჯარში არავის გაუწვევია, თვითონ მოინდომა წასვლა, ძალიან გაგვიკვირდა. რომ წავიდა, ისეთი ბედნიერი იყო... ერაყში უნდა წასულიყვნენ დღე–დღეზე. ჯარში 2007 წლის ნოემბერში შევიდა, სულ 8 თვე იმსახურა...“

ნიკამ რეჟიმს გაუძლო და ერაყში წასასვლელადაც ემზადებოდა, სიტუაცია რომ დაიძაბა. დედამისმა ბოლოს 6 აგვისტოს ნახა.

დედა: „სამსახურში იყო მოსული, ვაზიანიდან გამოუშვეს, სასწრაფოდ პასპორტი უნდა აგვეღო, ერაყისთვის. შვიდში პირველი საათისთვის უნდა მოსულიყო, რომ პასპორტი აგვეღო უკვე, მაგრამ არ მოვიდა, ვრეკავდი, მობილური გამორთული იყო. შევშფოთდი, დაძაბულობა იყო უკვე ქვეყანაში და რომ არ გამოჩნდა, ვაზიანში ავედით, მაგრამ მთელი ბაზა ცარიელი დაგვხვდა... საერთოდ, აღარ დაურეკავს, ტელეფონი აქ, ბაზაზე ჰქონდა დატოვებული. სხვებმა წაიღეს, მაგრამ, როცა უთხრეს, დატოვეთო, ნიკამ დატოვა. ასეთი იყო, პასუხისმგებლობით სავსე. ზამთარში სწავლებები ჰქონდათ, არადა სიცხიანი იყო, ვუთხარი, მიდი ლაზარეთში, გაგსინჯავენ და გაგათავისუფლებენ-მეთქი, არაფრით არ მივიდა, პირად საქმეში ჩამეწერება, ავად რომ ვიყავი და არ მინდაო. სიცხიანი დადიოდა სწავლებებზე...“

მერე დაიწყო ჯოჯოხეთი. შვილის ძებნა იგოეთსგადაღმა თუ უსასრულო ლოდინი ვაზიანის ბაზასთან, სიარული მორგებში და ბოლოს დეენემის პასუხი 21 ოქტომბერს, რომ ნიკა ზემო ნიქოზში დაიღუპა.

„არ გვინახავს, ისე დაასაფლავეს, სასაფლაოს ნომერი გვითხრეს. ისე, თქვეს, კასეტურ ბომბზეა აფეთქებულიო“.

ნიკას დედის ტრაგედიაში არის კიდევ ერთი უკიდურესად მტკივნეული ფაქტორი – ნიკას დედა, ქალბატონი დოლი ეროვნებით რუსია... დღეს მას პროტესტი აქვს რუსების მიმართაც და რუსული ენის მიმართაც. მოდი და ნუ გექნება პროტესტი, როცა იგოეთსგადაღმა შვილის ძებნას დაიწყებ განაწამები, როცა ქართველი ჯარისკაცების ფორმაში ჩაცმული რუსი სალდათები გადაგეყრებიან და ცინიკურად გეტყვიან, შენს შვილს რაღად უნდა ფორმა, შენი შვილი მკვდარია... მოდი და მოისმინე ეს დედამ, მით უმეტეს, რომ ამას შენი ეროვნების ადამიანი გეუბნება.

„ძვირფასი ჩემთვის საქართველოა, მე აქ დავიბადე და გავიზარდე, სულ არ ვიცი, რუსეთი როგორია, კი ვარ ნამყოფი ბავშვობაში... რუსი ვარ, მაგრამ ჩემი შვილი ხომ ქართველია? ქართულ ჯარში იყო ხომ? ძალიან დიდი პროტესტი მაქვს რუსების მიმართაც და რუსული ენის მიმართაც... არადა დედაჩემი 15 წელია, მოსკოვში ცხოვრობს. ნიკას რომ ვეძებდით, იგოეთს გავცდი, ბუფერული ზონის იქით გადავედი, რუსი ჯარისკაცები იდგნენ, კაცები კი არა, ბავშვები, ნიკასხელები, ჩვენი სამხედრო ბათინკები ეცვათ, ფორმები და მითხრეს, რად უნდა შენს შვილს ფორმა, მკვდარიაო... თუ ნიკა აღარაა და მართლა აფეთქებისას დაიღუპა, არ ვიცი, ალბათ, მადლობელიც უნდა ვიყო ღმერთის... კიდევ კარგი, ტყვედ არ ჩავარდა... ვიცი, რასაც დამართებდნენ რუსულაქცენტიან, რუსულსახიან ქართველ ჯარისკაცს...“

ვწერ და ჩემთვის ვფიქრობ, რა იყო ამ 18 წლის ბიჭის სიცოცხლე?

ჰყოლია შეყვარებული, ბედნიერი იყო იმით, რომ ჯარში მსახურობდა, რომ ჰყავდა მეგობრები, რომ ჰქონდა ხელფასი, მისთვის დიდი – 700 ლარი. ოჯახში იხსენებენ, რომ ისიც არ იცოდა, როგორ დაეხარჯა, ოჯახს ეხმარებოდა, თავისთვის მობილური უყიდია, თავისი ცხოვრებით ბედნიერი იყო – თავისი ჯარისკაცური ცხოვრებით. არ შეიძლება, არ მოგხიბლოს ამ პატარა ბიჭის ცხოვრების უბრალოებამ, სისადავემ და არ დაგზაფროს მისმა სვე-ბედმა.

დედას არ სჯერა მისი სიკვდილის.

ჩემთვის, მით უმეტეს, ძნელია რაიმეს გადაჭრით დაჯერება ან არდაჯერება. ძნელია, როცა დეენემის დასკვნა ებრძვის დედის გულის ხმას.

კაპრალი

გიორგი ჯერიკაშვილი

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1973 - 2008

ერთხელ ცოცხლობს და ერთხელ კვდება ქართველი კაცი, მტრის სისხლით სავსე, ზოგჯერ მისვამს ეს სავსე თასი, ეი, ძმობილო სიკვდილს რად ეძებ, აცადე ღმერთსა, ვიდრე ის თვითონ მიგიყვანდეს სამარეს შენსას...

ეს პატარა, ხაიამის სტილში ნაწერი ლექსი ნაზი ბერიკაშვილმა მეუღლის საფულეში იპოვა. იმ საფულეში, რომელიც ვაზიანიდან წამოიღო – მეუღლის გმირულად დაღუპვის შემდეგ. ეს ლექსი დაწერილია სიკვდილამდე 2 დღით ადრე...

გიორგი ბერიკაშვილი 9 აგვისტოს დაიღუპა ცხინვალში – მტერმა მისთვის ოცზე მეტი ტყვია გაიმეტა...

დაიბადა და გაიზარდა თბილისში, იპოდრომთან. ბავშვობა ლაღი და უზრუნველი ჰქონდა. დედისერთა იყო, თან საკმაოდ გვიან შეძენილი და ანებივრებდნენ. მშობლები თან ჰყვებოდნენ, ყველა სურვილს უსრულებდნენ, მაგრამ აი, სპორტულ შეჯიბრებებზე ვერ მიჰყვებოდნენ და ეს ცოტა გულს უტეხდა პატარა სპორტსმენს.

ნაზი ბერიკაშვილი: „ჩემი დედამთილი სულ ავადმყოფობდა, შეჯიბრებებზე ვერ დაჰყვებოდა. გია ჭიდაობაზე დადიოდა, წავიდა ერთხელ შეჯიბრზე, ნახა, რომ ბევრად ნაკლებმა გაიმარჯვა მშობლების „ყურადღების“ დამსახურებით. გული გაუტყდა, მიანება თავი. ცურვაზეც დადიოდა, იპოდრომზეც, მაგრამ ეს ისე, გასართობად... სკოლაში სწავლობდა ისე, როგორც დედისერთა ბიჭს შეეფერება. თავიდან, სადღაც მეექვსე კლასამდე, ხუთოსანი იყო, მერე... მე გიაზე ცუდი არავისგან გამიგია, ჩემთვის იყო საამაყო ადამიანი, ხომ არის ადამიანი რომ გიხარია გვერდში, ჩემთვის ასეთი ადამიანი იყო გია...“

ერთმანეთი რომ გაიცნეს, ნაზი 18 წლის იყო, გია – 23-ის.

ნაზი 18 წლის კი იყო, მაგრამ სწავლის პარალელურად უკვე რელიგიასა და კულტურას ასწავლიდა სკოლაში. როგორც თავად ამბობს, გიასავით განებივრებული ბავშვობა არ ჰქონია, ხელმოკლე, მრავალშვილიანი ოჯახიდანაა.

ნაზი: „ჩემს დაქალს თავის კურსელ ბიჭთან გავყევი, კონსპექტები უნდა წამოეღო. რომ გამოვდიოდი, ამ დროს შემოვიდა გია. რა იყო, ჩემი მოსვლა გეწყინათო? ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა... იმ დღეს მარტო აღარ გამოგვიშვა, სახლამდე გამაცილა. არ ველაპარაკებოდი, ხმისამოუღებლად მომყვებოდა. მეორე დღეს მეტროში დამხვდა და ასევე ხმაამოუღებლად მიმაცილა სამსახურამდე. 4 დღე ჩუმად მდია და მეოთხე დღეს მითხრა გამარჯობა. პასუხი – გაგიმარჯოს. მერე უკვე... მერე უკვე შეგვიყვარდა ერთმანეთი, თან ძალიან... მერე რომ აღარ დამხვედროდა, შეიძლება, გავგიჟებულიყავი. მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, ვაიმე, რომ არ დამხვდეს... მერე უკვე დაიწყო დროის დათქმა... ერთი საათი აუცილებლად ვიგვიანებდი შეხვედრაზე, მერე მიმიხვდა... შეხვედრა რვაზე გვქონდა, მე, წესისამებრ, ცხრაზე უნდა მივსულიყავი, მაგრამ ათი წუთით ადრე მომიწია მისვლა და არ დამხვდა. მერე მეტს ვაგვიანებდი... სადღაც ხუთი თვე სერიოზულად ვაწვალეთ ერთმანეთი.

მერე ვითომ გავბრაზდი, ბორჯომში წავედი, ჩამომაკითხა, ძალიან ბედნიერი ვიყავი ამ ჩემი თამაშებით...“

მერე იყო ქორწინება, ქალიშვილის შეძენა, 11 თვის ინტერვალით ვაჟის შეძენა და თუ აქამდე არხეინად ცხოვრობდა, ახლა ცხოვრებას შეება. როგორც მეუღლე ამბობს, ოჯახის გულისთვის, შვილების გულისთვის არაფერი უთაკილია, რაღას არ მოკიდა ხელი – ხან ოქრომჭედლობდა, ხან ჯართზე მუშაობდა...

ნაზი: „უიღბლო იყო, სულ ამბობდა, დაწყევლილი ვარ, ფული რომ ცვიოდეს, ქვითარი დამეცემა თავშიო. რა საქმესაც ხელი მოჰკიდა, არსად არ გაუმართლა, სხვისთვის ყველაფერი გამოსდიოდა, ქვეყანას ააშენებდა სხვისას, თავისას პურს ვერ მოიტანდა სახლამდე. მატერიალურად არ გვიჭირდა, ბოლოს ბარიც მქონდა, საკმაოდ ნორმალური შემოსავლით, მაგრამ განიცდიდა, ლექსიც კი აქვს დაწერილი, ჩემი ცოლი ჯაფით წყდება წელში, მე მივჩერებივარ შორიდან, გულისკვდომით, უბედურებით, ვერაფერს ვერ ვაკეთებო. ამას განიცდიდა ყოველთვის. 13 წელი ცოლქმარი ვიყავით და ჩხუბი ერთადერთხელ მოგვივიდა, ათი წლისთავზე მეჩხუბა, ათი წელი ერთი იღბლიანი დღე არ მქონია, სულ არაუშავს, არაუშავს მეუბნები, ხომ შეიძლება, ერთხელ მითხრა, ყელში ამომივიდა შენი უიღბლობა, იქნებ მეც გავინძრეო. მეტი რაღა უნდა განძრეულიყო, თავს არ ზოგავდა, 24 საათი სულ სამუშაოს ეძებდა, სულ რაღაცას აკეთებდა, არაფერი არ უთაკილია, რაღა მეთქვა?

ვერ აგიხსნით, როგორ განიცდიდა ყველაფერს, რაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთს ეხებოდა. ვერ ინელებდა, ბიჭები ჩაგვიხოცესო, იმ პირველი ომების დროს თვითონ პატარა იყო, მაგრამ ბევრი ახლობელი ბიჭი დაეღუპა – სამეგობროდან, სამეზობლოდან, ვისაც უფროს ძმებად თვლიდა, და ამას ვერ ინელებდა. როცა კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, ყოველთვის ეს ბოღმა ჰქონდა.

წავიდა ჯარში და უზომოდ ბედნიერი იყო. უზომოდ ბედნიერი. უკვე აღარ ვდარდობდი, არც იმას ვდარდობდი, რომ კვირაობით სახლში ვერ მოდიოდა, ან კარანტინი იყო, ან სწავლებები, არ ვდარდობდი იმიტომ, რომ იმდენად ბედნიერი მოდიოდა... ადამიანი თავის ამპლუაში იყო. იქ, ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში თავისი გაგების ბიჭები ნახა. ხელფასზე ხომ საერთოდ დაფრინავდა, უხაროდა, რომ რაღაცით გაახარებდა შვილებს...“

მაგრამ ეს ბედნიერება ერთი წელიც არ გაგრძელებულა. ომი დაიწყო.

ნაზი: „ბოლოს 6 აგვისტოს ვნახე. ბოლო თვეებში

მე რაღაც პრობლემები მქონდა ბარში მეწილეებთან და სულ ვწუწუნებდი, იმ დღესაც ვიტირე. ეტყობა, დავღალე ამ წუწუნით და მითხრა, შენ გგონია, მარტო შენ გაქვს პრობლემებიო?! არადა, ვერ წარმოვიდგენდი, რა პრობლემები ჰქონდა, ბედნიერი იყო, სამ თვეში სამი საფეხურით დააწინაურეს, ერაყში უნდა წასულიყვნენ...

7-ში, ღამით, 2 საათზე დაურეკეს. განგაში გამოცხადდა.

გამაღვიძა, განგაშიაო. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, ვერ გავიღვიძე... ისევ ძილმა წამიღო და რომ შემეღვიძა, უკვე ფორმაში იყო, სიცილით მეუბნებოდა, სულ არ გადარდებს არაფერიო. რომ იცინოდა, არ მიმიქცევია ყურადღება, რომ რამე საშიში ხდებოდა. ბოლო პერიოდში წარამარა განგაშები იყო, სწავლებები, ისევ ასეთ განგაშად ჩავთვალე. მაგრამ ის დღეები რომ დაძაბული იყო, დავეჭვდი მაინც და ვკითხე, რამე ცუდი ხდება-მეთქი? მომაძახა, აბა, შენ იცი, რომ ჩამოვალ, ბარში არ დამხვდე, სახლში დამხვდიო და წავიდა...

დილა გათენდა თუ არა, დამირეკა, ტელეფონები ვაზიანში დაგვატოვებინეს. რომ დამირეკავ, გათიშული იქნება და არ ინერვიულოო.

მხიარულად მელაპარაკებოდა. არც კი შემშინებია. წინათგრძნობაც კი არ მქონია ცუდი... მაგრამ პირველივე შეტაკება მოხდა თუ არა, 7-ში საღამოს უკვე საავადმყოფოებში დავიწყე მისი ძებნა...

დღესაც არ შემიძლია იმის დაჯერება, რომ აღარ არის. ეს არის საშინელება, ან უნდა მართლა ნახო მკვდარი, ან რაღაც... კაცი დგება, ჩვეულებრივ, მიდის და... ახლაც ხან ვაზიანში მგონია, უბრალოდ, გაგრძელდა სწავლება...

8-ში შესული იყო ცხინვალში, ძლივს გამოუსწრია, მერე ერთს უთქვამს, აღარ შეხვიდე, ხომ ხედავ, მძიმე წონის ხარ, სწრაფად ვერ დარბიხარ, რა გინდა, სიკვდილს ეძებ? ესენი პატარები არიან, გამოქცევას მოასწრებენო.

გია გადარეულა, პატარები შევაკლა და მერე მე თბილისში კაცობაზე ვილაპარაკოო?

გაირკვა, რომ 9-ში დაიღუპა. ცხინვალში სამშვიდობოები რომ შემოატარეს, მაშინ ჩაცხრილეს სანგრებში.

დეენემითაც ასე დადგინდა და ბოლოს რომ ტყვე დაიხსნეს, ნაკაშიძე, იმანაც ასე თქვა. ნაკაშიძე გიას მეგობარი იყო, გია მისი მეუღლის ნათლია უნდა ყოფილიყო. ნაკაშიძემ ნახა ცოცხალიც და მკვდარიც. ვნახე, რომ კვდებოდა, 20-ზე მეტი ტყვია ჰქონდა მოხვედრილიო. დაღუპვის შემსწრე ერთადერთი ნაკაშიძეა, ის გადარჩა მარტო იმ ოცეულიდან, მკვდარი ეგონათ, სამი დღე მკვდრებთან იყო. ბოლოს გამოიყვანეს ტყვეობიდან.

ცხედრის ამოცნობა შეუძლებელი იყო, 9-ში დაიღუპა და 29-ში გადმოასვენეს... დეენემითაც დადგინდა და ქამრითაც. მე ვუყიდე ამერიკული, ტყავის სამხედრო ქამარი, ისეთი გახარებული იყო... იმ ქამრით ვიცანი...“

დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე კი გმირმა სხვა გმირობაც ჩაიდინა – თავისი შვილის თანაკლასელი შეიკედლა. მესამე შვილად მიიღო.

ნაზი: „ეს ბავშვი ჩემი გოგონას კლასელია, 4 წლის იყო, მამა თვალწინ რომ მოუკლეს, დედას ბოლოს ძალიან გაუჭირდა, ვალები დაედო და აქ აღარ დაედგომებოდა, საზღვარგარეთ წავიდა...“

უფროსი ლეიტენანტი

ილია ბაბუციძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1982 - 2008

9 აგვისტოს ის ორჯერ შევიდა ცხინვალში – დაჭრილებისა და დაღუპულების გამოსაყვანად. მესამედაც შევიდა თანამებრძოლებთან ერთად – ცხინვალის სამხრეთით, ნიქოზის მხარეს, ე.წ. შანხაის ტერიტორიაზე, მტერს მშენებარე სახლში ასეული ჰყავდა ალყაში.

შევიდნენ. ალყა გაარღვიეს. დერეფანი გაუკეთეს ბიჭებს, გამოვიდა ბოლო ბიჭი და იმ ბოლომ დაინახა, როგორ დაეცა ილია ბაბუციძე. სნაიპერმა არტერია დაუზიანა.

„ღმერთო, მიშველეც“ ვეღარ თქვა, ხმა ვერ ამოიღო და ჯვარი მიიტანა პირთან... არადა შტაბის წევრი იყო და არანაირად არ ევალებოდა ბრძოლის ველზე გაჭრა. მაგრამ მას საკუთარი თავი და სინდისი ავალებდა, ასე მოქცევას.

26 წლის დაიღუპა და ამ 26 წლიდან 18 წელი გასამხედროებული იყო მის ცხოვრებაში.

დაიბადა სამაჩაბლოში, სოფელ ქვემო აჩაბეთში. სკოლაში შეყვანამდე იქ იზრდებოდა, მერე თბილისში გადმოვიდნენ, მამა 31-ე ქარხანაში მუშაობდა. პატარა ილო სკოლაში თბილისში შეიყვანეს მშობლებმა, მაგრამ მამამ მალევე მიატოვა 31-ე ქარხანა და უკან, სამაჩაბლოში, დაბრუნდა – მამა-პაპის საფლავების დასაცავად.

ბავშვები თბილისში იყვნენ, მშობლები – სამაჩაბლოში. ილო, თავის უფროს დასთან ერთად, მასზე 4 წლით პატარა ძმაზეც ზრუნავდა – მეორე მამასავით ედგა. ზაფხულობით სამაჩაბლოში ჩადიოდნენ და გაუთავებელი სროლების, არეულობის მოწმე ხდებოდნენ. სოფელი მორიგეობდა, შტაბები ჰქონდათ, ვისაც რა იარაღი მოეპოვებოდა, იმით იცავდა საკუთარ სახლ-კარს. პატარა ილო ამ ყველაფრის მომსწრე იყო.

დედა: „ზაფხულობით რომ ჩავიყვანდით, მაინცდამაინც მაშინ ირეოდა სიტუაცია, ატყდებოდა სროლები, ბავშვები განცდებში იყვნენ, ხან ვახერხებდით გამოყვანას, ხან – ვერა. უყურებდა, როგორ იცავდნენ საკუთარ მხარეს მამამისი, თანასოფლელები, ეს ჩაჰყვა გულში, მხარის სიყვარული, ვაჟკაცობა. ცხოვრებამ გამოიყვანა ასეთი ვაჟკაცი“.

მერე, 14 წლისა კადეტთა კორპუსში შევიდა, დეიდაშვილს მიჰბაძა – ათი წლით უფროსს. და დაიწყო ნამდვილი სამხედრო ცხოვრება. შინ მხოლოდ შაბათ-კვირას იყო. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ხმელნიცკში, უკრაინის სასაზღვრო აკადემიაში სწავლობდა 4 წელი და ახლა მხოლოდ ზაფხულობითღა ჩამოდიოდა შინ, ერთი თვით.

მერე სამშობლოში დაბრუნდა. გირევში გაანაწილეს. იქ მოუხდა პირველად რუსებთან შეჯახება – რუსეთიდან 4 მესაზღვრე გადმოვიდა, ქართველი მესაზღვრეების ლიკვიდაციის მიზნით. შეტაკება მოხდა – ორმა ქართველმა მესაზღვრემ სამ რუს მესაზღვრეს ერთი მკვდარი მესაზღვრე გაატანა უკან. მერე იყო ომალო და იქ გატარებული ზამთრის სეზონები. მსახურობდა ლაგოდეხშიც. შემდეგ თავდაცვაში გადავიდა. მეხუთე ბრიგადაში მსახურობდა, ბათუმში, ბატალიონის კავშირგაბმულობის უფროსად. არადა გული აქეთ, თბილისისკენ მოუწევდა, ოჯახიც აქეთ ჰყავდა და შეყვარებულიც.

გადმოსვლა უნდოდა, მაგრამ არ უშვებდნენ. მერე პირობა მისცა, სისტემასაც ავაწყობ, შემცვლელსაც დავტოვებ და გამიშვითო. შეასრულა ეს პირობა და გამოუშვეს. მეოთხე ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, 42-ე ბატალიონში. მერე იყო ომი...

დედა: „არეულობა რომ დაიწყო, მე და ჩემი გოგო აჩაბეთში ვიყავით. ისეთი სროლები იყო, შეუჩერებელი, რომ ორივე ვცახცახებდით, ხმას ვერ ვიმორჩილებდით, არაფრით არ ჩერდებოდა სროლები, მეზობლებმაც ჩვენს სახლს შემოაფარეს თავი. მეორე დღეს ჩვენი მეზობელი წამოვიდა „მარშრუტკით“ და ეს ბავშვები გამოვატანეთ, ჩემი გოგოც გამოვაყოლე. ილოს სურათები მოჰქონდა, არ გამოვატანე, რად გინდა, აქ არ დავბრუნდებით-მეთქი?.. იმ სურათებზე მწყდება გული... სამი საათისთვის გამოაცხადეს, ცხინვალში ჩვენი ბიჭები არიან, ორივე მხარე დაიკავესო. დავმშვიდდით, მერე ისევ პანიკა ატყდა.

რა მექნა, არ ვიცოდი, ამასობაში ილიამ დამირეკა, თამუნა გამოგზავნეო? კი-მეთქი. შენაო? არ ვიცი, შვილო, ასე ამბობენ, სოფელი უნდა დაიბომბოს-მეთქი. არ ვიცი, მე ეგ ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ, რადგანაც ამბობენ, შენც წამოდი, სადაც ხალხი, იქაც შენო. ამ დროს თურმე ომშია თვითონ... და მე მგონია, გორიდან მირეკავს... წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვდიოდი, ხან სახლს გავყურებდი, ხან – საქონელს. დატოვება მიჭირდა. მერე საქონელს თივა დავუყარე, წყალი დავუდგი, სარეცხი ავკრიფე, სახლი დავკეტე, პასპორტიც არ ამიღია, ერთადერთი ტელეფონი მეჭირა ხელში, რომ კავშირი მქონოდა ბავშვებთან. იმ ტელეფონით, სახლის ფლოსტებით გამოვიქეცი, იმ განწყობით, რომ 2-3 დღეში უკან მივბრუნდებოდი. რის ვაი-ვაგლახით გამოვაღწიე გორის ტრასამდე. საღამოს 8-ის ნახევარზე, გორის ტრასაზე ვიდექი, ილომ რომ დამირეკა და ველაპარაკე. მანდ არ გაჩერდე, ტაქსს გაჰყევი და თბილისში მამა მოგხედავსო. კარგი, შვილო-მეთქი. რაღაც მძიმედ ისმოდა... დიდ ომში იყო, წინ მიდიოდნენ... დიდუბეში ჩემი უმცროსი ბიჭი, გურამი დამხვდა, შენი დარდი აღარა გვაქვს, ილიას დარდი გვაქვსო. რატომ-მეთქი? იქითაა ნიქოზისკენო... იმის მერე კავშირი აღარ გვქონია ილიასთან.

ორივე ტელეფონი გათიშული ჰქონდა. არც ისინი აღარ გვპასუხობდნენ, ვისი ტელეფონებითაც გვიკავშირდებოდა... ასეთი იყო ჩემი ილოს ამბავი. მე მითხრა: დე, თავს უშველე, წადიო, და თურმე იქ არ დამიტოვებია ჩემი ბიჭი. გამოვაღწიეთ, დამრჩა ყველაფერი იქ, ის სურათები მენანება ილოსი... საკლავს ვუზრდიდით საქორწილოდ, სექტემბერში

ღვთისმშობლობაზე უნდა მოგვეყვანა, რესტორანი არ მიყვარსო, სოფელში უნდა გადავიხადოო. სიყვარული ჰქონდა იმ მხარისა, ბოლო წუთებამდე შემართებით იყო ამ სიყვარულით“.

ილია ბაბუციძე 9 აგვისტოსვე გადმოასვენეს გორში.

„ნინომ მითხრა, მოგიყვანთ შენს ილიასო. მომიყვანეს. როგორც მძინარე, ისეთი იყო ორმეტრიანი ვაჟკაცი... ასე აეწყო ჩემი ილოს ცხოვრება.

ძალიან მადლობელი ვარ ბიჭების, რომ იქ არ დამიტოვეს და გამომიყვანეს შვილი... მეცხრე კლასიდან ჯარისკაცის ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი შრომითა და ცოდნით იკვალავდა გზას, უკრაინაში რომ სწავლობდა, თვითონ უვლიდა თავს, დაბადების დღეზე თუ გავუგზავნიდით 20-30 დოლარს, ეგ იყო, მთელი წელი თვითონ წვალობდა. კი იყო იქ უზრუნველყოფილი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ჩვენც გაგვეგზავნა... გაიტანა თავი ბოლომდე. როგორც კი ააწყო ცხოვრება, წინსვლას ველოდით, სექტემბერში უნდა დაქორწინებულიყო. სოფელში უნდოდა ქორწილის გადახდა. აჩაბეთი უყვარდა ძალიან...“

მამა: „როგორც თანამებრძოლებისგან ვიცი, მან, ფაქტობრივად, თავი შესწირა, შემთხვევით არ დაღუპულა. 9 რიცხვში ცხინვალში შესვლა აღარ შეიძლებოდა, ეგ 3-ჯერაა შესული, თან არავის დაუვალებია...

წინაღამეს დაეკარგათ ოთხი ჯარისკაცი, არ ჩანდნენ. ილოს მთელი ღამე არ სძინებია თურმე. ტიროდა, ნეტა, შევსწრებოდი, რამეს ვუშველიდიო. გამთენიისას, რომ უთხრეს, ცოცხლები გამოჩნდნენო, ძლიან გახარებია“.

დედა: „ვერ იტყოდი, რომ ის 26 წლის ბიჭი იყო, იმდენად წინ იხედებოდა.... “

მამა: „ძალიან სამართლიანი იყო. ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ჯარისკაცები შვილებივით უყვარდა...“

ილო ამ ქვეყნად აღარაა. ომის კვალი დედამისის თვალებს ატყვია...

კაპრალი

ვახტანგ გზირიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

8 აგვისტოს, ცხინვალის შესასვლელთან, დაბომბვას ემსხვერპლა კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი. რუსეთის მიწაზე შობილს რუსებმა მოუღეს ბოლო მშობლიურ ქართულ მიწაზე.

ვახტანგ გზირიშვილი 1988 წელს დაიბადა, სმოლენსკის ოლქში, ქალაქ იარცევოში, იქ მისი მშობლები მუშაობდნენ მშენებლობაზე, მამა – დურგლად, დედა – მღებავად. მათ უკვე ჰყავდათ უფროსი ქალიშვილი, ვახტანგის უფროსი ძმა კი, ერთი წლის ასაკში, ჯერ კიდევ რუსეთში წასვლამდე დაეღუპათ.

ვაჟის დაღუპვის შემდეგ, ქალბატონ მარინა გზირიშვილს აღარ უნდოდა შვილის გაჩენა, მაგრამ მეუღლემ სთხოვა, გული მიგრძნობს, ესეც ბიჭი იქნება და გააჩინეო. გააჩინა, მაგრამ განგებამ არც ის შეარჩინა.

საქართველოში არეულობა რომ დაიწყო, გზირიშვილებმა იარცევოდან ბინა გლდანში გადმოცვალეს და სამშობლოში დაბრუნდნენ.

მერე იყო აფხაზეთის ომი. ბადრი გზირიშვილი გამოიძახეს და იმ ღამესვე ფრონტის ხაზზე გაგზავნეს. ვახო სულ ოთხი წლის იყო მაშინ.

მარინა გზირიშვილი: „ომიდან 2 თვეში დაბრუნდა. ვეხვეწებოდი, რომ აღარ წასულიყო. რას ჰქვია, არ წავიდე, თითისტოლა ბავშვები იბრძვიან და მე აქ სახლში ვიჯდეო? წავიდა. წავიდა და წავიდა. ბოლოს ტელევიზიით ვნახე. ბავშვმა დამიძახა, მამიკოა ტელევიზორშიო. მეომრებს ინტერვიუებს ართმევდნენ. კორესპონდენტმა ჰკითხა, ვის გინდათ გადასცეთ მოკითხვა, ვის და ჩემს ცოლ–შვილსო. კორესპონდენტი კადრიდან გავიდა, ეკრანზე მარტო ბადრი დარჩა: გამარჯობა მარინა, როგორ ხართ, აბა შენ იცი. ხომ ვიცი, რა მაგარი ქალი ხარ. თუ ცოცხალი არ დავბრუნდი, ვახტანგი ვაჟკაცად გამიზარდეო. ეგ იყო და ეგ, ჩამოასვენეს კიდეც მალე. 28 წლის ვიყავი, რომ დავქვრივდი.

ჩემი დამხმარე არავინ ყოფილა...

ვახო თავიდან თბილისში შევიყვანე სკოლაში, მაგრამ მერე რუსთავში გადმოვიყვანე. 7 წლიდან დედაჩემი ზრდიდა მეტწილად. მე სულ კაცივით გარეთ ვიყავი, სულ იმის ფიქრში ვათენ-ვაღამებდი, რომ ჩემი შვილებისთვის ლუკმაპური მეშოვა; რომ ჩემს ვახოს სხვისი ჯიბისკენ თვალი არ გაქცეოდა...

დედაჩემი ახლახან გარდაიცვალა, დარდს გადაჰყვა. სულ ეხვეწებოდა, წამიყვანეო...

ვახოს ბუნდოვნად ახსოვდა მამამისი. რომ დავაჟკაცდა და 15 წლის გახდა, მაშინ მკითხა, მამაჩემი როგორი კაცი იყოო. მითხრა, მარტო ის მახსოვს, ლეკვი რომ მოგვიყვანა სახლში და შენ რომ გაუბრაზდიო. რა დღეში იყო ვახო, როგორ უხაროდა, არ მოგცემ, არ მოგცემ ლეკვსო. არ წაიყვანოო... ვახო ძალიან უთქმელი, ჭკვიანი ბიჭი იყო, ერთადერთხელ ვცემე, ისიც სხვისი გულისთვის. მეზობლის ქალს აერია, შენმა შვილმა ჩემს შვილთან პოკერებში ითამაშა ხაჭაპურზე და ლიმონათებზეო. ვახომ კი მითხრა, დამნაშავე არა ვარო, მაგრამ არ დავუჯერე. მერე მთელი ღამე ვტიროდი, პატიებას ვთხოვდი. ვახოს ცემა არ სჭირდებოდა, უთქმელად გვესმოდა ერთმანეთის.

ბევრი რამ აკლდა ვახოს, მაგრამ უწიგნოდ არასოდეს დამიტოვებია. მიზეზი რომ არ ჰქონოდა, წიგნი არ მქონდა, გაკვეთილი ვერ ვისწავლეო. ლიტერატურა უყვარდა... სკოლა რომ დაამთავრა, მე აქ აღარ ვიყავი, 2005 წელს საბერძნეთში წავედი, შემდეგ თურქეთში გადავედი სამუშაოდ. მე სხვის შვილებს ვუვლიდი, ჩემი შვილი კი აქა მყავდა, მოუკვდა დედა... ბანკეტი რომ ჰქონდათ, ფული გამოვუგზავნე კოსტიუმისთვის, არ იყიდა, თავის დას მისცა, თქვენ გიჭირთ, არ მინდა, ბანკეტზე ისეც წავალო. მისი ბანკეტის სურათებს რომ ვუყურებ, გული მიკვდება, ყველას კოსტიუმები აცვია და ჩემს ვახოს არ აცვია...

ვამზადებდი, მაგრამ ინსტიტუტში ჩაბარება აღარ მოინდომა, გული აიცრუა. 2007 წელს ჩემთან იყო ჩამოსული ორი თვით, იმის მერე თვალით არ მინახავს, მკვდარი დამხვდა აქ...

კომისარიატიდან გამოძახება გამოძახებაზე მოსდიოდა თურმე, მერე უფიქრია, საკონტრაქტო ჯარში შევალო. არც მითხრა, მიმალავდა, სამი თვის თავზე გამიმხილა: დედა, მომილოცე, ჯარისკაცი გყავარო. ეს რომ მითხრა, გეგონება, გულში ხანჯალი ჩამცეს. გავქვავდი. გული სულ აფორიაქებული მქონდა. რაღაც შიში გამიჩნდა...

ომამდე ერთი თვით ადრე მითხრა: დე, კი არ გაიგიჟო თავი, მაგრამ შეყვარებული მყავს, ცოლად უნდა მოვიყვანოო. ვეხვეწებოდი, ერთი წელიც მაცალე, ბინას გიყიდით, მანქანასაც-მეთქი. ცოლს რომ მოიყვანდა, ხომ უნდა აღგვენიშნა, დაბადების დღეც არ გადამიხდია, რაც წამოიზარდა. დამიჯერა: კარგი, დედა, ერაყისთვის გვამზადებენ, რომ ჩამოვალ, მერე მოვიყვანო. ბოლოს ხუთ აგვისტოს ველაპარაკე და: ოქტომბერში, სანამ ერაყში წავალ, უნდა ჩამოგიყვანო, ნანა უნდა მოვიყვანო ცოლად, ბანკიდან კრედიტს გამოვიტან, ბინას ვიგირავებ, გეყო წვალება, ახლა მე უნდა შეგინახოო. ბოლოს მთხოვა, ნათიას უთხარი, ინტერნეტკაფეში მიგიყვანოს, „სკაიპით“ მინდა გელაპარაკო, ძალიან მენატრებიო. და იცოდე, ძალიან მიყვარხარო. ეგ იყო და ეგ. მეტი ხმა აღარ გამიგია. „ესემესებსაც“ რომ მომწერდა, ბოლოს აწერდა: დე, ძალიან მენატრები, ძალიან მიყვარხარო. ვახოს „ესემესებს“ სულ ვინახავდი, არ ვიცი, რატომ... არაფერი დამრჩა ჩემი შვილისგან, გარდა სურათებისა და ტანსაცმლისა...“

მარინა გზირიშვილმა არც იცოდა, საქართველოში ომი რომ დაიწყო. ვერ იცლიდა ტელევიზორის საყურებლად. იმხანად ქალიშვილიც იქ იყო, ბებიასმონატრებული შვილიშვილები ჩაუყვანა. ომის დაწყების ამბავი თურქებისგან გაიგო და შოკირებული ტელევიზორს მიეჯაჭვა. შვილთან რეკვა ატეხა,

მაგრამ ტელეფონი უკვე გათიშული იყო.

მარინა გზირიშვილი: „7-ში, ღამით, 8 რომ თენდებოდა, „ესემესი“ აქვს მიწერილი შეყვარებულისთვის: ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის მეყვარები, ძალიან გთხოვ, დედაჩემს, ჩემ დას არ გააგებინოთ, რომ მე ფრონტის ხაზზე ვარ, თორემ მე რომ ვიცი დედაჩემის გიჟი თავის ამბავი, გამოქანდება და პირდაპირ ომში შემომივარდებაო.

ომის დაწყება გავიგე თუ არა, მართლაც გამოვრბოდი, მაგრამ ავტობუსზე 9 აგვისტომდე ბილეთი არ იყო, თვითმფრინავის ბილეთის ფასი 600 ევროზე ავარდა და არც იშოვებოდა. გაგიჟებას ვიყავი. ჩემი გოგოს მაზლიც 42-ე ბატალიონში მსახურობდა, ოღონდ უზრუნველყოფაში, ისინი ბრძოლის ველზე არ იყვნენ. ვახო მეტყვიამფრქვევე იყო და ხაზზე იყო... ჩემმა გოგომ მაზლს, ირაკლის დაურეკა, ირაკლიმ მოგვატყუა, ვაზიანში ვართო. ვითომ გული დავიწყნარე. ვიფიქრე, ალბათ, ბაზას იცავენ-მეთქი, მაგრამ ეჭვი შემეპარა, დავარეკინე, თუ ვაზიანშია, მიუტანოს ვახოს ტელეფონი, დამალაპარაკოს-მეთქი. მარინა დეიდა, ამ წუთას აქ იყო, ერთად ვჭამეთ, ხომ იცი, მე უზრუნველყოფაში ვარ, სხვადასხვა შენობებში ვართო. ესეც მომატყუა. თურმე ერთ შენობაში არიან.

მერე ირაკლის ტელეფონიც არ პასუხობდა, დროზე ავიბარგოთ-მეთქი, 9-მდე ბილეთები არ იქნებაო. მოვიდა რვა.

მთელი ღამე არ მიძინია, ზეზეულად წამთვლიმა და კოშმარი ვნახე, ვითომ სამება დაბომბეს. გათენდა 8 აგვისტო, ყავა დავისხი, ისეთი სუნი მეცა, ვერ დავლიე. წყალი მოვიყუდე, წყალსაც ისეთი საშინელი სუნი ჰქონდა, კრიჭა ვერ გავხსენი, ლუკმა საერთოდ ვერ შევჭამე.

მივჩერებოდი ტელევიზორს, გაუთავებლად ვრეკავდი ხან ვახოსთან, ხან ირაკლისთან. გათიშული იყო ორივეს ტელეფონი, ვაზიანი რომ დაბომბეს, საღამოს, გადავირიე, ირაკლის რომ ვერ დავუკავშირდით, ნათიამ თავის ქმარს დაურეკა, დაამშვიდა, ველაპარაკე ირაკლისო, ვახოზე მარტო იმას ამბობდა, კარგადააო, არადა ამ დროს უკვე გორის მორგში იყო და გამოყვანილი ჰყავდა ვახო. ექვსი მანქანით იყვნენ ჩასული ბიჭები, მკვდარი ვახო რომ ნახეს, საჭესთან ვერც ერთი ვერ ჯდებოდა, ძლივს წამოვიდნენ, თბილისამდე ჩამოსვლას 10 საათი მოანდომეს...“

ვახტანგ გზირიშვილს დაბომბვისას ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა, ნამსხვრევმა ფეხი მოსწყვიტა სახსარში, არტერია დაუზიანდა, ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მაგრამ სისხლისგან დაიცალა, ხელებში ჩააკვდა თანამებრძოლებს. დედამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი შვილი ამ ქვეყნად აღარ იყო.

მარინა გზირიშვილი: „რომ ჩამოუსვენებიათ, უთქვამთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა უთხრათ, ნათიას მაინც უთხარითო. ჩემმა სიძემ გამთენიისას დარეკა, 9 რომ თენდებოდა. გამკენწლა გულში. ნათია გარეთ გავიდა, იკივლა: „ვაიმე, გიორგი, მითხარი, რომ ეგ ტყუილია“. ეგ რომ თქვა, ერთი დავიღრიალე, ვაიმე-მეთქი, მთელი მეზობლობა გამოცვივდა, მე უკვე გრძნობა დავკარგე. ძლივს მომასულიერეს...“

ნათიას ურჩევენ, რომ არ უთხრას დედამისს შვილის დაღუპვის ამბავი. ნათია ეტყვის, რომ ვახო ფეხშია დაჭრილი.

მარინა გზირიშვილი: „გამოვქანდით. მთელმა ავტობუსმა იცის თურმე ჩემი უბედურება. სამტრედიაში ჩამოგვსვა ავტობუსმა, ტაქსი დავიჭირეთ. ისიც გააფრთხილა ნათიამ, გორში არ გაუჩეროო. გორში რომ შემოვედი, დავინახე ჰოსპიტალი, აბა, სად არის დაბომბილი, გამიჩერეთ-მეთქი. არა, დედა, აქ არ არის, თბილისშია გადაყვანილიო, ძლივს მაკავებდა ნათია, მძღოლმაც მხარი აუბა, დაბომბილია, თქვენ ვერ დაინახეთო და გამოქროლეს. გამოვედით და დაიბომბა კიდეც გორი, უკან შავი ბუღი იდგა, ბომბი ჩამოაგდეს.

ჩამოვედით, მე პირდაპირ საავადმყოფოში მინდოდა წასვლა, ნათიამ სახლში ავალ, ჩამოვალ და წავიდეთო. მე არ ავდივარ ნათიასთან. ველოდები. ხალხს კი მოვკარი თვალი, ნათესავებს, მაგრამ აზრი გაფანტული მქონდა, ვიდექი და ველოდებოდი ნათიას. თან ვჩხუბობდი და ვჩხუბობდი, სადაა აქამდე-მეთქი. რომ აღარ ჩამოვიდა, გადავწყვიტე ასვლა, არ მიშვებენ, ლიფტს ხუთი თეთრი უნდაო და არ მაძლევენ ამ ხუთ თეთრს. ჩემი ვახოს მამიდებს უთქვამთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიგოსო და ჩამოვიდნენ. ვდგავარ ლიფტთან, გაიხსნა ლიფტი, ვხედავ ჩემს მულებს. ვუყურებ გაშტერებული, მოდი, მოდი, შე უბედუროო და მეტი აღარაფერი მახსოვს...“

მარინა გზირიშვილმა საქველმოქმედო ფონდი ჩამოაყალიბა – ერთიანი საქართველოსთვის 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების. ვარკეთილში ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია შენდება ომში დაღუპული ბიჭების უკვდავსაყოფად.

მარინა გზირიშვილი: „ავაშენებ ტაძარს და მონასტერში წასვლას ვფიქრობ, ვნახოთ, როგორ ვიქნები... იმასაც ვევედრები უფალს, რომ როგორმე ეს ტაძარი ამაშენებინოს და წამიყვანოს ჩემს შვილთან. ადგილი გამზადებული მაქვს ჩემი ვახოს გვერდით, ჩემი ქმარ-შვილის გვერდით. ძალიან მენატრება, იტყვიან, დრო მკურნალიაო, მკურნალი კი არა, რაც დრო გადის, უფრო ვიტანჯები. ფიქრისგან, დარდისგან და მონატრებისგან გადავიღალე... ვერავის ვერაფერს ვერ ველაპარაკები, არ მინდა, ჩემი დარდები სხვას მოვახვიო... სახლში ჩემთვის მივტირი ჩემს შვილს. ველაპარაკები მის სურათებს. სახლში რომ შემოვდივარ: დე, მოვედი, გეგონება სახლშია... მე ვიცი, რომ ჩემი შვილი უფალთანაა და ყველა ის შვილები უფალთან არიან. სიცოცხლე უნდოდათ... რა იყო, ჯერ ახალი შეშრობილი ჰქონდათ რძე ტუჩებზე. მოუკვდეს დედა. 20 წლის დაიღუპა. ჩემი იმედი... რა იქნებოდა, შემრჩენოდა, გამხარებოდა... მე ცხოვრება დავასრულე, ჩემს ცხოვრებას აზრი აღარ აქვს, თუ ვარსებობ, ვარსებობ გარეგნულად, შინაგანად მკვდარი ვარ...“

უმცროსი სერჟანტი

გელა მეჯაღიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1972 - 2008

როცა მოვკვდები და აღარ ვიქნები,
რად მინდა თქვენი ვარდი და ია,
ჩემი საფლავის ქვაზე დაწერეთ,
ჩემი მოკლული რუსების სია...“

ეს ლექსი გელა მებაღიშვილმა თავის 11 წლის ბიჭუნას ტელეფონით წაუკითხა 10 აგვისტოს, გამთენიისას...

დათო მებაღიშვილი: „ეს ლექსი გათენებამდე მითხრა. აი, რომ აბობდნენ, რუსები უნდა შემოვიდნენ თბილისშიო. ბოლოს მე მელაპარაკა და ვიცოდი, რომ საქმე აღარ იქნებოდა კარგად... მითხრა, მარიკოს კარგად მოუარე, მე რომ რამე მომივიდეს, მაგის მამა შენ უნდა იყოო... მივხვდი, რომ საქმე აღარ იყო კარგად...“

პატარა მარიამი, რომელიც მამამ თავის ვაჟს ჩააბარა, სულ 7 თვის იყო, ახლა მარიამი წლინახევრისაა, დათუნა კი – 12 წლის. როცა ჰკითხავ, რა გამოხვალო? მტკიცედ გპასუხობს: „რა თქმა უნდა, ჯარისკაცი“.

„მამას რომ ვეტყოდი, მეც ჯარისკაცი უნდა გამოვიდე-მეთქი, მეუბნებოდა, მე შენი შვილიშვილის ვალიც მოხდილი მაქვს, შენ არ უნდა წახვიდე ჯარშიო...“

ასე კი ეუბნებოდა, მაგრამ ბიჭი მამას ხშირად დაჰყავდა ჯარში, უყვებოდა იარაღზე, ჯარის ცხოვრებაზე, აფხაზეთის ომში დაღუპულ მეგობრებზე, თვითონაც უხაროდა და ბიჭსაც უხაროდა მამის გვერდით ყოფნა, ამაყობდა მამის ჯარისკაცობით. ამაყობდა და დღესაც ამაყობს და მუდამ იამაყებს.

მამამისს კარგი ბავშვობა ჰქონდა. დაიბადა და გაიზარდა ყვარელში, სოფელ გავაზში, მისდევდა სპორტს, მოჭიდავე იყო, ძიუდოისტი, საქართველოს ჩემპიონიც ყოფილა. საზღვარგარეთ გამართულ შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა, მერე იყო აფხაზეთის ომი, სავალდებულო სამხედრო სამსახური, მშობლიურ სოფელში დაბრუნება და სამსახური – საწარმოო რგოლის დირექტორობა. და აი, იქ გაიცნო თანამშრომლის 14 წლის გოგონა.

გოგონა ადრეც იცნობდა მას, ოღონდ როგორც მოჭიდავეს, ხშირად ხედავდა სოფელში, საჭიდაო წრეში, ახლა კი სხვა წრე შეიკრა მათ შორის, ერთმანეთი შეუყვარდათ და ინგა 9 წლით უფროს გელას ჩუმად გაჰყვა – გაიპარა.

ინგა: „ჩვენს შორის ძალიან დიდი სიყვარული იყო, რამაც გადამაწყვეტინა ასე პატარას გათხოვება... ძალიან კარგი ადამიანი იყო, ფაქტობრივად, ბავშვივით მზრდიდა. მზად არ ვიყავი ოჯახის შესაქმნელად. ერთად ვსწავლობდით, ერთად ვაკეთებდით ყველაფერს, შეთანხმებით, ძალიან ტკბილად. შემდეგ დაიბადა დავითი. ჯერ სოფელში ვცხოვრობდით, მერე სამსახური უკვე აღარ ჰქონდა გელას და თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. 2000 წლიდან „კომანდოს“ ბატალიონში დაიწყო მუშაობა კონტრაქტით. აფხაზეთის ომში იყო ნაბრძოლი, ბევრი მეგობარი ჰყავდა დაღუპული, სულით ჯარისკაცი იყო და გადაწყვიტა, რომ მისთვის ყველაზე საუკეთესო სამსახური ჯარი იყო. მეც და მშობლებიც წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ თქვა, მორჩა, მე მივდივარ ჯარშიო და წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. მერე მეც მომწონდა მისი სამსახური, მომწონდა, რომ საქვეყნო საქმეს აკეთებდა, მაგრამ ძალიან რთული იყო ჩვენი ცხოვრება, იყო დღეები, როცა სახლში ვერ მოდიოდა, სწავლებებზე იყო წასული და მე და დათუნა სახლში მარტო ვიყავით. კონტრაქტს რომ ვადა გაუვიდა, ვწუწუნებდი, ვთხოვდი, რომ სხვაგან დაეწყო სამსახური, ჰქონდა კიდეც საშუალება, რომ სხვაგან დაეწყო, მაგრამ არაფრით არ ქნა, ჩემთვის ერთადერთი სამსახური ეს არისო... ერაყშიც იყო, ერაყიდან დაბრუნების შემდეგ მეოთხე ბრიგადაში, 41-ე ბატალიონის მესამე ასეულის სერჟანტად მსახურობდა. დათუნასთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, არანაირად არ იყო მკაცრი მამა. უყვებოდა თავის ამბებს, რა და როგორ იყო ქვეყანაში, როგორ დაკარგა მეგობრები აფხაზეთის ომში, დათუნას პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა... დათუნა უკვე ათი წლის იყო, მეორე შვილის გაჩენა რომ გადავწყვიტეთ. სულ წლებს ითვლიდა, „მე ამხელა ვიქნები, დათო ამხელა, ის ძალიან ძალიან პატარა იქნებაო“. სულ წლებს ითვლიდა... ალბათ, გული ცუდს უგრძნობდა... მარიამს „მამას გოგონიას“ ეძახდა, რაც არ უნდა დაღლილი მოსულიყო, გადაივლებდა თუ არა წყალს, შეიყვანდა საძინებელში, ეფერებოდა, ეთამაშებოდა...“

გელას ოჯახური იდილია მალე დასრულდა.

ვიდრე ომში წაიყვანდნენ, ბოლო დღეებში დათოც თან დაჰყავდა ჯარში. 6 აგვისტოს ვაზიანიდან რომ დაბრუნდნენ, დათომ სახინკლეში წაყვანა მოსთხოვა მამას.

ინგა: „მეც მთხოვა გელამ, რომ წავყოლოდი, მაგრამ პატარას გამო თავი შევიკავე, მარიამი პატარა იყო და საღამოს გვიან არ გაგვყავდა გარეთ, დათო და მამამისი წავიდნენ, მალევე დაბრუნდნენ... დაიძინა, ტელეფონები, როგორც ყოველთვის, ჩართული ჰქონდა... ღამის 2 საათზე საშინელი ზარები ატყდა, არ ვიცოდი, რა ხდებოდა, არ მინდოდა, ღამე წასულიყო და მოვიმიზეზე, ნასვამია, სძინავს-მეთქი, იქნებ თავი დაენებებინათ... მაგრამ მითხრეს, აუცილებელია, თუ ვერ აღვიძებთ, თვითონ მოვაკითხავთ და გავაღვიძებთო... გავაღვიძე... სახლიდან რომ გადიოდა, საოცრად ნაღვლიანი იყო, ალბათ, გრძნობდა, რომ უკანასკნელად გადიოდა სახლიდან... მარიამი გააღვიძა, ჩაეხუტა, დაემშვიდობა, ყველას დაგვემშვიდობა, საერთოდ, არასოდეს გადიოდა სახლიდან დაუმშვიდობებლად, ამბობდა, რომ ჯარისკაცის ცხოვრება ისეთია, ყოველთვის შეიძლება ყველაფერი მოხდესო... იმ დღეს არ წაუყვანიათ ომში, ვაზიანში იყო, ხშირად რეკავდა, მამშვიდებდა, აქ ვარ, ვაზიანშიო. მერეც, როცა უკვე ცხინვალში იყო, მაშინაც არ მეუბნებოდა სიმართლეს, ისევ მამშვიდებდა, ნუ გეშინია, მე იქ არა

ვარ, არაა ჩემი ჯარი ისე გაწვრთნილი, რომ პირველ ხაზზე ვიყოთო. ბოლოს, ათი რომ დაიწყო, მაშინ მელაპარაკა, მითხრა, ნუ გეშინია, მე მაინც დავბრუნდებიო, ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. მერე საერთოდ გათიშა ტელეფონი. იმიტომ, რომ თურმე დაბომბვა დაიწყო და მეგობრებისთვის უთქვამს, ხმას გაიგებს და უკვე მიხვდება, ვერანაირად ველარ მოვატყუებო. იმ ღამეს გადარჩა. ათში, დილით, 11 საათიდან 12 საათამდე აფეთქდა ნაღმზე...

იმ ღამეს ალყაში იყვნენ მოქცეულები, თვითონ გამოვიდნენ, გამოარღვიეს ალყა. მაგრამ ერთი მეგობარი დაიჭრა, ფეხი მოაგლიჯა ყუმბარის ნამსხვრევმა, გელამ თვითონ შეუხვია ჭრილობა, ბიჭი გონზე იყო და იხვეწებოდა, აქ ნუ დამტოვებთო. გელამ ის ბიჭი ორ ბიჭს ჩააბარა, გამოიყვანეთო... შემდეგ სამშვიდობოს გამოსულმა ის ბიჭები ნახა, მაგრამ ვერ ნახა დაჭრილი მეგობარი. რომ მოიკითხა, სად არისო, გარდაიცვალა უკვეო. გელა მაინც შევიდა ასეულის ექიმთან ერთად, კი შევიდა, მაგრამ იმ ბიჭამდე ველარ მივიდა...

დაჭრილის გამოსაყვანად რომ შესულან, გელას ექიმისთვის უთქვამს, შენ იქით წადი, მე აქეთ წავალო. ექიმი საითაც წავიდა, იქით არ იყო ნაღმი, საითაც გელა წავიდა, იქ იყო ნაღმი და გელა აფეთქდა... თვითონ ექიმიც საშინლად დაიჭრა, ხორცები ჰქონდა დაგლეჯილი. იმ ექიმმა ნახა გელა გარდაცვლილი, ერთადერთი ის იყო, ვინც ნახა, რომ ნაღმზე აფეთქდა... ექიმმა ვერ გამოიყვანა გელა, თვითონ დაჭრილი და განადგურებული იყო, ან როგორ გამოაღწია...

მაშინვე კი თქვა, გელა მოკვდა, პულსი ვნახე და მკვდარი იყოო, მაგრამ მე მაინც ცოცხლებში ვეძებდი, გელას თანამებრძოლებიც მეუბნებოდნენ, მაგას ნუ უჯერებ, აგონიაშია, არაა სრულ ჭკუაზეო. არც იმათ უნდოდათ გელას სიკვდილის დაჯერება, არც მე... გელა ნოემბერში გადმოასვენეს, ბოლო 11 კაცი რომ გადმოასვენეს, მაშინ... გავიგე თუ არა, წავედი სანახავად. იქ ვინმეს ამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ ექსპერტმა მითხრა, რომ ერთ-ერთს „გოლფის“ გასაღები ჰქონდა. გელას თან ჰქონდა წაღებული მანქანისა და სახლის გასაღები... მაჩვენეთ-მეთქი. ჩვენი გასაღები იყო, სამწუხაროდ... დამამშვიდეს, შეიძლება სულ სხვასთან აღმოჩნდა სხვისი გასაღები, ან სულაც სხვისი გასაღებიაო. სამწუხაროდ, ჩვენი იყო. მოერგო ჩვენი სახლის კარსა და მანქანას. დეენემის პასუხი დაემთხვა. რატომღაც არ მეგონა, რომ ჩვენი სიყვარული ასე დამთავრდებოდა, საშინელებაა, ახსნაც არ შემიძლია, ხანდახან ვფიქრობ, რომ რახან გარდაცვლილი არ მინახავს, ცოცხალია, რომ სადღაცაა, ახლოს... არადა, რაც დროს გადის... არაა ახლოს, შორს არის... ჩვენგან...“

სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი

ზურაბ ბეგიაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1980 - 2008

„ არტო ჩემი ბიჭი კი არ მოკლეს, ჩვენც მოგვკლეს, ის შვილებიც და მთელი შთამომავლობაც, რომელიც ჩემს შვილს უნდა ჰყოლოდა“, – ამბობს სამხედრო ექიმის, ზურა ბეგიაშვილის დედა...

შვილის დაღუპვის შემდეგ მან ვეღარ შეძლო პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება, მამამ ინსულტი მიიღო ორგზის – ჯერ აგვისტოში, შემდეგ დეკემბერში, როცა მისი ვაჟი მუხათგვერდიდან მშობლიურ სოფელში გადმოასვენეს.

შვილის სიკვდილი... ასეთი სიმწარისთვის ზურას დედას ოსი და რუსი დედებიც არ ემეტება...

ზურას ბუნება ჰყვარებია, საერთოდ, სოფლად რომ ვინმე ესტუმრებოდა, მშობლიური კუმისის ლამაზ ადგილებს ათვალიერებინებდა, ჩანჩქერს, სოფლის ეკლესიას, თვითონაც რომ სადმე უცხო სოფელში ჩავიდოდა, შთაბეჭდილებების მოყოლას იმ სოფლის სილამაზით იწყებდა...

ნელი ბეგიაშვილი, ზურას დედა: „მთვარეც შეეძლო ლამაზად დაენახა. მახსოვს, ერთხელ მეძახდა: დედა, დედა, გამოდი, ნახე, რა ლამაზი მთვარეაო... მართლაც, ისეთი მრგვალი, დიდი, ბადრი მთვარე იყო...

ხის ტოტებში შეეძლო შეემჩნია სილამაზე, მეტყოდა: ნახე, რა ლამაზიაო. ეჰ...

ყველაფერი უყვარდა, ხატავდა, პატარა მოთხრობებს წერდა.

ერთხელ, ზურას მასწავლებელმა მითხრა, ზურას რამდენი ტყუილი ჰყვარებიაო. შევიცხადე, ვაიმე, რატომ-მეთქი? რატომ და რომ ვიტყვი: აბა, ზღაპარს ვინ მოყვება-მეთქი, ადგება და ერთ ზღაპარს მეორეს მიაყოლებს, მეორეს მესამეს მიაბამს და ამ ზღაპრის გმირებს ერთმანეთთან აკავშირებსო. რომ ვეუბნები, მასე როდის იყო-მეთქი, რატომ არ შეიძლება, რომ ასე იყოსო? – პასუხობდა თურმე. თვითონ თხზავდა, კომბლეს დააკავშირებდა ნაცარქექიასთან... კირკიმალა იყო, უკირკიტებდა ყველაფერს, სულ „რატორატო“ ეკერა პირზე. შენ „რატომელა“ ხარ-მეთქი, ვეუბნებოდი. ყველაფერი აინტერესებდა, ყველაფერს შლიდა, ზოგს აწყობდა, ზოგს – ვერა, მერე უკვე კონსტრუქტორებს ვყიდულობდი, დაჯდებოდა და თამაშობდა, ძალიან უყვარდა მათი დაშლა–აწყობა.

მართლა „ღიმილის ბიჭი“ იყო, ყველა იხსენებს, როგორი მისალმება იცოდაო... სამსახურში მანქანით დადიოდა და სოფლიდან რომ გავიდოდა, ქალაქისკენ მიმავალს არავის დატოვებდა, ქალაქიდანაც, როცა მოდიოდა, სოფლისკენ მომავალს არავის დატოვებდა...

ეჰ, ამას ვასწავლიდი, ასეთი უნდა იყო-მეთქი. მე მეგონა, ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა ჩემს დარიგებებს, მაგრამ თურმე ბევრ რამეს იმახსოვრებდა... საოცრად მოსიყვარულე და გულისხმიერი იყო. მახსოვს, კუჭის წყლული მაწუხებდა, ზურა მეოთხე კლასში იყო, ნათესავი გვესტუმრა, ჰკითხა: აბა, ზურა, რა უნდა გამოხვიდეო, კუჭების ექიმი უნდა გამოვიდეო. ნათესავი ჩაეკითხა, რატომო, იმიტომ, რომ დედიკოს კუჭი სტკივაო...“

ზურა მართლაც ექიმი გამოვიდა. ეს არჩევანი უფროსი დის არჩევანმაც განაპირობა – დამ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, ზურაც სამედიცინო ინსტიტუტის კოლეჯში შეიყვანეს. კოლეჯის დამთავრების შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსზე ჩაირიცხა, მესამე კურსიდან სამხედრო სამედიცინოზე გადავიდა.

ნელი ბეგიაშვილი: „მოსწონდა სამხედრო საქმე... მოსწონდა დატვირთული სამუშაო. ზურამაც ვაზიანში, მეოთხე ბრიგადის ლაზარეთში დაიწყო მუშაობა. ძალიან კარგი კოლექტივი იყო, კარგადაც მიიღეს, ხალისით მიდიოდა, უყვარდა თავისი საქმე. ლაზარეთის მთავარი ექიმიც ძალიან კარგი ადამიანია, გრიშა ტურძელაძე. რომ ხედავდა, პატარა ბიჭი იყო, მონდომებული, ახლო ურთიერთობა ჰქონდა. შემდეგ, მეოთხე ბრიგადიდან სამხედრო აკადემიაში, ოფიცრების კურსებზე გაგზავნეს, დაჩქარებული წესით დაამთავრა და ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. მაგრამ მერე ისევ ახალი ბრძანება გამოსცეს და ვისაც რეზიდენტურა არ ჰქონდა გავლილი, გაათავისუფლეს. დარჩა უმუშევარი. არადა არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა. ინსტიტუტში სწავლის დროს, არდადეგებზეც ხან სად მუშაობდა, ხან – სად, ფულის ხარჯვაც იცოდა და თვითონვე უნდოდა ეშოვნა ეს სახარჯო ფული. ცოტა ხანს მარნეულის კლინიკაში იყო რეზიდენტად, ვერ გაჩერდა, ასეთი წყნარი საქმე არ მინდა, ბოლნისის საავიაციო ნაწილში წავიდა სამუშაოდ, იქაურობა ძალიან მოსწონდა, პატარა ნაწილია, ერთი ოჯახივით ვართო, ისევ შეიცვალა ბრძანება და დაბრუნდა ისევ თავის მეოთხე ბრიგადაში. 6 აგვისტოს შემდეგ ჩემი შვილი აღარც მინახავს... ზურამ 7 აგვისტოს დამირეკა და მითხრა - დედა, რაღაც ისეთი საქმე გამოჩნდა სამსახურში, ეტყობა, რამდენიმე დღე ვერ გნახავო“.

მერე მეგობრებმა მითხრეს, თქვენ რომ ელაპარაკეთ, ჩვენ უკვე ცხინვალში ვიყავით და არ გითხრათო.

ზურას დედამ ტელევიზორი ჩართო და თავზარი დაეცა. დაიწყო შვილთან რეკვა. ზურას უკვე გათიშული ჰქონდა ტელეფონი. ვერც მის მეგობრებს დაუკავშირდა ვერანაირად. იმ დღეს ვერაფერი გაარკვია, შემდეგ დღეებში ზურას მეგობრებს ძლივს დაუკავშირდა, ცხინვალში ყოფნის ფაქტს ისინიც უმალავდნენ, გორში ვართო, მერე მოვდივართო, ზურას ამბავს დაზუსტებით ვერავინ ეუბნებოდა.

ნელი ბეგიაშვილი: „ბოლოს ვინც ნახა, ყველა ამბობს, რომ 8 აგვისტოს დაჭრილები გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან. ერთერთი გამოყვანის დროს, თვითონაც დაიჭრა ფეხში მსუბუქად და ისევ ცხინვალში შებრუნდა დაჭრილების გამოსაყვანად. ბიჭებს ეუბნებოდა, არაფერია, ბიჭებს მივხედავო. 8 აგვისტოს დაბომბვის მერეც, 9 აგვისტოსაც ბევრს ესმოდა ზურას ხმა რაციით.

შემდეგ, ვიღაც ოსს დაურეკავს მთავარი ექიმისთვის, ქართულად უთქვამს: ზურა ბეგიაშვილს თუ იცნობთო. მთავარ ექიმს უკითხავს, სად გყავთ ზურაო, იმ ოსს არ უპასუხია, პირდაპირ გინებაზე გადასულა. ცხადია, რომ ზურას ტელეფონი ჩაუვარდათ ოსებს ხელში და, ალბათ, ზურა ბოლოს ვისაც ურეკავდა, იმათთან დაიწყეს რეკვა... რომ არ გამოჩნდა, ყველგან ვეძებდით. სოზარ სუბართან მითხრეს, ცხინვალის პოლიციაში ტყვედ ჰყავთ და ჩვენ ვმუშაობთ ახლა ტყვეების გადმოყვანაზეო. თავდაცვის სამინისტროში გვითხრეს, ტყვედ არისო. 16 სექტემბერს დამირეკეს თავდაცვიდან, ზურა რუსების გამოგზავნილ სიაშიაო. ფაქტია, რომ ჩემი შვილი ტყვედ იყო ჩავარდნილი, შემდეგ დახვრიტეს...

სიზმარში რომ ვხედავ, გაღვიძება აღარ მინდა...“

კაპიტანი

ლერი ლაგურაშვილი

უმწიკვლო სამსახურისთვის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1976 - 2008

მენგიზ ლაგურაშვილს სამი ვაჟი ჰყავდა. სამივე იბრძოდა აგვისტოს ომში. ლევანი და ლექსო შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. ლერი სამხედრო ექიმი იყო, არაერთი მეომარი გამოგლიჯა ხელიდან სიკვდილს ... თავად უმძიმესად დაიჭრა და მარადისობაში გადასახლდა...

დაიბადა და გაიზარდა მუხიანის სამხედრო დასახლებაში, დღეს იმ ქუჩას ლერი ლაგურაშვილის სახელი ჰქვია და მას ყველა იცნობს, მაგრამ მაშინ, ბავშვობაში, ამ ერთი ბენო უბანში მას ბევრი არ იცნობდა. არადა, იქ სულ 7 კორპუსი იდგა და ყველა ყველას ახლობელ-მეგობარი იყო. ლერის უფროს და უმცროს ძმებს, ლევანსა და ლექსოს ყველა ცნობდა, მაგრამ ლერის – ძალიან ცოტა. მიზეზი მარტივი და საპატიო იყო, მაშინ, როცა ძმები ქუჩაში თამაშსა და გართობას ამჯობინებდნენ, ლერის წიგნებთან ურთიერთობა ერჩია ყველაფერს.

კითხულობდა და კითხულობდა. სკოლაშიც კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით უყვარდა ისტორია, გეოგ-რაფია, თავიდანვე ექიმობაზე ოცნებობდა, ექთანმა ბებიამ წნევის გაზომვაც ასწავლა და პირველი პაციენტიც ის იყო...

დედა: „უცხოპლანეტელებითაციყოგატაცებული, მეექვსე თუ მეშვიდე კლასში თემა დაწერა უცხოპლანეტელებზე, წერილიც მიიღო ბატონ თალეს შონიასგან, ძალიან სასიამოვნოა, ასე გათვითცნობიერებული რომ ხარ ამ საკითხებში და ასეთი კარგი თემა გამოგვიგზავნეო.

სკოლა რომ დაამთავრა, სამედიცინოზე უნდოდა ჩაბარება, ვერ მოხვდა და ჟინი გაუჩნდა, 2 წელი თავაუღებლივ მეცადინეობდა, ოთხივე საგანში ემზადებოდა, თან ისეთი საშინელი პერიოდი დაემთხვა, უშუქობა, უტრანსპორტობა... მასწავლებელთან საბურთალოზე დადიოდა და მეტრო რომ ჩერდებოდა, რამდენჯერ მოსულა ფეხით სახლში. რომ მოგეკლა, მოუმზადებელი არ წავიდოდა მასწავლებელთან, მთელ ღამეს გაათენებდა და მაინც ისწავლიდა, რაც ჰქონდა სასწავლი. სამედიცინო უნივერსიტეტში მესამე წელს მოხვდა, სამხედრო სამედიცინოზე ჩააბარა. თითქმის სულ ბიჭები იყვნენ, მაგრამ ბევრი არ გაჰყვა ამ გზას...“

20 წლის იყო ლერი, ნონა რომ გაიცნო. დამეგობრდნენ.

ნონა: „იმდენად კარგი ადამიანი, კარგი მეგობარი იყო, რომ მითხრა, მიყვარხარო, თავიდან ვერ მივიღე, თან ასაკით ცოტა უფროსი რომ ვიყავი, მართლა არასოდეს მიფიქრია მასზე... მაგრამ მერე და მერე... იმდენად კარგი ადამიანი იყო, არ შეიძლებოდა, გრძნობა არ გაგჩენოდა... როგორი თბილი ადამიანიც იყო, შეყვარებულიც ისეთივე თბილი და ყურადღებიანი აღმოჩნდა, დიდად რომანტიკული არ იყო, მაგრამ ყვავილები დაჭკნობას ვერ ასწრებდა ჩემს სახლში... იასამანი რომ აყვავდებოდა, არ არსებობდა, არ მოეტანა... მაშინ გამომცემლობაში, კომპიუტერულ ცენტრში ვმუშ-აობდი (პროფესიით სკოლამდელთა ფსიქოლოგია. – რ.შ.) და ლექციების შემდეგ ყოველდღე მაკითხავდა სამსახურში. არ არსებობდა, არ შეგყვარებოდა... სიურპრიზები უყვარდა, იცოდა, რომ ნოდარ დუმბაძის მოთხრობები მიყვარდა ძალიან. ახლა, ამ ორი დღის წინ ვნახე დუმბაძის წიგნი, ასოები ჰქონდა შემოხაზული ისე, რომ გამოდიოდა „ნონა“, „ლერი“... იცოდა, რომ წავიკითხავდი... ახლა, 2 დღის წინ ვნახე, მაშინდელი გაკეთებულია, იმის მერე არ ამიღია ის წიგნი...“

ლერის რამდენიმეწლიან ლოდინს ამაოდ არ ჩაუვლია. ნონა ცოლობაზე დათანხმდა. ოჯახი ოფიციალურად ჩავიდა ნონას მშობლებთან ხელის სათხოვნელად. ქორწილის არც საშუალება ჰქონდათ და არც სურვილი – ოჯახში ახლაც იხსენებენ, რომ პომპეზურობა არ უყვარდა. ჯვრისწერაც მოულოდნელი ჰქონდათ.

ნონა: „მეჯვარე იყო მოსული, ჯვარს რატომ არ იწერთო. მესამე დღეს მარხვა იწყებოდა და აბა, როგორ, მარხვა იწყება-მეთქი. ხვალ ხომ არაა მარხვაო და უცებ გადავწყვიტეთ...“

კაბა ერთ ღამეში შეუკერეს, ჯვრისწერა მეგობრების წრეში აღნიშნეს.

ნონა: „იმდენად ბედნიერი იყო იმ დღეს...“

შვილი მოგვიანებით, 4 წლის შემდეგ გაუჩნდათ.

ნონა: „ანას რომ ველოდებოდი, 2004 წელს, მაშინაც საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო ცხინვალში, ლერი იქ იყო. მახსოვს, 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, გამოაცხადეს, რომ იბომბებოდა ადგილები, სადაც ჩვენი ბატალიონები იდგა, საშინლად ცუდად გავხდი... ანა 10 სექტემბერს შეგვეძინა, ლერი ისევ სამაჩაბლოში იყო, შევატყობინეთ, ვერ ვახერხებ ჩამოსვლასო, გვითხრა, მაგრამ მოვიდა. საერთოდ ასე იცოდა, გეტყოდა, ვერ ვახერხებო, და მოულოდნელად დაგადგებოდა თავზე... თავიდან, სანამ ჩვენც გადავიდოდით სენაკში საცხოვრებლად, ყოველ შაბათ-კვირას ველოდით, ანა კარებში ჯდებოდა, მამიკოს ველოდებიო... დარეკავდა, ვერ ვახერხებ ჩამოსვლასო და გამოჩნდებოდა მოულოდნელად... შვილი ყველას უყვარს, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ანასთან, სამსახურიდან რომ მოვიდოდა, მუცელზე და-იწვენდა, ეთამაშებოდა, ტელეფონში სპეციალურად ჰქონდა ჩაწერილი თამაშები, ათამაშებდა, მუსიკას ასმენინებდა და ამბობდა, სულიერად ვმშვიდდები ამ დროსო... ანას ცუდ საქციელს არ პატიობდა, უჯავრდებოდა და ანას ეს ერთი გაჯავრება მთელ კვირას ჰყოფნიდა...“

დედა: „დაჭრილ ჯარისკაცებს პირველად დახმარებას უტარებდა, ჭრილობებს უხვევდა, ამ დროს, თავის გოგონას, ძმისშვილს, ხელს ვერ აკარებდა, ნემსს ვერ უკეთებდა, ელემენტარულად თითი რომ გაეჭრათ, ისე ნერვიულობდა...“

2002 წელს ლერი ლაგურაშვილმა სამედიცინო უნივე-რსიტეტი დაამთავრა და საჩხერის სამთო მსროლელთა ბატალიონის მთავარი ექიმი გახდა. ეს ბატალიონი შემ-

დეგ ქუთაისში გადავიდა, 2005 წელს ერაყში წავიდნენ. ერაყში, ლერისთან ერთად, მისი ძმებიც იყვნენ. ერაყიდან დაბრუნებულებს სენაკის ბაზა დამთავრებული დახვდათ და სამთო მსროლელთა ბატალიონიც სენაკში გაამწესეს, მეორე ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში შეიყვანეს 21-ე ბატალიონად და ლერიმაც ამავე ბატალიონის მთავარ ექიმად გააგრძელა მოღვაწეობა. სექტემბერში უკვე გერმანიაში უნდა წასულიყო 2 წლით სასწავლებლად. ომი რომ დაიწყო, მოსამზადებელ კურსებს გადიოდა თავდაცვის აკადემიაში, გერმანულ ენაში. ომში არც გამოუძახიათ, ისე წავიდა.

ნონა: „სახლში რომ მოვიდა და თქვა, მივდივარო, ვკითხე, თუ არ გამოუძახიხარ, რატომ მიდიხარ-მეთქი. ბატალიონს ასეთ ცხელ წერტილში ექიმის გარეშე ვერ გავუშვებო. რა უნდა მეთქვა? 7 აგვისტოს წავიდა სენაკში... მე და ანანო ყოველთვის ვაცილებდით ხოლმე, იმ დღეს ვერ გავაცილე... ისე მოხდა, რომ ანა ატირდა და მას შევყევი სახლში, ამ დროს გავიდა ლერი სახლიდან, მარტო დედა იდგა კართან... მე დამიბარა, ზესტაფონში წადი, უფრო მშვიდად ვიქნებიო, მე და ჩემი მამამთილი ბავშვთან ერთად უნდა წავსულიყავით კიდეც მეორე დღეს, მაგრამ გადავიფიქრე. რომ დაიჭრას, აქ ჩამოიყვანენ-მეთქი... ეტყობა, ვგრძნობდი, რაც გველოდა... წინა დღეებში თვითონ ძალიან აფორიაქებული იყო, ვერ იძინებდა, სიზმრებს აღარც მიყვებოდა, იმდენად განვიცდიდი... ძალიან აფორიაქებული იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიკვდილის განცდა ჰქონდა, ან არ მეუბნებოდა... საერთოდ, თუ რამე პრობლემა ჰქონდა ან წინააღმდეგობები, არასოდეს მეუბნებოდა, ყოველთვის სხვისგან ვიგებდი ხოლმე მოგვიანებით, მიფრთხილდებოდა... წავიდა... 8 აგვისტოს რომ დავურეკე, დამიმალა, ისევ სენაკში ვართ, არ გავსულვართო, მაგრამ ლერის ძმა იმავე ბატალიონში მსახურობდა და ოჯახით იქ იყო, ჩემს მაზლის ცოლთან დავრეკე და მითხრა, ამ დილას წავიდნენ ცხინვალშიო...

9 აგვისტოს, 10 საათი იყო, რომ დავურეკე. მითხრა, ნუ მირეკავ, მე თვითონ დაგირეკავო, მივხვდი, ისეთ სიტუაციაში იყო, ლაპარაკი არ შეეძლო, აღარ დაურეკავს... 12 საათზე უკვე დაჭრილა...“

ცხინვალიდან გამოსული ჯარი ნიქოზში დაბანაკდა. ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე. იმ მომენტისთვის ბატალიონი თავდასხმას არ ელოდა, საჭმელს ჭამდნენ. როგორც თანამებრძოლებისგან შეიტყვეს, ლერის არც ჩაფხუტი ხურებია, არც ჯავშანი სცმია და... დაბომბვა დაწყებულა. პირველად ბარძაყში დაჭრილა. დაბომბვა გრძელდებოდა და ლერი თვითონ იხვევდა ჭრილობას. ყველა მხრიდან: „ექიმი, ექიმიო“ ყვიროდნენ...

ნონა: „ლერის ფერშალი მიჰყვებოდა. რომ დავინახე, ლერი დაიჭრა, ლერისკენ გავიქეცი, მაგრამ ხელით მანიშნა, მე თვითონ მივხედავ თავს, შენ სხვებს მიხედეო...“

ლერიმ ჭრილობა შეიხვია და სამედიცინო მანქანისკენ წავიდა, რაციით სასწრაფო რომ გამოეძახა, აიღო რაცია და თავიდან დაიწყო დაბომბვა... დაიჭრა კეფაში, გულმკერდის არეში, უამრავი ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ თავისი ფეხით ჩამოვიდა გორის ჰოსპიტალში, თან დაჭრილები ჩამოიყვანა. ერთ-ერთ ექიმს მორფი და ტელეფონი მისცა და სთხოვა, ჩემს მეგობარს, ექიმ პაატა თედელურს გადაეცითო. გადასცეს თუ არა ტელეფონი, პაატა თედელურმა მეგობრის მოძებნა დაიწყო დაჭრილებში.

ლერი ლაგურაშვილმა ჰოსპიტალში დაკარგა გონი, გაითიშა. თავზე რთული ოპერაცია იყო ჩასატარებელი და თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს. რთული ოპერაცია ჩაუტარეს. ლერის მეგობრებმა მაშინ შეატყობინეს ოჯახს.

მამა: „მეზობელმა დამირეკა, სტუმარია თქვენთან, გკითხულობთო. ლერის თანაკურსელი იყო. ლერი დაჭრილი, ჩამოიყვანესო. ოჯახში არაფერი ვუთხარი, კითხვები დამაყარეს, ვინ იყო, რა ხდება, ვინ არისო. არაფერი მითქვამს, რამე რომ მეთქვა, მიხვდებოდნენ, სამივე ბიჭი იქ იყო, ლერი და ლევანი ერთ ნაწილში იყვნენ, ლექსო საჩხერის მხრიდან იყო შესული, ჯავის მხარეს... არაფერი მითქვამს, ისე გავქანდი ტაქსით. გზაშიღა გამახსენდა, რომ საავადმყოფოც არ მიკითხავს, სად იყო. მეზობელს დავურეკე: ნახე, მანდ ხომ არ არის ის ბიჭი და დამალაპარაკე-მეთქი. ჯერაც იქვე ეზოში ყოფილან, დამალაპარაკა. „არამიანცშია“, მაგრამ ვერ მიაგნებთ, სახლში მოდითო... მართლა შევშინდი, რას ნიშნავს, ვერ მივაგნებ... ხომ არ დავიღუპე-მეთქი... მივედი სახლთან, მისი 4 კურსელი იდგა. ცოცხალია, მართალია, მძიმეა, მაგრამ სტაბილურიაო, დამამშვიდეს და წავედით „არამიანცში“. რომ მივედით, არ ამიყვანეს, ექიმს ვნახავთ და აგიყვანთო. ექიმი ჩამოვიდა, არ არის საჭირო ასვლა, რეანიმაციაშია, აპარატზეა შეერთებული, გულწრფელად გეუბნებით, მძიმე მდგომარეობაა, მრავლობითი ჭრილობები აქვს, მაგრამ სტაბილურია და მდგომარეობიდან გამოვაო. ვთხოვე, საცაა მოვლენ მეუღლე, დედამისი, ერთ ამბავს ატეხენ და მაჩვენეთ, დამახედეთ და იმათ მე დავამშვიდებ-მეთქი. კარგი. ავალ, მოვამზადებო. არ მოვეშვი, თუ სისხლია მოსაწმენდი, არაა საჭირო, მე თვითონ სამხედრო ვარ, 23 წელი მაგ დასაქცევებს ვემსახურე, 8 წელი – ქართულ ჯარს და ამიყვანეთ-მეთქი. ამიყვანეს, მანახვეს...

ყველა ჭრილობა შეუხორცდა, მაგრამ თავზე გართულდა მდგომარეობა და მეთერთმეტე დღეს დალია სული...“

ნონა: „თითქოს დამთხვევა იყო, 2000 წლის 12 აგვისტოს დავქორწინდით, 2008 წლის 12 აგვისტო იყო, პირველად რომ მომცეს ნახვის უფლება...

ექიმმა მითხრა, ელაპარაკეთ, ესმისო. ხელით რომ შევეხე, ლერი, გესმის-მეთქი, ხელებისა და ფეხების მოძრაობა დაიწყო, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ

იმდენად მძიმედ იყო, ლაპარაკი არ შეეძლო. რომ მივხვდი, რომ ესმოდა, ძმებზე ტყუილიც ვუთხარი, უკვე აქ არიან-მეთქი, დავამშვიდე, ვიცოდი, რომ მათზე ინერვიულებდა... მერე ვიფიქრე, არ შევაწუხო, მერე მოვუყვები, როცა გამოკეთდება-მეთქი, ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ აღარ იქნებოდა...

საოცრად გულისხმიერი იყო, არავის მიმართ არ იყო გულგრილი, ხშირად მეგობარს, ნათესავს დახმარება დასჭირვებია, ჩვენ გარკვეული მიზნისთვის განკუთვნილი თანხა გვქონია, მაგრამ ლერის უთქვამს, მოდი, იმას დავეხმაროთ და ჩვენ ეგ შემდეგ თვეში გავაკეთოთო. ასე ხდებოდა ყოველ თვე... სხვისი ბედნიერებით ცხოვრობდა... მის გარშემო თუ ყველა კარგად იყო, ისიც კარგად იყო და ყოველთვის ღვთის მადლობელი იყო იმით, რაც გვქონდა და ყოველთვის მეუბნებოდა, მამშვიდებდა, ჩვენ ძალიან კარგი მომავალი გვაქვს, ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწევთ, ანანოსთვის ყველაფერს გავაკეთებთო. დიდი პერსპექტივა ჰქონდა, ძალიან უხაროდა, გერმანიაში რომ მიდიოდა სასწავლებლად, აქაც, როცა ამერიკელები ჩამოდიოდნენ ტრენინგებზე, ყოველთვის ესწრებოდა და ყოველთვის კმაყოფილი იყო.

ბევრ რამეს ვსწავლობო. ინტერნეტში ეძებდა სამედიცინო მიღწევებს, ცდილობდა, მოვლენებს არ ჩამორჩენოდა. ყოველთვის ახლის ძიებაში იყო...“

თინგიზ ლაგურაშვილი: „ეკლესიური იყო, ხშირად დაჰყავდა თავისი თანაკურსელები ფიტარეთში, ბოლნისის სოფელ აკაურთაში, სასაფლაოს ეკლესია იყო ძველი, იქ ხატის ჩარჩო იპოვა, მეტალისგან დამზადებული, გაასუფთავა, შემდეგ, მოძღვრის რჩევით, ხატი დააწერინა, ჩასვა ამ ჩარჩოში და ეკლესიას შესწირა...“

ლერი ლაგურაშვილს გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა – გარდაცვალების შემდეგ. მშობლიურ ქუჩას – მისი სახელი.

თენგიზ ლაგურაშვილი: „თავიდან თავდაცვის სამინისტროში მითხრეს, რომ ლერის სახელი გლდანში ერთ-ერთი ქუჩისთვის უნდა დაერქმიათ. მერე ჩვენმა ძველმა მეზობლებმა რომ გაიგეს სამხედრო დასახლებაში, მითხრეს, რაღა გლდანში არქმევენ, ლერი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა და ბარემ აქაურობას დაერქვასო. (დასახლებიდან ჩვენ 2002 წელს გადმოვედით). თან ამ დასახლებას ასე ეწოდებოდა: „ მუხიანის სამხედრო დასახლება – ავჭალა-1“. დავრეკე თავდაცვის სამინისტროში, ასეთი ინიციატივა აქვთ მეზობლებს-მეთქი. გადაამოწმეს მერიაში და დაარქვეს ლერის სახელი“.

ნონა: „ძალიან ძნელია ლერის გარეშე. ანას ენატრება... ყოველ ღამე მთხოვდა, მამიკოს ტელეფონი მომეციო, ერთხელ ვკითხე, არ მოგბეზრდა-მეთქი, არა, ამით მამიკო მახსენდებაო. 4 წლისაა, ვერ ვიფიქრებდი, რომ ამ დონეზე განიცდიდა, მძიმედ გადაიტანა, თავიდან ძალიან ჩაიკეტა, გულჩათხრობილი გახდა, იმდენად, რომ ფსიქოლოგთან მივიყვანე. ცალკე დაელაპარაკა, ეთამაშა. მითხრა, ძალიან დიდი სურვილი აქვს, რომ მამაზე ილაპარაკოს, მაგრამ, რომ გატყობთ, განიცდით, ტირით, აღარ ლაპარაკობს და სჯობია, ელაპარაკოთ ტკბილ მოგონებებზეო. მამაზე ლაპარაკი რომ დავუწყეთ, გაიხსნა. სულ უნდოდა, რომ მამაზე ელაპარაკა, ისეთ მომენტებს იხსენებს, მე რომ არ მახსოვს, ლერის მანერებს იხსენებს, მერე, რომ ვიხსენებ, მართლა მასე იცოდა. ძალიან რთულია. ასეთი მამა აღარ ჰყავს და უნდა შევუვსო... ლერი უმეტესად წასული იყო, ახლაც თითქოს ისეთი განცდა აქვს, ოდესღაც მოვა. ანა თავის დაბადების დღეზე სულ კარისკენ იწევდა, შემოდიო, ეუბნებოდნენ, არა, კიდევ უნდა მოვიდეს ვიღაცო. თითქოს მამას ელოდებოდა...



უფროსი ლეიტენანტი

გიორგი ნადარეიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1979 - 2008

„საქართველოსთვის, ბიჭებო, წინ, ჩვენი მიწა-წყლისთვის, ბიჭებო“, – ასე შესძახებს თანამებრძოლებს გიორგი ნადარეიშვილი და წინ გაიჭრება. მტერი ჯერ „ლიმონკით“ გაუმასპინძლდება, მსუბუქად დაჭრილი განაგრძობს ბრძოლას. შემდეგ „მუხა“... შორს ხევში გადავარდება. ცოცხალი აღარავის ჰგონია. ის მაინც ამოვა და ყურებიდან, პირიდან სისხლმდინარი გააგრძელებს ბრძოლას. იბრძოლებს მანამ, სანამ მედდები, ლამის იძულების წესით, არ ჩასვამენ „ჰაიოკში“, ბრძოლის ველიდან გასარიდებლად. მაგრამ ის თავის ადგილს უარესად დაჭრილ თანამებრძოლს დაუთმობს. „ჰაიოკი“ თავს დააღწევს ბრძოლის ველს. გიორგი კი საავიაციო დაბომბვას ემსხვერპლება...

29 წლის გიორგი ნადარეიშვილი უშვილძიროდ გადაეგება, მეუღლე ათიოდე თვის მოყვანილი ჰყავდა...

მანანა მეგალიშვილი, გიორგი ნადარეიშვილის დეიდა: „დაიბადა თბილისში, თავიდანვე მოსული, მასიური ბავშვი იყო, არ იყო ცელქი. თავის ასაკთან შედარებით ძალიან გაწონასწორებული, სერიოზული ბავშვი იყო, იმდენად, რომ ყველას უკვირდა საახლობლოში, ჩვენს სამეგობროში, ნათესაობაში. პატარაობიდანვე ოცნებობდა სამხედრო ფორმაზე, არადა არავინ გვყოლია სამხედრო, არც ნათესაობაში, არც საახლობლოში... დედა დიასახლისია, მამა ფიზიკურად მუშაობდა სამშენებლო-სავაჭრო ბაზაზე. ყველას გვიკვირდა გიორგის ასეთი დამოკიდებულება სამხედროების მიმართ... ალბათ, შინაგანად იყო მებრძოლი... პირველი 7 წელი აქ, თბილისში, სწავლობდა, შემდეგ დედ-მამა საცხოვრებლად აბაშის რაიონში, სოფელ ოტობოში გადავიდნენ და გიორგიც აბაშის გიმნაზიაში გადაიყვანეს, სკოლა იქ დაამთავრა. პირველივე წელს ჩააბარა სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, ყოველგვარი მომზადებისა და რეპეტიტორების გარეშე. პირველი კურსი რომ დახურა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, იმ დროს უნივერსიტეტი უკვე ვეღარ იხსნიდა ჯარიდან. წავიდა, ქუთაისში იხდიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს, მაგრამ მაშინ სამეგრელოში არეულობა იყო და მათი ნაწილი ზუგდიდში გადაიყვანეს. არეულობა და ინციდენტები რომ იყო, ძალიან ვნერვიულობდით, ვფიქრობდით, რამენაირად გაგვერიდებინა ბავშვი ტყვიების წვიმას... ჩავედით კიდეც და გიორგის ვუთხარით, როგორმე გავაკეთებთ საქმეს, რომ აქედან თბილისში გადაგიყვანოთ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა, არ წამოვალ, მე მაგის კაცი არ ვარ, ასეთ დროს მეგობრები მივატოვო, როგორ ჩავხედო მერე მათ თვალებშიო... ომის დროს კაცი რომ მეგობრებს ზურგს შეაქცევს და წავა, სამშობლოს მოღალატეაო... ჯარი რომ მოიხადა, უნივერსიტეტი დაამთავრა, თუმცა არც ის წლები დაუკარგავს. ჯარში რომ გაიწვიეს, დაუსწრებელზე გადავიდა, ჩამოდიოდა და გამოცდებს აბარებდა. ჯარის მოხდის შემდეგ ისევ დასწრებულზე დაბრუნდა... უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, შინაგან ჯარში წასვლა გადაწყვიტა, სერჟანტობიდან დაიწყო სამხედრო კარიერა... სამშობლო უყვარდა და რაღაცას რომ აკეთებდა სამშობლოსთვის, ეგონა, რომ სასწაულს აკეთებდა. ამასობაში ამ სამშობლოს სიყვარულით დაამთავრა თავისი სიცოცხლე...“

მაია ტოტიკაშვილი, გიორგის დეიდა: „ნაბიჯ-ნაბიჯ გაიკეთა კარიერა. სულ შინაგან ჯარში იყო, შემდეგ, თათუხაშვილი რომ მოვიდა სარდლად, შინაგანი ჯარის „სპეცნაზი“ შეიქმნა და იქ მსახურობდა ერთი წელი. მერე ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა, მისი ნაწილი მთლიანად თავდაცვის დაქვემდებარებაში გადავიდა, მას არ შეუცვლია ნაწილი. ყველგან ძალიან დადებითად იხსენებენ... თანამებრძოლებიც და მეგობრებიც. როგორც მეგობრები გვეუბნებიან, არაჩვეულებრივი მეგობარი იყო... სახლში, რომ მოგეკლა, არ გეტყოდა, რა ხდებოდა მის გარშემო, რა პრობლემები ჰქონდა სამსახურში. ჩვენ ვერანაირად ვერ დავეხმარებოდით და ჯარი ისეთი სამსახურია, იქიდან სიტყვაც არ უნდა გავიდეს... დეიდაშვილები უყვარდა უზომოდ... ბავშვთან ბავშვი ხდებოდა, ჩვენთან – ჩვენხელა, მოხუცებსაც ისეთი სიყვარულით ეფერებოდა... გიორგი ჩვენთვის, ოთხი ოჯახისთვის, ერთადერთი ბიჭი იყო, თვალებში შევყურებდით, თვალებით ვიგებდით, რა სწყინდა და რა უხაროდა...“

უფროსი ლეიტენანტი გიორგი ნადარეიშვილი 2008 წლის გაზაფხულიდან მეოთხე ბრიგადის 42-ე ბატალიონის იურისტად მუშაობდა. 6 აგვისტოსა და 7 აგვისტოს გასაყარი იყო, შინ რომ დარეკა, განგაშია და ბარგი გამიმზადეთო.

იმ ღამესვე წავიდა.

მანანა მეგალიშვილი: „იმის მერე აღარც ზარი, აღარც არაფერი... როგორც მეუღლემ გვითხრა, რვაში ელაპარაკა. სად ხარო, უკითხავს, გიორგის რაღაცები უხუმრია, უმალავდა, რომ ბრძოლის ველზე იყო. ზარი რომ გავუშვი, გამითიშაო. ასე იცოდა, გათიშავდა და მერე გადმორეკავდა ხოლმე... მაგრამ აღარ გადმოურეკია...“

გიორგი ნადარეიშვილი 8 აგვისტოს დაიღუპა ბრძოლის ველზე.

მაია ტოტიკაშვილი: „როგორც თანამებრძოლები, შტაბის უფროსი, მეთაური გვიყვებიან, ცხინვალში შესვლისას გიორგი გვამხნევებდა: ბიჭებო, არ შეგეშინდეთო, დაგვძახოდა, სტიმულს გვაძლევდა. ალბათ, ყველას გვეშინოდა, მაგრამ ერთმანეთს არ ვაგრძნობინებდითო. გიორგი კი ისეთ სტიმულს გვაძლევდა, არანაირი შიში არ ეტყობოდაო. დაგვძახა: „საქართველოსთვის, ჩვენი საქართველოსთვის, ბიჭებო, ჩვენი მიწა-წყლისთვისო!!!“... მაგ დროს ესროლეს ყუმბარა, „ლიმონკას“ რომ ეძახიან. ყუმბარის ნამსხვრევებმა,

პატარა ჭრილობები მიაყენაო. მერე უსროლიათ „მუხა“. გიორგი ხევში გადავარდნილა. ექთნებს უყვირიათ: ვაიმე, გიორგი მოკლეს, ხევში გადავარდაო. გიორგი უკვე დაღუპული ეგონათ, მაგრამ ხევიდან ამოვიდა. მეთაური გვიყვებოდა, გიორგი რომ ამოვიდა, გვეგონა, რაღაც განათდა, ასეთი რამ არ გვინახავს, კაცი ამხელა მანძილზე გაისროლა, ის კი ხევიდან ამოვიდა. გიორგი დაჭრილი ყოფილა და ისევ იბრძოდა, არადა უკვე ჰქონდა კანტუზია, ყურებიდან და პირიდან სისხლდენა... მედდებთან მისულა, რამეს თუ მიშველითო. გოგოებს უთქვამთ, შენი აქ გაჩერება არანაირად აღარ შეიძლება, მძიმედ ხარ დაჭრილი და უნდა წაგიყვანოთო. წაუყვანიათ. როგორც მედდებმა გვიამბეს, მძიმედ დაჭრილი გიორგი მაინც უსაფრთხოებას უკეთებდა გოგოებს. ჩასვეს „ჰაიოკში“. მანქანა შევსებულა. გზაზე რომ გამოდიოდნენ, ვიღაც ყოფილა დაჭრილი ძალიან მძიმედ, სისხლისგან იცლებოდაო... გიორგის მეგობარი ყოფილა ის. გიორგი ჩამოსულა მანქანიდან ამ კანტუზიით, ეს ჩასვითო. ექთნებს უთქვამთ, რას შვრები, სად მიდიხარო, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს. გიორგი ჩამოვიდა, თავისი ადგილი დაუთმო იმ ბიჭს. მე დაგეწევით, ფეხით ვივლიო. მერე წამოვიდა ავიაცია და დაიწყო დაბომბვა, გიორგი დაბომბვაში მოყვა და დაიღუპა. იმ „ჰაიოკმა“ გამოასწრო, ჩამოვიდა სამშვიდობოს... გიორგის დაბადების დღეზე მოსული იყო ის ბიჭი, ვისაც გიორგიმ თავისი ადგილი დაუთმო. გვებოდიშებოდა, თავისი სიცოცხლე მე მაჩუქა და ბოდიშს გიხდითო... ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს... ასეთი ვაჟკაცი იყო გიორგი... გადასვენების დღეს, მეთაურმა, ბატონმა კიკაბიძემ გვითხრა, მერჩია, ორივე ხელი დამეტოვებინა ომში და გიორგი ცოცხალი მყოლოდა, ჩემი მარჯვენაც ეგ იყო და მარცხენაცო...“

გიორგის დას ბატალიონის მეთაურმა 11 აგვისტოსვე მიუსამძიმრა, მაგრამ მშობლებს, დეიდებს მაინც არ სჯეროდათ გიორგის გარდაცვალება.

მანანა მეგალიშვილი: „ იმდენად გამოცდილი იყო, რატომღაც გვეგონა, რომ ცოცხალი გადარჩებოდა, მაგრამ რა გადაურჩება ტყვიებისა და ბომბების წვიმას...

უწმინდესმა რომ გადმოასვენა, იმ გადმოსვენებულებში იყო ჩვენი გიორგი, 32-ე ნომრით ძმათა სასაფლაოზე... აგვისტოში დედამისი დაიბარეს და ანალიზი აუღეს „დეენემისთვის“, პასუხი ოქტომბრის ბოლოს იყო, 7 ნოემბერს აბაშაში გადავასვენეთ და 8 ნოემბერს დავკრძალეთ...“

მართლაც სხვა მადლით უნდა იყო ცხებული, თავი რომ გასწირო სამშობლოსთვის და მით უმეტეს, ერთი თანამოძმისთვის, ასეთ ჟამს დათმო შენი ადგილი, სხვას მისცე სიცოცხლის ბილეთი და თავად მარადისობის გზა-შარას გაუყვე...

კაპრალი

სოსო ღვინიაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1987 - 2008

ცხინვალში, ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული გმირის ცხედარს, გადმოსვენების მერე გულის ჯიბეში მობილური ტელეფონის სიმბარათი უპოვეს. ბარათზე მხოლოდ ერთი ნომერი ეწერა, უსახელოდ – „მხოლოდ შენ“. მასთან დარეკეს. ის გოგონა იმ ჯარისკაცის საცოლე იყო. ის ჯარისკაცი - სოსო ღვინიაშვილი. სოსო მხოლოდ 20 წლის იყო...

თვალცრემლიანი დედა გაიხსენებს, რომ სოსო ბავშვობიდანვე ხიფათიანი იყო, ზედმეტად ცელქი, მოუსვენარი და ამავე დროს, ყველა ხიფათიდან მშვიდობით გამოდიოდა...

...სახლის წინ წყლით სავსე, დიდი კასრი ედგათ, სადაც კაკალი ცვიოდა. სამი წლის სოსო აძვრა, გადაეყუდა კაკლის ამოსაკრეფად და... წყალში ჩავარდა. დედას დღესაც უკვირს, როგორ ამოათრია 3 წლის სოსო მასზე სულ ერთი წლით უფროსმა ძმამ - დათომ...

სულ ფათერაკიანი ყოფილა და სულ მშვიდობით გამოდიოდა ამ ფათერაკებიდან... თვალცრემლიანი დედა იტყვის, რომ ომის შემდეგ, როცა არ ჩანდა და როცა ვეძებდით, ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ დაბრუნდებოდა...

ლია ღვინიაშვილი, სოსოს დედა: „მეშვიდე კლასამდე ხუთოსანი იყო. მერე სიყვარულის წლები დაუდგა და ცოტა გაცელქდა. სულ შეყვარებული იყო და ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავდა... თვითონაც უყვარდა თავის გამოჩენა... 8 მარტს ყვავილებს ყიდულობდა ყველა თანაკლასელი გოგონასთვის, ყველაზე ადრე მიდიოდა სკოლაში და დილით რომ შეაღებდნენ კარებს, ყველა გოგონას მერხზე ედგა ყვავილები, ნამცხვრები, ტკბილეული, ლიმონათები... ასე დაახვედრებდა ხოლმე...“

სოსო ღვინიაშვილი გურჯაანის რაიონში, სოფელ მახარაძეში დაიბადა, 9 კლასი იქ დაამთავრა, შემდეგ სწავლა კაჭრეთის ლიცეუმში განაგრძო. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ეროვნული გამოცდებიც გაიარა, იურიდიულზე სურდა ჩაბარება, საკმარისი ქულები ვერ დააგროვა, მეორადი ჩარიცხვებისას გამწვანების ფაკულტეტი შესთავაზეს. იუარა. მეორე წელს აპირებდა ისევ ჩაბარებას.

დედა: „ცდილობდა დამოუკიდებელი ყოფილიყო. კერამიკის საამქროში დაიწყო მუშაობა. სამხედრო სავალდებულო სამსახური გადაუვადეთ კიდეც, თანხაც გადახდილი გვქონდა უკვე, მაგრამ მაინც წავიდა. ვაზიანში იყო. არ ვიცი, წინათგრძნობა იყო თუ რა იყო, როცა მასთან მივდიოდით, ყოველთვის ცრემლი მდიოდა და სულ მიტევდა, რა გატირებს, ვერ გავიგე რაზე ნერვიულობო... მერე სამაჩაბლოშიც იყო სამშვიდობო მისიით...“

სოსო სწორედ ამ დროს თავის ერთ-ერთ ლექსში დაწერს:

„ცივია ჯარის კედლები, სახლში ჯობია, დედა.
აქედან მე ჩემს ცხოვრებას გუშინდელივით ვხედავ...
...უცებ გაივლის ეს ერთი წელი, ჩემო ძვირფასო დედა.
როგორც კი ცხინვალს მოვივლი, სახლში მოვდივარ, დედა“.

სავალდებულო ერთმა წელმაც განვლო, ცხინვალიც მოიარა, მაგრამ შინ არ დაბრუნდა. გადაწყვიტა კონტრაქტით გაეგრძელებინა ჯარში სამსახური.

დედა: „ვუშლიდი, არანაირად არ მინდოდა, რომ გადასულიყო საკონტრაქტოზე, მაგრამ მაინც გადავიდა. გაჭირვებით ოჯახში ნამდვილად არ გვიჭირდა, მაგრამ თვითონ სურდა დამოუკიდებელი ყოფილიყო. დამოუკიდებელი ცხოვრება უნდოდა, არადა ჯერ განათლება არ ჰქონდა მიღებული, სულ 19 წლის იყო, სამსახურიც დაბალხელფასიანი იყო, არასტაბილური... რასაც დაისახავდა მიზნად, აკეთებდა კიდეც... თანაკლასელი გოგონები იხსენებენ, ვკითხეთ რატომ დარჩი ჯარშიო და აბა, თქვენ ვინ დაგიცავთ, საქართველოს ვინ დაიცავსო... ყველას უყვარდა...

ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო და არ ვიცი სად აგროვებდა ამდენ მეგობრებს...

ცხოვრებაშიც, იმას კი არ ნერვიულობდა, რაც შეემთხვეოდა, დედა ინერვიულებს რომ გაიგებსო... რასაც თვითონ გადაწყვეტდა, იმას აკეთებდა. მიზანდასახული იყო ძალიან. მე თუ რამე არ მომწონდა და ვეუბნებოდი, ვარიგებდი, არ მაწყენინებდა ხოლმე, მისმენდა, მაგრამ მაინც იმას აკეთებდა, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ისე გააკეთებდა, დამარწმუნებდა, რომ ასე სჯობსო...

თავის პატარა, 7 წლით უმცროს ძმაზე აბოდებდა, ანებივრებდა ყველანაირად, ხელფასს რომ აიღებდა ყოველთვის მიჰყავდა სადღაც...

შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ მათ ბატალიონს ერაყისთვის ამზადებდნენ და შეთანხმდნენ, ერაყს რომ მოივლიდა მერე უნდა დაოჯახებულიყვნენ... უკვე ოფიციალურად იყო ყველაფერი გადაწყვეტილი, მაგრამ... ეჰ...“

დათო ღვინიაშვილი, ძმა: „მანქანა უნდოდა ძალიან, კრედიტი გამოიტანა და იყიდა მანქანა, რაღაცას ეშურებოდა, რაღაცის მოსწრება უნდოდა. დილით ნაწილში ცხადდებოდა. თავის ასაკთან შედარებით იმდენი და ისე იცხოვრა... ეჰ, ნეტა ეცოცხლა...

უსამართლობას ვერ იტანდა და ხშირად უწევდა ჩხუბი, კონფლიქტი.“

ჯარისკაცი შინიდან ბოლოს 4 აგვისტოს გავიდა...

მეგობარი დაეღუპა, ნაწილიდან იყო გამოსული სამძიმარზე.

ღამით შინ მისვლას აგვიანებდა. ღამის სამი საათი რომ დაიწყო, დედა შეეხმიანა. მოვალო. კიდე აგვიანებდა, კიდე შეეხმიანა დედა. მუდამ მომღიმარი სოსო იმ დღეს დედას ძალიან დაღონებული ეჩვენა. ის დაღონება მეგობრის დაღუპვით ახსნა.

მეორე დილით, ორჯერ გააღვიძა დედამ, ორჯერ შეიბრუნა ძილი, არ წამოდგა, სანამ გელა მებაღიშვილმა არ დაურეკა.

დედა: „ძალიან ჩქარა ადგა, ჩაიცვა, ყოველთვის როცა სახლიდან გადიოდა, არ არსებობდა რომ არ დამმშვიდობებოდა, არ გადავეკოცნე, ისე წავიდა... გამიკვირდა, ვიფიქრე, ალბათ, წუხელ რომ დავურეკე, ეწყინა-მეთქი... წავიდა და მალევე ამობრუნდა, მეგობრის სურათი დამავიწყდაო, გულზე გასაკეთებელი, ის სურათი, ერთი ნაბეღლავის ბოთლი აიღო და გავაცილე იმ გზაზე... გაიარა კორპუსებს შუა, იმის მერე თვალი არ მომიკრავს...“

ოჯახი ყოველდღე ეხმიანებოდა სოსოს. დედამ 7 აგვისტოსაც დაურეკა.

დედა: „ბანკიდან კრედიტი ჰქონდა გამოტანილი და

რიცხვი ზუსტად არ მახსოვდა, 7 აგვისტოს უნდა შემეტანა თანხა თუ 8 აგვისტოს, მაგის საკითხავად დავურეკე. არც მიეჭვია, ჩვეულებრივ მელაპარაკა, კარგად ვარო... თავისი მეგობრის გასვენება იყო უკვე და ვკითხე, არ მოდიხარ-მეთქი, და ვერ ვახერხებო, დე, ხო იცი, ჯარია და ვერ ვახერხებო. პარასკევს ხომ მოხვალ-მეთქი. ვერ შეგპირდებიო... მე რომ ველაპარაკებოდი, იმ დროს უკვე სამაჩაბლოში ყოფილა...“

დათო, ძმა: „მე რომ ველაპარაკე შვიდში, ჩემთვის არ დაუმალავს რომ ომში იყო, მაგრამ გამაფრთხილა, დედას არ უთხრა, ინერვიულებსო. თან მეც მამშვიდებდა, სადაც ვარ აქ არაფერი არ ხდება, იქით იბომბებაო. სახლში ვერ ვამბობდი, ძმაკაცებთან ვთქვი, რა გამაძლებინებდა, ვიცოდი, რომ ომში იყო და იქაურობა იბომბებოდა, 8-ში მეც და ჩემი ძმაკაცებიც ყველა ვრეკავდით. სულ გამორთული ჰქონდა. მერე თვითონ გამომიშვა ზარი... დღის 12 საათისკენ... რომ ველაპარაკე ხმაზე უკვე აღარ ეტყობოდა სიმხიარულე... მარტო ეგ მთხოვა ანგარიშზე ჩამირიცხეო. მესიჯით გავუგზავნე ბარათის კოდი, გადავურეკე, რომ გამერკვია, მიუვიდა, არ მიუვიდა... გამორთული ჰქონდა უკვე და იმის მერე აღარ ჩაურთავს ტელეფონი...“

სოსო გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე...

დედა: „მოკვლევის მიხედვით, 8 აგვისტოს ხეთაგუროვში იყვნენ, სოსოს აუყვანია ტყვეები და ინფორმაციას სძალავდა, დანაყოფისთვის ბრძოლა რომ გაეადვილებინა. წერია, რომ 9 აგვისტოს, შანხაის ტერიტორიაზე, ორმხრივი ცეცხლის დროს დაიღუპა გმირულად... როგორ დაიღუპა არავინ იცის... ალბათ, სანამ ცოცხალი ვიქნები გამტანჯავს ამაზე ფიქრი, როგორ დაიღუპა... იმ საშინელი დაბომბვების მერე გაგიჟებულებმა 9 საავადმყოფო მოვიარეთ, ბოლოს მეოთხე საავადმყოფოში მისი ასეულის ყოფილი სერჟანტი, გიგა ლილუა ვნახეთ, სოსო ღვინიაშვილი რომ ვუხსენე, მაშინვე სურათიც ვანახე, მითხრა, ვიცი, ვიცი, ჩემს ასეულში იყოო და ამბის გასაგებად გადარეკა, ღვინიაშვილის რა ისმისო. ვისაც დაურეკა, ეტყობა იმან ძალიან ცუდი რაღაც უთხრა. მე, თქმით არაფერი მითხრა, მაგრამ გვერდზე გადატრიალდა და „აუ, რა ბიჭი“ - წამოცდა კიდეც... რამე ცუდი ხომ არ გითხრა-მეთქი, და არა, არა, ქალბატონო, ეს ბიჭები კარალეთიდან მოდიან, დაწყნარდითო. ისე მითხრა, სახეზე არ შემოუხედავს. მივხვდი, რომ იმან უთხრა ცუდი რაღაც...“

დათო: „მისი ადამიანურად მესმის. გაიგო, მაგრამ არ თქვა, არ უნდოდა მისგან გაგვეგო... მერე ბიჭი ვნახეთ, რომელიც სოსოს ოცეულში იყო, იმან გვითხრა პირველად, ბარდანა მთელი ღამე ეძებდა სოსოს და ვერც მკვდარი იპოვა, ვერც ცოცხალიო...“

ბარდანა - იგივე გელა მებაღიშვილი სოსოს ასეულის სერჟანტი იყო, სოსო - ოცმეთაური, ლევან დევდარიანიც - ოცმეთაური. ისინი ძმაკაცები იყვნენ. მძიმედ დაჭრილი ლევან დევდარიანის ბრძოლის ველიდან გამოყვანა გელა მებაღიშვილმა თანამებრძოლებს დაავალა. მერე ნახა, რომ ისინი ლევანის გარეშე გამოვიდნენ... თავი იმით იმართლეს, რომ დევდარიანი აღარ იყო. მებაღიშვილმა არ დაიჯერა და მაინც შებრუნდა მის გამოსაყვანად და დაიღუპა კიდეც.

ამბობენ, რომ მებაღიშვილი სოსოსაც ეძებდა მთელი ღამე. იმასაც ამბობენ, რომ უკანდახევისას, სოსო მანქანაზე ამხტარა, იქ ბარდანა რომ ვერ უნახია, უკან ჩამხტარა და ძებნა გაუგრძელებია...

დედა: „პირველად რომ ლევან დევდარიანის ამბავი გავიგეთ, ვთქვით, მორჩა, ჩვენ, ალბათ, სოსოს ველარც ვნახავთ. სოსო ის კაცი არ იყო, ძმაკაცი, თუნდაც მკვდარი იქ დაეტოვებინა და თვითონ გამოსულიყო...

საავადმყოფოების მოვლის შემდეგ, სოსოს დედამ, გელა მებაღიშვილის მეუღლეს, ინგას მიაკითხა. სართულს რომ კითხულობდა, მეზობელმა ანიშნა, რომ გელა აღარ იყო... მაგრამ ეს არ იცოდა მისმა მეუღლემ...

ლია ღვინიაშვილი: „მე გელაზე ვიცოდი და ვერ ვეუბნებოდი, ინგამ, ალბათ სოსოზე იცოდა და ვერ მეუბნებოდა... წავედით ნაწილში. ინგას თავიდანვე უთხრეს, რომ გელა დაიღუპა. ჩვენთვის არავის უთქვამს. მერე ბიჭები გვანუგეშებდნენ, სოსო ცოცხალია, ბიჭები კარალეთიდან მოდიანო. ერთი სამი დღე რაღაცის გვჯეროდა, ბიჭები სანამ მოდიოდნენ კარალეთიდან... მერე კი... სოსოს ტელეფონი ჰქონდა და როგორმე დარეკავდა და არც ჩუმად სიარული გაუჭირდებოდა...“

ვერსია, რომლის დაჯერებაც სოსოს ოჯახში უჭირთ – ტყვედ ჩავარდნაა.

„მირჩევნია ბრძოლის ველზე იყოს დაღუპული. თუ ტყვედ ჩავარდებოდა, სოსო იმ შეურაცხყოფას, დამცირებას, ვერ აიტანდა...“

დათო: „ამაყი იყო, თავს არ მოაკვლევინებდა, შეაკვდებოდა. შეიძლება ასეც იყო, ვინ იცის...“

დედა: „უბრალოდ, მე არ ვიჯერებ ამას, იმიტომ, რომ არ მინდა, რატომღაც დარწმუნებული ვარ, არც ჩავარდებოდა, ლიმონკა იქ ჰქონდა და თავის თავს თვითონ მოუვლიდა...“

დათო: „ექსპერტიზისას გულის ჯიბეში კარტა უპოვეს, რომლითაც სოსო თავის საცოლეს ელაპარაკებოდა, მარტო ერთი ნომერი სწერებია იმ კარტაზე. თან სახელიც არ ეწერა, ეწერა „მხოლოდ შენ“. დაურეკეს იმ გოგოს, ცხინვალიდან ჩამოსვენებული ერთ-ერთი ჯარისკაცის ჯიბეში ვიპოვეთ ბარათი, სადაც მხოლოდ თქვენი ნომერი წერიაო... სოსოს საცოლემ დამირეკა მე... მე და მამაჩემი ისანში, მორგში წავედით. უკვე ცინკის კუბოში ესვენა, ცხედარი არ გვანახეს, მაგრამ გვანახეს ჩასვენების წინ გადაღებული სურათები. ქამარი ჩანდა სურათებში, ვარსკვლავი ეხატა და რაღაც წარწერა, მე ზუსტად არ მახსოვდა ეს ქამარი და ჩემს პატარა ძმას დავურეკე, იმას უფრო ეცოდინებოდა, ქამარი იყო თუ რაც იყო, იმას ჩუქნიდა... დავურეკე, ვკითხე, გიო, ესეთი და ესეთი ქამარი ჰქონდა სოსოს? ჰოო, ეგ ქამარი მე მივეცი სოსოსო, ზუსტად მითხრა, რაც ეწერა ქამარზე... „დეენემის“ პასუხის დალოდებას აზრი აღარ ჰქონდა, მეორე დღესვე გადავასვენეთ და დავკრძალეთ“.

კაპრალი

ზურაბ აბრამაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1987 - 2008

ეს გმირია – დაიღუპა მამულისთვის. ზურა ვარიანელია... იაკობის სოფლიდან. ზურა ამაყობდა, რომ ღმერთკაცის სოფლიდან იყო.

ბავშვობაში ჰქონდა ტირის თოფი და ჩიტებზე სანადიროდ დადიოდა, ერთთავად ლიახვზე იყო საბანაოდ, მერე დავაჟკაცდა და როცა ლიახვის ხეობას მტერი შეესია, უკვე სამშობლოს ჯარისკაცი, თავის ტყვიამფრქვევით ნადირობდა მტერზე...

ბრძოლით გაიარა ცხრა სოფელი ცხინვალამდე. მტრისგან 14 წლის წინათ წართმეული ცხინვალის დაბრუნებით გამარჯვებაც დაიგემოვნა. ბოლოს ხეთაგუროვში იყო ჩასაფრებული, თანამებრძოლებთან ერთად, როცა ტყვია-წამალი შემოელიათ. ზურა ტყვია-წამლის მოსატანად გავარდა იქვე ახლოს, ზემოთ, ნაძვებთან და ის-ის იყო, უნდა წამოეღო, რომ პირველი საავიაციო დაბომბვა დაიწყო...

21 წლის ჭაბუკს, ზურაბ აბრამაშვილს რუსული ბომბის ნამსხვრევმა წაართვა სიცოცხლე... და აზიარა უკვდავებას...

ჯარისკაცის მამას, გიორგი აბრამაშვილს შორს არ მოუწია ომში წასული შვილის ძებნა. ცხინვალიდან უკანდახევის შემდეგ, 42-ე ბატალიონი (სადაც ზურა მსახურობდა) მის სოფელში, ვარიანში, მეტიც, სწორედ მის ბაღში განლაგდა. 10 აგვისტოს დილით შევიდა თავის ბაღში, ბიჭებთან მივიდა, რომელი ბატალიონიდან ხართო. მისი ვაჟის ბატალიონი რომ აღმოჩნდა, იკითხა, ზურას თუ იცნობთ აბრამაშვილს, სად არისო. ვინ ბრძანდებითო, კითხვა შეუბრუნეს ბიჭებმა. დამალა, რომ მამა იყო. მეზობელი ვარო. „ზურა დაიღუპა“, - უთხრა ზურას თანამებრძოლმა. კიდევ რაღაცას უხსნიდა, მამას აღარაფერი ესმოდა, ჯარისკაცი, ალბათ, უყვებოდა, რა ვითარებაში დაიღუპა ზურა, მაგრამ მამას არ ესმოდა. ელდანაცემი, რომ არ წაქცეულიყო, იქვე თავის ქოხთან მდგარ მანქანას მიეყრდნო და აღმოხდა: „ვაიმე, შვილო“...

მაშინღა იცნო ომგამოვლილმა ჯარისკაცმა ძმობილის მამა...

განადგურებულ მამას შვილის თანამებრძოლები მისცვივდნენ დასამშვიდებლად, აიმედებდნენ, იქნებ ცოცხალიაო... მამამ უკვე იცოდა მწარე სიმართლე...

„წყნარი, დინჯი, უკონფლიქტო ბიჭი იყო, ყველა უყვარდა, უთანხმოება არავისთან ჰქონია...“ – მძიმედ, სვენებ-სვენებით იწყებს გმირ ვაჟზე თხრობას მამა... ისევ მრავლისმთქმელი, სევდით ნაფერი პაუზა...

თხრობას გმირის ერთადერთი ძმა აგრძელებს: „

„ზურასგან არაფერი ზედმეტი არ გაგვიგია, პირიქით, ყველა კმაყოფილი იყო, ყველა მასთან მეგობრობდა და ყველას უყვარდა. ერთთავად მეგობრებთან იყო. ცელქი და ხიფათის მაძიებელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ თუ რამეს აკეთებდა, რაღაც მაინც უნდა სტკენოდა, ან ხელი, ან ფეხი... ერთხელ დედამ ქვაბით წყალი აადუღა, კიბეზე ჩამოდგა, ზურა პატარა იყო, 9 თუ 10 წლის, წყლის გადადგმა მოინდომა, არ იცოდა, ცხელი რომ იყო, მოკიდა ქვაბს ხელი და მთელ ტანზე გადაისხა, დაიფუფქა...“

მამა: „ამ შემთხვევის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, კიბიდან ჩამოვარდა და ლავიწის ძვალი გაიტეხა. ეს ძვალი ზუსტად იმავე ადგილას მეორედაც გაიტეხა, როცა ჭიდაობაზე შევიყვანეთ. 13 წლის იყო. იძულებული გახდა, ჭიდაობისთვის თავი დაენებებინა. რთული ბავშვი არ იყო. ხალისით გაატარა ბავშვობა. მეტ-ნაკლებად სწავლობდა, ისე, რომ არც მასწავლებლები იყვნენ უკმაყოფილო და არც ჩვენ. არ იყო მომთხოვნი, პრეტენზიული, რაც ჰქონდა, იმას სჯერდებოდა. არ მახსოვს, ეთქვას, ეს მიყიდეთ, ის მიყიდეთ... ის კი არა, რამე ახალს რომ ვყიდულობდით, ფეხსაცმელს ან ტანსაცმელს, და მის მეგობარს არ ჰქონდა, იმას ჩუქნიდა და თვითონ ისევ ძველებს იცვამდა. ჯარშიც ასე იყო, ვუყიდდით რამე ახალს, გავატანდით, მოვიდოდა და ისევ ძველები ეცვა, ბიჭებს ჩუქნიდა...“

ძმა: „ერთთავად მდინარეზე იყო და თუ მოძებნა გვინდოდა, ვიცოდით, სადაც უნდა გვეძებნა – ლიახვზე. თევზაობაც უყვარდა, თევზაობაზე მეტად – ჩიტებზე ნადირობა. სულ ტირის თოფით დადიოდა. ნადირობა უყვარდა, თორემ ჭამაზე დიდად არ იკლავდა თავს. სოფელში მუშაობა არ ეზარებოდა, პირიქით, უყვარდა, ჯარიდან ბევრჯერ დაღლილი მოსულა, მაგრამ მაინც მხარში ამოგვდგომია, საქმე გაგვიკეთებია...“

მამა: „მარტო ერთი თქმა უნდოდა: ზურა, დღეს ეს უნდა გავაკეთოთ, მეორედ თქმა საჭირო აღარ იყო...“

ძმა: „ყოველთვის ამაყობდა, რომ ვარიანიდან იყო, იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფლიდან, ამისთანა ღმერთკაცი გვყავდა, მთელ საქართველოს დედა ენა გვასწავლაო. სულ იმას ამბობდა, რომ ვარიანის გარდა, ვერსად ვერ იცხოვრებდა. მართლაც, ერთი ღამეც კი უჭირდა სხვაგან დარჩენა...“

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს. სავალდებულო სამსახური რომ მოიხადა, კონტრაქტით დარჩენა გადაწყვიტა. დედაც უშლიდა, მამაც, ძმაც, მაინც დარჩა.

მამა: „რომ ვუშლიდი, მითხრა, ყველანი ვრჩებით კონტრაქტით და მე გამონაკლისი არ ვიქნებიო. სადაც ჩემი მეგობრები არიან, მეც იქ უნდა ვიყოო. რაღა უნდა მეთქვა?“

ჯარში დარჩენას აპირებდა, ძმას ეუბნებოდა თურმე, ეს ოთხი წელი რომ გავა და კონტრაქტს ვადა გაუვა, კიდევ უნდა დავრჩეო.

ის სამშობლოს უვადო ჯარისკაცად დარჩა. მალე ომი დაიწყო.

ომის დაწყებამდე სამი დღით გამოუშვიათ შინ, თან თავისი ძმაკაცი ჯარისკაცები მიუყვანია სახლში. უქეიფიათ. ძმამ 2 აგვისტოს ჩააცილა გორამდე.

დედას დღემდე ხინჯად აქვს გულზე ზურას ბოლო

სიტყვები. დედა-შვილი რაღაცაზე შეკამათებულან. ზურას რაღაც სიტყვა სწყენია. სწყენია, მაგრამ მარტო ის უთქვამს, წავალ და აღარ მოვალო...

ოჯახს მას მერე არ ულაპარაკია ზურასთან, რაც ქვეყანაში სიტუაცია აირია, ტელეფონი სულ გამორთული ჰქონდა.

ძმა: „ვაზიანიდან რომ გამოვიდა ჯარი და აქეთ დაიძრა, მაშინ ჩაურთავს ცოტა ხნით ტელეფონი და ჩემთან დაურეკავს. მაინცდამაინც მაშინ მქონდა ტელეფონი გამორთული. მერე ჩემს ძმაკაცთან დარეკა, მანდეთ მოვდივართო. დანარეკი რომ ვნახე, ვრეკავდი, ვრეკავდი, მაგრამ სულ გამორთული ჰქონდა...“

ბრძოლით გაიარა 9 სოფელი. იბრძოლა ცხინვალში. ბოლოს ხეთაგუროვში იყვნენ ჩასაფრებული.

ძმა: „თანამებრძოლებისგან ვიცი, ჩასაფრებაში ვიყავით, დაბლა გაშლილები, ერთად 9 ბიჭი ვიყავით, ტყვია-წამალი შემოგველია, ვერავინ ვერ მივდიოდით, დაზაფრულები ვიყავით, გავიგეთ, რომ ავიაცია მოდიოდა. ჩვენი ტყვია-წამალი ზემოთ, ნაძვებთან იყო, ზურამ გვითხრა: ბიჭებო, რისი გეშინიათო, და გავარდა ტყვია-წამალზე, თან ორი ბიჭი გაიყოლა... როგორც მიყვებიან, მარტო მაშინ კი არა, ყველგან პირველი გარბოდა, სადაც საჭირო იყო. ასმეთაურმაც მითხრა, ისეთ რაღაცებს აკეთებდა, პირღია მტოვებდაო. უშიშარი იყო, ყველგან პირველი გარბოდა, ძახილით: „წავედით, წავედითო“... ნაძვებთან ტყვია-წამალზე რომ ავიდა, განგაში ატეხილა, ჰაერი მოვიდა, დაწექით, დაწექითო. დაწოლილან და რაღაც გასკდა. ტყვია-წამლის წამოღება ვეღარ მოასწრეს, სამივე ბიჭი დაიღუპა, ქვემოთ დარჩენილი ექვსი ბიჭიდან ორი დაიჭრა, გადარჩნენ. ვისაც ტყვია-წამალი ებარა, ის ბიჭი ვნახე შემდეგ, გურჯაანელი ბიჭია. ის მომიყვა, ტყვია-წამალი რომ უნდა წამოეღო, მაშინ დაიწყო დაბომბვა და ზურა საძილე არტერიაში დაიჭრა. ვცდილობდი, მეშველა, მაგრამ მეც დავიჭერი და მერე აღარაფერი მახსოვსო. მერე ტყვედაც ჰყავდათ ის ბიჭი...“

მამა: „9 აგვისტოს გორის ჰოსპიტალში ჩავედი, დაჭრილებში ვეძებდი ჩემს შვილს, ვერც მკვდრებში ვნახე, ვერც ცოცხლებში. ვარიანში რომ ავედი, ვნახე, რომ ცხინვალიდან უკან დახეული ჯარი ჩემს ბაღში იდგა. გავსებული იყო ბაღი ჯარისკაცებით. მეორე დილით, გათენდა თუ არა, ბაღში ჩავედი, ვკითხე: ბიჭებო, რომელი ბრიგადიდან ხართ-მეთქი. მეოთხე ბრიგადიდან, 42-ე ბატალიონიდანო. ზურა აბრამაშვილს არ იცნობთ-მეთქი? თქვენ ვინ ხართო. ვიფიქრე, რომ ვუთხრა, მამა ვარ, სიმართლე არ დამიმალონ-მეთქი და ჩემი შვილი მეზობლად გამოვაცხადე. დაიღუპაო... უცებ გავითიშე. ახალციხელი ბიჭი იყო, ზურას ძმაკაცი, უცებ ვერ მიცნო, იმან მითხრა. მელაპარაკებოდა ის ბიჭი, მაგრამ არ მესმოდა, რას მელაპარაკებოდა. იქვე მანქანა იდგა, ავეყუდე და ვაიმე, შვილო-მეთქი. ეს რომ გაიგეს, ბიჭები მომცვივდნენ: დაიცა, ძია, იქნება ტყუილიაო, რაღა ტყუილი უნდა ყოფილიყო, მისი ბატალიონის ბიჭებმა მითხრეს... საღამოს ოთხი ბიჭი მოვიდა ჩვენთან სახლში, ბიჭებმა პირდაპირ გვითხრეს, ძალიან გვეძნელებოდა აქ მოსვლა, მაგრამ დასამალი რაღაა, ზურა 8 აგვისტოს, დილით, დაიღუპა, როცა ტყვია-წამალზე ავიდაო...“

ოჯახმა გაიგო, რომ ზურა დაიღუპა.

ძმა: „ბევრი რაღაც გვითხრეს...

26 აგვისტოს გადმოსვენებულ 42 ბიჭს შორის იყო, მუხათგვერდში იყო დაკრძალული.

ზაქარო აბრამაშვილი: „დეენემით“ გაირკვა, რომ ზურას ცხედარი იყო #7, დაკრძალული იყო მუხათგვერდში...“

მამა: „სამშობლოს მოსიყვარულე ბიჭი იყო და სამშობლოსთვის დაიღუპა...“

მამამ არ იცის, იყო თუ არა შეყვარებული მისი ვაჟი. ძმამ იცის, რომ ერთი გოგო მოსწონდა...

კაპრალი

გიორგი მურადაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.



1984 - 2008

სუდარა მომავალი საცოლისთვის წინასწარ ნაყიდი საპატარძლო კაბის საკაბისგან შეუკერეს, კუბო სახურავიდან ჩამოღებული ფიცრებისგან შეუკრეს... ასეთ საველე პირობებში კრძალავდნენ, გორის სატანკო ბაზის დაბომბვისას დაღუპულ, 24 წლის გიორგი მურადაშვილს მამისეულ სოფელში, სკრაში. ღამით ბაღჩაში დასაკრძალ ადგილსაც ეძებდნენ, რუსის პარპაში უკვე დაწყებული იყო.

12 აგვისტოს, დილით, ოჯახს შეატყობინეს, რომ დაბეზღებულები იყვნენ და მალე დაადგებოდნენ რუსები. დილის 9 საათზე გაასვენეს, რომ დაეკრძალათ. პროცესია თავზარდამცემი იყო – მიასვენებდნენ და თავზე ბომბდამშენები დასტრიალებდნენ, გზადაგზა წვებოდნენ, იმალებოდნენ, მერე ისევ დგებოდნენ, გზას აგრძელებდნენ... 11-ის ნახევრისთვის უკვე რუსი სნაიპერები ისხდნენ მათ ხეივანზე...

გიორგი მურადაშვილი მამის გვერდით დაკრძალეს...

გიორგი 6 წლისაც არ იყო, რომ დაობლდა. მამამ მის თვალწინ დალია სული.

თამარ არსენიძე, გიორგი მურადაშვილის დედა: „1990 წელს, 9 აგვისტოს დაბადების დღე გადავუხადეთ – 33 წლის გახდა და 16 აგვისტოს დალია სული... დაწყევლილი აგვისტო... მილიციაში მსახურობდა და ცხინვალში იბრძოდა, მთელი ორი კვირა ტალახში იწვა, ტყვიების ცეცხლში. შემდეგ გამოუშვეს. ცოტა დაწყნარდა და ჯავახეთში, მამაპაპისეულ ფუძეზე, სოფელ ხიზაბავრაში წაგვიყვანა, ავედით და გარდაიცვალა კიდეც, ნერვიულობის, სტრესის გამო, მწვავე ინფარქტი დაემართა...“

დაქვრივებული თამარ არსენიძე მარტო შეება ცხოვრებას, ზრდიდა ობოლს. „მე-10 სკოლაში შევიყვანე გორში. ვზრდიდი ისე, როგორც ჩემს მეგობარს... ძალიან უყვარდათ სკოლაში, აქტიური იყო, სკოლაში მის გარეშე არაფერი არ ხდებოდა. ცელქიც იყო, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა. დადიოდა ფეხბურთზეც, კალათბურთზეც, მღეროდა მშვენივრად, ცეკვავდა... მათემატიკის ტურებში მონაწილეობდა და იმარჯვებდა კიდეც. ფლობდა ინგლისურ ენას და ხშირად მონაწილეობდა ინგლისური ენის წრის შეჯიბრებებშიც, ინგლისურად კითხულობდა ლექსებს, თამაშობდა დადგმებში. ძალიან უყვარდა მეგობრებთან ყოფნა. თვითონ ობლობაში იზრდებოდა, ხელმოკლედ ვიყავით, მაგრამ, რომ დაინახავდა, ვინმეს ან ტანსაცმელი არ ჰქონდა, ან ფეხსაცმელი, ან საჭმელი აკლდა, ცდილობდა, დახმარებოდა, ჩუქნიდა ტანსაცმელს, ხშირად მოსულა და უთქვამს, დედა, იმას ფეხზე არა აქვს და მოდი, ჩემსას მივცემ... კლასშიც ხშირად ყოფილა გაჭირვებული თანაკლასელისთვის ფულის შეგროვების ინიციატორი... თვითონაც რომ უმამოდ გაიზარდა, ობლები ეცოდებოდა. ძალიან ალალი იყო, ვერ იტანდა ტყუილს, მართალი კაცის დაჩაგვრას, ვერ იტანდა ჩხუბს და ყოველთვის მშიდობის დროშასავით იყო. მისი დაღუპვა რომ გაიგეს მისმა პედაგოგებმა, მუხლჩადრეკილი ტიროდნენ, ჩვენ ასეთი ბიჭი არ ვიცით, როგორ, რანაირად გაზარდეო... რაც არ უნდა ზარდო, თუ ბუნებაში არ აქვს ადამიანს სიკეთე, თუ სული არ აქვს ლამაზი და ნათელი, ვერანაირად ვერ გაზრდი შენ... საკუთარი შვილის ქება ძალიან ძნელია, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო შინაგანად, სულ გაღიმებული დადიოდა, სულ სხვის პატივისცემაზე ფიქრობდა... სწამდა ღმერთის და ყოველთვის, როცა გვიჭირდა, მეუბნებოდა, ღმერთი დაგვიფარავს, დედა, ღმერთი მოგცემს...“

გიორგის სურდა, მამის კვალს გაჰყოლოდა და სკოლის დამთავრების შემდეგ გორის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა.

„არ მინდოდა, რომ იურისტი გამოსულიყო, მშვენივრად იცოდა ინგლისური ენა, კომპიუტერი და ვურჩევდი, სხვაგან – ჟურნალისტიკაზე, ან უცხო ენებზე ჩაებარებინა, მაგრამ არ ინდომა. მეორე კურსიდან უკვე სტაჟიორად მუშაობდა პოლიციაში, საგამოძიებოში, გამომძიებლის თანაშემწედ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პროკურატურის საგამოძიებოშიც შესთავაზეს სტაჟიორად მუშაობა, მაგრამ სამხედრო ბილეთის უქონლობის გამო შეეშალა ხელი. დედისერთა იყო, გაწვევა არ ეხებოდა... ტესტირება წარმატებით გაიარა დაცვის პოლიციაში, მაგრამ კარანტინზე ყოფნისას გული აიცრუა. რომ ჩამოვიდა, მალევე აქ, სატანკო ბატალიონში გამოცხადდა ტესტირება. სცადა, ჩააბარა. ჩაირიცხა სატანკო ბატალიონში.

სანამ მანდ შევიდოდა, სკრაში მამისეულ ბაღში ხეხილი გააშენა... აქედან მაინც გვექნება პატარა შემოსავალიო... დედა მოგიკვდეს, გიორგი, შენმა დარგულმა ხეხილმა უკვე ნიშანი მომცა, დედა... არც ერთი არ გამხმარა, ყველამ იხარა, დედა...

ყველაფერს ეწვალებოდა, ყველაფერს აკეთებდა, უჭირდა დედისერთობა და სულ ამბობდა, 5-6 შვილი მაინც უნდა მყავდეს, ძნელია დედისერთობაო... სახლში რომ შედიოდა, სოფელში სახლის ანგელოზს ესალმებოდა, რიტუალივით ჰქონდა, შეაღებდა კარს – „გამარჯობა სახლო, კარგადა ხარ, სახლო? გაგიმარჯოს სახლის ანგელოზო...“ სულ მაიმედებდა, ნუ გეშინია, წელში გავიმართებით, ღმერთი დაგვიფარავს, იმიტომ, რომ შენც მოდიხარ და მოსტირიხარ და მეც ასე ობლად ვარო...

მამამისს მანქანა დარჩა. ძალიან უყვარდა ამ მანქანის ტარება, გამოიყვანდა და ასეირნებდა გოგონებს. მერე გაყიდვამ მოგვიწია. ოცნებად ჰქონდა მანქანის ყიდვა. ამბობდა, კრედიტით მანქანას გამოვიყვან, მერე ცოლს მოვიყვან, გოგოებს მანქანიანი ბიჭები მოსწონთო... პირველი ხელფასით გაზი შემოიყვანა სახლში, სახლისთვის ყიდულობდა ყველაფერს...“

სატანკო ბატალიონში გამნაღმველთა ბატალიონში მოხვდა. შემდეგ საინჟინრო ბატალიონში გადაიყვანეს, შემდეგ საწყობიც ჩააბარეს. სულ 2 წელს მოუწია მსახური. სამხედრო აკადემიაში აპირებდა სწავლის გაგრძელებას.

„ყველას უყვარდა ნაწილში. „პეესპეს“ ეძახდნენ ჯარში. სულ თან ჰქონდა წამლები და ყველას ეხმარებოდა. შუაღამისას მირეკავდა ხოლმე სახლში. დე, ჯარისკაცს მაღალი სიცხე აქვს და რა დავალევინოო. ერთხელ ღამის 3 საათზე გამაღვიძა, ბიჭმა ფეხი მოიტეხა და არტაშანი როგორ დავადოო. ის ბიჭი დღესაც ემადლიერება, ეგ რომ არა, ფეხი მოსაჭრელი გამიხდებოდაო. იტყვიან ხოლმე, ზოგი ას წელიწადს ცოცხლობს და ამდენს ვერ აკეთებსო. ამ ერთი ციდა ბიჭმა 24 წელი იცოცხლა და იმდენი სიკეთე თესა, რომ ყველა ფეხის ნაბიჯზე მხვდება მისი დანატოვარი სიკეთე...“

მერე დაიწყო სასტიკი ომი...

„სიტუაცია რომ დაიძაბა, დამირეკა, მამშვიდებდა, ნუ გეშინიაო. სამი და ვართ, ჩემი დისშვილებიც სამხედრო პირები არიან, რადგან ობოლი იყო, ყველა ამას მფარველობდა, უბეში გაზრდილი ჩიტივით ჰყავდათ და ყველა მამშვიდებდა, აქაა გორში, ბაზაზეა და არაფერი ემუქრებაო. მე მაინც შიში მქონდა, გული მიგრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. 7 აგვისტოს საღამოს ამოვიდა სახლში ცოტა ხნით, მოწესრიგდა და ნაწილში დაბრუნდა. მთხოვა, მეორე დილით მიმეწოდებინა გასარეცხად დატოვებული ტანსაცმელი, მაგრამ 8-ში, დილით, უკვე იცლებოდა ქალაქი. ბომბდამშენები დაფრინავდნენ, პირველი ბომბი უკვე ჩამოგდებული იყო... ვიღაცის მანქანას გადავუდექი, ვეხვეწებოდი, შვილი სამხედრო პირი მყავს, როგორმე ბაზამდე ამიყვანეთ, ტანსაცმელი და პროდუქტი რომ მივაწოდო-მეთქი. ჩანთას რომ ვაწვდიდი, ჩვენს თავზე ბომბდამშენები დაფრინავდნენ... ქალაქს ზვერავდნენ...

მეხვეწებოდა, ქალაქიდან გადიო. არ გავდიოდი. თავის მეგობარს დაურეკა სამხედრო პოლიციაში, დედაჩემია მარტო იმხელა კორპუსში, თავისი ნებით არ გადის და გეხვეწები, გაიყვანეო. 9 აგვისტო რომ გათენდა, 8 საათზე ჩამოაგდეს პირველი ბომბი კომბინატის დასახლებაში, ისეთი სიძლიერით დამარტყა ტალღამ, რომ სასტუმრო ოთახიდან სამზარეულოში გადამაგდო. ისევ დაიწყო რეკვა, დედა ნუ მანერვიულებ, გეხვეწები, გადიო.

აქვე, სახლთან ახლოს ვიყავი, მეშვიდე სკოლა რომ დაიბომბა, დავურეკე და ისევ ქალაქიდან გასვლას მთხოვდა, გორიდან გადი, 9 აგვისტოს მამას საფლავზე შევხვდებითო. არ ვიცი, ეს რა იყო... 9 აგვისტოსო, მითხრა, და 9 აგვისტოს დაიღუპა... დაბადების დღე მიულოცა მამამისს...

იძულებული გავხდი, მის მეგობრებს გავყოლოდი ატენის ხეობაში. მაგრამ, რომ გამიყვანეს, თურმე ბაზაც დაბომბილი იყო, არაფერი ვიცოდი... არ მითხრეს, რომ შვილი მკვდარი მყავდა უკვე... ჩუმად ტიროდნენ... 10 აგვისტოს ამომაკითხეს ატენის ხეობაში, გიორგი დაჭრილია და გკითხულობსო...

გიორგი გარეთ გასულა, საწყობს უნდა დავხედოო (სანივთე საწყობი ებარა), ჯარისკაცი მიყვებოდა, თამრიკო დეიდა, გავიდა თუ არა, პირველი ბომბი დაეცა ბაზას, გიორგი, ჩემს წინ ჰაერში ავარდა...

თავიდან დედას ვერ გაუმხილეს შვილის სიკვდილი. სოფელში პაპის ძმას ჩააკითხეს ბიჭებმა, გიორგი დაიღუპა, გორში უკვე რუსის ტანკები შემოდის და რამენაირად ჰოსპიტალიდან უნდა გამოვიყვანოთო.

მანამდე, გიორგი დედის სტუდენტებს უცვნიათ ჰოსპიტალში, გაუსუფთავებიათ და ჰოსპიტალის კართან დაუსვენებიათ, უცებ სიტუაცია რომ უარესად დაძაბულიყო, სახანძროს ან ჰოსპიტალის ეზოში რომ მაინც მოეხერხებინათ სასწრაფოდ დამარხვა, ცხედარი რომ არ დაკარგულიყო.

„ჰოსპიტალში რომ მიუყვანიათ, ვეღარაფერი უშველიათ. მე რომ ჩამომიყვანეს, უკვე გადასვენებული ჰყავდათ სკრაში, დამახვედრეს ჩემი შვილი... მერე უკვე გავითიშე... ერთი კვირა ყოველ ღამე ვღრიალებდი... საერთოდ, სულით ძლიერი ადამიანი ვარ, არ მჩვევია მალე დაცემა, ყოველთვის მებრძოლი ვიყავი და ბოლომდე მებრძოლად ვრჩები, მე მგონი, ისევ ჩემმა შვილმა მომცა ეს ენერგია...“

უფროსი სერჟანტი

გოგიტა მაკრახიძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

ერძოლის ველზე გაჭრისას, ცოლშვილიანებს დასძახოდა: უკან დადექით! თავისავით საქორწინოებს კი წინ უხმობდა: საქორწინოები წინ წავედით! მოტივი მარტივი იყო – რას ეუბნებით თქვენს ცოლებს, შვილებს?

ჰყვებიან, რომ ჯავშანჟილეტი გაუხდია და ცოლშვილიანი ბიჭისთვის ჩაუცმევია... ნაღმმა მაშინ მოუღო ბოლო, როცა დაჭრილი ბიჭებისთვის ხელმეორედ იძახებდა სასწრაფოს...

აგვისტოს გმირი გოგიტა მაკრახიძე ქართლში, სოფელ შერთულში დაიბადა და გაიზარდა, იქვე შეიყვანეს დაწყებით სკოლაში, შემდეგ საშუალო სკოლა მეზობელ სოფელში – ძევერაში დაამთავრა.

დედა: „ძალიან ჭკვიანი, დამთმობი და თბილი ბავშვი იყო... ცელქობდა, მაგრამ სერიოზული ხიფათები არასოდეს ჰქონია, ბავშვებთან, თუ თავის უფროს ძმასთან პატარა წაკინკლავების დროსაც კი, ყოველთვის დამთმობი იყო. არასოდეს ცდილობდა, თავისი გაეტანა... მეც, როცა სხვებთან ჩხუბობდნენ, რაც არ უნდა მართლები ყოფილიყვნენ, ყოველთვის ჩემს შვილებს ვამტყუნებდი...

სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, ხუთოსანი იყო, ენერგიული, მუდამ წარჩინებულთა დაფაზე იყო გამოკრული. გამორჩეულად უყვარდა ისტორია, განსაკუთრებით საქართველოს ისტორია აინტერესებდა და მერეც, სკოლა კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, 24-25 წლისამ თავიდან გადაიკითხა მთელი საქართველოს ისტორია. ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია ყველა ქართველს უნდა სცოდნოდა... გერმანულს სწავლობდა ძალიან კარგად, რუსულსაც კარგად ფლობდა.

სულ ოცნებობდა, რომ ექიმი გამოსულიყო. მერე იურისტობა მოიწადინა...“

მაგრამ ისე მოხდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში, ფინანსებზე და საბანკო საქმეზე ჩააბარა. მაშინ გორში არც სამედიცინო ფაკულტეტი იყო, არც იურიდიული, მშობლებმა კი თბილისში ვერ გაუშვეს.

დედა: „თბილისში ვერ გავუშვით, მინდოდა, ახლოს მყოლოდა, რომ ყურადღება მიმექცია, მისი თანაკლასელი რამდენიმე ბიჭი აბარებდა ეკონომიკურ ინსტიტუტში და ვურჩიეთ, აქ ჩაებარებინა, დაგვთანხმდა...“

მეორე კურსი რომ დახურა, სავალდებულო ჯარში გაიწვიეს. ჯარის მოვლის შემდეგ, ინსტიტუტში სწავლა აღარ გაუგრძელებია.

დედა: „სწავლა ვეღარ გააგრძელა. მერე ნანობდა, ძალიან ნანობდა, რომ უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, იმიტომ, რომ ამან ძალიან შეუშალა ხელი. ბოლოს, როდესაც უფროსი სერჟანტის წოდება მისცეს, უფრო მაღალი უნდა მიეცათ, მაგრამ უმაღლესი განათლების უქონლობის გამო, არ მისცეს და გვითხრა კიდეც, რატომ თქვენ მაინც არ დამაძალეთ, რომ დამემთავრებინაო. გულს მაინც არ იტეხდა, ამბობდა, მაინც მივუბრუნდები და დავამთავრებო... ბოლოს, ჯარში ინგლისურს ასწავლიდნენ 8 ბიჭს, მაღალი ქულები ჰქონდა და სექტემბერში ამერიკაში აგზავნიდნენ ორთვიან სწავლებაზე და იქიდან დიდი წოდებით უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ აგვისტოში ომი დაიწყო...“

დედა: „ რეზერვში ყოფნისას, ორფოლოში რომ გადიოდა წვრთნებს, ერთ-ერთ გენერალს შეუქია, შენ ნამდვილი ჯარისკაცი ხარო. როგორც ჯარისკაცი, ძალიან დისციპლინებული იყო, შენიშვნას არავის მიაცემინებდა და ძალიან ბევრმა ოფიცერმა ურჩია ჯარში სამსახურის გაგრძელება, ნამდვილ ჯარისკაცად ხარ დაბადებულიო, გადაწყვიტა, მართლაც ჯარში გაეგრძელებინა სამსახური. რომ გვითხრა, საკონტრაქტო ჯარში უნდა შევიდეო, არ მინდოდა, ვეხვეწებოდი, რასაც ჩვენ ვჭამთ, ის ჭამე, ოღონდ ნუ შეხვალ, ომი რომ დაიწყოს, ხომ იცი, პირველ რიგში თქვენ წაგიყვანენ-მეთქი. დედა, მასე რომ ვიფიქროთ, რა მოგველის, რანაირი ცხოვრება იქნება და თუ სამშობლოს დასჭირდა, ეგ მსხვერპლიც უნდა გავიღოთ, მარტო შენ ხომ არ გიყვარს შენი შვილი, აფხაზეთში რომ ბიჭები დაიღუპნენ, იმათ დედებს თავისი შვილები არ უყვარდათო? რაღა ცუდზე ფიქრობ, 21-ე საუკუნეა, ომი აღარავის უნდა, ხელს ნუ შემიშლითო.

მოაგროვა საბუთები და ამ მოგროვილი საბუთებით 9 თვე ელოდა მიღებას. ყველას მოსწონდა, ნაკითხი, განათლებული ბიჭი ხარო. მიიღეს. 2004 წლიდან საკონტრაქტო ჯარში მსახურობდა. გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში მზვერავების ოცეულში მეკავშირედ იყო. უბედნიერესი კაცი იყო პირველი ხელფასი რომ აიღო, არც ერთი კაპიკი თვითონ არ მოუხმარია, ყოველთვის ოჯახზე ფიქრობდა... ძმის ოჯახს ინახავდა... მეტყოდა ხოლმე, ფული ხელის ჭუჭყია, ნანო, ეგ რა საყვარელია, ოჯახსა და გაჭირვებულებს უნდა მოახმაროო.

ყოველთვის გაჭირვებულების დახმარებაზე ფიქრობდა. რაც წამოიზარდა, სულ იმას მეუბნებოდა: დედა, ამ ქვეყანაზე სიკეთე ვთესოთ და სიკეთით დაგვიბრუნდებაო. მის სიკეთეს როცა არ ხედავდნენ, გული სტკიოდა, მაგრამ ამბობდა, ოღონდაც კარგად იყვნენ, რას ვიზამთ, ყველას ვერ დავანახვებთ სიკეთეს, მათ ასე ესმით ცხოვრება, ვინც გამიგებს, გამიგებს, ვინც არა, ღმერთმა გაუმარჯოს, თავის გზით იაროსო. ღმერთმა აპატიოსო.

ძალიან მორწმუნე, ეკლესიური ბიჭი იყო...

საოცარი თანადგომა, ძმაკაცობა იცოდა. თანაკლასელ გოგოებსაც ისე დაუდგებოდა ხოლმე გვერდში, ოჯახის დანგრევისას თუ რაღაც სხვა გასაჭირის დროს, ისე დაარიგებდა, რომ დარდს ავიწყებდა, მერე მიყვებოდნენ ხოლმე, გოგიტამ ისე დაგვარიგა, ისეთი შვება მოგვცა, დარდი დაგვავიწყაო.

ძალიან დიდი იუმორის პატრონი იყო, სახუმარო ამბებს, არ ვიცი, სხვის მოგონილს თუ თავისას, ისე ყვებოდა, ისე მსახიობურად, რომ ყველას სიცილით ხოცავდა. საქა-

რთველოზე უყვარდა ლექსების თქმა... სულ უკვირდათ ბიჭებს, ამდენს როგორ ასწრებს გოგა, ჯარშიც ერთი შენიშვნა არ ჰქონდა მიღებული, არც სოფელს აკლდებოდა, გეგმიანი ბიჭი იყო, დროის განაწილება იცოდა...

სოფლიდან სიარული უჭირდა და უმეტესად ყაზარმაში იყო, ბოლოს ინგლისურის სწავლა რომ დაიწყეს, 3 საათის შემდეგ ათავისუფლებდნენ, თან კრედიტით მანქანაც იყიდა და სოფლიდან დადიოდა ბოლოს. უფრო ხშირად გვესაუბრებოდა, ოჯახზე ფიქრობდა, ძალიან დავაგვიანე ოჯახის შექმნაო. ძალიან პატარა ასაკში იყო შეყვარებული, 18 წლისას უყვარდა ერთი გოგონა, მაგრამ ყოველთვის ბევრს ფიქრობდა, შორს იხედებოდა და თქვა, ოჯახისთვის პატარა ვარ ჯერო. მერე რაღაც უმნიშვნელო მიზეზების გამო დაშორდნენ ერთმანეთს...“

ოჯახის შექმნაზე ფიქრი ფიქრად დარჩა. რუსი მოადგა საქართველოს.

მის მშობლიურ, ბუფერულ ზონაში მდებარე სოფელში სროლების ხმა არც მანამდე იყო უცხო. დენთის სუნი ჰაერში ტრიალებდა. სოფელში იყო, ხვდებოდა, მალე რომ განგაში ატყდებოდა და გამოსაძინებლად ადრე დაწვა. გამოძინებაც ვერ მოასწრო, 6 აგვისტოს ღამის 11 საათზე სროლები ატყდა.

დედა: „პირველი თვითონ წამოხტა და გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, მანევრებიაო. მალე დაურეკეს, განგაშია, ჩამოდიო. წასასვლელად რომ გაემზადა, ვკითხე, რა იყო, შვილო, გამოგიძახეს-მეთქი? წავედი, ნანო, სამშობლოს დასაცავად, ნუ გეშინია, ორ დღეში აქ ვიქნებიო. წავიდა ჩემი შვილი და თვალით აღარ მინახავს. მართლაც ორიოდ დღეში დაბრუნდა...

დილითვე, 7 აგვისტოს, 9 საათზე საბრძოლველად წასულან. თავიდან საქაშეთში მდგარან. მერე, როგორც მისი თანამებრძოლები მომიყვნენ, წინ-წინ იწევდნენ და ბოლოს ზემო ნიქოზში იდგნენ. თავის ძმასაც არ უმხელდა, სად იყო, სულ ამშვიდებდა, საქაშეთში ვდგავართ, აქ არანაირი საფრთხე არ არის, მანქანა ხომ მანდაა, ბავშვები გაარიდე მანდაურობას, თბილისში წადითო. მე კარგად ვარ, თქვენს თავებზე იფიქრეთო.

როგორც ბიჭებმა მითხრეს, გოგას ბრძოლის ველზე ყოფნა არ ევალებოდა, შტაბში უნდა ყოფილიყო, მაგრამ უთქვამს: - სადაც ჩემი ოცეულის 19 ბიჭი იბრძვის, მეც იქ უნდა ვიყოო და ყველგან წინ მიიწევდა...

9 აგვისტოს დაიღუპა... დილის 10-დან 11 საათამდე დაიჭრა...“

შენობაში 12-მდე დაჭრილი „სპეცნაზელი“ იყო, სისხლი სდიოდათ. სასწრაფო გამოიძახეს, აგვიანებდა. გოგიტა მაკრახიძემ კვლავ დაკავშირება გადაწყვიტა, ოთახში ხმა იხშობოდა, კავშირი ვერ ხერხდებოდა. გაუფრთხილებიათ, ნუ გახვალ, საშიშია, საცაა მოვა სასწრაფოო. ცოდონი არიან, სისხლისგან იცლებიანო. გასულა. გამოუძახია სასწრაფო, ის-ის იყო, ჩაცუცქული კაბელს ახვევდა, ნაღმსატყორცნიდან ნასროლი ნაღმი რომ გასკდა მის ფეხთით.

დედა: „იმათთვის მოყვანილი სასწრაფო თვითონ დასჭირდა... ეჰ, რა ადვილად ლაპარაკობს დედა ამ ყველაფერს... მერე ამ ტალღამ ეს 90-კილოიანი ბიჭი 10-15 მეტრში გადაისროლა. დახეთქებამ კიდევ თავისი ქნა. შოკში ჩავარდნილი თვითონ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე გამოსულა მდგომარეობიდან, გონს მოსულა. უკითხავს, რა მოხდა, ბიჭებოო? არაფერი, გოგა, დაჭრილი ხარ და ახლავე გაგიყვანთო. იქით ამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, თავებს გაუფრთხილდითო. და დახუჭა თვალებიო. მერე, რომ ვეკითხებოდით: როგორ ხარ, გოგაო, ხმას რომ ვეღარ გვცემდა, თითით გვაჩვენებდა, კარგად ვარო. გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან, მაგრამ იმედი აღარ გვქონდა, რომ გოგას კიდევ შევხვდებოდითო. გარეთ, აფეთქების დროს გოგასთან ერთად ორი ბიჭი იყო, ერთი გადარჩა, მეორე ბარძაყში დაიჭრა, ის დაჭრილი ბიჭი გვიყვებოდა, რომ „ბეტეერით“ გადაიყვანეს ის და გოგა სასწრაფომდე, ტყვიავამდე ერთად ვიყავით. გზაში ერთხელ ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი, ხელი რომ ვერ აწია, მეორე ხელი შეაშველა და ისე მანიშნა, კარგად ვარო. მეტი აღარ შევკითხვივარ, ძალიან მძიმედ იყო. ტყვიავში დაგვაშორეს, მე ტყვიავში გამიკეთეს ოპერაცია და გოგა არ ვიცი, სად წაიყვანესო. როგორც მერე გავარკვიეთ, თავის სამხედრო ექიმი გაჰყოლია გოგას, მძიმედ რომ იყო დაჭრილი, თბილისში გადაუწყვეტია წაყვანა, მაგრამ გზაში დაღუპულა... გზიდან მიბრუნებულან და გორში მიუყვანიათ მორგში. იმ ექიმს, როგორც მითხრეს, გოგას ქუდი წაუღია სახსოვრად...“

ოჯახმა გოგას ამბავი შუადღისას გაიგო. გოგიტას მეგობრის მეუღლემ შეატყობინათ.

სოფელს თავზე რუსული ავიაცია დასტრიალებდა. ძევერაში, სულ ახლოს, მაკრახიძეების სახლიდან სადღაც კილომეტრში ჩამოაგდეს ბომბი. მეზობელი სოფლებიდან რეკავდნენ: რუსი მოდის, გაეცალეთო. სოფელი იცლებოდა და ოჯახი იძულებული გახდა, 11 აგვისტოს დილით დაეკრძალა გოგიტა. დაკრძალეს და იმ საღამოსვე დატოვეს სოფელი. შინ მხოლოდ ხუთ სექტემბერს დაბრუნდნენ. სახლში ყველაფერი თავდაყირა დახვდათ. ატრიალებული, აზელილი. ოთახის შუაგულში ლოგინი და ტანსაცმელი – შექუჩებული, იყო ცეცხლის კვალიც და ჩექმის კვალიც...

ოჯახში დღესაც ინახავენ დაწყებითი კლასების პედაგოგის მიერ გოგიტასთვის 4 კლასის დამთავრების შემდეგ ნაჩუქარ ღია ბარათს წარწერით:

„ცელქო და მოუსვენარო გოგიტა, ისეთი სახელოვანი ვაჟკაცი დამდგარიყავი, რომ ამაყად მეთქვას - ჩემი გაზრდილია. შენი პირველი მასწავლებელი გ. ჯოლბორდი“.

დღეს აღარც მისი პედაგოგია ცოცხალი და აღაც მისი მართლაც სახელოვანი მოწაფე...

კაპრალი

ივანე ელიკაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

სოფელი იცლებოდა, გორის სატანკო ბატალიონის დაბომბვისას დაღუპულ 21 წლის ივანე ელიკაშვილს რომ კრძალავდნენ დილაუთენია, 9 საათზე. დედამ მანამდეც ბევრჯერ მოითხოვა კუბოსთვის თავის ახდა, ჩასვენების წინ კი – საბოლოოდ და კატეგორიულად.

წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს.

ივანე ელიკაშვილი შიდა ქართლში, სოფელ ქერეში დაიბადა და გაიზარდა.

90-იან წლებში რომ არეულობა დაიწყო, დედამისმა პატარა ვანიკო და მასზე ერთი წლით უფროსი ძმა – გიორგი, სოფელს გამოარიდა, თბილისში წამოიყვანა დროებით. რას წარმოიდგენდა დედა, რომ გამოხდებოდა ხანი, შიდა ქართლში ისევ ომი ატყდებოდა და მისი უფროსი ვაჟი ცხინვალში იომებდა, უმცროსი კი მტრის ბომბებს ემსხვერპლებოდა გორში...

დედამ ვანიკო ქერეს სკოლაში შეიყვანა, 9 კლასის დამთავრების შემდეგ კი გორში გადმოიყვანა.

თამილა ტატიშვილი, დედა: „ძალიან ჭკვიანი, თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო. ძალიან უყვარდათ მასწავლებლებსაც, ბავშვებსაც. კი მეუბნებოდნენ, სწავლაში თავის ძმას არ ჰგავსო, უფროსი კარგად სწავლობდა, ვანიკო – ნაკლებად, მაგრამ მთლად ისე არ იყო, რომ არ სწავლობდა, მეცადინეობდა, ოთხებზე, ჯანმრთელ სამიანებზე სწავლობდა, დაუყვედრებლად. ერთხელ ფიზიკის მასწავლებელმა მითხრა კრებაზე, ახლა ყველა ფიზიკოსი ვერ გამოვა, მაგრამ ძალიან კარგი გაზრდილი შვილი გყავთო. ყველას უყვარდა...

ჯარისთვის საბუთებს რომ აგროვებდა, მეზობლების ხელმოწერა სჭირდებოდა დახასიათებაზე. ორი სიტყვით დავწერე, რომ არის კარგი ბიჭი და მეზობლებს ვთხოვე ხელმოწერა. მეზობლის ქალმა მითხრა, ეს ორი სიტყვა რა არისო, თავიდან დამაწერინა დახასიათება, უაღრესად კარგი და წესიერი ადამიანიაო, ძალიან კარგი დახასიათება დამაწერინეს და მომიწერეს ხელი. ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა, ყველას დააკლდა...“

ბიჭები პირველ-მეორე კლასში იყვნენ, და რომ შეეძინათ.

მარიამ ელიკაშვილი, და: „განებივრებით ორივე მანებივრებდა, მაგრამ უფროსი უფრო სერიოზულად, უფრო მკაცრად მექცეოდა. ვანო – უფრო თბილად, სულ ჩემთან იყო, სულ მე მამართლებდა, მტყუანიც რომ ვყოფილიყავი. ძალიან მშვიდი ხასიათის იყო. უკონფლიქტო. გიო ეუბნებოდა კიდეც, ასეთი მშვიდი რატომ ხარო. ყველაფერს წყნარად აგვარებდა – ჩხუბისა და კამათის გარეშე“.

დედა: „სკოლა რომ დაამთავრა, თბილისში ხელობა ისწავლა – მანქანის ელექტრიკოსობა, მერე გორში ჩამოვიდა და მუშაობაც დაიწყო, მაგრამ მალევე ჯარში მოინდომა შესვლა. ძმას მიბაძა. უფროსმა სავალდებულო რომ მოიხადა, კონტრაქტით გააგრძელა ჯარში სამსახური. ისიც აქ, გორში მსახურობდა და ვანიკომაც მოინდომა. ვუშლიდი, მაგრამ არ დამიჯერა, გიოს რომ არ დაუშალეთო? ვერ გადავათქმევინეთ. და წავიდა. არ გაუწვევიათ. თვითონ წავიდა კონტრაქტით. 6 თვის წასული იყო ჯარში, ომი რომ დაიწყო“.

ვანიკომ თავისი მეუღლე თამარ ჩაკვეტაძე მაშინ გაიცნო, როცა თბილისში ხელობას სწავლობდა. მათი რომანი წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. მერე ცოლად შეირთო და.. შინ სამი თვის ფეხმძიმე დარჩა...

ჯარში სოფლიდან დადიოდა. მეუღლე იქ ჰყავდა. ბოლოს შინიდან 6 აგვისტოს გავიდა.

დედა: „რომ მიდიოდა, ძროხას ვწველიდი, იქიდან გამოვძახე, მიდიხარ-მეთქი? მივდივარო. ფეხმძიმე მეუღლე ჰყავდა წასაყვანი თბილისში, ექიმთან იყვნენ დაბარებულები. რომ ამოვალ, მერე წავალთო, მაგრამ აღარ მოსულა...“

იმ ღამეს უკვე საშინელი სროლები დაიწყო.

დედა: „7 რომ თენდებოდა, ისეთი სროლები იყო მთელი ღამე, რომ გული მისკდებოდა, მეშინოდა, რძალს შიშზე მუცელი არ მოშლოდა. გათენდა თუ არა, გოგო და რძალი თბილისში გამოვგზავნე. მამაჩემი, 80 წლის კაცი, ვერაფრით დავითანხმე, რომ მათ გაჰყოლოდა. იმ დღეს უკვე ჩვენი ტანკებიც შემოვიდა სოფელში, ჯარი ჩადგა დასაცავად. 8 აგვისტო რომ გათენდა, ერთი სული მქონდა, ეს მოხუცი როგორმე გამომერიდებინა იქიდან. ჩემს მეუღლეს სამარშრუტო ტაქსი ჰყავს და ქალები და ბავშვები გამოჰყავდა. როგორღაც მამაჩემიც დავითანხმე. მეუღლემ გორამდე ჩამომიყვანა, პირველი ბომბი უკვე ჩამოგდებული იყო გორში, საშინელი სიტუაცია დამხვდა, ქალაქი პანიკაში იყო, იცლებოდა. ძლივს ჩავსვი მამაჩემი „მარშრუტკაში“ და თბილისში გავიქეცით. ჩემს დასთან მივიყვანე, გამოვვარდი უკან, მაგრამ დიდუბიდან უკვე აღარაფერი მოდიოდა გორისკენ. მეუბნებოდნენ, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, გორში ომია, ვინ წავაო. ბოლოს ძლივს ერთი ავტობუსი წამოვიდა, 7 კაცი ძლივს მოვგროვდით. ამ მძღოლსაც ოჯახის წევრები ურეკავდნენ, ისტერიულად სთხოვდნენ უკან დაბრუნებას, გორისკენ მართლა არავინ მიდიოდა, გორიდან კი კოლონებად მოდიოდა მანქანები. გორში ჩამოვედი თუ არა, ნაწილში მივვარდი, ვანიკო გორში მეგულებოდა. გიორგის, ვიცოდი, გორში არ გააჩერებდნენ, უფროსს ატარებდა, მძღოლი იყო და უფროსს გორში არავინ დატოვებდა. ასეც იყო, მამამისს ელაპარაკა და უთხრა, წასულები ვართო, მაგრამ კონკრეტულ ადგილს არ ეუბნებოდა. ცხინვალში იყო.

ნაწილში რომ მივვარდი, მითხრეს, ვანიკო აქაა, მაგრამ ვერ გამოვაო. გორის თავზე უკვე თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ქუჩებში აღარავინ იყო, რეალობის შეგრძნება დავკარგე, მეგონა, რასაც ვუყურებდი, კინო იყო.

მივვარდი ნათესავთან, სარდაფში ჩავიდეთო, გადამეკიდნენ, ვერ გავჩერდი, სახლში გამოვვარდი. ყველა მეკითხებოდა, ბიჭები სად არიანო. არ ვიცი, ერთი, მგონი, აქაა, მეორე წაყვანილი ჰყავთ და არ ვიცი, სადაა-მეთქი.

საღამოს ისევ ავედი ნაწილში და ძლივს ვნახე ჩემი შვილი. ველაპარაკე, ვუთხარი, რომ მისი მეუღლე და და თბილისში იყვნენ. იცოდა კიდეც.

მითხრა, გიორგის ველაპარაკეო. კარგადააო. შევატყვე, რომ მატყუებდა, არ იყო დალაპარაკებული. შევატყვე, მაგრამ არაფერი ვუთხარი, უჭირდა, რომ მატყუებდა. სასოწარკვეთილი ვამშვიდებდი, ნუ გეშინია, დედა, ამაღამ გორში ვარ, აქა ვარ-მეთქი. ის აქეთ მამშვიდებდა. უჭირდა ლაპარაკი. ვამხნევებდი, მაგრად იყავი-მეთქი. კი მითხრა: არა, მე არაფრის არ მეშინიაო, მაგრამ, რომ მოვდიოდი, უცებ მივიხედე და ისეთი სევდიანი თვალები გამომაყოლა... ზუსტად ეგრე ჰქონდა თვალები მკვდარსაც... თითქოს ღიმილი დასთამაშებდა, სიმწრის ღიმილი, კბილები მოუჩანდა, ვინ იცის, რა თქვა ბოლო სიტყვები...

იმ ღამეს ნათესავმა მომაკითხა, თავისთან წამიყვანა და როგორღაც იყო, ის ღამე გავათენე.

9 აგვისტო რომ გათენდა, სოფელში დავაპირე წასვლა. ნათესავმა გამომაცილა და გამოვედით გზაზე, რომ იქნებ ვინმეს გავყოლოდი. გორის ციხესთან არ ვიყავით მოსული, რომ დაბომბვა დაიწყო. უკან გამოვიქეცით. მოვრბოდით და... სატანკო ბატალიონის თავზე რომ შავი ბოლი დავინახე, გულმა მიგრძნო, რომ უბედურება ტრიალებდა ჩემს თავს. მაინც იმედს ვიტოვებდი, იქნებ მოასწრო დამალვა, იქნებ გადარჩა... თავზარდაცემული გავვარდი, ნათესავი მაკავებდა, ცოტა ხანს მოიცადე, ჯერ სკდება რაღაცებიო, როგორც იქნა, ავაღწიე იმ უბედურებაში ნაწილში, იქვე კორპუსებს ცეცხლი ეკიდა. მივვარდი ნაწილში, ბიჭები იდგნენ, ვანიკო სად არის ელიკაშვილი-მეთქი. აქ არ არისო. როგორ არ არის, წუხელ ვნახე, აქ იყო-მეთქი. მერე მითხრეს, წადით, დეიდა, ჰოსპიტალში მოძებნეთო.

ჩამოვვარდი ჰოსპიტალში, აუარებელი ხალხი ირეოდა, ჩემი მეუღლე დავინახე, იდგა კედელთან და ტიროდა. თურმე იცოდა ყველაფერი... ვანიკოსთან დაურეკავს, დაბომბვის ამბავი რომ გაიგო, და ვანიკოს ტელეფონი ვიღაცას აუღია სასწრაფოში, ვინ კითხულობს, ვანიკო დაიღუპა, დაგვეღუპნენ ბიჭებიო...

რატომ ტირი, რა გატირებს-მეთქი, – ვკითხე ჩემს მეუღლეს. რა, არ მაქვს სატირლად საქმეო?

ჩემმა მეუღლემ მითხრა, დაღუპულია, ცოცხალი აღარ არისო... ჩემი უფროსი ბიჭიც ჩამოვიდა, რომ გაიგო ძმის დაღუპვის ამბავი. გიორგი ფრონტის ხაზზე იბრძოდა ცხინვალში, ფეხში იყო დაჭრილი, თვითონ ამოუღია „ასკოლკები“, არც მისულა ექიმთან, არც ჩვენთვის უთქვამს, აქ იმხელა უბედურება დახვდა. ახლაც უჭირს შეგუება, ტყუპებივით გავზარდე, უერთმანეთოდ არსად დადიოდნენ...

ვანიკოს იმ დილით, 11-ის 20 წუთზე ელაპარაკა დეიდამისი, მისი მონაყოლიდანაც დავრწმუნდი, იმ დღეს რომ მომატყუა, როცა მითხრა, გიორგის ველაპარაკეო. დეიდამისს უთქვამს, როგორღაც მოვახერხე და გიორგის ველაპარაკეო. მართლა, დეიდა, როგორ არის, სად არისო? თვითონაც ვერ ურეკავდა, არ იცოდა, სად იყო გიორგი, იმ დილით გაიგო. დეიდამისმა ჰკითხა, შენ როგორ ხარო. მე რა მიჭირს, გორში ვარო...“

ვანიკოს დაღუპვა რომ გაიგეს, მამიდამ მოტყუებით წამოიყვანა სოფელში ვანიკოს ცოლი და და.

მარიამ ელიკაშვილი, და: „ჩემმა მამიდაშვილმა გვითხრა, ომი დამთავრდა, ვბრუნდებითო. უკვე ტყვიავში რომ შემოვედით, მამიდაჩემმა შემოგვაპარა, მძიმედ არის დაჭრილიო. შევედით სახლში და მოასვენეს კიდეც...“

დედა: „სოფელში რომ მივასვენეთ, შუქები უკვე აღარ იყო. „დვიჟოკი“ ჩავრთეთ მარტო იმ ოთახში, სადაც გვესვენა, ფანჯრებზე „ადეალები“ ჩამოვაფარეთ, სინათლე რომ არ გასულიყო. იბომბებოდა. სოფლიდან გარბოდა ყველა. ჩემი შვილის, საერთოდ, გორის დაბომბვის ამბავი რომ გაიგეს, კიდევ უფრო შეშინდნენ. სოფელი, ფაქტობრივად, დაიცალა. ვინც დარჩა, ისიც ჩვენი ხათრით. მერე გვითხრეს, გათენდება თუ არა, უნდა დავასაფლაოთ, ხომ ხედავთ, ომიაო. თავიდან კი უარზე ვიყავი, მაგრამ, რომ ვნახე, იმათაც საფრთხეში ვაგდებდი, ვინც ჩვენი გულისთვის რჩებოდა, დავთანხმდი. ინათა თუ არა, ხალხი მოდიოდა და გვეუბნებოდა: დიდი ბოდიში, თქვენ გვერდით უნდა ვიდგეთ, მაგრამ ბავშვები, ქალები გაგვყავს და გვაპატიეთო. 9 საათზე დავკრძალეთ. კუბოს არ გვახსნევინებდნენ, მაგრამ დასაფლავებისას მოვითხოვე, ახადეთ თავი, მანახეთ-მეთქი. ახადეს და ვნახე, რომ ნამდვილად ჩემი შვილი იყო, რომ არ მენახა, ვერც დავიჯერებდი... საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი... თვალები ღია დარჩენოდა... ტანზეც ჰქონდა ჭრილობები, სულ „ასკოლკებით“ იყო დამწვარი. ჩემი რძლის დედამ როგორ აღარ იარა, ხან რას გამოჰყვა, ხან – რას, 10 საათზე ჩამოაღწია სოფელში და ვანიკო უკვე დაკრძალული გვყავდა. სასწრაფოდ უკან გამოვაყოლეთ რძალი და გოგო.

იმ ღამით ჩვენც მოგვიწია წამოსვლა. უკვე შემოდიოდნენ სოფლებში, კარალეთამდე იყვნენ მოსულები, ვთქვით, ღამით გავარიდოთ თავი და დილით დავბრუნდეთო, მაგრამ, რომ გამოვედით, შემოვიდნენ და შემოვიდნენ და ვეღარ მივბრუნდით.

მერე კი სულ შემოვიდნენ.

მეუბნებიან, როცა ნაწილში ნახე, რატომ არ უთხარი, წამოდიო. მე ვერც შევბედე ამის თქმა, რომ ან წამოსულიყო ან რაღაც...

თორემ რა ედგათ წინ, გააღებდნენ კარს და გაიქცეოდნენ. ყველა წავიდოდა ნაწილიდან. მაგრამ არ უღალატეს, არც სამშობლოს და არც ერთმანეთს. იდგნენ, იცოდნენ, ხედავდნენ, რომ იბომბებოდა გორი, ალბათ, ელოდნენ კიდეც, რომ მათაც დაბომბავდნენ, მაგრამ ფეხი არ მოუცვლიათ. არ იზამდა მაგას. ძმა ცხინვალში ჰყავდა და თვითონ იქიდან გაიპარებოდა?..“

2009 წლის 13 იანვარს, პატარა ანი დაიბადა...

კაპრალი

ლევან დევდარიანი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1984 - 2008

ეარაბდის ველი. დედა-შვილი მოდის... ბიჭუნა აქეთ-იქით აცეცებს თვალებს. გმირ წინაპართა ფარ-ხმალს დაეძებს. ბიჭუნას საქართველოს ისტორია უყვარს. იმედგაცრუებული დედას ეკითხება: დედიკო, აბა, სადაა ხმლები?

დედას ეღიმება და უხსნის, რომ ისინი მიწამ დაფარა.

რა იცის დედამ, რომ გამოხდება ხანი და მის გვერდით მომავალი ბიჭი მომავალში მარაბდის გმირებზე არანაკლებ გმირობას ჩაიდენს, რომ ომის ორომტრიალიდან მშვიდობით გამოსული ალყაში ჩარჩენილ თანამებრძოლთა გადასარჩენად შებრუნდება, დაიჭრება და... და მას ის თანამებრძოლები იქ დატოვებენ.

ლევან დევდარიანი, სულ რაღაც, 24 წლისა იყო. არც ცოლ-შვილი დარჩენია, არც შეყვარებული... დარჩა სახელი – გმირის. დარჩა ბოლო ზარის პერანგი, ბეჭებზე საკუთარი ხელით ნაწერი წარწერით – „კაცობა-გმირობა“.

ლევან დევდარიანი ლენტეხის რაიონში, სოფელ ზესხოში დაიბადა.

ერთ წლამდეც არ ყოფილა მტირალა, მერე კი საერთოდ ხელი აუღია ტირილზე.

დედა, ბელა შერვაშიძე: „რაც ერთ წელს გადასცდა, არ მახსოვს, ეტიროს. რაღაცნაირი ძლიერი სულის პიროვნება იყო. რამეს რომ დააშავებდა და დავუძახებდი, აქ მოდი-მეთქი, იცოდა, რომ მოხვდებოდა, მაგრამ მაინც მოდიოდა და დგებოდა. რომ მოგეკლა, ვერ აატირებდი. ძალიან უყვარდა მამამისი და უნდოდა, მას მგვანებოდა. არადა არ ჰგავდა, უფრო მე მგავდა და როცა ეტყოდნენ, მამას არ გავხარო, ჯიუტად ამტკიცებდა, კიო, მამას ვგავარო. ძალიან უყვარდა ჭიდაობა და ყველა თავის თანატოლს ეჭიდავებოდა. რომ წააქცევდა და გაიმარჯვებდა, მერე სულ გული სწყდებოდა, რატომ წავაქციე, რატომ მოვერიე, ისინი ხომ ჩემი ძმაკაცები არიანო. ძალიან მოსიყვარულე ბავშვი იყო, უმცროსი და-ძმა ჰყავს და არ მახსოვს, რამეზე ეჩხუბათ“.

6 წლის იყო ლევანი, როცა ოჯახი სვანეთიდან აიყარა.

სვანეთში სტიქია მძვინვარებდა, მათ სოფელში ზვავები არ ჩამოწოლილა, მაგრამ ერთი თვე გადაუღებლად თოვდა. აღარც სოფელი ჩანდა, აღარც ნასოფლარი, ხალხი მაღალი ძაბვის სადენების სიმაღლე თოვლზე დადიოდა.

დედა: „დედაჩემის სოფელში ზვავებმა 26 ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის დედაჩემის მამა და ჩემი ძმის ოთხი შვილიშვილი. ჩვენს ახლობლებს, ვინც აქეთ გვყავდა, ჩვენც გამოტირებული ვყავდით. მერე კომისია იყო ამოსული, კიდევ არ განმეორდეს, ზვავსაშიშროებაო და გარდაბანში ჩაგვასახლეს. ბავშვები გარდაბანს იოლად მიეჩვივნენ. ლევანს ძალიან უყვარდა გარდაბანი, მერეც, სტუდენტი რომ იყო, თბილისში არ რჩებოდა, გარდაბნიდან დადიოდა“.

გარდაბანში რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, დედამ იმ წელს სკოლაში არ შეიყვანა ლევანი, გარემოსთან შეგუება და სკოლაში სწავლა რომ არ გასჭირვებოდა და ერთი წელი ბაღში ატარეს, ბავშვებს დაუმეგობრდა. მეორე წელს სკოლაში რომ მიიყვანა დედამ, მერხს მიუჯდა თუ არა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ გვერდით მჯდომ ბიჭუნას ხელი დაუდო და მკლავის გადაწევა შესთავაზა, აბა, რომელი ვაჯობებთო.

დედა: „სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, გამორჩეულად ჰუმანიტარული საგნები უყვარდა, ქართული და ისტორია. საქართველოს ისტორიაზე გიჟდებოდა. მერე და მერე მისი საყვარელი ფილმი „მამაცი გული“ იყო. სულ იმას ამბობდა, როგორ უყვარს სამშობლოო, ყველაფერს ანაცვალებს სამშობლოსო. „დათა თუთაშხია“ უყვარდა ძალიან, სულ გახაზული აქვს ის ფრაზები, რაც მოსწონდა. საერთოდ, ძალიან უყვარდა კითხვა, მე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. სანამ პატარა იყო, მიმყავდა და კითხულობდა, ენციკლოპედიებს ჩაჰკირკიტებდა. მერე, რომ წამოიზარდა და იქ სიარული ეზარებოდა, სახლში მომქონდა მისთვის წიგნები. რამე ციტატა რომ შემხვდებოდა სამშობლოზე, სიყვარულზე, ამოვუწერდი და მომქონდა ხოლმე. ამ ქვეყანაზე რაც სითბო და სიყვარული ვიცოდი, ყველაფერი ჩავაქსოვე ბავშვების გაზრდაში... დაწყებით კლასებში რომ სწავლობდა და რამეს დააშავებდა, ვეტყოდი, ნაზი მასწავლებელს ვეტყვი-მეთქი. მერე მთელი დღე უკან დამდევდა და მეხვეწებოდა, დედიკო, ოღონდ არ უთხრა და აღარაფერს დავაშავებო. ასევე იყო კარატეს მწვრთნელზეც, იმის ხათრი ჰქონდა უსაშველო. ძალიან უნდოდა ჭიდაობაზე სიარული, მაგრამ გარდაბანში არ იყო ჭიდაობის სექცია და მეორე კლასში რომ გადავიდა, კარატეზე მივიყვანეთ. ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა, წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ ბოლომდე არ გაჰყვა.

მამა, ცაგო დევდარიანი: „შავ ქამარზე, რომ ჩააბარა, მერე აიცრუა გული.

ხუთჯერ თუ შვიდჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა პატარებში, ორჯერ კავკასია მოიგო, მაგრამ ისეთი სიდუხჭირე იყო, ამის იქით ვერსად გავიდა. ერთ წრეზე ტრიალებდნენ. სახელმწიფოს არ ჰქონდა საშუალება, რომ სადმე გაეშვა, არც ოჯახში გვქონდა საშუალება, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გაგვეყვანა. თბილისსა და ბაქოს ვერ გასცდა და უკვე ინტერესი დაკარგა, მობეზრდა, თორემ მართლა იშვიათი მონაცემები ჰქონდა. ერთხელ ფიზიკური მონაცემების შეჯიბრი ჩატარდა თბილისში, ყველა რაიონიდან იყვნენ. კინაღამ გააგიჟა მსაჯები, 180-ჯერ ჩავიდა და ავიდა ცალი ფეხით. გააჩერეს, ბავშვი არ გადაიწვასო. 200-ჯერ აიწია მუშტებით, ტანით 60-ჯერ აიწია ძელზე. ხელებით მთელ სპორტდარბაზს შემოუარა, 80 მეტრის მანძილზე. გაოგნდნენ. ამ დროს მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლე იყო“.

სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ ისურვა. მშობლიურ სვანეთში წავიდა, მთელი ზაფხული და შემოდგომა იქ გაატარა.

დედა: „სვანეთიდან რომ ჩამოვიდა, სულ მეგობრებში ტრიალებდა. თავიდან არ ისურვა სწავლის გაგრძელება, მაგრამ მერე, მისი და რომ სტუდენტი გახდა, მასაც ჭკუაში დაუჯდა და ჩაბარება გადაწყვიტა. ვამზადებდით. მახსოვს, სვანური ქუდი უყვარდა ძალიან, მამაჩემმა აჩუქა და ქალაქშიც სულ იმ ქუდით დადიოდა. 2004 წელს ჩააბარა ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობაზე. ვერის ბაღში, ერთი წელი კინგ-ბოქსინგშიც ვარჯიშობდა. აფორიაქებული იყო ბოლო წლებში. შეყვარებული არ ყოფილა. ეჰ, ნეტა ყოფილიყო შეყვარებული... სულ პირზე ეკერა კაცობა და გმირობა. ერთხელ ვკითხე: დედიკო, რას ეძახი კაცობას, ერთი შენებურად ამიხსენი-მეთქი. მე რომ ვარ, დედიკო, ეს არის კაცობაო. ახლა, მისი ბოლო ზარის პერანგი ვნახე, ბეჭებზე თავისი ხელით უწერია დიდად: „კაცობა – გმირობა“. უნივერსიტეტი 2008 წელს დაამთავრა, ერთი სული ჰქონდა, დიპლომს როდის აიღებდა. სამხედრო აკადემიაში უნდოდა ჩაბარება. დიპლომი სექტემბერში მოგვიტანეს, ვერ მოესწრო მის აღებას... ვერ ნახა თავისი დიპლომი“. ლევან დევდარიანი ჯარში არ გაუწვევიათ. უნივერსიტეტის დამთავრებამდე, 2007 წლის გაზაფხულზე, თვითონ მიაკითხა კომისარიატს. მეოთხე ქვეითი ბრიგადისთვის გამოცხადდა მიღება და ლევანიც კონტრაქტით წავიდა.

დედა: „ჩვენ არ გვინდოდა გაშვება. თავისი სურვილი იყო, ალბათ, ბედისწერაც... ისე უყვარდა იქ ყოფნა, ისე მოსწონდა ჯარი, სულ სხვანაირი შთაბეჭდილებით იყო ცხოვრების მიმართ...“

მერე ომი დაიწყო... შინიდან ბოლოს 4 აგვისტოს გავიდა.

დედა: „იმის მერე არც მინახავს, ომი რომ დაიწყო, არც მილაპარაკია, ტელეფონი ვაზიანში ჰქონდა დატოვებული. რომ ამბობდნენ, წინ სპეცრაზმი მიდისო, მეგონა, რომ ისინი უკან იქნებოდნენ, არადა, თურმე ესენი იყვნენ სპეცდანიშნულების სწრაფი რეაგირების ბატალიონი. ჩემი მეორე ბიჭი სვანეთში იყო იმ დროს, იმან დაგვირეკა, ლევანიც შეუყვანიათ ცხინვალშიო. ჩემი მულისშვილიც მსახურობდა ვაზიანში, იმასთან ულაპარაკია... ბიჭები მიყვებოდნენ მერე, მთელი ომის ქარ-ცეცხლი გამოუვლია. მე არ მინახავს, მომიყვნენ, ტელევიზიით ულაპარაკია ექიმ გოგოს, რომელიც იქ დაიჭრა, იქ ერთი სვანი ბიჭი იბრძოდა, იმნაირი მე არაფერი მინახავსო. იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს მოხდა, ლევანის მეტი არავინ იყო სვანი... ჩემს მაზლისშვილს ახლობელი ჰყავს ჯარში, ის მოუყვა, ბიჭები უყვებოდნენ, ის როგორ გადარჩებოდა, ან როგორ არ დაიჭრებოდა, ტანკიდან ტანკზე ვეფხვივით ხტებოდა, დაფრინავდა, ისეთ ამბებში იყოო. ჩემმა მაზლისშვილმა სურათიც გამომართვა, ბიჭებს ანახა და იმ ბიჭებმა უთხრეს, ეგ არის, სურათი რად გვინდა, ისედაც ყველამ ვიცითო. ყველამ იცის ლევანი, ვინც კი ცხინვალიდან ცოცხალი გამოვიდა. მართალი გითხრათ, არ შემიძლია დავწვრილმანდე და ჩავუღრმავდე, ყველაფერი გამოვიკითხო, რა და როგორ იყო, ძალიან მიმძიმს“.

მამა: „ვერც ლაპარაკობენ, თვითონ მათ გამოსაყვანად შევიდა და ის იქ დატოვეს... ლევანმა სამშვიდობოს გამოაღწია, მაგრამ იქ, შანხაის ტერიტორიაზე ბიჭები ჩარჩნენ და, იმათ იქ ვერ დავტოვებო და უკან შებრუნდა. მაშინ დაიჭრა ფეხში მძიმედ, მუხლს ზემოთ. მოუკლეს ბატალიონის უფროსი, შტაბის უფროსი, ლევანის ჩათვლით ცხრა კაცმა ბუნკერს შეაფარა თავი, იქ რომ ჩასულან, ორი ოსი დახვედრიათ, ტყვედ აუყვანიათ, მერე კიდევ ორი ოსი ჩასულა და ისინიც აუყვანიათ ტყვედ. ის ღამე იქ გაუთევიათ. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ 10 აგვისტოს მათთან ერთად მყოფმა ასეულის სერჟანტმა გელა მებაღიშვილმა ცოლთან დარეკა და უთხრა, რომ დაჭრილები ჰყავდა, მათ შორის ლევანიც. ლევანის გარდა, კიდევ ოთხი დაჭრილი იყო, მაგრამ ისინი მსუბუქად. დილით გამოსვლა რომ დაუპირებიათ, მებაღიშვილი „სტრახოვკაზე“ დამდგარა, მათთან ბუნკერში მყოფ ოფიცერს, ჩიხლაძეს ბრძანება გაუცია, რომ ცინცაძესა და ახიჯანიანს ლევანი უნდა გამოეყვანათ. თვითონ წინ ორი ოსი დაუყენებია, უკან – ორი და სამშვიდობოზე გამოსულს გაუშვია. დანარჩენი დაჭრილები თავის ფეხით გამოსულან. ყველა გამოვიდა მის გარდა. ამბობენ, მებაღიშვილს რომ უნახავს, ლევანი არსად ჩანდა. ექიმთან ერთად შებრუნებულა, მაგრამ ადგილამდე ვერც მიუღწევია, მოუკლავთ. ის ექიმიც ვერაფრით ვერ ვნახეთ.

დედა: „ერთი რუსთაველი ბიჭია, ჩვენთან იყო ერთ საღამოს მოსული, ნასვამი იყო და ამბობდა: მე გადამარჩინე, მაგრამ მე ვერ გადაგარჩინეო...

ამბობენ, გადაეფარა ბიჭებსო... მერე დიდხანს ვეძებდით. ომის დროს, თბილისელი ოსი გოგოები იყვნენ ვლადიკავკაზში დასასვენებლად, დედა ჰყავთ გარდაბნელი ქართველი, იმ გოგოებმა დარეკეს, ტელევიზიით ვნახეთ, ექიმი ლაპარაკობდა, ჩვენ გვყავს დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი დევდარიანი, რომელსაც ჩვენ ვუვლითო. მერე ოსი ახლობლები გამოვნახეთ, იურისტი ბიჭები არიან, თბილისში ჰქონდათ დამთავრებული, იმათ გაიკითხეს და გაიგეს, რომ იმ ბუნკერიდან რუსებს ამოუყვანიათ, მაგრამ იმ ბიჭებმა გვითხრეს, ჰოსპიტალების სიახლოვეს არ გვაკარებენო. მერე, ცხინვალის კომენდანტთან, რუს გენერალთანაც გამოვნახეთ საერთო ახლობელი, დავარეკინეთ. ერთ საათში დაურეკა, კი გვყავს ამნაირი დაჭრილიო. ამ ჩვენმა ახლობელმა სთხოვა, ან გამომიყვანეთ, ან მე შემომიშვით და გამოვიყვანო, მაგრამ ორ საათში გადმოურეკეს, შეგვეშალა, სხვა არისო. ღმერთმა იცის, რა მოხდა“.

მამა: „ცხედარი გვიან გადმოასვენეს, ჯერ იქ იყო დაკრძალული, მერე საპატრიარქომ რომ ბოლოს გადმოასვენა, დეენემის პასუხით, მათ შორის იყო. მუხათგვერდშია დაკრძალული.“

კაპრალი

გიორგი მამუკაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

9 აგვისტოა. დილა. ომი მძვინვარებს. გორს რუსული ავიაცია დასტრიალებს.

გიორგი გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზეა. ომში არ წაიყვანეს – ორჯერ ძალით ჩამოაგდეს ავტობუსიდან, ბაზაზე დატოვეს.

დედამ მიაკითხა. დედაც ყაზარმულ რეჟიმზეა – სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობს მედდად. დედა სულ რამდენიმე საათით გამოუშვეს ჰოსპიტალიდან, სამდღიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ. დედა-შვილმა ისაუბრეს. შვილმა დედა გამოისტუმრა, სახლში ჩადი, სადილი გაამზადე და ცოტა ხნით ჩამოვალო. დედა წამოვიდა, მათი სახლი იქვეა – ვერხვების უბანში. მივიდა სახლში და დაიწყო დაბომბვა.

„მეც, მამამისიც გიჟებივით გამოვცვივდით, იმ ქაოსში ნაწილამდე ვერ მივაღწიეთ, ვრეკავდი, კავშირი გაწყვეტილი იყო...“ - იხსენებს დედა.

ბოლოს, როგორც იქნა, დარეკა დედამ შვილთან.

გიორგის ნაცვლად ტელეფონს მისმა სიდედრმა უპასუხა. დედას ცუდად ენიშნა. გიორგის სიდედრი ჰოსპიტალში, მიმღებში, შოკის დარბაზში მუშაობდა, მას მიუსვენეს სისხლისგან დაცლილი სიძე.

მედეა მამუკაშვილი, დედა: „ანა, რა ხდება, შენ რატომ გაქვს ტელეფონი, გიორგი სადაა-მეთქი. ნუ გეშინია, დაჭრილია გიორგი, აქაა მოყვანილი, ისეთი არაფერი არა აქვსო. მოვდივარ-მეთქი, – ესღა ვთქვი. გამოვიქეცი სახლში და იქაურობაც დაქცეული დამხვდა. გვერდით, მეზობლის სახლს ბომბი ჰქონდა დაცემული... აღარაფერი მახსოვდა, შევვარდი სახლში, სპორტულები ავიღე, ბავშვს გამოსაცვლელი ჰქონდეს-მეთქი და ამ დროს დამირეკა სიდედრმა, აღარ ჩამოხვიდე, მე ამოვიყვან სახლში, ისეთი არაფერიაო. თქვენს მტერს და დამაწყევარს... მომიყვანეს სასწრაფოთი უკვე ცხედარი“.

დედას მიუსვენეს 21 წლის ბიჭი. ბიჭი, რომელსაც წლები ელოდნენ.

გიორგი მამუკაშვილი ნაბოლარა იყო...

დედა: „გიორგი მესამე, რომ იტყვიან, სიბერეში შეძენილი შვილი იყო, ორი გოგონას შემდეგ შეგვეძინა. გიორგი რომ დაიბადა, უფროსი 13 წლის იყო, მეორე – 10 წლის. ძალიან ლამაზი და ლაღი ბავშვობა ჰქონდა, ძალიან ცელქი და მოძრავი ბავშვი იყო. ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, არც ბავშვობაში, არც შემდეგ. ყველაფერი ეჩქარებოდა, ყველაფრის მოსწრება უნდოდა...“

უფროს დას, მარინას, დედის თანაბარი ამაგი ჰქონდა მის გაზრდაში. დედა მუშაობდა და გიორგი უმეტესად მარინასთან იყო. მერე მარინა გათხოვდა და გიორგი ხუთი წლისაც არ იყო, ბიძა რომ გახდა, ძმისშვილმა თაზომ კი თავის პატარა ბიძას სახელი „წაართვა“.

მარინა, და: „ყოველი დღე მახსოვს – დაბადებიდან სიკვდილამდე... ხუთი წლისაც არ იყო, თაზო რომ შემეძინა, გიორგის ბიძა დაარქვეს, პატა ბიძა. თვითონაც შეიფერა სახელი, პატარაობიდანვე კაცად ჩამოყალიბდა, ლამის ბავშვობა არ ჰქონია. ერთხელ ჩემი ბიჭი დაიჭირა და ეჩხუბებოდა, შენი გულისთვის სახელი დავკარგე, გიორგის აღარავინ მეძახის, ყველა ბიძას მეძახისო. მერე და მერე, რომ წამოიზარდნენ, ძმაკაცობდნენ...

გიორგი ყველას უყვარდა – ბაღში, სკოლაში, უბანში... ვერავინ გეტყვის, რომ გიორგისგან რამე სწყენია. ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ ძალიან დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მოდიოდნენ სულ პატარა ბიჭები, რომ გიორგის ჭკუა დაერიგებინა...“

დის მეგობარი იხსენებს: „სიგარეტს ვეწეოდით გოგოები, პატარა იყო მაშინ გიორგი. სულ გვეჩხუბებოდა, მერე თითქოს მიეჩვია. ერთხელაც, ჯოკერს ვთამაშობთ, თან ვეწევით. ჩავაფერფლეთ საფერფლეში და... ბუხ, აფეთქდა მთელი საფერფლე... თურმე დამდგარა, ასანთისთვის თავები წაუტეხია და მთელი საფერფლე იმით გაუვსია... დაგვსაჯა, საფერფლე აგვიფეთქა...“

როგორც ყვებიან, პატარაობიდანვე სიგიჟემდე ჰყვარებია მანქანა. მისი ერთადერთი სათამაშო მანქანები ყოფილა. მეხუთეკლასელი კი უკვე ნამდვილ მანქანას მართავდა – ჯერაც რომ არ ჩანდა მანქანიდან. მამა დააყენებდა მანქანას. წავიდოდა სადმე, მოვიდოდა და ადგილზე არ დახვდებოდა – გიორგის გასაღების ასლით გაჰყავდა მანქანა. მამა ცვლიდა გასაღებს. გიორგიც აკეთებდა ახალ „დუბლიკატს“. ბოლოს მამას შეშინებია – შარში არ გაეხვესო, ამდგარა და მანქანა გაუყიდია.

მარინა: „მაშინ მამას ხუმრობით უთხრა: მამა, მანქანა მიყიდე, თორემ ცოლს მოვიყვანო. ერთადერთი მაშინ ახსენა ცოლი, ისიც ხუმრობით, სხვა ჩვენ არაფერი ვიცოდით, არ უთქვამს, ცოლი მომყავსო. არც იმ გოგოზე უთქვამს საერთოდ რამე. არაფერი არ ვიცოდით, კარზე მოგვაყენა პირდაპირ. თურმე ჰყვარებია ინა“.

დედა: „გიორგიმ სკოლის დამთავრების შემდეგ, გორში, მცირე აკადემიაში, იურიდიულზე ჩააბარა, ინაც მცირე აკადემიაში სწავლობდა ფარმაკოლოგიის ფაკულტეტზე, იქ გაიცნეს და შეუყვარდათ ერთმანეთი. 18 წლის იყო, რომ შეირთო. შეეძინათ პატარა მარიამი. ძალიან უყვარდა თავისი პატარა ოჯახი. ნამდვილად არ გვიჭირდა, მაგრამ პასუხისმგებლობას გრძნობდა და სულ მუშაობდა, სანამ ჯარში შევიდოდა, ხან სად მუშაობდა, ხან სად – კერძო ფირმებში“.

და: „მუშაობას არ თაკილობდა. ფირმაა ასეთი, „ფლამინგო“, იქ მუშაობდა ქათმებზე. „მექათმეს“ ვეძახდით. ნახევარფაბრიკატების ფირმა იყო „ოქროს თევზი“, იქაც მუშაობდა, სანამ ხორცმა არ მისცა ალერგია. არ ჩერდებოდა უსაქმოდ. ასაკისთვის გასაოცარ პასუხისმგებლობას გრძნობდა თავისი ცოლ-შვილის წინაშე. მახსოვს, ინა რომ

სამშობიაროში წაიყვანა, სამი დღე და ღამე სამშობიაროსთან მანქანაში გაატარა, უცებ რამე არ დასჭირდესო“.

ინსტიტუტს ამთავრებდა, საკონტრაქტო ჯარში რომ შევიდა. სახელმწიფო გამოცდები ისე ჩააბარა, ლექტორებმა არ იცოდნენ, რომ ის ჯარში იყო. ყვებიან, რომ სამხედრო კარიერის გაგრძელებას აპირებდა – სამხედრო აკადემიაში ჩაბარებას. ელოდა იურიდიულის დიპლომის აღებას. მაგრამ ომმა არც დიპლომის აღება აცალა, არც სამხედრო კარიერის გაგრძელება. და არც სანუკვარ მანქანაში გახარება – ჯარში შესულა თუ არა, მანქანა უყიდია, მაგრამ... 21 წლისა დაიღუპა.

მარინა, და: „ჯარში შევიდა, მაგრამ შესვლის დღე იყო და სამშობლოს სიყვარული, რაც მუდამ ჰქონდა, გაუასმაგდა. ჩემი მეუღლე და გიორგი ერთ ოცეულში მსახურობდნენ. სახლში ერთად რომ დასხდებოდნენ, ორ ჭიქას დალევდნენ თუ არა, სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, როდის შევიდოდნენ ცხინვალში. ერთი სული ჰქონდათ. ვეტყოდი ხოლმე, გიორგი გაჩუმდი, მართლა არ ახდეს ეგ ყველაფერი-მეთქი. უნდა ახდეს, აბა, რას ჰქვია, ჩვენ თუ არ შევედით, ჩვენი შვილები ისევ ასე იქნებიანო.

გიორგი მამუკაშვილმა სულ 7 თვე იმსახურა გორის სატანკო ბატალიონში. 7 თვის თავზე ომი დაიწყო. განგაშმა დედას ჰოსპიტალში უხმო, შვილს – ბაზაზე. საიდანაც ომში არ წაიყვანეს.

მარინა მამუკაშვილი: „ორჯერ ჩამოაგდეს ავტობუსიდან. მათი ოცეული ბაზის დასაცავად დატოვეს. ჩემი მეუღლეც იქ იყო. ისიც მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა, გონი არ დაუკარგავს და ის დროზე გადაიყვანეს ჰოსპიტალში. “

დედა: „გიორგი სიკვდილამდე 15 წუთით ადრე ვნახე. სამი დღე და ღამე ჰოსპიტალში ფეხზე ვიდექი, გადავიღალე და ცოტა ხნით გამომიშვეს. თან რაღაც წინათგრძნობა მეწეოდა. დავურეკე და ნაწილში ავაკითხე. 10-15 წუთი ვისაუბრეთ. ვუთხარი კიდეც: გიორგი, ძალიან ცუდი ამბებია, შვილო, იქნებ რაღაცნაირად ან თავი დაანებოთ, ან წამოხვიდეთ შენ და სოსო(ჩემი სიძე)-მეთქი. რას ამბობ, დედა, ბიჭები აქ ვდგავართ ყველანი. სად უნდა წამოვიდეო. მერე დამამშვიდა: მიდი, კარგი სადილი გააკეთე რამე და ცოტა ხნით ჩამოვალო. მივედი სახლში და გავიგე აფეთქების ხმა...“

მარინა მამუკაშვილი: „ჩემი შვილები და გიორგის ცოლ-შვილი მცხეთაში მყავდა წაყვანილი. დაბომბვამდე სადღაც 20 წუთით ადრე ველაპარაკე ჩემს ქმარს და გიორგის. ჩემმა ქმარმა მითხრა: რა ვიცი, ველოდებით, როდის დაგვბომბავენო. ჩემმა ძმამ კი: კარგი, რა გააწყალე გული, რამდენჯერ უნდა დარეკოო. დაბომბვის მერე რომ ვრეკავდი, უკვე კავშირი აღარ იყო. ჩემმა დეიდაშვილმა დამირეკა თბილისიდან, გიორგი დაჭრილიაო. მას დაურეკავს გიორგისთან და სიდედრს უთქვამს, რომ დაიღუპა. მე დამიმალა დაღუპვა, მაგრამ გულმა ცუდი მიგრძნო, დავტოვე ყველა იქ და გამოვვარდი. ძლივს ჩამოვაღწიე გორამდე, მივედი სახლში და უკვე მოსვენებული ჰყავდათ – სიდედრი აპატიოსნებდა. იმ ღამეს ჭირისუფლები მხოლოდ მე, დედაჩემი და მამაჩემი ვიყავით. სხვა არავინ მოსულა, სიდედრ-სიმამრის გარდა. გორი დაცლილი იყო უკვე. ცოლის ჩამოყვანასაც აღარ ჰქონდა აზრი. მოძღვარმა სასწრაფოდ აუგო წესი და გვირჩია, მეორე დილითვე მიგვებარებინა მიწისთვის, ზემოთ არ დაგრჩეთო. მეორე დილით, ჩემი მეგობარი რომ მოვიდა, უკვე დაკრძალული გვყავდა...“

კაპრალი

ლევან მანძულაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

Ეშვიათად სვამდა, მშვიდობის სადღეგრძელოს კი – არასდროს. ამბობდა, სანამ საქართველო დაკარგულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არ დაიბრუნებს, არც დავლევო.

და სწორედ დაკარგული ცხინვალის დაბრუნების მცდელობას შეეწირა.

ხუთ საათზე მეტხანს იყო მათ რიგებში, ვინც ქვემო ნიქოზ-ზემო ხვითის გზაზე გამაგრდა და სამშობლოს დედაქალაქისკენ დაძრულ მტრის ჯარს აკავებდა. და დაეცა... სნაიპერის ტყვიით.

ლევან მანძულაშვილი 25 წლის დაიღუპა, უშვილძიროდ გადაეგო, მაგრამ გმირის სახელი დარჩა, ისეთი გმირის, როგორებიც თავად მას აღაფრთოვანებდნენ, როცა საქართველოს ისტორიას ეცნობოდა. მან ზეპირად იცოდა, როდის და რომელ ომში დაკარგა მისმა სამშობლომ თითოეული გოჯი მიწა...

დაიბადა გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთში, 1983 წლის 26 მაისს.

სწავლობდა ამავე სოფლის სკოლაში. როგორც ძმა იხსენებს, სწავლობდა კარგად. იმარჯვებდა მოსწავლეთა ოლიმპიადებზე, ტურებში. მეათეკლასელი იყო, გეოგ-რაფიის რაიონულ ტურში რომ გაიმარჯვა, შემდეგ ზო-ნალურ ტურშიც გაუმარჯვია, რესპუბლიკურ ტურში კი მასწავლებელმა ვეღარ წამოიყვანა – ბავშვი გაუხდა ცუდად...

უყვარდა წიგნები. როგორც ძმა იხსენებს, ზეპირად იცოდა ყველაფერი - ყველა სახის იარაღზე, იცოდა წიგნებიდან. იარაღთან შეხება კი ჯარამდე არ ჰქონია. ჯარში მას „კროსვორდას“ ეძახდნენ – განათლებულობისა და ნაკითხობის გამო. თავისი ბატალიონისთვის არაე-რთხელ მოუტანია გამარჯვება ინტელექტუალური შეჯ-იბრებებიდან. ჯარამდე და ჯარის შემდეგ კი სოფელში გა-მართულ საზრიანთა შეჯიბრებებში იმარჯვებდა.

„სოფელში დისკოთეკის შემდეგ იმართებოდა შეჯიბ-რებები – „რა? სად? როდის?“ მსგავსი. რომელ მაგიდასთანაც ის იყო, სულ ის მაგიდა იმარჯვებდა. ხშირად, გადამწყვეტი კითხვების დროს, ღამით მოსულან, გაუღვიძებიათ, წაუყ-ვანიათ და მაგას გაუცია პასუხი და გაუმარჯვიათ“, – იხსენებს ძმა.

სკოლა დაამთავრა, მაგრამ სწავლა ვეღარ გააგრძელა.

„ძალიან გვიჭირდა, არანაირი საშუალება არ გვქონდა. რომ დაამთავრა, არც ეროვნული გამოცდები არ იყო ჯერ, თორემ თავისით კიდევ გაიტანდა რამეს, მაშინ ყველაფერი ფულით იყო. კაპიკიანის გასაქანი არ გვქონდა. მოწყობის კი არა, იმის ფულიც არ გვქონდა, რომ რეპეტიტორთან მაინც მოგვემზადებინა. რა უნდა ექნა მარტო სკოლის ცოდნით, თან სოფლის სკოლის...“ – გულმოკლული მიამბობს ძმა.

ლევანი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. წელიწადნახევარი იმსახურა შინაგან ჯარში. დაბრუნდა სოფელში.

„პატიოსნად იმსახურა. კაცის ჩაგვრა მაგას არ უყვარდა და ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, ვის როგორ დახმარებოდა და ვისთვის რა პატივი ეცა. მაღალი ბიჭი არ იყო. არ სვამდა, სიგარეტი ცხოვრებაში არ მოუწევია, სულ ვარჯიშობდა“...

ჯარმოვლილი სოფელში დაბრუნდა. მერე ისევ ჯარისკენ გაუწია გულმა.

მაგრამ პირველად კარანტინი ვერ გადალახა – დაიწუნეს მეხუთე ხარისხის ბრტყელტერფიანობის გამო. მაინც არ მოეშვა. მეორედაც წავიდა. მეორე ბრიგადაში ჩაირიცხა, მაგრამ შემდეგ სხვა ბატალიონში გადაიყვანეს.

„არტილერიის ბატალიონი მაშინ იქმნებოდა, იქ გადაიყვანეს, მაგრამ თავიდან პირობები არ იყო, თებერვალი იდგა, გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. გამოუშვეს. მკურნალობდა. ერთ დღეს კი სახლიდან გაგვეპარა – წყალზე წავიდა, კანისტრა გაისროლა, ახტა ავტობუსში და ნაწილში წამოვიდა, 22-ე ბატალიონში, მეორე ბრიგადაში, სადაც თავიდან ჩაირიცხა. არადა ჯერაც მკურნალობდა, წამლებს სვამდა ისევ. ბიჭები მიყვებოდნენ, კროსი ჰქონდა სარბენი, ბოლოს ლამის წაიქცა, მაგრამ მაინც გავიდა ბოლომდე და ჩააბარაო. არ ამხელდა ნაწილში და წამლებს ჩუმად სვამდა კარგახანს. მერე ვარჯიშით მოძლიერდა ძალიან.

დარჩა საკონტრაქტო ჯარში. რამდენიმე თვე კრწანისის პოლიგონზე გადიოდნენ წვრთნებს. რამდენჯერმე მეც ვნახე, როგორ მიბობღავდნენ ტალახში. შემდეგ სენაკში გადავიდა მათი ბატალიონი. ქუთაისის მეორე ბრიგადაა, მაგრამ დისლოკაციის ადგილი სენაკში იყო. შემდეგ 7 თვე ერაყში იყო, ბაღდადში ჰუსეინის ცოლის სასახლესთან იდგნენ ჩვენი ბიჭები. არც იქ მიუღია რამე შენიშვნა, პირიქით, სულ მადლობებს იმსახურებდა

ბაღდადიდან დაბრუნებული, ჩვეულებრივ, სენაკში მსახურობდა. გზაში მთელი დღე ეკარგებოდა და შინ იშვიათად ჩამოდიოდა. ტანკსაწინააღმდეგო გადასატანი სარაკეტო კომპლექსის – „ფაგოტის“ გათვლის მეთაური იყო. ამერიკული დანადგარია, ტანკებს ანადგურებს, ეგ ადგენდა კოორდინატებს, სად უნდა ესროლათ...“

ომში 7 აგვისტოს წავიდა. კარალეთის გზაზე იყო, ძმას რომ დაურეკა: კარალეთის გზაზე ვართ, ომში მივდივართო. მათი ბატალიონი ნული-ავნევის მიმართულებით წავიდა.

„ბიჭები მიყვებოდნენ, სიცილ-ხარხარით მივდიოდით, ერთმანეთს ვამხნევებდითო... ერთ-ერთ სურათში ჩემი ძმა ჩანს, ოფიცერთან დგას და რუკას დასცქერის. ალბათ, გეგმავდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ჩემი ძმა, როგორც გორელი, რაღაცას უხსნიდა. ჩემმა ძმამ გორიც კარგად იცოდა და რუკაც. ამაზონი იცოდა და გორის რუკა არ ეცოდინებოდა?!. მერე ვურეკავდი და უკვე გამორთული ჰქონდა ტელეფონი, ბატარეას უფრთხილდებოდა, რომ

არ დამჯდარიყო. მერე ღამის ორ საათზე დამირეკა: ხეთაგუროვში შევედით, გავწმინდეთო. ნულში იბრძოდნენ, ავნევში, ხეთაგუროვში...

ბოლოს 11 აგვისტოს ველაპარაკე. ამ დროს უკვე ქვემო ნიქოზი-ზემო ხვითის გზაზე იყვნენ განლაგებულნი. 10 აგვისტოს გადმოიყვანეს აქ და ღამით დაიკავეს პოზიციები. 22-ე ბატალიონს უნდა შეეჩერებინა რუსული ტანკები და ჯარი. ქვემო ნიქოზიდან ჩამოდის გზა ზემო ხვითისკენ, იქ იყვნენ განლაგებულები. მას ევალებოდა „ფაგოტის“ სროლა, რომლითაც უნდა გაენადგურებინა რუსული ტანკები. 11 აგვისტოს დილის 11 საათისთვის ველაპარაკე, მომატყუა, კანტიკუნტი სროლაა. მერე ბიჭებმა მითხრეს, რომ სროლები იყო, მაგრამ იმ დროს ჯერ მხოლოდ ავტომატიდან ესროდნენ. 12 საათისთვის დაწყებულა რუსების შემოტევა, მოდიოდნენ აუარებელი ტანკით, „ბეტეერით“, აუარებელი ქვეითი ჯარისკაცით. ადგილობრივები მიყვებოდნენ, პირდაპირ მათთან მოუწიათ შეჯახებაო. დარჩნენ ბიჭები, იბრძოლეს...

რუსების შემოტევა 12 საათისთვის დაიწყო და ჩემი ძმა სადღაც ხუთი საათისთვის დაიღუპა...

მე ვნახე ის პოზიცია, რომელიც მას ეკავა. ხესთან იყო, პირდაპირ უყურებდა ნიქოზიდან ჩამომავალ გზას. იმ ადგილას მტრის ჯავშანტექნიკა ყოფილა მწყობრიდან გამოსული. ჩემი ძმის „ფაგოტიდან“ 20 მეტრში ტანკი იყო აფეთქებული, „ბაშნია“ ჰქონდა მომძვრალი, რუსები იყვნენ ჩახოცილი. მიყვებოდნენ, იმ აფეთქებული ტანკიდან სროლის ტრაექტორიას რომ გავყევით, პირდაპირ შენი ძმის „ფაგოტთან“ მივედითო. „ფაგოტიდან“ 2 მეტრში კი ჩემი ძმა იყო მკვდარი.

ზოგმა თქვა „პულიმიოტის“ ჯერი მიუშვესო, მაგრამ ერთი ტყვიით იყო მკვდარი. სნაიპერმა მოკლა. ადგილობრივები მომიყვნენ, ჯავშანჟილეტის გვერდით იყო გავლილი, ცოტა იქით რომ მოხვედროდა, ჯავშანჟილეტი შეაკავებდაო. ადგილობრივებმა მითხრეს, მხრის დაბლა ჰქონდა მოხვედრილიო. ხელი ჰქონდა, ალბათ, აწეული, ავტომატს რომ ისროდა. ბოლოს „ფაგოტთან“ ვეღარ მიდიოდა, იქვე ამბარი იყო, იმას ეფარებოდა და ავტომატით ისროდა. ის ამბარიც ვნახე, სულ დაცხრილული იყო. 19 დღის მერე გადმოასვენეს. ექსპერტმა მითხრა, უკან აქვს თავში გამავალი ჭრილობაო. ალბათ, მოძრავი ტყვია იყო...“

ლევან მანძულაშვილი მეორე დღეს იპოვეს ხვითელებმა და სოფელში, სამების ეკლესიის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას, ჯვარიც დაადგეს და გვარ-სახელიც მიაწერეს. ლევანს ფორმაზე ეწერა – „22-ე ბატალიონი. ლევან მანძულაშვილი“. სამშობლოსთვის დაღუპული გმირი დაღუპვიდან 19 დღის შემდეგ გადმოასვენეს საპატრიარქოს ძალისხმევით.

„მამა გედეონმა ჩამოასვენა გორში. სოფელში დავკრძალეთ. მედალი მისცეს მხედრული მამაცობისთვის.

მორწმუნე ბიჭი იყო. წირვას არ აცდენდა, მარხვას ინახავდა. მეორე ბრიგადის მოძღვარმა მითხრა, ჩემი სულიერი ძმა იყო, ბრძოლაშიც ერთად ვიყავითო, ჩვენ რომ გამოვედით, ისევ იბრძოდაო. მოძღვარმა 50 კაცი გამოიყვანა იმ კოშმარიდან ცოცხალი. ბიჭები მიყვებიან, რომ ბოლოს მთელი ხვითი სავსე იყო რუსებით, ყველა სახლსა და ბაღში იდგნენ, ალყაში ვიყავით და სანამ შეგვეძლო, ვიბრძოდითო... ყველაფერი ქართული უყვარდა, სიმღერებიც... ფოლკლორი უყვარდა ძალიან, ყველაზე მეტად – „თუ ასე ტურფა იყავი“, ჰამლეტ გონაშვილის ნამღერი...“

სერჟანტი

ზაზა ახალკაცი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1981 - 2008

ორის სატანკო ბაზის დაბომბვამ სიცოცხლე მოუსწრაფა, ელენა ჭიღლაძე კი ნაადრევად დააქვრივა... ზაზა ახალკაცს არც ომამდე ჰქონია დალხენილი ცხოვრება. მის ხანმოკლე სიცოცხლეში იყო ბევრი გაჭირვება, ბევრი დაბრკოლება და დიდი სიყვარული, რომელიც ამ დაბრკოლებებს ალახვინებდა.

ელენა ჭიღლაძე, მეუღლე: „რომ გითხრა, სანამ გავყვებოდი, დიდი ხნის ურთიერთობა მქონდა-მეთქი, არ იყო ასე... გაცნობიდან ძალიან მოკლე ხანში დავქორწინდით... როგორც მისი მონაყოლიდანაც და ახლობლებისგანაც ვიცი, ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ბავშვობიდანვე დამოუკიდებლად ცხოვრებას იყო მიჩვეული, თავად უწევდა თავის მიხედვა. 3 წლის იყო, როცა მშობლები დაშორდნენ, სკოლა-ინტერნატში იზრდებოდა, ტაშისკარის სკოლა-ინტერნატი დაამთავრა. მერე თავისით ისწავლა იურიდიულ კოლეჯში, სხვათა შორის, წითელ დიპლომზე დაამთავრა...“

ზაზას გაცნობა თავად ელენას ინიციატივა ყოფილა. მათი რომანი „ესემესებით“ დაწყებულა.

ელენა ჭიღლაძე: „სკოლა გორში დავამთავრე, თბილისში სდასუ-ში ვსწავლობდი, ზაფხულში გორში ვიყავი, იმ დროს ტელეკომპანია „თრიალეთზე“ „მესიჯ-კლუბი“ გადიოდა. მახსოვს, მარიამობა დღე იყო და ამ „მესიჯ-კლუბში“ გავიდა ასეთი მესიჯი – ამა და ამ ნომერზე დამიმესიჯონ ქერა გოგონებმაო. არასოდეს არავისთვის გამიგზავნია ასე მესიჯი, მაგრამ ზაზას რატომღაც დავუმესიჯე, ტელევიზორში რომ არ გამოგეცხადებინა, რა იყო-მეთქი? ვინა ხარ და რა გინდა, რა გამოვაცხადე ტელევიზორშიო? გაკვირვებულმა მომწერა, თურმე მის ნაცნობ გოგონებს უხუმრიათ და გაუგზავნიათ ეს განცხადება და მისი ნომერი. მე აქეთ გაკვირვებულმა მივწერე, როგორ, ტელევიზიით აცხადებ და არ იცი, რას აცხადებ-მეთქი? ასე დაიწყო ჩვენი მიმოწერა. მერე ჩემთან სოფელში ამოსულა. შორიდან ვუნახივარ. სწავლა რომ დაიწყო, და თბილისში ჩამოვედი, „მზიურთან“ დამხვდა, მე ვარ ის, რომ გემესიჯებოდაო... მახსოვს, 26 სექტემბერი იყო... მეც დავინტერესდი... მერე „მზიურში“ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს...

28 აგვისტოს მიმოწერა დავიწყეთ, 26 სექტემბერს შევხვდი და ოქტომბერში უკვე გავიპარეთ. უფრო სწორად, მოტყუებით წამიყვანა.

არა, გაყოლას ვაპირებდი, მაგრამ იმ დღეს თუ მივყავდი, არ ვიცოდი.

მე გორში მოვდიოდი, ზაზამ მითხრა, მეც გორში მოვდივარო, წამომიყვანა და გორის ნაცვლად საჩხერეში წამიყვანა თავისი მეგობრის დის ოჯახში. ის მეგობარი მერე ჩვენი მეჯვარე გახდა.

მის ოჯახურ მდგომარეობაზე მართლა არაფერი ვიცოდი. იმდენად კარგი ბუნების ბიჭი იყო, იმდენად კარგი პიროვნება, გადასარევი ხასიათის, რომ არაფრის გამოძიება არ დამიწყია. როცა გავყევი, ჩემმა ოჯახმა საერთოდ არაფერი იცოდა ზაზაზე. ზაზამ ბიძაჩემთან დარეკა და გააგებინა, რომ გავთხოვდი, რომ მას გავყევი ცოლად. ჩემმა მშობლებმა დაგვიწყეს ძებნა, ვერც ჩვენ მოგვაგნეს და ვერც ზაზას ოჯახს.

ბოლოს მიპოვეს, წამომიყვანეს სახლში. ზაზა ნამდვილად არ იყო ვინმეს დასაწუნი, მაგრამ...

ჩემ ძმას გატაცების მუხლით ჰქონდა შეტანილი საჩივარი, ძალიან დიდი პრობლემები იყო, ან ზაზას დაიჭერდნენ, ან ჩემს ძმას ექმნებოდა პრობლემები, თუ არ წამოვიდოდი. ეს აქედან მეხვეწებოდა, ის – იქიდან. წამოვედი მშობლებთან. ერთი კვირის მერე მოვიდა ჩემი ქმარი და ისევ წამიყვანა, ახლა უკვე სახლიდან მომიტაცა მეორედ. მშობლები არ მელაპარაკებოდნენ, ჩემს ძმას პრობლემები შეექმნა და არ ვეკონტაქტებოდი. გაბრაზებულები იყვნენ. ორი თვის თავზე, ჩემი ახლობლები მოვიდნენ, მამაშენია მოსული, დედაშენია ძალიან ცუდად და შერიგება უნდათო. წამოდი, დედაშენი ნახეო. არ მივდიოდი, მოვიდეს აქ და ჩემს ოჯახში მნახოს-მეთქი. ვერ მოვა, ისე ცუდადააო. რომ მიდიოდნენ, ეზომდე ჩავაცილე და იქ ჩემი ბიძაშვილი და მამაჩემი დამხვდნენ და ახლა იმათ წამიყვანეს. ამ დროს უკვე ფეხმძიმედ ვიყავი დავითზე, მაგრამ ბავშვზე პრობლემა არ ჰქონდათ.

საბოლოოდ, მე ვთქვი, ესაა ჩემი ბედი-მეთქი. გადაწყვიტა, რომ ჯარში შესულიყო და მართლაც შეასრულა თავისი პირობა, ერთ თვეში მუშაობა დაიწყო. ახალი ჩამოყალიბებული იყო საინჟინრო ბატალიონი, იქ დაიწყო უზრუნველყოფის ასეულში სერჟანტად მუშაობა. 2006 წლიდან დაღუპვამდე, იქ მუშაობდა. ბავშვს რომ ველოდებოდით, საცხოვრებლად სოფელში, ახრისში, ჩემს მშობლებთან გადავედით. ჯარში იქიდან დადიოდა ზაზა“.

შეეძინათ პატარა დავითი. ომამდე შვებულებაში იყო, ზღვაზე დაისვენა ცოლ-შვილთან ერთად. რომ ჩამოვიდნენ, მალევე განგაშიც გამოცხადდა.

„5 აგვისტოს მოვიდა საღამოს სახლში, 6 აგვისტოს დილით წამოვიდა, მითხრა, მორიგე ვარ და დღეს ვერ მოვალო. 7-ში სიტუაცია დაიძაბა, ყაზარმულზე გადავიდნენ, იმის მერე... 9 აგვისტოს უკვე დაიბომბა ნაწილი და ზაზაც მოყვა დაბომბვაში... დაღუპვამდე ტელეფონით ვეკონტაქტებოდი. ჩემი ძმაც ჯარში მსახურობდა, ჩემი ძმა ცხინვალში იყო შესული, ზაზა მეუბნებოდა, მამშვიდებდა, მე არ ვარ ცხინვალშიო, მართლაც არ იყო ცხინვალში, ომის პერიოდში, 7, 8, 9 აგვისტოს აგარაში იყო, ტყვია-წამლის გადამზიდი მანქანები ებარა, მათი ფუნქცია ტყვია-წამლით მომარაგება იყო, ცხინვალში ბოლო მომენტში უნდა შესულიყვნენ, როცა ყველა შევიდოდა.

9 აგვისტოს, დილის 8 საათი იქნებოდა, ჯერ კიდევ აგარაში იყო, რომ მელაპარაკა, გორში ვაპირებ ჩამოსვლასო.

ეს უბედურება რომ დაიწყო, ვრეკავდი, არ მპასუხობდა, ბოლოს ძმაკაცმა აიღო, ზაზა გასულიაო, რას უყურებთ, იბომბებით, გაიქეცით-მეთქი. არადა ამ დროს თურმე ზაზა უკვე დაჭრილი იყო...

მერე რომ ვრეკავდი, აღარავინ მპასუხობდა. და საერთოდ გაწყდა კავშირი...

თურმე ზუსტად დაბომბვამდე ათი წუთით ადრე მისულა ნაწილში. ზოგი მიყვება, დაღლილი იყო და თავის საწოლზე წამოწვაო...

მამაჩემი მაშინვე წამოვიდა, როგორც კი ნაწილის დაბომბვის ამბავი გავიგეთ".

სიმამრმა სიძე ვერც დაჭრილების სიაში იპოვა, ვერც გარდაცვლილების. სამი დღე ეძებდნენ საავადმყოფოებში. თბილისის არც ერთი საავადმყოფო არ დაუტოვებიათ, რომ არ მიეკითხებინათ. ბოლოს პატარ-პატარა კლინიკებშიც ეძებდნენ. ბოლოს უკვე სურათებს ტოვებდნენ საავადმყოფოებში, რომ, თუ სურათზე ვინმე იცნობდა, შეეტყობინებინათ. 11 აგვისტოს ღამით ონკოლოგიური საავადმყოფოს კარისკაცმა ამოიცნო სურათით – აქ წევს ეს ბიჭიო.

ზაზა ახალკაცს საბედისწერო დიაგნოზი დაუსვეს – ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, ტვინის ღეროს დისლოკაცია და გულ–სისხლძარღვთა უკმარისობა. ოპერაცია ღუდუშაურის კლინიკაში მიწვეულმა გველესიანმა და მაღალაშვილმა ჩაუტარეს, მაგრამ საშველი არ იყო, გულიღა უცემდა.

„მამაჩემმა 11-ში ღამით მიაგნო ზაზას, მერე მე წამიყვანეს, ღამით ვნახე, აპარატზე იყო მიერთებული უგონო მდგომარეობაში. 12-ში ღამის 11 საათზე დალია სული...

დავითი ახლა 2 წლისაა, ზაზამ დაარქვა დავითი. ჩვენ სულ ვახსენებთ და ვესაუბრებით მამაზე. ჩემი ძმები, როცა კი რამეს მოუტანენ, ეუბნებიან, რომ მამამ გამოუგზავნა. ისიც ასე იძახის: „მამამ მომიტანა". ზაზას კუთხესთან, სადაც სანთელს ვუნთებთ და ლოცვებს ვუკითხავთ, იქიდან თუ იღებს ხილს ან კანფეტს, ამბობს: „მამამ მომცაო. თავიდან ზაზა რომ ახალი დაღუპული იყო, გარდერობს რომ გამოაღებდა, „მამაო", – იძახდა, ტანსაცმელს ცნობდა. არ ვიცი, ახსოვდა, რომ ის ტანსაცმელი ეცვა თუ ინსტინქტურად გრძნობდა..."

კაპრალი

ონისე დოიჯაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

ოთხი წლის იყო ონისე, მამა რომ მოუკლეს 1992 წლის იანვარში, მეტეხის ხიდთან.

დედამისს, სრულიად ახალგაზრდა, 29 წლის ნუნი გოგოლაძეს ოთხი ობოლი დარჩა და სწამდა, რომ განგება ამ სიმწარეს აკმარებდა.

მაგრამ არ აკმარა.

შვილი რუსებმა მოუკლეს აგვისტოს ომში.

ონისე დოიჯაშვილი შიდა ქართლში, სოფელ ზემო ხვითში იზრდებოდა ობლობაში.

გიორგი დოიჯაშვილი, ძმა: „მამა რომ დაგვეღუპა, მე ექვსი წლის ვიყავი, ჩემი უფროსი და – ცხრა წლის, ონისე – ოთხის. საშინელი გაჭირვება იყო. დედას ვეხმარებოდით, თავიდანვე გვიწევდა თავის გატანისთვის ბრძოლა. ონისე ცელქი იყო, მაგრამ ბავშვობიდანვე ჰქონდა ოჯახის სიყვარული, სულ ცდილობდა, რომ რაიმეთი ესიამოვნებინა ჩვენთვის, როგორმე პატივი ეცა, დაუზარელი იყო, არაფერი ეზარებოდა. სკოლაშიც ნორმალურად სწავლობდა, გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური მონაცემებით, იყო ძალიან ახოვანი, ასაკთან შედარებით უფრო მოსული. სწავლა უყვარდა.

სანამ სავალდებულო ჯარში გაიწვევდნენ, სულ იმას ცდილობდა, რამე შემოეტანა ოჯახში, ოჯახს დახმარებოდა. 18 წლის გახდა თუ არა, სავალდებულო ჯარში წავიდა. ჯარში წასვლამდე, რაც არ უნდა გასჭირვებოდა, რაც არ უნდა ნდომოდა, არ გეტყოდა. ერთადერთი, ჯარში რომ მიდიოდა, უნდოდა, გაცილება სუფრით აღგვენიშნა. აღვნიშნეთ, მეგობრები ჰყავდა. 2 მაისს, თავის დაბადების დღეზე წავიდა ჯარში.

სავალდებულო რომ მოიხადა, საკონტრაქტო ჯარში დარჩა“.

მაკა ბუჩუკური, ძმის ცოლი: „საკონტრაქტო ჯარში სამშობლოს სიყვარულმა წაიყვანა. თან ისეთ მხარეში ვცხოვრობთ, სულ ისროდნენ, სულ ომის სუნი ტრიალებდა, შინაგანად ბავშვობიდან მზად იყო მეომრობისთვის. სულ ისროდნენ და პროტესტის გრძნობაც ჰქონდა“.

გიორგი დოიჯაშვილი: „სავალდებულო სამსახურს მუხროვანში იხდიდა, მაგრამ მუხროვანიდან ცხინვალის რეგიონში იყო მივლინებული, სამშვიდობო მისიით, ნიქოზის სამშვიდობო ბატალიონში ირიცხებოდა და იქიდან ხან ერედვში იდგა, ხან – წვერიახოზე. მერეც, როცა კონტრაქტზე დარჩა, მეოთხე ბრიგადაში, 42-ე ბატალიონში ჩაირიცხა, ბაზა ვაზიანში იყო, მაგრამ მაშინაც სამშვიდობო მისიით გაგზავნეს სამაჩაბლოში. ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გადაიყვანეს თბილისში. რომ ვეტყოდი, მეც ჯარში უნდა წამოვიდე-მეთქი, გიჟდებოდა, შენ რა გინდა ჯარში, ცოლ-შვილს მიხედე, თუ რამე დაგჭირდებათ და გაგიჭირდებათ, მე დაგეხმარებით და მოგხედავთო. სექტემბერში ერაყში უნდა წასულიყო. ემზადებოდა...

7 აგვისტოს, ომში რომ მიდიოდა, დაგვირეკა, შემართებით იყო. დედას უმალავდა, რომ ომში იყო, გვაფრთხილებდა, არ უთხრათ, არ გააგებინოთო. ჩემი ბიჭი, ლევანიკო, თვეების იყო, გიჟდებოდა ძმისშვილზე, ხელფასს რომ იღებდა, სულ სახლში ტოვებდა, ლევანიკოს მიხედეთო. რომ დამირეკა, გამაფრთხილა, ცოლ-შვილი სასწრაფოდ გაიყვანე სოფლიდანო. არადა, არ მიგვაჩნდა აუცილებლად წასვლა, სიტუაცია ბევრჯერ იყო დაძაბული და გვეგონა, ისევ ისე მოხდებოდა, ჩაწყნარდებოდა მალე სიტუაცია, ეგეთი ბევრი გვაქვს გადატანილი...“

მაკა ბუჩუკური: „სანამ საშუალება ჰქონდა, თვითონაც ურეკავდა დედას, ამშვიდებდა, ჩვენ ომში არ მივყავართ, ერაყისთვის გვამზადებენო. დედაც უჯერებდა. მერე ამბობდა კიდეც, იმხელა უბედურება მქონდა გადატანილი, ცუდს აღარაფერს ველოდებოდიო“.

გიორგიმ ძმას დაუჯერა და ცოლ-შვილი ზემო ხვითიდან გაარიდა, ჯერ ტირძნისში გადაიყვანა, 7 აგვისტოს, ღამით, კი გორში ჩაიყვანა.

გიორგი დოიჯაშვილი: „7 აგვისტოს, საღამოს, უკვე ბრეთიდან დამირეკა, ამაღამ ტელეფონი მექნება გამორთული და არ ინერვიულოთო. 8 აგვისტოს დილით ადრე დამირეკა გახარებულმა, ცხინვალი ავიღეთ, ქართული დროშები აღვმართეთ, მაგათი დროშები წამოვიღეთო. შუადღისას რომ დავურეკე, მითხრა, თვითონ დაგირეკავო. 4 საათი გახდა, არ რეკავდა და ისევ მე დავრეკე. მკითხა, სად ხარ, ცოლ-შვილი სად გყავსო, გორში ვართ-მეთქი. გორში ჩამოვდივარ, ავტოსადგურში მოდი, გნახავო. რომ მივედი, იქ არ დამხვდა, ისევ დავურეკე, მითხრა, მანდ ვერ გავჩერდები, ჰოსპიტალში ამოდი, ხალხი მყავს ცუდადო. მივედი თუ არა ჰოსპიტალში, შემოვიდა კიდეც მანქანით, დაჭრილები და გარდაცვლილები ჰყავდა ჩამოყვანილი. ექიმებმა ეს ბიჭები რომ შეიყვანეს, გამოვიდა, მელაპარაკებოდა. ორი კახელი ბიჭი ახლდა. ბოლისგან სულ გაშავებული იყო, ვუთხარი, პირი მაინც დაიბანე-მეთქი. გიჟი ხომ არა ხარ, რა პირი უნდა დავიბანოო. პური ხომ არა გშია, რამეს გიყიდი-მეთქი, არა არაფერი არ მინდაო. ლაპარაკში შევაპარე, ონისე, მოდი, დარჩი, ვერავინ ვერაფერს გაიგებს-მეთქი. ამაზე სულ გადამერია, რეებს ლაპარაკობ, იქ ძმაკაცები მეხოცებიან, მეთაური ჩემს იმედზეა და მე აქ რა დამტოვებსო. ძალიან გამიბრაზდა. გამაფრთხილა, ცოლ-შვილი გორიდანაც გაიყვანე, თბილისში წადით სასწრაფოდო. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მათი მანქანაც გამოვარდა, ვერ დააწია ხმა, გაასწრო მანქანამ. მაშინ იმ კახელმა ბიჭებმაც უთხრეს, მოდი, მართლა დავრჩეთო. ახლა იმათ გაუბრაზდა, სად უნდა დავრჩეთ, ხომ არ გაგიჟდითო. ამასობაში „კამაზიც“ გამოვიდა, ოსიაურისკენ მიდიოდა, დასხა ის ბიჭები და წავიდა. იმ კახელი ბიჭების არც სახელი ვიცი, არც გვარი, არც ის ვიცი, ცოცხლები არიან თუ მკვდრები, იმის მერე

არ მინახავს... მეთაური გაგიჟდა, უკან დაბრუნებული რომ ნახა. ამბობდა კიდეც მერე. ისევ შევიდა ცხინვალში. ისევ გამოიყვანა ხალხი და მესამედაც შებრუნდა უკან 9 აგვისტოს, უკანდახევის ბრძანებამდე, ნიქოზისა და ზემო ხვითის მინდვრებიდან გადავიდნენ, 86 კაცს მიუძღოდა წინ. გამაგრებული იყვნენ ხეთაგუროვში. მერე ცხრაში საღამოს, უკანდახევისას, ავიაციის დაბომბვისას დაიღუპა. ჩვენ დაგვირეკეს, ვითომ დაჭრილიაო, არადა დაღუპული იყო უკვე ცხრაში, საღამოს, ხეთაგუროვში... თურმე პირველს დაუნახავს ავიაცია და ბიჭებს ეძახდა, დაწექით, დაწექითო. ახლოს ჩამოუვარდა ბომბი, მის გვერდით ერთი დასავლელი ბიჭი იწვა, ისიც დაიღუპა. ონისემ სახის არეში, მარჯვენა მხარეს მიიღო ჭრილობა, სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა არტერიაში. გორში, ჰოსპიტალში რომ მივედით, ონისეს ცხედარს თანამებრძოლი ბიჭები ყარაულობდნენ, რომ არ დაკარგულიყო. ის, ვინც უშუალოდ გამოიყვანა ბრძოლის ველიდან, ჯერ ვერ ვნახეთ...“

ონისეს დედას ომის დროს ფეხი არ მოუცვლია ზემო ნიქოზიდან. შვილი რომ დაეღუპა, მაშინ გამოიყვანეს მოტყუებით, თბილისში მივდივართო.

გორში ჩამოსულს ძმები დახვდნენ და დასთან წაიყვანეს, ხაშურის რაიონში, ჩუმათელეთში. დასთან მისულს ცხედრისთვის გამზადებული ტახტი დახვდა. მიხვდა, რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავს. მალე ონისეც ჩაასვენეს. სხვა გზა არ ჰქონდა ოჯახს – ზემო ხვითში ვერ შედიოდნენ. ონისე დეიდის სოფელში დაკრძალეს 12 აგვისტოს. უკვე იქაც საშინელი სიტუაცია იყო, ოჯახმა ძლივს გააღწია ბაკურიანის გავლით თბილისში. გარკვეული პერიოდი დევნილობაში გაატარეს, ოქტომბერში, დაბრუნდნენ თუ არა ხვითში, ონისეც გადაასვენეს და მშობლიური სოფლის მიწას მიაბარეს. სახლი დანგრეული დახვდათ.

დაბომბვებისას 60-მილიმეტრიანი ჭურვი ზედ სახლს მოხვდა, კუთხეში, ფანჯარასთან, ზემოთ – სარტყელთან.

გიორგი დოიჯაშვილი: „ხეივანში ჩავარდნილს იმხელა წნევა ჰქონდა, სახლს მთლიანად ახადა სახურავი, კარ-ფანჯარა სად წავიდა, ვერც ვნახეთ, კედლები 4-5 სანტიმეტრზე დახსნა, მარტო კარკასი დაგვიტოვა. მერე მთავრობამ გადაგვიხურა.

მაკა ბუჩუკური: „სიცოცხლე უყვარდა ძალიან, ბოლოს სულ უნდოდა, რომ ნათესავები ენახა. თუ სადმე დაბადების დღე იყო, ვინმე ცოლს მოიყვანდა თუ გათხოვდებოდა, სულ ცდილობდა, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო, ყველა ენახა, ყველას ჩახუტებოდა. ბოლო რამდენიმე თვეში თითქოს უფრო გაიზარდა, დავაჟკაცდა... ხომ ყველაზე პატარა იყო ოჯახში, მაგრამ მამასახლისივით იყო, უნდოდა, რომ მის მხრებზე ყოფილიყო ყველაფერი, უიმისოდ არაფერი გაკეთებულიყო და ყველაფერში წვლილი შეეტანა...“

გიორგი დოიჯაშვილი: „ჩემი ძმა რომ დაიღუპა, ჩემმა უფროსმა ძმამ ჯარში წასვლა გადაწყვიტა, დღეს ის იგივე ბატალიონში, იგივე ასეულში მსახურობს, სადაც ჩემი ძმა მსახურობდა...“

სერჟანტი

გიორგი ბადრიაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1981 - 2008

პატარა ანანო მამას – მხოლოდ სურათებზე ცნობს.

მამა რუსებმა მოუკლეს გორის სამხედრო ბაზის დაბომბვისას.

გიორგი ბადრიაშვილი გორელი ბიჭი იყო, სულ 24 წლის. გული სამშობლოს დასაცავად მიუწევდა ცხინვალისკენ, მაგრამ ბედისწერა ადგილზე ეახლა – რუსული ბომბებით.

თითქოს სევდამ წაშალა ყველაფერი – მის მეუღლეს უჭირს გახსენება...

„ვიცი, რომ ძალიან ჭკვიანი ბავშვი იყო, არ ცელქობდა. გორში დაიბადა და ბავშვობაც აქ გაატარა, პირველი სკოლა დაამთავრა. ფეხბურთი უყვარდა ძალიან, სიმღერა, მუსიკის მოსმენა“, – ყვება მარინე დავითიანი მშრალად, მაგრამ ნაამბობი სავსეა სევდით.

გიორგიმ და მარინემ ერთმანეთი ტელეფონით გაიცნეს.

მარინე მანამდეც იცნობდა გიორგის შორიდან. ბავშვობაში, გიორგის მისი მეზობლის გოგო მოსწონდა და მარინემ რამდენჯერმე ნახა თავის მეზობელ გოგონასთან მოსული ბიჭი. მარინეს სულაც არ შურდა მეგობრის – გიორგი არ მოსწონდა.

გავიდა ხანი. ვიღაც ბიჭმა მარინესთან რეკვა დაიწყო. საუბრობდნენ, საუბრობდნენ... მერე შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს და... მარინეს პაემანზე მეგობრის ძველი შეყვარებული დახვდა.

მათი რომანი 7-8 თვეს გრძელდებოდა და ფინალი კიდევ უფრო ორიგინალური ჰქონდა, ვიდრე დასაწყისი.

„2006 წელი დადგა, ახალ წელს, 3 იანვარს, სახლში დამპატიჟა სტუმრად. მივედი პირველად და დავრჩი... საკუთარი ფეხით მიმიყვანა...“

მარინე რომ სტუმრად მივიდა გიორგის ოჯახში, ყველა შინ იყო, გიორგის მამის გარდა. მერე გიორგის მამაც დაბრუნდა შინ და ინიციატივა-ვერდიქტიც მას ეკუთვნოდა – ბარემ აქ არის და აღარ გავუშვათო.

2007 წელს პატარა ანანოც შეეძინათ.

მარინე დავითიანი: „გიორგის დამთავრებული ჰქონდა კოლეჯი, იურიდიული განხრით, მაგრამ უმუშევარი იყო. მე რომ გავიცანი, სავალდებულო სამსახური უკვე მოვლილი ჰქონდა, საკონტრაქტო ჯარში იმის გამო შევიდა, რომ ჯარი უყვარდა ძალიან. სულ მიკვირდა ეს, მაგრამ სულ ამას მეუბნებოდა, არ მინდა სხვაგან არაფერი, ჯარში მინდაო. ძალიან კარგი ადამიანი იყო, საოცრად თბილი, ძალიან უყვარდა ბავშვი, ძალიან უყვარდა ბავშვთან თამაში, როცა კარანტინი იყო გამოცხადებული და შინ ვერ მოდიოდა, სულ მეხვეწებოდა ხოლმე, ბავშვი აქ ამომიყვანეთო. ომის დაწყების წინ, ყაზარმული რომ გამოცხადდა, მთხოვა, ამომიყვანეო. გაგიჟებით უყვარდა ანანო, ჩემი გოგოც ესაა და ბიჭიცო, ამბობდა... ავუყვანე ბავშვი, იმის მერე აღარც გვინახავს. მეორე თუ მესამე დღეს ომი დაიწყო... რა ვიცი, რა ვთქვა, საუბარი მიჭირს...“

გიორგის სულ 7 თვე მოუწია საკონტრაქტო ჯარში სამსახური. სატანკო ბატალიონში მსახურობდა, დაცვის ასეულში, ამიტომაც დატოვეს გორში.

მარინე დავითიანი: „ომი რომ დაიწყო, ვნერვიულობდი, მეშინოდა, რომ ომში წაიყვანდნენ, მაგრამ დარეკა, აქ დამტოვეს, არ წამიყვანესო. მე კი გამიხარდა, მაგრამ თვითონ ძალიან გულდაწყვეტილი იყო. ნეტა ჩვენც წავეყვანეთო. უნდოდა წასვლა.

გორიდან წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ გიორგიმ დაიჟინა, ბავშვი გაიყვანეთ გორიდანო. მამიდამისთან გაგვაგზავნა ხაშურში 7 აგვისტოსვე. სულ მირეკავდა, სულ მაფრთხილებდა, ბავშვს მიხედეთ, თავს გაუფრთხილდით, მე აქ არაფერი მიჭირსო. მეც ვეხვეწებოდი, თავს გაუფრთხილდი-მეთქი. მერე აღარ მისაუბრია. 8 აგვისტოს საღამოს ჩემმა მულმა დაურეკა, ელაპარაკა, 9 აგვისტოს დაიბომბა კიდეც ბაზა...“

ისე იყო დამწვარი, ვერავინ ცნობდა...

არათუ სხვა, მამაც ვერ ცნობდა შვილის ცხედარს...

იმ საღამოსვე ჩამოვიდნენ გორში თავზარდაცემული დედა, რომელიც დღემდე ვერ შეგუებია შვილის დაღუპვას, გულმოკლული და ნაადრევად დაქვრივებული ცოლი და ობოლი, წლისა და სამი თვის ანანო.

სულ ერთი ღამე ესვენა მშობლიურ ჭერქვეშ გიორგის ცხედარი.

10 აგვისტოს დილაადრიან მიაბარეს მიწას. ქალაქი უკვე დაცლილი და გაუკაცრიელებული იყო.

მარინე დავითიანი: „დღემდე, რომ ვფიქრობ, ხანდახან ეჭვიც კი მეპარება, რომ მკვდარია, მხოლოდ ჩემმა მამამთილმა ნახა, ჩვენ ვერ ვნახეთ. რომ მოასვენეს, გვითხრეს, არავითარ შემთხვევაში არ გახსნათ კუბოო. და თითქოს დღესაც არ მჯერა, რომ იქ გიორგია...“

პატარა ანანო უკვე ორწლინახევრისაა, მამას სურათებზე ცნობს, იცის, რომ ის მამაა. გაიზრდება და გაიგებს, რომ მისი მამა სამშობლოს დაცვას შეეწირა. რომ გმირია.

კაპრალი

ლევან მიდელაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

Ომ საღამოს, ომი რომ დაიწყო და განგაში გამოცხადდა, შინ იყო. როცა ნაწილიდან ურეკავდნენ, ტელეფონზე საუბრობდა და დაკავშირება ვერ მოახერხეს. შემდეგ ძმაკაცმა დაურეკა მის ძმას, განგაშია, გვიბარებენო. სასწრაფოდ დაუკავშირდა ნაწილში დარჩენილ მეგობარს. „ცხინვალში მივყავართ, ძმურად, გთხოვ, ნუ წამოხვალ, გასული ხარ ნაწილიდან, გაერიდე სიტუაციას“, – ძმაკაცის ამ სიტყვებმა წყობიდან გამოიყვანა, მაგ კაცად მიცნობ, რომ არ წამოვიდეო?

ჩაიცვა და გავარდა ომში...

მართლა ღიმილის ბიჭი იყო, ოცი არ გადაეხადა... მხოლოდ სექტემბერში შეუსრულდა ოცი წელი, როცა უკვე ამ ქვეყნად აღარ იყო.

ლევან მიდელაშვილი – ახალგორის რაიონის სოფელ მიდელაანში დაბადებულ-გაზრდილი, გულანთებული ბიჭი.

მასზე ერთი წლით უმცროსი ძმა იხსენებს, რომ ლევანს ხშირად უთქვამს მისთვის: „ვიცი, ისე არ მორჩება კონტრაქტი, ომი არ იყოსო, მაგრამ სურვილი ჰქონდა, ჯარი მოსწონდა. ბავშვობიდან უყვარდა იარაღი, ჯარი და ბავშვობაში ერთი სული ჰქონდა, სულ ოცნებობდა, 18 წლის როდის გავხდები, ჯარში რომ წავიდეო“.

მთაში გაზრდილ ბიჭს ნადირობა და იარაღი იზიდავდა. არადა, მამამისს არც იარაღი ჰყვარებია და არც სანადიროდ დადიოდა. ძველმა გენებმა იჩინა თავი. 14 წლის გახდა თუ არა, სოფლის ბიჭებთან ერთად, მთაში სანადიროდ სიარული დაიწყო და როგორც ძმა იხსენებს, შინ არცთუ იშვიათად მიუტანია ნანადირევი – დათვი, ჯიხვი, გარეული თხა...

ძმა: „ხალისიანი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე ბიჭი იყო. დაუზარელი. შინაც ეხმარებოდა მშობლებს საქონლის მოვლა-შენახვაში. მეგობრები უყვარდა ძალიან და გართობაც მათთან ერთად. “

ამასობაში ბავშვობამაც გაიქროლა, სკოლა დაამთავრა. 18 წლის გახდა თუ არა, ჯარში გაიწვიეს, ფოთში მსახურობდა, 10 თვის შემდეგ კი თავად მოაწერა ხელი კონტრაქტს, გაიარა კარანტინი და 2007 წლის აგვისტოში მეოთხე ბრიგადაში, 41-ე ბატალიონში ჩაირიცხა. სულ ერთი წელი იმსახურა ვაზიანში. მერე ომიც დაიწყო.

ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე შეყვარებულს დაშორებია.

„შეყვარებული ჰყავდა, 3-4 წელი უყვარდა, მაგრამ ომამდე თვეების წინ უთანხმოება მოუვიდათ და თვითონ დაშორდა, თორემ ორივეს უყვარდათ ერთმანეთი. ომამდე გათხოვდა ის გოგო...“

ძმა სევდიანად იხსენებს იმ დღეს, როცა ბოლოს ნახა ომში მიმავალი ძმა.

ვაჟა მიდელაშვილი, ძმა: „ძალიან მოსწონდა ჯარი. ყველაფერი მოსწონდა, ფიზიკური დატვირთვაც, ვარ-ჯიშიც, იარაღიც... ყველაფერს გულმოდგინედ სწავლობდა. საღამოობით ნაწილიდან გამოდიოდა, შინ მოდიოდა, მაშინ მე და ის თბილისში დეიდაშვილთან ვცხოვრობდით თემქაზე. დაღლილი მოდიოდა ხოლმე... მეც მინდოდა ჯარში წასვლა.

ამბობდა: ხომ ასეთი წვალება გვაქვს, ასეთი რეჟიმი, მაგრამ არ შემიძლია უჯაროდო, კონტრაქტს რომ მოვრჩები, ვერ წარმომიდგენია, როგორ დავანებებ ჯარს თავსო. არ შემიძლია, თავი გავანებოო. 6 აგვისტოსაც მოვიდა საღამოს სახლში, 7 აგვისტო რომ დაიწყო, ღამის 2-ის 15 წუთი იქნებოდა, გამოიძახეს. ძმაკაცმა მე დამირეკა, განგაშია, შეატყობინეო, ალბათ, ნაწილიდან ურეკავდნენ, მაგრამ იმ დროს ტელეფონზე საუბრობდა და ვერ დაუკავშირდნენ. ვინც დაურეკა, ის ჯარისკაციც შინ იყო ლევანივით გამოსული. ვუთხარი, განგაშია-მეთქი. სასწრაფოდ გადაურეკა ნაწილში მყოფ ძმაკაცს. იმ ბიჭმა სთხოვა, ნუ წამოხვალო. გაბრაზდა, თავი გაიგიჟა. ჩაიცვა. წავიდა. ბოლოს მაშინ ვნახე... ნაწილში მისვლისთანავე გამორთო ტელეფონი, თან არ წაუღია, ვერანაირად ვეღარ ვუკავშირდებოდი, აღარანაირი კონტაქტი არ მქონია მასთან. ერთადერთი გზაღა დამრჩა, რესპუბლიკურსა და ღუდუშაურში დავდიოდი, იქ ველოდებოდი ხოლმე, დაჭრილები რომ ჩამოჰყავდათ... ცხრა აგვისტოს, ღამით, ღუდუშაურის კლინიკაში მისი ძმაკაცი ვნახე, დაჭრილი იყო.

იმას ვკითხე ლევანის ამბავი: დღეს, ორის ნახევრამდე, ერთად ვიბრძოდით ცხინვალშიო. ტრასაზე ყოფილან ჩაწოლილები, მერე ამ ბიჭისთვის მეთაურს კორპუსში იარაღის შეტანა უბრძანებია, შესულა ეს ბიჭი, ლევანი გარეთ დარჩენილა, სხვა ბიჭებთან ერთად. შესულა თუ არა ეს ბიჭი კორპუსში, სროლები განახლებულა და იქიდან 6 საათი ვეღარ გამოსულა, იქ იბრძოდა და დაჭრილი გამოუყვანიათ იქიდან. რომ გამოსულა, ლევანი ვეღარ უნახავს. ასმეთაურიც იგივეს მეუბნება: 9 აგვისტოს პირველ საათამდე ერთად ვიბრძოდითო.

ლევანი არ ჩანდა, იმედს არ ვკარგავდით, რომ ცოცხალი იყო, ტყვედ გვეგონა ჩავარდნილი, დეენემი ჩავაბარეთ, დეკემბერში პასუხი მოგვივიდა.

არავინაა მნახველი, რა ვითარებაში დაიღუპა ჩემი ძმა. ბევრი დაიღუპა მისი ოცეულიდან, ვისთანაც ძმაკაცობდა, ამბის გამომტანიც არავინ იყო. ამდენი ხნის განმავლობაში ყველას ვეკითხებოდი, ვერაფერი გავიგე... გადარჩენილი ძმაკაცი მიყვებოდა, რომ ლევანი ბრძოლის წესების დაცვით იბრძოდა. რვაში, გვიან, მათი ნაწილი ცხინვალიდან გამოუყვანიათ, გორს გამოუცილებიათ, რომელიღაც სოფელში დაუბანაკებიათ, უჭმევიათ. ის ბიჭი მიყვებოდა, ცოტა დავისვენეთ, კარდონები გავშალეთ, გვერდიგვერდ გვეძინა. დილით, ცხრა რომ გათენდა, ისევ ცხინვალში შეგვაბრუნესო...“

შებრუნდა ცხინვალში. იქ, სადაც ელოდა ბედისწერა და მარადიული სტატუსი – სამშობლოსთვის თავდადებული გმირი!

მალე კი მტერი მის მშობლიურ სოფელშიც შევიდა, ოჯახს – მშობლებსა და ათიოდე წლის დაიკოს აყრა მოუწიათ, ჯერ დიღომში იყვნენ შესახლებულები, ახლა წეროვანში ცხოვრობს გმირის ოჯახი... იმ იმედით, რომ მტერი დიდხანს ვერ იბოგინებს მათ სახლ-კარში, იმ არემარეში, სადაც ლევანს მთელი ცხოვრება აქვს გატარებული. მერე რა, რომ ეს მთელი ცხოვრება ლამის მხოლოდ ბავშვობაა. ის მხოლოდ 19 წლის ბიჭი იყო...

კაპრალი

იოსებ ბეჭუაშვილი

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1987 - 2008

ეე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ოპტიმისტი, რადგან ჭეშმარიტი ქართველი ყოველთვის იყო, არის და იქნება, ბუნებით ოპტიმისტი.

ქართველს რომ მომავლის იმედი არ ჰქონოდა, აქამდე ვერ მოვიდოდა. ნათქვამია, აღმართს დაღმართი მოსდევსო და პირიქით. რეალურად ასეცაა, საქართველო მრავალგზის აყვავდა და მრავალჯერ დაინგრა. დღესაც დანგრეულიდან იწყებს შენებას საქართველო, ანუ შეუდგა აღმასვლას. იმედი მაქვს, საქართველო სულ მალე იქნება მსოფლიოს თვალი, თავისი კულტურით, სილამაზითა და სიძლიერით. საქართველოს აღმასვლასა და გაძლიერებას სჭირდება თითოეული ჩვენგანის დაუღალავი შრომა და გვერდში დგომა. სამშობლოს ტკივილი თითოეული ჩვენგანის ტკივილი უნდა იყოს. მისი სიხარული – ჩვენი სიხარული.

ამას, რაც მალე შეიგნებს და გაითავისებს თითოეული ქართველი, მით მალე მიაღწევს ქართველი ხალხი და საქართველო იმ დასახულ მიზანს, რასაც სიძლიერე და მსოფლიოს მხრიდან მხარდაჭერა და პატივისცემა ჰქვია“, – ეს სტრიქონები, რომელიმე მწერლის ან პოლიტიკური ლიდერის გამოსვლიდან ამონარიდი არ გეგონოთ. ის იმ 20 წლის ჭაბუკს ეკუთვნის, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია და საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შესწირა სამშობლოს – სოსო ბეჟუაშვილი გმირულად დაეცა ცხინვალში, 8 აგვისტოს.

მის მშობლებს 2 ვაჟი ჰყავდათ და ორივე ომში იბრძოდა. ორივე მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა, სოსო – 42-ე ბატალიონში, მასზე 2 წლით უმცროსი გიორგი – 43-ე ბატალიონში.

სოსო დაიღუპა. გიორგი ომიდან დაბრუნდა.

დედამ არ იცოდა შვილის სიკვდილის ამბავი. საავადმყოფოებში დაეძებდა დაჭრილებში. არც გიორგის უთხრეს ბრძოლის ველზე ძმის დაღუპვის ამბავი. სოფელმა კი უკვე იცოდა, რომ სოსო ამქვეყნად აღარ იყო. მაგრამ ვერავინ ბედავდა, ეს ამბავი დედისთვის ეთქვა.

ომიდან დაბრუნებულ ძმას უთხრა თავისმა მეთაურმა. შემდეგ და ძმას მოუწია ძმის სიკვდილის ამბის მაცნედ დედასთან მისვლა...

სოსო ბეჟუაშვილი კასპის რაიონში, სოფელ აღაიანში დაიბადა და გაიზარდა.

ლილი ბეჟუაშვილი, დედა: „ყოველთვის მაკვირვებდა თავისი ქცევებით. ძალიან წყნარი, ძალიან კეთილი, ბეჯითი და ზრდილობიანი იყო. გამოირჩეოდა თანატოლებში. ძალიან მოწადინებული იყო, ესწავლა. მასწავლებლები კმაყოფილები იყვნენ. სკოლა ისე დაამთავრა, ერთხელ საყვედური არ უთქვამთ ჩემთვის პედაგოგებს. მთლად ფრიადებზე არა, მაგრამ კარგად სწავლობდა, საშუალოდ. ძალიან შრომისმოყვარე ბავშვი იყო, თავიდანვე გვერდში მედგა, როგორც მე ვშრომობდი, ისიც ისე შრომობდა. რომ ხედავდა, ოჯახს უჭირდა და შემოსავალი არ გვქონდა, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა. ვერც გაიგებდი, რა სწყინდა, არასოდეს იმჩნევდა. იმდენად მორიდებული ბავშვი იყო, ლაპარაკის დროს, თვალებშიც ვერ გიყურებდა. უწყინარი ბიჭი იყო. თევზაობა უყვარდა. შეეძლო, მთელი დღე მდინარეზე გაეტარებინა. ჩვენს სოფელში წმინდა ნინოს ეკლესიაა და ძალიან უყვარდა იქ ასვლა, ღმერთი სწამდა...“

სოსო მეცხრე კლასში იყო, პირველი და უკანასკნელი სიყვარული რომ ეწვია...

დედა: „ჩვენთან, სოფელში გაიცნო გოგონა. ის გოგონა გორის რაიონიდანაა. მისი და არის გათხოვილი ჩვენს სოფელში. სექტემბერში ერაყში მიდიოდნენ და იქიდან რომ დაბრუნდებოდა, უნდა დაოჯახებულიყო. მაგრამ არ დასცალდა... სიყვარულისას გულჩახვეული არ გამხდარა, პირიქით, ლაღად, მთელი გატაცებით უყვარდა. მანამდე შინ ჯდომა და წიგნების კითხვა ერჩია ხოლმე და მერე, შეყვარებულმა დაიწყო გარეთ სიარული. გორშიც ხვდებოდა იმ გოგონას, თბილისშიც.

სკოლა რომ დაამთავრა, უნდოდა, სწავლა გაეგრძელებინა. თავდაცვის აკადემიაში უნდოდა ჩაბარება, მაგრამ, ბედად, იმ წელს მიღება არ იყო.

სხვაგან საბუთების შეტანის დროც აღარ დარჩა. ღვინის ქარხანაში ვმუშაობ და იქ წავიყვანე სამუშაოდ. სხვათა შორის, ძალიან ემადლიერებოდა დირექცია. შრომისმოყვარე და დაუზარელი იყო. საქმეს რომ დაიწყებდა, არასოდეს უღალატებდა, თავს დადებდა და მაინც გააკეთებდა. ძალიან დიდი სიყვარული დაიმსახურა. რომ ჩაიხედა ღვინის ტექნოლოგიაში, მეორე წელს ეროვნულ გამოცდებზე რომ გავიდა, ეს პროფესია ჰქონდა არჩეული. გავიდა გამოცდებზე, მაგრამ ქულები არ ეყო, დარჩა გარეთ. სავალდებულოში გამოიძახეს. წავიდა. ვეუბნებოდი, სავალდებულოს რომ მოიხდი, ვეცდები, ყველანაირად ხელი შეგიწყო, მოგამზადო და ჩაგაბარებინო-მეთქი. მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ კონტრაქტით დარჩენილიყო ჯარში.

მე პირადად არ მინდოდა, მაგრამ თვითონ იყო ოპტიმისტი, სამშობლო უყვარდა თავდავიწყებით. სამშობლოს ვის გავატან, სოხუმამდე ვივლიო, იცოდა თქმა. 6 თვე ცხინვალში იყვნენ სამშვიდობო მისიით. მაისში გამოვიდნენ. როტაცია შეეხოთ. თან გაცივდა, ოპერაცია გაიკეთა. არც გამაგებინა, ისე. ცოტა ხანს სახლში იყო. ივლისში ისევ დაბრუნდა ნაწილში.

გიორგიც წავიდა ჯარში. გაიწვიეს, მაგრამ პატიმრების ყარაულობა არ მინდა, ნამდვილ ჯარში მინდაო და კონტრაქტით წავიდა. სოსო სოფელში იყო ჩამოსული. 4 აგვისტოს წავიდა ნაწილში და მას მერე აღარც მინახავს,

ველარც დავეკონტაქტე. გიორგი შინ იყო. 7 აგვისტოს გამოიძახეს და წავიდა. გიორგისთან ვახერხებდი ხოლმე დაკონტაქტებას. სოსოს 8 აგვისტოს, დილით, დაურეკია თავის შეყვარებულთან, კარგად ვარო.

10-11 საათზე ხდება უკვე ეს უბედურება. ყველა სხვადასხვანაირად ყვება.

ზოგი ამბობს, ბენზინის ცისტერნა აფეთქდაო, ზოგი ამბობს, ბენზინგასამართი სადგური იყოო. პირველი დაბომბვა რომ დაიწყო, მაშინ დაიღუპა. დეენემით დადგინდა, რომ სოსო ნოემბერში გადმოსვენებულ ბიჭებს შორის იყო. 3 იანვარს მოგვივიდა დეენემის პასუხი. გადავასვენეთ სოფელში...“

ასე ჩაქრა ერთი ალალი ბიჭის სიცოცხლე მტერთან ომში...

კაპრალი

რეზო ახალკაცი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1980 - 2008

სერჟანტმა რეზო ახალკაცმა ბრძოლისას ჯავშან-ჟილეტი გაიხადა და თავის 18 წლის ჯარისკაცს ჩააცვა...

ასმეთაურთან ერთად ბიჭები იმ პოზიციას გამოარიდა, საიდანაც სროლა შეუძლებელი იყო, ჩასაფრებული სნაიპერების გამო. მერე, ასმეთაურთან ერთად, უკან შებრუნდა იქ დარჩენილ ბიჭებთან. ძმაკაცი თვალწინ მოუკლეს, მოისმინა, როგორ აღმოხდა მეგობარს უკანასკნელი სიტყვა – დეედაა!.. და რეზო ახალკაცმა საპასუხო ცეცხლი გახსნა...

რეზო ახალკაცი 28 წლის იყო... დარჩა სამი შვილი...

რეზო მცხეთის რაიონში, სოფელ ნიჩბისში დაიბადა და გაიზარდა.

ნატა თუშიშვილი, მეუღლე: „რეზოს ბავშვობის შესახებ, ძირითადად დედამისისა და მისი ახლობლების მონაყოლიდან ვიცი, თვითონ რეზო ბავშვობაზე იმდენად არ საუბრობდა. ვიცი, რომ ძალიან კარგი ბავშვობა ჰქონდა, ძალიან კარგი ზნის ბავშვი იყო. ვიცი, რომ ეს ასეც იქნებოდა – შვილი მეზრდება, ხასიათებით მას ჰგავს... ძალიან მეგობრული იყო, ბევრი მეგობარი ჰყავდა სოფელში. უბრალოდ, ბოლოს სამსახურის გამო ძალიან დაკავებული იყო და იმდენად ველარ ახერხებდა მათთან ურთიერთობას...“

რეზო ახალკაცმა სკოლა ნიჩბისში დაამთავრა. სწავლა აგრარულ უნივერსიტეტში გააგრძელა, მაგრამ რამდენიმე თვეში მიატოვა და 18 წლისამ ახლად შექმნილ „კომანდოს“ ბატალიონში დაიწყო სამსახური.

ნატა თუშიშვილი: „ ჩემს გაცნობამდე რეზოს ოჯახი ჰქონდა, ორი შვილი ჰყავს იმ ქორწინებიდან. სწორედ მაშინ, როცა ოჯახი შექმნა, წავიდა ჯარში. ხასიათით ძალიან მებრძოლი, უშიშარი და სამართლიანი იყო. ძალიან უყვარდა ჯარი. მოსწონდა ჯარის ცხოვრება.

ერთმანეთი რომ გავიცანით, რეზო 23 წლის იყო, მე – 18-ის. ცოლს უკვე დაშორებული იყო. ძალიან მომეწონა, სხვანაირი ბიჭი იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. ერაყში იყო წასასვლელი და ამიტომ ვაპირებდით, რომ ოჯახი მერე შეგვექმნა, როცა დაბრუნდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ უცებ გადავწყვიტეთ ერთად ყოფნა და სანამ ერაყში წავიდოდა, რამდენიმე თვით ადრე გავყევი ცოლად. მე უკვე 6 თვის ორსული ვიყავი, როცა რეზო ერაყში წავიდა. რომ ჩამოვიდა, რუსა უკვე ხუთი თვის გვყავდა. მალევე სერჟანტად დააწინაურეს, პირველ ბრიგადაში გადაიყვანეს. ძალიან დაკავებული იყო, მაგრამ ყურადღებას არ გვაკლებდა, არც ჩვენ და არც პირველ მეუღლესთან შეძენილ ბავშვებს. მე რომ ცოლად მომიყვანა, გოგონა უკვე 5 წლის იყო, ბიჭი – ოთხი წლის. არდადეგებს ჩვენთან ატარებდნენ, ან ჩვენ ჩავდიოდით სოფელში.

ძალიან დაკავებული იყო და როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, სულ შინ ყოფნა უნდოდა, გარეთ ვერაფრით გაიყვანდი. არ მომყვებოდა არც სტუმრად, არც არსად, ცდილობდა, სახლში ყოფილიყო. ხშირად ყაზარმული ჰქონია, სერჟანტი იყო, ვერ გამოდიოდა სამსახურიდან. დაურეკავს, უთქვამს, მინდა გამოსვლა, მაგრამ ვერ ვახერხებო.

ბევრჯერ დაურეკავს, ვერ გამოვდივარო. დავწვებოდი დასაძინებლად ბავშვთან ერთად, დამირეკავდა, გააღე კარი, მოვედიო. უყვარდა ასეთი სიურპრიზების მოწყობა...“

რეზო ახალკაცი ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე, პირველი ბრიგადიდან მეოთხე ბრიგადაში, 41-ე ბატალიონში გადავიდა, ერაყში უნდოდა წასვლა. მეუღლემ ბოლოს 6 აგვისტოს ნახა.

ნატა თუშიშვილი: „ბავშვი ბაკურიანში გვყავდა და 6 აგვისტოს წავედი, რეზოსაც ორკვირიანი წვრთნები უნდა დაწყებოდა ორფოლოში. ორი დღის განმავლობაში არაფერი ვიცოდი, ბაკურიანში ტელევიზორი არ გვქონდა. რეზო მირეკავდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. 7 აგვისტოსაც დამიმალა, მარტო ის მითხრა, განგაშია, მაგრამ არ ვიცი, გაგვიყვანენ თუ არაო.

მაგრამ შემდეგ გვიან დამირეკა და მითხრა, წაგვიყვანესო. 8 აგვისტოს საღამოსაც ველაპარაკე, მთელი ათი წუთი. იმედიანად იყო, გახარებული. ორ დღეში ყველაფერი დამთავრდება და ჩამოვალო. ეგ იყო ბოლო საუბარი, მაგრამ რეზო, რაც არ უნდა ყოფილიყო, დილით მესიჯს მიგზავნიდა ხოლმე და მშვიდობის დილას მისურვებდა. 9 აგვისტოს დილის 7 საათზე მომწერა. არ მეძინა, იმ წამსვე მივწერე: რეზ, დაგირეკავ-მეთქი. მომწერა, მე კარგად ვარო და თავს გაუფრთხილდი, თავს მიხედეო. დღემდე მაქვს შენახული ეს ორი მესიჯი, ბოლო მესიჯები იყო. მე ველარ მოვასწარი დარეკვა, გათიშული ჰქონდა ტელეფონი... როგორც ვიცი, ზემო ნიქოზში დაიღუპა... ბოლოს ისეთ პოზიციაზე აღმოჩნდნენ, ბრძოლა შეუძლებელი იყო, სნაიპერებით იყვნენ გარშემორტყმულნი. თავისი ბიჭები გამოიყვანა. ბიჭები მიყვებიან, გვითხრა, თქვენ წინ იარეთ, ზურგს დაგიფარავთო. რომ გამოვედით და მოვიხედეთ, რეზო აღარსად იყო, ვერ ვნახეთო. ასმეთაურთან ერთად, უკან შებრუნდა. იქ მისი ძმაკაცი – ზაზა დარჩა... ჩვენი ბავშვის ნათლია. არ მიატოვა რეზომ... ზაზაც ახალი გადასული იყო მეოთხე ბრიგადაში, დაზვერვის ჯგუფში იყო. შებრუნდნენ ბიჭების საშველად, ძალიან ცუდი ადგილი იყო. ბევრი დაიხოცა იქ. როგორც ვიცი, ბოლოს იქ 17 ადამიანი იყო და ცოცხალმა 6-მა გამოაღწია.

ბოლოს რეზოს ჯავშანჟილეტი აღარ ეცვა. როგორც ბიჭებისგან ვიცი, გაიხადა და თავის 18 წლის ჯარისკაცს ჩააცვა...

როცა შებრუნდნენ, სნაიპერები ისროდნენ. როგორც მე ვიცი, ზაზას მოხვდა პირველი ტყვია, ყელში დაიჭრა, „დედას“ დაძახებაღა მოასწრო და დაიღუპა. ეს რომ ნახა

რეზომ, ცეცხლი გახსნა. უკვე აღარ გაჩერდნენ და ყველა ისროდა. რამდენიმე წუთში ასმეთაურიც, ზურაც დაჭრილა ყელში, გამავალი ჭრილობა მიიღო. ერთი ჯარისკაცი საშველად მივარდნილა და ისიც ზედ დაუკლავთ. რეზოც ცდილობდა შველას, მაგრამ თვითონ ზურასგან ვიცი, რომ მასვე გაუჩერებია ყველა, აღარავინ მომეკაროთო. მალე რეზოც დაიჭრა ფეხში, უფრო გამწარებულს დაუწყია სროლა. მკლავში დაჭრილა. ხეს ამოფარებია, მერე მეორე მკლავშიც დაჭრილა, შემდეგ ყელში – გამავალი ტყვიით... ბიჭები მიყვებიან, რომ რეზოს ერთი „აბოიმა“ ჰქონია შენახული და ბიჭებსაც მოუწოდებდა, ბიჭებო, ტყვიები შეინახეთო. დაჭრილები ტყვედ რომ არ ჩავარდნოდნენ და თავები დაეხოცათ.

ბოლოს მანქანა შეუყვანიათ დაჭრილების გამოსაყვანად. ზურას აყვანა მოუსწრიათ, გონდაკარგული ყოფილა, თბილისში, საავადმყოფოშიღა მოსულა გონს. რეზო რომ უნდა დაესვათ, უკვე დაბომბვა დაწყებულა, მანქანა სასწრაფოდ გამოუყვანიათ, რეზო ვეღარ გამოიყვანეს და სისხლისგან დაიცალა...

მე ყველა მიმალავდა რეზოს ამბავს, ყველას უმძიმდა, მაგრამ ცხრაში საღამოს რომ არ შემეხმიანა, მივხვდი, რომ კარგი ამბავი არ ტრიალებდა ჩემს თავს. დავიწყე მეგობრებთან, მათ ცოლებთან რეკვა. ერთ-ერთი ძმაკაცის ცოლმა მითხრა: არაფერი არ ვიცი, ჩემს ქმარსაც ვერ ვუკავშირდებიო. მერე როგორღაც დავუკავშირდი მის მეგობარს, მითხრა: არაფერი არ ვიცი, ნატო, დაბომბვა დაიწყო, ყველა მიიფანტ-მოიფანტა, არავინ არ ვიცით, სად არის და როგორ არის, ბოლოს რომ ვნახე, მანქანაზე იყო დამჯდარი და შეჰყავდათო...“

დაიწყო საშინელი პერიოდი – ამაო მოლოდინი. ნატას არ სჯეროდა რეზოს დაღუპვა. იმედი ჰქონდა, რომ დაჭრილი იქნებოდა. ამ იმედს ისიც კვებავდა, რომ გაირკვა, ტყვეებს შორის ერთი გვარად ახალკაციაო. ნატამ გაარკვია, რომ ჯარში ორი ახალკაცი იყო, ერთი – ზაზა ახალკაცი გორის დაბომბვისას დაიღუპა. იმედი ჰქონდა, რომ ის ტყვე ახალკაცი მისი ქმარი იქნებოდა, მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, ის სხვა იყო, 18 წლის ბიჭი.

26 აგვისტოს რომ ბიჭები გადმოასვენეს, რეზოს მეგობრის, ზაზას ამოცნობა მოხერხდა. ამანაც იმედი მისცა ნატას, ეგონა, თუ ზაზა ამოიცნეს, ესე იგი რეზოსაც ამოიცნობდნენ, მკვდარი რომ ყოფილიყოო.

ნატა თუშიშვილი: „ზაზა მკვდარი არავის ენახა და იმედი მქონდა. მინდოდა, ცოცხალი ყოფილიყო, თორემ ვიცოდი, რომ ის ტყვედ არ ჩავარდებოდა. მერე დეენემის პასუხიც მოგვივიდა, სოფელშიც გადავასვენეთ, მაგრამ მე მაინც ვაგრძელებდი ძებნას... იმედი მქონდა, სანამ ბიჭებმა არ მითხრეს, რომ მაჩვენებდნენ სურათებს, სადაც რეზო მკვდარი იყო, სურათები 25 დეკემბერს მაჩვენეს. როგორც ჩანს, იმ ბიჭებმა გადაიღეს, რომლებიც იქ ჩარჩნენ იმ დღეს. სურათები 10 აგვისტოსაა გადაღებული, იმის მერე უკვე დავრწმუნდი, რომ რეზო აღარ იყო ამქვეყნად.

რეზოს დაღუპვის დღეებში, ბავშვი მთელი კვირა ცუდად მყავდა. ეტყობა, სიზმარში ხედავდა, იღვიძებდა, მამას ეძახდა. მერე უკვე ისეთი განცდა ჩამოუყალიბდა, „მე ცუდი გოგო ვარ და მამიკო აღარ მოდის სახლშიო...

მერე ნელ-ნელა შეეგუა. მაგრამ ელოდება მაინც, თავისებურად ელოდება...“

კაპრალი

მამუკა ბეკურაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1987 - 2008

მამუკა ირაკლიზე ერთი წლით უმცროსი იყო, მაგრამ ძმა დაელოდა და სკოლაში ერთად წავიდნენ – ერთ კლასში სწავლობდნენ.

სავალდებულო სამსახურიც ერთად მოიხადეს და კონტრაქტზეც ერთად დარჩნენ. ერთ ასეულში მსახურობდნენ. აგვისტოს ომშიც ერთად წავიდნენ. ორივე ტანკებით. მამუკას ოცეული ცხინვალში შევიდა, ირაკლის ოცეული ცხინვალის მისადგომებთან.

ირაკლის ტანკი რომ აუფეთქეს, ავტომატით შეჰყვა მეოთხე ბრიგადის ბიჭებს. ძმას ეძებდა ბრძოლის ველზე. მერე გაიგო, რომ მამუკა დაჭრილა.

შინ გადარეკა, მამუკას მიხედეთ, დაჭრილებში ეძებეთო.

მამუკა კი... სნაიპერის ტყვიით შუბლგახვრეტილი გააცალეს ბრძოლის ველს.

მასაც აუფეთქდა ტანკი, კანტუზიაც მიიღო, მხარშიც დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა. არადა უკვე დაბომბვაც დაწყებული იყო. დატოვა კი არა, შედი-გადიოდა, დაჭრილები გაჰყავდა მანამ, სანამ სნაიპერის ტყვიამ არ მოუღო ბოლო... და დასაბამი მისცა მის უკვდავებას.

გმირი – მამუკა ბეკურაშვილი მცხეთის რაიონში, სოფელ ბიწმენდში დაიბადა.

ტარიელ ბეკურაშვილი, ძმა:

„ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, მაგრამ უფრო მეტით უფროსი მეგონა, ბავშვობიდანვე დიდი კაცივით იქცეოდა, კაცურად აზროვნებდა, დაუფიქრებლად არაფერს აკეთებდა. სულ მარიგებდა, ჭკუას მასწავლიდა. მის ხელში ვარ გაზრდილი. მე კი არა, ჩვენს უფროს ძმას – ირაკლისაც არიგებდა ჭკუას. ირაკლი მასზე ერთი წლით უფროსია. მარტო ჩვენთან კი არა, მეგობრებთან და ამხანაგებთანაც ასე იქცეოდა. ძირითადად უფროსი ასაკის მეგობრები ჰყავდა, უფროს ძმაკაცებთანაც ჭრიდა მისი სიტყვა. თანატოლებთან, ვისთანაც მეგობრობდა, ყველას რჩევებს აძლევდა. მე მის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებდი, მიმაჩნდა, რომ ჩემზე გამოცდილი და ჭკვიანი იყო.

დასჯით არც ერთხელ დავუსჯივარ, სიტყვით მაგებინებდა, მეც ყოველთვის ვუჯერებდი, ვიცოდი, რომ სიმართლეს მეუბნებოდა. არ მახსოვს, ჩემთვის ეჩხუბოს. ეჩხუბოს კი არა, ტონს არ უწევდა. როცა პრობლემა მქონდა სკოლაში, ყოველთვის გვერდში მედგა.

სპორტს არ მისდევდა, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი იყო. სახლში ხანდახან ვარჯიშობდა ხოლმე. ადრე ბავშვობაში ფეხბურთზე დადიოდა ერთი-ორი წელი, ფეხბურთის ყურება უყვარდა ძალიან. კარგი იუმორი ჰქონდა, ყველას ეხუმრებოდა, მაგრამ არ მახსოვს, ვინმეს სწყენოდა მისი იუმორი. ხან ვერც მიხვდებოდი, ხუმრობდა თუ სერიოზულად გეუბნებოდა. კითხვა უყვარდა, სწავლობდა. კარგადაც სწავლობდა, უნდოდა, რომ გაეგრძელებინა, თავისით ემზადებოდა კიდეც, სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულზე უნდოდა ჩაბარება.

ჩემი ძმები ერთად წავიდნენ სავალდებულოში. ვაზიანში მსახურობდნენ. მერე საკონტრაქტოზე დარჩნენ. ბოლო 5-6 თვე გორის სატანკო ბატალიონში მსახურობდნენ. ახლა გაზაფხულზე უმთავრდებოდა კონტრაქტი...“

ტარიელმა მამუკა ბოლოს ომამდე ერთი კვირით ადრე ნახა.

ტარიელი: „მამუკა შემდეგ დღეებშიც მოდიოდა შინ და დილით მიდიოდა სამსახურში, შვიდ აგვისტოსაც სახლიდან წავიდა ნაწილში, მაგრამ მე ერთი კვირით ადრე ვნახე, მეორე დღეს მთაში, თიანეთში წავედი დასასვენებლად. მამუკა რომ სახლში შემოვიდა, მე გარეთ გამოვდიოდი, მეგობრებთან. მეგობრებთან ვიყავი და გული სახლისკენ მიმიწევდა, კარგად მინდოდა, დავლაპარაკებოდი, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, გვიან მომიწია მისვლა და დიდხანს ვერ ვილაპარაკეთ. ომის დაწყების წინა დღეს დამირეკა, დამელაპარაკა, ბოლოს, რომ მემშვიდობებოდა, მითხრა: ჭკვიანად მოიქეციო. მანამდე ასეთი რამ არასოდეს უთქვამს.

მაშინ არ დავფიქრებულვარ, მაგრამ მერე...

შვიდ აგვისტოს დილას წასულა სახლიდან. შვიდში ღამით, განგაშისას გაიყვანეს ჩემი ორივე ძმა ცხინვალში. სხვადასხვა ტანკებში ისხდნენ.

ერთ ასეულში იყვნენ, სხვადასხვა ოცეულებში. მაგათი ბატალიონის ტანკები მიდიოდა წინ, უკან მეოთხე ბრიგადა მიჰყვებოდა.

მამუკა ცხინვალის ბაზართან 8 აგვისტოს, გამთენიისას დაღუპულა.

ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარით ტანკი აუფეთქეს. მძღოლი დაეჭრათ. მამუკამ და მისმა ოფიცერმა კანტუზია მიიღეს, მაინც გამოარიდეს დაჭრილი მძღოლი სამშვიდობოს. თვითონაც დაიჭრა მხარში. ისევ შებრუნდა უკან დაჭრილების გამოსაყვანად. ტანკებიც გამოჰყავდა. როგორც მიყვებიან, მამუკას უთქვამს, მაგათ რატომ დავუტოვო, ამ ტანკებზე დაჭრილებსა და დახოცილებს აწვენდა და გამოჰყავდა. 4-5 მებრძოლი გამოუყვანია, მაგრამ მერე სნაიპერს მოუკლავს – შუბლში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. ვინც ბრძოლის ველიდან გამოიყვანა, იმან თქვა. ჩემს უფროს ძმას, ირაკლისაც აუფეთქეს ტანკი ცხინვალის მისადგომებთან, ბედად გადარჩა, მერე ცხინვალში ავტომატით შეჰყვა მეოთხე ბრიგადას, მამუკას ეძებდა, იქ გაიგო, რომ დაჭრილი იყო. მოატყუეს, რომ მსუბუქად იყო ფეხში დაჭრილი. ჩვენ გაგვაგებინა, მიხედეთო. ჩემი მშობლები და ნათესავები გორის ჰოსპიტალში გაცვივნენ. მაგრამ მშობლებს დაუმალეს, რომ დაღუპული იყო, ნათესავებს

უთხრეს. იმავე ღამით ჩამოვედი მთიდან, ჩემს ძმასაც გავაგებინეთ მეორე დღეს, როცა უკვე გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან და გორის მისადგომებთან დააყენეს. მანამ ვუმალავდით, რომ არ ანერვიულებულიყო...

სოფელში დავკრძალეთ... დედა ძალიან მძიმედ ეგუება ამ ამბავს...

პოპულარული იყო გოგოებში, მაგრამ სერიოზულად არ ჰყვარებია ვინმე. 21 აგვისტოს 21 წლის უნდა გამხდარიყო და ოქროს დაბადების დღე უნდა გადავიხადოო, ამბობდა. არ დასცალდა...“

კაპრალი

ჯიმშერ კურდღელაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.



1986 - 2008

9 აგვისტოს დილა. გორის ჯავშან-სატანკო ბაზა.

თავშეყრილი ჯარისკაცები. შუაგულში ბიჭი – წელსზემოთ შიშველი. დგას და რაღაცას ყვება, ბიჭები იცინიან...

ბომბი. მათ სიცილისას დალიეს სული...

ჯიმი კურდღელაშვილი სულ 22 წლის იყო.

დაიბადა ცხინვალში. მისი მშობლიური სოფელი – ზემო ხვითი ცხინვალიდან სულ 3 კილომეტრის მოშორებითაა. 90-იანი წლების დასაწყისში დედამ არაერთხელ გამოარიდა ის და მისი და-ძმა სოფელს. ჯიმი შუათანა იყო, ვიტალი – მასზე ერთი წლით უფროსი, გამუდმებით ერთად ყოფილან, უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ, ყოველ საღამოს კინკლაობასა და ჭიდაობაში ატარებდნენ. მერე ვიტალი დაელოდა და სავალდებულო ჯარიც ერთად მოიხადეს. სავალდებულო ჯარამდე იყო სკოლა.

ლეილა კურდღელაშვილი, დედა: „ნიჭიერი ბავშვი იყო, სკოლაში კარგად სწავლობდა, უფრო ქართული და ისტორია უყვარდა. ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბავშვებთანაც, მასწავლებლებთანაც. საერთოდ, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა. ყველას უგებდა, ყველას ეხმარებოდა, ლარიანი რომ სდებოდა ჯიბეში, აიღებდა და სხვას გაუნაწილებდა. ხან მონოს გადაურიცხავდა, ხან ფულს მიაწვდიდა. არავისთვის არაფერი ენანებოდა და სოფელშიც, საძმაკაცოშიც სულში ისვამდნენ, ისე უყვარდათ, ყველას მომფერებელი იყო, ყველას გულშემატკივარი.

2003 წლის გაზაფხულზე სავალდებულოშიც გაიწვიეს, ორივე ძმა წავიდა ჯარში. გარდაბანში მსახურობდნენ.

თავიდან 40 ბიჭი მსახურობდა იქ, მერე 12-ღა დატოვეს, ადგილობრივ მოსახლეობას დაუახლოვდნენ, მიეჩვივნენ იქაურობას. მერე ბრძანება გამოვიდა, სავალდებულო სამსახური 7-თვიანი გახდა და იანვრის დასაწყისში გა-ათავისუფლეს. ჯარში სხვა ბიჭებიც იყვნენ ჩვენი სოფლიდან და ყველა დაბრუნდა, ჩემები არ ჩანდნენ. ვურეკავდი, დედა, თქვენ არ შეგეხოთ-მეთქი? არა, დედი, მაისამდე აქ უნდა ვიყოთო. მატყუებდა ჯიმი. მერე ძველით ახალი წლის წინა დღეებში მოვიდნენ ორთავენი. მაგრამ ჯიმი მეუბნება, ხვალ დილით ისევ უნდა დავბრუნდე და სასწრაფოდ „ბუშლატი“ გამირეცხე და გამიშრეო. ისეთ დღეში ჩავვარდი, ეს „ბუშლატი“ დილამდე როგორ გაგიშრო-მეთქი. ეცინებოდა ჩუმად. შენ რაღაცას მიმალავ-მეთქი. არა, დედა, დროზე გაათბე წყალიო. ავდექი, რაღას ვიზამდი, დავდგი წყალი, თან ვტიროდი, რაღა მაინცდამაინც თქვენ არ შეგეხოთ ეგ ბრძანება-მეთქი. ეს „ბუშლატი“ რომ უნდა ჩამეგდო წყალში, მწვდა უცებ, ამოიღო სამხედრო ბილეთი და თავისუფალი ვარ დღესო, მახარა, ისეთი სიხარული იყო იმ წუთას ჩვენს ოჯახში... ასეთი ბავშვი იყო, სული სძვრებოდა ხუმრობაში, დაურეკავდა ძმაკაცებს, ჩქარა, ჩქარა ამოდით, ცოლი მოვიყვანეო, მოცვივდებოდნენ ბიჭები, რა უყავ ქალიო და გამექცაო“...

სავალდებულო ჯარის მოხდის შემდეგ, სახლში იყო, მამას ეხმარებოდა ნაკვეთების დამუშავებაში. თან გული ჯარისკენ მიუწევდა, დედა სასტიკ უარზე იდგა, მან მაინც თავისი გაიტანა.

დედა: „სავალდებულოდან რომ დაბრუნდა, სახლში იყო, მამას ეხმარებოდა, ნაკვეთები გვაქვს. აჩემებული ჰქონდა, ჯარში უნდა წავიდე ისევო. ცივ უარზე ვიყავი. ის შვიდი თვე, რაც სავალდებულოში იყვნენ, სულ ტირილში გავატარე. არ ვიცი, ალბათ, გული მიგრძნობდა... ყოველღამე ჩხუბი გვქონდა. უნდა წავიდე ჯარში – ვერ წახვალ, უნდა წავიდე – ვერ წახვალ... ბოლოს ასე მომახსენა: დედა, ჩემს წინ რომ დავარდე, მაინც წავალ ჯარში და გამანებე თავი, აღარაფერი მითხრაო. მერე მამამისმა მითხრა, შეეშვი, არ ჩერდება და წავიდესო. ამან რომ ჯარში გაიწია, უფროსმაც აიტეხა, ეს თუ ჯარში მიდის, მე აქ რაღა მინდაო. ველარ შევაკავე... ბიჭი სანამ კალთაში გიზის, მანამაა დედისა, თორემ მერე, რომ აიწყვეტს... წავიდნენ ჯარში, 2007 წლის 10 აპრილს დაიწყეს სამსახური გორში, სატანკო ნაწილში. ძალიან მადლობლები იყვნენ, კარგი პირობები ჰქონდათ. სულ იმას მაყვედრიდა, აჰა, რომ არ მიშვებდი, ხომ ხედავ, რომ კარგად ვარ და არაფერი მიჭირსო.

არ ვიცი, გული უგრძნობდა თუ რა იყო, ომამდე აიტეხა, მანქანა უნდა ვიყიდოო. გამოიტანა კრედიტი, იყიდა მანქანა, მერე გაყიდა, უკეთესი უნდა ვიყიდოო.

მერე ომი დაიწყო. ზემო ხვითში რომ ტანკებმა აიარეს, დედას თავზარი დაეცა – ბიჭები სატანკო ნაწილში მსახურობდნენ და იფიქრა, რომ ომში წაიყვანეს. მერე ბიჭებმა შეატყობინეს, რომ ნაწილში იყვნენ, ომში არ წაუყვანიათ. 8 აგვისტოს ოჯახი ხვითიდან გამოიქცა ჩუსტებისა და მეორე დილით უკან დაბრუნების იმედის ამარა. მეჯვრისხევს შეაფარეს თავი. სანამ მეჯვრისხევში ავიდოდნენ, ჯიმიმ დედას დაურეკა, მნახეთო.

დედა: „ჯიმი გარეთ იდგა, ნაწილის წინ, იარაღასხმული. უფროსი ბიჭი რომ ვერ ვნახე, გავგიჟდი, მამშვიდებდა, ნა-წილშიაო. რომ არ დავუჯერე, ბიჭებს დააძახებინა. ბიჭები მამშვიდებდნენ, ჩვენი დარდი არ გქონდეთ, ოღონდ თქვენ გაეცალეთ აქაურობასო. ჩემს ცრემლს ვერ იტანდა, მანქანაში რომ ჩავჯექი, ცრემლები წამსკდა, შემოყო თავი, თითი დამიქნია, ცრემლი არ დაგინახო, ხომ ხედავ კარგად ვარო. 9 აგვისტოს, დილით ადრე დამირეკა, ბალი-ბარათები ჩამარიცხვინა. მერე ათის ნახევარზეც ველაპარაკე. დედა, ნუღარ წვალობ, დაკავშირება ჭირს, ხომ იცი, კარგად ვართო. მერე ტელევიზორით გავიგე გორის ბაზის დაბომბვის ამბავი...

ვერც ერთს ვერ ვუკავშირდებოდი, 4 საათისთვის ძლივს მოვახერხე ვიტალისთან დარეკვა, დამამშვიდა, კარგად

ვართ, ჩვენ არაფერი შეგვეხოო. ჯიმიც ჩემს გვერდზეაო...“

არადა, ამ დროს ჯიმი არ იყო მის გვერდით, არათუ მის გვერდით, საერთოდ აღარ იყო ამქვეყნად... დაბომბვას გადარჩენილი ძმა დაღუპულ ძმას ეძებდა... ეძებდა და მთელი დღე ატყუებდა დედას, გვიან ღამით მხოლოდ იმაში გამოუტყდა დედას, რომ ჯიმის ვერ პოულობდა, მერე ტელეფონი გამოურთო საერთოდ, მეორე დილამდე...

დედა: „ვიტალი მიყვებოდა მერე, მე პოსტზე ვიდექი, ათი მეტრის იქით 22 ბიჭი ურიკაზე იჯდა, ჯიმი წელსზემოთ შიშველი იდგა და ბიჭებს აცინებდაო, ამ სიცილში დაიღუპნენ – შუაში ჩაუვარდათ ბომბი.

ბომბი რომ ჩამოვარდნილა, ტალღას აუსვრია ვიტალი, გონს რომ მოსულა, მისი ავტომატი იქით გდებულა, მაღლიდან მოდიოდა მთელი ქვიშა, მიწა, ქვა და თავზე მეყრებოდაო. ასე მეგონა, ხელ-ფეხი ზედ აღარ მებაო. როგორც იქნა, წამოვიწიე და თვითმფრინავის ხმაც მომესმა, ისევ მოდიოდა, შეშინებული გორაკებისკენ, სანგრებისკენ გავვარდი, როგორც იქნა, მივაღწიე და ჩავვარდი შიგო. აზრზე რომ მოვედი, თავში დამკრა, რომ ჯიმი იქ იყოო. გამოქცეულა, დაუნახავს პოლიცია, სასწრაფო, იქამდე რომ მიაღწია, ყველა გაყვანილი ჰყავდათ უკვე. ჰოსპიტალისკენ გამოქცეულა. რომ მორბოდა, დაჭრილს დაუძახია, დამეხმარეო, წამოუყვანია, მოჰყავდა ეს დაჭრილი ბიჭი, გზად მსუბუქი მანქანა დასწევიათ, ვიტალი გადასდგომია, გაუჩერებია, დაჭრილია, წაიყვანეთო, კარი გამოუღია და იმ მანქანაში ამ დაჭრილი ბიჭის ძმა ესვენა მკვდარი...

ვიტალი ისევ ჯიმის საძებნელად გამოქცეულა. ჰოსპიტალში რომ შევარდა, თავიდან სისხლი სდიოდა, ექიმები დასდევდნენ თურმე შესახვევად, არ უჩერდებოდათ, ძმას ეძებდა დაჭრილებში. ვერსად უნახავს. მორგშიც შესულა, სამი მიცვალებული უნახავს, მეტი ვეღარ გაუძლია... გამოსულა, დეიდაშვილს დაურეკა, იქნებ თბილისში გადმოიყვანეს, დაჭრილებში ეძებეთო. თვითონ ვიტალიმ 10 აგვისტოს დილით გაიგო ძმის დაღუპვის ამბავი. ჩვენი სოფლელი ბიჭი დაიღუპა ცხინვალში, იმას ეძებდნენ თავისი ძმები, ჯიმი ნახეს და შეატყობინეს. დედას ისევ უმალავდა, დეიდის ქმარს დაურეკა, ჯიმი დაიღუპა, გორში ვარ ჰოსპიტალში, ჩამომხედეთ, დედაჩემსა და მამაჩემს არ გააგებინოთო.

დედა: „მორგიდან გამოიყვანეს, დედა მოუკვდეს, და თავის სოფელშიც ვერ წავიყვანეთ. გომში, ხაშურის რაიონშია მამიდამისი გათხოვილი, და იქ დავკრძალეთ დროებით. იქაც უკვე ისეთი ამბავი იყო, მკვდარი არ დაგვატირებინეს, თვითმფრინავი დაგვტრიალებდა თავზე, გვბომბავდა. ჭირის სუფრის გაშლა უნდოდათ, შესანდობარი მაინც ვუთხრათო, გაგიჟებული ვიყავი, მზეზე არ დარჩეს ჩემი შვილი, გაიყვანეთ, მიაბარეთ მიწას, ვერ ხედავთ, რა ამბავია-მეთქი. სირბილ-სირბილით მივაბარეთ მიწას და გამოვიქეცით გომიდან. გამოვიქეცით და გამოვასწარით, გორში უკვე რუსის ჯარი შემოდიოდა, წინ შევეფეთეთ, ავტომატებს გვიშვერდნენ მანქანებში, შიშითა და უბედურებით გამოვედით. სოფელში ოქტომბერში დავბრუნდით და ოქტომბრის ბოლოს გადავასვენეთ მშობლიურ სოფელში...“

კაპრალი

მიხეილ დვალიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ბინდისში, მტრის ალყაში მოქცეული გაშმაგებული ებრძოდა მომხვდურს. თორმეტნი ყოფილან, საათ-ნახევარი შეაკავეს მტერი, მაგრამ ბოლოს მათზე იერიში რუსულმა ავიაციამ მიიტანა. ყველა დაიღუპა, მათ შორის მიხეილ დვალიშვილიც... დღეს ყველა გმირია.

„მზეში დაიწვა ფიქრი და დარდი,
ვერ დაგიკოცნე ნათელი კალთა,
ვერ შემოვაღე დედი ჭიშკარი“.

მიხეილ დვალიშვილმა წინათგრძნობა ლექსად აქცია – ეს სიტყვები მან 2008 წელს, ომამდე დაწერა. 6 აგვისტოს კი ბოლო ლექსი დატოვა:

„ძმათა საფლავზე ცეცხლი ინთება,
შინმოუსვლელი ძმები გახსოვდეთ!
დაუბრუნდება ბუდეს მერცხალი
ჩვენ კი ვერასდროს ვერ დავბრუნდებით“.

თეონა დვალიშვილი, და: „2008 წლის 6 აგვისტოს გავაცილეთ. მამამ გააცილა ვანიდან მეგობრებთან ერთად. მამა იხსენებს ხოლმე, მაშინ განსაკუთრებულად დამემშვიდობაო. მიუხედავად იმისა, რომ თბილი ადამიანი იყო, მაინც განსაკუთრებით გადაუკოცნია მამა, ხელები მაღლა აუწევია და ასე უთქვამს: ,,აბა კარგად მამი, ყველა მომიკითხე...“ მის მერე წავიდა და წავიდა... მამა ახლა ამბობს, ალბათ, გრძნობდა რაღაცასო. გრძნობდა, მის მშობლიურ მხარეში უკანასკნელად, რომ იყო. უკანასკნელად ეხვეოდა მისთვის საყვარელ მამას.

როცა დარეკავდა, გვეუბნებოდა, „მე კარგად ვარ. ახლა ოსიაურში ვართ და ბრძანებას ველოდებითო“, ამ დროს კი თურმე ცხელ ხაზზე იყო. 11 აგვისტოს დილის 9 საათზე უკვე სამშვიდობოს გამოვდივართო. უკანასკნელად, მახსოვს, იმავე დღეს სამის ნახევარზე ვესაუბრეთ. დედა ამ ყველაფერს საშინლად განიცდიდა. მამას ეუბნებოდა: შვილი მომიყვანეო. მამამ დედას მისცა ტელეფონი, ესაუბრეო. უცებ აფეთქების ხმა გავიგონეთ ტელეფონში, დედას ცრემლები წასკდა, მიშიკომ კი ასე უთხრა: ,,რა იყო დედა, კი არ მოვმკვდარვარ, რა გატირებსო“. ამის მერე გაითიშა, ველარც ვუკავშირდებოდით. ეს იყო მისი უკანასკნელი საუბარი დედასთან... სწორედ მაშინ, როცა უკანასკნელად ესაუბრა დედას, შინდისში ყოფილან. გამოსვლის ბრძანება მიუღიათ, მაგრამ მტრის ალყაში მოქცეულა 12 ჯარისკაცი. მხოლოდ 12 ბიჭი უწევდა მტერს წინააღმდეგობას და ტყვიას ტყვიაზე ახვედრებდა. იცით, რა ლეგენდები დადის ამ ბიჭებზე? საათ ნახევარი ეწინააღმდეგებოდნენ მტერს. კიდევ გაუწევდნენ წინააღმდეგობას... მაგრამ საავიაციო ძალა იქნა გამოყენებული და სწორედ ამის მსხვერპლნი გახდნენ. მათგან ერთი გადარჩენილა, მაგრამ, რომ დაუნახავს განგმირული თანამებრძოლები, იმასაც თავი აუფეთქებია. იმ დღესვე შესულა პატრიარქი შინდისში და ბიჭები გამოუყვანია. მიშიკომ ის მიიღო, რაც ამქვეყნად ყველაზე მეტად სურდა. ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ ერთი განაწყენებული ადამიანი არ დაუტოვებია. ჩემი ძმის გმირობა დაფასდა.

17 აგვისტოს დავასაფლავეთ ჩვენი სოფლის სასაფ-ლაოზე. ქრისტიანულად ავუგეთ წესი. ჩემი ძმისგან სა-ხსოვრად ტელეფონი დამრჩა. ასე მგონია, მისი სუნი აქვს. ეს ტელეფონი დიდი განძია ჩემთვის. დღეს იმით ვართ ბედნიერები, რომ ჩვენი მიშიკოს საფლავი ვიცით.“

მიხეილ დვალიშვილის სახელი იმ ქუჩას ეწოდა, სადაც ის გაიზარდა. მისი ლექსების კრებულიც გამოიცა, ეს იყო გმირის ერთ-ერთი სურვილი, რომელიც სიცოცხლეში ვერ განახორციელა.

მიხეილ დვალიშვილი 1986 წლის 7 ივნისს ვანის რაიონ სოფელ მუქედში დაიბადა. 2003 წელს ქ. ქუთაისის სამხედრო ლიცეუმი დაამთავრა, შემდეგ წელს იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. იქიდან კი სამხედრო სავალდებულო სასწ-ავლებელში გაიწვიეს. 2007 წელს საკონტრაქტოს მოაწერა ხელი და სენაკის მეორე ბრიგადის საინჟინრო ასეულში ჩაირიცხა. შეყვარებული ჰყოლია, საოცრად უყვარდათ ერთმანეთი ნინის და მიშიკოს, იხსენებენ ოჯახის წევრები. მათ ნინისთან ახლაც აქვთ ურთიერთობა.

თეონა დვალიშვილი, და: „ოცნებად ჰქონდა სამხედრო ფორმის ჩაცმა. ძალიან მოსწონდა. მამა აფხაზეთის ომის მონაწილე იყო და მასაც სურდა, სამხედრო პირი გამხდარიყო. ხშირად ვიხსენებთ მის ნათქვამს: ,,ნეტავ როდის გავიზრდები, რომ ფორმა ჩავიცვაო“. სულ ასე ამბობდა, სამხედრო აკადემიაში უნდა ჩავაბარო, იურიდიულზე მშობლების ხათრით ვარო, „მამა, ჩემგან პოლიციელი არ დადგებაო, მე სამხედრო პირი უნდა გავხდეო“. იურისტობა არ უნდოდა, ვერც მოესწრო მის დამთავრებას და დიპლომის აღებას. მისი დიპლომი სექტემბერში გამოგვიგზავნეს. რთულია ამის სიტყვებით გადმოცემა, რა შეგრძნება იყო ეს... აიხდინა კიდეც თავისი სურვილი. მე ვეუბნებოდი, მეც მინდა ჯარში, წამიყვანე-მეთქი. „არაო მითხრა, ჯარი კაცის საქმეა. შენ რაც გევალება ის გააკეთეო“. ჯარს ვაჟკაცურ საქმეს ეძახდა. მისი სულისკვეთება მის ამ ლექსშიც ჩანს:

„ჩემო საქართველო!
შენთვის ვილოცებ, და
შენთვის ვიარსებებ.
მრავალჯერ დატანჯულო,
მრავალჯერ ჭირნახულო,
მრავალჯერ სისხლდაღვრილო -
ჩემო საქართველო!“

კაპრალი

ასლან შაინიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1985 - 2008

ჯემალ შაინიძეს სამი ვაჟი ჰყავდა, სამივე ჯარისკაცი, სამივე რუსული აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა აგვისტოს ომში. მამამ ბოლოს ისინი პატარა ძმის დაბადების დღეზე ნახა თავშეყრილები – 2008 წლის 22 ივნისს. სამ ძმას ერთად ველარავინ ნახავს – უფროსი, ასლან შაინიძე გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ცხინვალის მისადგომებთან...

ასლან შაინიძე 1985 წელს, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში დაიბადა. 3 წლის იყო, სოფელს სტიქია რომ დაატყდა თავს და ოჯახი ბოლნისის რაიონში, სოფელ დისველში ჩაასახლეს.

ჯემალ შაინიძე: „წყნარი, თბილი, საყვარელი ბავშვი იყო, ყველასთან იოლად ნახულობდა საერთო ენას. ცხრა კლასი სოფელში დაამთავრა და რადგან სოფელში სრული საშუალო სკოლა არ იყო, ისევ მშობლიურ სოფელში წავიდა. აჭარაში. ჩემი მშობლები ისევ იქ ცხოვრობენ დღესაც, დარჩნენ, არ წამოვიდნენ. ასლანმა იქ დაამთავრა საშუალო სკოლა.

აქ რაიონი შორს იყო, გაუჭირდებოდა სიარული, სწავლას იყო მოწადინებული... ფეხბურთი უყვარდა, 24 საათი რომ ბურთი ფეხზე ჰქონოდა, არ მოსწყინდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ინსტიტუტის ბოლნისის ფილიალში ჩააბარა, საბაჟო ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 4 წელი სწავლობდა, შემდეგ პატარა ძმა წავიდა სავალდებულო სამსახურში, ძმაკაციც ჯარში ჰყავდა და თავადაც მოიწადინა ჯარისკაცობა. ამბობდა, სჯობია, ერის სამსახურში ჩავდგეო“.

ასლანმა მომავალი მეუღლე – რუსუდანი აჭარაში სწავლის პერიოდში გაიცნო. პირობაც დაუთქვამთ, რომ ოჯახს შექმნიდნენ და მალევე შეასრულეს კიდეც – სტუდენტობისას შეუღლდნენ. ასლანი რომ ჯარში კონტრაქტით წავიდა, შინ ორი პაწია დატოვა – 1 წლისა და 2 წლის.

ვაზიანში, პირველ ბრიგადაში მსახურობდა, შემდეგ პირველი ბრიგადა გორში გადავიდა.

ჯემალ შაინიძე: „ძალიან მოსწონდა ჯარი და ამბობდა: მე მგონი, პენსიაშიც რომ გამიშვან, სახლში ვერ გავძლებო. ძალიან ინტერესიანი იყო, ყველანაირი ტექნიკა, ყველანაირი იარაღი აინტერესებდა, შეყვარებული იყო თავის საქმეზე. ძმაკაცები, უფროსები, ვინც კი შემხვედრია, ყველა კმაყოფილი იყო“.

მერე მოახლოვდა ავბედითი აგვისტო. 5 აგვისტოს, როცა გამოიძახეს, ასლან შაინიძე ოჯახში იყო.

„მგონი, ხვდებოდა, რაც ხდებოდა, ყველა გადაგვკოცნა, მთელი სოფელი შემოირბინა, ყველას დაემშვიდობა და ისე წავიდა. ტელეფონი შინ დატოვა, ცოლი ბათუმში იყო წასასვლელი, გაფუჭებული ჰქონდა ტელეფონი და მას დაუტოვა. პატარა ბიჭს ჰქონდა თან ტელეფონი, მაგრამ ომის დროს ვერც მას ვერ ვუკავშირდებოდით, კავშირი არ იყო. ტელევიზიით რომ გავიგეთ ომის დაწყების ამბავი, შევშფოთდით, სამივე ბიჭი ომში გვყავდა.

შუათანა კოდორში იყო, ასლანი და პატარა ბიჭი – ცხინვალში. გვერდიგვერდ ბრძოლამ არ მოუწიათ, ცხინვალში შესვლამდე ცხინვალის შესასვლელთან შეხვედრიან ერთმანეთს, 2-3 წუთი ულაპარაკიათ, შემდეგ პატარა ბიჭის ნაწილი წინ წავიდა, ასლანი მეკავშირე იყო, მისადგომებთან იბრძოდა. 8 აგვისტო რომ გათენდა, ცხინვალში წასვლა გადავწყვიტე, ბიჭები ომში მყავდა და შინ რა გამაჩერებდა. ყველა თავს მარიდებდა, გამირბოდნენ, თურმე უკვე ჩამოსული იყო ამბავი, რომ იმ დილით, 11-12 საათისთვის, ასლანი უკვე დაღუპულა და მოასვენებდნენ“.

ასლან შაინიძე იმ საღამოსვე ჩაასვენეს ბოლნისის რაიონში.

„ფეხში ყოფილა დაჭრილი, ექიმები მისულან კიდეც საშველად, არ გამოჰყოლია, მისი ასმეთაური ყოფილა დაჭრილი და იმის საშველად წავიდა. „ბათინკიდან“ თასმა მოიხსნა, ფეხზე შემოიკრა და ისე წავიდა. რომ გამოჰყავდა, მაშინ მოყვა დაბომბვაში. ასმეთაური გადარჩა, ასლანს კი „ასკოლკებმა“ ხერხემალი დაუზიანა...“

საბრძოლო მოქმედებები უკვე დასრულებული იყო, ჯარი ნელ-ნელა უკან ბრუნდებოდა, ასლანის უმცროსი ძმა გორში დაჭრილებს რომ გამოაყოლეს. გორში შეაპარეს, რომ მისი ძმა დაჭრილი იყო და პირდაპირ ბოლნისში წასულიყო. უმცროსი ძმა მიხვდა, რაც ხდებოდა უფროსი ძმის თავს. შუათანა ძმა რომ კოდორიდან დაბრუნდა, ასლანი უკვე დაკრძალული იყო. ისიც ომის მსხვერპლი აღმოჩნდა. იმ დავიდარაბაში მანქანა ხევში ეჩეხებოდათ, ბიჭები გადმომხტარან თავის საშველად. მანქანა არ გადავარდა, მაგრამ გადმომხტარმა შაინიძემ თავი დაარტყა, ტრავმა მიიღო. მალავდა, არ ამბობდა, რომ არ „დაებრაკათ“. მაგრამ ტრავმამ თავი არ დამალა. ჯერ კიდევ ბათუმის ნაწილში მსახურობდა, რომ გაითიშა, შემდეგ მამამ ბოლნისის რაიონში გადააყვანინა. აპრილში უკვე იქ გაეთიშა მამას მანქანაში.

„მაშინვე წავიყვანეთ ექიმებთან. 4 ოპერაცია ჩაუტარდა თოდუას კლინიკაში, შემდეგ თავდაცვის სამინისტროს დახმარებით 2 თვე ისრაელშიც ვმკურნალობდით, იქიდან რომ ჩამოვედით, გორის ჰოსპიტალში იწვა, ახლაც საავადმყოფოში წევს, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს...“

ჯემალ შაინიძეს არ დასცალდა, ბიჭებისთვის ჩაეკითხა ბრძოლის ველზე. მაგრამ ომის დამთავრებისთანავე მუხროვანის ბაზაზე დაბანაკებულ ნაწილში მივიდა.

„მინდოდა, ჯარში შევსულიყავი. მაშინ უარი მითხრეს, წადი ჯერ ოჯახს მიხედე და გამოგიძახებთო. მერე საავიაციო ნაწილში დავიწყე სამსახური. პატარა დღესაც ჯარშია, შუათანაც ჯარისკაცად ითვლება ისევ...“ – ამბობს ჯემალ შაინიძე.

ასლან შაინიძის პატარები დღეს უკვე 3 და 4 წლისანი არიან. თავად სულ რაღაც 23 წლის იყო, მტერს რომ შეაკვდა...

კაპრალი

დავით ბლიაძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1985 - 2008

ეს ერთი ქვიშხეთელი ბიჭი იყო. ჯარში წასვლა დედის ავადმყოფობამ გადააწყვეტინა – დედას მკერდი მოჰკვეთეს... წავიდა და... დაამტკიცა, რომ დედის ნაწოვი ძუძუ არმად არ შერგებია – მტერს თავი შეაკლა.

ავადმყოფი დედა ლოგინად ჩავარდა... თავს იმითღა ინუგეშებს, რომ მისი ვაჟი სამშობლოს შეეწირა ზვარაკად...

დავით ბლიაძე სულ 23 წლის იყო...

ბუხუტი ბლიაძე, მამა: „დათო სიყვარულითა და იუმორით სავსე ბიჭი იყო, მშრომელი, დაუზარელი... ძალიან ხალისიანი, ისე ხუმრობდა, რომ არავის წყენა არ რჩებოდა... სპორტი უყვარდა, ბავშვობაში კრივზეც დადიოდა.

თევზაობა უყვარდა, კარგად ცურავდა. ზუსტად იცოდა, სოკო როდის უნდა მოკრეფილიყო, პირველს მას უნდა მოეკრიფა. ჯონჯოლი რომ შემოვიდოდა, აუცილებლად კრეფდა და მოჰქონდა, შრომა უხაროდა. სწავლაც უყვარდა. ვერ ვიტყვი, რომ ფრიადზე სწავლობდა, საშუალო მოსწავლე იყო, სხვას არ ჩამორჩებოდა. უყვარდა წიგნის კითხვა, რომანებს ეტანებოდა. სკოლიდან რომ დაბრუნდებოდა, ჯერ გაკვეთილებს მოამზადებდა, მერე ბავშვებთან სათამაშოდ გავარდებოდა, გვიან საღამოს კი, რომ გვეგონა, ეძინა, წიგნს კითხულობდა, სულ 4-5 საათი ძილი ჰყოფნიდა...

არ უყვარდა ზედმეტად გადაპრანჭული გოგოები...“

სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო ვალი ოსიაურში მოიხადა. შემდეგ, რეზერვშიც წავიდა საკუთარი ნებით.

კარგი დრო იყო, კარგი პირობები და როგორ ვეტყოდი უარს, წავიდა კონტრაქტით, ვაზიანის მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა. ძალიან მოსწონდა ჯარში. ამბობდა, კონტრაქტს რომ ვადა გაუვა, კიდევ უნდა გავაგრძელოო. ოჯახის შექმნაზე რომ ვეტყოდით რამეს, გვეტყოდა, სანამ კონტრაქტს არ მოვრჩები, ცოლს არ შევირთავო. შეყვარებული ჰყავდა, ბოლოს წაკინკლავებულან...

ერაყში აპირებდა წასვლას, უნდოდა, რომ ოჯახი მოეწყო, დაბინავებულიყო, არ დასცალდა... სულ წელიწად-ნახევარი მსახურობდა, მერე ომი დაიწყო... ბოლოს 2 აგვისტოს ვნახეთ. სახლში იყო მოსული. დედამისისთვის კიდეც უთქვამს, მგონი, ომი იწყებაო. ჩემს მეუღლეს დაურიგებია: შვილო, ფრთხილადო. რა ფრთხილადო, სამშობლოს გულისთვის არ შევაკლავ თავსო? ომი რომ დაიწყო, იმის მერე სატელეფონო კავშირიც არ გვქონია. ტელეფონი ნაწილში ჰქონდა დატოვებული...

ომი რომ დამთავრდა და არა და არ გამოჩნდა, ნაწილში რამდენჯერმე მივედი, მეთაურიც და ჯარისკაცებიც ერთსა და იმავეს მეუბნებოდნენ, ჩვენ მკვდარი არ გვინახავსო. იმედი გვქონდა, რომ ტყვედ იქნებოდა ჩავარდნილი. საბოლოოდ, 20 ოქტომბერს გვითხრეს დეენემის პასუხი.

მუხათგვერდიდან კი გადმოვასვენეთ და დავკრძალეთ, მაგრამ ხანდახან დღესაც ტყუილი მგონია. რუსთაველი ბიჭია, ლევან ჩალაძე, იმან თქვა, გზის ერთ მხარეს დათო იყო, მეორე მხარეს – მე, ვიბრძოდით, მაგრამ რუსი რომ შემოვიდა, აირია ყველაფერი და იმის მერე არ მინახავს, მეც არ ვიცი, როგორ გადავრჩიო. როგორც გარდაცვალების მოწმობაში წერია, 9 აგვისტოსაა დაღუპული ცხინვალის მისადგომებთან. დედამ დათოს დაღუპვა რომ გაიგო, ლოგინად ჩავარდა... ძნელია, თავი დაიმშვიდო, მაგრამ თავს იმითღა ვიმშვიდებთ, რომ სამშობლოს შეეწირა...“

დათო ბლიაძე გმირია, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი.

კაპრალი

ვასილ განჯელაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

9 აგვისტო... რუსულმა ავიაციამ გორის სამხედრო ბაზას კასეტური ბომბებით შეუტია... ავიაიერიშმა 40-მდე ქართველ ჯარისკაცს წამებში მოუსწრაფა სიცოცხლე... გარდაცვლილთა შორის იყო 22 წლის ვასიკო განჯელაშვილი, სვენეთელი ბიჭი, რომელიც რამდენიმე დღეში (24 აგვისტოს) დაქორწინებას აპირებდა, თუმცა არ დასცალდა.

განჯელაშვილების ოჯახი ვაჟის დაბადებას დიდხანს ელოდა... ორი ქალიშვილის შემდეგ მშობლებს ნატვრა აუსრულდათ და ბიჭი შეეძინათ. პაპის სახელი დაარქვეს – ვასიკო. ნანატრ ბიჭს ოჯახი ლაღად ზრდიდა...

ლელა განჯელაშვილი, ვასიკოს და: „24 წლის გახდებოდა 12 თებერვალს... ორი წელი გავიდა იმ საშინელი დღიდან. სამი დედმამიშვილი ვიყავით, ვასო ნანატრი მემკვიდრე იყო. გათამამებული გვყავდა, მაქსიმალურად ხელი ეწყობოდა, რასაც მოისურვებდა. უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა. ძალიან მორიდებული და ჭკვიანი იყო. არასდორს არავის აწუხებდა. მამისგან განსაკუთრებულად იყო გათამამებული. საჭეს პირველი კლასიდან დაეუფლა. პედლებს რომ ვერ სწვდებოდა, მამას კალთაში ეჯდა და ისე ატარებდა. ხუთი-ექვსი წლიდან დამოუკიდებლად მართავდა. უკვე მოზრდილი ავტომობილს მამის უკითხავად რომ წაიყვანდა, მამაჩემი ჩვენ გვეჩხუბებოდა, რატომ გაატანეთო. სახლში რომ მოვიდოდა, ერთ სიტყვას არ ეტყოდა, არ აჩვენებდა, რომ გაბრაზებული იყო. მამას სიგიჟემდე უყვარდა...“

„მთელი წელი იჯდა და ქალივით ხმამაღლა ტიროდა, ყოველთვის ამბობდა, ვისაც ვუყურებ, ყველას სახეში ვასიკოს ვხედავო. დიაბეტი ჰქონდა და გორის ჰოსპიტალში გვეწვინა. 9 აგვისტოს, წლისთავზე რამდენიმე საათით სახლში ამოვიყვანეთ, ვერაფერი ვერ გაიგო, სახლში რა ხდებოდა. 15 სექტემბერს მამაც ინფარქტით დაიღუპა...“

და ახლაც ცრემლიანი იხსენებს ვასიკოს ხასიათს... ამბობს, რომ ძალიან ჯიუტი იყო, მაგრამ უზრდელი არასდროს ყოფილა. უპრეტენზიო იყოო. ჩუმი, წყნარი, ხალისიანი, – ასე აფასებენ მას მეგობრებიც. ყოველთვის რაღაცას ჩხირკედელაობდაო.

სკოლის დამთავრების შემდეგ არ დაიშალა, ჯარში უნდა წავიდეო, დედას ნანატრი ბიჭი სამხედროს მკაცრი ცხოვრებისთვის არ ემეტებოდა. ერთი ჰყავდა და იმიტომ... ისიც იცოდა, თუ საქართველოს საფრთხე დაემუქრებოდა, დაუფიქრებლად დადგებოდა სამშობლოს სადარაჯოზე. დედის შიში გამართლდა. ჯიუტი იყო. რასაც იტყოდა, გაჰქონდა კიდეც თავისი. ძალიან ეამაყებოდა ჯარისკაცობა. თავს იწონებდა ახალი ფორმით. სამსახურში არასდროს აგვიანებდა და სიფრიფანა ბიჭი ვაჟკაცურად იტანდა სამხედრო ცხოვრებას. 2003 წელს მოხალისედ წავიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად სამთავრობო დაცვაში. 2005 წლის თებერვლიდან მუშაობდა გორის დაცვის დეპარტამენტში. სამხედრო რეჟიმს შეჩვეულმა მტკიცედ გადაწყვიტა, ჯარისკაცი გამხდარიყო და კონტრაქტს მოაწერა ხელი. გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში სპეციალური მომზადება გაიარა და შტაბის ოცეულში ჩაირიცხა...

ლელა განჯელაშვილი: „ჩვიდმეტი წლის იყო, ჯარში რომ წავიდა და იტყოდა ხოლმე, ხუთი წელი მიხდება სტაჟი, რაც ფორმა მაცვიაო. მისი მომავალი სამხედრო ცხოვრებას უკავშირდებოდა. ამბობდა, ერაყშიც უნდა წავიდეო... ყოველთვის დილის რვის ნახევარზე დგებოდა“.

ექვს აგვისტოსაც უთენია, ექვს საათზე დაურეკეს და გამოიძახეს. დედას უთხრა, ყაზარმული გამოცხადდა და გავრბივარო. დას დღემდე სანანებლად აქვს, რომ იმ დილით ადრიანად არ ადგა და ძმა არ გააცილა.

ლელა განჯელაშვილი: „24 აგვისტოს უნდა ექორწინა, დიდ გეგმებს აწყობდა. შავ-თეთრად შებრიზგული სახლი არ მოსწონდა, ვარდისფრად უნდა შევღებოო. შრომისმოყვარე იყო, ოჯახის შესაქმნელად ემზადებოდა... მეორე სართულს როგორც მინდა, ისე მოვიწყობ და ჩემს ცოლ-შვილთან ერთად ვიცხოვრებო. ბავშვებზე გიჟდებოდა. ბიძაშვილს შვილი რომ შეეძინა, უთქვამს, ნეტა ჩემს შვილს ხელში როდის დავიჭერო...“

უკვე ორი წელია, განჯელაშვილების სახლში ყველა სადღესასწაულო დღე ვასოს საფლავზე გასვლით იწყება... რამდენიმე დღეში მეგობრის ბავშვი უნდა მოენათლა, არ დასცალდა. ის ბავშვი ვასოს დამ, ლელამ მონათლა.

მომავალი საცოლე პირველად მეგობრის ქორწილში ნახა. ჯერ ტელეფონით ეკონტაქტებოდა, მერე გორში, სასწავლებელში აკითხავდა და ერთ დღესაც სიყვარულში გამოუტყდა...

ლელა განჯელაშვილი: „იმ გოგოსთან ახლაც გვაქვს ურთიერთობა. ბევრი ცოლი არ იქნება ისეთი მწუხარე, როგორც დღეს ის გოგოა. გასვენება, ორმოცი, დაბადების დღე, წლისთავი, მიცვალებულის დღეები... ის ყოველთვის ჩვენთან არის. ატენელი გოგოა, ერთხელ მოიტაცა და მერე უკან დააბრუნეს. უკვე დაგეგმილი ჰქონდა, რომ 24 აგვისტოს ბორჯომში უნდა წაეყვანა და მარიამობისთვის, 28-ში სახლში უნდა მოსულიყვნენ... ბოლოს 5 აგვისტოს ნახა. მათი სიყვარული ერთ წელს გაგრძელდა... ერთ საღამოს სახლში ნედლი თხილი მოკრიფა, ატენში მივდივარ, შეყვარებულს დავპირდი და უნდა ავუტანოო... ბოლოს მისთვის 8 აგვისტოს დაურეკავს...“

9 აგვისტოს, დილის 11-ის სამ წუთზე უკანასკნელად ელაპარაკა დას. ტელეფონზე ანგარიში შემივსეთო, – უთქვამს. შვიდ წუთში მისი ტელეფონი გაითიშა...

ლელა განჯელაშვილი: „ჩემმა დამ დამირეკა, გორის ნაწილი დაბომბეს და ვეღარ ვრეკავთ ვასიკოსთანო. ვუთხარი, ნუ გეშინიათ, ამ წუთში ველაპარაკე და ცოცხალია-

მეთქი. მასთან ერთად 39 ბიჭი იყო, ყველანი ერთმანეთის ძმაკაცები, ბავშვის ნათლიები და მეჯვარეები იყვნენ. მათთან დავიწყეთ დარეკვა, მაგრამ ყველას ტელეფონი გათიშული იყო...

გორის ნაწილი დაებომბათ. ბიძაჩემი რომ მივიდა ნაწილში, თავიდან დაუმალეს, ცოცხალიაო, მაგრამ მიხვდნენ, რომ დამალვას აზრი აღარ ჰქონდა... ერთ საათში მიცვალებული მოიყვანეს სახლში. საფეთქელში ჰქონდა ჭრილობა...

ჩემი მეუღლე ცხინვალის რაიონიდან, თამარაშენიდან არის, ჩემი დედამთილ-მამამთილი იქ იყვნენ, რვაში საღამოს გამოვიდნენ სოფლიდან. იმათ ურეკავდა, კითხულობდა, ხომ კარგად ხართო, თავის თავზე არც ფიქრობდა, გვამშვიდებდა, გორში საშიში არაფერიაო. ჩვენი ბიძაშვილი „სპეცნაზშია“, მასაც ყოველ წუთს ურეკავდა და ეუბნებოდა, ცოტაც გაუძელით, ყველაფერი კარგად იქნებაო. ბოლოს, ტელეფონის ხაზები რომ აირია, მარტო ჩემთან ახერხებდა დარეკვას: ლაშა საით არის, გურამი საით არისო, ყველას კითხულობდა, აინტერესებდა, როგორ ვიყავით“.

ლელა განჯელაშვილი: „ბოლო პერიოდში რაღაცნაირად იყო ატეხილი. ივლისის ბოლო რიცხვები, 27-28 იყო, სახლში ნასვამი მოვიდა და დედას უთხრა, გუშინ შეყვარებული გამოვცადე და დავრწმუნდი, ძალიან ვყვარებივარო. ჯარიდან დაურეკავს, ტანკების ხმა ისმოდა და უთქვამს, ცხინვალში მივყავართ, ომი დაიწყო და ვეღარ მნახავო. მანამდე სახლში შეყვარებულზე არაფერს ამბობდა, მაგრამ ბოლო პერიოდში გულღია გახდა და გვიკვირდა კიდეც...“

12 აგვისტოს, როცა რუსული ავიაცია გორს კასეტური ბომბებით უტევდა, ვასო უკანასკნელ გზაზე სულ რამდენიმე კაცმა გააცილა და მშობლიურ მიწას მიაბარა. ვასიკო განჯელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის N288 ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

კაპრალი

მზეჭაბუკ მიჩიტაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1975 - 2008

მზეჭაბუკ მიჩიტაშვილი 32 წლის იყო...

17 წლისა დაოჯახდა და სავალდებულო სამხედრო სამსახური არ მოუხდია. ჯარში წასვლა 32 წლისამ გადაწყვიტა, კონტრაქტს მოაწერა ხელი...

ექვსი თვე იმსახურა...

1975 წელის 14 ოქტომბერს, მცხეთობას, სოფელ ზერდში, მიჩიტაშვილების ოჯახში მესამე ვაჟი დაიბადა, მზეჭაბუკი დაარქვეს. სულ ოთხნი იყვნენ – სამი ძმა და ერთი და. ჭკვიანი და დამჯერი ბავშვი ყოფილა... 12 წლისამ კლარნეტზე დაკვრა ისწავლა. კარგად მღეროდა. 13 წლისას კონსერვატორიაში მოუსმინეს, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. მუსიკის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება...

„დედმამიშვილებისგან განსხვავებული იყო. უმცროს ძმას, ზვიადს სულ იმას ეუბნებოდა, ჯარში აუცილებლად უნდა წახვიდეო... გორში ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, მეკლარნეტე ჭაბუკა, ყველა მიგასწავლიდათ მისამართს ან ადგილს, სადაც შეიძლებოდა მისი ნახვა... დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, საერთო ენას ყველასთან ნახულობდა. განსაკუთრებულად უყვარდათ...“

გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში სპეციალური მომზადება გაიარა. დაცვის მეორე ოცეულისა და მეორე ათეულის მსროლელის თანამდებობაზე დაინიშნა... საყვარელ პროფესიას ჯარშიც ვერ უღალატა. თბილისიდან მუსიკალური ინსტრუმენტები გამოიწერა, ორკესტრი შექმნა, მაგრამ... არ დასცალდა.

მაკა თოდაძე: „პატარები დავქორწინდით. ის 17 წლის იყო, მე – 15-ის. კლასელის მეჯვარე ვიყავი და ქორწილიდან მომიტაცა. არ ვიცნობდი და არც ის მიცნობდა. სახლში დამაბრუნეს. მეორედაც მომიტაცა და დავრჩი... რომ იტყვიან, ერთმანეთი გავზარდეთ... ერთად 15 წელი ვიცხოვრეთ... წლისთავზე გვანცა შეგვეძინა, მამობა უხაროდა და ეამაყებოდა...“

დიდხანს რომ ვერ იცოცხლებდა, წინასწარ გრძნობდა... ხშირად ესიზმრებოდა გარდაცვლილი მამიდა, – იხსენებს თვალცრემლიანი მეუღლე... 2008 წლის 9 აგვისტოს, გორის სატანკო ბაზის დაბომბვამ სიცოცხლე მოუსწრაფა 32 წლის მზეჭაბუკ მიჩიტაშვილს.

მაკა თოდაძე: „ჭაბუკა რომ დაბადებულა, სახელი მამიდას დაურქმევია, უშვილო ქალი იყო და მესამე ძმისშვილი განსაკუთრებულად უყვარდა. ჩემი შვილიაო, ამბობდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მამიდა ესიზმრებოდა... ჯერ ჯარშიც არ იყო წასული, რომ ამას გაიძახოდა. ასე ნუ ამბობ-მეთქი, ვეუბნებოდი და მას მერე აღარ უთქვამს. რაღაცის შიში ჰქონდა და უნდოდა, ყველაფერი მოესწრო... ერთ საღამოს ქორწილში უნდა წასულიყო, შუადღისას გამოვიძინებო, მითხრა. გამოეღვიძა, გული ცუდს მიგრძნობსო. ვუთხარი, ნუ წახვალ-მეთქი. როგორ არ წავიდე, დავპირდი და მელოდებიანო. სიტყვის კაცი იყო, რასაც იტყოდა, ვერ გადაათქმევინებდი...“

თავისი დაბადების დღე განსაკუთრებით უყვარდა. ამბობდა, ისეთ დღეს ვარ დაბადებული, ღმერთის მფარველობა არ მომაკლდებაო...

მაკა თოდაძე: „ტანით პატარა, მაგრამ ძალიან გულადი და მამაცი იყო. სიტყვა ყველგან ეთქმოდა.

ისეთი უშუალო და მოსიყვარულე იყო, რომ ხანდახან ვფიქრობდი, ქმარზე მეტია-მეთქი. წლოვანებითაც თითქმის ტოლები ვიყავით, ის ჩემი ძალიან დიდი მეგობარი იყო... არ უნდოდა, რომ მემუშავა, ყველანაირად მანებივრებდა, ცდილობდა, ყოველდღე რაღაცით გავეხარებინე...“

ომამდე შვებულებაში იყო, ზღვაზე დაისვენა ცოლშვილთან ერთად. რომ ჩამოვიდნენ, მალევე განგაშიც გამოცხადდა.

მაკა თოდაძე: „სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, ივლისის ბოლოს ზღვაზე წაგვიყვანა დასასვენებლად. ჯარიდან შვებულება ჰქონდა აღებული და თვითონაც რამდენიმე დღე დარჩა ჩვენთან ერთად. ოთხი დღის მერე ქორწილში უნდა წასულიყო გორში და წამოვიდა. ცოტა უცნაური მეჩვენა. რომ მოდიოდა, განსაკუთრებულად გვკოცნიდა... ბოლოს 7 აგვისტოს ვნახე. მობილურით ვკონტაქტობდით. ბოლოს რომ დამირეკა, გორი უკვე დაცლილი იყო. მკითხა, რას აპირებ, რატომ ხარ სახლში, სასწრაფოდ გადიო... მისი ნაწილი ჩვენს სახლთან ახლოს იდგა და რომ ვიცოდი, ის იქ იყო, ერთი წუთითაც არ მიფიქრია იქაურობის დატოვება... ვუთხარი, არსად წამსვლელი არ ვარ, სახლში ვრჩები-მეთქი... ბოლოს, რომ ვურეკავდი, ველარ მელაპარაკებოდა, არ ეცალა... გორის დაბომბვა რომ დაიწყო, ტელეფონის ხაზები აირია და ველარ ვუკავშირდებოდი. ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ იბომბებოდა ყველაფერი... ნაწილი რომ დაბომბეს, ტელევიზორს ვუყურებდი...

მისი ცხედარი ჩემმა სიძემ იპოვა. იმ დღესვე მოვასვენეთ სახლში. სახეზე არ მინახავს... მინდოდა, ისეთი დამმახსოვრებოდა, როგორიც იყო.

გორში ვაპირებდით მის დასაფლავებას, მაგრამ შეუძლებელი იყო... სროლისა და თვითმფრინავების ხმა ისმოდა...

არაფერს აზრი აღარ აქვს. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ რამე გამიხარდეს? მარტო ჩემი შვილისთვის ვარსებობ, ცხოვრება უინტერესო გახდა და დინებას მივყვები... ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ შვილი დამრჩა და მისთვის ვაგრძელებ ცხოვრებას. არაფერს არ ვაკლებ, მაგრამ მამა აკლია... როცა ენატრება, იმ ვიდეოკასეტებს რთავს, სადაც ჭაბუკა მღერის, და მის

ტანსაცმელს ეფერება...“

იმ დღეს დაცარიელებულ სოფელ ზერდში მხოლოდ ქალები მიაცილებდნენ უკანასკნელ გზაზე შვილებს, მეუღლეებსა და ნათესავებს... დედები, რომლებმაც შავების ჩაცმაც ვერ მოასწრეს... სროლისა და აფეთქების ხმებში ისმოდა განწირული კივილი... 10 აგვისტოს ცრემლით გაჟღენთილი მიწა იბარებდა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გმირს – ჭაბუკა მიჩიტაშვილს...

გმირულად დაცემის შემდეგ მზეჭაბუკ მიჩიტაშვილი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის ბრძანებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. მაკა თოდაძემ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჯარისკაცის ფორმა ჩაიცვა. დღეს ის გორში მეხუთე ბრიგადაში მსახურობს, კაპრალის წოდებით... თუ სამშობლოს დასჭირდა, ისიც ისევე გმირულად იბრძოლებს, როგორც მისმა მეუღლემ იბრძოლა.

კაპრალი

ზურაბ ურიგაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

7 აგვისტოს ცხინვალში შედიოდნენ... „ბეემპე“ გაუფ-უჭდათ და სოფელ სვენეთთან შეჩერდნენ. მანქანას ელოდებოდნენ, ნაწილში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ბოლოს დას ელაპარაკა, წყალი მომიტანეთ და ბავშვებიც მანახვეთო... ზურა ურიგაშვილი „ბეემპეზე“ მემიზნე ოპერატორი იყო.

იმ ღამეს ტანკი გორის ნაწილში ჩამოიყვანეს. 9 აგვისტოს, როცა გორის ინტენსიური დაბომბვა დაიწყო, ხმაურზე ზურა, დანარჩენ ჯარისკაცებთან ერთად, ნაწილის ეზოში გამოსულა...

საზარელი აფეთქების ხმა...

ერთ წამში ყველაფერი მიწასთან გასწორდა... ზურა 25 წლის იყო...

1983 წლის 5 სექტემბერს ურიგაშვილების ოჯახში, პირველი შვილის შემდეგ, ნანატრი ბიჭი გაჩნდა.

ნაირა მედოიძე, ზურას დედა: „52 წლის ვარ... გაჭირვებით გავზარდე შვილები. პირველი გოგო შეგვეძინა, ზურა მეორე იყო... ძალიან დიდი სიხარული შემოიტანა ოჯახში... წვალებით გავზარდე. შრომას არ თაკილობდა, ჯან-ღონით სავსე, ძალიან ჭკვიანი, თბილი და უთქმელი ბავშვი იყო. ვერ გაიგებდი, რა სწყინდა... ყველა უყვარდა და ისიც ყველას უყვარდა.

ძალიან სხვანაირი ბავშვი იყო, და-ძმისგან განსხ-ვავებული. მესამე – 21 წლის ბიჭიც მყავს, მაგრამ ის ძალიან სხვანაირი, უთქმელი იყო. სულ იმას ფიქრობდა, როგორ ვესიამოვნებინეთ. ისე გახდა 25 წლის, რომ მისგან ერთი ცუდად ნათქვამი სიტყვა არ მახსოვს“.

19 წლისა სავალდებულოს მოსახდელად გორში, ჯავშან-სატანკო ბატალიონში გაიწვიეს. იქიდან ვაზიანში გადაიყვანეს. წელიწად-ნახევრის შემდეგ, რეზერვისტად წავიდა. სამხედრო რეჟიმს შეჩვეულმა, ჯარისკაცობა გადაწყვიტა და კონტრაქტს მოაწერა ხელი...

2006 წელს დაქორწინდა. ამ დროს უკვე კონტრაქტით მსახურობდა.

ირინე პირველად ქუჩაში დაინახა. უთქვამს, ეს გოგო ჩემი ცოლი გახდებაო და სამ წელში ეს სიტყვები სისრულეში მოიყვანა... მაგრამ მანამდე იყო „ესემესები“, რომელსაც სატელეფონო საუბრები მოჰყვა, საუბარს – შეხვედრა და ერთმანეთის სიმპათია. სამი წლის შემდეგ ურთიერთობა დაოჯახებით დააგვირგვინეს. მათი თანაცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთად სულ ორი წელი გაატარეს...

წლისთავზე ვაჟი შეეძინათ, გიორგი დაარქვეს. სიარულს რომ დაიწყებს, სპორტზე უნდა ვატაროო, – ოცნებობდა.

ბოლოს, მეჯვისხევში, სოფლის დღესასწაულზე ცოლ-შვილთან ერთად იყო ასული, ბავშვს მთელი უბანი შემოატარა, ნახეთ, როგორი კაცი მყავსო... ბევრ შვილზე ოცნებობდა.

ცხრა თვის იყო გიორგი, მამა რომ დაეღუპა...

„ომამდე ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. არ ვიცი, სიზმარი ნახა თუ გული უგრძნობდა, მაგრამ სულ იმას ამბობდა, თუ ომი დაიწყო, ვერ გადავრჩებიო... ახლა რომ ვაკვირდები, ბოლო პერიოდში, რაღაცნაირად აღელვებული იყო.

ექვსში, განგაში რომ გამოცხადდა, ღამე, ორ საათზე დაურეკეს. ორ წუთში ჩაიცვა და სახლიდან გიჟივით გავარდა. შვიდში წაიყვანეს ცხინვალისკენ. მირეკავდა, მამშვიდებდა, თვითონ არანაირი შიში არ ჰქონდა... რვაში ისევ გამოსულა, „ბეემპე“ გაფუჭებიათ. არ ვიცოდი, ეს მერე გავიგე. ბოლოს რვაში საღამოს ველაპარაკე. ცხრაში დილით რომ ვრეკავდი, უკვე გათიშული ჰქონდა ტელეფონი. ბოლოს, გორის დაბომბვა რომ დაიწყო, მე, ბავშვი და დედაჩემი თბილისში წამოვედით... მეორე დღეს მამამთილმა დამირეკა, დაიღუპაო... იმ დღესვე ჩავედი მეჯვრისხევში... ცხოვრება რთული ყოფილა. მინდა გიორგი, მამის მსგავსად, ვაჟკაცი გაიზარდოს“.

ბოლო სამი წელი სოფლის იშვიათი სტუმარი გახდა. სამსახური მაქვს ისეთი, რომ დაგვიანება არ შეიძლებაო. პასუხისმგებლობა ჰქონდა. კაპრალი ურიგაშვილი, მეუღლესთან ერთად, გორში, სადგურთან ახლოს, სამხედრო ბაზიდან რამდენიმე მეტრში ცხოვრობდა. როცა 7 აგვისტოს სიტუაცია აირია და ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, დედას უკანასკნელად ესაუბრა. უთქვამს, ნუ გეშინია, დედა, ფანჯრები გააღე და მე დაგიცავო...

„7 აგვისტოს ველაპარაკე. მითხრა: დედა, ცხინვალში უნდა შევიდეთო... მაფრთხილებდა, შენს თავს მიხედე, ნუ გეშინიაო. ბოლოს ივლისის ბოლოს ვნახე, სოფლის დღეობაზე იყო ამოსული, ცოლ-შვილთან ერთად. ბოლო პერიოდში სულ გამოძახება ჰქონდა და ვეღარ ახერხებდა ხშირად ამოსვლას.

უკვე ბოლოს, ტელეფონზე რომ ვეღარ ვუკავშირდებოდით, მამამისი გორში ამბის გასაგებად წავიდა. უთქვამს, ჩემი ირინე და ბავშვი გაიყვანეთ აქედან და თბილისში წადითო.

როცა თამაზი გორიდან მოდიოდა, ვერხვებთან აფე-თქების ხმა გაიგო... არ იცოდა, რომ შვილი უკვე აღარ ჰყავდა...

სანამ თამაზი სახლში მოვიდოდა, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი, გული ცუდს მიგრძნობდა, რაღაცა ცუდი ხდებოდა ჩემს თავს. ჩემს მულთან ავედი ჩახისუბანში. იქაც ვერ გავჩერდი, მერე მეზობელთან გავედი... ადგილს ვერ ვპოულობდი“.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ზურამ ეზოში ფანტანი დახისსკამი გააკეთა. ესადგილი განსაკუთრებულად უყვარდაო, – იხსენებენ თვალცრემლიანი მშობლები...

ნაირა მედოიძე, ზურას დედა: „მთელი საღამო აქეთ-იქით დავდიოდი... უკვე შუაღამე იყო, ყველას ეძინა... ეზოში მის გაკეთებულ ფანტანთან ვიდექი. მანქანის ხმა გავიგე... ზურას კლასელთან გაჩერდა, სამხედრო პატრული იყო...

მანქანა მერე ჩვენს კართან მოვიდა. ჩემი მეზობელი ქალი შემოვიდა. ნაირა, გამაგრდიო... ეს ჩემი სიკვდილი იყო...

გამთენიისას, უბნის ბიჭებმა, გორიდან ზურას ცხედარი მოასვენეს....

ვერ ვისვენებდი, კუბოს გარშემო ვუვლიდი, რამდენჯერმე ვცადე გახსნა, მაგრამ არ გამახსნევინეს... უკანასკნელ, ბოლო ღამეს ათევდა საკუთარ სახლში ჩემი შვილი. შავების ჩაცმაც ვერ მოვასწარი, დედა მოუკვდეს... ცუდი ამბები ისმისო და რამდენიმე საათში გაჭრეს საფლავი... მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე დავასაფლავეთ... სოფელი უკვე დაცლილი იყო.

ერთი წელი ჩემს თვალზე ცრემლი არ შემშრალა... აქამდე სიზმარში, წყალში ვხედავდი. მითხრეს, ამდენი ტირილი არ შეიძლებაო... ტირილის მეტი არაფერი დამრჩენია. ხან ხმა მომესმის, ხან დახველება... ცხოვრებას მეორე ბიჭი მატანინებს. ჩემი ცხოვრება არაფერი აღარ არის, წვალებით გაზრდილი... მის გაყინულ სხეულსაც ვერ მოვეფერე... რაც დრო გადის, უფრო მენატრება... მისი ცხედარი რომ არ მინახავს, მგონია, სადღაც არის წასული. სულ ველოდები. ვიხედები, ვუყურებ, ან ახლა გამოჩნდება ან ახლა-მეთქი... ამაზე დიდი უბედურება, რასაც შვილის სიკვდილი ჰქვია, არაფერია. ძალიან ძნელი ყოფილა... მეორე ბიჭს, ვატოსაც უნდოდა ჯარში კონტრაქტით წასვლა, მაგრამ „დაბრაკეს“. ძალიან მეშინია...“

ზურას გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე თავდაცვის სამინისტრომ ჯარში, გორის მეხუთე ბრიგადაში დაასაქმა. ამჟამად ირინა კავშირგაბმულობის ასეულშია, საქმის მწარმოებლად მექანიზებულშია მივლინებული. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 აპრილის ბრძანებულებით, ზურა დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

დედის ცრემლი და მშობლიური მეჯვრისხევის მცხუნვარე მზე მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე... კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე დასრულდა. გმირის სახელთან ერთად დატოვა მოუშუშებელი სევდა და დიდი სიხარული – გვარის გამგრძელებელი ვაჟკაცი.

კაპრალი

რამაზ ერაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

თინა ერაშვილს აგვისტოს ომმა შვილიც წაართვა და მოხუცი დედაც...

თინას დედა სოფელ კარბში, საკუთარ სახლში იმსხვერპლა რუსულმა ბომბმა.

25 წლის რამაზ ერაშვილი 9 აგვისტოს გორის ჯავშან-სატანკო ნაწილის დაბომბვას შეეწირა.

23 აგვისტოს 26 წლის გახდებოდა.

1983 წელს გორში, ერაშვილების ოჯახში გვარის გამგრძელებელი დაიბადა. რამაზი დაარქვეს.

„ბავშვობიდან ამბობდა, ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო... ძალიან ჭკვიანი და დამჯერი ბავშვი იყო. თვალებში შემოგვცქეროდა. სულ უნდოდა, რომ რაღაცით ვესია-მოვნებინეთ. არ ავიწყდებოდა არც ერთი დღესასწაული, ყოველთვის ყვავილებით გვილოცავდა ყველას... მისი მორთმეული ყვავილები ახლა მის სურათებთან მიდევს... ძალიან კარგი ადამიანი იყო და ალბათ, ღმერთმაც იმიტომ წაიყვანა თავისთან...“

სკოლაში განსაკუთრებული სწავლით არ გამოირჩეოდა, თუმცა თავისი ზრდილობიანობითა და ყოფაქცევით ყველას დაამახსოვრა თავი. მერვე კლასიდან სწავლა კოლეჯში გააგრძელა, მისი დამთავრების შემდეგ კი აფხაზეთის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

მეზობელ სოფელში, მეგობართან ასულს, ერთი გოგო მოეწონა. მაშინ 17 წლის იყო, თეონა – 16-ის. მათი სიყვარული ისე მალე განვითარდა, რომ გაცნობიდან რამდენიმე თვეში იქორწინეს.

„ორი წლით ჩემზე უფროსი იყო... მე გორის რაიონის სოფელი სრიდან ვარ. იქ გავიცანი. ბევრი მეგობარი ჰყავდა და ხშირად მოდიოდა.

სიყვარული გაცნობიდან ერთ თვეში ამიხსნა. მეგობრები ვქეიფობდით და იქ მოვიდა, ამხანაგებთან ერთად. ცალკე გამიყვანა და მითხრა, მიყვარხარო. მკითხა: პასუხს როდის მეტყვიო. მე გავჩუმდი და თავი ჩავღუნე... ჯერ არ ვაპირებდი გათხოვებას, მაგრამ ბოლოს მომიტაცა. ძმაკაცის ნათესავთან, ერთ-ერთ სოფელში წამიყვანა. თავიდან ვფიქრობდი, არ დავრჩები-მეთქი, მაგრამ მერე აღარ წამოვედი და დავრჩი. მიყვარდა... შეყვარებულები სულ ორი თვე ვიყავით...

ერთად ექვსი წელი ვიცხოვრეთ...

რომ დავქორწინდით, რამაზი ცხინვალის უნივერსიტეტში, იურიდიულზე სწავლობდა“.

რამაზი ჯარში არ გაუწვევიათ, წლისთავზე ბიჭი შეეძინა და მამობამ იხსნა. ბავშვობის ახირება, ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო, არ დავიწყებია და კონტრაქტს მოაწერა ხელი. დედა უარზე დადგა. მაინც წავიდა.

თეონა მშვიდობაძე, რამაზის მეუღლე: „ბავშვი შეგვეძინა და სავალდებულოს მოხდა არ შეხებია. ძალიან უნდოდა ჯარში. ამბობდა, ჯერ კაპრალი ვიქნები და მერე სხვა წოდებასაც მივიღებო. უნდოდა, ოფიცერი გამხდარიყო. საოფიცრე კურსების გავლას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო... როცა თქვა, კონტრაქტზე უნდა წავიდეო, მშობლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ეშინოდათ. სიტყვის კაცი იყო და რასაც იტყოდა, ვეღარავინ გადაათქმევინებდა. თავისი პროფესიით არ უმუშავია...

რომ დაიღუპა, მეორე შვილი ერთი თვის იყო. სულ ორჯერ დაიძინა ლუკამ მამის ხელში, მეტჯერ არც სჭერია...“

თინა ერაშვილი, რამაზის დედა: „როცა პირველი შვილი შეეძინა, ამბობდა, უბედნიერესი კაცი ვარო...

ბოლო დროს მის სახეზე ღიმილი აღარ მინახავს, გულჩათხრობილი გახდა... თითქოს მოსწრებაზე იყო, უნდოდა, ყველაფერი მოესწრო. ძალიან თბილი იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თბილი გახდა...“

ბოლოს სახლში 6 აგვისტოს მივიდა, ახლობლის დაბადების დღეზე უნდა წასულიყო, ცოლთან ერთად, მაგრამ ყაზარმული გამოცხადდა და გამოიძახეს. სასწრაფოდ ჩაიცვა სამხედრო ფორმა და წავიდა...

თეონა მშვიდობაძე, რამაზის მეუღლე: „ყველას განსაკუთრებულად გამოგვემშვიდობა... ტელეფონით ველაპარაკებოდი. მეუბნებოდა, ნუ გეშინია, გორში ვარ, ცხინვალში ხომ არ ვარო... არაფრის შიში არ ჰქონია. მეც დამშვიდებული ვიყავი, გორში რა უნდა მოხდეს-მეთქი, მაგრამ...

7-ში გორი დავტოვე და ბავშვებთან ერთად კასპში წავედი. 9-ში 10 საათზე ველაპარაკე, ხომ იცი, როგორ მიყვარხარო...

ნაწილი 11-ის 15 წუთზე დაიბომბა... ტელევიზორში ვნახეთ... რომ ვურეკავდით, უკვე გათიშული იყო მისი ტელეფონი. ბოლომდე მეგონა, რომ ცოცხალი იყო და დაჭრილებში ვნახავდით...

თინა ერაშვილი, რამაზის დედა: „იმ ღამეს, ყოველ ნახევარ საათში მირეკავდა. ვეუბნებოდი, რატომ ხარჯავ ამდენ სალაპარაკოს, ცოტა ხანში ჩვენ დაგირეკავთ-მეთქი. არა, დედა, კიდევ ცოტა ხანს გელაპარაკებიო...

უკანასკნელად რამაზს 8 აგვისტოს ველაპარაკე... დილით რომ გავიღვიძე, ძალიან ცუდად გავხდი, ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურება იყო ჩემს თავს. მეუღლე დილითვე ავიდა ნაწილში, მაგრამ... ყველაფერი უკვე მიწასთან იყო გასწორებული... იმ დღესვე ვიპოვეთ“.

სახედასახიჩრებულიჰქონდა.მკლავზეამოსვირინგებული ჯვრით იცნო მამამ... შვილის ცხედარი არ მანახვეს, ცუდად გახდებიო, – იხსენებს თვალცრემლიანი დედა.

თინა ერაშვილი, რამაზის დედა: „ერთ დღეს დავკარგე შვილიცა და დედაც... ორივე ერთ დღეს მომიკვდნენ... იმ დღეს დაიბომბა ჩემი სოფელი კარბი. სახლს ჭურვი დაეცა და... ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ შვილიშვილის სიკვდილი არ გაუგია... მიცვალებული დედა ვერ დავიტირე, სახლში

შვილს ვტიროდი“.

10 აგვისტოს, როცა რუსული ავიაცია გორს კასეტური ბომბებით უტევდა, რამაზი ნაუცბადევად გაჭრილ საფლავს მიაბარეს. უკანასკნელ გზაზე სულ რამდენიმე კაცმა გააცილა. ორი შვილი, ორი გვარის გამგრძელებელი დარჩა. პაპის მოსახელე, შვიდი წლის გურამი და წლინახევრის ლუკა. გოგო ძალიან უნდოდა...

თეონა მშვიდობაძე, რამაზის მეუღლე: „ლუკა სურათებს რომ ათვალიერებს, მამას იძახის... უფროსი ხშირად იხსენებს, მანქანით რომ მაკატავებდაო. ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო, ამბობს. ძალიან მიჭირს მის გარეშე ყოფნა.

ახლა ისევ მის სახლში, დედამთილ-მამამთილთან ერთად ვცხოვრობ, მაგრამ უნდა გადავიდე... იქაურობას რომ ვუყურებ, ძალიან უარყოფითი განწყობა მეუფლება. ყველაფერი მის თავს მახსენებს... როცა საყვარელი ადამიანი გტოვებს და მარადიულობაში გადადის, როცა ის, ვინც გიყვარს, იმ სახლში აღარ არის და აღარც არასოდეს იქნება, ძალიან ძნელია. სიზმარში ხშირად ვნახულობ, სულ იმას მეუბნება, ნუ ნერვიულობთ, ნუ ტირით, ძალიან კარგად ვარ, ძალიან მალე მოვალო...

რაც რამაზი აღარ არის, თითქმის ყველაფერი გაუფერულდა. სახლიდან რომ გამოვდივარ, ვფიქრობ, დღეს ცოცხალი ვარ და ხვალ რა იქნება, არავინ იცის-მეთქი. ცხოვრება გრძელდება, ორი ვაჟკაცი მყავს და მათ ვჭირდები. ეკლესიური ცხოვრება დავიწყე. ჩემი მეუღლის გზას ვაგრძელებ – მეხუთე ბრიგადაში ვმუშაობ, კაპრალი ვარ“.

კაპრალი

ჯიმშერ ტოროშელიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1972 - 2008

ოკუპანაღმულ ტერიტორიაზე გამნაღმველთა ჯგუფი მიწაში ჩამარხულ ბომბს ეძებს... აფეთქების ხმა. 10 ჯარისკაცი მეთაურთან ერთად ჰაერში ავარდა.

განწირული ყვირილი – ცოცხლები ხართ?! დაჭრილი ბიჭები ერთმანეთს ეძებენ. ყველა გადარჩა. ხმას მხოლოდ ათმეთაური არ იღებს...

ჯიმშერ ტოროშელიძე 35 წლის იყო.

დაიბადა სოფელ ნულში, მდინარე ფრონეს ხეობაში. ჯიმი დედმამიშვილებში უფროსი იყო. მის შემდეგ ტოროშელიძეებს ქალ-ვაჟი გაუჩნდათ. ძალიან მხიარული ბავშვი ყოფილა. ლაღად იზრდებოდა. ბავშვობიდან დიდი ინტერესი გამოუჩენია ხალხური საკრავებისადმი. პარალელურად მექანიკა-მანქანათმშენებლობით დაინტერესებულა. მიუხედავად ამისა, სკოლის დამთავრების შემდეგ, კერამიკაზე მუშაობას დაუფლებია. მის გაკეთებულ თიხის ჭურჭელს დღეს ოჯახის წევრები დიდი რუდუნებით ეპყრობიან.

„ერთმანეთი 1993 წელს, ცხინვალის რაიონში, სოფელ ძარწემში გავიცანით. იმავე წელს ვიქორწინეთ. ჯიმშერი 20 წლის იყო, მე – 18-ის. თვითნასწავლი მუსიკოსი გახლდათ. ჩემი დედამთილი სოფელ კეხვიდან არის, ბევრი ნათესავი ჰყავდა და ჯიმი ხშირად ამოდიოდა სოფელში.

მე ნიჭიერთა ათწლედი მქონდა დამთავრებული, ხალხურ მუსიკალურ საკრავებზეც ვუკრავდი... კონცერტებზე ხშირად გვიწევდა ერთად გამოსვლა. ძალიან კონტაქტური პიროვნება იყო... ასე გავიცანით ერთმანეთი. ხელოვნებამ დაგვაახლოვა, რომ იტყვიან. მეორედ მეგობართან სადღესასწაულო სუფრაზე შევხვდით. ბოლო პერიოდში ისე დაემთხვა, რომ ხშირად ვნახულობდით ერთმანეთს, ჩემთანაც მოდიოდა... გაცნობიდან რამდენიმე თვეში, მშობლებს ჩემი ხელი სთხოვა. როგორც ქართულ ტრადიციულ ოჯახს შეეფერება, ჯერ დავინიშნეთ და რამდენიმე თვეში ქორწილი გვქონდა. ძალიან ბედნიერი წლები გავატარეთ... უბედნიერესი ქალი ვიყავი. ერთად 15 წელი ვიცხოვრეთ“.

წლისთავზე ვაჟი შეეძინათ, გიორგი დაარქვეს. პირველს მეორე მოჰყვა, მესამეს დაბადებას მამა ვერ მოესწრო... რატი მამის გარდაცვალების შემდეგ მოევლინა ქვეყანას. გოგოს მოლოდინში სამი ვაჟი გაუჩნდათ. უფროსი 16 წლის არის.

ჯიმშერს სავალდებულოს მოხდა არ შეხებია, მამობამ იხსნა. ჯარში, საკუთარი სურვილით, 2007 წელს წავიდა.

ნათელა გოგოიძე, ჯიმშერის მეუღლე: „სულ იმას მეუბნებოდა, საფლავში ნუ ჩამიყვან ისე, რომ გოგო არ მაჩუქოო... მე ბიჭები მეამაყებოდა და ვპირდებოდი, გოგოს აუცილებლად გავაჩენ-მეთქი... პირველი შვილი რომ შეგვეძინა, ამბობდა, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცაში დავფრინავო. გვარის გამგრძელებელი მეყოლა და ახლა რაღა მომკლავსო. ძალიან ბედნიერი იყო...

ერთად ვგეგმავდით შვილების მომავალს. უნდოდა, ყველასთვის კარგი განათლება მიეცა, გზაზე დაეყენებინა...

მე საბავშვო ბაღში, მუსიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. სანამ ჯარში კონტრაქტით წავიდოდა, მანამდე დედამთილ-მამამთილთან ვცხოვრობდით. საკმაოდ დიდი ოჯახი გვქონდა და ცალკე გასვლა გადავწყვიტეთ...

კარგად ვიყავით. სტაბილური შემოსავალი გვქონდა. შვილებს მომავალს ვუქმნიდით. არაფერს არ ვაკლებდით. ბედნიერად ვცხოვრობდით, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ დაგვცალდა... ჯარში წელიწადი და 10 თვე იმსახურა, აგვისტოში ორი წელი უსრულდებოდა“.

ჯიმშერ ტოროშელიძე გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში მსახურობდა. გამნაღმველი იყო და კონფლიქტის ზონაში მივლინებით წასვლა ხშირად უწევდა. ათმეთაურ ტოროშელიძეს მომავალი გამნაღმველები პრაქტიკაზე ხშირად დაჰყავდა.

20 ივლისსაც მივლინებაში ერთი თვით კოდორის ხეობაში გაგზავნეს. გორში 20 აგვისტოს უნდა დაბრუნებულიყო...

როცა ომი დაიწყო და რუსებმა სოფელ ნულს შეუტიეს, ჯიმი ამ დროს, 10 ჯარისკაცთან ერთად, იქ იმყოფებოდა. პირველი დარტყმა სოფელ ნულს მიაყენეს.

ნათელა გოგოიძე, ჯიმშერის მეუღლე: „ბოლოს 5 აგვისტოს ველაპარაკე. ისევ კოდორის ხეობაში ვარო. სასწრაფოდ დატოვე სოფელი და ბავშვები გორში წაიყვანეო. გორში, ჩემს დასთან ჩამოვედით და დაიმედებული იყო. ნურაფრის გეშინიათო...

თავის თავზე არაფერს ამბობდა, მთელი სულითა და გულით თქვენთან ვარო, ტელეფონში გვეფერებოდა... გორზეც რომ მიიტანეს იერიში და ქალაქს ბომბავდნენ, თბილისში გამოვიქეცით...

7 აგვისტოს დილით დამირეკეს, ჯიმი დაიღუპაო... ზემო აფხაზეთიდან უკვე გადმოსვენებული ჰყავდათ. მისი ცხედარი გორის ჰოსპიტალში, მორგში იყო დასვენებული. იმავე საღამოს გადმოვასვენეთ.

ძალიან მიჭირს მის გარეშე... ოჯახის მძიმე ტვირთი მე დამაწვა. ყველაფრით სავსე ორი სახლი დავტოვეთ... ახლა ცხოვრებას თავიდან, შიშველი ხელებით ვიწყებ... სამი ობლის დედა ვარ და სამომავლოდ რამე ხომ უნდა შევუქმნა... ძლიერი ქალი ვარ და ყველანაირად ვეცდები, ცხოვრება მოვუწყო ჩემს შვილებს. მართალია, მეუღლე ცოცხალი აღარ მყავს, მაგრამ ჩემს შვილებს უმამობას არ ვაგრძნობინებ.

ჩვენთვის დიდი იმედი იყო ჯიმი...

ბიჭები ხშირად იხსენებენ მამას, მათაც ძალიან უჭირთ მამის გარეშე ყოფნა. როცა სჭირდებათ, ახლა აღარ ჰყავთ... ვერიდები მათთან ამ თემაზე ლაპარაკს... ძალიან უშუალო ურთიერთობა ჰქონდა შვილებთან. ეკლესიური ცხოვრებით

ცხოვრობდა, მარხულობდა. კოდორის ხეობაში, მამათა მონასტერში, მამებთან ურთიერთობდა და შვილებსაც შთააგონებდა სარწმუნოების სიყვარულს...

უფროსი ბიჭები მამის გზას მიჰყვებიან. როცა კონტრაქტს მოაწერა ხელი, ჩვენც გორში გადმოგვიყვანა საცხოვრებლად. უნდოდა, რომ მის გვერდით ვყოფილიყავით. ერთს შეატყო, რომ სპორტისკენ ჰქონდა მიდრეკილება, ჭიდაობაზე შეიყვანა, მეორე კი ცეკვაზე დადის. ჯიმისთან ყოველთვის ახლოს იყო სპორტი, მუსიკა, ცეკვა და უხაროდა, რომ შვილებსაც ეს ნიჭი აღმოაჩნდათ. ბედნიერი იყო... მართალია, მამა მათ წარმატებებს ვერ შეესწრება, მაგრამ ვიცი, რომ ზემოდან გვიყურებს და ყველაფერს ხედავს... ძალიან გვაკლია და გვენატრება. დიდი ვაჟკაცი დაკარგა საქართველომ ჯიმშერის სახით“.

გიორგი 16 წლის არის, შმაგი – 14-ის, რატი – 11 თვის. სამშვილიანი დედა ამჟამად გორში, კარალეთის დასახლებაში ცხოვრობს. სოფელ ნულში ტოროშელიძეების ახალნაყიდი სახლი რუსულმა კასეტურმა ბომბებმა ერთიანად გაასწორა მიწასთან. მეორე სახლისგან კი, რომელიც სოფელ ძარწემში ჰქონდათ, დღეს მარტო დამწვარი კედლებიღაა დარჩენილი.

9 აგვისტოს, როცა რუსული სისხლით შეღებილი ტყვია საქართველოზე წვიმასავით მოდიოდა, ჯიმშერ ტოროშელიძის განსასვენებელს ოთხი თვის ორსული მეუღლე, ცოლისდა, სიდედრი და ოჯახის სამი ახლობელი მიასვენებდა. გმირი ტოროშელიძე, ახალდაბაში, ნაუცბადევად გაჭრილ საფლავს მიაბარეს.

„ჩემი მეუღლის კუბოს ოთხი თვის ორსული, ჩემი მხრებით მივასვენებდი... დამხმარეც კი არავინ გვყავდა...“

კაპრალი

ივანე კვალიაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1985 - 2008

ბორში, ვერხვების დასახლებაში, 1986 წლის 18 დეკემბერს, კვალიაშვილების ოჯახს გვარის გამგრძელებელი შეეძინა.

ვანიკო დაარქვეს... დეკემბერში 23 წლის გახდებოდა.

კარგი ბავშვობა ჰქონდა. ჯიუტი არა, მაგრამ სიტყვის კაცი იყო. პატარაობიდანვე, რასაც მიზნად დაისახავდა, ყველაფერს აღწევდა. აქტიური მოსწავლე, სკოლის სხვადასხვა საღამოებზე, პირველი იყო ყველაფერში... კარგად მღეროდა. როგორც მეგობრები ეძახდნენ, კვალას გორში ყველა კარგი სახელით იცნობდა. დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა. სამართლიანი იყო და ყველას უყვარდა...

სკოლის დამთავრების შემდეგ, გორის ინსტიტუტში ჩაირიცხა. ინფორმატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა პროფესიით არასდროს უმუშავია.

„თამარაშენში, „ბონიემის“ კონცერტზე საერთო მეგობარმა გაგვაცნო ერთმანეთი. მაშინ 15 წლის ვიყავი... ორივეს პირველი ნახვისთანავე მოგვეწონა ერთმანეთი. რამდენიმე თვე ვიყავით შეყვარებულები. ყველაფერი ძალიან მალე განვითარდა, ორივეს ოჯახმა უკვე ყველაფერი იცოდა და ერთი წლის თავზე გავიპარეთ. სანამ გავიპარებოდით, ჩემთან ხშირად ამოდიოდა, ბოლოს უკვე სახლიდან ვეღარ ვიცილებდი. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ყველაფერში უნაკლო...

ერთი წელი ვიცხოვრეთ ერთად...“

მამას შვილი ჯარის მკაცრი რეჟიმისთვის არ ემეტებოდა. პირველი შვილი იყო და, ალბათ, იმიტომ, მაგრამ ვანიკო გადაწყვეტილებას არასდროს ცვლიდა... უკვე კონტრაქტზე იყო, რომ დაქორწინდა. ცოლი ჯარის მეგობართან, ვასიკო განჯელაშვილთან მიიყვანა. დაოჯახებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, ერთ წამში ჭერი თავზე დაენგრა. მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული წყვილის ახლად შექმნილი ოჯახი რუსულმა კასეტურმა ბომბმა დააქცია, ნინო დააქვრივა და ვანიკო ამ ქვეყანას გამოაცალა.

ნინო ბალაშვილი, ვანიკოს მეუღლე: „ბოლოს 7 აგვისტოს ვნახე. სახლში იყო მოსული. ღამე იბანავა და დილით, ჯარში წასასვლელად მოწესრიგდა. უზომოდ სუფთა და მოწესრიგებული ადამიანი იყო. დილით ფეხსაცმლის კრემს ეძებდა, ჩექმა უნდა გავიპრიალოო. საბოლოოდ გამოგვემშვიდობა. ბავშვს საბოლოოდ აკოცა და წავიდა...

გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა და ხელებს ვუკოცნიდი. მაწყნარებდა, ნუ გეშინიაო. წასვლას ჩქარობდა, ბიჭები უკვე იქ არიანო... მებრძოლი იყო, არაფრის შიში არ ჰქონდა... ნაწილში რომ დატოვეს, განიცდიდა, ბძოლის ველზე უნდოდა წასვლა.

ბოლოს, 8 აგვისტოს, ბაზის აფეთქებამდე 15 წუთით ადრე ველაპარაკე. უკვე გასულები ვიყავით გორიდან, დედაჩემის სოფელში წავედით... იმ ღამეს ყარაულში იყო. დილით ცვლა უნდა შეეცვალა...

ტელევიზორით გავიგე, გორის ბაზა ააფეთქესო. ვურეკავდი, მაგრამ უკვე გადატვირთული იყო ხაზები და ვეღარ ვუკავშირდებოდი.

ჩვენ ასეთი ინფორმაცია გვქონდა, რომ ყველა ბიჭი ნაწილიდან გაყვანილი ჰყავდათ, სახლებს იყვნენ შეფარებულები...

ქალაქიდან ყველა გასული ვიყავით და მარტო ჩემი მამამთილი არ ტოვებდა გორს, ჩემი შვილი აქ არის და როგორ წამოვიდეო. იმ მომენტში, როცა ბაზა დაბომბეს, მამამთილი გარეთ მდგარა...

ნაწილის ეზოში ყოფილან, სიგარეტს ეწეოდნენ... ჩვეულებრივი საუბარი ჰქონიათ ბიჭებს. ყაზარმაში უნდა ასულიყვნენ. წამებში ჩაიწვა ყველა... რაც მოხდა, ვერავინ წარმოიდგენდა...

ძირითადად, ვინც ნაწილის ეზოში იყვნენ, ისინი დაიღუპნენ. ზოგს ეძინა და ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ვერაფერი გაიგო...“

საცეცხლე ჯგუფის მეთაურს ყველგან ეძებდნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ. ბოლოს მამამისმა მორგში ნახა...

ნინო ბალაშვილი, ვანიკოს მეუღლე: „რომ გითხრათ, რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა-მეთქი – არა, მაგრამ გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რაც ერთად ვიყავით, ასეთი უცნაურობა დამჩემდა. დავწვებოდი ხოლმე და უაზროდ ტირილს ვიწყებდი. რომ მეკითხებოდა, რატომ ტირიო, მეშინია-მეთქი, ვეუბნებოდი... ჩვენს მომავალს ვერ ვხედავდი. ვერ წარმომედგინა ჩვენი თავი ერთი წლის მერე, როგორ ვიქნებოდით... ვერ წარმომედგინა, რომ ერთად უნდა გაგვეზარდა შვილი, მომავალს მასთან ერთად ვერ ვხედავდი... თითქოს ვგრძნობდი, რომ ჩვენი ერთად ყოფნა ძალიან ხანმოკლე უნდა ყოფილიყო და მალე უნდა გამქრალიყო ყველაფერი... თვითონ არანაირი წინათგრძნობა არ ჰქონია. მარტო იმას მეკითხებოდა, რომ მომკვდარიყო, როგორ ვიცხოვრებდი. სულ აინტერესებდა, ასეთ შემთხვევაში როგორ მოვიქცეოდი...

ალბათ, მიწასაც განსაკუთრებული ადამიანი უნდა... მიუხედავად იმისა, რომ 22 წლის გახდა, უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი იყო, ყველაფერზე თავისი აზრი ჰქონდა.

ბებიამისი და დედამისი ატენიდან ფეხით ჩამოვიდნენ. ჩვენ ხეობაში, ბოშურში ვიყავით. ღამე დედამთილს დაურეკავს დედაჩემისთვის, ვანიკო აღარ გვყავსო... დღეების ბავშვი მყავდა და ვერავინ მიბედავდა თქმას. ბიძაჩემი და დეიდაჩემი ჩამოვიდნენ თბილისიდან და იმათ მითხრეს შეპარვით. დასაფლავებაზე მივყავდი და ისიც კი არ ვიცოდი, რომ ვანიკო აღარ მყავდა... რატომღაც მეგონა, რომ დაჭრილი იყო და ვამბობდი, დაჭრილს რომ ვიპოვით,

თბილისში წავიყვანოთ, იქ ვუმკურნალოთ-მეთქი. ნეტა, სადმე საავადმყოფოში იყოს, ფეხი ჰქონდეს მოტეხილი-მეთქი, მაგრამ...

გორში, ალბათ, სულ რამდენიმე ადამიანიღა იყო დარჩენილი. მთელი ქალაქი დაცლილი იყო. ტყვიები წვიმასავით მოდიოდა... დღეების ბავშვიც თან გვყავდა, რომ ვასაფლავებდით. ისეთი წუთები იყო, რომ მეზობლებიც კი უარს გვეუბნებოდნენ ვანიკოს დასაფლავებაში დახმარებაზე. ყველა თავის საშველად გარბოდა. ვანიკოს სამმა ძმაკაცმა ეკლესიაშიც კი მოასწრო მისი დასვენება და წესის აგება...

როგორც ამბობენ, გულთან ჰქონია ჭრილობა, ხელფეხიც მოტეხილი ჰქონია... მიცვალებული არ მინახავს. უფრო სწორად არ მანახვეს, მამამთილმა მითხრა, როგორიც გახსოვს, სჯობია ისეთივე დაგამახსოვრდესო...

საფლავი მამამ გაუჭრა, სასწრაფო წესით დავასაფლავეთ და თბილისში გამოვიქეცით...“

გმირი, სახელად ვანიკო კვალიაშვილი, ისტორიის ფურცელი გახდა. ბევრი დანარჩენის მსგავსად, მისი სუფთა, ნათელი და სპეტაკი სული რუსულმა სისხლიანმა ხელმა შეიწირა. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ნათქვამია, მაგრამ გაივლის დრო და ამ ყველაფერს მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები ისევ ტკივილით გაიხსენებენ. პატარა ანანო ჯერ ორი წლისაც არ არის. იცის, რომ ჩარჩოში ჩასმული სურათიდან მამა უღიმის. როცა გაიზრდება, მამას მოიკითხავს, ეტყვიან, რომ ის ცაშია და იქიდან უყურებს. მისი ვაჟკაცობის ამბებს დედა სიამაყით მოუყვება...

ნინო ბალაშვილი, ვანიკოს მეუღლე: „სამი დღე ვიწვალე, ბავშვს რომ ვაჩენდი. ყველა ჩემს ფანჯრებს უყურებდა, ყოველ წუთს ელოდებოდნენ, რომ ბავშვი დაიბადებოდა. ანანო რომ დაიბადა, ბებიაქალს ოჯახის წევრებისთვის მიულოცავს. ვანიკოს ტირილი დაუწყია. დედაჩემმა ჰკითხა, რა გატირებს, გოგო რომ დაიბადაო? სიხარულით ვტირი, მამა გავხდიო, უთქვამს... ბიჭი ძალიან უნდოდა, ოცნებობდა, 18 წლის რომ გახდება, მანქანა უნდა ვუყიდოო... ვანიკოს ოცნებას ჩვენს შვილს მე ავუხდენ...

ცხრა დღის იყო, მამა რომ დაეღუპა. ხელში სულ ერთხელ ეჭირა და ერთხელ ეძინა მასთან ერთად. არეულობა რომ დაიწყო, ვინ გამოუშვებდა ჯარიდან? მეც ოთხი დღე საავადმყოფოში ვიწექი. ახლა, რომ ვუფიქრდები, თითქოს სულ რაღაცის მოსწრებას ცდილობდა... რომ ვიმშობიარე, იმ ღამესვე დიდი სუფრა გაშალა და ნათესავები, ახლობლები და ჯარის ბიჭები შეკრიბა. იმ ბიჭებიდან თითქმის ყველა დაიღუპა. მერე საავადმყოფოში გამოიპარა, ბებიაქალისთვის ფული მიუცია და ბავშვი უნახავს. 5 აგვისტოს სამშობიაროდან გამომწერეს. ექვსში ნახა შვილი და შვიდში განგაში გამოცხადდა.

16 წლის გავთხოვდი, 17-ის დავქვრივდი. 19 წლის ვარ. იცით, როგორია მარტოხელა, ქვრივი დედის ცხოვრება? საშინელება. არაფრის იმედი აღარ მაქვს ქვეყანაზე. მარტო ვგრძნობ თავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახლობელი მყავს და ყველა გვერდში მიდგას... როდესაც ოცნებობ, რომ შენს მეუღლესთან ერთად უნდა გაზარდო შვილი, ის სიტკბო და სითბო ნახო, რაც არ გინახავს, ძნელია... უმამოდ გავიზარდე და არ მინდოდა, ჩემს შვილსაც გაეგო, რა არის უმამობა. საშინელებაა... როცა გვერდით კაცი გიდგას, დიდი იმედია. ძალიან უიმედოდ ვარ, არაფერი მე აღარ მიხარია... ანანომ გადამატანინა ეს უბედურება. მიუხედავად იმისა, რომ არც ისე დიდი ვარ, მართლა დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი, მაგრამ მე ანანოს ვჭირდები და მისთვის უნდა ვიცოცხლო...“

კაპრალი

ზაზა დოთიაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1977 - 2008

ს ერთი გორელი ბიჭი იყო. ერთი შეხედვით, სხვებისგან არაფრით განსხვავებული. მის ცხოვრებაში იყო ბევრი წარმატება, კარიერაშიც და პირად ცხოვრებაშიც, თუმცა ერთ დღეს, მოულოდნელად ყველაფერზე უარი თქვა და ჯარში კონტრაქტით წასვლა გადაწყვიტა.

ზაზა დოთიაშვილი 30 წლის იყო...

მზია დოთიაშვილი, დედა: „1977 წლის 22 ოქტომბერს დაიბადა. პირველი შვილი იყო და ოჯახში დიდი სიხარული შემოიტანა. თბილი, ძალიან წყნარი ბავშვი იყო. არ მახსოვს, მის გამო საყვედური მიმეღო. კარგად სწავლობდა... განსაკუთრებულად კომუნიკაბელური, მოწესრიგებული და უპრეტენზიო იყო. 30 წლის ისე გახდა, რომ არ მახსოვს, რამე სხვანაირად ეთქვა ჩვენთვის...“

სკოლის დამთავრების შემდეგ გორის უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. წითელ დიპლომზე დაამთავრა და სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. წარჩინებული ასპირანტი ხელმძღვანელობამ უნივერსიტეტში ლექტორად დატოვა. მომავალი მეუღლეც იქ გაიცნო. ნათია მათემატიკის ლექციებს კითხულობდა.

მაშინ ზაზა 27 წლის იყო, ნათია – 24-ის. დაახლოებით ერთი წელი იყვნენ შეყვარებულები და მალევე იქორწინეს...

„ვიცოდით, რომ შეყვარებული იყო. ერთხელ სახლშიც მოიყვანა ნათია. ჩემმა მეუღლემ უთხრა, თუ ერთმანეთი გიყვართ, რაღას უცდით, დაქორწინდითო. 2004 წლის 28 იანვარს შექმნეს ოჯახი. წლისთავზე გოგო შეეძინათ, ბედნიერი იყო, დედა მოუკვდეს...

ერთად სულ სამი წელი იცხოვრეს...“

უნივერსიტეტში სამხედრო კათედრა გაიარა და ჯარში წასვლა არ შეხებია. უკვე დაოჯახებული იყო, რომ კონტრაქტზე წასვლა მოულოდნელად, მშობლებისგან მალულად გადაწყვიტა.

არადა მის ოჯახს იმის გაჭირვება არ ჰქონდა, რომ ზაზა კონტრაქტზე ხელფასის გამო წასულიყო. ყოველთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ მიისწრაფოდა. პატრიოტი იყო და ჯარში ქვეყნის სიყვარულით შევიდაო, – იხსენებენ თვალცრემლიანი მშობლები...

მზია დოთიაშვილი, დედა: „ისე შეიტანა საბუთები, რომ არაფერი ვიცოდით. აქვე, ჩვენს გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა, მეუღლესთან ერთად. ერთ საღამოს შემოვიდა და მოულოდნელად გვითხრა, ჯარში შევდივარო. თურმე საბუთები უკვე შეტანილი ჰქონია და ფორმა იმ დღეს მიუღია. ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გაგვაუბედურა...

გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე მსახურობდა. კაპრალი იყო და მალე დაწინაურებას უპირებდნენ. იმდენად პასუხისმგებლიანი და მოწესრიგებული იყო, რომ გვეუბნებოდნენ, სამედიცინო განათლება მიიღოს და ექიმად იმუშაოსო... მამამისი წინააღმდეგი იყო, თან უკვე სიტუაცია აირია და ეუბნებოდა, უარი თქვიო. მერე კომპიუტერთან უნდა დაესვათ, მაგრამ ვეღარ მოასწრო... ბოლო დროს ძალიან გადატვირთული გრაფიკი ჰქონდათ...“

9 აგვისტოს, როცა რუსული ავიაცია გორს კასეტური ბომბებით უტევდა, ზაზა დოთიაშვილს, 22 ჯარისკაცთან ერთად, წამებში მოუსწრაფა სიცოცხლე...

ზაურ დოთიაშვილი, მამა: „ბოლოს 7 აგვისტოს ველაპარაკე. ბოლო ერთი კვირა ყაზარმული იყო გამოცხადებული და სულ ნაწილში იყო. განსაკუთრებულს ვერაფერს ვამჩნევდით, გადაღლილი იყო და ამასაც არ გვეუბნებოდა...

9 აგვისტოს ჩვენს სახლს თვითმფრინავმა გადაუფრინა, სახლიდან 300 მეტრში, ყოფილი კომბინატის ტერიტორია დაბომბა და ანასხლეტი ჩვენს სახლთან დავარდა. დილის 10 საათი იყო, მაშინვე ზაზას დავურეკე: შვილო, თვითმფრინავია შემოსული და რას შვრებით, რა ხდებამეთქი...

ყველა გარეთ ვართ, მეთაურებიც აქ არიან, „კურილკაში“ ვსხედვართ და ნუ გეშინიათ, რაც იქნება იქნებაო, მისი ბოლო სიტყვები ეს იყო... იმ წუთში მარტო იმას ვფიქრობდი, რა გავაკეთო, რით მივეხმარო ჩემს შვილს-მეთქი...

ამ საუბრიდან 10 წუთი არ იყო გასული, რომ იმ ადგილიდან ძალიან ძლიერი აფეთქების ხმა მომესმა...

ყველა იმას ამბობდა, გორს მიწასთან გასწორებას უპირებენო და დაბომბვის ხმა რომ იყო, ჩემმა მეუღლემ მითხრა: წამოდი, გავიდეთ ქალაქიდანო. ორივე ბიჭი აქ გვყავს, ჩვენ სად უნდა წავიდეთ-მეთქი. მეორე ბიჭი პატრულშია და ისიც საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. ამ საუბარში ჩემმა ცოლისდამ დაგვირეკა, სამხედრო ბაზა დაუბომბავთ და წამოდით, ავიდეთ, გავიგოთ, რა ხდებაო. მეუღლე სახლში დავტოვე. თუ ვეღარ მოვედით, შენ მაინც გადარჩები-მეთქი...

ბაზა მიწასთან იყო გასწორებული და ყველაფერს ცეცხლი ეკიდა... ორმოებიდან კვამლი ამოდიოდა... ცხედრები მაშინვე გამოუსვენებიათ... ვინც იქ იყო, ყველას ვეკითხებოდი, დოთიაშვილი სად არის-მეთქი... ყველა ჰოსპიტალში გადაიყვანესო და მაშინვე იქ წავედით.

დაჭრილებისა და გარდაცვლილების სია კედელზე იყო გამოკრული, საავადმყოფოში არ გვიშვებდნენ. ბოლოს ჩემი ცოლისდა გაუსხლტა დაცვას და შიგნით შეიჭრა... ვერსად ნახა და იქიდან მეორე საავადმყოფოში წავედით.

ჩემს შვილს ვერც დაჭრილებში ვპოულობდი და ვერც გარდაცვლილებში... გაგიჟებული ვიყავი კაცი... ბოლოს მორგში შევედი... ჩემი შვილი აქ რომ ვიპოვო, ალბათ, ვერ გადავრჩები-მეთქი, ვფიქრობდი... უკვე ყველანაირი იმედი გადაწურული მქონდა, კორიდორში რომ გამოვედი... საკაცეზე ორი მიცვალებული ესვენა...

ერთს რუსული ფორმა ეცვა, მეორე წელზემოთ შიშველი

იყო და სამხედრო ფორმა ეფარა...

გული გახეთქვაზე მქონდა, ვერ მივდიოდი, რომ ფორმა ამეწია და სახეზე მენახა, ჩემი შვილი იყო თუ არა... ფეხებით ვიცანი, მაგრამ არ მინდოდა დაჯერება... როგორღაც გავბედე, ფორმა ავწიე და... საუბედუროდ, ჩემი შვილი ვნახე...

თავზე ხელი გადავუსვი და ჩავიკეცე... სახე დასახიჩრებული არ ჰქონდა. ანასხლეტი კეფაში მოხვედროდა... ჯერ ისევ თბილი იყო. ექიმებთან გამოვვარდი, იქნებ რამე საშველი იყოს, ჯერ ისევ თბილია-მეთქი... ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ისეთი ტრავმა მიუღია, რომ აზრი აღარ აქვსო. შეუთავსებელი ჭრილობა აღმოჩნდა...

ჩემი ცოლის დისშვილიც ზაზასთან ერთად მსახურობდა. ის გადარჩა, ღმერთმა სულ ბედნიერი ამყოფოს...

სანამ ნაწილს დაბომბავდნენ, ჩემი ცოლის დისშვილი შენობაში ყოფილა, მეთაურს უთქვამს, გამოდიო. ალბათ, იყო ვარაუდი, რომ შენობაზე მიიტანდნენ იერიშს. მაინც იქ დარჩენილა, ის და კიდევ ერთი ბიჭი გადარჩნენ... როგორც მერე გავიგეთ, ზუსტად იმ მომენტში ჩამოაგდეს ჭურვი, როცა „სმენა“ იცვლებოდა. 24 ჯარისკაციდან ორი ბიჭი გადარჩა...

ყველაზე ბოლომ, ჩემმა დისშვილმა ნახა ზაზა...“

მზია დოთიაშვილი, დედა: „5-6 აგვისტოს ჩვენს სახლთან რომ უამრავმა ტანკმა და ბიჭებით სავსე სამხედრო მანქანამ გაიარა, მივხვდი, რომ უკვე ცუდად იყო საქმე. იმის მერე ძალიან აფორიაქებული ვიყავი და გული ცუდს მიგრძნობდა. მეზობელი ქალის გასვენება იყო და ვერ წავედი, იმდენად ცუდად ვიყავი... ვერაფერს ვაკეთებდი, ტელევიზორი მქონდა ჩართული და ხან გზას გავყურებდი... მთელი ღამე ტანსაცმლიანს მეძინა“.

დრო აღარ ითმენდა, მამას ჯერ კიდევ თბილი შვილის ცხედარი სახლში უნდა მიესვენებინა. სახლში მყოფ დედას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ რომელიმე საავადმყოფოში მამა შვილს დაჭრილს იპოვიდა... ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ყოველ წუთს მეუღლეს ურეკავდა, მაგრამ ტელეფონს არავინ პასუხობდა... დედისთვის იმის თქმას ვერ ბედავდა, რომ შვილი იპოვა, მაგრამ... ბოლოს სხვა გზა რომ აღარ იყო, ტელეფონს უპასუხა და შეპარვით უთხრა, გამაგრდიო...

ზაურ დოთიაშვილი, მამა: „ზაზა აღარ გვყავს-მეთქი... სახლში მოვასვენეთ. ისეთი არეულობა და გაუგებრობა იყო, რომ დიდხანს ვეღარ გავაჩერებდით. მეორე დღესვე, 10 აგვისტოს დავასაფლავეთ... კუბოს ვერ ვშოულობდით... სულ რამდენიმე კაცმა, ჩემმა თანამშრომლებმა და ახლობლებმა გაუთხარეს ჩემს შვილს საფლავი... უბედურება ის იყო, რომ საფლავზე მასთან ერთად დაღუპულ ჯარისკაცს დასტიროდნენ და ისე თხრიდნენ საფლავს... არ ვიცი, როგორ გადავიტანე ეს ყველაფერი, როგორ უნდა გამოვიდეს ჩემი მეხსიერებიდან ეს საშინელი წუთები...

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ იმ ავბედითი დღის შემდეგ, მეც და ჩემი მეუღლეც წამლებით ვცოცხლობთ, სულ ავად ვართ ორივე...“

შვილზე გიჟდებოდა... ბოლო საჩუქარი მამისგან, იამ ველოსიპედი მიიღო. როცა მამა დაიღუპა, 3 წლის იყო... ახსოვს, როგორ ეფერებოდა მოსიყვარულე მამა. როცა მას კითხულობს, ეუბნებიან, ზეცაშია და იქიდან გიყურებსო...

სერჟანტი

მიხეილ ცერცვაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1978 - 2008

ქამა ზეღდულეთის სკოლის დირექტორი იყო, დედა – ფიზიკის მასწავლებელი. პედაგოგი მშობლების შვილი, უზომოდ ცელქი, მაგრამ ჭკვიანი და წარჩინებული მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ გორის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლიგიის ფაკულტეტზე და ბოლოს, თბილისში განაგრძო სწავლა. „გეპეის“ დამთავრების შემდეგ ზეღდულეთში გამგებლის მოადგილედ დანიშნეს, ცოტა ხანში კი სოფლის თავკაცი გახდა.

ნინო ფსუტური, მიხეილის მეუღლე: „სულ სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად... ერთმანეთი გორში, 2005 წელს გავიცანით. დეიდამისის სახლთან ახლოს ვცხოვრობდი და იქ ხშირად მოდიოდა. იმდენად დადებითი პიროვნება იყო, რომ ძალიან მალე შევუღლდით. შეყვარებულობის პერიოდი ერთი წელიც არ გაგრძელებულა, 7-8 თვე იყო გასული, რომ დავოჯახდით. ტრადიციულად, დავიწერეთ ჯვარი... თითქოს ძალიან ჩქარობდა ყველაფერს, მარხვა იყო და ჯერ არ ვფიქრობდით დაოჯახებას, მაგრამ ჩქარობდა... შეიძლება გული უგრძნობდა რამეს, მაგრამ არაფერს ამბობდა... ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე დასრულდებოდა მისი სიცოცხლე...

ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ გოგო უნდა გვყოლოდა. 2006 წელს სოფიო დაიბადა, ძალიან ბედნიერი იყო...

მიშა არ იყო ისეთი ადამიანი, რამით ეამაყა, მაგრამ შვილით ყოველთვის ამაყობდა. სოფუნა განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვია, ექვსი თვის იყო, ლაპარაკი რომ დაიწყო და ლექსებს ამბობდა. სხვათა შორის, პირველი სიტყვა მამა თქვა...

ბავშვი ორი წლისაც არ იყო, მამა რომ დაეღუპა...“

2008 წლის დეკემბერში კონტრაქტს მოაწერა ხელი და ჯარში წავიდა... მისი სამომავლო გეგმები და კარიერა ძალოვან სტრუქტურას უკავშირდებოდა. სერჟანტ ცერცვაძეს ერთი წელიც არ ჰქონდა ნამსახურები, რომ რუსულმა სისხლიანმა ხელმა, ბევრი თანამემამულის მსგავსად, მისი სპეტაკი სულიც შეიწირა...

ნინო ფსუტური, მიხეილის მეუღლე: „როცა ჯარში წასვლა გადაწყვიტა, არავის გაგვიწევია წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის რაღაცის შიში გვქონდა, მაინც ყველამ მხარი დავუჭირეთ და პატივი ვეცით მის გადაწყვეტილებას...

ახლა ხშირად ვფიქრობთ, რატომ არ წავედით წინააღმდეგები, მაგრამ მაშინ რას ვიფიქრებდით, რომ ასეთი საშინელება მოხდებოდა... არანაირი წინათგრძნობა არც მე და არც რომელიმე ოჯახის წევრს არ გვქონია...

ერთ დღესაც ჩვეულებრივ წავიდა სამსახურში. სანამ გორის სატანკო ნაწილს დაბომბავდნენ, წინა დღეს დამირეკა, გაიყვანე ბავშვი და გადით ქალაქიდანო. მთხოვა, მისთვის რაღაცები მიმეტანა...

ქუთაისში წავედით, მაგრამ არარეალურად მეჩვენებოდა ყველაფერი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი საშინელება მოხდებოდა... დედა ქუთაისელი მყავს, იქ წავედი. იცით, რა გრძნობით მივდიოდი ქუთაისში? ახლობლებს ვნახავ და რამდენიმე დღეში უკან დავბრუნდები-მეთქი... დამშვიდებული წავედი. როგორ დავტოვე მარტო... არავის გვეგონა, რომ ქალაქს ასე გაიმეტებდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ... ძმა მყავს უშიშროების თანამშრომელი და იმაზე უფრო მეტად ვნერვიულობდით მთელი ოჯახი და სანათესაო... მიშაზე ყველამ იცოდა, რომ ადგილზე იყო, მაგრამ ყველაზე ცხელი წერტილი გორი აღმოჩნდა...

ქუთაისში 7 აგვისტოს ჩავედი. იმ საღამოსვე დავურეკე, ჩავედით და თქვენ როგორ ხართ-მეთქი. მითხრა: მშვიდობააო.

მეორე დილით, როგორც კი გავიღვიძე, მაშინვე მასთან დავიწყე რეკვა. ზარი გადიოდა, მაგრამ არ მპასუხობდა... ტელევიზორი ჩავრთეთ და... გორის ჯავშან-სატანკო ბაზა დაიბომბაო...

ჯარისკაცები ნაწილიდან გაიყვანეს და იქვე ახლოს სახლებსა და სარდაფებში გადაანაწილესო... ბოლო წუთამდე მეგონა, რომ ვიღაცის სარდაფში იქნებოდა...

ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი... მერე გავიგე, რომ საავადმყოფოებში, დაჭრილებისა და გარდაცვლილების სიები იყო გამოკრული. გორში ახლობელთან დავრეკე და ვთხოვე, იქნებ მანდ იპოვო-მეთქი. დაჭრილების სიაში ნახა...

გზები იყო გადაკეტილი და გორში ჩამოსვლას ვეღარ ვახერხებდი. მიშას მშობლებმა როგორღაც მოახერხეს და გორში ჩავიდნენ... ადგილზევე გაუკეთებიათ ოპერაცია, მერე მშობლების მოთხოვნით თბილისში გადაიყვანეს. ექიმები ამბობდნენ, ძალიან ძლიერი ორგანიზმი აქვსო...

ორი ნასხლეტი თავში ჰქონდა, მაგრამ ექიმები გვეუბნებოდნენ, ტვინი არ არის დაზიანებული და არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არ არისო. ფეხშიც იყო დაჭრილი, თუმცა კიდურის ამპუტაცია არ და-სჭირვებია. როცა რესპუბლიკურში შეიყვანეს, ექიმებს უთქვამთ, გადარჩენილები ხართო... რამდენიმე დღეში მდგომარეობიდან გამოვაო, მაგრამ... თავიდან გონზე ყოფილა და ერთი პერიოდი წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ექიმები გამოფხიზლების საშუალებას არ აძლევდნენ, როგორც კი საძილე წამალი გამოუვიდოდა, მაშინვე გონზე მოდიოდა. შესიებული ჰქონია სახე და მთელი სხეული...

ორი კვირა ვერ მოვდიოდი, გადაკეტილი გზების გამო, და ვფიქრობდი, ბათუმიდან გადმოვფრენილიყავი, მაგრამ წინა დღეს გამოაცხადეს, შეიძლება თბილისის აეროპორტსაც საფრთხე შეექმნასო და ვერ გადმოვფრინდი...

ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ იყო, შემოვლითი გზით წამოვედით... როგორღაც ჩამოვაღწიეთ, რეანიმაციაში

შემიშვეს... რომ ვნახე, იმედი მომეცა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ მეორე დილით გარდაიცვალა... თითქოს ჩემს ჩამოსვლას ელოდებოდაო...

ამბობენ, რომ სეფსისი დაემართა, ისეთ ნივთიერებებს შეიცავდა ის ჭურვები, რომ მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს...

იმდენად კარგი პიროვნება იყო, რომ არ შეიძლება... უსამართლობაა, ასეთი ადამიანები რომ მიდიან... დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭების 100% ასეთი იყო... ის ძალიან დიდი დანაკლისია ოჯახისთვის, ახლობლებისთვის და ქვეყნისთვისაც...

22 აგვისტო იყო. რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მდებარე ეკლესიაში ერთი დღე დავასვენეთ. ჯერ ისევ არ იყო გზები გახსნილი და გვითხრეს, ძმათა სასაფლაოზე დავკრძალოთო. გორში ჯერ ისევ რუსის ჯარი იდგა. არ მოვინდომეთ იქ დასაფლავება, ვიცოდით, რომ რამდენიმე დღეში გზები გაიხსნებოდა.

მეორე დღეს გორში მოვასვენებდით. მახსოვს, თან გზები იწმინდებოდა და პირველები ჩვენ შემოვდიოდით. ადგილამდე როგორ ჩავიდოდით, ისიც კი არ ვიცოდით. იმ დღესვე დავკრძალეთ... გვეგონა, რომ სოფელი დაცლილი იყო, მაგრამ საკმაოდ ბევრი ადამიანი დაგვხვდა. მიშას ახლობლებს, მეზობლებსა და სამეგობრო წრეს, ვისაც კი ჩვენი უბედურება გაუგია, თბილისიდან წამოგვყოლია...

საშინელებაა, როცა 25 წლის ხარ და ცხოვრება თავზე გენგრევა, მაგრამ მყავს შვილი, ჩემს თავში გამოვნახე დიდი ძალა. არ ვიცოდი, თუ ასეთი ძლიერი ვიყავი. სოფუნას მამა არ ჰყავს, მაგრამ მინდა, რომ დედა მაინც ჰყავდეს ჯანსაღი ფსიქიკის. მინდა ისეთი გავზარდო, როგორიც მიშას გაუხარდებოდა და ეკადრებოდა. ღმერთს ვეხვეწები, მომცეს იმის შესაძლებლობა, რომ სოფუნას მამაც ვიყო და დედაც...

მინდა ისეთი ცხოვრებით ვიცხოვრო, რომ იქ, იმ ქვეყნად მაინც ვიყო მიშას გვერდით. სიზმარში ძალიან ხშირად ვნახულობ. მეორე დღეს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მართლა ვნახე“.

სერჟანტ ცერცვაძის მშობლები ახალსოფელში ცხოვრობენ, ნინო და სოფუნა – გორში, რადგან ნინო ბიოლოგიის პედაგოგია, იქ ასწავლის. რძალი და შვილიშვილი მიშას მშობლებთან ხშირად ჩადიან. ისინი ერთი ოჯახი არიან და ბოლომდე ასე დარჩებიან. მათ ყოველთვის სამაგალითო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. როგორც ნინომ გვითხრა, ამ უბედურებამ თითქოს კიდევ უფრო დააახლოვა ისინი. მიშას სიყვარული ახლა მის მშობლებზე გადააქვს. სოფუნას მამა აღარ ჰყავს, მაგრამ მთელი სიცოცხლე ეყოლება მამიდა, ბებია და პაპა, რომლებიც ამ დანაკლისს რაღაცნაირად შეუვსებენო, ამბობს თვალცრემლიანი ნინო.

ნინო ფსუტური, მიხეილის მეუღლე: „მიუხედავად იმისა, რომ სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად, ნამდვილად ღირდა... ახლიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას და ვიცოდე, რომ ჩვენი თანაცხოვრება ასე მალე დამთავრდებოდა, მაინც მოვინდომებდი... მასთან გატარებული სამი წელი, ვფიქრობ, მთელ ცხოვრებად ღირდა“.

კაპრალი

ოთარ სუხიტაშვილი

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1975 - 2008

ეს იჯდა იმ ტანკში, რომელიც უშუალოდ ოსების თავდაცვის მინისტრმა ბარანკევიჩმა გაანადგურა. ასე ტრაბახობდა ბარანკევიჩი რუს ჟურნალისტებთან, რომ 406-ე ტანკი ეკიპაჟიანად გაანადგურა... მემიზნე ოპერატორი ოთარ სუხიტაშვილი იყო, მძღოლი – ბირთველაშვილი, მეთაური – გია რომელაშვილი...

ოთარ სუხიტაშვილს გული მამულისთვის უძგერდა და როგორც ოჯახში იგონებენ, უგრძნობდა კიდეც, რომ სამშობლოსთვის შეწყდებოდა მისი გულისცემა.

მისი ტანკი წინ მიუძღოდა ტანკების კოლონას... ეს იყო ომში. ომამდე კი მასთან სახლში ბიჭები ქეიფობდნენ. ოთოს მეუღლე, ციური ჩილინდრიშვილი ბიჭების ნათქვამს იხსენებს: „ჩვენ ჩვენი დროშა უნდა ავაფრიალოთ ცხინვალშიო“...

ომამდე ერთი კვირით ადრე კი ციური თავზარდამცემ სიზმარს ნახავს: „მესიზმრა, ვითომ გორი იბომბებოდა და გავრბოდით, ოთოს ვეძახდი, აქეთ გავიქცეთ-მეთქი, მაგრამ სადღაც დავკარგე, ვერსად ვპოულობდი. დავრჩი მარტო, ბავშვებთან ერთად...“

ციურის აუხდა თავზარდამცემი სიზმარი... დაიბომბა გორიც, დაკარგა მეუღლეც და დარჩა დაობლებული ბავშვებით...

ოთარ სუხიტაშვილი ახლა, 29 აპრილს, 35 წლის გახდებოდა.

კარალეთში დაიბადა, როგორც დედა – ქეთევან სუხიტაშვილი გაიხსენებს, ოთოს ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა, ყოფილა ჭკვიანი და თბილი, მაგრამ ყოველთვის გულჩათხრობილი. მეხუთე კლასამდე კარგად უსწავლია, ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, სკოლიდან გამოუყვანიათ, ხელობა უსწავლებიათ, ელექტრიკოსობით საკუთარი შემოსავალიც გასჩენია.

18 წლის გახდა თუ არა, ჯარში გაიწვიეს. „ვეუბნებოდით, პირველ გაწვევაზე არავინ მიდის და მაინცდამაინც შენ რატომ უნდა წახვიდე-მეთქი, მაგრამ არ დაიშალა. იმ დღეს დილის შვიდ საათზე ადგა და გაიპარა, ჯარში წავიდა...

სავალდებულო სამსახური გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე მოიხადა და შინ დაბრუნდა... მალე მომავალი მეუღლე – ციური ჩილინდრიშვილი გაიცნო.

ციური 18 წლის იყო, ხიდისთაველი.

ციური ჩილინდრიშვილი: „ჩემი და გათხოვდა კარალეთში, ოთო ჩემი სიძის მეზობელი იყო და როცა ჩემს დასთან მივდიოდი, იქ ვნახულობდი ხოლმე. თანდათან ერთმანეთის მიმართ სიმპათია გაგვიჩნდა, ძალიან თბილი და ერთგული ადამიანი იყო, არ შეიძლებოდა, არ შეგყვარებოდა...“

გაცნობიდან სამი თვის თავზე, ოთომ თავისი მშობლები ციურის მშობლებთან მიიყვანა და მისი ხელი ითხოვა... ჯვარი დაიწერეს, პატარა ქორწილიც გადაიხადეს... პირველი შვილი რომ შეეძინათ, ოთო 21 წლის იყო, ციური – 19-ის...

„ბედნიერი იყო... სხვანაირი მამა იყო, შეიძლება თავისთვის არაფერი ეყიდა, მაგრამ ბავშვებს ყოველთვის ახარებდა და ყველაფერს უკეთებდა. სულ ცდილობდა, რომ რაღაცით ვესიამოვნებინეთ. ბოლოს კომპიუტერი უყიდა ბავშვებს... სამთვიანი კურსი გაატარა ორივეს, იქნებ რამეში გამოგადგეთო. ალბათ, გული უგრძნობდა, უნდოდა, ყველაფერი მოესწრო... სოფლის მეურნეობით ვირჩენდით თავს, მიწას ვამუშავებდით, შრომას არ თაკილობდა, ყველანაირად ცდილობდა, ოჯახში რაღაც, თუნდაც მიზერული თანხა შემოეტანა. გაჭირვებას დიდი სიყვარული გვატანინებდა... ერთად 12 წელი ვიცხოვრეთ...

კონტრაქტზე წასვლა 2005 წელს გადაწყვიტა. მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ არ დაიშალა. გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე მსახურობდა. აპრილში უმთავრდებოდა კონტრაქტი... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბოლო პერიოდში, სულ იმას ამბობდა, რაღაც მოხდება და მე ვიბრძოლებ ჩემი შვილების გულისთვისო... არ ვიცი, შეიძლება სიზმარიც ჰქონდა ნანახი, მაგრამ არაფერს ამბობდა... თან მამხნევებდა, უნდა შეეგუო, ჯარისკაცს ერთი ფეხი სამარეში აქვსო...“

ოთარ სუხიტაშვილი ბოლოს 6 აგვისტოს გავიდა სახლიდან – განგაში იყო გამოცხადებული. საღამოს, მეუღლე რომ შეეხმიანა, უთხრა: დღეს შინ ვერ მოვალ, ყარაულში ვარო.

სიტუაცია რომ უფრო დაიძაბა, მეუღლემ ისევ დაურეკა.

ციური ჩილინდრიშვილი: „მატყუებდა, არაფერი ხდება, დაწყნარდიო, არადა იმ საღამოს უკვე ცხინვალში ყოფილა... ყველა ახლობლისთვის უთქვამს, უკვე ცხინვალში ვართო, მე მიმალავდა... ბავშვისთვისაც დაურეკავს და უთქვამს, მამი, ცხინვალში ვარ და დედას არაფერი უთხრაო... ბოლოს, 7 აგვისტოს, დილით ველაპარაკე, მითხრა, ტელეფონი უნდა გავთიშო და აღარ დამირეკოო... ბავშვებს მიხედე და მოუარეო... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. მერე ვრეკავდით, მაგრამ ხაზები იყო გადატვირთული და ვეღარ ვუკავშირდებოდი...“

კარალეთში რომ სიტუაცია დაიძაბა, 10 აგვისტოს ციურიმ ბავშვები სოფელს გაარიდა.

„სწორედ იმ დღეს დამირეკეს და მითხრეს, დაიკარგა და იქნებ დაჭრილებში ან გარდაცვლილებში ნახოთო. სწორედ წინა დღეს დაბომბეს გორის ჯავშან-სატანკო ბაზა... მეგონა, რომ იქ იქნებოდა... თბილისში თითქმის ყველა საავადმყოფო შემოვიარე. იმ იმედით, რომ სადმე ვიპოვიდი, მაგრამ... ერთ-ერთ საავადმყოფოში, ოთოს ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრის, ბირთველიშვილის ძმა ვნახე, მაგრამ ვერც ერთი ვერსად ვერ ვიპოვეთ. ბოლოს გაირკვა, რომ 406-ე ტანკის ეკიპაჟის სამივე წევრი ისე დაიკარგა, რომ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, არავინ იცის“.

ოთარ სუხიტაშვილი გმირულად იბრძოდა ცხინვალში – მისი ტანკი მიუძღოდა ტანკების კოლონას…

ციური ჩილინდრიშვილი: „მისი ერთ-ერთი მეგობარი იხსენებს, ბოლოს რომ შევდიოდით, რაციაში ვუთხარი, ოთო აღარ შემოხვიდე-მეთქი და უთქვამს, მაინც შემოვალთო... 8 აგვისტოს დაიკარგნენ... ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის... სოფელში ყველა ამბობს, მათი ტანკი ააფეთქეს და ნაცრად აქციესო…

საშინელებაა ყოველდღე მის მოლოდინში... ხან მაქვს იმედი, რომ გამოჩნდება, მაგრამ ხანდახან ყველანაირი იმედი მეწურება...

ბავშვებს ძალიან აკლიათ და ენატრებათ მამა. უფროსი 13 წლის უნდა გახდეს, პატარა – 12-ის. არაფერს მეკითხებიან, მაგრამ ვხვდები, რომ გულში იკლავენ დარდს... ცოცხალს ელოდებიან... ვიღაც რომ გვეტყვის, როგორ მეწყინა თქვენი ამბავიო, მეუბნებიან, რას გისამძიმრებენ, მამაჩვენი ცოცხალიაო... არ უნდათ, მამა მკვდარი წარმოიდგინონ... დიტოს სახლში სულ ჯარის ფორმა აცვია. „კურტკაც“ კი ჯარის ფორმის მაყიდინა. მეუბნება, ნეტა მალე გავიზარდო, რომ ჯარში წავიდეო... გოგო უთქმელია, არაფერს ამბობს, დღიური აქვს, ყოველდღე რაღაცებს წერს. იმ დღეს დაუწერია: მამა, ღმერთს ვთხოვ, რომ მალე გამოჩნდე, ჩვენ ცოცხალს გელოდებითო...“

კაპრალი

ვიტალი თაყაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

ეს ომამდე ემსხვერპლა ომს – კეფით შეეგება მტრის ჭურვის ანასხლეტს... გმირულად დაეცა ავნევთან... მის მშობლიურ სოფელში უკვე რუსი იდგა, როცა რამდენიმე კაცი მიასვენებდა მის ცხედარს... ვიტალი თაყაძე გორის რაიონში, სოფელ ხელთუბანში დაიბადა 1978 წლის 28 ივნისს. მშობლებისთვის პირველი შვილი იყო, ბებია-ბაბუებისთვის – პირველი შვილიშვილი და ათამამებდნენ.

ნანა ხარტიკაშვილი, დედა: „ცელქი ბავშვი იყო...“

უდარდელი ბავშვობა არ ჰქონია... ჯერ კიდევ სულ პატარა, 6 წლის იყო, მამა რომ წავიდა სახლიდან...

დედა: „ვიტო რომ წამოიზარდა, ძალიან ნერვიულობდა და განიცდიდა მამის საქციელის გამო...“

როგორც დედა იხსენებს, ვიტო სკოლაში კარგად სწავლობდა, მასწავლებლებიც აქებდნენ – ნიჭიერი ბიჭიაო. მერე ჯარში გაიწვიეს, სავალდებულო სამსახური ახალციხეში გაიარა.

დედა: „ჯარიდან რომ დაბრუნდა, ერთი წელის შემდეგ კონტრაქტით წავიდა, კოსოვოში წაიყვანეს, იქ რვა თვე იმსახურა, კონტრაქტი სამწლიანი იყო, მაგრამ წელიწად-ნახევარში ნაწილი დაიშალა და შინ დაბრუნდა. ჯარისკაცურ ცხოვრებას უკვე ისე იყო მიჩვეული, შინ ვეღარ ჩერდებოდა და გული ისევ ჯარისკენ მიუწევდა. 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თავიდან ვაზიანში მსახურობდა, შემდეგ გორში გადმოიყვანეს, კაპრალი იყო... ამბობდა, ამ კონტრაქტს რომ ვადა გაუვა, 12-წლიანი კონტრაქტით უნდა დავრჩე ჯარშიო. დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა... კოსოვოდან ჩვენც და ნათესავებსაც საჩუქრები ჩამოგვიტანა, ბედნიერი იყო, როცა სხვას სიხარულს ანიჭებდა. სულ ჯარში იყო. სახლში იშვიათად მოდიოდა. ხან თვეები ისე გადიოდა, შაბათ-კვირას თუ შემოირბენდა და მალევე მიდიოდა. წნევა მაწუხებდა და სულ იმას მეუბნებოდა, წამლის გარეშე არ იყოო. როცა თვითონ ვერ ახერხებდა მოსვლას, ვინმეს ატანდა წამალს და ფულს. ავადმყოფობისგან თავმობეზრებული რომ ვიტყოდი, ნეტა მოვკვდე და დავისვენო-მეთქი, რა დროს შენი სიკვდილიაო, მეუბნებოდა. ის ჩემზე წინ წავიდა, დედა მოუკვდეს... დაოჯახებას ფიქრობდა. ამბობდა, ცოტა სულს მოვითქვამ და მერე ცოლს მოვიყვანო. ბინის ყიდვას გეგმავდა, არ უნდოდა, ასეთ ღარიბულ ოჯახში მოეყვანა ცოლი. სახლისთვის სად მეცალა, დღენიადაგ იმას ვფიქრობდი, რა მეჭმია ბავშვებისთვის...“

შინიდან ბოლოს პირველ აგვისტოს გავიდა.

ახლად ნაყიდ მიწის ნაკვეთში თივას აწნეხინებდა, რომ დაურეკეს და უთხრეს, საგანგაშო ვითარებაა, ნაწილში დაუყოვნებლივ გამოცხადდიო.

დედა: „იმ წუთას გამოიცვალა და გაიქცა, მას მერე აღარც მინახავს... სახლში მისი ცხედარი მომიტანეს... დედა მოუკვდეს...

სიტუაცია რომ დაიძაბა, ტელეფონზე ვურეკავდი და ისიც მირეკავდა. მაწყნარებდა, ნუ გეშინია, დედა, ყველაფერი კარგად იქნება, საშიში არაფერიაო... ომამდე, არც იმ დღეებში, არც ცუდი სიზმარი მინახავს, არც ცუდი წინათგრძნობა მქონია, მაგრამ იმ დღეს, ვიტო რომ დაიღუპა, დილიდან აფორიაქებული ვიყავი. დედის გულმა მაინც იგრძნო საშინელება... ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. არც ტელევიზორის ყურება მინდოდა და არც არავისთან ლაპარაკი... სოფელში საშინელი ხმები დადიოდა, ვიღუპებით, ყველაფერს ააოხრებენ რუსებიო... ვიტო ადგილობრივ მოსახლეობას აფრთხილებდა, დატოვეთ სოფელი და წადით ახლავეო. ძალიან აღშფოთებული და აღგზნებული ყოფილა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა თურმე. იქნება გულიც უგებდა... ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ მითხრა ერთმა იქაურმა ქალმა...

7 აგვისტოს, შუადღისას, დაიღუპა ვიტო... მათი ნაწილი ავნევში იყო და მტერმა პირველი იერიში მათზე მიიტანა. თურმე მთელი დღე იგერიებდნენ მტრის შემოტევას, მერე რაღაც პერიოდი ჩაწყნარებულა სიტუაცია, სანგრებში ყოფილან, თვითონ ჩაფხუტი არ ეფარა და სხვებს აფრთხილებდა, თურმე, არავინ მოიხადოთო... ჭურვის ანასხლეტმა იმსხვერპლა, კეფაში მოხვდა, ჩაფხუტი რომ ჰფარებოდა, ეგებ გადარჩენილიყო კიდეც... რომ წაქცეულა, ყველა ვიტოს მივარდნია, გონზე ყოფილა, ძლივს ამოულულღლულია, აქ არ დამტოვოთ, ბიჭებოო... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები... გრძნობდა, რომ კვდებოდა და არ უნდოდა იქ დარჩენილიყო. არაფერი არ ვიცოდი, ყველაზე ბოლოს მე გავიგე. არ მეუბნებოდნენ...

სოფელში საშინელი სიტუაცია იყო, ყველა აქეთ-იქით გარბოდა, სოფელი იცლებოდა და მე მკვდარ შვილს დავტიროდი... მეორე დღეს უკვე ომი დაიწყო და სოფელში კაციშვილი აღარ დადიოდა. სამშაბათს უნდა დაგვეკრძალა, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო, ვეღარ გავაჩერეთ, მესამე დღეს დავკრძალეთ, სოფელში უკვე რუსი იყო შემოსული, დედა მოუკვდეს, უკანასკნელ გზაზე სულ რამდენიმე ადამიანმა გააცილა... ვიტოს კლასელები გვერდიდან არ მოგვცილებიან, იმათ გაუთხარეს საფლავი, თითო ჭიქით შესანდობარი თქვეს და დავკრძალეთ.

ძალზე ძნელია უმისოდ ყოფნა... ბოლო დროს სიზმარში ხშირად ვნახულობ ხოლმე, სამხედრო ფორმა აცვია და იღიმება...“

100

კაპრალი

ოთარ ქარელი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1985 - 2008

ეას მტერმა სამშობლოსთვის სამსახური არ დააცალა. სულ სამი თვე მოუწია ჯარში ყოფნა და... მტრის ბომბმა სიცოცხლეს გამოასალმა...

მხოლოდ დედ-მამა მიასვენებდა დაბომბილი ქალაქიდან დედულეთში...

ოთარ ქარელი გორში დაიბადა, 1985 წლის 17 სექტემბერს. მშობლებისთვის პირველი შვილი იყო. მოგვიანებით მისი ძმაც გაჩნდა – გიგა. ახლა გიგა 20 წლისაა...

ოთო დამჯერი, მაგრამ მაინც ხიფათიანი ბავშვი ყოფილა, ხალისიანი ბავშვობა ჰქონია.

„სკოლის პერიოდში იმდენი მეგობარი ჰყავდა, ხანდახან სახლში რომ ამოჰყავდა, ჩვენი ადგილი აღარ რჩებოდა... დიდი იუმორის პატრონი იყო და ყველას უყვარდა, ღიმილის ბიჭს ეძახდნენ“, – იხსენებს თვალცრემლიანი დედა...

სკოლაში კარგად სწავლობდა, სპორტს მისდევდა.

დედა: „6 წელი კარატეზე დადიოდა, ძალიან უყვარდა თავისი მწვრთნელი – გელა პავლიაშვილი. სკოლის დამთავრების შემდეგ, ცხინვალის უნივერსიტეტში იურიდიულზე ჩააბარა და ჩაირიცხა. ვერ გეტყვით, მაინცდამაინც კარგად სწავლობდა-მეთქი... მაგრამ ცდილობდა, რომ ესწავლა, თან არც სპორტისთვის უნდოდა თავის დანებება. სხვადასხვა ქალაქებში დადიოდა შეჯიბრებებზე, რამდენჯერმე პირველი ადგილის მფლობელიც გახდა. საზღვარგარეთ უნდოდა წასვლა, რომ იქ აეწყო სპორტული კარიერა. მისი მეგობარი, რომელთან ერთადაც ვარჯიშობდა, გიორგი მაჩაბელი, ახლა ამერიკაშია და იქ მოღვაწეობს. ოთოს ოცნებად დარჩა ამერიკაში წასვლა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბავშვობიდან სულ გმირობაზე ოცნებობდა. პირველი მედალი რომ აიღო კარატეში, სამსახურში მოვიდა და მომახარა: დედა, აი, მოვიგეო. ძალიან ბედნიერი იყო...

როცა ძალიან მომენატრება, მის სურათებს, სიგელებსა და მედლებს ვეფერები... როცა შეჯიბრზე მიდიოდა, მთელი სამეგობრო და სამეზობლო მიჰყავდა საგულშემატკივროდ. ამბობდა, „ბალეშჩიკები“ რომ დამყვებიან, უფრო დიდი სტიმული მეძლევაო...“

ოთომ უნივერსიტეტი დაამთავრა, დიპლომი შინ მიიტანა და... ჯარში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

„სავალდებულო არ ჰქონდა მოხდილი. ერთ დღესაც გვითხრა, ჯარში უნდა წავიდეო. თავად გადაწყვიტა და არ შევეწინააღმდეგეთ. პირიქით, ხელი შევუწყვეთ. მის გადაწყვეტილებას პატივი ვეცით... არ მეშინოდა, ოთო ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად. მეორე ვაჟსაც უნდოდა ჯარში წასვლა, მაგრამ ოთომ არაფრით არ მისცა უფლება. კონტრაქტს მაისის პირველ რიცხვებში მოაწერა ხელი. სულ სამი თვის წასული იყო, ეს უბედურება რომ მოხდა...“

უბედურებამდე იყო სიხარული.

„პირველი ხელფასი რომ აიღო, მე ჩამაბარა. მითხრა: დედა, როგორც გინდა და რაშიც გინდა, გამოიყენეო... ამხანაგებში ამბობდა, ყველანაირად გამიმართლაო... ძალიან მოსწონდა ჯარი, ბევრი ვერ ეგუება ჯარისკაცურ ცხოვრებას, მაგრამ ოთომ ძალიან კარგად აუღო ალღო. ჯარს მეორე ოჯახად მიიჩნევდა“.

უბედურებამდე იყო გეგმები...

„ომამდე ორი კვირით ადრე მეუბნებოდა, ოფიცერთა სკოლაში შემომთავაზეს კურსების გავლაო. კაპრალი იყო და უნდოდა, წოდება აემაღლებინა.

ოჯახის შექმნას აპირებდა. შეყვარებული ჰყავდა, რამდენიმე თვეში აპირებდნენ დაქორწინებას. უნდოდა, ჯერ სახლი მოეწყო და მერე მოეყვანა ცოლი... ძალიან კარგი გოგონაა... დღემდე ყოველთვის ცოცხალი ყვავილები ააქვს ოთოს საფლავზე. როცა საფლავზე ავდივარ ყვავილებით ვხვდები, რომ ის გოგონა იყო მისული... გავიგე, უთქვამს, ოთო ისე მიყვარდა, რომ, ალბათ, ისე არც აღარავინ შემიყვარდებაო... ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ძალიან უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს...“

უბედურებამდე იყო ოცნება...

„ოცნებობდა, შვილი რომ მეყოლება, უნდა ვავარჯიშოო. ვეუბნებოდი კიდეც, უკვე წარმომიდგენია, შენი შვილი როგორიც იქნება-მეთქი“...

იყო სიხარული, იმედები, გეგმები, ოცნება, მაგრამ ომმა და რუსის ბომბმა ერთად მოუღო ბოლო ამ ყველაფერსაც და თავად ოთოსაც...

შინიდან ბოლოს 6 აგვისტოს გავიდა – ყაზარმული გამოცხადდა და გამოიძახეს. ფორმა ჩაიცვა და წავიდა.

„8 აგვისტოს საღამოს ველაპარაკე. იცოდა, როგორი ემოციურიც ვარ და მითხრა: ამოდით, თავისუფალი დრო მაქვს და მნახეთო. იმ დღეს ქალაქის გარეუბნებში რამდენიმე ჭურვი ჩამოაგდეს და რომ მივედით, მეუბნებოდა: დედა, ქალაქიდან გადითო. სად წამსვლელი ვარ, შვილო, შენ აქ ხარ და მე ქალაქიდან გავიდე-მეთქი?.. ბოლოს, რომ მოვდიოდი, ვუთხარი: ფრთხილად იყავით, აქაც რამე არ ჩამოაგდონ-მეთქი და გაეცინათ“.

მეორე დილა ავად გაუთენდა დედას.

დილის ათი საათისთვის მათი სახლის მახლობლად ჩააგდო ჭურვი მტერმა. 13 ადამიანი ემსხვერპლა იმ ჭურვს. დიდი პანიკა იყო, მაგრამ დედას მაინც არ ეგონა, რომ ის მოხდებოდა, რაც მოხდა და რაზეც ბიჭებს წინა ღამით ეცინებოდათ...

მტერმა გორის ჯავშან-სატანკო ბაზა დაბომბა.

„მაშინვე გაიქცა ჩემი მეუღლე... ყველაფერი იწვოდა, კვამლში იყო გახვეული ბაზა. აღარც დაჭრილები იყვნენ და აღარც მიცვალებულები. ყველა ცხედარი მაშინვე მორგში გადაესვენებინათ. ძებნა დავიწყეთ. ვერსად ვნახეთ. გვეგონა, თბილისში ჰყავდათ წაყვანილი. თბილისში წავედით, ყველა საავადმყოფო შემოვიარეთ, მაგრამ ვერსად

ვნახეთ და უკან დავბრუნდით. ბოლოს გორის ჰოსპიტალში ვნახეთ... ჩემი მეუღლე ვერ შევიდა მორგში და მეზობელი ბიჭი შეგზავნა... ისეთი დასახიჩრებულიც არ იყო, რომ ამოცნობა გაგვჭირვებოდა...“

დედას არ უნახავს შვილის ცხედარი, არ დაუხედავს მისთვის...

„სახეზე არ მინახავს. ისეთი მინდოდა, დამმახსოვრებოდა, როგორიც იყო... ანასხლეტები მოხვედროდა... ისეთი საშინელი დრო იყო, საკუთარ სახლშიც ვერ შემოვიყვანეთ... ეზოში ბიჭებთან საუბრობდა თურმე, ბომბი რომ ჩამ-ოვარდნილა. წამებში მოუსწრაფა სიცოცხლე რამდენიმე ვაჟკაცს... აფეთქებისთანავე დაულევია სული... ასული რომ ვიყავი სანახავად, რომც მეთქვა, წამოდი-მეთქი, არ წამოვიდოდა, არ დატოვებდა ბიჭებს. რამდენიმე ბიჭი ყაზარმიდან რამდენიმე მეტრში ცხოვრობდა, არც მათ დაუტოვებიათ ნაწილი, ყველა სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე გმირულად იდგა პოსტზე და მეთაურის ბრძანებას ელოდა. რომ ეთქვათ, ფრონტის წინა ხაზზე უნდა გაიჭრათო, ყველა დაუფიქრებლად წავიდოდა...“

შვილმკვდარი დედ-მამა მარტო მიასვენებდნენ დასავლეთ საქართველოში შვილის ცხედარს... ხარაგაულში დაკრძალეს. „ვერავინ ვიპოვეთ, რომ საფლავის გათხრაში მოგვხმარებოდა“, – იხსენებს დედა...

ოთო მალევე, როგორც კი გორი რუსებისგან დაიცალა, გორში გადმოასვენეს და დაკრძალეს.

„ძალიან კარგი ბიჭი დავკარგე... ისე გავზარდე, ერთი შენიშვნა არ მიუღია არავისგან... ძალიან მძიმეა ცხოვრება ოთოს გარეშე. თავიდან, 6 თვე ძალიან მძიმედ ვიყავით. მაგრამ არ გვაქვს უფლება, ასე ვიყოთ, გიგას ახლა სჭირდება დედაც და მამაც. ოთოს არ გაუხარდებოდა, რომ მისი ძმა დაჩაგრულიყო... სულ იმას მეუბნებოდა, გიგას მიხედეთ, მას უფრო მეტი ყურადღება სჭირდებაო...

ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობდი, ახლა უფრო განსაკუთრებით – ვმარხულობ, ლოცვებზე დავდივარ... ეკლესიამ გადამატანინა ეს უბედურება.

ოთო ყოველ წუთსა და ყოველ წამს მახსოვს... სიზმარში ხშირად ვნახულობ, სულ იმას მეუბნება: დედა, ნუ ნერვიულობ და ნუ განიცდი, აქ ძალიან კარგად ვარო... რომ მომენატრება ხოლმე, ღმერთს ვთხოვ, რომ სიზმარში ვნახო და არ შეიძლება, იმ ღამეს არ დამესიზმროს. თუ რაღაც განსაცდელი გველის, გვაფრთხილებს ხოლმე... ამას წინათ სიზმარში ვნახე, მითხრა: გიგას მანქანაზე ნუ დასვამთ, ავარია მოუხდებაო. ერთი კვირის შემდეგ მართლაც მოყვა გიგა ავარიაში... მადლობა უფალს, რომ ყველა უვნებელი გადარჩა...“

კაპრალი

იოსებ მეხატურიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ეს თავის სახლთან ერთ კილომეტრში მოკლეს რუსებმა – გორის სატანკო ბაზის დაბომბვისას.

იოსებ მეხატურიშვილი მშობლებისთვის მესამე ბიჭი იყო.

ორი ძმა ფრონტის ხაზზე იბრძოდა.

ჯერ ერთი წავიდა ჯარში კონტრაქტით, მერე – მეორე. არ უნდოდა დედას მესამე შვილიც გაეშვა ჯარში.

„ვეუბნებოდი, არ წახვიდე, შვილო, სამ შვილს ქორწილში არ გაგზავნის დედა და მე როგორ უნდა გაგგზავნოთ ჯარში-მეთქი. არ მინდოდა, რომ სამივე ჯარში ყოფილიყო. მაინც შიში მიპყრობდა... რამდენიმე წლის წინათ დისშვილი მომიკლეს, რაღაც შელაპარაკება მოუვიდათ და... როცა იოსებს ვეუბნებოდი, ჯარში არ წახვიდე-მეთქი, მეუბნებოდა: ჯარში, რომ არ იყო, ხომ მაინც ისე მოხდა, რაც ეწერაო... რაც ადამიანს უწერია, არ ასცდებაო... ვეუბნებოდი, რამე რომ მოხდეს, წინა ხაზზე ჯარისკაცები მიჰყავთ-მეთქი... ვერაფრით ვერ გადავაფიქრებინე წასვლა...“

სოსო 21 წლის იყო, კონტრაქტით რომ წავიდა ჯარში. სულ 7 თვე იმსახურა.

ორმოცზე დაბადების დღეზე გადაუხადეს – 22 წლის უნდა გამხდარიყო.

თინა მეხატურიშვილი, სოსოს დედა: „გამორჩეული ბავშვი იყო შეხედულებითაც და ხასიათითაც, სიკეთით აღსავსე... მისგან ერთი გადაბრუნებული სიტყვაც კი არ მახსოვს... კარგი მოსწავლე იყო, ლექსებსაც წერდა, ოღონდ არასოდეს არაფერს ინახავდა... ერთი ლექსი მისი საფლავის ქვას დავაწერეთ... სადაც არ უნდა მისულიყო, ყველას თავს ამახსოვრებდა თავისი სითბოთი...“

სამივე ძმა გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონში მსახურობდა.

„სოსო ჯარისკაცურ ცხოვრებას ადვილად შეეჩვია და მოსწონდა...

სახლიდან ბოლოს 6 აგვისტოს გავიდა. ყოველთვის, როცა სამსახურში მიდიოდა, ასე გვემშვიდობებოდა ხოლმე: აბა, კარგად იყავითო... იმ დღესაც ასე გამოგვემშვიდობა, დაგვკოცნა და წავიდა...“

მერე დაიწყო ომი. სოსო ბოლომდე გორში იყო ბაზაზე, მისი ძმები ცხინვალის მისადგომებთან იბრძოდნენ.

„რამდენჯერმე შეახტა თურმე მანქანას, რომელსაც ფრონტის ხაზზე ჯარისკაცები მიჰყავდა და ჩამოუშვიათ... წამიყვანეთ, ჩემი ძმები იქ არიან და მე აქ რა მინდაო, ამბობდა თურმე, დედა მოუკვდეს... იმ ავბედით დღეს, სანამ ბაზას დაბომბავდნენ, ოცი წუთით ადრე მამამისი ელაპარაკა. უთქვამს, მამი, ყველაფერი კარგად არის, ჩვენები წინ მიდიან და ნუ გეშინიათ ნურაფრისო... ამ ლაპარაკიდან რამდენიმე წუთი არ იყო გასული, მამამისი გორაზე ავიდა. საკუთარი თვალით ნახა, როგორ გადაუფრინა ორმა რუსულმა თვითმფრინავმა იმ ადგილს, სადაც ბაზა იყო განთავსებული... აფეთქების ხმა რომ გაიგო, მიხვდა, რომ ბაზიდან ამოდიოდა ბოლი. ბაზა ჩვენი სახლიდან ერთ კილომეტრშია...“ – იხსენებს თვალცრემლიანი დედა.

მამა იმ წუთას მანქანაში ჩამჯდარა და ბაზისკენ დაფეთებული გავარდნილა. ქუჩაში მეზობლის ბიჭს დაუნახავს, წინ გადასდგომია.

გურამ მეხატურიშვილი, მამა: „დამინახა, რომ არაადამიანური სახე მქონდა და გადმომიხტა, კინაღამ მანქანა დავარტყი. რა გატირებს, ყველაფერი კარგად იქნებაო... ჩამიჯდა მანქანაში და ნაწილისკენ წავედით. ყველაფერს ცეცხლი ეკიდა, ბაზის ნასახი აღარ იყო... მე ვერ მივედი ახლოს, დამელოდეო, და ეს ბიჭი მივიდა ახლოს. იგვიანებდა და რამდენიმე ჯარისკაციც იდგა, შეშინებულები და დაბნეულები იყვნენ. რომ აგვიანებდა, მეც გადავედი და ამ ჯარისკაცებს ვკითხე, ხომ არ იცით, ცოცხალია თუ არა იოსები-მეთქი... ზოგი აქეთ გარბოდა და ზოგი – იქითო, მითხრეს. მერე მანქანამ გამოიარა ცხედრებით დატვირთულმა... ის ბიჭი ვეღარ ვნახე, ეტყობა, გაიგო, რომ ჩემი შვილიც აღარ იყო ცოცხალი და გამერიდა. ბევრს სცოდნია, რომ იოსები ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ არ მეუბნებოდნენ... ზოგი მამშვიდებდა, დაჭრილი იქნება და ნურაფრის გეშინიაო... ჰოსპიტალში მივვარდი, მაგრამ არავის არ უშვებდნენ. ჩვენი მეზობელი გოგო ჰოსპიტალში სისხლის გადასხმის განყოფილებაში მუშაობს, დავინახე, სასწრაფოთი მიდიოდა სისხლის გადასხმის სადგურისკენ, გამოვეკიდე, სასწრაფოდან რომ გადმოვიდა, სოსოს ამბავი ვკითხე, დამამშვიდა: ნუ გეშინია, ალბათ, დაჭრილი იქნებაო... არადა უკვე სცოდნია, რომ შვილი აღარ მყავდა და მიმალავდა, თქმას ვერ მიბედავდა... რომ შედიოდა, მივაძახე: ხათუნა, აბა შვილი დაიფიცე, რომ ჩემს თავს უბედურება არ არის-მეთქი და შეტრიალდა და შევიდა. მივხვდი, რომ უკვე აღარ მყავდა შვილი ცოცხალი... იქიდან ჰოსპიტალში წამოვედი... უკვე ხალხსაც უშვებდნენ. მაშინვე გადმოვასვენეთ. რამდენიმე დღის მერე უნდა დაკვეკრძალა, მაგრამ მეორე დღესვე დავკრძალეთ. ნახევრად ამოთხრილ საფლავში დავმარხეთ... ორივე ბიჭი მოტყუებით ჩამოვიყვანეთ. უფროსმა შუათანა მოტყუებით ჩამოიყვანა სახლში. შუათანა იმ დროს ფხვენისში იდგა, სოსოს ურეკავდა, მაგრამ რაღას უპასუხებდა... ბოლოს ჩემთან დარეკა, უფროსმა ბიჭმა უპასუხა... 21-ე დღეს ქალაქის სასაფლაოდან ჩვენს სასაფლაოზე გადმოვასვენეთ, საფლავი ამხანაგებმა და ძმებმა გაუჭრეს...“

დედა: „არ მანახვეს ჩემი შვილი, ისეთი გახსოვდეთ, როგორიც იყოო... ჩადგმული ბიჭი იყო, ას კილომდე იქნებოდა... სანამ ეს უბედურება მოხდებოდა. ერთი კვირით ადრე სულ აფორიაქებული ვიყავი. ყაზარმული რომ გამოცხადდა, წარმოუდგენლად საშინელ მდგომარეობაში ვიყავი – ჯარში მყავდა სამი ბიჭი, ჩემი ძმისშვილი,

დისშვილი... მთელი ღამეები არ მძინებია, რძალთან ერთად ტელევიზორს ვიყავი მიჯაჭვული. უფროსი ბიჭი აქვე ცხოვრობს, ჩავდიოდი და მეორე რძალს ვაწყნარებდი, თან რძლებს იმასაც ვერ ვეუბნებოდი, თქვენს ქმრებს არ დაურეკოთ, იქნებადა რა სიტუაციაში არიან-მეთქი...“

სოსოს მშობლებმა, რძლებმა და ბავშვებმა გორი 8 აგვისტოს ღამით დატოვეს. სოფელს შეაფარეს თავი. დედას გული ცუდს უგრძნობდა. ავი წინათგრძნობა არ ასვენებდა.

„ვგრძნობდი, რომ სამი შვილიდან ერთ-ერთს უბედურება უნდა მოსვლოდა... ისე ვიყავი, რომ მინდოდა, რაღაც დამეგლიჯა...“

ბაზის დაბომბვის ამბავი რომ გაიგო, აღრიალდა...

„სოსო მომიკლეს-მეთქი, მოვთქვამდი. მაწყნარებდნენ, ჯერ ხომ არაფერი არ ვიცით, წინასწარ რატომ ტირიო... რეკავდნენ სოსოს ტელეფონზე და არ პასუხობდა, მაწყნარებდნენ, იქნება ტელეფონი ამოუვარდა ან სადმე ტენისო... მაწყნარებდნენ და ვერ მაწყნარებდნენ, ავიტეხე, მომიკლეს შვილი-მეთქი. ველარსად ვახერხებდით დარეკვას, მარტო სოსოსთან გადიოდა და არავინ პასუხობდა, ბოლოს ძლივს დავრეკეთ ჩემს ქმართან. მივახალე, სოსო მომიკლეს-მეთქი? არც ვიცი, რა მიპასუხა... წამოვედი გორში. ცხედარი დამხვდა უკვე...“

თავზარდაცემულ დედას ტკივილი დღემდე არ განელებია. ყოველდღე აკითხავს შვილის საფლავს...

„ტირილით ვიღვიძებ და ტირილით ვიძინებ. თითქოს ველოდები...

პირველი ხელფასი რომ აიღო, სანამ შინ მოვიდოდა, მეზობლის ქალს შეხვედრია. იმ ქალს ფინანსურად უჭირს, ორი ოცლარიანი მიუცია, თურმე არ ართმევდა, მაგრამ ძალით დაუტოვებია მაინც... სახლში მოვიდა და მე ჩამაბარა მთელი ხელფასი. მანქანისთვის აგროვებდა ფულს. ხელფასს რომ აიღებდა, რძალს ეტყოდა ხოლმე, აბა, ახლა ვის რა გინდათ, რას ისიამოვნებთო... ძალიან მშრომელი ბიჭი იყო. ჯარში წასვლამდე ერთი პერიოდი მამამისის მანქანითაც ტაქსაობდა. იტყოდა ხოლმე, მიიხედ-მოიხედეთ და ნახეთ, თუ 20 წლის კაცი ვინმე ტაქსაობდესო... ერთი პერიოდი „ლაფატკაზეც“ მუშაობდა, არ თაკილობდა არაფერს... სამომავლო გეგმა ბევრი ჰქონდა. მანქანა უნდა ვიყიდო და მერე მოვიყვან ცოლსო, მაგრამ არც ერთი არ დასცალდა... შეყვარებული ჰყავდა და დაოჯახებას აპირებდა... შეყვარებული ერთი წელი ყოველ ცხრა რიცხვში საფლავზე ყვავილებით მიდიოდა... გორელი გოგო უყვარდა...“

დღეს სოსოს საფლავის ქვაზე ამოკვეთილია სოსოს ლექსი:

„თუ მეგობრისთვის ბრძოლაში
თავი არ გინდა გასწირო,
მაშინ მაგ მხრებზე ეგ თავი,
სულაც არ არის საჭირო“.

კაპრალი

ოლეგ ჭონიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1977 - 2008

ზორის რაიონში, სოფელ ახალხიზაში ერთი პატარა გოგონა – ელენიკო დარბის. როცა ვინმე გააბრაზებს, ემუქრება: დაიცა, მამა მოვიდესო... არადა იცის, რომ მამა უფალთანაა.

ხანდახან ბებოს ეხვეწება, როცა იქ წახვალ, მამას ხელი მოჰკიდე და წამოიყვანეო...

ბავშვური ლოგიკით ცდილობს, მამა დაიბრუნოს. მამა, რომელიც რუსებმა მოუკლეს.

ოლეგ ჭონიშვილი მემიზნე ოპერატორი იყო...

და გმირულად დაიღუპა...

ომის მერე გავა ორი წელი და დედა იმ დღეს – 1977 წლის 27 იანვარს გაიხსენებს, როცა ოლეგი კილო და სამასი მოევლინა ქვეყანას...

მანანა ჭონიშვილი, ოლეგის დედა: „ოლეგი პირველი შვილი იყო... ძალიან წყნარი და დამჯერი ბავშვი. საბავშვო ბაღში არ დამყავდა, ჩემთან იყო ხოლმე... სკოლაში თავიდან კარგად სწავლობდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, ბოლო კლასებშიც ბრწყინვალედ სწავლობდა-მეთქი...“

მესამე კლასიდან ჭიდაობაზე დაჰყავდათ. მოსწონდა, ბოლომდე გაყოლასაც აპირებდა თურმე... ძირითადად სოფელში ბიჭებს ეჭიდებოდა. ერთადერთხელ ყოფილა თელავში შეჯიბრებაზე და შინ მედალიც მიუტანია.

ცხრა კლასი ახალხიზაში ისწავლა, მერე სკრაში გადავიდა და იქ დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის მერე სავალდებულო სამხედრო სამსახური გორში მოიხადა. „ბევრს შვილი ჯარისთვის არ ემეტება, ჩემი შვილი ვაჟკაცი იყო და ჯარში უნდა ემსახურა“, – იტყვის დედა.

ჯარმოვლილი გორში, სახანძროში დაიწყებს მუშაობას. ორი წელი იმუშავებს მეხანძრედ. მერე ატმების „ხანძარს“ გააჩაღებს – კურკას დათესს, საძირეს გამოიყვანს, დაამყნობს – 500 ძირ ატამს გაახარებს... „ბავშვივით ზრდიდა“, – გაიხსენებს დედა... დედა, რომელმაც უკვე მეორედ უყურა ატმების ვარდისფერ „ხანძარს“ შვილის გარეშე...

ორი უმცროსი და ჰყავს. დედა იტყვის, რომ ოლეგი ხელის გულზე ატარებდა, ათამამებდა დებს. დღეს ორივე და გერმანიაში ცხოვრობს. დედა იმასაც გაიხსენებს, როგორ ტიროდა და ეხვეწებოდა დებს ოლეგი – ნუ წახვალთო. გაიხსენებს იმასაც, როგორ ითვლიდა დღეებს, რომ დები დაბრუნებულიყვნენ და ყველას ერთად ეცხოვრათ...

29 წლის იყო, 19 წლის თანასოფლელი გოგონა რომ შეირთო ცოლად. დედა იტყვის, რომ ოლეგს ბავშვობიდან მოსწონდა მომავალი მეუღლე. შორიდან იცნობდა, მერე სოფლის ბირჟაზე გაუცნია, სადაც საღამოობით მთელი სოფლის ახალგაზრდობა იკრიბებოდა.

„მალე სიყვარულში გამოუტყდა... ხუთი წელი შეყვარებულები იყვნენ. ბოლოს ოფიციალურად ჩვენ მივედით ჩვენი ნინოს ოჯახში და ხელი ვთხოვეთ. ერთი წლის შემდეგ გოგო შეეძინათ. ძალიან ბედნიერი იყო. პირველი ბიჭი უნდოდა, მაგრამ ამბობდა, ჯერ ყველაფერი წინ მაქვსო... ორი წლის დაოჯახებული იყო, ეს საშინელება რომ მოხდა. ოლეგი სულ ჯარში იყო და, ალბათ, ხუთი თვეც არ ყოფილან ერთად“.

კონტრაქტით ჯარში წასვლა რომ გადაწყვიტა, წინ არავინ აღდგომია.

„წინააღმდეგობა არავის გაგვიწევია. ვერავის ვერ წარმოგვედგინა, რომ ომი დაიწყებოდა... კონტრაქტს 2009 წლის მარტში ამთავრებდა, მაგრამ არ დასცალდა...

ფიზიკურად პატარა და სუსტი იყო, მაგრამ ბუნებით – ძალიან ძლიერი, მერე ჯარში ვარჯიშობდა... ძალიან მოსწონდა ჯარი...“

შინიდან 6 აგვისტოს, უთენია გავიდა. საღამოს დედა რომ შეეხმიანა, უთხრა, რომ იმ ღამით შინ ვერ მივიდოდა.

„დედა, განგაშია გამოცხადებული, ვერ ამოვალო. სიმამრის დაბადების დღე იყო... 7-ში დილითაც ველაპარაკეთ. თვითონაც ყოველ წუთში გვირეკავდა. მე წნევიანი ვარ და ყოველ ერთ საათში მირეკავდა, მეკითხებოდა: დედა, როგორ ხარო... ხან გავუჯავრდებოდი, კაი, შვილო, პატარა ხომ არ ხარ, სულ „დედა-დედას“ რომ გაიძახი-მეთქი... რა ვიცოდი, რომ საბოლოოდ მკითხულობდა... 7 აგვისტოს, 5 საათის მერე უკვე ვეღარ ვუკავშირდებოდი. ბოლოს, შვიდის ნახევარზე ძლივს დავურეკე. ვარიანთან ვართ და ნუ გეშინიათ, არაფერია, უბრალოდ, გაგვიყვანესო. 10-ის ნახევარზე მეუღლეს ელაპარაკა: აღარ დამირეკოთ, საძილე ტომარას ვხსნი და უნდა დავიძინოთო. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები, დაგვამშვიდა და... იმის შემდეგ უკვე აღარაფერი ვიცით. მარტო ის ვიცით, რომ ცხინვალში ჭურვი მოხვდა ტანკს. ცეცხლი გაუჩნდა, ამ დროს ტანკიდან უფროსი და ოლეგი ამოძვრნენ და სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ, იარაღის ამოღებაც ვერ მოასწრეს, ხელცარიელი ამოვარდნენ და ისე გაიქცნენ... მძღოლმა 8 წუთის შემდეგ ძლივს მოახერხა ამოსვლა. უფროსი და მძღოლი გადარჩნენ. ოლეგი თავიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ შვიდი თვის მერე დეენემის ანალიზით ამოიცნეს...

„საშინელება იყო, შვიდი თვე გაურკვევლობაში ვიყავით, მერე ჩემმა მეუღლემ დეენემის ანალიზი აიღო და... თავიდან გვილოცავდნენ, არსად არ არისო, მაგრამ მერე, თებერვალში, შეტყობინება მოგვივიდა, დეენემის ანალიზი დაემთხვაო. მუხათგვერდში გვყავს დაკრძალული, არ გადმოვასვენეთ, თავის მეგობრებთან ერთად იყოს... ჩვეულებრივ მივდივართ და პატივს მივაგებთ... ამ უბედურებამდე არანაირი წინათგრძნობა არც მას და არც ჩვენ არ გვქონია, არც განსაკუთრებულად

შეცვლილა. ჩვეულებრივ იყო...

საშინელებაა მის გარეშე ყოფნა, მაგრამ თავს ვინუგეშებ, რომ მის შვილს, პატარა ელენიკოს ვზრდით... ნადირობა და ქეიფი უყვარდა... განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ... სიზმარში ვნახულობ ხოლმე. ბოლოს რომ ვნახე, ეზოში ვიჯექი და კარებში შემოვიდა, მეუღლეს გადაეხვია და გვითხრა, იმდენი სალაპარაკო მაქვს, რომ დავიღლებითო და გამომეღვიძა...“ – ამბობს თვალცრემლიანი დედა...

სამოქალაქო პირი

ამირან რაზმაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1951 - 2008

ამირან რაზმაძე მეომარი არ ყოფილა, არც იარაღით ხელში იბრძოდა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ის გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე სამშენებლო მასალების აღრიცხვის ინსპექტორი იყო და რუსებმა მას მერე მოკლეს, რაც ფხვენისში ქართველ მეომრებს წყალი მიუტანა და შინ შეიარა, ცოლი რომ სამშვიდობოს გამოეყვანა... და სწორედ აქ იწყება თავზარდამცემი ისტორია. მის თავგადასავალს გვიამბობს მისი მეუღლე ნუნუ ჩლაიძე, რომელმაც ომის მთელი საშინელება გადაიტანა...

11 აგვისტოს ღამე იყო, ცოლ-ქმარი ცდილობდნენ, მანქანით დაეღწიათ თავი კარსმომდგარი მტრისთვის. ნუ-ნუ ჩლაიძეს ისღა ახსოვს, ქმარმა რომ უთხრა, ფეხები წამერთვა, საჭეს ვეღარ ვიმორჩილებო და მანქანაში რაღაც გასკდა...

მეორე დილითღა მოეგო გონს ნუნუ ჩლაიძე, ცოლ-ქმარი საქაშეთის გადასახვევთან, ბენზინგასამართი სადგურის წინ ეყარნენ, ერთმანეთისგან 3 მეტრის დაშორებით... ცოლმა ქმართან მიღწევა ვერ შეძლო, მძიმედ იყო დაჭრილი, რუსმა ჯარისკაცებმა ქალი საველე ჰოსპიტალში წაიყვანეს, ცოლმა სთხოვა, ჩემი ქმარიც წამოიყვანეთო... აზრი არ აქვს, ის უკვე მკვდარიაო. იყო პასუხი...

მხოლოდ პატრიარქის შესვლის შემდეგ მოხერხდა მისი გადმოსვენება...

ნუნუ ჩლაიძის კოშმარი აქ არ დასრულებულა...

ამირან რაზმაძე აჩაბეთში დაიბადა 1951 წლის 21 სექტემბერს.

6 თვის იყო, მამიდამ რომ იშვილა და ფხვენისში წაიყვანა გასაზრდელად.

ნუნუ ჩლაიძე: „მის მშობლებს ხუთი შვილი ჰყავდათ, 3 ვაჟი და 2 ქალი. ამირანი მეორე შვილი იყო... და-ძმებთან ბოლომდე შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ გული სტკიოდა, იტყოდა ხოლმე, მე ხომ მეორე ვიყავი და რატომ გამაშვილესო... ხანდახან ბევრი რამე მაგის გამოც დამითმია...“

ამირან რაზმაძემ ცხინვალის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას გაიცნეს ერთმანეთი ამირანმა და ნუნუმ. ამირანი 16 წლის იყო, ნუნუ – 14-ის. ერთმანეთი შეუყვარდათ... 4 წლის შემდეგ იქორწინეს კიდეც.

„ყველაფერი ძალიან სხვანაირად იყო... ხანდახან თავი სიზმარშიც კი მგონია, თვითონაც ძალიან მოკრძალებული იყო და ისე წავიდა, რომ, ალბათ, ისიც არ იცოდა, როგორ ძალიან მიყვარდა...“

ქორწინებამდე კი ამირანმა სკოლა დაამთავრა და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა. ინს-ტიტუტში სწავლისას გაიარა სამხედრო კათედრა, შემდეგ 3 თვით კოჯორში მსახურობდა. ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. მშენებელი ინჟინერი იყო. მუშაობა ცხინვალის სამშენებლო ტრესტში დაიწყო განყოფილების გამგედ, შემდეგ გორის მესამე სამშენებლო ტრესტში გადავიდა, შემდეგ – საბინაო ტრესტში, მუშაობდა ნიქოზში მიწათმომწყობად, დაღუპვამდე ბოლო სამი წელი კი გორის ბაზაზე გაატარა.

დაიღუპა 56 წლის.

ნუნუ ჩლაიძე: „ძალიან მშრომელი, ინტერესიანი და ნიჭიერი იყო. უამრავი რამე გააკეთა, ბოლოს სოფელში ჰესის აშენება უნდოდა, პროექტი შეადგინა, ის პროექტი ჩეხეთში გაგზავნეს და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ვერ მოასწრო გაკეთება, მე კი რაღას გავაკეთებ ახლა...“

მერე ომი დაიწყო. ამირან რაზმაძე გორის ბაზაზე მსახურობდა, მისი უფროსი ვაჟი სამხედრო ექიმია, არტილერიაში მსახურობს და შინ არც ის იყო, უმცროსი ვაჟი და ქალიშვილი თბილისში ცხოვრობდნენ. დედასთან შვილიშვილები იყვნენ და ბებიამ ისინიც გორში ჩაიყვანა, სიტუაცია რომ დაიძაბა. 11 აგვისტოს შინ, ფხვენისში მხოლოდ ნუნუ ჩლაიძეღა იყო.

„11 აგვისტოს დილით წყალი შემოუტანა ფხვენისის სკოლის ეზოში მდგარ ჩვენს ჯარისკაცებს.

შინ მოვარდა. სოფელში საშინელი პანიკა იყო უკვე. გნიასი, უბედურება ტრიალებდა... იყო სროლები... მე მეშინოდა... არაფრით არ უნდოდა წამოსვლა. ღამე იყო, რომ წამოვედით, გორისკენ მოვდიოდით, საშინლად დაძაბულები და დაზაფრულები ვიყავით. რა გზითაც მოვდიოდით, არ გამოგვიშვეს, სხვა გზით წამოვედით, ბაღებზე გადმოვიარეთ, საქაშეთის გადასახვევთან ვიყავით... მხოლოდ ის მახსოვს, მითხრა, მანქანას ვეღარ ვმართავო და რაღაც გასკდა კიდეც... დილით, გონს რომ მოვეგე, ბენზინგასამართი სადგურის წინ ვეყარეთ მიწაზე... ბევრი ჭრილობა მქონდა, კბილები ჩამტვრეული... იქ ქართველებიც ყოფილან, აუყვანიათ, იმათ მიამბეს მერე, თქვენ რომ აგაფეთქეს, მაშინ დაგვიჭირესო, ჯერ ტანკს შეეჯახეთ და მერე შემოგიგდეს რაღაცო, ვთქვით კიდეც, ადგილზე ჩახოცესო...

მე შეჯახება არ მახსოვს, ტვინის შერყევა მქონდა...

ფეხშიც დაჭრილი ვიყავი ავტომატით, მეუღლემდე ვერ მივედი... ეტყობა, აფეთქებისთანავე მოკვდა... რუსმა ჯარისკაცებმა წამიყვანეს თავის საველე ჰოსპიტალში, სულ ჭრილობები მქონდა, იმათმა ექიმმა შემიხვია. ვთხოვე, ჩემს მეუღლესთან მივეყვანე. არაფერს მეუბნებოდნენ, არც მიშვებდნენ. ექიმმა მითხრა, ჩემზე არაა დამოკიდებული თქვენი გაშვებაო. მერე უცებ ყველამ შექუჩება დაიწყო, დიდძალი ტექნიკა იყო, მანქანები, ტანკები... მესმოდა, რომ შინდისში აპირებდნენ მისვლას, გაიგეს, რომ იქ ჩვენი ბიჭები იდგნენ... დრო ვიხელთე, ავიღე ჩანთა და როგორღაც გამოვედი, მოვდიოდი და ვფიქრობდი, ან ახლა მესვრიან, ან ახლა-მეთქი... საქაშეთში მანამდე ნამყოფიც

არ ვიყავი. მივდიოდი და სად მივდიოდი, არ ვიცოდი. ერთ სახლთან მივედი, სამი ქალი დამხვდა, იმათ მითხრეს, საქაშეთში ხარო. ვთხოვე, იქ ჩემი ქმარია, დამეხმარეთ, გამომაყვანინეთ-მეთქი... კიდევ არ მჯეროდა, რომ მკვდარი იყო... არ გამომყვნენ... შინდისისკენ წავედი, მაგ დროს ბრძოლები მიდიოდა, ტანკები რომ დავინახე, „ლატოკებში“ ჩავწექი... მერე გზა გავაგრძელე და შინდისის სადგურთან იმ დროს მივედი, როცა უკვე იბომბებოდა. მოვდიოდი და იბომბებოდა... ორი დიდი მანქანა იწვოდა, შევედი ერთ-ერთ ეზოში, მიწაზე გარდაცვლილი ჯარისკაცი ეგდო... იქ მოხუცი კაცი ვნახე, ვთხოვე, ტელეფონზე დამარეკინეთ-მეთქი. მე აღარაფერი აღარ მქონდა ჩანთაში, ფული, ოქრო და ტელეფონი კი არა, სათვალე რომ სათვალეა, ისიც ამოღებული იყო. იმ კაცმა მითხრა, აქ ჩემს მეტი არავინაა, სოფლისკენ წადი, იქნებ იქ უფრო ნახო ვინმეო. გავაგრძელე გზა, ორი ბიჭი შემხვდა, იმათ დამარეკვინეს ჩემს გოგოსთან თბილისში... ჩემმა გოგომ ჩემი ხმა რომ გაიგო, აკივლდა... იმათ უკვე იცოდნენ, რომ მამა დაღუპული იყო და მე ვერ მპოულობდნენ, მეც დაღუპული ვეგონე. ჩემი შვილი მიყვებოდა მერე, თქვენი ამბავი რომ გავიგე, მეოთხე სართულზე ვიდექი და გადავარდნასა და თავის მოკვლას ვფიქრობდიო...

ჩემს გოგოს ვუთხარი, შინდისში ვარ და ფხვენისში მივდივარ-მეთქი. გამოვედი გაჩერებისკენ. ხალხი მიშლიდა, არ წახვიდე, მოგკლავენო, ჩემსას არ ვიშლიდი, ვერ ვიაზრებდი, რას ვაკეთებდი. მერე ერთმა ჩემს ბიჭთან დარეკა, დამალაპარაკეს. ჩემმა ბიჭმა მითხრა, დაუჯერე მაგ ხალხს, მანდ იყავი, ჩამოგაკითხავთო. ჟუჟუნა ფაცინაშვილმა წამიყვანა თავის ოჯახში, საშინლად გავსივდი, 5 დღე მივლიდნენ ჟუჟუნა, ნაზო საბაშვილი, ლილი ომაძე. მოხუცი ექთანიც მომიყვანეს, შინდისელებმა ჩემი გულისთვის აფთიაქი გატეხეს, ისეთი პატივი მცეს, ალბათ, ვერასოდეს გადავიხდი. მერე, ჩემებმა სთხოვეს, სასწრაფო შემოვიდა ჩემს გასაყვანად, მარტო მე გამიყვანეს. იქვე, გვერდით სახლში ქართველი დაჭრილი ჯარისკაცები ჰყავდათ გადამალული, ისინი ვერ წამოიყვანეს, გაფრთხილებული ჰყავდათ, ერთი ქალის მეტს თუ გამოიყვანთ, ყველას ადგილზე ჩაგხოცავთო... რუსების ორი საგუშაგო უნდა გამოგვევლო...

სწორედ იმ დღეს გამოიტანა პატრიარქმა ჩემი მეუღლის ცხედარი...

თბილისში დაკრძალეს, წლისთავზე გადავასვენეთ ფხვენისში...“

ამირან რაზმაძის ძმა და რძალი აჩაბეთში ტყვედ ჰყავდათ, ტყვეობიდან რომ დაიხსნეს, ამირანის ძმას გული გაუსკდა და დაიღუპა...

ნუნუ ჩლაიძეს ერთი თვე მკურნალობდნენ ღუდუშაურის კლინიკაში. შინ დაბრუნებულს სახლ-კარი აოხრებული დახვდა.

ნუნუ ჩლაიძე: „ძალიან უწყინარი კაცი იყო, ხანდახან ვფიქრობდი, ბავშვად არის დარჩენილი-მეთქი. სიკეთით სავსე. სახლში ერთი ლარი რომ ჰქონოდა და ვიღაც გაჭირვებული მოსულიყო, აიღებდა და მისცემდა... უფროს რძალს შვილებისგან არ არჩევდა, გადამკვდარი იყო შვილიშვილებზე, ორ გოგონას მოესწრო, ვაჟი ახლა შეეძინა უფროს ვაჟს. შუადღით, შესვენებაზე შვილიშვილებს სკოლაში აკითხავდა ხოლმე...

ძალიან უაზრო გახდა ჩემთვის ცხოვრება, ამათ რა ვუყო, რომ ვერ ვღალატობ თორემ... ყველაფერი შეიცვალა, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის, ყველაფერი დავკარგე... ერგნეთიდან ვარ მე თვითონ, სამშობლო აღარ მაქვს, ჩემების სახლი გადამწვარია, ჩემები ყველანი ლტოლვილები არიან. ამირანის სამშობლო აღარ მაქვს, აჩაბეთი, ისინიც ლტოლვილები არიან...

ჩემთვის ძალიან რთულია ცხოვრება მის გარეშე... განსხვავებული იყო – დილით რომ სამსახურში წასვლა უხაროდა და სამსახურიდან ჩქარა სახლში მოსვლა. შვილებზე იყო გადამკვდარი, ოღონდ ამათ ესწავლათ. არაფერს იშურებდა...“

რეზერვისტი

შალვა გაბუნია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1989 - 2008

ეტერმა სენაკის ბაზის დაბომბვა რომ დაიწყო, ის არც დაჭრილა, არც დაღუპულა. დაჭრილები გამოჰყავდა, მესამე შესვლისას მოხვდა ანასხლეტი. მოხვდა არტერიაში და... გათავდა ერთი ქართველი ბიჭის სიცოცხლე, ის არ იყო გამობრძმედილი მეომარი, ის იყო 19 წლის სტუდენტი ბიჭი, დღე-დღეზე ქუვეითში რომ უნდა წასულიყო არაბული ენის შესასწავლად და ქუვეითის ნაცვლად საკუთარი ფეხით რომ ჩავიდა სენაკის ბაზაზე – როგორც შეშვენოდა, მისი აზრით, რეზერვისტს.

დღეს შალვა გაბუნია უკვე მამულისთვის დაღუპულ გმირთა დასშია.

თავის დროზე, დედამისს რომ ეუბნებოდნენ, გამორჩეული შვილი გყავსო, არ იმჩნევდა. დედას საყვედურობდნენ. დედაც თავს იმართლებდა: რა იყო, ერთი ჩვეულებრივი ბიჭიაო. ახლაღა ხვდება, რომ ჩვეულებრივი კი არა, გმირი გაუზრდია.

შალვა გაბუნია ფოთში დაიბადა 1989 წელს. ოჯახში პირველი შვილი იყო.

მაია ბოკუჩავა, დედა: „განსაკუთრებული ბავშვი იყო, დინჯი, აუჩქარებელი... მე ვიყავი დაუნახავი დედა, არასოდეს ვაქებდი. რომ დასცლოდა, თავის კვალს დატოვებდა ცხოვრებაში. საოცრად ნიჭიერი იყო... პირველ კლასში დუმბაძე უკვე წაკითხული ჰქონდა. 6 წლის იყო, დეიდამ და ბიძამ პარიზში რომ წაიყვანეს, ლუვრი, ვერსალი დაათვალიერებინეს. გიდები გაოცებას ვერ მალავდნენ, რადგან 6 წლის ბიჭი, ასაკისთვის შეუფერებელ, საოცრად ჭკვიანურ კითხვებს სვამდა... მეხუთე კლასში იყო, მისი მასწავლებელი ნინო მორგოშია რომ ამბობდა: საგანგებოდ ვემზადები მის კლასში შესასვლელად, არ ვიცი, შალვა რა კითხვას დამისვამსო. ყველაფრის მიმართ ინტერესს ავლენდა. მტკიცე იყო გადაწყვეტილებების მიღებისას, მოზომილი სიტყვა-პასუხი ჰქონდა და ვერც სხვა აკადრებდა ვერაფერს. მორიდებული იყო, ლექსებსაც წერდა... ყველასგან განსხვავდებოდა და ამიტომაც ეძახდნენ მეგობრები დონ შალის“.

შალვა გაბუნია ფოთის მესამე პროფილური სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. დედა იხსენებს, რომ წარმატებამ დიდი სტიმული მისცა შალვას. იხსენებს, როგორ განსაკუთრებით უბრწყინავდა თვალები, როგორ ზრუნავდა მუდამ სხვებზე, უნდოდა, ყველას დახმარებოდა, მაგრამ დაღუპვამდე ერთი წლით ადრე ოჯახს თავს ტრაგედია დაატყდა – შალვას მამა გარდაეცვალა.

დედა ორი შვილის ამარა უმწეოდ დარჩა. მერე გაიხსენებს, როგორ ამშვიდებდა შალვა: ნუ გეშინია, დედა, პატარა აღარ ვარო...

პატარა რომ აღარ იყო, ეს სამშობლოსაც დაუმტკიცა.

დედა: „აგვისტოს მოვლენები რომ დაიწყო, თბილისში იყო. ქუვეითში უნდა წასულიყო არაბული ენის შესასწავლად, ელჩთან შეხვედრას ელოდებოდა და სიტუაციაც დაიძაბა ქვეყანაში. მობილიზაცია გამოცხადდა, რეზერვისტი იყო. თვითონ შეეხმიანა სენაკში თავისი ბატალიონის უფროსს, საჭირო არ ვარო? არაფრით არ დაუშვებდა, სხვებს ებრძოლათ და თვითონ უცხოეთში წასულიყო სასწავლებლად. იმ დღესვე წამოვიდა სენაკის ბაზაზე. გავიგე თუ არა, დავურეკე, მინდოდა, საყვედური მეთქვა, მაგრამ მისი ხმა რომ გავიგე, გულმა სხვა რამ მათქმევინა, გადაწყვეტილება შევუქე, ყოჩაღ, დედა-მეთქი. როგორც იცოდა, მშრალად და მოკლედ, მკაცრი ხმით მიპასუხა: კარგი, დედა, არ გინდა ასეთი საუბარი, ბაზაზე რომ ჩავალ, დაგირეკავო. ის შეჩვეული არ იყო ჩემგან შექებას და გაუკვირდა, სულ მეტსა და მეტს მოვითხოვდი მისგან. იმ დღეებში საშინელი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც ხმა ჩამძახოდა, ორი დღეც და შენი შვილი გადარჩებაო, კიდევ ერთი დღე და შენი შვილი გადარჩებაო, ბოლოს – სხვისი შვილები ომში წავიდნენ და შენი შვილი უნდა დამალოო?.. მასაც წინათგრძნობა ჰქონია თურმე, ბაზაზე ჩასული თავის მეგობრებს უყვებოდა, სამარშრუტო ტაქსში ჩამეძინა და ბაზას რომ მოვუახლოვდი, დედაჩემის ლანდი დავინახე და გამომეღვიძაო...

მისი თანაკლასელი და საუკეთესო მეგობარი ოთიკო კიკალეიშვილი მასთან ერთად დაიღუპა სენაკის ბაზაზე. 8 აგვისტოს მისთვის დაურეკავს და უთქვამს, მეც მოვდივარო. განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდათ და სიკვდილიც ერთად ეწვიათ... შალვა თურმე პირველი დაბომბვის დროს არ გარდაცვლილა, დაჭრილები გამოჰყავდა, მესამედ რომ შებრუნდა დაჭრილის გამოსაყვანად, მაშინ მოხვდა ანასხლეტი არტერიაში. სიცოცხლის ჟინი მოძალებული ჰქონდა, მაგრამ საკუთარი სიცოცხლე სხვების სიცოცხლეს შესწირა...“

სენაკის ბაზის დაბომბვა რომ გაიგო, ელდანაკრავი დედა შვილს ამაოდ ურეკავდა, ვერ უკავშირდებოდა. მეზობლებისგან შვილის მეგობრის – ოთიკო კიკალეიშვილის დაღუპვა შეიტყო და ქვეყანა გააყრუა მისმა გოდებამ, ქვეყანას უყვებოდა, როგორი კარგი ბიჭი დაიღუპა. ამ დროს კი აღარც მისი შვილი იყო ამქვეყნად. მოგვიანებით შეატყობინა დისშვილმა: შალვა დაჭრილია, მაგრამ საშიში არაფერიაო. მეზობლებთან ერთად სენაკის საავადმყოფოში გაიჭრა. ვერ მიაკვლია. უთხრეს, ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანესო.

დედა: „მოვდიოდი და უფალს ვევედრებოდი, შვილი გადამირჩინე-მეთქი, სახლს რომ მოვუახლოვდი, ხალხი იყო შეკრებილი, მივხვდი, რაც ხდებოდა...

ჩემი შვილის ცხედარიც საოცრად ლამაზი იყო... როცა ვეფერებოდი, თვალიდან ცრემლი გადმოუვარდა... შალვა

სტიქაროსანი იყო, ტაძარში რომ მივასვენეთ, ორი მტრედი მოფრინდა და დასაფლავებამდე იქ იყო... გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს დავკრძალეთ...“

შალვა გაბუნია უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი იყო. შვილმკვდარ დედას დღემდე ეამაყება უნივერსიტეტის რექტორის სამძიმრის წერილი:

„...ვწუხვარ, რომ ასეთი მოტივირებული, მიზანდასახული და გაბედული ახალგაზრდა დააკლდა ჩვენს უნივერსიტეტსა და მთლიანად ქვეყანას. მისი სწრაფვა და რწმენა იმისა, რომ 19 წლის ასაკში სამშობლოს გამოადგებოდა, ყველა ჩვენგანისთვის მისაბაძია. შალვა გაბუნიას გმირობა უნივერსიტეტის იმ სახელოვან მამულიშვილთა სათაყვანებელ ისტორიას მიემატება, რომელთაც ქვეყნისთვის საჭირო მომენტში დაუფიქრებლად გადაწყვიტეს ომში წასვლა. ჩვენ ამ ტრაგედიის თანამოზიარე ვართ“.

19 წლის შალვა გაბუნიას განგებამ არ აცალა დაოჯახება. უშვილძიროდ გადაეგო ამ ქვეყნიდან...

დედა: „რწმენა მეხმარება ტკივილის დაძლევაში, ვიცი, შვილი უფალთან მყავს და ამით ვინუგეშებ თავს. განსაკუთრებული შვილი მყავდა და ამის დანახვა არ მინდოდა... ყველა მსაყვედურობდა, სულ ვამბობდი: რა იყო, ერთი ჩვეულებრივი ბიჭია-მეთქი, ახლა კი მინდა ეს სიტყვები მოვინანიო შალვას სულის წინაშე...“

კაპრალი

რაულ მჭავანაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1973 - 2008

8 აგვისტო. მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები ცხინვალის შემოგარენიდან, საცეცხლე ზონიდან გამოდიან. რუსეთის საჰაერო ძალების კუთვნილი მოიერიშე „სუ-25“-ების მიზანი კი მათი აღმოჩენა და ლიკვიდაციაა. ერთ-ერთი საჰაერო იერიშისას რამდენიმე ჯარისკაცი დაიჭრა, მათ დასახმარებლად და საცეცხლე ზონიდან გამოსაყვანად თანამებრძოლები მივიდნენ. ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული... ისმოდა დაჭრილთა ყვირილი. მეცხრე დაჭრილი გამოყავდა კაპრალ რაულ მჟავანაძეს, როდესაც რუსული მოიერიშის მიერ ჩამოგდებული კასეტური ბომბის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. ეს იყო საერთაშორისო კონვენციით აკრძალული, მასობრივი განადგურების კასეტური ბომბი, რომელმაც აგვისტოს ომში არაერთი მეომრის სიცოცხლე შეიწირა. თანამებრძოლებმა სხვა დაჭრილებთან ერთად მისი უსაფრთხო ადგილას გაყვანა მოახერხეს, თუმცა უკვე გვიანი იყო...

დაიბადა 1973 წლის 8 ივლისს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. რაულ მჟავანაძე ოჯახში მესამე შვილი იყო. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლაც. სკოლის დასრულების შემდეგ, მაშინ, როცა აფხაზეთის ომი მძვინვარებდა, ძმასთან, გივი მჟავანაძესთან ერთად ახლად ჩამოყალიბებულ შინაგან ჯარში წავიდა, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელად. სამხედრო სავალდებულო სამსახური მათ ბათუმში დისლოცირებულ 25-ე მოტომსროლელთა ბატალიონში გაიარეს. სავალ-დებულო სამსახურის დასრულების შემდეგ კი მან სწავლა ფოთის საზღვაო აკადემიაში გააგრძელა, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1995 წელს. როგორც ახლობლები იხსენებენ, ის, საკმაოდ ნიჭიერი და კომუნიკაბელური ახალგაზრდა იყო. ჯარისკაცის დედა იხსენებს, როგორ ეწინააღმდეგებოდა მაშინ შვილის გადაწყვეტილებას, თუმცა რაულმა მაინც თავისი გაიტანა.

ლილი ბეჟანიძე, დედა: „ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი მის ჯარში წასვლას, თუმცა მეუბნებოდა, მე მაინც წავალ დედა, უნდა ვიმსახურო და მოვიხადო ვალი ქვეყნის წინაშეო. 1991-1992 წლებში, მაშინ, როცა ქვეყანაში ომი იყო, რაულმა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა. შემდეგ სასწავლებლად ფოთში წავიდა. კარგად სწავლობდა. აკადემიის დასრულების შემდეგ კი 1995 წელს მუშაობა ბათუმში, სამთავრობო დაცვაში დაიწყო, იქ 2003 წლამდე იმუშავა“.

დრო გავიდა, თუმცა კაპრალ მჟავანაძეს სამხედრო საქმის მიმართ სიყვარული არ განელებია. წლების შემდეგ კვლავ მიხვდა, რომ მისი მოწოდება სამხედრო სამსახური იყო. 2004 წელს კი რეორგანიზებულ, რეგულარულ ქართულ ჯარში კონტრაქტით წასვლა გადაწყვიტა. რაულ მჟავანაძე ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველი ჯარისკაცებიდან, ვინც 2007 წელს ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, კოალიციურ ჯარებთან ერთად. 2008 წელს უთავდებოდა მის კონტრაქტს ვადა, თუმცა, როგორც მისი ოჯახის წევრები ამბობენ, ის სამხედრო საქმეს თავისად თვლიდა და ალბათ, არ დაანებებდა თავს.

ლევან მჟავანაძე, ძმა: „რაულს იარაღი და სამხედრო საქმე ბავშვობიდან იზიდავდა. ძალიან უყვარდა ჯარი და შესაბამისად, თავადაც სულ მოწესრიგებული იყო. 2008 წელს მის კონტრაქტს ვადა გასდიოდა. ომამდე ხუთი თვით ადრე ცოლი შეირთო და ამბობდა, ახალ, რვაწლიან კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელიო“, – თუმცა ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა არ დასცალდა.“

ლილი ბეჟანიძე, დედა: „რაული სახლიდან ზუსტად სამ აგვისტოს გავიდა. ცოტა უცნაურად იქცეოდა, ახალი ტელეფონი სახლში დატოვა და თან ძველი წაიღო. ოჯახის წევრებსაც ჩვეულებრივად გამოგვემშვიდობა. რომც სცოდნოდა ომის შესახებ, ჩვენ მაინც არ გვეტყოდა, რომ არ შევეშინებინეთ. რამდენიმე დღეში აპირებდა უკან ჩამოსვლას. ომის დაწყების დღეს მეუღლეს დაურეკა და უთხრა, რომ ვერ ჩამოვიდოდა, ცოტა აღელვებული გვეჩვენა, თუმცა არაფერი უთქვამს, ალბათ, იმიტომ, რომ არ შეგვშინებოდა. ჩვენ არაფერი ვიცოდით, რამდენიმე საათში ტელევიზიის მეშვეობით გავიგე, რომ ომი დაიწყო. თქვეს, რომ ბრძოლები ცხინვალის მისადგომებთან იყო, ცოტა ხანში საინფორმაციო საშუალებებმა გამოაცხადეს, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია წამოიწყო და რუსული თვითმფრინავები საქართველოს ბომბავდნენ. პირველად სწორედ მაშინ შე-ვშინდით. რაული ჯარში ყოფნის დროსაც, დღეში რა-მდენჯერმე რეკავდა, თუმცა, რაც ომი დაიწყო, მხო-ლოდ ერთხელ დაურეკა მეუღლეს. მოგვიანებით, ჩვენც ვცდილობდით მასთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ ვახე-რხებდით, ტელეფონები არ იჭერდა. შემდეგ კი, როცა ვურეკავდით, ტელეფონი გამორთული ჰქონდა. არაფერი ვიცოდი მის შესახებ, მაგრამ ვნერვიულობდი. ვფიქრობდი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც დაგვირეკავდა და გვეტყოდა: კარგად ვარო. კვირა დღე იყო, ათი აგვისტო, სამეზობლოში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, მერე მითხრეს, რაული დაჭრილია და გორის სამხედრო ჰოსპიტალშიაო. აქედან ჩვენი ნათესავები წავიდნენ, ბიჭები ორ მანქანაში ჩასხდნენ და გორისკენ წავიდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ჩემი შვილი დაიღუპა... სახლში თერთმეტ აგვისტოს ჩამოასვენეს ნათესავებმა, მითხრეს, რომ დაბომბვაში მოყვა, აფეთქებიდან რამდენიმე წუთში თანამებრძოლებს გორის სამხედრო ჰოსპიტალისკენ წაუყვანიათ, მაგრამ გზაში დაიღუპა“.

რაულის დაღუპვიდან ცოტა ხანში, მჟავანაძეების ოჯახში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა, შვილის დაღუპვიდან

წელიწად–ნახევარში, ჯარისკაცის მამა, ასლან მჟავანაძე გარდაიცვალა...

ლილი ბეჟანიძე, დედა: „სახლში ხშირად რეკავდა, როცა დარეკავდა ყოველთვის ესაუბრებოდა მამას, ჩემი მეუღლე ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა და რაული ცდილობდა, დაემშვიდებინა. ეუბნებოდა, ახლა მე ვარ შენი მარჩენალი, დროა, შენ დაისვენო და მე მოგიარეოო, მისი დაღუპვიდან წელიწად–ნახევრის შემდეგ, მეუღლეც გამომაკლდა“.

რაულ მჟავანაძეს ორსული მეუღლე დარჩა, მისი ერთადერთი ქალიშვილი ნინიკო, მამის დაღუპვიდან ექვსი თვის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. მამისგან მხოლოდ ფოტოები, მოგონებები და გმირის ორდენი დარჩა. გმირი მამა კი 35 წლის იყო, როდესაც საკუთარი დაბადების დღიდან ერთი თვის თავზე, ცხინვალის მისადგომებთან დაეცა...

ლილი ბეჟანიძე, დედა: „ალბათ, ოცნებობდა, რომ მისი შვილი განსაკუთრებული ყოფილიყო, თვითონ კი, მზრუნველი მამა, მაგრამ ვერ მოესწრო შვილის დაბადებას. ეს გზა თავად აირჩია და, ალბათ, რომ სცოდნოდა, ასე მოხდებოდა ყველაფერი, მაინც არ შეცვლიდა საკუთარ გადაწყვეტილებას. ყოველთვის მეშინოდა იარაღის და ვეწინააღმდეგებოდი მის ჯარში წასვლას, მაგრამ მაინც წავიდა. მეუბნებოდა: დედა, თუ მე ომში დავიღუპები, ყველას ეცოდინება, მთელს ქვეყანას ვეყვარები და ყველა დამაფასებს, აქ თქვენს გვერდით რომ მოვკვდე, მხოლოდ თქვენ დაგწყდებათ გულიო. როცა ფორმა გაცვია და ჯარში ხარ, ამ ფორმის ღირსეულად ტარებისთვის, შეიძლება თავიც გაწირო, მაგრამ ეს არ უნდა გაშინებდესო“.

შვილმკვდარი დედა ახლა მეორე ვაჟთან, ლევანთან ერთად ცხოვრობს. ლევან მჟავანაძე დღემდე ატარებს გმირი ძმის დანატოვარ სამხედრო უნიფორმას. რაულ მჟავანაძე საკუთარი სახლიდან ერთ კილომეტრში, სოფელი ლეღვას სასაფლაოზეა დაკრძალული, მის საფლავზე კი სიმბოლურად, საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებს, ქვეყნის სიმბოლო, რომლისთვისაც ქართველ მებრძოლებს უმძიმეს, უთანასწორო ბრძოლებშიც კი არ უღალატიათ.

ლილი ბეჟანიძე, დედა: „მიმძიმს მის გარეშე, უკვე ორი წელი გავიდა რაც ის ჩვენთან აღარ არის, მაგრამ მე მადლობელი ვარ ჩემი შვილის, რომ ის გმირულად დაიღუპა, დატოვა გმირის და არა ლაჩარის სახელი. მე ვამაყობ იმ-ით, რომ მან ქვეყნის წინაშე დადებულ ფიცს ბოლომდე უერთგულა”.

უმცროსი სერჟანტი

ვალერი გოგნაძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი

1978 - 2008

სამშობლოსთვის იბრძოდა და მისთვის სიცოცხლე დათმო, ისევე, როგორც აგვისტოს ომში დაღუპულმა უკვდავყოფილმა გმირებმა. დღეს ვალერი გოგნაძე მათ რიგებშია. „იქ ვარ, სადაც საჭიროაო“ – ეს იყო პასუხი კითხვაზე „სად ხარ“? – ოჯახი დარდობდა, დედა შვილისთვის ლოცულობდა, მაშინ ვერ გაიგო სად იყო, ახლა კი იცის. ვალერი ძმათა სასაფლაოზე, მუხათგვერდში განისვენებს.

ლიანა პერანიძე, დედა: „სამი კვირის უნახავი მყავდა. რომ გავიგეთ ომი დაიწყო, თვითონ დაგვირეკა. ჩვენ ვერ ვახერხებდით დაკავშირებას. გვამშვიდებდა ნუ ნერვიულობთ, კარგად ვარო. ეს იყო 9, 10, 11 აგვისტო, ამ ხნის განმავლობაში სულ გვამშვიდებდა. ამ დროს ისინი ვარიანში იდგნენ. ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა, ვკითხე სად ხარ-მეთქი, აი ასე მიპასუხა: ,,სადაც საჭიროა იქ“. იმის მერე მისი ხმა არ გამიგონია. მერე კონტაქტზე გავდიოდით. 14 აგვისტოს დნმ-ით გაირკვა ყვლაფერი. ვალერი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იყო დაკრძალული. მისი გადმოსვენება გვინდოდა, მაგრამ ასე გვითხრეს, სანამ ერთი წელი არ გავა არ შეიძლებაო. ერთი წლის მერე ჩვენ აღარ გვინდოდა, რადგან მან ასე გვითხრა: ,,იქ ვარ, სადაც საჭირო არისო“... ალბათ, ღვთის ნება იყო.“

დედას უჭირს შვილზე საუბარი, ძალას იკრებს და ყველაფერს იხსენებს, მის ბავშვობას, ოცნებებს და მიზნებს.

ლიანა პერანიძე, დედა:

„სავალდებულო ჯარში თბილისში იმსახურა. მერე გაიხსნა საკონტრაქტო ჯარი და სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. საჩხერის მე-16-ე სამთო ბატალიონში კაპრალად მსახურობდა. ორი წლის შემდეგ ერაყში წავიდა სამშვიდობო მისიით, 8 თვე იმსახურა. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი ისევ ხელი მოაწერა ოთხწლიან კონტრაქტს. სენაკის სამხედრო ბაზის 21-ე ბატალიონის მეორე ბრიგადაში შეიარაღების უფროსი სერჟანტი იყო. მისი სურვილი იყო სამხედრო სამსახური და შეეწირა კიდევაც. საქართველოზე უზომოდ იყო შეყვარებული.

ორი შვილი მყავდა, გოგო და ბიჭი. ვალერი უმცროსი იყო. საყვარელი ბავშვი იყო, ცოცხალი, ცელქი, ჭკვიანი. ყველას მოსიყვარულე. ყველას დაბადების დღე ზეპირად იცოდა ყველას პირველი ულოცავდა. ღვანკითის საშუალო სკოლის 9 კლასი დაამთავრა, მერე თერჯოლის პროფესიული ტექნიკუმი ბუღალტრული განხრით. შემდეგ თბილისში ჩააბარა ისტორიულ ფაკულტეტზე. ძალიან უყვარდა საქართველოს ისტორია. ყველაფერი ზეპირად იცოდა, სამშობლოს მომავალი ყოველთვის ნათელი წარმოედგინა. ჩემი შვილი ნამდვილი პატრიოტი იყო. მიკვირს მის გარეშე როგორ ვარ ცოცხალი. მიჭირს ამ ყველაფრის გახსენება...

მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რომ შეყვარებული ჰყოლია და დაოჯახებასაც აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა...“

ვალერი გოგნაძე 1978 წლის 6 მარტს დაიბადა, თერჯოლის რაიონ სოფელ ღვანკითში. გმირის სახელის უკვდავსაყოფად დღეს სოფელში მისი სახელობის სკვერია, სადაც ოჯახის წევრები და მეგობრები ხშირად დადიან.

რეზერვისტი

გოგა ჯერაია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

დედას ორი ვაჟი ჰყავდა – გოგა და გიორგი. საქართველოს რომ რუსეთი დაესხა თავს, 8 აგვისტოს, დილას, დედამ ბიჭები ვერ დააკავა – დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი რეზერვში წავიდნენ.

დედა, მეზობლებთან ერთად, ტელევიზორს იყო მიჯაჭვული. დაბომბვის ხმა რომ მოესმა, მიხვდა, სენაკის ბაზა იბომბებოდა. ვერც ერთს ვერ უკავშირდებოდა ტელეფონით.

დედ-მამა ბაზაზე გავარდნენ. დედა ყველას, ვისაც კი თვალს მოჰკრავდა, შვილების ამბავს ეკითხებოდა. „რატომღაც სულ გოგას ვიძახდი, გიორგი არ მიხსენებია, ეს, ალბათ, რაღაც წინათგრძნობა იყო...“ – იტყვის დედა.

დედა სიბნელეში ეძებდა შვილებს. უცებ მოესმა: „ბერაიას ბიჭი დაიღუპაო“. მივარდა დედა, სახელს ეკითხებოდა. არ ვიცითო, ეუბნებოდნენ... დედას შეატყობინეს, რომ გიორგი დაჭრილი იწვა ხობის საავადმყოფოში. მშობლებმა ბაზა მიატოვეს, ხობში გავარდნენ. გიორგი მსუბუქად იყო დაჭრილი, არც მან იცოდა, სად იყო გოგა... დილითღა შეატყობინეს ოჯახს, რომ გოგა დაჭრილი იწვა სენაკის საავადმყოფოში.

მაცნემ თქმით ერთი უთხრა, მაგრამ მისმა ხმამ – მეორე... დედა მიხვდა, რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავს... საავადმყოფოში მისულს შვილი დაღუპული დახვდა – გოგას ჭრილობა არ ჰქონია, მაღალმა წნევამ შინაგანი ორგანოები დაუზიანა.

გოგა ბერაია 22 წლის იყო... დაიბადა 1986 წელს, ხობში. სწავლობდა ხორგის პირველ საშუალო სკოლაში. მოუსვენარი, ცელქი და ამავე დროს გამორჩეული მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მესამე კურსიდან წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტში გადავიდა, ეკონომიკის ფაკულტეტზე.

დედა: „სოფელს ვერ ელეოდა... თბილისში ბინა გვქონდა, იქ ყოფნა არ უყვარდა. როგორც კი დროს იპოვიდა, მაშინვე აქ ჩამორბოდა. ხშირად ამბობდა, ძალიან მიყვარს ჩემი სოფელიო... ჩვენი მეზობლის ბიჭი კონტრაქტორი იყო, ერაყში მსახურობდა. ერთხელ გოგა მოვიდა და მითხრა, სწავლას რომ მოვრჩები, კონტრაქტი მეც უნდა გავაფორმო, ერაყში უნდა წავიდე და სამშობლოს ვალი უნდა მოვიხადოო. გავგიჟდი, რამე რომ მოგივიდეს, რა მეშველება-მეთქი?! მაშინ მითხრა, სიკვდილი თუ მიწერია, რეზერვისტი ვარ და შეიძლება, სენაკის ბაზაზეც მოვკვდეო. მაშინ გავუბრაზდი, რას ამბობ-მეთქი... ახლა კი ვფიქრობ, ალბათ, რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა... ეს ამბავი ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მოხდა...“

ომი რომ დაიწყო, გოგა და მისი უმცროსი ძმა შინ იყვნენ. დედა გაიხსენებს, რომ ბიჭები კომპიუტერს არ შორდებოდნენ.

დედა: „მეუბნებოდნენ, ახალ ამბებს ვიგებთო... 7 აგვისტოს, გვიან ღამით, სოფლის გამგებელი მოსულა ჩვენთან, ბიჭებისთვის უთქვამს, რეზერვში ხართ გამოძახებულიო. მე ეს ამბავი დილითღა გავიგე, უკვე წასასვლელად რომ ემზადებოდნენ. შიშმა ამიტანა, არ მინდოდა გაშვება. მეუბნებოდნენ, ქვეყანას უჭირს და შენს სახლში დამალვას გვთავაზობო? ომი რომ დამთავრდება, სოფელში თავი როგორ გამოვყოთ, რა თქვათ, დედის კალთას ამოვეფარეთო? ჩვენი ვალია, სამშობლო დავიცვათო, – მიმეორებდა გოგა. დილით, 8 საათზე, ორივე ძმა სახლიდან გავიდა, გასვლისას კიდევ ერთხელ შევეხვეწე, ორივე ერთად ნუ წახვალ-მეთქი, ვერაფერს გავხდი... გავაცილე, ორივეს გაოგნებული ვუყურებდი... გოგამ ხელი დამიქნია და კოცნა გამომიგზავნა... ყოველ 10 წუთში ვურეკავდი. ამბავს ვკითხულობდი. მიმეორებდნენ, ყველაფერი კარგადაა და საღამოს სახლში ვიქნებითო. ვეკითხებოდი, საჭმელი თუ გაქვთ, მოვალ და რამეს მოგიტანთ-მეთქი. გოგამ უარი მითხრა, არ გვინდა, პატარა ბავშვები ხომ არ ვართო... გოგა და გიორგი სხვადასხვა ასეულში იყვნენ. გოგასთან რაღაც ტკბილეული დაურიგებიათ და გიორგისთვის შეუნახავს ცოტა... რომ დაღამდა, დავრეკე, გოგამ მითხრა, სატენი არ წამომიღია, ტელეფონი მიჯდება და ნუ გეშინიაო. ეგონათ, მელევე დაბრუნდებოდნენ უკან... მთელი ზაფხული რაღაც შიში მქონდა, სულ გოგას დავდევდი. საღამოს მეზობლის ბიჭებთან რომ გადავიდოდა, ხშირად ვურეკავდი, მსაყვედურობდა: რა იყო, პატარა ბავშვი ხომ არ ვარო?.. ხშირად მესიზმრება და მამშვიდებს: დედა, კარგად ვარ, ნუ გეშინია, მე ცოცხალი ვარ, ოღონდ ტყვედ ამიყვანესო... არ ვიცი, ეს სიზმარი რას ნიშნავს. გარდაცვლილი რომ ვნახე, ჭრილობა არ ჰქონდა, მაღალმა წნევამ შინაგანი ორგანოები დაუზიანა, სახეზე ისევ ისეთი ლამაზი იყო...“

გიორგი, ძმა: „ბავშვობიდან სულ ერთად ვიყავით, აქაც და თბილისშიც. სულ ჩემზე ზრუნავდა, იმ დღესაც რამდენჯერმე მომაკითხა, როგორ ხარო. ბოლოს რომ მოვიდა, ძეხვი და პური დაგვირიგეს, მოერიდა, არ აიღო, მე სხვა ნაწილიდან ვარო. მე თვითონ მივუტანე ერთი ნაჭერი... მალე დაბომბვაც დაიწყო. დავკარგე, ვერ ვპოულობდი...“

გოგა სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს.

დედა: „ძალიან ძნელია მის გარეშე ცხოვრება... ერთი წელი მხოლოდ სასაფლაოზე დავდიოდი. აქვე ახლოს ბიჭებმა გოგას წყარო გააკეთეს, საღამოობით იქ გადავდიოდი და თავს ვინუგეშებდი. ჩემი შვილი ძალიან მაკლია, მაგრამ ის ხომ სამშობლოს კეთილდღეობას შეეწირა. სხვანაირი გოგა ნამდვილად ვერ წარმომიდგენია...“

კაპრალი

დიმიტრი ჯაილოვა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1971 - 2008

ეტერი რომ სენაკის ბაზას ბომბავდა, დიმიტრის დაჭრილი რეზერვისტები საავადმყოფოში მიჰყავდა. ორი გზა გააკეთა და გაიყვანა კიდეც დაჭრილი ბიჭები სამშვიდობოს, მესამედ რომ გამოდიოდა, პატარა ძმამ სთხოვა, დროებით თავი შეეკავებინა, ყველაფერი იბომბებოდა, მიწა დუღდა. დიმიტრიმ იუარა, დაჭრილ ბიჭებს ვერ მივატოვებო. ძმას დაემშვიდობა, გზატკეცილზე გამოვიდა და... ძმის თვალწინ აფეთქდა...

ძმა მივარდა, კარი გამოაღო. უფროსი ძმა უკვე გარდაცვლილი დახვდა...

ამ შემზარავი ფაქტის შემსწრე გიორგი ჯაილოვმა სულიერ ტრავმას ვერ გაუძლო და სერიოზულად დაავადებული გამოარიდეს სამხედრო სამსახურს...

ეს არის დედის თვალწინ დატრიალებული სამი შვილის ტრაგედია.

11 წლის იყო დიმიტრი ჯაილოვა-უმცროსი, 10 წლის ძმა მის თვალწინ რომ დაიხრჩო წყალში...

დედა, ციალა ჯაილოვა, მაშინ 26 წლის იყო... ცხოვრება გაგრძელდა, შვილმკვდარმა დედამ მესამე ვაჟი შვა... გამოხდა ხანი. დიმიტრი და მის ხელში გაზრდილი, 14 წლით უმცროსი ძმა – გიორგი, სენაკის ბაზაზე მსახურობდნენ. დიმიტრი კავშირგაბმულობის ასეულში მუშაობდა მძღოლად.

დიმიტრი ჯაილოვი 1971 წლის 10 მარტს დაიბადა ქუთაისში. 15 წლის ციალა ჯაილოვასთვის ის პირველი ვაჟი იყო. დედა გაიხსენებს, რომ დიმიტრი თავიდანვე ჭკვიანი და წყნარი ბავშვი ყოფილა, მაგრამ მას მერე, რაც ძმა მის თვალწინ დაიხრჩო, კიდევ უფრო გულჩათხრობილი გამხდარა. სწავლობდა ქუთაისის 34-ე საშუალო სკოლაში, მასწავლებლები მუდამ კარგად ახასიათებდნენ. 2 წელი მსახურობდა ლიპეცკში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 2004 წელს საკონტრაქტო სამსახური დაიწყო.

23 წლის იყო დიმიტრი, რომ დაოჯახდა. ზემო ნიქოზში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს – ეკა მჭედლიძეს.

2000 წელს პირველი შვილი შეეძინათ – ვაჟი.

ციალა ჯაილოვა: „სულ ჯარზე ელაპარაკებოდა ბავშვს, უნდოდა, რომ ბიჭი სამხედრო მოსამსახურე გამოსულიყო. ახლა ის 10 წლისაა. მეორე გოგონა შეეძინა 2001-ში და მესამე – ბიჭი, 2004-ში...“

დიმიტრი უკვე სამი შვილის მამა იყო, კონტრაქტი რომ გააფორმა სამშობლოსთან. პირველი ხელფასი მთლად საჩუქრებში დაუხარჯავს.

შრომობდა, ხარობდა შვილებით და არ დასცალდა...

ციალა ჯაილოვა, დედა: „სიტუაცია რომ დაიძაბა, შინ იყო. ძალიან დაუმძიმდა ხასიათი. ვკითხე, რატომ ხარ-მეთქი ასე შეფიქრიანებული. სამი ბავშვი რთული გასაზრდელიაო. შინიდან ბოლოს 1 აგვისტოს წავიდა, განგაშია გამოცხადებული და ერთი კვირა ვერ გნახავთ, ტელეფონით დაგიკავშირდებითო. გიორგიც იქ იყო... ხშირად ვესაუბრებოდი ბიჭებს ტელეფონით, სულ მამშვიდებდნენ. 8 აგვისტოს დღის მანძილზე რამდენჯერმე ვესაუბრე...“

სენაკის ბაზა დაიბომბა... დედა ღამის 2-ის ნახევარზე ურეკავდა შვილებს. დიმიტრი უკვე აღარ პასუხობდა... მეორე შვილს, გიორგის დაელაპარაკა...

დედა: „გიორგიმ მითხრა, ალბათ, სძინავსო... არადა უკვე გარდაცვლილი ყოფილა დიმიტრი და მე მიმალავდა...“

თავზარდაცემული ჯარისკაცი მწარე სიმართლეს უმალავდა დედას, მაგრამ დილით სხვა გზა არ იყო... დედასთან დარეკა...

დედა: „მთხოვა, მეზობელი დამალაპარაკეო. მისთვის უთქვამს, რაც მოხდა... თავიდან მიმალავდნენ, მაგრამ მერე მითხრეს, უკვე მოასვენებდნენ ცხედარს“.

გმირის ცხედარი მამისა და უმცროსი ძმის გვერდით დაკრძალეს...

გმირის უფროსი ვაჟი ჯარისკაცობას აპირებს – მამაჩემივით ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო...

მართლაც მწარეა ხვედრი, რომელიც გმირის დედას ერგო...

მას გმირი ვაჟი ხშირად ესიზმრება... „პირჯვარს გადაგვწერს და მეუბნება, დედა, აბა, შენ იცი, გამიზარდე ბავშვები...“

კაპრალი

გიორგი ღვინჯილია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1974 - 2008

ეს 2007 წლიდან მსახურობდა ჯარში, მაგრამ სულით მუდამ სამშობლოს ჯარისკაცი იყო – ერთადერთ ვაჟკაცს სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა, ხარობდა თავისი ერთი მუჭა ბედნიერებით, სანამ მტერი არ დაესხა ჩვენს ქვეყანას...

გიორგი ღვინჯილია 1974 წელს დაიბადა ფოთში. ფოთში დაამთავრა სკოლა, პროფსასწავლებელი, სავალდებულო სამსახურსაც ფოთში იხდიდა, იმ დროს უკვე დაოჯახებული იყო და როგორც მეუღლე, ლელა ჟვანია გაიხსენებს, ნაწილიდან ღამღამობით შინ იპარებოდა.

ლელა ჟვანია: „ნაწილი აქვე, სახლთან ახლოს იყო, საღამოობით ჩუმად გადმოდიოდა და დილაადრიან ბრუნდებოდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს, მერე გაიგეს და კარცერში გამოამწყვდიეს დიდი ხნით. უფროსებს ეუბნებოდა, ორი თვეა, ცოლი მოვიყვანე და მენატრებაო. ერთი წლის შემდეგ ბავშვი შეგვეძინა და მალევე გამოუშვეს ჯარიდან“.

გიორგი ღვინჯილიამ 2007 წელს კონტრაქტი დადო. მსახურობდა ფოთში, იყო კაპრალი, ირიცხებოდა სწრაფლმავალი კატარღის „შავი ზვიგენის“ ჯგუფში.

ლელა ჟვანია: „მეშინოდა და ხშირად ვეუბნებოდი, კონტრაქტს რომ ვადა ამოეწურება, აღარ გააგრძელო-მეთქი... სწყინდა, ასე ნუ მეუბნები, მე სამშობლოს სიყვარულის გამო ვარ ჯარში, თორემ ხელფასი სხვაგანაც მექნებოდაო. უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა... ძალიან მოსიყვარულე იყო, განსაკუთრებით ერთადერთ შვილზე ზრუნავდა, უნდოდა, ლევანს უზრუნველი მომავალი ჰქონოდა. 13 წელი ვიცხოვრეთ ერთად და არასდროს გული არ უტკენია... „ბოლოს შეცვლილი მეჩვენებოდა, რამეს რომ ვკითხავდით, პასუხის გაცემას აგვიანებდა, გათიშული დადიოდა, მიკვირდა, რა სჭირს-მეთქი. ეტყობა, რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა... განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო, ზედმეტ ყურადღებას იჩენდა... ახლა ვხვდები, რაში ყოფილა საქმე...“

ცოლ-შვილი ორი კვირის გასული იყო ქალაქგარეთ, ომი რომ დაიწყო.

ლელა ჟვანია: „8 აგვისტოს დამირეკა, მისი ბიძაშვილი რეზერვში გამოიძახეს, სენაკის ბაზაზე იყო, იმაზე დარდობდა. საკუთარ თავზე არ ფიქრობდა, მე არაფერი მომივაო, მეუბნებოდა... ფოთი რომ დაიბომბა, იმწუთას დავრეკე მასთან, არ მპასუხობდა, ავფორიაქდი, მის მეგობრებს დავურეკე, დამამშვიდეს, ნუ გეშინია, ახლახან ვნახე, აქ იდგაო, ალბათ, ტელეფონის ხმა არ ესმისო... დამამშვიდა, მაგრამ ვერ ვისვენებდი... მოგვიანებით დამირეკეს და მითხრეს, დაჭრილიაო... უკვე გარდაცვლილი ყოფილა, სულით ხორცამდე პატრიოტი იყო, ბაბუა ომის ვეტერანი ჰყავდა, მამამისი ჩერნობილის მოვლენების დროს ხალხის დასახმარებლად წავიდა, ეს ყველაფერი ეამაყებოდა, სულში ჰქონდა გამჯდარი სამშობლოს სიყვარული. ამბობდა, ვალდებული ვარ, ჩემი წინაპრების მსგავსად სამშობლოს ვემსახუროო, მე სამშობლოსთვის ვმუშაობო. არასოდეს არ იტყოდა, ფული მჭირდება და ჯარში იმიტომ ვარო... ოჯახის წევრებს ცხედარი არ გვინახავს, გვინდოდა, ისეთივე გვხსომებოდა, როგორიც იყო... ძალიან გვიმძიმს მის გარეშე ყოფნა, ჩემი დიდი იმედი და სიხარული მამის ერთადერთი, სათაყვანებელი ვაჟიშვილი ლევანია, ისეთი უნდა გავზარდო, როგორიც მამამისს გაუხარდებოდა, სამშობლოს სიყვარულს ვუნერგავ, რადგან ეს მამამისის დიდი ოცნება იყო...“

ლევანი ახლა 14 წლისაა. მამის გახსენება უმძიმს, ცრემლებს ვერ იკავებს, ტირის...

ლევან ღვინჯილია: „სამსახურიდან რომ მოვიდოდა, დამაჯენდა, იარაღის აწყობას მასწავლიდა, უნდოდა, ყველაფერი მცოდნოდა იარაღზე... სამშობლოს სიყვარულს მინერგავდა. ამბობდა, ვისაც სამშობლო არ უყვარს, ის კაცად ვერ ივარგებსო. უნდოდა, მეც მასავით განსაკუთრებულად მყვარებოდა სამშობლო. ცდილობდა, თავისუფალი დრო ჩემთან ერთად გაეტარებინა, ერთად წავსულვიყავით ზღვაზე ან სათევზაოდ, ბოლოს ოცნებობდა, მანქანა ეყიდა, ტარებას გასწავლიო, მპირდებოდა. მის გარეშე ყოფნა ძალიან მიჭირს... მეუბნებოდა, პროფესია შენ თვითონ აირჩიე, მე არ ჩავერევიო. მთავარია, სამშობლოსა და საკუთარ ოჯახს გამოადგეო. ვინც სამშობლოს არ გამოადგება, ის ვერც საკუთარი თავისთვის ივარგებსო, ამ სიტყვებს ხშირად მიმეორებდა...“

19

კაპრალი

ირაკლი ჯანელიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

Მცი წლის ჭაბუკს შინდისთან ჩასაფრებულმა მტერმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ბიჭები მედგრად იგერიებდნენ მტრის იერიშებს, მაგრამ მტრის ურიცხვობამ თავისი გაიტანა...

ის ბრძოლის ველზე დაეცა გმირულად.

მთელი სხეული დამწვარი ჰქონდა, მხოლოდ მარცხენა ბეჭი გადარჩა უვნებლად. ბეჭი, რომელზეც ჯვარი ჰქონდა ამოსვირინგებული... სწორედ ამ ნიშნით იცნო მამამ შვილის დამწვარი ცხედარი...

ირაკლი ჯანელიძე ნანატრი ვაჟი იყო ოჯახისთვის, ტყუპი დების შემდეგ რომ შეეძინათ მშობლებს.

დაიბადა 1987 წლის 19 დეკემბერს, ქუთაისში.

ჯარისკაცის მამა გაიხსენებს, რომ ირაკლი იყო წყნარი, მშვიდი და დამჯერი ბავშვი. 9 კლასის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ, სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ კოლეჯში გააგრძელა. 18 წლის გახდა თუ არა, უკვე 2006 წლის აგვისტოში, კოლეჯი არც დაუმთავრებია, ისე წავიდა ჯარში. 45-დღიანი კარანტინი სენაკში გაიარა და ისე, რომ მშობლებმა არც იცოდნენ, კონტრაქტი გააფორმა საქართველოსთან. მსახურობდა სენაკის მეორე ბრიგადაში, კავშირგაბმულობის ასეულში. იყო კაპრალი.

მანქანაზე ოცნებობდა თურმე და აიხდინა ოცნება – მანქანა იყიდა.

დღესაც სახლში ჰყავს ოჯახს ირაკლის მანქანა...

მამა გაიხსენებს, რომ ომის დაწყების წინა დღეებში ირაკლი გულჩათხრობილი გახდა.

მამა: „2-3 აგვისტოს სახლში მოვიდა, მაგრამ ისე იყო დაღვრემილი და ჩაფიქრებული, რომ სიტყვას არავის ეუბნებოდა. მგონი, იცოდა, რომ ომი იწყებოდა... 6 აგვისტოს ბიძაშვილი ჩამოიყვანა ჭიათურიდან, ქუთაისში საავადმყოფოში დააწვინა. მეორე დილას, 7 აგვისტოსაც ჩამოაკითხა და წავიდა... საერთოდ არაფერი უთქვამს. მე სახლში არ ვიყავი, საჩხერეში ვმუშაობდი იმ პერიოდში, დედასა და დებს უთხრა, ხვალ ჩამოვალო... მე ტელეფონით ველაპარაკე, არც ჩემთვის გაუმხელია არაფერი, არც ვიცოდი, რომ ომში იყო წასული... არც 9 აგვისტოს გამიმხილა, რომ ომში იყო, მითხრა, პოლიგონზე ვარო... ტელეფონზე ხშირად ველაპარაკებოდი და სულ გვამშვიდებდა. ბოლოს 10 აგვისტოს, ღამის 2 საათზე ველაპარაკე.

ვკითხე, სად ხარ, ცუდ ამბებს აცხადებენ-მეთქი. პანიკას ნუ აჰყვები, პოზიციებზე ვდგავართ და მალე ჩამოვალო. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი. ამის შემდეგ ვეღარ ვუკავშირდებოდით... 11-ში, 12-ში, 13-ში რომ აღარ დარეკა, უკვე ვგრძნობდი, რომ ცოცხალი აღარ იყო...

მაინც ვეძებდი, ხან ბორჯომში წავედი, ხან – ბაკურიანში, მერე გზები ჩაიკეტა. ნათესავებს ვთხოვე, თბილისის საავადმყოფოებში ეძებნათ – დაჭრილებში, მიცვალებულებში, ყველგან. 17-ში საღამოს დამირეკა ერთ-ერთმა ნათესავმა, ერთ-ერთ „ცინკის“ კუბოს „ჯანელიძე“ აწერიაო...

ამასობაში მთავრობიდანაც დამირეკეს და თავდაცვის სამინისტროში ამოცნობაზე დამიბარეს... 19 აგვისტოს გადმოვასვენეთ და დავკრძალეთ ქუთაისში...

ორი კი არა, ორი ათასი წელი რომ გავიდეს, ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ცხოვრება დასრულებულია... იმისთვისღა ვცოცხლობ, რომ მის ტყუპ დებს, ჩემს ქალიშვილებს მივაქციო ყურადღება...

ბავშვი უნდა მოენათლა ჭიათურაში, ვერ მოასწრო... დაიღუპა... მერე მე მთხოვეს, მის ნაცვლად მომენათლა. შარშან ნათლისღებაზე უნდა მომენათლა, მაგრამ წასვლის თავი არ მქონდა. წინა ღამით დამესიზმრა ირაკლი... ჭიშკართან დადიოდა. ვკითხე, სადა ხარ, ბიჭო, ამდენს ხანს, არ იცი, ხვალ გიორგი რომ უნდა მონათლო-მეთქი? ჩაფიქრდა და მერე მითხრა: დიდი ხნით მივდივარ მე და მოდი, მამა, შენ მონათლეო. მეორე დღეს წავედი, მოვნათლე ის ბავშვი...“

კიდევ ერთი ქართველი გმირი დაეცა სამშობლოსთვის ბრძოლაში.

რეზერვისტი

ოთარ კიკალეიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

ეტერი რომ სენაკის ბაზას ბომბავდა, ის ფეხზე იდგა და ბიჭებს დასძახოდა, ამხნევებდა: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო!!!“ სწორედ იმ დროს გაუყენა მტრის ბომბმა ის უკვდავების გზას...

დედა: „ბოლოს შეცვლილი იყო, განსაკუთრებით გალამაზდა ბოლო დღეებში. რომ ვუყურებდი, მიხაროდა...“

ოთარ კიკალეიშვილის ცხოვრებამ მართლაც უცებ გაირბინა... არადა თურმე შეყვარებული იყო, ცოლის მოყვანა უნდოდა მალე და 5 ბიჭი...

„სულ მეუბნებოდა, მალე ცოლი უნდა მოვიყვანო და 5 ბიჭი უნდა მეყოლოსო...“

ოთარ კიკალეიშვილი 1988 წელს დაიბადა ფოთში. სკოლის დამთავრებისთანავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობდა შპს „სოვავტოტრანსჯორჯიაში“, ჯერ ცვლის დისპეტჩერად, შემდეგ – უფროსის მოადგილედ.

დედა: „საოცრად მოსიყვარულე შვილი იყო, ბავშვობიდან ვერ იტანდა, როცა ვინმეს ჩაგრავდნენ, ყოველთვის სუსტის დამცველი იყო. ნაადრევად დაკაცდა, 16 წლისას უკვე ვენდობოდი, ნებისმიერ საკითხში შემეძლო, დავყრდნობოდი... უნდოდა, შეყვარებულისთვის სანთლებით გული დაეხატა ფანჯრების წინ, მთელი კვირა მანქანით დაჰქონდა სანთლები, ვერ ბედავდა, ერიდებოდა... ერთ დღესაც გაბედა, როგორც იქნა... თვითონვე გამოუძახებია პატრული, რამე ხომ არ დამიშავებიაო... პატრულს ბევრი უხალისია... ოთიკოს დაღუპვამდე 5 თვით ადრე, მისი უახლოესი მეგობარი ლექსო გვენეტაძე დაიღუპა. ძალიან განიცდიდა, ლექსოს დედას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ამბობდა, მზია დეიდას მეტი შვილი არ ჰყავს და გვერდში უნდა დავუდგეო...“

მზია გვენეტაძე, ლექსო გვენეტაძის დედა: „ოთიკოს სიკვდილი რომ გავიგე, ჩავთვალე, რომ მეორე შვილიც მომიკვდა... ოთიკო საოცრად დიდი ადამიანი იყო, სულ გვერდით მედგა... ლექსო ფიზიკურად ძალიან სუსტი იყო და ყოველთვის მის უკან იდგა, ვინმემ არ დამიჩაგროსო. მათი უახლოესი მეგობარი იყო შალვა გაბუნია, რომელიც ასევე სენაკის ბაზის დაბომბვისას დაიღუპა, აქაც სულ ერთად იყვნენ და იქაც ერთად წავიდნენ...“

ფატი კიკალეიშვილი: „გარდაცვალებამდე 4 თვით ადრე ტაძარში დაიწყო სიარული, მეუბნებოდა, მოძღვარს რომ დავინახავ, სული მინათდებაო. სულ მეხვეწებოდა, ტაძარში წამოდი და დედები რომ ლოცავენ შვილებს, ისე დამლოცეო, ვერ ვინელებ, ეს სურვილი რომ არ ავუსრულე...

ომი რომ დაიწყო, მაშინვე მითხრა, ომში უნდა წავიდეო, სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვინ დამიჯერა... 8 აგვისტოს მერიის შენობის წინ მანქანით შემთხვევით ჩაიარა, თურმე რეზერვისტები იყვნენ შეკრებილი, ბევრი თავისი მეგობარი დაუნახავს იქ, უთქვამს: ბიჭებო, თქვენ გვერდით ვარ, მეც მალე მოვალო. მოვიდა და გამომიცხადა, ომში უნდა წავიდეო. გავგიჟდი, არ მინდოდა გაშვება, მითხრა, ბიჭებს სიტყვა მივეცი და არ გადავთქვამო, ისინი ომში მიდიან და მე სახლში ვიყოო! ამას სიკვდილი მირჩევნიაო... რეზერვისტებისთვის ხატები დაურიგებია, ხელები გაუშლია და უთქვამს: ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ხომ ხედავთ, რამხელა ვარ, ყველას გადაგეფარებითო... მართლაც ასე მოხდა... საღამოს 10 სათზე ველაპარაკე, მამშვიდებდა, ნუ ტირი, არაფერი მომივაო... მისი მეგობარი იხსენებდა, დაბომბვის დროს ყველანი გავიფანტეთ, ვინ სად გარბოდა და ვინ – სად, ოთო ფეხზე იდგა და დაგვძახოდა: ნუ გეშინიათ, ბიჭებოო... ეს იყო თურმე მისი ბოლო სიტყვა... დაბომბვის შემდეგ ვურეკავდი, არ მპასუხობდა, თავზარდაცემული ვიყავი, ჩემი მეუღლე ახლობელთან ერთად სენაკში წავიდა ოთოს მოსაძებნად, ბაზაზე ვერ იპოვეს, საავადმყოფოში კი... გარდაცვლილი დახვდა. მიცვალებულიც განსაკუთრებულად ლამაზი იყო... უყვარდა იარაღი, ფორმა. სულ იმეორებდა, ვაჟკაცმა სამშობლოსთვის უნდა იბრძოლოსო... ახლაც იქიდან გვიცავს და გვამხნევებს... ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე რომ ელოდა, ალბათ, ამიტომაც გამოირჩეოდა ასე სხვებისგან. მის მონატრებას ვერ ვუძლებ, გულს იმით ვიმაგრებ, რომ ჩემი შვილი სამშობლოს სიყვარულს შეეწირა... ტაძარში სიარული და ლოცვა მაძლებინებს...“

უმცროსი სერჟანტი

მამია ფანცულაია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1979 - 2008

დღე-დღეზე ნანატრი შვილის გაჩენას ელოდა, საქართველოს რომ რუსეთი დაესხა თავს და ომში გაიწვიეს. ბოლოს 9 აგვისტოს, დილით, ესაუბრა მეუღლეს, მოიკითხა, გაამხნევა, ბავშვზე იფიქრეო, უთხრა და... ნახევარ საათში რუსის ნასროლმა ტყვიამ გული გაუპო...

მამია ფანცულაია 9 აგვისტოს დაეცა გმირულად ხეთაგუროვაში.

9 აგვისტოს მოევლინა ქვეყანას მისი გოგონა – ანა...

მამაია ფანცულაია 1979 წელს დაიბადა აფხაზეთში, გუდაუთაში, სოფელ აბგარხუკში. მშობლებისთვის მესამე შვილი იყო. როგორც იხსენებენ, ძალიან წყნარი და გულჩათხრობილი ბავშვი ყოფილა. მეხუთე კლასში იყო, ოჯახი კოპიტნარში რომ გადავიდა საცხოვრებლად. სკოლის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა, სამხედრო ვალი ქუთაისში მოიხადა და ჯარში დარჩა, ტყიბულში მსახურობდა, ნაწილის დაშლის შემდეგ კი, 2005 წლის მარტში, კონტრაქტი გააფორმა საქართველოსთან. მსახურობდა სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში, 22-ე ბატალიონში, ათმეთაურად.

კონტრაქტის გაფორმებამდე მომავალი მეუღლე – მაია ცინაძე გაიცნო. 2 წელი უყვარდათ ერთმანეთი.

მაია ცინაძე: „ერთი წელი ერაყში იყო, იქიდან რომ ჩამოვიდა, 2006 წელს, ჩუმად გავიპარეთ... ძალიან თბილი ადამიანი იყო... ერთი წელი არ მყავდა ბავშვი და ძალიან გაგვიხარდა, როცა დავფეხმძიმდი. აგვისტოში, როცა წავიდა, უკვე დღე-დღეზე ველოდი ბავშვს. ოცნებობდა, რომ გოგო ჰყოლოდა და სახელიც დაუტოვა: ანა დავარქვი... 5 აგვისტო იყო, შინ რომ მოვიდა, ძალიან გულჩათხრობილი იყო. დედაჩემი ახლოს ცხოვრობს, გასვლა მინდოდა მასთან და არ გამიშვა, სახლში იყავიო... მოწყენილი იყო მთელი ის დღე. გული უგრძნობდა... მეგობრებისთვის უთქვამს: ცხინვალში მიშვებენ და ვიცი, ცოცხალი ვერ დავბრუნდებიო... გარდაცვლილი ბიძაშვილი გოგონა დასიზმრებია, რომელსაც უთქვამს: დღეს ჩემთან უნდა წამოხვიდეო და იმ დღეს დაიღუპა მართლაც...“

მამია შინიდან 6 აგვისტოს, დილით, გავიდა. მეუღლე გაიხსენებს, როგორ გადაეხვია გამომშვიდობებისას, ჩაირბინა კიბეები და... როგორ აბრუნდა უკან, გადაეხვია და უკანმოუხედავად წავიდა...

მამია ფანცულაია ორ ჯარისკაცთან ერთად იყო დატოვებული დასაზვერად ხეთაგუროვაში, ეკლესიის ეზოში. თანამებრძოლები რომ დაბრუნდნენ, მამია გარდაცვლილი დახვდათ – გულში მოხვედრილი ტყვიით... გარდაცვლილი იყო მეორე ჯარისკაციც, მესამე – მძიმედ დაჭრილი. ის დაჭრილი გაიხსენებს, როგორ მოცელა მტრის ტყვიამ მისი თანამებრძოლები, როგორ დაიჭრა შემდეგ თავადაც...

მამიას დაღუპვა ოჯახს მეორე დღეს შეატყობინეს. მეუღლე უკვე საავამდყოფოში იწვა – ანა საკეისერო კვეთით მოევლინა ამ ქვეყანას. მაიამ მხოლოდ კვირისთავზე, სამშობიაროდან გამოსულმა გაიგო, რომ ანა ობოლი იყო... ოჯახი მიცვალებულს ვერ პოულობდა, 3-4 დღის ძებნის მერეღა მიაკვლიეს გორის ჰოსპიტალში... დაკრძალეს კოპიტნარში...

პატარა ანა სურათებით იცნობს გმირ მამას...

მეუღლე: „სულ ელაპარაკება მამის სურათებს. ბურთები მამამ მომიტანაო, იძახის... ძალიან ძნელია ცხოვრება მის გარეშე... იშვიათად მესიზმრება, მაგრამ რომ ვნახულობ, ზუსტად ისეთია, როგორიც ცხოვრებაში იყო...“

კაპრალი

ზაურ მახარაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

8 აგვისტო... შუაღამე... 144-ე ბატალიონის მე-4 ბრიგადა ვაზიანიდან ცხინვალის მისადგომებისკენ მიმავალ გზას დაადგა. ეს ბრძანება იყო. მეოთხე ბრიგადაში 21 წლის ზაურ მასხარაშვილიც მსახურობდა. სიბნელეში ბევრი სოფელი გაიარეს და რაც უფრო უახლოვდებოდნენ ცხინვალს, სროლის ხმაც უფრო ახლოს ისმოდა...

ცხინვალთან უკვე ომი იყო.

შინდისთანორმოშიჩავარდნილი,ფეხმოტეხილიმეგობარი იპოვა, რომელიც შველას ითხოვდა. მეგობრებისთვის ეს წუთები საბედისწერო აღმოჩნდა... მტრის თვითმფრინავმა ბომბი ზუსტად მაშინ ჩამოაგდო, როცა ზაურს დაჭრილი მეგობარი ორმოდან ამოჰყავდა... ორივე ადგილზე დაიღუპა. მას გულის ჯიბეში რვეული ედო, ამ სისხლიან და ნატყვიარ ჩანაწერებს დედამისი დღემდე ინახავს. ეს დაღუპული გმირის დედისთვის, დარეჯან მახარაშვილისთვის ყველაზე ძვირფასი და ხელშეუხებელი ნივთია...

ზაურ მახარაშვილი 1987 წლის 27 ნოემბერს, ხაშურის რაიონში, ზემო ოსიაურში დაიბადა. ის ოჯახში მესამე, მაგრამ ერთადერთი ვაჟი იყო.

დარეჯან მახარაშვილი: „27 ნოემბერს 23 წლის გახდებოდა... 21 წლის იყო, ვაზიანში რომ წავიდა. 9 თვე წვრთნებს გადიოდა. უცხოელები ავარჯიშებდნენ და ეს განსაკუთრებულად მოსწონდა. ფიზიკურად ძლიერი იყო. ჩემი შვილი სნაიპერი გახლდათ...

მთელი ბავშვობა უკან დავყვებოდი და სულ მაგაზე მეჩხუბებოდა, პატარა ხომ არ ვარო... საერთოდ, ძალიან წყნარი ბავშვი იყო. სურათების გადაღება უყვარდა ძალიან.

აქვე, სოფელში დაამთავრა სკოლა. ყველას ძალიან უყვარდა, ძალიან მხიარული იყო...

ზუსტად ერთ კვირაში ერაყში მიდიოდა. ძალიან უხაროდა. პასპორტის გაკეთება რომ დაიწყო, ვეხვეწებოდი, გადაიფიქრე-მეთქი, მაგრამ მამშვიდებდა, 6 თვე უცბად გავაო... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... სახლში ყოველ პარასკევს ჩამოდიოდა. თუ ვერ ახერხებდა, აუცილებლად დარეკავდა და გამაფრთხილებდა. ერთი დღითაც რომ ჩამოსულიყო, აუცილებლად მომეხმარებოდა, ყველაფრის საკუთარი ხელით გაკეთება უყვარდა.

2008 წლის ივლისის ბოლოს ზაური ოჯახმა და მეგობრებმა ერთად გააცილეს. წასვლამდე მან თავის ძმაკაცებს სათითაოდ ხუთ-ხუთჯერ ჩამოუარა, რა იცით, რა ხდებაო... წასვლის წინა ღამეს კი თავის პატარა დისშვილს საათობით უყურებდა, მინდა, პატარას სახე კარგად დამამახსოვრდესო... ხელფასს რომ აიღებდა, ძმაკაცებს ყიდულობდა საჩუქრებს. განსაკუთრებით ერთი ძმაკაცი უყვარდა. მამუკა ობოლი იყო და ძალიან ეცოდებოდა. თავისი ხელფასიდან ყოველ თვეში 50 ლარს ჩუქნიდა. ერთხელ წასული იყო, როცა დისშვილი ცუდად გაუხდა. როგორც კი გაიგო, მაშინვე ჩამოვიდა, ჩვენ სამკურნალო თანხა არ გვქონდა. ზაურმა ბანკიდან სესხი გამოიტანა და მან გადაგვირჩინა პატარა შვილიშვილი... მეც მიმკურნალა, ოპერაციაც გამიკეთა თავისი ხელფასით“.

კონტრაქტის გაფორმება ზაურმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა, ომი თუ დაიწყება, სად დავიღუპები, რა მნიშვნელობა აქვს, თუ წავედი, უკან მაინც ვეღარ დავბრუნდებიო, ძმაკაცისთვის უთქვამს... იგივე განცდა შვილის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ზაურის დედასაც ჰქონია.

დარეჯან მახარაშვილი: „მეზობლის სამძიმარზე ვიყავი წასული და რომ მივედი, რატომღაც გარდაცვლილი ქალის მაგივრად კუბოში ზაზა მომეჩვენა... სიზმარიც ვნახე... ამ ყველაფერმა ძალიან შემაშინა და მამაოს მოვუყევი... თურმე 8-ში უკვე დაღუპული იყო, ჩვენ კი რამდენიმე დღის მერე გავიგეთ“.

ზაურის მეგობრებმა მისი დაღუპვა ოჯახის წევრებზე ადრე გაიგეს. თუმცა ვერავინ ბედავდა, ეს მათთვის ეთქვა. თითქმის ყოველდღე მიდიოდნენ ზაურის მშობლებთან, ხან დებთან, მაგრამ სიმართლეს ვერ ეუბნებოდნენ: „ზაური ტყით გამოდის და რამდენიმე დღეში უკვე აქ იქნება... ზუსტად ვიცით, რომ ცოცხალია, თუმცა გვეუბნებიან, რომ დაჭრილია, მაგრამ საშიში არაფერიაო...“

შვილის მეგობრების სიტყვებში ეჭვი არ შეუტანიათ ზაურის მშობლებს. ზაურის დედა შვილის მეგობრებს ზუსტად იმ სიტყვებით ეფერებოდა, როგორც საყვარელ შვილს...

დარეჯან მახარაშვილი: „ერთ დღეს ჩემი შვილის მეგობარი ვნახე, ვთხოვე, თუ რამე იცი, მითხარი-მეთქი. თურმე ზუსტად მაგ დროს ტელევიზორში უჩვენებიათ გარდაცვლილი ზაურის კადრები...“

ზაურს, ალბათ, ბევრი ოცნება დარჩა აუსრულებელი. მშობლებმა მხოლოდ ორი იციან. ომიდან დაბრუნების შემდეგ ის ცოლის მოყვანასა და მანქანის ყიდვას აპირებდა. ამის შესახებ თავად უთხოვია დედისთვის. რომ დავბრუნდები, სახლი უნდა გავალამაზო და ცოლი მოვიყვანოო...

ზაური 19 აგვისტოს დაკრძალეს. სწორედ ამ დღეს გმირის დედას ერთ ისტორიას მოუყვნენ: „მტრის სამხედრო ვერტმფრენმა ბომბი რომ ჩამოაგდო და მოშორებით მდგარმა სხვა მეომარმა დაინახა, ზაური როგორ დაეცა მიწაზე, ავტომატი იმ ვერტმფრენს მიუშვირა და მტერს პირდაპირ შუბლში მოარტყა ტყვია... ჩემი მეგობრის სიკვდილს არავის შევარჩენო, – ასე უთქვამს იმ ბიჭს... არ ვიცი, ეს მართალია თუ არა... მარტო ის ვიცი, რომ მეც და ჩემს ქალიშვილსაც ძალიან ხშირად გვესიზმრება და თან ორივეს ერთნაირად. გვეუბნება, რომ ძალიან კარგად არის და არ ვინერვიულოთ...“

სერჟანტი

ვაჟა შაინიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1982 - 2008

ცხინვალში იყო, საქართველოს მიწაზე, სამშობლოს იცავდა რუსული აგრესიისგან. ბოლომდე გაშმაგებით ებრძოდა მტერს, იმ იმედით, რომ დაკარგულ ტერიტორიას დაუბრუნებდა სამშობლოს. ჭურვის აფეთქებას ემსხვერპლა, ცხინვალის მიწაზე დაიღვარა მისი სისხლი – ქართული, პატრიოტული, ვაჟკაცური, გმირული.

წოდებით უმცროსი სერჟანტი იყო.

ირინა შაინიძე, მეუღლე: „ომში რომ მიდიოდა, მიმალავდა. „სენაკში ვარ, არ მივდივარ ომშიო“... არადა ამ დროს უკვე ცხინვალში ყოფილა.

ბოლო დროს ძალიან გაღიზიანებული იყო, მაგრამ ბავშვის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოს იჩენდა. როგორც არ უნდა საშინელ ხასიათზე ყოფილიყო, ბავშვს რომ შეხედავდა, ყველაფერი ავიწყდებოდა...

ბოლოს სახლიდან 4 აგვისტოს გავიდა, არ უყვარდა, რომ ვაცილებდი. იმ დღეს დილის 5 საათზე ადგა და რომ გადიოდა, მთხოვა, გამაცილეო. ძალიან გამიკვირდა, მიჩვეული ვიყავი, რომ არ ვაცილებდი, ბავშვს დედაშენს დავუტოვებ და გამოგყვები-მეთქი. არა, მინდა, რომ შენ და ბავშვი ერთად იყოთო. ვკითხე, ასე რატომ მელაპარაკები-მეთქი? თან ჯვარი ჰქონდა მოხსნილი და ვუთხარი, გრჩება-მეთქი. სახლში იყოს, რამე რომ მოხდეს, არ დავკარგოო. სახლიდან რომ გავიდა, მომაძახა, ბავშვს მიხედეო. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. რომ წავიდა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ უკანასკნელად ვნახე... 10 აგვისტოს ტელეფონზე ვურეკავდი, არ მპასუხობდა. მესიჯებს მიგზავნიდა. მივწერე, რატომ არ გველაპარაკები, ბავშვს ენატრები, შენთან ლაპარაკი უნდა-მეთქი. და დაგვირეკა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბავშვს რომ ელაპარაკებოდა, ტელეფონზე მათი საუბარი ჩავიწერე.

11 აგვისტოს ხუთ საათზე ველაპარაკე, აფეთქების ხმები მესმოდა. რა ხდება-მეთქი? არაფერი, თვითმფრინავმა გადაგვიფრინა და მაგის ხმა იყოო... ბოლოს მითხრა, ბავშვს მიხედე და აბა, კარგად იყავიო. გამითიშა... არადა დათქმული გვქონდა, ყოველდღე დილის 7-ზე, 12-ზე და საღამოს 10 საათზე მირეკავდა...

11 აგვისტოს, რომ აღარ დამირეკა, თავზარი დამეცა. ვრეკავდი, ზარი გადიოდა, მაგრამ ტელეფონს არ პასუხობდა. მერე გავიგეთ, სადაც ვაჟა იყო, ის ადგილი დაბომბესო. გვითხრეს: გადარჩა, დაჭრილიაო. კასეტური ბომბის ანასხლეტი მოხვდა... მისი თანაკლასელი დაბრუნდა ომიდან. საერთოდ, არ დამელაპარაკა, გამარჯობაც ვერ მითხრა, ისე წავიდა. გავოცდი, ზვიადი რატომ არ დამელაპარაკა, რამეს ხომ არ მიმალავს-მეთქი. 17 აგვისტოს ბიძამისმა დამირეკა და მითხრა: ვაჟა აღარ არისო. სახლში მომიყვანეს... ღმერთს მადლობა, რომ ის 6 დღე უპატრონოდ არ იყო. გორის ადგილობრივ მაცხოვრებლებს ნაუცბადევად დაუკრძალავთ... 3 წლის იყო მერაბი, როცა ვაჟა დაიღუპა... კარგად ახსოვს მამა და ხშირად ითხოვს, ის ვედეოკასეტები ჩავურთოთ, სადაც მამამისია...

ამბობს, მამა ჯარშია და მეც ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო...“

ვაჟა შაინიძე 1982 წლის, 2 თებერვალს ქობულეთის რაიონში, სოფელ ჯიხანჯურში დაიბადა. მისი ბავშვობის ოცნება ჯარისკაცობა იყო და აისრულა კიდეც...

ირინა შაინიძე, მეუღლე: „სამი თვე ვიცნობდით ერთმანეთს. ძალიან უცებ მოხდა ჩვენი დაქორწინება... სკოლაც არ მქონდა დამთავრებული. მერე კონტრაქტზე წავიდა. წლისთავზე მერაბი შეგვეძინა, ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა ბავშვს. სასწაულად იყო შეყვარებული სამსახურზე. ვერც ბავშვის ავადმყოფობამ ათქმევინა უარი ჯარზე და ვერც მე...

კონტრაქტს 2003 წელს მოაწერა ხელი. სენაკის 23-ე ბატალიონში, მეორე ქვეით ბრიგადაში იყო... 2005 წელს ერაყში იმსახურა 6 თვე, სამშვიდობო მისიით. სამსახურიდან გამომდინარე, სახლში იშვიათად უწევდა ყოფნა. 2008 წელს ამთავრებდა კონტრაქტს, რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ... არასდროს არ უთქვამს, დავიღალე და კონტრაქტს რომ დავამთავრებ, სახლში წამოვალო. მართლაც არ წამოვიდა.

ცხოვრებაში ამაზე ძნელი არაფერია, როცა მეორე ნახევარს კარგავ, მაგრამ მეამაყება, რომ გმირის მეუღლე მქვია და მის შვილს ვზრდი“.

კაპრალი

თემურ ბოკუჩავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

ჯარისკაცმა თავის ბიჭუნას ალექსი დაარქვა. მეუღლემ ჰკითხა: „რატომ მაინცდამაინც ალექსი?“ ჯარისკაცი მეუღლეს დაჰპირდა, რომ ბავშვის ნათლობისას ეტყოდა, „რატომ მაინცდამაინც ალექსი“.

ბავშვი 28 აგვისტოს უნდა მოენათლათ.

8 აგვისტოს ის გმირულად დაეცა ცხინვალის მისადგომებთან და ეს საიდუმლო თან ჩაიტანა მიწაში, იმ მიწაში, რომლის დაცვასაც შესწირა თავი.

თემურ ბოკუჩავა სოხუმელი იყო. 1983 წელს დაიბადა სოხუმში. ათი წლისაც არ იყო, მშობლიური ქალაქი რომ დაატოვებინა მტერმა. ოჯახი სენაკში გადავიდა საცხოვრებლად. სწავლობდა სენაკის მეშვიდე საშუალო სკოლაში, რომელიც ახლა მისი სახელობისაა.

მაია ცეცხლაძე, მეუღლე: „ძალიან კარგი მოსწავლე ყოფილა, ამასთანავე, ძალიან ცელქი...“

ბავშვობა დევნილობასა და ოცნებაში გაილია – სოხუმში დაბრუნებულიყო. გაილია ბავშვობა, მაგრამ არ გაილია თავად ეს ოცნება...

„ამბობდა, სოხუმში დროშა მე უნდა ავაფრიალოო, სულიერად იყო მეომარი...

სოხუმი სტკიოდა ძალიან... ჩვენ რომ დავოჯახდით, მას უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი. არც მე ვყოფილვარ წინააღმდეგი, სულ ამბობდა, სოხუმელი ვარ და ჩემი სამშობლო მე თუ არ დავიცავი, ვინ დაიცავსო...“

თემურ ბოკუჩავა ჯარში 2001 წელს გაიწვიეს, მსახურობდა სენაკში, იყო კოდორის ხეობაში, ცხინვალის სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში. სამშობლოსთან კონტრაქტი 2006 წელს გააფორმა.

2007 წელს კი მომავალი მეუღლე – მაია ცეცხლაძე გაიცნო.

თავიდან მაიას უმალავდა, ჯარისკაცი რომ იყო. მალე ერთმანეთი შეუყვარდათ.

მაია: „ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში, სულ სიყვარულს მიმტკიცებდა. ერთხელ მახსოვს, საღამოს ჩამოვიდა და მთხოვა, გამოდი, შემხვდიო. გვიანი იყო, ვერ გამოვალ-მეთქი, ვუთხარი. მაშინ სახლთან გამოდიო, გავედი და უზარმაზარი ვარდების თაიგული მომართვა... სამ თვეში დავქორწინდით. დაქორწინების შემდეგ ხელფასი აიღო თუ არა, სახლისთვის ავეჯი შევიძინეთ. სულ ოჯახზე ზრუნავდა... წელიწადი და ორი თვე ვიყავით ერთად. ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ექოსკოპიაზე მითხრეს, გოგო გეყოლებათო. თემურს არაფერი უთქვამს. რამდენიმე თვის შემდეგაც იგივე მითხრეს, მეცხრე თვეში რომ ვიყავი, უკვე მითხრეს, ბიჭიაო. არ დაიჯერა, სულ თან დამყვებოდა კონსულტაციაში. ბიჭი რომ შეგვეძინა, თურმე მთელი 15 წუთი გაოგნებული იდგა, უსიტყვოდ. მერე უთქვამს, ვიცოდი, რომ ბიჭი მეყოლებოდა, ოღონდ არ ვამხელდიო... ძალიან მოსიყვარულე მეუღლე იყო, ოცნებობდა, ბავშვს ჰქონოდა ყველაფერი, რაც მას დევნილობის დროს დააკლდა. უნდოდა, ალექსი ექიმი გამოსულიყო, კერძოდ, ქირურგი... ბევრი შვილის ყოლაზე ოცნებობდა. ამბობდა, მეორე გოგო მინდაო, აქეთ-იქით ჩავკიდებ ბავშვებს ხელს და ვასეირნებო... მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა, გვარდიაში უნდოდა გადასვლა, როგორც კი კონტრაქტს ვადა ამოეწურებოდა...“

თემური შინ ბოლოს 6 აგვისტოს გვიან მივიდა და დილაადრიან გავიდა სახლიდან.

მაია: „გაუთავებლად ვურეკავდი, მაგრამ ვერ ვუკავშირდებოდი... ბოლოს 8 აგვისტოს პირველ საათზე დამირეკა, მამშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნება, შენ ნუ გეშინიაო. მთხოვდა, შენში ვაჟკაცი გოგო იმალება და ალექსის მიმიხედეო... ერთსა და იმავეს მიმეორებდა, ალექსის მიმიხედეო, ამან ამაფორიაქა ძალიან, მერე გავიგე, რომ 2 საათზე დაიღუპა ცხინვალის შესასვლელთან, დაბომბვების დროს... 11 აგვისტოს გადმოასვენეს, უამრავი ჭრილობა ჰქონდა... სულ ვეხვეწებოდი, თავს მიხედე-მეთქი. ერთხელ ისიც კი მივწერე, დაყარე იარაღი და გამოიქეცი-მეთქი, სასოწარკვეთილი ვიყავი და არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი... პასუხი მომწერა, ზურგში ნასროლი ტყვიით არ დავბრუნდებიო... რაც დავოჯახდით, რაღაც ავი წინათგრძნობა მქონდა, რომ ბოლომდე ერთად ვერ ვიქნებოდით... ერთხელ ვუთხარი კიდეც... დამამშვიდა, ნუ გეშინია, ჩვენ სიკვდილიც ვერ დაგვაშორებსო... სახლიდან რომ გავიდა, აბაზანაში შევედი, სარეცხი უნდა გამერეცხა. მისი ტანსაცმელი იდო გასარეცხად, შარვალი და მაისური არ გავრეცხე, იქნებ ვერ დაბრუნდეს და მისი ბოლო ჩანაცვამი ტანსაცმელი დამრჩება-მეთქი... ასეც მოხდა... დაღუპვამდე 10 დღით ადრე სიზმარში აბოდებდა: „ტანკები, ტანკებიო“, გავაღვიძე, არ დაიჯერა, რომ ბოდავდა, ტანკებს რა დამასიზმრებდა, მაშაყირებო. ხშირად ამბობდა, რომ მოვკვდე, არ მენანება, ბიჭი მაინც მყავსო...

თბილი და მოსიყვარულე იყო. ასეთები იშვიათად იბადებიან... ამბობდა, სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთ, ფორმას არ გავიხდი და ჯარს არ დავტოვებო...

უმისოდ ძალიან ნელა მიდის ცხოვრება... ხშირად მესიზმრება... მის სიახლოვეს ვგრძნობ, ვიცი, რომ ჩემს გვერდით არის და თავის შვილს მფარველობს. მის ბოლო თხოვნას ვასრულებ, ალექსს ვზრდი...“

საზღვაო კაპრალი

თემურ ფიჩხაია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

4 წლის იყო, ბაღიდან მასწავლებელს რომ გაეპარა და ხიფათი შეემთხვა – ხარმა რქებით ათრია... უვნებელი გადარჩა. მაშინ ეს ბედისწერად ჩათვალეს და დიდხანს სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს...

დედა გაიხსენებს, რომ მისი შვილი ბავშვობისას ხშირად ავადმყოფობდა, რომ იყო ხიფათიანი, გაიხსენებს იმას, როგორ აკითხავდა სავალდებულო ჯარში და როგორ უჩიჩინებდა: შვილო, ჯარს რომ მოიხდი, კაცი გახდებიო. ვნახოთ, ვნახოთო, – პასუხობდა თემური და... ის მარტო კაცი კი არა, გმირი გახდა...

თემურ ფიჩხაია 1987 წლის 20 აპრილს დაიბადა ფოთში.

ეთერ ფიჩხაია, დედა: „სკოლაში საუკეთესო მოსწავლე იყო, მასწავლებლები მისი ქებით არ იღლებოდნენ... ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ ჰიდროტექნიკურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, გემთშემკეთებლის ფაკულტეტზე. მერე ჯარში გაიწვიეს, მსახურობდა გორში, ხაშურში, ასევე მე-8 ბატალიონში...“

ჯარის მოვლიდან სამ თვეში ისევ ჯარში დაბრუნდა – კონტრაქტი გააფორმა, მსახურობდა ფოთში, სწრაფლმავალი კატარღის დივიზიონში, „შავი ზვიგენის ჯგუფში“. იყო კაპრალი. სულ 4 თვე ემსახურა სამშობლოს...

დედა: „თემური მალე შეეჩვია თავის ნაწილს. სულ გამოწკეპილი დადიოდა. სახლიდან რომ გავიდოდა, თვალს ვაყოლებდი და ვფიქრობდი, ღმერთო, რა კარგი შვილი მყავს-მეთქი. ერთბაშად გასუქდა, დაკაცდა, უკეთესობისკენ შეიცვალა. განსაკუთრებულად იქცეოდა და მიკვირდა კიდეც...“

შვილის დაკაცებით გულგახარებულ დედას, ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ავი სიზმრები აეკვიატა...

დედა: „ბოლო ერთი კვირა, ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრებოდა... თითქოსდა თემური პატარა იყო და წყალში მივარდებოდა... როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემი შვილი დაიღუპებოდა... განგაში რომ გამოცხადდა, ერთგვარმა შიშმა ამიტანა...

თემური ამბობდა, სამშობლოს ვერავინ წაგვართმევს, სიცოცხლის ფასად დავიცავთო. ჩვენ, ვისაც სამშობლო გვიყვარს, ბევრნი ვართ და ვერავინ მოგვერევაო. ეტყობა, გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას... 8 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე დამირეკა, დამამშვიდა, მოგვიანებით მოვალო. პირველივე დაბომბვისას დაიღუპა ჩემი შვილი... მეგობრები იხსენებდნენ: ვერ ისვენებდა, გარეთ გავიდა სიგარეტის მოსაწევად და რამდენიმე წუთში დაბომბვაც დაიწყოო... დაბომბვა რომ დაიწყო, ირგვლივ ყველაფერი განათდა, საღამურისამარა წამოვვარდი ლოგინიდან, ფანჯარა გავაღე, გავკიოდი: თემურ, შვილო, შენ ხომ არ შეგემთხვა რამე-მეთქი... ქუჩაში გამოვვარდი და ყველას ვეკითხებოდი, ჩემს შვილს რამე ხომ არ მოუვიდა-მეთქი... ეტყობა, ვგრძნობდი მოახლოებულ უბედურებას... ტელეფონზე ვერ ვუკავშირდებოდი... ის ღამე თეთრად გავათენე... დილით ჩემმა დისშვილმა გამაგებინა ეს უბედურება... გარდაცვლილი თემურის სხეული, სახე არ მინახავს, ისე დავკრძალეთ, მინდა ისეთი მახსოვდეს, როგორიც იყო...

დაუზარელი ბიჭი იყო, ძალიან უნდოდა, სახლი აეშენებინა და ცოლი შეერთო. შეყვარებული იყო, მაგრამ არ დასცალდა... პირველი ხელფასით კომპიუტერი იყიდა, მეუბნებოდა: ნუ გეშინია, დედა, მტერი ვერ მომერევაო... ჩემი სიმწრით გაზრილი შვილი სამშობლოს სიყვარულს შეეწირა, გული მიკვდება, ის რომ აღარაა, მაგრამ მეამაყება, სამშობლოს სიყვარულისთვის რომ გაწირა თავი...“

უფროსი სერჟანტი

გელა თიგიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1972 - 2008

ველა თიგიშვილი ცხინვალთან, რუსეთის საავიაციო იერიშის დროს დაიღუპა. მოწინავე პოზიციაზე მდგარა თანამებრძოლებთან ერთად. არავინ იცის, სნაიპერმა იმსხვერპლა თუ ჭურვმა. ბიჭებმა ის უკანასკნელად ბრძოლის ველზე გარდაცვლილი ნახეს, მაგრამ ცხელი წერტილიდან ვერ გამოიყვანეს. ოჯახმა ის უნახავად დაიტირა. ბოლო საუბარი მეუღლესთან 7 აგვისტოს ჰქონდა.

ირმა ჯაფარიძე, მეუღლე: „6 აგვისტო რომ თენდებოდა, გამოიძახეს და მას შემდეგ აღარ მინახავს. სახლიდან გასვლის წინ და შემოსვლისას ერთმანეთს ვკოცნიდით ხოლმე. იმ ღამესაც კოცნით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. სახლიდან რომ გავიდა, ისე მშვიდად დამეძინა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა, უბედურება დაგვმართოდა. რომ დავრეკე, მითხრა, გორში ვარო და ცხინვალთან ყოფილა. ეგ რომ ნამდვილად გორში ყოფილიყო, დღეს ცოცხალი იქნებოდა. ბევრი ამბობს, მკვდარი ვნახეთ გელაო, მაგრამ გარდაცვლილი ვერავინ იპოვა. გადმოცემითა და ვერსიებით ვიცი, რომ სამხედრო პიკაპში მასთან ერთად კიდევ ოთხი სამხედრო იჯდა... ვინც მას ახლდა, ყველა ცოცხალია. საჰაერო დაბომბვა რომ დაიწყო, დაიფანტნენ. სნაიპერმა მოკლა თუ დაიბომბა, არაფერი არ არის ცნობილი. 7 აგვისტოს ველაპარაკე ბოლოს და მას შემდეგ აღარანაირი კავშირი არ მქონია.

სულით მებრძოლი ადამიანი იყო ჩემი ქმარი და ზუსტად ვიცი, არაფერზე უკან არ დაიხევდა.

წოდებით უმცროსი სერჟანტი იყო. ვაზიანის მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა. ჯერ უზრუნველყოფის ბატალიონში დაიწყო მუშაობა, მერე კავშირგაბმულობაში გადავიდა. ძალიან უყვარდა თავისი საქმე. სულით პატრიოტი იყო“.

გელა თიგიშვილი 1972 წლის 25 მაისს სოფელ კოდისწყაროში დაიბადა. 14 წლის რომ იყო, თბილისში წამოვიდა სოფლიდან. ფიზკულტურულზე სწავლობდა.

სავალდებულო სამსახურში უკრაინაში გაიწვიეს. წელიწადი და 6 თვე თბილისში იმსახურა. აფხაზეთის ომშიც იბრძოდა. კოსოვოც მოიარა.

ირმა ჯაფარიძე, მეუღლე: „ცოლად რომ გავყევი, აფხაზეთი უკვე მოვლილი ჰქონდა და სამხედრო პოლიციაში მუშაობდა. ერთად 15 წელი ვიცხოვრეთ. ორი შვილი გვყავს – ბიჭები. უფროსი 16 წლის არის. პატარა – 11-ის. ჯარი მისი მოწოდება იყო. მებრძოლი სულის ადამიანი იყო. კონტრაქტის დასრულებამდე ორი წელი ჰქონდა დარჩენილი და ამბობდა, გავაგრძელებ კიდეცო. 36 წლის დაიღუპა.

ისე უცბად მოხდა ყველაფერი, რომ ახლაც სიზმარში მგონია თავი“.

გელას ბევრი ოცნება დარჩა აუხდენელი. შვილებისთვის მომავლის აწყობას გეგმავდაო, – იხსენებს მეუღლე. გელამ შვილებს ვაჟკაცის სახელი დაუტოვა, სამშობლოს კი უსაფლავო გმირად ჩაბარდა სამუდამო ტყვეობაში.

AZPETROL

კაპრალი

ზვიად დათუაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

ზვიად დათუაშვილი გემბანზე იდგა, ბიჭებს უყვირა: ბიჭებო, რადარზე რაღაც ჩანს, ფრთხილად იყავითო და... ჩამოვარდა კიდეც პირველი ბომბი... გემის კარისკენ გავარდა, კარი საკუთარი სხეულით ჩახერგა და... ჩაიკეცა...

„მეგობრებს გარეთ გამოსვლის საშუალება არ მისცა და ასე მათი სიცოცხლე გადაარჩინა. სიკვდილის დროსაც სხვებზე ზრუნავდა... წავიდა უკვდავებაში და დავრჩი გაუბედურებული, ცოცხალ-მკვდარი დედა", – იტყვის ამაყი სევდით მარინა ჯგერენაია...

გულმოკლული დედა გაიხსენებს იმ ბედნიერ დღეს, 1983 წლის 12 დეკემბერს, ორი ვაჟი რომ შეეძინა ერთად – ზვიადი და ზაზა...

დედა: „ტყუპები თავიდან ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ფიზიკურად. თუმცა, რაც დღე ემატებოდათ, ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. ზვიადი ბავშვობიდან გამორჩეული ხასიათის იყო, კეთილი და მიმტევებელი. როცა ზაზა ატირდებოდა, ზვიადს ეცოდებოდა და ყველა სათამაშოს უთმობდა ხოლმე. თუ ზაზა ავად გახდებოდა, მეორე დღეს ზვიადიც ავად მიხდებოდა..."

ზვიად დათუაშვილი ხობის რაიონში, სოფელ შუახორგაში დაიბადა და გაიზარდა, სკოლის დამთავრების შემდეგ ფოთის ტექნიკურ ლიცეუმში სწავლობდა საბუღალტრო განხრით. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე, საბანკო-საფინანსო სპეციალობით. სამხედრო სავალდებულო სამსახურიც უნივერსიტეტში სწავლისას მოიხადა, 2007 წელს კი კონტრაქტი გააფორმა სამშობლოსთან – მსახურობდა საზღვაო ძალებში, გემ „გურია 001"-ის მესაჭე-მესიგნალე იყო.

დედა: „ვიდრე კონტრაქტს გააფორმებდა, ცოტა ხანს გემთშემკეთებელ ქარხანაში მუშაობდა. ერთხელ ხელოსანს მოლბერტი გააკეთებინა, სამსახურში უნდა წავიღოო. ვკითხე, რად გინდა-მეთქი. სამსახურში უსაქმოდ ვიყავი, ზღვა და გემი დავხატე და მომიწონესო. მოლბერტი რომ მექნება, ბევრ სურათს დავხატავ და ყველას გავაჩუქებო. მართლაც, მაშინ გემთშემკეთებელი ქარხნის თითქმის ყველა ოთახში მისი ნახატები ეკიდა. თვითნასწავლი მხატვარი იყო. ხატავდა, მღეროდა, ძალიან უყვარდა პოეზია... დიდი და ძლიერი იყო, მეგობრები სიყვარულით „დათვს" ეძახდნენ. ვერ იტანდა სხვის დაჩაგვრას, ყველას პატრონობდა. როცა ბიჭები იკრიბებოდნენ, თამადა ყოველთვის ზვიადი იყო, სუფრასთან ყველას – დიდსაც და პატარასაც ბატონობით მიმართავდა. ერთხელ ვკითხე კიდეც, შენს მეგობრებს, ძმებს, ბატონობით რატომ მიმართავ-მეთქი? ბავშვები არიან, უნდა მიეჩვიონ ერთმანეთთან ზრდილობიან მიმართვასა და ქცევებსო, – მიპასუხა. გამორიცხული იყო, მისი თანდასწრებით სუფრასთან ვინმეს ეჩხუბა. განსხვავებულად მოსიყვარულე შვილი იყო. გოგო არ მყავს და სიბერის არ მეშინოდა, ზვიადი მომივლის-მეთქი. პატარა ბავშვივით მეფერებოდა... სამშობლოს სიყვარულს განსაკუთრებულად გამოხატავდა... ჯარში კონტრაქტით წასვლა რომ გადაწყვიტა, შევეწინააღმდეგე, არ მინდოდა მისი გაშვება, მაგრამ არაფრით არ დამიჯერა, პატრიოტი იყო... პასუხისმგებლობა ჰქონდა და როგორც ახლა ვხვდები, გაცნობიერებულიც, რასაც აკეთებდა... ზაზას სამხედრო სამსახურში უნდოდა მუშაობის დაწყება, ზვიადი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რამე რომ მოხდეს, ერთ-ერთი მაინც ხომ უნდა გადავრჩეთო, მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია..."

ზვიად დათუაშვილი გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად აპირებდა წასვლას, სიტუაცია რომ დაიძაბა, თბილისში იყო, გერმანული ენის კურსებზე დადიოდა, დოკუმენტებს აწესრიგებდა, მაგრამ 6 აგვისტოს თავისი ინიციატივით გადადო გერმანიაში წასვლა და ფოთში თავის ნაწილში დაბრუნდა.

დედა: „გზიდან დამირეკა, მომიბოდიშა, არ გეწყინოს სახლში ვერ მოვდივარ, ნაწილში უნდა მივიდე, ბიჭებს ვერ მოვატყუებო. ის სასწავლებლად იყო წასული და ნაწილში არ გამოუძახიათ, მაგრამ, სადაც თავისი მეგობრები იყვნენ, იქ წავიდა. დაბომბვამდე 10 წუთით ადრე მელაპარაკა ტელეფონით, დამამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, მერე მამამისს დაურეკა და დაამშვიდა, ნუ ნერვიულობო....

რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა, რამდენიმე წლის წინათ გვითხრა, რატომღაც ყურში ვიღაც ხშირ-ხშირად ჩამძახის: ტყვია, ტყვიაო... კალაშნიკოვის გახვრეტილ ტყვიას ჯვართან ერთად ატარებდა... ბოლო პერიოდში ძალიან მორწმუნე გახდა, ყველა ეკლესია შემოიარა, ბოლო ორი თვე ყოველ დილით საგალობლებს უსმენდა, ლოცულობდა, ძალიან უნდოდა, რომ მშობლიურ სოფელში ეკლესია აეშენებინა. ამბობდა, გერმანიიდან რომ ჩამოვალ, მაღალი ხელფასი მექნება და ჩემი სურვილის ასრულებას შევძლებო. ეს დარჩა აუხდენელ ოცნებად... ზვიადის დაღუპვის შემდეგ, სახელმწიფომ რომ გარკვეული თანხა გამოგვიგზავნა დაკრძალვისთვის... ზაზამ მითხრა, ზვიადს ეკლესიის აშენება უნდოდა და ამ თანხით ეკლესია ავაგოთო. შუახორგაში, ღვთისა და კეთილი ხალხის დახმარებით, მშენებლობა უკვე დავიწყეთ, საძირკველი ჩაყრილია, ვცდილობთ, დაწყებული საქმე დავამთავროთ. ეკლესია წმინდა ილია მართლის სახელობის იქნება, ეს ტაძარი მარტო ჩემი შვილის უკვდავებას კი არ უზრუნველყოფს, არამედ ყველა იმ ვაჟკაცისას, ვინც საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა..."

OLICE

კაპრალი

საბა დადვანი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1989 - 2008

საბა დადვანი ცხინვალში რუსულმა ჭურვმა იმსხვერპლა... 18 წლის კაპრალი ბავშვობიდან გვერდში ედგა მარტოხელა დედას და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ცხოვრებაც დედისა და სამშობლოს უსაფრთხოებას ანაცვალა. საბა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გმირია...

დედა, მაია ქალდანი: „საბა 1989 წლის 21 სექტემბერს დაიბადა. ბოლნისში, სოფელ ტანძიაში იზრდებოდა. საბას ორი ძმა ჰყავს, მამა ძალიან ადრეულ ასაკში გარდაეცვალათ და პატარაობიდან დიდი კაცივით მედგა გვერდში. ცდილობდა, ძმებისთვის არაფერი მოეკლო. ფიზიკურ სამუშაოზეც მიდიოდა და ძალიან ბევრს შრომობდა. ამასთანავე, ძალიან მხიარული ბავშვი იყო და ყველას უყვარდა. საბა კარგად სწავლობდა, თუმცა სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე ჯარში, პირდაპირ საკონტრაქტოზე წავიდა, სავალდებულოც არ ჰქონია მოხდილი. წელიწად-ნახევარიც არ იყო გასული ამ ამბიდან, რომ ომი დაიწყო და საბა ხელიდან გამომაცალა...

საკონტრაქტოზე ვაზიანის მეოთხე ბრიგადაში გაანაწილეს. წოდებით კაპრალი იყო, სნაიპერი... როცა ჯარში კონტრაქტით წასვლა დააპირა, უარი არ მითქვამს, სოფლიდან მისი რამდენიმე თანატოლი იყო წასული და მასაც ძალიან უნდოდა. დავაჟკაცდება-მეთქი, ვფიქრობდი... 15 აგვისტოს ერაყში აპირებდა წასვლას... ამბობდა, კონტრაქტს რომ მოვრჩები, კიდევ უნდა მოვაწერო ხელიო... მოსწონდა ჯარისკაცური ცხოვრება და ამ მიმართულებით აპირებდა ცხოვრების აწყობას.

როცა პირველი ხელფასი აიღო, სახლში მოვიდა და ბოლო კაპიკამდე თავის ძმებს დაახარჯა. ახალი ტანსაცმელი უყიდა, მეც მომცა ფული: დედა, შენ რაშიც გინდა, იმაში მოიხმარეო... პლასტიკური ბარათი სახლში ჰქონდა დატოვებული და როგორც კი ხელფასი დაერიცხებოდა, მაშინვე გვაგებინებდა, სულ ჩვენ ვხარჯავდით მის ფულს... თვითონ თუ რამე დასჭირდებოდა, დაგვირეკავდა და გვეტყოდა.

სახლში შაბათ-კვირას ამოდიოდა ხოლმე.

ბოლოს თითქმის სამი კვირა არ ყოფილა სახლში. ერაყისთვის ამზადებდნენ და სულ წვრთნები ჰქონდა. 15 აგვისტოს აპირებდნენ წასვლას და მითხრა, სანამ წავალ, ორკვირიან შვებულებას ავიღებ და სახლში ჩამოვალო, მაგრამ ვერ მოასწრო... ერაყში წასვლის იდეა არ მომწონდა, ძალიან მაშინებდა... რაც არ უნდა იყოს, მაინც წავალო, ვერ გადავიბირე... ბოლოს სახლში, ომამდე ერთი თვით ადრე იყო მოსული. სახლიდან რომ გავიდა განსაკუთრებულად არც ერთს არ გამოგვმშვიდობებია. ძმებს ასე ემშვიდობებოდა, აბა, კარგად იყავით და დედას დაუჯერეთო. იმ დღესაც ასე გავიდა სახლიდან.

არც თვითონ და არც მე გული ცუდს არ გვიგრძნობდა. ვერც კი გავივლებდი გულში ასეთ რაღაცას. რას წარმოვიდგენდი, თუ ომი დაიწყებოდა...

ბოლოს 4 აგვისტოს ველაპარაკეთ. თვითონ დაგვირეკა და გვემასხრებოდა. ძალიან მხიარული იყო. ჩვეულებრივ მოგვიკითხა... იმის მერე ტელეფონიც გამორთო და ეს არეულობაც დაიწყო...

ვაზიანიდან 7-ში დილაუთენია გაუყვანიათ ბიჭები. ჯერ გორში ჩაუყვანიათ, შემდეგ ცხინვალისკენ და შინდისში რომ შესულან 8 აგვისტოს, იქ დაღუპულა... როგორც გვითხრეს, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა, არც ერთ წუთს არ შეუსვენია. ბოლოს კი რუსულმა ჭურვმა იმსხვერპლა.

11 აგვისტოს გადმოვასვენეთ გორის ჰოსპიტალიდან, ჩვენი ახლობელი მამა გიორგისა და ბიძაშვილის დახმარებით. ერთი კვირის შემდეგ, 16 აგვისტოს, მამამისის გვერდით დავასაფლავეთ...“

უფროსი სერჟანტი

ზაზა ფერაძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1973 - 2008

ეს მისი მეორე ომი იყო, აფხაზეთის უსამართლობას მის გულში სამუდამო იარა დაეტოვებინა... ცხინვალიდან ორჯერ ცოცხალი გამოვიდა და მის განკარგულებაში მყოფი ბიჭებიც გამოუყვანია ალმოდებული ქალაქიდან. თავად მხარში იყო დაჭრილი, თუმცა მესამედაც შებრუნდა ქალაქში განსაცდელში მყოფი თანამებრძოლების დასახმარებლად. ბიჭებს უთქვამთ, სახლში ცოლ-შვილი გელოდება, სადღა შერბიხარო... რაზეც ზაზას უპასუხია, ვინც იქიდან უნდა გამოვიყვანო, მათ ჯერ არც ცოლები ჰყავთ და არც შვილებიო.

ცხინვალში შებრუნებულს მეორე ტყვია ხელში მოხვდა, თუმცა უკან არ დაუხევია. მის წინ სნაიპერმა 7 ქართველი მოკლა. გამწარებულს სნაიპერი შორიდან დაუნახავს და მისკენ ისე წასულა, რომ ვერ შეემჩნიათ... სნაიპერმა ზაზა მართლა ვერ დაინახა, თუმცა მის უკან მიმავალ ქართველს ესროლა. სნაიპერის ტყვიამ ზაზა სწორედ მაშინ გამოასალმა სიცოცხლეს, როცა დაჭრილი თანამემამულის გადასარჩენად უკან მიბრუნდა.

მამა, თენგიზ ფერაძე: „ის 1973 წლის 16 თებერვალს დაბა შორაპანში დაიბადა. ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მასთან ისე შემეძლო ყველა თემაზე საუბარი, როგორც დიდ ადამიანთან. ასეთივე ახსოვს ზაზა მის ყველა მეგობარს, ნათესავსა თუ მეზობელს – დინჯი, პრინციპული და იშვიათად მოლაპარაკე. თვალები კი მეტყველი და ყოველთვის შორსმჭვრეტელი ჰქონდა. 1994 წელს სამხედრო სავალდებულო სასწავლებელში გაიწვიეს. აფხაზეთის ომშიც მოუწია ბრძოლა და იქ ნანახი უსამართლობის იარა ბოლომდე ვერ მოიშუშა. ერთი პერიოდი თითქოს თავის გადაწყვეტილებას გადაუხვია და უმაღლეს სასწავლებელში იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. თუმცა მალევე გულმა ისევ სამხედრო სამსახურისკენ გაუწია. გადაწყვეტილება პრინციპული იყო და არ შევწინააღმდეგებივართ. ზაზა სამშვიდობო მისიით ერაყშიც წავიდა. იქიდან დაბრუნებულმა ლამაზი ოჯახის შექმნაც მოასწრო. ზაზასა და ნათიას სიყვარული ქორწინებით დაგვირგვინდა და ერთი წლის თავზე – პატარა დემეტრე, გარდაცვალებიდან ერთ თვეში კი ნანატრი ქალიშვილი, ანასტასია შეეძინათ“.

მეუღლე, ნათია ფერაძე: „ერთმანეთი რუსთავში გავიცანით. შეხვედრიდან 2 თვეში დავქორწინდით. შეყვარებული ზაზა არაჩვეულებრივი იყო. უსაზღვროდ ვუყვარდი იმ ადამიანს და ამ 2 წლის განმავლობაში ისე ვიცხოვრეთ, რომ არათუ გვიჩხუბია, არც არასდროს გვიკამათია. სურპრიზების გაკეთება უყვარდა და ძალიან მრავალფეროვანი ცხოვრება გვქონდა. ყოველდღე გაღვიძება მიხაროდა. ეს ის ადამიანი იყო, რომელმაც არ იცოდა სიძულვილი და სხვისი დამცირება. ყველა უყვარდა და სიკეთის კეთებას არასდროს იზარებდა.

დემეტრე რომ დაიბადა და უთხრეს, მამა გახდით, ნახეთ თქვენი შვილიო, მივიდა და პატარას დაუძახა. ახალშობილიც გადმობრუნდა და გაუღიმა, სასწაული იყო. ორსულადაც რომ ვიყავი, ყოველ დილას ხელს გადამისვამდა მუცელზე და ეტყოდა – დილა მშვიდობისა, მამა. ბავშვიც მუცლიდან რეაგირებდა. ოცნებობდა, რომ კაცური კაცი, პატრიოტი შვილი გაზრდოდა. ეკლესიაში დემეტრე კისერზე შესმული დაჰყავდა და ყოველთვის აზიარებდა ხოლმე...

ჯარი მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, სამშობლოსთვის ცხოვრება ძალას ჰმატებდა. პირველი კონტრაქტი რომ დაუსრულდა, მეორე გააფორმა, ბოლოს ერაყში მეორედ წასვლას გეგმავდა, იქიდან ჩამოსულს კი მეორე კონტრაქტის ვადაც ამოეწურებოდა. მე ამას სულ განვიცდიდი და იმედი მქონდა, რომ ერაყიდან დაბრუნების შემდეგ სახლში უფრო დიდ დროს გაატარებდა...

ზაზა საერთოდ იშვიათი მოლაპარაკე იყო და ბოლო პერიოდში საერთოდ დადუმდა, ამის გამო ვბრაზდებოდი. იმდენად აღარ ლაპარაკობდა არაფერს, რომ ვფიქრობ, ყველაზე მეტად თვითონ უგრძნობდა გული ცუდს.

2 აგვისტოს დასავლეთში წავედი. 2 დღის ჩასული ვიყავი, რომ მესამე დღეს დამირეკა, ვერ ვძლებ უთქვენოდ, ბავშვი მენატრება და უნდა ჩამოგიყვანოთო. მაგრამ არ ჩამოვსულვართ. დემეტრე მაშინ წლისა და 4 თვის იყო, მე – 8 თვის ორსული. რომ მივდიოდი, ბავშვი მეჭირა ხელში, მანქანაში რომ ვჯდებოდი, ვერც გადავკოცნე. იმდენად ნაღვლიანი იყო ბოლოს, რაღაც ობოლი ბავშვივით მიყურებდა. ერთი ის მითხრა, არ იდარდო, არაფერზე არ ინერვიულო, ორშაბათს ჩამოვალო. ერაყში წასასვლელად საბუთები ჰქონდა გასაკეთებელი. პირველად მოხდა, რომ მის გარეშე წავედი სოფელში.

ბოლოს 8 აგვისტოს ველაპარაკე. მითხრა, შენ ნურაფრის გეშინია. ახლა გავრბივარ და ტელეფონიც მიჯდებაო. მე ვეხვეწებოდი, იქნებ სხვისი ტელეფონით მაინც დამირეკო-მეთქი, ვნერვიულობდი. კარგიო, გათიშა ტელეფონი და მას მერე აღარ გვისაუბრია...“

ზაზას გარდაცვალების ამბავი ნათიამ 2 ოქტომბერს გაიგო, როცა ანასტასია უკვე 3 კვირის იყო. მას ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ ზაზა სახლში ცოცხალი დაბრუნდებოდა. თუმცა, როცა უწმინდესის დახმარებით ცხინვალიდან 17 გმირის ცხედარი გამოიტანეს, მათ შორის ერთ-ერთი ზაზა აღმოჩნდა.

ნათია: „მის გარეშე ცხოვრება ძალიან რთულია, თუმცა ჩემი მოძღვარი მაქსიმალურად მიმსუბუქებს ამ დარდს. ჩვენ ჯვარდაწერილები ვართ და ვიცი, ოდესმე აუცილებლად შეხვდებით ერთმანეთს...“



კაპრალი

გიორგი წიქარიშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

9 აგვისტოს ცხინვალთან 19 წლის გიორგიმ უკანასკნელად იბძროლა. თანამებრძოლები წიქარას ეძახდნენ. ტანკების უკან მდგარან, როცა რუსულ ავიაციას მათი მძიმე ტექნიკა დაუბომბავს და ერთი სერჟანტი დაუჭრია. მძიმედ დაჭრილ სერჟანტს ბიჭების მიხედვა გიორგისთვის უთხოვია. წიქარას ავტომატი ხელში აუღია და ბიჭებისთვის შეუძახია, მომყევითო. ალმოდებულ ტანკებს შორის წინ გაჭრილა, მის უკან ვინც იყო, ყველა გადარჩა, თავად გიორგი კი ცეცხლიდან აღარ გამოსულა. სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა 19 წლის გმირი, რომელსაც აგვისტოში ქორწილი უნდა ჰქონოდა.

2008 წლის ზაფხული გიორგის ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი და დასამახსოვრებელი უნდა ყოფილიყო...

მარინა ბარბაქაძე, დედა: „30 მაისს ცოლი მოიყვანა და ქორწილის გადახდას 30 აგვისტოს აპირებდა. 6-ში დაგვირეკა და გვითხრა, ამ შაბათ-კვირას ვერ ჩამოვალო, შემდეგ მეუღლეს ელაპარაკა და ქორწილის ამბები დაგეგმა.

38 წლის დედა ვარ, ბიჭების მშობლებში ყველაზე ახალგაზრდა... დედები მეუბნებიან, ვაჟკაცურად გიჭირავს თავიო. არ ვიცი, ალბათ, ჯარისკაცის სული გადმოვიდა ჩემში. მიმაჩნია, რომ იმ დაღუპული ჯარისკაცების უკვდავსაყოფად ღირს ცხოვრება. ძალიან მინდა ჯარში წასვლა, მაგრამ, როგორც გიორგის დედა, არ მიმიღეს, შენ გმირი შვილი გაზარდე და ჩათვალე, რომ ახლა მთელი ჯარი შენ გეკუთვნისო...“

გიორგი 1988 წელის 30 აგვისტოს ხაშურში დაიბადა. 18 წლისა უკვე ჯარისკაცი იყო.

დედა: „16 წლის ვიყავი, გიორგი რომ მეყოლა. ჩემი პირველი შვილი იყო. თითქმის ერთად გავიზარდეთ მე და ჩემი შვილები. გიორგი თავის ასაკთან შედარებით სერიოზული იყო.

სანამ მოწვევა მოუვიდოდა, თვითონ გამოცხადდა კომისარიატში. ჯარის ცხოვრება ძალიან მოსწონდა. ერთი წელი იყო სავალდებულოში. 2007 წლის 25 ივნისს მოაწერა ხელი კონტრაქტს. ვაზიანში 42-ე ბატალიონში მსახურობდა.

ბოლოს სახლიდან 4 აგვისტოს, დილაუთენია გავიდა. ძილბურანში ვიყავი, როცა გიორგის ხმა მომესმა: „აბა, ჰე, კარგად იყავითო“ . ჩემს რძალსაც ვკითხე, ბოლოს რა გითხრა-მეთქი? ასე მითხრა, ერაყში ისე არ წავალ, თუ ბიჭი არ მეყოლებაო. ეს იყო ორშაბათი დილა, 4 აგვისტო, ვაზიანიდან 6-ში წაიყვანეს. ბოლოს 8-ში ველაპარაკეთ, დედა ვარ და მაინც ვუთხარი, რომ, თუ რამე ხდება ისეთი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხიე-მეთქი, გაბრაზდა და მითხრა: შენ ასეთი ლაპარაკი არ გეკადრება, მე ათი ნაბიჯით წინ თუ არ წავედი, ჩემს ძმებს რა პასუხი გავცეო?!“

გიორგის მოძებნა დეენემის ანალიზის შემდეგად გახდა შესაძლებელი, ის მუხათგვერდის სასაფლაოზე 25-ე ნომრად იყო დაკრძალული. დედას მისი გადმოსვენება არც უფიქრია, გმირები ერთად არიან და მისი ადგილიც იქ არისო, ამბობს. გმირის აღმზრდელ დედას შვილის აყვანა აქვს განზრახული, რომ სამშობლოს კიდევ ერთი ვაჟკაცი აღუზარდოს...

„ძალიან რთულია მის გარეშე ცხოვრება, დიდია ეს ტკივილი, თუმცა არც ის სიყვარული და სიამაყეა მცირედი, რომელიც გიორგიმ 19-წლიანი ცხოვრებით დამიტოვა. ღირს ცხოვრება, თუნდაც ამ ბიჭების სახელზე... აუცილებლად ავიყვან შვილს და მჯერა, ამ შვილსაც ღმერთი გამომიგზავნის“.

კაპრალი

რეზო ალავერდაშვილი

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1987 - 2008

ბოლოს ბრძოლის ველზე ნახეს, დაჭრილები გამოჰყავდა ფრონტის წინა ხაზიდან. თავადაც დაჭრილი ყოფილა, მაგრამ ბიჭები არ მიატოვა, ერთი გამოარიდა ტყვიების წვიმას, მეორე, მესამე და... ის კი ვერავინ ველარ იპოვა. დღეს რეზო ალავერდაშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორისაა, გმირია, რომელიც სამშობლოს დაეკარგა.

„სულ მგონია ხოლმე, რომ ცოცხალია და გამოჩნდება...“ -ამბობს ჯარისკაცის მამა... დედამ ვერ გაიგო შვილის ამბავი, მანამდე დატოვა ის ობლად. რეზო ალავერდაშვილი დედის ორმოცზე უნდა ჩასულიყო 9 აგვისტოს... 7-ში ომი დაიწყო...

„1987 წლის 19 მაისს დაიბადა. პირველი შვილი იყო, ჩემი ძმის ოჯახში, შემდეგ კიდევ ორი ძმა შეეძინა. მაგისნაირი ბიჭი მეორე არ არსებობდა. ძალიან მშრომელი ბიჭი იყო. 18 წლისას ჯარიდან მოწვევა მოუვიდა, არც დაფიქრებულა მაშინვე წავიდა. ვაზიანში მოიხადა ერთი წელი და როგორც კი დაამთავრა, მაშინვე კონტრაქტს მოაწერა ხელი.“ -იხსენებს რეზოს მამიდა, ოლია ახალკაცი.

გოჩა ალავერდაშვილი, რეზოს მამა: „სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, დაგვირეკა და გვითხრა, რომ კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა. მე არ მინდოდა... იქვე დარჩა კონტრაქტზე ვაზიანში... კაპრალი იყო IV ქვეით ბრიგადაში. ოცმეთაურობა შესთავაზეს და უარი თქვა, როგორ დავუყვირო ბიჭებს, ჩემი ძმაკაცები არიანო...

ჩემს მეუღლეს უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და დიაგნოზის დადგენიდან ძალიან მალე, 40 წლისა გარდაიცვალა. სიმსივნე, რომ დაუდგინეს, რეზო სამსახურში იყო და მოგეხსენებათ რა რეჟიმში ცხოვრობენ ჯარისკაცები – სახლში იშვიათად მოდიოდა. შემდეგ დაკრძალვისთვის გამოუშვეს... ამ ამბის მერე ძალიან გულჩათხრობილი გახდა. დღესაც არ ამომდის თვალებიდან მისი სახე, ბოლოს, რომ ვნახე...“

რეზოს მამიდა: „მეც ზუსტად იმ დღეს ვიყავი ამოსული ჩემს ძმასთან და მეც ვნახე რეზო. რაღაც განცდაში იყო. არ ვიცი, გული უგრძნობდა რამე ცუდს თუ რა იყო, მაშინ ვერ მივხვდი... სახლში ბოლოს ორმოცამდე ერთი კვირით ადრე იყო მოსული... დაღონებული, სულ სხვანაირი რეზო ვნახე იმ დღეს... არაფერს ამბობდა. მეორე დღეს, სამხედრო ფორმა თავად გაიმზადა, სამსახურში წავიდა და იმის მერე აღარ მოსულა“...

9 აგვისტოს ორმოცი უნდა გვქონოდა და 7-ში ომი დაიწყო. წინა დღეს მამამისს დაურეკა, ხვალისთვის მიშვებენ და დილითვე ჩამოვალო, მაგრამ...“

მამა: „ტელეფონზე გვეკონტაქტებოდა. ბოლოს, როცა ნაწილიდან გაიყვანეს ტელეფონი იქ დაატოვებინეს. ვრეკავდით და ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით. ბოლოს, ორმოცის წინა ღამეს გველაპარაკა. ახლა არ მიშვებენ და დილას ადრე წამოვალო... ველოდით, მაგრამ მერე გავიგეთ, რომ ომი დაიწყო. მისი ასეული პირველ ხაზზე გაუშვეს.

როგორ დაიღუპა, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგეთ. როგორც გვითხრეს დაჭრილი ყოფილა ხელ-ფეხში და მაინც შედიოდა ცხელ წერტილში და დაჭრილები გამოჰყავდა. ბოლოს რომელი დაჭრილიც გამოიყვანა იმან გვითხრა, რომ უკან გაბრუნდა, კიდევ ერთი დაჭრილის გამოსაყვანად და მერე უკვე რა და როგორ მოხდა, აღარავინ იცის. დაკარგულად ითვლება...

ჩვენ ტელეფონზე ვრეკავდით, ზარი გადიოდა, მაგრამ არ პასუხობდა. ერთხელაც ჩვეულებრივ გავიდა ზარი და ტელეფონზე ვიღაცამ მიპასუხა. გამეხარდა, მაგრამ ასმეთაური ყოფილა. აქ არ არისო და გამითიშა... 21 წლის იყო, მაშინ... დეენემის ანალიზიც ავიღე, მაგრამ დაღუპულებში ვერ მიაგნეს.

უკვე ორი წელი გავიდა ამ გაურკვევლობაში... ძალიან რთული ყოფილა ცხოვრება...

სულ მგონია, რომ ცოცხალია და გამოჩნდება...“

კაპრალი

ავთანდილ ქამაშიძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1987 - 2008

სოფელ შინდისს მტრის ჯარი და მძიმე ტექნიკა მიადგა. რუსული საოკუპაციო ჯარი ოსურ ბანდფორმირებებთან და იამადაევის ჩეჩნურ ბატალიონთან ერთად ებრძოდა ქართველ სამხედროებს. ძალები არათანაბარი იყო, ქართველი ჯარისკაცები მაინც უწევდნენ წინააღმდეგობას ოკუპანტებს. იმ დროს, როდესაც შინდისის 12 გმირი მტრის მასირებულ ცეცხლს ცეცხლითვე პასუხობდა, მესამე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის რვა მებრძოლი სოფელში მდებარე ერთ-ერთ შენობაში აპირებდა გამაგრებას. რამდენიმე წუთში შენობა რუსულმა მოიერიშემ დაბომბა. საავიაციო ჭურვმა 23-ე ბატალიონის კაპრალი, 20 წლის ავთანდილ ქამაშიძე და მისი თანამებრძოლები იმსხვერპლა.

ავთანდილ ქამაშიძე ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში 1987 წლის 25 ნოემბერს დაიბადა. ის ოჯახში მესამე შვილი იყო.

ნანული ქამაშიძე, დედა: „ავთო საკმაოდ ნიჭიერი ბიჭი იყო, კარგად სწავლობდა და სკოლაშიც ყველა მასწავლებელს უყვარდა. სამხედრო საქმე აინტერესებდა, უნდოდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური გაევლო. 16 წლის იყო, როდესაც ქობულეთის კომისარიატში მივიდა და პირადად სთხოვა კომისარს ჯარში წამიყვანეთო. იმ დროს ქობულეთის გაწვევის სამსახურის უფროსი კომისარი ნაცარიშვილი იყო. უთქვამს, შვილო შენ ჯერ პატარა ხარ, ჯარში წასვლას კიდევ ორი წელი გიკლია, როცა მოვა შენი დრო მაშინ გაგიშვებთო. სახლში ნაწყენი მოვიდა, უნდოდა, რომ მეგობრებთან ერთად ემსახურა. ზუსტად 18 წლის რომ გახდა, სავალდებულო ჯარში წავიდა.“

სამხედრო სავალდებულო სამსახური ავთანდილ ქამაშიძემ ქუთაისში მოიხადა. სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ კი ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი და სამსახური რეგულარულ ქართულ არმიაში გააგრძელა. კაპრალ ქამაშიძეს სამხედრო კარიერის მოწყობა სურდა. საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლიდან მალევე, ის იმ ჯარისკაცთა სიაში მოხვდა, ვისაც ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ნანული ქამაშიძე, დედა: „ავთოს ძალიან უყვარდა საკუთარი სამსახური, ერთი წუთითაც არ დაუგვიანია ჯარში. მეუბნებოდა, დედა ჯარისკაცი რა ჯარისკაცია თუ სამსახურში დაიგვიანაო. 2007 წელს სამშვიდობო მისიით ერაყში წავიდა. ძალიან უხაროდა იქ წასვლა. იქიდან ხშირად რეკავდა. ენატრებოდა აქაურობა... ჩვენს ამბავს რომ გაიგებდა, მერე სოფლის შესახებ მეკითხებოდა, თითოეული მეზობლის ამბავს მოიკითხავდა. ზუსტად ათი თვე იყო ერაყში. ამ პერიოდში ჩემი მეუღლე ავადმყოფობდა, ექიმმა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვა და მკურნალობის კურსს გადიოდა. ძალიან გვიჭირდა, ფულიც არ გვქონდა. ავთანდილს ვუმალავდით მამის ამბავს, ჯარში იყო, იარაღი ეჭირა ხელში და არ მინდოდა რომ ენერვიულა. მამის დაღუპვა მისთვის ძალიან დიდი ტკივილი იყო. სასაფლაოზე იჯდა და ტიროდა. ჩვენც გვისაყვედურა, რატომ არ მითხარით, დროზე წამოვიდოდი და ცოცხალს მაინც ვნახავდიო.“

ომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ავთანდილ ქამაშიძე ხუცუბანში, საკუთარ ოჯახში ჩავიდა. შვიდ აგვისტოს მამის გარდაცვალებიდან ერთი წელი სრულდებოდა. ამ დროს კი ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებს სეპარატისტთა პოზიციებიდან ესროდნენ. 6 აგვისტოს, ღამის სამ საათზე ქამაშიძეს თანამებრძოლებმა დაურეკეს და განგაშის შესახებ შეატყობინეს.

ნანული ქამაშიძე, დედა: „7 აგვისტოს მამამისის წლისთავი იყო, 6 აგვისტოს ჩამოვიდა. სახლს ვაშენებთ აქვე, თვითონ დაიწყო მშენებლობა და მისი ფულით უნდოდა რომ დაესრულებინა. რომ ჩამოვიდა მითხრა, - დედა სიზმარი ვნახე, ვითომ ჩვენი ახალი სახლი ისეთი დაშლილი იყო, თითოეული აგური ნაცრად იყო ქცეულიო. 6 აგვისტოს ღამის სამ საათზე დაურეკეს მობილურზე. მამის წლისთავზე ვერ დარჩა, მაშინვე ადგა, ჩაიცვა და წავიდა სახლიდან. მითხრა დედა განგაშია და რომ არ გამოვცხადდე მისაყვედურებენო. წასვლამდე მობილური ძმას დაუტოვა, ამირან, გაჩუქებ ამ ტელეფონს, შენი იყოსო. ძმას ძალიან ემოციურად გამოემშვიდობა, ამირან, ოჯახს მიხედეო – უთხრა. “

ამის შემდგომ კაპრალი ქამაშიძე ოჯახის წევრებს აღარ დაკავშირებია. ბრძოლის ველიდან ბოლოს სიძეს დაურეკა.

ჯონი თურმანიძე, სიძე: „ როდესაც დარეკა, გახარებული იყო, ბიჭო, პოზიციური ბრძოლები მოვიგეთ, მტერს უკან დავახევინეთ, რამდენიმე დღეც და მორჩება ყველაფერი, სახლში დავბრუნდებიო. ცხინვალი თურმე მაგ დროისთვის თითქმის გაწმენდილი ჰქონდათ ჩვენებს და ჯავის მიმართულებით აპირებდნენ წასვლას. ჯარს კარგი განწყობა ჰქონდა. ბიჭები დადიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას, ოსებს, პროდუქტს ურიგებდნენ, დაშავებულებს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. ავთომ მითხრა აღარ ისვრიან, ჩვენ უკვე ხალხში დავდივართ და პროდუქტებს ვურიგებთო. როგორც მისმა მეგობრებმა მითხრეს, ცეცხლის შეწყვეტამდე რამდენიმე საათით ადრე რუსები ბომბავდნენ ტერიტორიას, იქვე ერთ-ერთ შენობაში 8 ბიჭი შესულა, ყველანი ახალგაზრდები. სწორედ ამ დროს თვითმფრინავმა შენობის თავზე ჭურვები ჩამოყარა.“

ნანული ქამაშიძე, დედა: „როგორც ბიჭებმა მითხრეს, დაბომბვისას 5 ბიჭი ადგილზევე დაღუპულა. ვინც დაიჭრა ტკივილისგან ყვიროდნენ. რუსების სისასტიკეზე ბევრს ყვებიან, დაღუპული ბიჭების გამოყვანის საშუალებასაც არ აძლევდნენ ხალხს. გვამებს წვავდნენ. ჩემი შვილის ცხედარი ილია მეორემ გამოიტანა იქიდან. ღმერთმა დალოცოს და დიდხანს გვიმყოფოს ჩვენი პატრიარქი. შვილის საფლავი

მაინც მაქვს.

სამხედრო საქმის პარალელურად სწავლასაც აპირებდა და ოჯახის შექმნაზეც ფიქრობდა, თუმცა 20 წლის კაპრალს, არც ერთი არ დასცალდა. დღემდე კი მის საფლავზე ერთი გოგონა დადის, რომელიც მას ომამდე რამდენიმე დღით ადრე გამოუტყდა სიყვარულში.

ნანული ქამაშიძე, დედა: „ავთომ ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო, უყვარდა ერთი გოგო, ეთერი, რომელსაც ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აუხსნა სიყვარული. ის ქუთაისში ცხოვრობს, თუმცა დღემდე ხშირად დადის სასაფლაოზე. ჩემთვის თითქმის უცხო ადამიანი ზის ჩემი შვილის საფლავთან და ტირის, გლოვობს თავის სიყვარულს, რომელიც არ დასცალდა“.

კაპრალი ქამაშიძის კიდევ ერთი ოცნება ავღანეთის სამშვიდობო მისია იყო. ხშირად უთქვამს ახლობლებისთვის, აუცილებლად უნდა ვიმსახურო ავღანეთშიო. მისი გარდაცვალების შემდეგ ქამაშიძეების ოჯახს ერთი წევრი შეემატა, ძმის, ამირანის შვილს, გმირი ბიძის სახელი, ავთანდილი დაარქვეს.

ნანული ქამაშიძე დედა: „მისი დაღუპვის შემდეგ ჩვენს ოჯახში მეორე, პატარა ავთანდილ ქამაშიძე იზრდება. ჩემს შვილიშვილს სახელი ბიძის პატივსაცემად დავარქვით. არავინ თქვას, რომ დრო ყველაფრის მკურნალია. ძალიან ძნელია მის გარეშე ცხოვრება, თუმცა სამშობლო, ალბათ არის ის, რისთვისაც ღირს თავის გაწირვა. ჩემი შვილი გმირია და მას მთელი საქართველო იმ ღირსეულ ადამიანთა გვერდით იხსენიებს, ვინც თავი შესწირა ჩვენს ქვეყანას. ძალიან მიმძიმს, თუმცა ვამაყობ ჩემი შვილით, მე გმირი გავუზარდე საქართველოს! “

კაპრალი

არტემ ბალახაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ოერთმეტ აგვისტოს, ბრონწლეთში, ცხინვალთან ახლოს, მას ბოლო ბრძოლა ჰქონდა მტერთან. კაპრალი ბალახაშვილი ცხინვალში იყო, ფრონტის წინა ხაზზე, ქვეითთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უშიშარი ყოფილა. 5 დღე სიკვდილის პირისპირ იდგა, არ მარცხდებოდა. 11 აგვისტოს კი რუსის მიერ ნასროლმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

გურამ ბალახაშვილი, მამა:

„6 აგვისტომდე შვებულებაში, ერთი კვირა, სახლში იყო. 6 აგვისტოს ღამეს გამოიძახეს. მშვიდად იყო. ღამის 1 საათზე გააღვიძეს. ვერაფრით ვერ წავიდოდა სოფლიდან ამ შუა ღამისას და დაურეკა კაპიტანს. ხვალ დილის 11 საათზე მანდ ვიქნებიო და დათანხმდნენ. 7-ში შუა დღეს უკვე ცხინვალში წინა ხაზზე იყო - ქვეითი, წოდებით კაპრალი. 11-ში დილას მელაპარაკა და მომატყუა კარალეთში ვართო და ცხინვალთან ახლოს, ბრონწლეთში, ღამით კასეტური ბომბით დაიღუპა. ოცეულებად იყვნენ დაყოფილები, გამოსულები იყვნენ უკვე ფაქტობრივად და ფანერით დაფარულ შენობას შეეფარნენ. ჟილეტი გახვრეტილი იყო უკანა მხრიდან „ასკოლკით“, გულში ჰქონდა გაჩერებული. ადგილზევე დაიღუპა. ძალიან უშიშარი იყო და არაფრის ეშინოდა. როგორც კაპიტნები ყვებიან. პრეზიდენტმა შვიდეულში მეოთხე კაცად დაასახელა კიდეც. 14 აგვისტოს ჩავაღწიეთ გორში, გორის ჰოსპიტალში იყო და წამოვიყვანეთ. ის დღე არასდროს დამავიწყდება, ისევე, როგორც მისი დაბადება. 1986 წლის 30 ივნისს გვეყოლა. მეორე შვილი იყო. პირველი გოგო მყავს. ერთადერთი გვარის გამგრძელებელი მყავდა. ადიგენიდან ვართ, სოფელ უდეში გაიზარდა. გოგოზე 3 წლით უფროსი იყო. მამაჩემის სახელი დავარქვით. 2004-ში ახალციხის უნივერსიტეტში, ეკოლოგიის საფუძვლებზე ჩააბარა. 2008 წლის მაისში დაამთავრა. უნივერსიტეტი იცავდა და ამიტომ სავალდებულო არ შეხებია. პირდაპირ საკონტრაქტოზე წავიდა. წინააღმდეგობაც გავუწიეთ. ადრეც უნდოდა, მაგრამ არ გავუშვით და მეორედ ვეღარ შევაკავეთ. 10 თვე იყო გასული, რომ გარდაიცვალა. ქუთაისის მესამე ბრიგადაში, 31–ე ბატალიონში მსახურობდა. 7 აგვისტოდან სულ წინა ხაზზე იყო.

შეყვარებული ახალდაბიდან ჰყავდა. მასზე პატარა იყო. 24 საათი ტელეფონზე საუბრობდნენ-ხოლმე. ის გოგო სკოლას რომ დაამთავრებდა, ბანკეტის შემდეგ უნდა დაენიშნა და წამოეყვანა. ერთი ნატვრაც ჰქონდა, მანქანა უნდოდა, მაგრამ აღარ დასცალდა. ფეხბურთში მისი სახელობის ტურნირს ვატარებთ. ალიკას ვეძახდი და „ალიკას“ სახელობის ტურნირია. ასე გვინდა უკვდავვყოთ მისი სახელი. “

ლეიტენანტი

ალია ბარდაველიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1984 - 2008

ცხინვალთან დაეცა. მაშინ, როცა რუსმა იერიში შანხაის დასახლებაზე მიიტანა, ასმეთაური ალია იქ იყო.

1984 წლის, 4 აპრილს დაიბადა. ალია ბაბუის სახელი დაარქვეს. პირველი შვილი იყო.

მამა: „სკოლის პერიოდში სამხედრო აკადემიით დაინტერესდა. კარგად სწავლობდა... 4 წელი ისწავლა სამხედრო აკადემიაში. წოდებით ლეიტენანტი იყო. ბოლოს ომში ასმეთაური... ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა, როგორც სამხედროს. ბევრი მადლობის სიგელი აქვს მიღებული, და სახლში რომ მოჰქონდა, ძალიან გვიხაროდა... ორფოლოში, პოლიგონზე წვრთნებს გადიოდა და ყველაფერს წარმატებულად ართმევდა თავს. ახლა მისი მეგობრები რომ მხვდებიან ხოლმე, მეუბნებიან, ჩვენ რომ დავიღლებოდით, ის მაინც არ ჩერდებოდა და ვარჯიშს აგრძელებდაო... დასაოჯახებელი იყო... ომი რომ არ დაწყებულიყო ერაყში აპირებდა წასვლას. იქიდან რომ ჩამოვიდოდა დაოჯახებას აპირებდა... უკვე შედგენილი იყო ასეული, საბუთები წესრიგში ჰქონდა და ნოემბერში უნდა წასულიყო...“

დედა: „სამსახურიდან გამომდინარე, ხშირად სახლში არ იყო. ამის მიუხედავად, არასოდეს წუწუნებდა თავისი სამსახურის გამო. მისი კარიერა სამხედრო ცხოვრებას უკავშირდებოდა. ვერ წარმოედგინა თავი სხვაგან. ერაყში ნამყოფი იყო და მეორედაც აპირებდა წასვლას. სამსახურის ამბავზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ძალიან მოსიყვარულე იყო, გიჟდებოდა თავის დაზე.“

მამა: „პირველი ხელფასით დას უყიდა ტელეფონი. სტუდენტიაო და მას უხარიაო. დაზე ორი წლით უფროსი იყო და ზრუნავდა მასზე.

საშუალო სკოლა თერჯოლაში, სოფელ სიმონეთში დაამთავრა. მას შემდეგ წამოვედით თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია თბილისში ვცხოვრობთ, სოფელში ჩასვლა ყოველთვის უხაროდა. იქ ბევრი მეგობარი დარჩა.“

ციური ბარდაველიძე, დედა: „ბოლოს სამ აგვისტოს გავიდა სახლიდან. იმ დღეს მანქანა გარეცხა და ვეუბნებოდი, თუ არსად მიდიხარ დაისვენე-მეთქი და ტელეფონმაც დაურეკა. „დედა, ჩქარა ფორმაო“... ჩაიცვა და წავიდა. რვა აგვისტომდე ველაპარაკებოდით. ბოლოს რვაში, რვის ნახევარზე ველაპარაკეთ ტელეფონით. სულ იმას ამბობდა, კარგად ვარო, გვამშვიდებდა და გვატყუებდა გორში ვარო. ჯერ ამბობდა ვაზიანში ვარო, მერე გორშიო, ალბათ, არ უნდოდა, რომ გვენერვიულა.“

მერაბ ბარდაველიძე, მამა: „კონტრაქტი ჰქონდა და შვებულებით იყო სოფელში. დეიდამისთან აპირებდა თერჯოლაში წასვლას, მაგრამ მოულოდნელად მომადგა და მითხრა, უნდა წავიდეო, დამირეკეს, სამსახურის ბეჭედი და რაღაც ნაწილი გამომყვაო. ძალიან ჩქარობდა, რაღაცას კი ვხვდებოდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი რა ხდებოდა... ცოტა მოწყენილი იყო... მარტო არ გამოვუშვი და თან წამოვყევი თბილისში. გზაში ვუთხარი, რომ ნეტა ამ ერაყს მოეშვა-მეთქი და მითხრა, „მამა, ნეტა ახლა ერაყში ვიყოო...“

მამა: „ჩემი ძმა რომ ელაპარაკა, თავიდან არ ეუბნებოდა სად იყო, მერე უთქვამს, რომ ცხინვალში ვარ და მამას არ უთხრაო. რვა აგვისტოს მოხდა ყველაფერი.

ბოლოს, ტელეფონზე რომ ველარ ვუკავშირდებოდით, ერთ-ერთ სერჟანტთან დავრეკე, ალეკოს მარჯვენა ხელი იყო... სად არის ალეკო-მეთქი ვკითხე. ალეკო დავალებაზეა წასულიო და ასეულიც მე ჩამაბარაო. ტელეფონიც მე დამიტოვა და თუ ვინმემ დაგირეკოს, შენ იმოქმედეო... მეორე ტელეფონიც ჰქონდა ალეკოს, ორივე ნაწილში დატოვა.

ცხინვალთან, შანხაისთან ყოფილან. შალვა დოლიძეც იქ ყოფილა. ცხონებულს დაუძახია ბარდაველიძე და-მახმარეთო, ალია, რომ წასულა, თან სამი ჯარისკაციც წაუყოლებია. მაშინვე მასთან მისულა. დახმარებია მე-გობრებს, მაგრამ სხვის გადასარჩენად მისული, თვითონ დაიღუპა... უკან უნდა გამოსულიყვნენ, რომ რუსებს „ლიმონკა“ უსროლიათ და ალია მაშინ დაღუპულა. ასე მოგვიყვნენ ის ბიჭები, ვინც გადარჩნენ.

მუხათგვერდის სასაფლაოზეა დაკრძალული...

უკვე ორი წელი გავიდა და ვერ ვიჯერებ, რომ აღარ არის... ცხოვრება საშინელებაა მის გარეშე...“

უფროსი სერჟანტი

არჩილ ბერიანიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1972 - 2008

9 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ იერიში გორზე მიიტანა. იმ ავბედით დღეს საქართველოს ისტორია, სამშობლოსთვის თავდადებული გმირების სახელებით, ისევ შეივსო. არჩილ ბერიანიძე გორის ნაწილის დაბომბვის დროს დაიღუპა. გული უგრძნობდა, მაგრამ წამიც არ შეყოვნებულა, ისე გავიდა ბრძოლის ველზე. დღეს მის საქმეს მეუღლე აგრძელებს, ნათია გოგიშვილმა აჩის სახელზე ფორმა ჩაიცვა.

გოგიშვილი ნათია, მეუღლე:

„ომი რომ დაიწყო არასდროს მიფიქრია, რომ აჩის რამე დაემართებოდა. თვითონ მას ჰქონდა წინათგრძნობა. გაიძახოდა, მე მალე მოვკვდებიო და ბავშვებს განსაკუთრებულად ეფერებოდა. ბოლო პერიოდში სასწაულად მოსიყვარულე და თბილი გახდა. ძალიან შეიცვალა. არ მეგონა თუ ეს ის აჩიკო იყო. მეტ დროს ბავშვებთან ატარებდა. არსად არ უშვებდა, სულ უნდოდა, რომ გვერდზე ჰყოლოდა. ეზოშიც არ უშვებდა. მოსწრებაზე იყო და სულ ჩქარობდა. უფროსი ვაჟი ბებიასთან სოფელში გვყავდა, პატარა ჩემთან იყო. ბოლოს, ომის წინა დღეს გვნახა. 7 აგვისტოს გავიდა სახლიდან. მეზობელი იხსენებს, გარეთ რომ გავიდა, ისე ამოხედა გულისტკენით ფანჯრებსო და თავი გააქნიაო. მერე, შუადღეს ისევ მობრუნდა, ნივთები წაიღო და წავიდა. ჩვეულებრივად დაგვემშვიდობა. ხვალაც გნახავთო. 9-ში დილის 11 საათზე ჩამოაგდეს ბომბი. გორის ნაწილიც დაიბომბა. ბოლო სატელეფონო კავშირიც 8-ში იყო, ღამის სამ საათზე. გაგვაფრთხილა, შეიძლება გორის ნაწილის დაბომბვა დაიწყოს და არ შეგეშინდეთ, ბავშვებს მიხედეთო. მერე კიდევ ერთი საათის შემდეგ დარეკა, ნუ გეშინიათ, პანიკაში ნუ ვარდებით, ხვალ გნახავთო. ეს ბოლო ზარი იყო... მას მერე ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ვფიქრობდი, დასატენი იყო და მაგითი ვიწყნარებდი გულს, მაგრამ იმაზე ვიეჭვე, სხვისგან რომ არ დამირეკა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი.

აჩი რომ დაიღუპა სოფელში მშობლებთან გადაასვენეს. ბავშვები რომ მივიყვანეთ, მიცვალებულს ცრემლი შევნიშნეთ თვალზე. ძალიან იმოქმედა ამ ყველაფერმა. მისი ოცნება იყო, რომ ბავშვი ფეხბურთზე შეეყვანა. უფროს ვაჟს ძალიან უყვარს ფეხბურთი და ავუსრულეთ ოცნება. დადის ფეხბურთზე. პატარა ადრე ამბობდა მამაჩემივით ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო. სულ ახსენებს, ენატრება. ახლა 7 წლისაა.

არჩილი ოჯახში პირველი შვილი იყო. 1972 წლის 27 აპრილს დაიბადა. 2 წლით უმცროსი ძმა ჰყავს. გორის რაიონის სოფელ სეღდულეთში დაამთავრა სკოლა. კარგი მოსწავლე ყოფილა. მერე გაიწვიეს ჯარში და მოიხადა სავალდებულო. 2 წლის მერე გორის სატანკოში გადმოვიდა, ზემდეგად.

მე თვითონ ცხინვალიდან ვარ. პირველად რომ აირია 92 წელს, მაშინ გამოვედით ცხინვალიდან. სეღდულეთში მყავს ბიძაშვილი, დასასვენებლად ჩავდიოდით ხოლმე და იქ გავიცანი. მერე გაჩნდა სიმპატიები, შემიყვარდა, შევუყვარდი. ასე გავყევი ცოლად. მაშინაც ჯარში მსახურობდა.

შეყვარებულები რომ ვიყავით სიურპრიზების გაკეთება ძალიან უყვარდა. ყვავილები მოჰქონდა ხოლმე.

ძალიან კარგი მამა იყო ბავშვებისთვის. პირველი შვილის მერე უნივერსიტეტი დავამთავრე. ვახუნა 5 წლის რომ გახდა, მეორე შვილი, ლაშაც გავაჩინე. უფროსი სერჟანტი რომ გახდა, ბინა მივიღეთ. 3 წელი ვიყავით ამ სახლში ერთად... რომ ვიფიქრე გვეშველა-მეთქი და ამოვისუნთქეთ, მაშინ დაგვემართა ეს უბედურება. ერთად სულ 11 წელი ვიცხოვრეთ.

სიზმარში სულ ვნახულობ, სულ იცინის. ნაღვლიანი და მოჩხუბარი არასდროს მინახავს. ცოცხლად მეცხადება. ძალიან ხუმარა იყო.

ხელფასს რომ აიღებდა, დამირეკავდა - გამოდი ხელფასი ავიღე, ბავშვები გამომიყვანე სამსახურთან და მეც გამოვალ მალეო. უფრო ბავშვებისთვის ყიდულობდა ყველაფერს. მე, იცოდა რომ სამკაულები მიყვარდა და მჩუქნიდა-ხოლმე. ძალიან პუნქტუალური და მოწესრიგებული იყო, თან საკმაოდ მკაცრი. მისი თანამშრომლები ამბობდნენ, სახლში თუ იცინოდა საერთოდ არც გვეგონაო.

მე პედაგოგი ვარ და აქამდე ჯართან არანაირი კავშირი არ მქონია. თავიდან ძალიან გამიჭირდა სამხედრო ფორმის ჩაცმა. ყველგან აჩის ვხედავდი. ახლა ძალიან მივეჩვიე და მიყვარს ჩემი ფორმა. მეხუთე ქვეით ბრიგადაში ვმსახურობ, საქმის მწარმოებელი ვარ.

მის გარეშე ცხოვრება საშინელებაა. იტყვიან, დრომ ყველაფრის დავიწყება იცისო, მაგრამ ჩემთვის ასე არ არის.“

კაპრალი

ზაზა ბირთველიშვილი

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1976 - 2008

872 – ტანკი ნომერი 406 - ზაზა „მიმინოს“ ეძახდა თავის ტანკს. ძალიან უყვარდა. ცხინვალში შევიდა, მას მერე არავის უნახავს, არც ცოცხალი და არც გარდაცვლილი. ვინც ბოლოს ნახა ამბობენ, გაშმაგებული იბრძოდა სამშობლოს დასაცავადო. ზაზა ბირთველიშვილი გმირია, უკვდავყოფილი, უსაფლავო.

სამადალაშვილი ანა, მეუღლე:

„სახლიდან ბოლოს 28 ივლისს გავიდა. ყაზარმული ჰქონდათ გამოცხადებული და სახლში ვერ მოდიოდა. 1 აგვისტოს დაბადების დღე მქონდა და ვერ გამოვიდა. მე ძალიან ნაწყენი ვიყავი. ტელეფონზე დარეკვის უფლებაც არ ჰქონდათ. 2-ში მაინც დამირეკა, მომილოცა. 5-ში გამოუშვეს რამდენიმე საათით, მერე 8-ში დილით დამირეკა 11 საათზე. ცხინვალში უკვე ორჯერ ვიყავით შესულები, ახლა მესამედაც უნდა შევიდეთ და სახლში მოვდივართო. მესამე შესვლაზე, ზაზა ტანკში იჯდა. მას მერე არავის უნახავს, არც ერთ ქუჩაზე აღარ გამოსულა, დაიკარგა. არც აფეთქებული უნახავთ და არც დასახიჩრებული. ზაზას ტ72- 406 ნომერ ტანკს მართავდა... „მიმინოს“ეძახდა თავის ტანკს და ძალიან უყვარდა. არავინ იცის რა მოხდა მაშინ. დიდხანს ეძებეს და ვერ იპოვეს. ჩემმა მაზლმა მაშინ ტვინის შერყევა და კანტუზია მიიღო. თავის ძმას რომ ეძებდა, ტანკი აუფეთქეს და სასწრაფოთი წამოიყვანეს გორში. ვერ მოითმინა, გაიპარა საავადმყოფოდან ძმის მოსაძებნად, მაგრამ გონება დაუკარგავს.“

ზაზა ბირთველიშვილი 1976 წლის 17 აპრილს გორში დაიბადა და გაიზარდა, ოჯახში მეორე შვილი იყო. გორის მე-7 საჯარო სკოლა დაამთავრა. 17 წლის დაოჯახდა. მერე იყო სამხედრო სამსახური, ოთხწლიან კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, თუმცა მხოლოდ 2 წელი იმსახურა.

სამადალაშვილი ანა, მეუღლე:

„ატენში გავიცანი, მაშინ მე 12 წლის ვიყავი. 2 წელი შეყვარებულები ვიყავით. ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო. მე გორის მე-8 სკოლაში ვსწავლობდი და ყოველ დილას, სანამ სკოლაში მივიდოდი, 9-ის ნახევარზე სკოლასთან მელოდებოდა. მეათე კლასში გადასასვლელ გამოცდებს ვაბარებდი და მაშინ მოტყუებით წამიყვანა. გამოცდა უკვე ჩაბარებული მქონდა და ვარდებით ხელში დამხვდა. მესაიდუმლე ჩემი ძმის ცოლი მყავდა, ჩემი ოჯახიდან ჩვენი ურთიერთობის შესახებ მხოლოდ მან იცოდა. გორში მეორე სახლიც ჰქონდა. ნაყინები რომ ვიყიდეთ, გაზი დამრჩა ჩართული სახლშიო და ასე შემიტყუა თავისთან, ჩამიკეტა გარედან კარები. თვითონ აივნიდან გადმოძვრა. თავს მოვიკლავ შენ რომ აქედან წახვიდეო. მშობლებმაც დამტოვეს და აღარ წამიყვანეს. 15 წლისას უკვე ბიჭი მყავდა. ახლა 16 წლის შვილი გვყავს. ზაზა 18 წლის იყო მამა რომ გახდა. ამის მერეც სულ მუშაობდა, რომ ოჯახი ერჩინა. ჯარის მოწვევა არ მოსვლია, რადგან ოჯახი ჰყავდა და გათავისუფლებული იყო. მერე, წლების შემდეგ, როცა უკვე ჩემი ძმაც შევიდა, თავისი ძმაც სამხედრო გახდა, თვითონაც წავიდა.

ძალიან მოსწონდა ფორმა. ზაზა საკონტრაქტოზე რომ შევიდა 30 წლის იყო. ჯარში შესვლაზე მე სულ ვეჩხუბებოდი, მაგრამ ისე გააკეთა საბუთები, რომ მე არაფერი ვიცოდი. თანხმობა რომ მოუვიდა, ჩარიცხვის შესახებ, მაშინ მითხრა. ძალიან უხაროდა. თავისი სამსახური ძალიან უყვარდა. გორის ჯავშან-სატანკო ბაზაზე მსახურობდა.

ბოლო დროს თითქოს გული უგრძნობდა, ძალიან დამძიმებული დადიოდა. სამსახურიდან რომ ამოდიოდა, ძალიან დაღონებული და თავის თავში ჩაკეტილი იყო. ვერ ვარ კარგადო ამბობდა.

მაშინ 35 წლამდე იღებდნენ სერჟანტთა სკოლაში. სამომავლოდ იქ აპირებდა შესვლას. აქ შევალ ცოტა ხანს, მერე უფროსი სერჟანტი გავხდებიო. სამხედრო კარიერის აწყობა უნდოდა. არ დასცალდა...

ძალიან რთულია მის გარეშე ცხოვრება. ყველანაირი პატარა პრობლემა დიდად მეჩვენება.

ბოლოს თავდაცვის სამინისტროში დაგვიბარეს. დნმ-ის ანალიზი აიღეს, მაგრამ დღემდე არაფერია ცნობილი. მე მირჩევნია ასე ვიყო და ყოველ წუთს ველოდებოდე, ვიდრე საფლავი ჰქონდეს. არ ვიცი ვინ რას იფიქრებს, მაგრამ მე ასე მირჩევნია.“



კაპრალი

დევი ჩადუნელი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1981 - 2008

ასე ადვილად არ მოვკვდები, ხომ იცით, დევი ვარო, უთქვამს ბიჭებისთვის და მათ ხელში დაულევია სული. 9 აგვისტოს დაეცა დევი ცხინვალში, ტაძრის კედელთან... მძიმედ დაჭრილი მეომრებს სთხოვდა, დამტოვეთ და წადითო... არ დატოვეს მტრის ხელში.

ჩადუნელი დალი, და: ბოლო დროს დევი უცნაურად იქცეოდა, აიკვიატა, სულ ამას ამბობდა : „აქ კი ცხოვრობს ადამიანი, მაგრამ მთავარია, იქ როგორ იცხოვრებსო და იქ რას მივიტანთო. ამბობდა, მე თუ რამე მომივიდა ჯერ ახალდაბაში გამომატარეთ და მერე აქ მომიყვანეთო. არ ვიცი, შეიძლება გული უგრძნობდა. ბოლო დროს იმასაც ამბობდა ხოლმე, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ რომ ვიყო და იქ ვიმსახურო არაფერი არ მომივა, მთავარია საქართველოში არ დაიწყოს რამე, აქ ვეღარ გადავრჩებიო. ალბათ, მართლა წინათგრძნობა იყო.

სახლიდან ბოლოს 5 ივლისს წავიდა ვაზიანში. ეზოს კარს რომ მოსცილდა, უკან სამჯერ მოიხედა. 5 აგვისტოს ველაპარაკე ჯერ ომი არ იყო დაწყებული და მითხრა: ვაზიანში ვარო. ამერიკელები არიან და წვრთნებს გავდივართო, ერაყში მიდიოდა. მოიკითხა ყველა. დედასაც დაურეკა, მაგრამ უფრო ხშირი ურთიერთობა ჩემთან ჰქონდა.

ერაყში გამგზავრების წინ გორის ჰოსპიტალში შემოწმებაზე წაიყვანეს, მაგრამ რუსები შემოიჭრნენ და ეს ბიჭები პირველ ხაზზე გაუშვეს ცხინვალში.

ტელევიზორს ვიყავით მიჯაჭvულები და ისე ვიგებდით ამბავს, სხვანაირად ვერ ვუკავშირდებოდით. ჩვენი სოფლიდან 12 ბიჭი იყო წასული ომში. მთელი სოფელი გარეთ იყო და ყველა ნერვიულობდა. 8 აგვისტოს, როდესაც ცხინვალში იყო ჩემი ძმის ბატალიონი, დამიკავშირდა, გამეხარდა და ვკითხე რა ხდებოდა, ღიმილით მითხრა, რომ „არაფერია ნუ გეშინია, ჩვენი ჯარი იცი რა მაგრად მოიქცა? რუსები გავაქციეთო.“ ჩვენ რომ არ გვენერვიულა გვითხრა, რომ ახლა გორში ვართ ცხინვალიდან გამოგვიყვანესო. ტელეფონში მესმოდა სროლის ხმა. მატყუებდა, რომ ეს ხმები ცხინვალიდან მოდისო. 9 აგვისტოს არ მახსოვს ზუსტად ადგილი, რომელ ტერიტორიაზე შევიდნენ, ჩემი ძმის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა ერთ-ერთი ბატალიონი, რადგან გამოცდილი იყო და ერაყში ნამყოფი, მას ჩააბარეს. ერთი მხარიდან მეორე მხარეს უნდა გადასულიყო, მასთან ერთად სვანი ბიჭი ყოფილა, ჩემს ძმას უთქვამს, რომ შენ გადადი და მე დაგიცავო, ეს ბიჭი გადასულა, ამ დროს რუსებმა ჩამოაგდეს ჭურვი. მთელი მარჯვენა მხარე აღარ ჰქონდა ჩემს ძმას. იქვე დაეცა ტაძრის კედლის გვერდით. ის ბიჭი ეძახდა თურმე - დევი, დევი სად ხარ, წამოდიო და ჩემს ძმას ხელი აუწევია, უთქვამს, რომ წადით ბიჭებო, დამტოვეთო, ამ ბიჭებს არ მიუტოვებიათ.

შემდეგ ყვებოდნენ ჩემი ძმის მეგობრები, რომ დევი ყოველთვის გვამხნევებდა და ამბობდა, რომ ჩვენ მაგრები ვართ, ქართველები ვართ, ჩვენს უკან ჩვენი ოჯახები დგანან, ბიჭებს ამხნევებდა, თურმე. გზადაგზა თუ დაჭრილი ან მიცვალებული ხვდებოდა სამშვიდობოს გამოჰყავდაო და უკან ბრუნდებოდა სხვების დასახმარებლადო.

როდესაც დაიჭრა მასთან ერთად სვანი ბიჭი იყო, რომელმაც არ მიატოვა, წამოიყვანა. ისეთ ადგილას იყვნენ სადაც სასწრაფო დახმარება ვერ მივიდა. პიკაპის სამხედრო მანქანით შევიდა ჩემი ძმის მეგობარი და გამოიყვანეს. სისხლისგან იცლებოდა და მანქანით რომ მოჰყავდათ, თურმე ამბობდა, ჰაერი აღარ არის, რა ხდებაო? ხედავდა რომ ჩვენ ასე განვიცდიდით, გვეუბნებოდა, ნუ ნერვიულობთ, მე ასე ადვილად არ მოვკვდები, დევი ვარო. ბოლოს უთქვამს:

„უფალი, ალბათ, იმასაც შემინდობს, რომ ომში ადამიანები მოვკალიო“. ინანიებდა ღვთის წინაშეო. 9 აგვისტოს დაიჭრა და იმავე საღამოს გარდაიცვალა... 10 აგვისტოს მოვასვენეთ.

ერთი კვირის შემდეგ დავკრძალეთ, სოფელში. ვერ შევუსრულეთ ბოლო თხოვნა, რომ ახალდაბაში მიგვესვენებინა ჯერ და მერე თავის სახლში. ჩვენი სახლიდან ჩანს ჯვარი, მისი ოცნება იყო და ყოველთვის ამბობდა, რომ ჯვარის გვერდით უნდა დავდგა ტაძარიო. ვფიქრობ, რომ ჩემი ძმის ეს სურვილი სისრულეში მოვიყვანო და ჩემი ძმის და იმ დაღუპული ბიჭების სახელზე ჯვრის გვერდით აშენდეს ტაძარი.

1981 წლის 3 ივლისს დაიბადა ახალდაბაში. იქ სწავლობდა მეხუთე კლასამდე. შემდეგ საცხოვრებლად გადმოვედით დედულში, ადიგენში და სკოლაც აქ დაამთავრა. 18 წლის ასაკში გამოიძახეს სავალდებულო ჯარში, ეს იყო 1999 წლის 18 ნოემბერი. სავალდებულო ჯარი ახალციხეში მოიხადა, სადაზვერვო ბრიგადაში. კაპრალი იყო წოდებით. როდესაც ჩემი ძმა სავალდებულოს იხდიდა, მათთან მივიდა საფარის წინამძღვარი მამა არსენი და ბიჭებს სთხოვა, თუ სურვილი გექნებათ, ტაძრის მშენებლობაში დაგვეხმარეთო. 7 თუ რვა ბიჭი, მათ შორის ჩემი ძმაც, დიდი სიხარულით წავიდნენ ეკლესიის მშენებლობაზე მამების დასახმარებლად. ექვსი თვე ცხოვრობდა მონასტერში. ძალიან შეიცვალა მისი ცხოვრება, მორწმუნე გახდა, ამ ექვსი თვის განმავლობაში სემინარიაში სწავლობდა, იქაურ წეს–ჩვეულებებს იძენდა. ჩემი ძმა ამბობდა, ჯარმა იმდენი რამე მომცა, რომ მთელ ცხოვრებას გამყვებაო. 8 წლის იყო, როდესაც ხისგან აკეთებდა პატარა ჯვრებს, მაშინ საერთოდ არ ჰქონდა შეხება ეკლესიასთან, დღესაც გვაქვს მის მიერ გაკეთებული ჯვარი, რომელიც ხატების კუთხეში დგას.

ერთხელ სახლში ვიყავით ყველანი და გვითხრა - კონტრაქტზე უნდა წავიდეო. დედაჩემი ძალიან შეწუხდა, ერთი ბიჭი ჰყავდა და წინააღმდეგობა გაუწია. თუმცა ვთვლიდით, რომ რასაც თვითონ გადაწყვეტდა ის უნდა

გაეკეთებინა. მამაჩემმა უთხრა, რომ თუ გინდა ეს საქმე წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. წინააღმდეგობა უფრო დედისგან იყო. მამისგან და ბაბუისგან უფრო კაცური თანადგომა ჰქონდა. კონტრაქტზე წავიდა. ბათუმის ბრიგადიდან ერაყში მიავლინეს. კაპრალი იყო წოდებით. ექვსი თუ შვიდი თვე იყო ერაყში. ერაყიდან როდესაც მიმესიჯებდა აღფრთოვანებით ყვებოდა იმ ხალხის ცხოვრებას. ძალიან მოსწონდა მათი დისციპლინა, ამერიკელებთან ერთად იყო. ხალხზე ყვებოდა, რომ ძალიან გაჭირვებულები არიანო, წყლის დეფიციტია და ჩვენ წყალს რომ გვაძლევენ ვინახავთ და ბავშვებს ვუნაწილებთო.

ხელი ოთხწლიან კონტრაქტზე ჰქონდა მოწერილი. 2008 წელს დაიღუპა, დეკემბერში უმთავრდებოდა კონტრაქტი. ამბობდა, კონტრაქტს ალბათ, კიდევ გავაგრძელებო, კარიერა უნდოდა გაეკეთებინა ჯარის ცხოვრებით და უფრო მეტისთვის მიეღწია.“

კაპრალი

თენგიზ ჭალალიძე

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

ცხინვალის მისადგომებთან მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონი მტრის ცეცხლს იგერიებდა. მოწინააღმდეგის მიერ ნასროლმა ტყვიამ ბატალიონის სამედიცინო ნაწილის კაპრალს, თენგის ჭაღალიძეს მკლავში გაუარა. დაჭრილ კაპრალს თანამებრძოლებმა რამდენჯერმე შესთავაზეს საცეცხლე ზონიდან გაყვანა, თუმცა ჭაღალიძისგან მათ უარი მიიღეს. რამდენიმე წუთში კი რუსულმა ავიაციამ ტერიტორიის დაბომბვა დაიწყო. დაჭრილი თენგიზი ჭურვის ნამსხვრევებმა იმსხვერპლა.

თენგიზ ჭაღალიძე 1988 წლის 16 ივნისს, ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში, ჭაღალიძეების მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. არასრული განათლება ბობოყვათის საშუალო სკოლაში მიიღო, თუმცა სწავლა აღარ გაუგრძელებია. სკოლის დასრულების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. სავალდებულო სამსახური ბათუმში გაიარა, რამდენიმე თვე კოდორის ხეობაშიც იმსახურა.

შოთა ჭაღალიძე, დაღუპულის მამა: „ბავშვობიდან წყნარი და თავაზიანი იყო. სწავლის დასრულების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წავიდა, ამ პერიოდში, მცირე ხნის განმავლობაში, კოდორის ხეობაშიც მოუწია ყოფნა. იმდენად მოეწონა სამხედრო ცხოვრება, რომ წელიწადნახევრის შემდეგ, როდესაც სავალდებულო სამსახური მოიხადა, რეგულარულში საკონტრაქტო სამსახურზე წასვლა გადაწყვიტა. ჩაირიცხა მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში. შემდეგ სამედიცინო დანაყოფში მოხვდა, ერაყში წასასვლელად ემზადებოდა, თუმცა ბოლოს ომი დაიწყო და მისი ბატალიონი ცხინვალში შევიდა.“

ზინა ჭაღალიძე, დაღუპულის დედა: „ოჯახში ყოველთვის თბილი და მოსიყვარულე იყო, ძალიან უყვარდა თავისი და-ძმაც. თენგიზს ტყუპისცალი ჰყავს, ჩემი ქალიშვილი, განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ მასთან ჰქონდა. მახსოვს, როდესაც პირველი ხელფასი აიღო და სამხედრო ნაწილიდან სახლში დაბრუნდა, ჩემთან მოვიდა, დედა, რა გაჩუქოო, მკითხა. მესიამოვნა მისგან ასეთი თბილი ჟესტი. შემდეგ ბათუმში წავიდა და სარეცხის მანქანა და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა იყიდა, ოჯახში რაც მოძველებული იყო გამოცვალა. არ უყვარდა ფულის ტყუილად ხარჯვა, ყოველთვის აინტერესებდა ოჯახისთვის რამე შეემატებინა. როგორც კი ნაწილიდან უკან ბათუმში ბრუნდებოდა, საყიდლებზე მიდიოდა. ყველაფერი ჩვენთვის უნდოდა. ნეტავ ასეთი შვილი ყველა დედას ჰყავდეს“.

ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე კაპრალმა, თენგიზ ჭაღალიძემ, თანამებრძოლებთან ერთად, სამედიცინო მომზადების სპეციალური კურსები გაიარა. ბატალიონი ერაყში სამშვიდობო მისიისთვის ემზადებოდა, თუმცა, მეოთხე ბრიგადის მედიკოსებს, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება რუსეთის წინააღმდეგ ომში მოუწიათ. მიუხედავად მოწინააღმდეგის ავიაციის გამუდმებული შეტევებისა, ქართველმა მედიკოსებმა ფრონტის წინა ხაზზე არაერთი დაჭრილი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნეს და მოახერხეს მათი დროული ევაკუაცია.

შოთა ჭაღალიძე, მამა: „სახლიდან ბოლოს 28 ივლისს გავიდა, დილით მოწყენილი იყო, გაცილებისას თითქოს გვერდზე გადიოდა. ვკითხე, შვილო რა გჭირს-მეთქი, მიპასუხა, მამა, ვნერვიულობ, არ მინდა რომ ბრიგადაში დამაგვიანდეს და ამისთვის საყვედური მივიღოო. არასდროს არ მიუღია საყვედური ჯარში. არასდროს აგვიანებდა სამსახურში, ერჩივნა სახლიდან ადრე წასულიყო და დროულად ყოფილიყო სამხედრო ნაწილში. აგვისტოს შუა რიცხვებისთვის ერაყში წასასვლელად ემზადებოდნენ, ამისთვის მომზადების სპეციალური კურსი გაიარეს. სამედიცინო მომზადების კურსის დასკვნითი ეტაპი უნდა ჰქონოდათ, თუმცა შვიდში ომი დაიწყო. მისი ბატალიონი ცხინვალის მიმართულებით წავიდა. ბიჭებმა თავგანწირვით იომეს და უკანაც განდევნეს მოწინააღმდეგე, მაგრამ შემდეგ რუსეთმა ავიაციით დაბომბა მათი პოზიციები, როკის გვირაბიდან კი დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა და ჯავშანტექნიკა შემოიყვანა. თენგიზი მედიკოსი იყო და, როგორც მისმა მეგობრებმა მითხრეს, ბევრი დაჭრილისთვის აღმოუჩენია პირველადი სამედიცინო დახმარება. ცხინვალიდან რომ გამოდიოდნენ ოსური პოზიციებიდან ცეცხლი გახსნეს, ტყვია თურმე ხელში მოხვდა თენგიზს, საკმაოდ სერიოზული ჭრილობა მიუღია მკლავში, თუმცა პირველადი სამედიცინო დახმარება საკუთარ თავს თვითონ გაუწია. მისი მეგობრები, ექიმები მისულან და უთქვამთ, წამო, გაგიყვანთ აქედან და გორის ჰოსპიტალში უკეთესად მოგხედავენო, მაგრამ თენგიზს უთქვამს: ეს რა სალაპარაკოა, ბიჭებს ჩემზე გაცილებით სერიოზული ჭრილობები აქვთ და ისინი გაიყვანეთო.“

ზინა ჭაღალიძე, დაღუპულის დედა: „სახლიდან რომ გავიდა უხასიათოდ იყო, თუმცა ამის მიზეზი არ გვიკითხავს. შეიძლება იცოდა კიდეც ბიჭებისგან, რომ კონფლიქტის ზონაში ცეცხლი იყო გახსნილი ოსური მხრიდან და ამას განიცდიდა. საერთოდ ჩუმი და წყნარი ბავშვი იყო. თუ საჭიროდ არ ჩათვლიდა არაფერზე არ საუბრობდა. თენგიზს ცოლი არ ჰყავდა, არც ის გამიგია, რომ შეყვარებული ჰყოლოდა. საერთოდ ასეთ თემებზე საუბარი არ უყვარდა. როდესაც სახლიდან წავიდა, რამდენიმე საათში ჩემს ქალიშვილს ესაუბრა ტელეფონით. მოგვიანებით კი ჩემს დისშვილს დაურეკა. ანერვიულებული ყოფილა. ამის შემდეგ არ დაურეკავს. ჩვენ ვეცადეთ დავკავშირებოდით, მაგრამ ტელეფონები არ იჭერდა, ვერაფრით ვერ დავუკავშირდით.“

მეოთხე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები ცხინვალის

შემოგარენში, ხეხილის ბაღში განლაგდნენ. დაჭრილ კაპრალს აქაც შესთავაზეს საცეცხლე ზონიდან გაყვანა, მაგრამ ოცი წლის ჯარისკაცმა, მასზე გაცილებით უფროს და გამოცდილ თანამებრძოლებს კვლავ უარით უპასუხა. საკმაოდ მძიმე ჭრილობით, თენგიზ ჭაღალიძე, დაჭრილი თანამებრძოლთა დახმარებასაც ახერხებდა და საკუთარ თავსაც პატრონობდა.

ზინა ჭაღალიძე, დაღუპულის დედა: „სანამ დაიღუპებოდა მანამდე რამდენიმე ჯარისკაცისთვის ჭრილობა შეუხვევია. ჩემი ნათესავის შვილი მსახურობს შეიარაღებულ ძალებში. უკან დახევისას ერთად ყოფილან. თენგიზისთვის უთქვამს, იარაღი დაუტოვე ბიჭებს, ისინი წამოიღებენ, წამო გაგიყვან გორის ჰოსპიტალში, იქ უსაფრთხოდ იქნები, ჭრილობას კარგად დაგიმუშავებენ და ცოტა ხანში თავსაც უკეთ იგრძნობო. გაუბრაზდა თურმე, გაგიჟდი, ქვეყანას ახლა აქ ვჭირდებით, ჯარისკაცები ვართ, ჩვენი დანიშნულება ჩვენი მიწის დაცვაა, აქედან ამ ნაკაწრის გამო გამოვიდე და ბიჭები დავტოვოო?! არავის დაუჯერა და ბოლომდე მისი თანამებრძოლების გვერდით იდგა .“

რამდენიმე წუთში კი ქართველი ჯარისკაცების დისლოკაციის ადგილი მოწინააღმდეგის მოიერიშეებმა დაბომბეს. 9 აგვისტოს, დაღუპული თენგიზ ჭაღალიძის ცხედარი იმავე ტერიტორიაზე დაკრძალეს, სადაც დაიღუპა... რამდენიმე დღეში ტერიტორიას რუსეთის საოკუპაციო ჯარები აკონტროლებდნენ. ოკუპანტებმა ქართულ მოსახლეობას დაღუპული მეომრების ცხედრების გამოტანის უფლებაც კი არ მისცეს.

შოთა ჭაღალიძე, მამა: „მისი დაღუპვის შესახებ არაფერი ვიცოდით. არ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ ჩემი შვილი გარდაიცვალა. ვეძებდი ყველგან, სადაც ხელი მიმიწვდებოდა, თუმცა უშედეგოდ. 26 აგვისტოს, საქართველოს პატრიარქის უშუალო ჩარევის შემდეგ, დაღუპული ბიჭების ცხედრები კონფლიქტის ზონიდან გადმოასვენეს და ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს. ამ დროისათვის უკვე თბილისში ვიმყოფებოდი. ჩავაბარე დ.ნ.მ-ის ანალიზი და სახლში დავბრუნდი. პასუხი სამ თვეში მოგვივიდა, სადაც ეწერა, რომ ჩემი შვილი ერთ-ერთი იყო იმ ჯარისკაცებიდან, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა. რომ არა პატრიარქის უშუალო მონაწილეობა - მათი ცხედრების გადმოსვენებაში, იქნებ ახლა ჩემი შვილის საფლავიც არ მქონოდა.“

დაღუპული ჯარისკაცის მამა შვილის ოცნებებს იხსენებს და თავად იმ ადგილას ჩასვლაზე ოცნებობს, სადაც კაპრალმა ჭაღალიძემ სიცოცხლის ბოლო წუთები გაატარა.

„ბევრი გეგმები ჰქონდა. ბევრი ოცნებები. უნდოდა სახლი აეშენებინა და ყველას ერთად, ბედნიერად გვეცხოვრა. ძალიან მინდა იმ ადგილზე ჩავიდე, სადაც ჩემი შვილი დაიღუპა, თუმცა ახლა იქ რუსული საოკუპაციო ჯარები დგას და ეს შეუძლებელია. მინდა საკუთარი თვალით ვნახო ის ადგილი, სადაც ჩვენი ბიჭები რუსულმა ჭურვებმა იმსხვერპლა და იქ დავუნთო სანთელი მათ ხსოვნას. ისტორია იტყვის თავის სიტყვას. შემდეგი თაობები მაგალითს აიღებენ მათგან და მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე გაერთიანდება. ძნელია შვილის დაღუპვა, ძნელია, როცა ის შენს გვერდით აღარ არის, თუმცა მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩემი შვილი საქართველოს გმირია.“

რეზერვისტი

დათა ხურცილავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.



1986 - 2008

ძმის გადასარჩენად გარბოდა, ბომბის ნამსხვრევი რომ მოხვდა...

მტერი სენაკის ბაზას ბომბავდა. ბიჭები მიწას გაერთხნენ, მასაც უყვიროდნენ „დათა, დაწექი!“ ის არ დაწვა – რა დავწვე, დაჩის ვერ ვპოულობო, უმცროსი ძმის ძებნა განაგრძო და... ბომბის ნამსხვრევი მოხვდა კიდეც იმ წუთას. ძმების მამა, რომელიც ბაზის კართან იდგა, ბაზაზე შეიჭრა თავზარდაცემული. პირველად დაჩი იპოვა – მძიმედ დაჭრილი, დათას საძებნად გავარდა და... მიაგნო... მკვდარ შვილს უხდიდა ბოდიშს – მაპატიე, აქ რომ გტოვებო... დაჩისთან დაბრუნდა გადასარჩენად...

დათო ხურცილავა სიცოცხლით სავსე, 22 წლის ბიჭი იყო... ომის დაწყებისთანავე გულანთებული გავარდა რეზერვში.

დაიბადა ხობში 1986 წლის 16 თებერვალს. დედა, ნინო ბულია გაიხსენებს, როგორ ბრუნდებოდა ღონიერი და მოუსვენარი დათა ყოველდღე სკოლიდან დასვრილი და პერანგდახეული. „ძალიან ცელქი იყო, უფროსკლასელებთან ჩხუბობდა თურმე... მეექვსე კლასიდან საეკლესიო სკოლაში გადავიყვანეთ, გამოიცვალა, დადინჯდა, გაკვეთილებს არ აცდენდა, კარგი მოსწავლე იყო. თავისზე უფროსებთან მეგობრობა უყვარდა...“

დაჩი, ძმა: „ძალიან მოუსვენარი, ჯანმრთელი და ენერგიული იყო. ძალიან ალერსიანი, მოსიყვარულე, მოფერება უყვარდა და ეს თვისება სიცოცხლის ბოლომდე გამოჰყვა. ნიჭიერი და მიზანდასახული იყო, ბაღში ზეიმები რომ იყო, ყველას ლექსები ზეპირად იცოდა, ახლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა... სკოლაში მათემატიკის კარგი ცოდნით გამოირჩეოდა. ამიტომაც დაისახა მიზნად ეკონომისტი გამხდარიყო და მიაღწია კიდეც. ეხერხებოდა ხაზვა. უმაღლესი სასწავლებლის მასალებს აძლევდა მასწავლებელი დასახაზად. მშვენივრად აკეთებდა ყველაფერს და მაღალ შეფასებებს იმსახურებდა. გახარებული მიჩვენებდა შეფასებულ ნამუშევრებს. ახლა მაგის დათვალიერება ჩემთვის ჯოჯოხეთია...“

მათემატიკის და ხაზვის გარდა, დათას ფეხბურთი და ჭადრაკიც ჰყვარებია. ჭადრაკის მასწავლებელი კმაყოფილი ყოფილა მისი გონებაგახსნილობით... დაღუპვის შემდეგ, ხობში მისი სახელობის სტადიონი გაიხსნა, მის დაბადების დღეზე ტარდება ფეხბურთის ჩემპიონატი...

დედა: „ძალიან მგძნობიარე იყო, უჩემოდ არსად ჩერდებოდა. მახსოვს, ერთხელ დედაჩემთან დავტოვე, დავპირდი რომ ერთ კვირაში წამოვიყვანდი, ვეღარ ჩავაკითხე, ისეთი გულჩათხრობილი გამხდარა, ჩემმა ძმამ სასწრაფოდ ჩამოგვიყვანა, შემეშინდა, ისე მოიწყინაო, რომ დაგვინახა მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ასეთი იყო სკოლის დამთავრებამდე... ძალიან უყვარდა ძმა, მშობელივით უფრთხილდებოდა, არადა, ერთი წელი იყო მათ შორის სხვაობა. ბავშვობაში ძმას რომ გაუჯავრდებოდა და ხელს ასწევდა დასარტყმელად, ჰაერშივე აჩერებდა ძმაზე აწეულ ხელს...“

სკოლის დამთავრების შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, ფინანსებსა და საბანკო საქმეს ეუფლებოდა.

დედა: „სტუდენტი რომ გახდა, მეც თან გავყევი თბილისში. ერთად გავატარეთ სტუდენტობა... ჩვენ მარტო დედა-შვილი კი არა, მეგობრებიც ვიყავით... მოწინავე სტუდენტი იყო, კარგად იცოდა თავისი საქმე, კერძოდ ფინანსები. რომ დაამთავრა, თავისი პროფესიით ეძებდა სამსახურს, რომ ვერაფერი იპოვა, უსაქმოდ ხომ არ ვიქნებიო და ყულევის ტერმინალზე, დაცვის სამსახურში დაიწყო მუშაობა. ოპტიმისტი იყო, ამბობდა, მერე რამე გამოჩნდებაო...“

დედა გაიხსენებს, რომ ბოლოს დათა გონებაგაფანტული იყო და თავადვე აკვირვებდა საკუთარი დაბნეულობა. „სულ ცდილობდა მომფერებოდა“ - იტყვის დედა... მის დაღუპვამდე ერთი თვით ადრე კი, თავად დედას ჰქონია ავი ზმანება - „ხილვა მქონდა – სასტუმრო ოთახი ყვავილებით იყო სავსე და იქვე ჩემი შვილი ესვენა... საკუთარ თავს ვეჩხუბებოდი, ეს როგორ გავიფიქრე-მეთქი. რა მალე ამიხდა ეს ხილვა... ასეთივე ხილვა ჰქონდა მიშიკო იოსავას დედასაც და გაოგნებულები ვიყავით, ერთმანეთს რომ ვუყვებოდით ამ საოცრებას...“

მერე დაიწყო ომი. ორივე ძმა - დათაც და დაჩიც რეზერვისტები იყვნენ. დაჩი წასულა კიდეც რეზერვში. დათაც გამოიძახეს, მაგრამ სამსახურიდან არ უშვებდნენ.

დედა: „სამსახურში სამჯერ შესულა უფროსთან, ეხვეწებოდა გამათავისუფლე რეზერვში უნდა წავიდეო. მესამე თხოვნაზე გაუთავისუფლებია უფროსს. დათას გარდაცვალების შემდეგ ის კაცი წუხდა, არ უნდა გამეშვა, ჩემი ბრალიაო, მაგრამ დათა თუ რამეს გადაწყვეტდა, ვერავინ გადააფიქრებინებდა... ბებიასა და ბაბუას არ უნდოდა მისი გაშვება, ამბობდნენ, რაღაც ცუდი მოხდებაო, მაგრამ ვინ დაუჯერა... მამამისი გაგიჟებული იყო, არ უნდოდა გაშვება, ხვეწნა რომ დავუწყე, არ წახვიდე-მეთქი, მომიბრუნდა – დამალვას მთავაზობო?! არა, შვილო, დაჩი ხომ წავიდა-მეთქი, ჰოდა დაჩის ვერც მე მივატოვებ, დაჩი იქაა, მე აქ რა მინდაო. სულ იმეორებდა დაჩი იქ არის და მე აქ რა გამაჩერებსო... ჩაყარა ტანსაცმელი, ტანზე ნახევრადსველი მაისური ჩაიცვა და გავარდა...“

მამამ რომ ვერაფერი გააწყო, თავადაც წავიდა ბაზაზე.

„ჩემი მეუღლე სამხედრო ბაზის კარებთან იდგა, ორივე შვილი აქ მყავს და სახლში რა მინდაო... დაბომბვამდე ნახევარი საათით ადრე ველაპარაკე დათას, მამშვიდებდა, დაიძინე, არაფერი მოხდებაო. რა დამაძინებდა ჩემი შვილები იქ იყვნენ...“

მერე მტერმა ბაზის დაბომბვა დაიწყო...

ძმა ძმას ეძებდა თავზარდაცემული, ბაზაზე შეჭრილი მამა კი თავის შვილებს...

„დათას თურმე მეგობრები უყვიროდნენ, დაწექი, დათა, დაწექიო. როგორ დავწვე დაჩის ვერ ვპოულობო, უთქვამს... მის მოსაძებნად გარბოდა, რომ დაღუპულა. ბაზაზე შევარდნილმა ჩემმა მეუღლემ პირველად დაჩი იპოვა დაჭრილი, დათას ძებნა გააგრძელა, ცოტა ხანში გარდაცვლილი იპოვა... მიატოვა და დაჩის დასახმარებლად დაბრუნდა უკან, საავადმყოფოში წაიყვანა, იქნებ ეს მაინც გადარჩესო. დათას ბოდიშს უხდიდა, მაპატიე შვილო, დროებით იქ რომ დაგტოვეო, მაგრამ შენს ძმას უნდა ვუშველოო. ერთი შვილი სასიკვდილოდ დაჭრილი და მეორე გარდაცვლილი... დღესაც მიკვირს, როგორ გაუძლო ამ სიმწარეს... დაჩი ძალიან ცუდად იყო, გერმანიაში რომ არ წაეყვანათ, ისიც მომიკვდებოდა, ბეწვზეა გადარჩენილი, ერთი წელი ფეხზე ვერ დგებოდა...

ჩვენს ყოფნას ცხოვრება არ ჰქვია... განადგურებული ვართ, ტანჯვაში გადის დრო... დათას ბაბუა ორმოცი დღის განმავლობაში სასაფლაოზე ათენებდა, იქ იწვა, სულ იმეორებდა დათას სიბნელის ეშინოდა და მარტო არ დავტოვებო...“

მოტრიალდება დაღუპვიდან ორი წელი... საფლავზე მისულ შვილმკვდარ დედას დახვდება ყვავილები და... ვიღაც გოგონას ლექსი ყვავილებთან ერთად...

დედა: „დიდი მონატრება იყო ჩაქსოვილი... შეყვარებული იყო, ცოლის მოყვანა ეჩქარებოდა, სექტემბერში უნდოდა დაოჯახება... ძალიან უყვარდა ბავშვები, ალბათ, გული უგრძნობდა, რომ ვერ მოესწრებოდა მამობას... საშინელებაა... გასახსენებელი ბევრი მაქვს, მაგრამ გული ვეღარ უძლებს მეტის გახსენებას...“

კაპრალი

გიორგი ღვინიაშვილი

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1985 - 2008

ნოცა მის წინ მიმავალი ტყვია-წამლით დატვირთული მანქანა აფეთქდა, ის, ამ მანქანაში მსხდომი ბიჭების გადასარჩენად გაიქცა, თუმცა ალმოდებულ მანქანასთან მიახლოებისას მეორე აფეთქებამ 23 წლის კაპრალი, გიორგი ღვინიაშვილი იმსხვერპლა...

გიორგი 1985 წლის 17 ივლისს დაიბადა და 23 წლის შემდეგ 7 აგვისტოს თავი სამშობლოს შესწირა... გარდაცვალემაბდე რამდენიმე თვით ადრე კი, ორსულ მეუღლეს კონსპექტების რვეულში წერილი დაუტოვა, რომელიც ლია ბერიძემ გიორგის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოაჩინა...

ჩემს საყვარელ მეუღლეს, ლიკას!

20.04.2008

ლიკა, ჩემო სიცოცხლე, შენით მიხარია სიცოცხლე და იმ პაწუათი, რომელიც მუცელში ფართხალებს. მე თუ წამიყვანეს ერთი თხოვნა მაქვს, თავს გაუფრთხილდი და პატარას, ბავშვი გამიზარდე ისე, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება, ბიჭი თუ იქნება, ნამდვილი ვაჟკაცი გამიზარდე, თუ გოგო, ქართველს რომ შეეფერება ისეთი ქალი აღზარდე, ანუ შენნაირი...

უზომოდ მიყვარხარ, შენი მთელი ცხოვრება ვერ მიხვდები ამას, იმიტომ, რომ სიყვარულის გამოხატვა არ შემეძლო, მაგრამ ჩემს გულში რამხელა დარდი და მონატრება გამყვება თქვენი, შენ ვერ წარმოიდგენ...

მე თუ რამე დამემართა, ჩემს პატარას მოუყევი, თუ როგორი მამა ჰყავდა. თუ დავიღუპე, იცოდე, რომ ვაჟკაცურად დავიღუპები, თუ გადავრჩი ვაჟკაცურად და სიამაყით სავსე დავბრუნდები. ამას იმიტომ ვიძახი, რომ საქართველოს და ჩემი შვილის სამშვიდობო ოპერაციაში მივიღე მონაწილეობა...

იცოდე, რომ ძლიერ მიყვარხარ და სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან შენი სიყვარული გამყვება. იქიდანაც თქვენზე ვიფიქრებ და ვილოცებ! მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ ...

ლია ბერიძე, მეუღლე: „მე წარმოშობით ასპინძიდან, სოფელ ახალციხიდან ვარ. გიორგის მამიდა ჩვენს სოფელში იყო გათხოვილი და ერთმანეთი იქ გავიცანით. ოთხწლიანი ურთიერთობის შემდეგ ვარძიაში გავიპარეთ, საიდანაც უკვე თბილისში ჩამოვედით და აქ 3 წელი ერთად ვიცხოვრეთ.

გიორგის დედა პატარას გარდაეცვალა, მამა კი მეორე ჯგუფის ინვალიდი ჰყავდა, ამდენად შრომა მისთვის ადრეული ასაკიდან ძალიან ნაცნობი იყო და არასდროს იზარებდა. ჯარისადმი ინტერესიც სულ ჰქონდა და მიუხედავად მამის და ჩემი წინააღმდეგობისა, მაინც თავისი გაიტანა, საბუთები რომ უნდა შეეტანა საკუთარ დას სთხოვა ფული. 3 თვე გაიარა კარანტინი და 6 თვე იმსახურა. წოდებით კაპრალი იყო და ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მძღოლად მუშაობდა მეხუთე სატანკო ბრიგადაში.

შვილზე ოცნებობდა, ერთხელ მითხრა, ეკლესიაში ვიყავი და უფალს ვთხოვე, რომ ოღონდ შვილი მომეცი და თუ გინდა მე წამიყვანეო. ჩემი ორსულობა რომ გაიგო ძალიან ბედნიერი იყო. მე ივლისში სოფელში წავედი... ომის დაწყებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა და გვნახა...

მას შემდეგ ტელეფონით კი სულ გვქონდა საუბარი, მაგრამ ნახვით აღარ მინახავს. სახლში ყოფილა მოსული და ჩემი მული იხსენებს ისე გამოგვემშვიდობა თითქოს გრძნობდა რაღაცასო. პირველ აგვისტოს მთელი ღამე ლაპარაკში გაუთენებიათ.

ტელეფონით დაკავშირება კი ძალიან ჭირდა, მაგრამ 7 აგვისტოს დამირეკა დილით და მითხრა, რაღაც მინდა გთხოვოო, შვილი გაზარდე ისეთი, მე როგორიც მინდოდა გამეზარდა და შენ როგორიც გინდა რომ გაიზარდოსო. თავს მიხედეო, ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი...“

ლიკა დღეს მახათას მთაზე, საჰაერო თავდაცვაში მუშაობს და პატარას ზრდის:

„ძალიან რთულია, როცა მოდიხარ ღამე სახლში და ქმარი გახსენდება, გინდა ტირილი, მაგრამ პატარას გამო ემოციების მოთოკვა გიწევს. მე რომ ვტირი ისიც ტირილს იწყებს. ჯერ, ალბათ, ვერც ხვდება რომ ის გმირის შვილია.“

კაპრალი

გიორგი ქათამაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1985 - 2008

ერთ-ერთი პირველი, ვინც ცხინვალის დაბომბვისას დაიღუპა, კაპრალი გიორგი ქათამაძეა. ის მედიკოსი იყო და დაჭრილი სამხედროებსა თუ მოსახლეობას ეხმარებოდა.

გიორგი ქათამაძე 1985 წლის 12 მარტს, ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში დაიბადა, სკოლის დასრულების შემდეგ კი ცოლად თანასოფლელი მზევინარ გოგრაჭაძე შეირთო.

მზევინარ გოგრაჭაძე, მეუღლე: „მე და გიორგი დიდხანს ვხვდებოდით. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ. სკოლის დასრულების შემდეგ გავიპარეთ. ყოველთვის თბილი და მოსიყვარულე იყო. მისგან ყოველთვის დადებითი მუხტი მოდიოდა. პირველი შვილი, ბექა 2006 წელს შეგვეძინა, ძალიან უხაროდა, შემდეგი შვილი გოგონა იყო, მეგი დავარქვით. შვილები ძალიან უყვარდა, ყველაფერს მათთვის აკეთებდა. გიორგის ყოველთვის აინტერესებდა სამხედრო საქმე და 2007 წელს შეიარაღებულ ძალებში წასვლა გადაწყვიტა. შემოწმება გაიარა, ამის შემდეგ კი მეოთხე ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში ჩაირიცხა.“

კაპრალი ქათამაძე საკუთარი სახლიდან ბოლოს ივლისში გავიდა. სპეციალურ სამედიცინო მომზადების კურსებს გადიოდა. ოჯახს კი, ამ პერიოდში, ტელეფონით უკავშირდებოდა.

ქათამაძე შუშანა, გმირის დედა: „სახლიდან ბოლოს 12 ივლისს გავიდა. ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, სწავლებები ჰქონდა, თუმცა ხშირად გვეკონტაქტებოდა ტელეფონით. სამი კვირა არ ყოფილა მოსული სახლში. ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო, შვილები ძალიან ენატრებოდა და ამბობდა, როგორც კი მოვრჩებით სწავლებებს და საშუალება მექნება მაშინვე ჩამოვალო, თუმცა ვეღარ მოახერხა.“

შემდეგ კი რუსებმა ომი დაიწყეს. გიორგი სწავლებიდან, სახლის ნაცვლად, თანამებრძოლებთან ერთად კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდა. რუსულ-ქართულ ომში მედიკოსებმა სამაგალითო თავდადება აჩვენეს და უამრავ დაჭრილ ჯარისკაცს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. რუსმა ჯარისკაცებმა კი შეტევა სამხედრო საველე ჰოსპიტალებზეც მიიტანეს. აგვისტოს ომში გიორგი ქათამაძე არც პირველი და არც ბოლო მედიკოსი ყოფილა, რომელიც რუსული ავიაციის მსხვერპლი გახდა.

დედა: „ომის დაწყების შესახებ ჩვენ ტელევიზიის საშუალებით გავიგეთ. ავნერვიულდი და გიორგის დავურეკე, თუმცა ვერ დავუკავშირდი. კონფლიქტის დაწყების დღიდან არ დაურეკავს, ბევრჯერ ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ ვერ მოვახერხე, ვერც მის მეგობრებს დავუკავშირდი. შემდეგ გავიგე, რომ მეოთხე ქვეითი ბრიგადის ბიჭები უკვე ცხინვალში იყვნენ. ვტიროდი, ჩემი შვილიც ხომ ამ ბრიგადის წევრი იყო... ეტყობა ვერც თვითონ დაგვიკავშირდა. შემდეგ ავიაციამ ჩვენი ბიჭების პოზიციების დაბომბვა დაიწყო, როგორც მისმა თანამებრძოლებმა მითხრეს, დაბომბვის დაწყების შემდეგ ერთ-ერთი პირველი ჩემი შვილი დაიღუპა, საავიაციო ბომბმა ნაფლეთებად აქცია.“

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დაღუპულ მებრძოლთა ცხედრები იმ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რომელსაც რუსეთის საოკუპაციო ჯარები აკონტროლებდნენ. ცხედრების გადმოსვენების საქმეში, უშუალოდ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ჩაერთო, სწორედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩარევის შემდეგ მისცეს, საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებმა, ქართველებს გვამების გადმოსვენების უფლება.

დედა: „გიორგის დაღუპვის შესახებ არაფერი ვიცოდით. გარკვეული დროის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ვეძებდით ყველგან, საავადმყოფოებში, დაღუპულთა რიგებში, თუმცა უშედეგოდ. ვფიქრობდით, რომ ტყვედ ჩავარდა და ახლობლებს ოსურ მხარესთანაც დავარეკინეთ. ჩვენი ტრაგედია საბოლოოდ დნმ-ის ანალიზის შედეგად გაცხადდა.“

მეუღლე: „მისი დაღუპვიდან უკვე ორი წელი გავიდა. ძალიან განვიცდი, მე საუკეთესო მეგობარი დავკარგე, უსაყვარლესი ადამიანი, ჩემი შვილების მამა. არავის ვუსურვებ იმას, რასაც მე ვგრძნობ. შვილებს მამა არ ახსოვთ, პატარები იყვნენ როცა დაიღუპა. გიორგი ამბობდა, რომ მინდა ჩემი შვილი ჯარისკაცი გამოვიდესო. ბექა, როცა მამის ფოტოებს უყურებს, ამბობს, როცა გავიზრდები მამიკო რომ იყო, ისეთი ჯარისკაცი გამოვალო. მხოლოდ ასე, ფოტოებით იცნობენ მამას.

უკვე ორი წელი გავიდა და ჩემი ტკივილი განუსაზღვრელია, თუმცა მე ამაყი ვარ, რომ ჩემი ქმარი გმირია, საქართველოს გმირი. ჩემი ერთადერთი ნუგეში ახლა ჩვენი შვილებია.“

კაპრალი

ზვიად ბარბაქაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ექიმებს ევედრებოდა, გადამარჩინეთ, შვილი უნდა შემეძინოსო...

მტერი რომ ფოთს ბომბავდა, ის სხვა ჯარისკაცებთან ერთად კატარღაზე იდგა. დაბომბვისას დაიჭრა. საავადმყოფოში მისული ევედრებოდა კიდეც ექიმებს, გადამარჩინეთ, მამა უნდა გავხდეო... ექიმებამდე კი მძღოლს ეხვეწებოდა ხმა მიეწვდინა მისი მშობლებისთვის...

ზვიად ბარბაქაძემ 14 აგვისტოს დალია სული...

დაიბადა 1986 წლის 24 თებერვალს. მშობლებისთვის პირველი შვილი იყო. შემდეგ და-ძმაც შეეძინა.

დედა გაიხსენებს, რომ ზვიადი ცელქი ბავშვი იყო, რომ ფრიადოსანი არ ყოფილა, მაგრამ კარგად სწავლობდა...

„12 წლის იყო კინგბოქსინგზე რომ შევიყვანე... ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, ფოთის საზღვაო ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, ტექნიკუმი რომ დაამთავრა, სავალდებულო ჯარში გაიწვიეს, წელიწადნახევარი იმსახურა...“

შემდეგ კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა, დედა წინააღმდეგი არ წასულა, პირიქით, თავად ამოსდგომია გვერდში საბუთების შეგროვებისას. კონტრაქტი გააფორმა, საზღვაო ფლოტში მსახურობდა.

„პირველი ხელფასი რომ აიღო, ძალიან ბედნიერი იყო. დიდი ბაბუიდან დაწყებული, ყველას საჩუქრები მოუტანა...“

მერე იყო ომი... ომამდე კი სიყვარული ეწვია. მარიკა გვასალია და ზვიად ბარბაქაძე ერთმანეთს ადრეც იცნობდნენ, მაგრამ მოგვიანებით შეუყვარდათ ერთმანეთი. შეყვარებიდან ერთი თვის თავზე, მაისის თვეში იქორწინეს კიდეც. ერთად სულ სამი თვე იცხოვრეს...

მარიკა გვასალია: „ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო, ერთი სული ჰქონდა შვილი როდის შეგვეძინებოდა... კრწანისში იყო წვრთნებზე, როცა გაიგო, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და ძალიან უხაროდა... 2 თვის ორსული ვიყავი, რომ გარდაიცვალა... მეგობარი ჰყავდა გარდაცვლილი, როდესაც ნასვამი იყო, ამბობდა- ხოლმე მასთან უნდა წავიდეო... მაშინ ამ ნათქვამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, სერიოზულად არ აღმიქვამს... როგორც ჩანს, წინათგრძნობა ჰქონდა...“

ზვიად ბარბაქაძე ბოლოს შინ სწორედ იმ საბედისწერო დღეს იყო, როდესაც ფოთი დაიბომბა...

შინ სულ ნახევარი საათით მიირბინა, სამხედრო ნაწილში ტაქსით წავიდა, რომ არ დაგვიანებოდა და... წასვლიდან ნახევარ საათში კი... დაიბომბა კატარღა...

დედა: „თქვა ნახევარი საათით გამომიშვესო, ჭამა და უკან გაბრუნდა. შინიდან რომ გადიოდა განსაკუთრებული დამშვიდობება არ გვქონია, არც მე მქონია რაიმე წინათგრძნობა, გათიშული ვიყავი... ძმაზე ნერვიულობდა, ზაური ომის დროს რეზერვში იყო გაწვეული, სენაკის ბაზაზე იყო. დაურეკია კიდეც, დაურიგებია, ჭკვიანად იყავიო... გასვლის წინ მითხრა, ხვალ მოვალ დედა, რაღაცების წაღება მინდა, შეიძლება დიდხანს მოგვიწიოს გაჩერებაო. ყველაფერს მოგიმზადებ-მეთქი, ვუთხარი. ეს იყო ჩვენი ბოლო სიტყვები...“

მეუღლე: „რომ მიდიოდა, სამჯერ დამიძახა კარგად იყავიო. ტაქსიდან კიდევ ერთხელ გადმომხედა და მანქანიდანაც დამემშვიდობა. ძალიან ჩქარობდა...“

დედა: „ფოთი რომ დაიბომბა კატარღაზე იყვნენ ბიჭები, მათ შორის ზვიადი... ის კატარღა დაბომბვაში მოყვა... მუცელში დაიჭრა. თვითონ გაუჩერებია ტაქსი, დახმარება უთხოვია, დედაჩემს და მამაჩემს გააგებინეთო. იმ ტაქსის მძღოლმა გაგვაგებინა ზვიადის ამბავი... ჩვენ რომ საავადმყოფოში მივედით, უკვე ოპერაციას უკეთებდნენ, ეხვეწებოდა ექიმებს, გადამარჩინეთ, შვილს ველოდებიო... მეორე დღეს რეანიმობილით ბათუმში გადავიყვანეთ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ყველა ორგანო დაზიანებული ჰქონდა. ერთი კვირა წვალობდა ჩემი შვილი, სამი ოპერაცია გავუკეთეთ. ერთი კვირა იწვა რეანიმაციაში უგონოდ. 14 აგვისტოს გარდაიცვალა... შიშით დავასაფლავეთ... უმძიმესი მდგომარეობა იყო. ქალაქის დაბომბვას არავინ მოელოდა. მე, წარმოშობით ოსი ვარ, ჩემი ნათესავები ყველანი იქ იყვნენ, მათ ამბავს ხშირად ვკითხულობდი, მათი დარდი მქონდა და რას ვიფიქრებდი, რომ აქ დაგვატყდებოდა უბედურება...

ძალიან მიმძიმს ცხოვრება... ჩემი პირველი შვილი იყო... კეთილი და ალალი ადამიანი, გულს ამოიღებდა და მისცემდა სხვას... სამხედრო განხრით უნდოდა სწავლის გაგრძელება...“

მეუღლე: „ძალიან ძნელია მის გარეშე ცხოვრება. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ შვილი უნდა მყოლოდა, მთელი ყურადღება იმაზე მქონდა გადატანილი, რომ ბავშვი უნდა დაბადებულიყო და უნდა გამეზარდა.ზვიადს სურდა, რომ თუ ქალიშვილი გვეყოლებოდა ლიზი დაგვერქმია... გოგონა შემეძინა, ლიზი დავარქვი... ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ ვცდილობ, რომ მისი სახელი და სიტყვა „მამა“ ვასწავლო...“

POLICE.GE
4211

რეზერვისტი

ირაკლი მორბედაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1985 - 2008

ბავშვი 2 წლისაა უკვე... სურათებით ცნობს მამას. აიღებს ფოტოებს და კოცნის ბევრს...“

ირაკლი მორბედაძე ომამდე ორჯერ იყო რეზერვში. 8 აგვისტოსაც გამოიძახეს, თვალის დაუხამხამებლად წავიდა რეზერვში... და დაიღუპა...

ირაკლი მორბედაძე თბილისში, 1985 წლის 2 აგვისტოს დაიბადა.

მშობლებისთვის – ოთარ და მარინა მორბედაძეებისთვის ირაკლი პირველი შვილი იყო, შემდეგ ქალიშვილიც შეეძინათ.

დედა: „ძალიან მშვიდი და წყნარი ბავშვი იყო, ძალიან ჭკვიანი, სკოლაში კარგად სწავლობდა, ქუჩაში ზედმეტად სიარული არ უყვარდა, კარგი სამეგობრო ჰყავდა და სულ მათთან იყო...“

სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე ჩააბარა, სწორედ იქ გაიცნო მომავალი მეუღლე ირინა. გაიცნო და შეუყვარდათ ერთმანეთი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეუღლდნენ.

დედა: „ირაკლი და ირინა ჯგუფელები იყვნენ. ირინა ბაკურიანიდანაა. ირაკლი ბაკურიანში წავიდა, ძალიან მორიდებული და გულჩათხრობილი ბიჭი იყო, იქიდან დაურეკა თავის დას, ჩამოდი შეყვარებული უნდა გაგაცნოო. ბაკურიანიდან რომ ჩამოვიდნენ მაშინ გავიგე, რომ შეყვარებულები იყვნენ. იმ ზაფხულს დაქორწინდნენ. ცოლის მოყვანა რომ უნდოდა, მისი ძმაკაცისგან გავიგეთ. იმ ბიჭმა მოიყვანა ცოლი და მერე გვითხრა, იკასაც უნდა ცოლის მოყვანაო. ნიშნობის მერე ანკარაში წავიდნენ. ჯვარი შემოდგომით დაიწერეს. გაზაფხულზე ბავშვი შეეძინათ. სამი თვის იყო ირაკლი რომ დაიღუპა...“

ომამდე მშენებლად მუშაობდა. 8 აგვისტოსაც სამსახურიდან შინ, შესვენებაზე მიდიოდა, კომისარიატიდან რომ დაურეკეს და გამოიძახეს. იმ დღესვე წავიდა გორში იმ ბიჭებთან ერთად, ვისთანაც მანამდე ჰქონდა გავლილი რეზერვი კახეთსა და კოჯორში.

დედა: „არანაირი წინათგრძნობა არ მქონია... ერთი კვირის ჩამოსული იყო ბაკურიანიდან, იქ ჰყავდა ცოლშვილი. გასვლისას ძალიან ჩქარობდა, ტირილი დავიწყე გაცილებისას, მითხრა ნუ ტირი, ნერვები არ მომიშალოო... ხშირად ველაპარაკებოდი, მამშვიდებდა, არ ინერვიულოთ, გარეთ ვართ ბიჭებიო. გორში სპორტულ დარბაზში იყვნენ რეზერვისტები...“

მამა: „მეუღლეს ელაპარაკებოდა ღამის სამ საათამდე. დილით აფეთქებისას სპორტული დარბაზის კედელი ჩამოიქცა, დაეცა და... ორი ბიჭი მოყვა ამ კედელში, ერთი ჩემი ვაჟი და მეორე კახელი ბიჭი, იმ ბიჭზე თქვეს, ცოცხალი იყო და რომ ჩამოიყვანეს მერე გარდაიცვალაო. იმ დილითვე გაგვაგებინეს ირაკლის დაღუპვის ამბავი... მისმა მეგობარმა დამირეკა, ვისთან ერთადაც იყო წასული. ბოლოს მანქანა ვუყიდე, იმ მანქანით ჩავედი გორში... თავის მანქანით ჩამოვიყვანე... ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდათ, ძალიან უნდოდა რომ 4 შვილი ჰყოლოდა. უნდოდა რომ სამსახური დაეწყო და თვითონ მას და მის მეუღლეს აღეზარდათ შვილი. ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდათ მას და მის მეუღლეს, მაგრამ...“

დედა: „ირინას ჰქონია ცუდი წინათგრძნობა, არ უნდოდა მისი ბაკურიანიდან გამოშვება... მერე თქვა, რომ მიდიოდა მეგონა ველარასოდეს ვნახავდიო... სიცარიელეა მის გარეშე, ძნელია მის გარეშე ცხოვრება, ბავშვი გვაძლებინებს...“

ირაკლი მორბედაძე 15 აგვისტოს დაკრძალეს ქსოვრისში, იქ, საიდანაც მოდის მათი გვარი.

მამა: „პატრიოტი იყო და არც უფიქრია სადმე წასვლა. ჩამოყალიბებული პიროვნება იყო, სერიოზულად ეკიდებოდა გადაწყვეტილებებს. ჭკვიანი და დამჯერი ადამიანი იყო. დიდ პატივს სცემდა თავის მეგობრებს და მათაც ძალიან უყვარდათ. ბედნიერი ოჯახი ჰქონდა... გვიჭირს უმისოდ. ბავშვი 2 წლისაა უკვე, სურათებით ცნობს მამას. ჰგავს კიდეც მამას... აიღებს მამამისის ფოტოებს და კოცნის ბევრს...“

კაპრალი

დავით ჯიქია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

ოს, თამარაშენის დაბომბვისას დაიღუპა, სწორედ მაშინ, როცა ოსის გენერალს მისდევდა, იმ გენერალს, რომელმაც მეგობრები დაუხოცა...

ნანა და დაზმერ ჯიქიებს 5 ქალიშვილი ჰყავდათ, მერეღა შეეძინათ ნანატრი ვაჟი. დავითი დაარქვეს. პატარა დათო, ბავშვობაში რომ გაიძახოდა სამშობლო უნდა დავიცვაო, ბავშვური ახირება ეგონა დედას. მერეღა მიხვდა, რომ არ ხუმრობდა, როცა სავალდებულო ჯარის მოხდის შემდეგ კონტრაქტი გააფორმა საქართველოსთან. დედას ჯარისთვის არ ემეტებოდა ნანატრი ვაჟი. თან რცხვენოდა ამის... „მინდოდა სახლში მყოლოდა, მაგრამ ვინ დამიჯერა...“

ომის შემდეგ, დებმა გადაფურცლეს ბავშვობისას შევსებული თავიანთი სამახსოვრო დღიურები, სადაც თავის სურვილებს და ოცნებებს წერდნენ. ერთ-ერთი დის დღიურში დათოს ჩაუწერია თავის ოცნება „დიდხანს მინდა ვიცხოვრო“...

დავით ჯიქია 20 წლის იყო. გმირულად დაიღუპა, 8 აგვისტოს, თამარაშენში, როცა მტერი ქართულ მიწას ბომბავდა...

დავით ჯიქია 1988 წლის 2 აპრილს დაიბადა ზუგდიდში, დაამთავრა სოფელ რიყის საშუალო სკოლა.

დედა: „ძალიან მოსიყვარულე და კეთილი იყო, უკონფლიქტო, ოჯახში 6 ბავშვი იზრდებოდა და არასოდეს უკინკლავიათ. ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ ჩემი შვილები ზრდილობით და ყოფაქცევით ყველგან გამოირჩეოდნენ. ერთი ბიჭი გვყავდა და როგორც შეგვეძლო ვანებივრებდით. მამამისი არასდროს ასაქმებდა, ამბობდა, ჯერ ახალგაზრდაა და გაიხაროსო, მე შემიძლიაო და ვაკეთებო. ფეხბურთის თამაში უყვარდა ძალიან...“

სამხედრო ვალი ზუგდიდის შინაგან ჯარში მოიხადა, შემდეგ კონტრაქტი გააფორმა, მსახურობდა მეოთხე ბრიგადაში, 42-ე ბატალიონში.

დედა: „ჯარში რომ წავიდა დასერიოზულდა, ფულს მაძლევდა, სულ მეუბნებოდა ახალი ტექნიკა შეიძინე, სახლში გვჭირდებაო. ერთი გოგონა უყვარდა თურმე, სახლში რემონტის გაკეთება უნდოდა და ფულს აგროვებდა, ამხანაგებთან უთქვამს, სახლში ახალ ავეჯს ვიყიდი, რაღაცებს შევცვლი და ცოლს მოვიყვანო...“

დათო ომის დაწყებამდე ათი დღით ადრე ჩავიდა შინ. შვებულება ჰქონდა. დედა იხსენებს, რომ დათო ჩვეულებრივ იქცეოდა, მეგობრებთან ერთობოდა...

შინიდან ბოლოს 3 აგვისტოს გავიდა. ბოლოს 5 აგვისტოს შეეხმიანა ოჯახს, ამერიკელებთან წვრთნები გვეწყება, ტელეფონი გამორთული მექნება და არ შეგეშინდეთო. დედამ დაიჯერა შვილის ნათქვამი, მაგრამ...

დედა: „სიტუაცია რომ დაიძაბა, ავფორიაქდი, არაფერი ვიცოდი, რა ხდებოდა მის თავს, ჩვენს თავს... ბოლოს რომ მელაპარაკა, დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, ომში არა ვარ, ზურგს ვამაგრებთო. უფროსი დისთვის დაურეკავს და უთქვამს, ცუდი სიზმარი ვნახე და თავს გაუფრთხილდით, რამე არ მოხდესო, ხომ იცით თქვენზე ვნერვიულობო... 10 აგვისტოს დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ თამარაშენში დაიღუპა, დაბომბვის დროს... დეენემით მოხდა ამოცნობა... მშობლიური სოფლის მიწას მივაბარეთ... არ დასცალდა ჩემ შვილს არაფერი, 20 წლის ასაკში დამთავრდა მისთვის ყველაფერი, ბედნიერება... სამშობლოს შესწირა სიცოცხლე... ჯარიდან სულ მადლობის სიგელებს მიგზავნიდნენ _ კარგი შვილი გაგიზრდიაო. ცუდს რომ არასოდეს ჩაიდენდა, ვიცოდი, მაგრამ იმაში დარწმუნებული არ ვიყავი სამ-შობლოსთვის თავგანწირვა თუ შეეძლო... დაღუპვის წინ, მეგობრისთვის უთქვამს, რამდენი ჩემი თანამებრძოლი დაიღუპა დღეს და მე სასწაულებრივად გადავრჩიო. გვიან ღამემდე ერთად ყოფილან, ის მეგობარი მიყვებოდა, მოგვიანებით ჩავთვლიმეთო. ერთ საათში დაბომბვის ხმამ გამაღვიძა, გავიხედე ჩემს გვერდით არ იყო, ვიღაც ოს გენერალს მისდევდა, თურმე ჩემი მეგობრები დახოცაო და იმ დაბომბვის დროს დაიღუპა... ამას ცხოვრება არ ჰქვია, ეს ტანჯვაა... მიხარია, ჩემი შვილი სამშობლოს რომ გამოადგა, მაგრამ ძალიან მინდოდა ცოცხალი ყოფილიყო...“

ОСинформ
osinform.ru

რეზერვისტი

გოგა ჭითანავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

Ოცი ნაბიჯიღა იყო სანგრამდე... და ოცის ნაცვლად ერთი ნაბიჯი გადადგა - უკვდავებისკენ...

ომის დროს, რეზერვში რომ გამოიძახეს, ვეღარავინ შეაკავა. დედა ემუდარებოდა არ წასულიყო. მისთვის ეს მიუღებელი იყო – როგორ? დავიმალოო?! ბიჭები იქ არიან და თვალებში როგორ შევხედოო... დედა ევედრებოდა გაჩერებულიყო, ვადის ამოწურვამდე. სასტიკ უარზე დადგა. მაინც წავიდა.

გაცილებისას სთხოვა, თავი არ გამოიჩინო, წინა ხაზზე დაგაყენებენო.

გოგა ჭითანავამ გაბრაზებულმა გადაულაპარაკა ძმას - ეს ქალი ოლიმპიადაზე ხომ არ მიშვებს, ომია, რასაც დამავალებენ იმას გავაკეთებო. თქვა და წავიდა.

8 აგვისტოს გაიხურა სახლის კარი... 9 აგვისტოს სენაკის ბაზას ბომბავდა მტერი. პირველ დაბომბვას გადაურჩა, მეორე დაბომბვისას კი... 20 ნაბიჯში დაეწია სიკვდილი - ოცი ნაბიჯიღა იყო სანგრამდე... და ოცის ნაცვლად ერთი ნაბიჯი გადადგა - უკვდავებისკენ...

გოგა ჭითანავა 1987 წლის 30 ოქტომბერს დაიბადა ხობში. დაამთავრა სოფელ ხეთის საშუალო სკოლა. მშობლებისთვის მეორე, უმცროსი ვაჟი იყო, თუმცა დედა გაიხსენებს, რომ გოგა იყო უფროსი, ვიდრე მასზე 2 წლით უფროსი ლევანი...

დედა: „პატარაობიდანვე ისეთი იყო – დაეყრდნობოდი. დიდის საქმეც რომ დაგევალებინა, თავისუფლად აკეთებდა. ისეთი იყო – სულ გვიკვირდა... ვერავინ ვერაფერს მოატყუებდა... მახსოვს ერთხელ ბაღიდან მოდიოდნენ გოგა და ლევანი. გოგა გაბრაზებული მოდიოდა და სურათი მოჰქონდა - ბაღში გადაუღიათ. გამოვართვი სურათი, ვნახე რომ სურათზე ლევანი ტიროდა. გოგას ვკითხე, რატომ ტიროდა-მეთქი. რა ვიცი კაცო, დედა უნდოდაო – გაბრაზებულმა მითხრა... არადა, ლევანი 2 წლით უფროსი იყო გოგაზე, მაგრამ გოგა უფრო ვაჟკაცური და გამბედავი იყო. მეხუთე კლასიდან ქალაქში მარტო დადიოდა. რასაც დავაბარებდი ყველაფერს აკეთებდა. ერთხელ ლევანმა თქვა, მეც გავყვები გოგასო. მარტო ვერ ბედავდა წასვლას. გავაყოლეთ. უკან გვიან დაბრუნდნენ. გოგა ბუზღუნებდა, ლევანს აწი არსად აღარ წავიყვანო. პატარა ბავშვივით გული გამიწყალა, რამდენი რამე მომთხოვა, მაგრამ არაფერი ვუყიდე, მოვატყუე და სახლში ისე მოვიყვანეო... ბავშვობიდან ძალიან მოსიყვარულე იყო, სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდა...“

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წამოვიდა, ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

მამა: „ხუთი წელი ცხოვრობდა დამოუკიდებლად თბილისში და არასდროს პრობლემა არ შექმნია. ბრძნული და ჭკვიანური აზრების თქმა იცოდა. ახლა იხსენებენ მის ნათქვამებს მისი მეგობრები და უფროსი თაობაც. ალბათ, ხანმოკლე სიცოცხლე რომ ჰქონდა, იმიტომ იყო ასეთი განსხვავებული...“

სტუდენტობისას ორჯერ იყო რეზერვში. უნივერსიტეტი 2008 წელს დაამთავრა. თბილისიდან ახალი ჩასული იყო ხობში, მობილიზაცია რომ გამოცხადდა და გამოიძახეს.

დედა: „სანამ ეს ამბავი მოხდებოდა სამი დღით ადრე, მარტო ვიყავი სახლში, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, არ ვიცი რა მტკიოდა, ხმამაღლა მინდოდა მეტირა, უცებ კარი გაიღო და გოგა შემოვიდა, შევჩივლე, რაღაც ცუდად ვარ-მეთქი. ჩამიხუტა. უცებ გულზე მომეშვა. მკითხა: როგორ ხარო, უკეთ-მეთქი. გადამკოცნა, მომეფერა და მითხრა: დე, მე შენი წამალი ვარო... 9 აგვისტოს ჩემი დაბადების დღეა, რიცხვი ამერია და 8-ში დილით მეგონა, რომ 9 აგვისტო იყო. გოგა რომ ადგა და არ მომილოცა, ვუთხარი გილოცავ ჩემს დაბადების დღეს-მეთქი. ჩამეხუტა, გადამკოცნა, დიდხანს იცოცხლე და შენი შვილების ბედნიერებით დატკბიო. მოვლენები ასე ცუდად რომ განვითარდა, მერე გავიგე, რომ თურმე 8 აგვისტო იყო და გოგას წინასწარ მოვალოცინე დაბადების დღე, ალბათ გული უგრძნობდა, რომ 9 აგვისტოს ვეღარ მოესწრებოდა...“

გოგა წავიდა. ბაზიდან არ გაუყვანიათ. ოჯახთან მთელი დღის მანძილზე ჰქონდა სატელეფონო კონტაქტი. ბოლოს გვიან ღამით დარეკა შინ. კოდორი უკვე დაბომბილი იყო.

ძმა:„ნერვიულობდა, როგორ ხართო. ვუთხარი, მეშინია, როგორ იქნებით, სად წაგიყვანენ-მეთქი. გაიცინა და მითხრა, შენ რამ შეგაშინა, იარაღი მე მიჭირავსო, შემრცხვა...“

დედა: „ვეხვეწებოდი, შვილო თავს გაუფრთხილდი-მეთქი. მამშვიდებდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და მალე სახლში ვიქნებიო. ბოლოს მითხრა, დედა, ნუ დაჩაჩანაკდები მაგრად იყავი, ძალიან მიყვარხარ, თავი არ დაიჩაგროო... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები...“

ძმა: „ჩვენი საუბრიდან ათ წუთში ჯერ ფოთი დაიბომბა, შემდეგ სენაკი. ბიჭები იხსენებენ, გოგა ტელეფონზე ლაპარაკობდა, უცებ ცა რომ განათდა და საშინელი ხმა გაისმა „დაწექით!“, ვინ საით გარბოდა არ გვახსოვს, დაბნეულები ვიყავითო... გოგა პირველი დაბომბვისას გადარჩენილა, მეორე დაბომბვისას სანგრისკენ გარბოდა, მაშინ დაღუპულა სანგრამდე 20 ნაბიჯი იყო დარჩენილი...“

ოჯახი ვეღარ უკავშირდებოდა გოგას... ამბის გასარკვევად შუაღამისას წავიდნენ სენაკის ბაზაზე მამა და ძმა. არ შეუშვეს. გამთენიისას 6 საათზეღა შევიდა სხვა მშობლებთან ერთად.

მამა: „ყველას ვეკითხებოდი ხომ არ გინახავთ-მეთქი. პასუხს არავინ გვცემდა ყველა დაბნეული იყო. სერჟანტს ვკითხე, გოგა ჭითანავა სად არის-მეთქი. აქვე იყვნენ, იარაღს აბარებდნენო. თურმე იცოდა გარდაცვლილი რომ იყო და მიმალავდა... საავადმყოფოში წავედით, იქნებ

დაჭრილია- მეთქი. პირდაპირ პირველ სართულზე შევედი, სამი ჯარისკაცი ესვენა, გადაფარებული ჰქონდათ. ერთ-ერთს მივუახლოვდი გადავხადე და... ჩემი შვილი იყო...“

დედა შინ მარტო იყო. არ იცოდა შვილის ამბავი. ქმარ-შვილთან რეკავდა, არ პასუხობდნენ... ქუჩაში ხალხმა იმატა. გოგასთან ერთად რეზერვში წასული მეზობლის ბიჭიც დაბრუნდა შინ. დედა შვილის ამბავს კითხულობდა, მეზობლის ბიჭი თავს არიდებდა გულის გამგმირავი სიმართლის თქმას...

დედა: „ვკითხე, გოგა ხომ არ გინახავს-მეთქი, არ ვიცი ყველანი დავიფანტეთ და არ მინახავსო, თურმე ყველამ იცოდა ჩემი შვილი მკვდარი რომ იყო, არ მეუბნებოდნენ... დრო გადიოდა... ქუჩაში ხალხი მატულობდა. ვხვდებოდი, რომ რაღაც ხდებოდა ჩემს თავს... მოგვიანებით გავიგე ეს უბედურება...

ერთი სული მქონდა სწავლას როდის დაამთავრებდა, სულ აქ მეყოლება-მეთქი, თბილისიდან რომ დაბრუნდებოდა ეზოში შემოვიდოდა თუ არა ზურგჩანთას დააგდებდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა - „რა კარგია ჩემი სახლი, მიყვარს აქაურობა“... ოცნებობდა ცოლი მოეყვანა და გერმანიაში წასულიყო რამდენიმე წლით. ბევრი გეგმები ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა... ცხოვრება მიდის უხალისოდ... ეკლესიაში დავდივარ... თვითონ ძალიან ეკლესიური იყო, მარხულობდა, ეზიარებოდა... ნაზიარები წავიდა ამქვეყნიდან... სიზმარში ხშირად ვხედავ, ერთი და იგივეს მიმეორებს - „მე ცოცხალი ვარ, ნუ გეშინია...“

კაპრალი

ზვიად კაცაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1980 - 2008

ოერთმეტ აგვისტოს შინდისთან მომხდარი შეტაკების დროს მას დაჭრილი მეგობრები გამოჰყავდა სამშვიდობოს, როცა მტრის ტყვია დაეწია. მეგობრებისთვის უთქვამს, „ვიცი ვერ გადავრჩები და ჩემებს გადაეცით, რომ ყველა ძალიან მიყვარსო“. ბოლო შეტყობინება საცოლეს გაუგზავნა _ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვეღარ გნახავო...“

იამზე კაცაძე, და: „ზვიადს ყოველთვის უყვარდა სამშობლო. ჯარში ყოფნის დროს ეს სიყვარული უფრო გაუღვივდა. ალბათ, ამანაც გამოიწვია, ის, რომ კომანდოს სამსახურში შესულიყო და ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო. მან ხომ ჯერ კიდევ ბავშვმა გაიგო რა იყო ომი. მისი უპირველესი მიზანი სამშობლოს დაცვა იყო. ძალიან უყვარდა საქართველო. ასე იტყოდა: ,,ქართველი რის ქართველია თუ სამშობლოს დასჭირდა, მისი გულისთვის თავი არ გასწირაო“. 2006 წელს მოაწერა ხელი ოთხწლიან კონტრაქტს. სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ასეულში კაპრალად მსახურობდა. უკანასკნელად 11 აგვისტოს ვესაუბრე, მაშინ შინდისში ყოფილა და სწორედ იქ დაღუპულა. სანამ თვითონ შეეწირებოდა მტრის ტყვიას, მეგობრებს ეხმარებოდა სამშვიდობოს გასვლაში, ჭრილობებს უხვევდა თურმე. მტრის ტყვია ფეხში მოხვედრია, მეგობრებისთვის უთქვამს, ბიჭებო სისხლისგან ვიცლები, ვიცი მოვკვდები და ჩემებს გადაეცით, რომ ყველა ძალიან მიყვარსო. აი ეს ყოფილა მისი ბოლო სიტყვები. მოძღვრებს გადაუსვენებიათ თბილისში... 11 აგვისტოს ანგარიშზე 3 ლარი ჩავურიცხე. მხოლოდ 6 თეთრი ჰქონდა დახარჯული. საცოლისთვის გაგზავნილი უკანასკნელი მესიჯი. სად ეცალა შუა ომში ტელეფონზე სალაპარაკოდ. ასე წავიდა 28 წლის ვაჟკაცი სამზეოდან - თბილი და ტკბილი. მის პატივსაცემად სოფლის ცენტრში, ომში დაღუპულთა გვერდით, ახალგაზრდობამ საპატიო ქვა დაუდგა. გარდაცვალების მერე კი მისცეს სიგელი ,,გმირული მამაცობისთვის“.

ზვიად კაცაძე 1980 წლის 25 იანვარს სოხუმში, სოფელ ეშერაში დაიბადა, მრავალშვილიან ოჯახში. 5 და-ძმა ჰყავდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში იწვნიეს საკუთარ თავზე ომის სისასტიკე, ზვიადი მაშინ პატარა იყო და სამშობლოს დაცვა არ შეეძლო, როცა შეძლო, თავიც შესწირა.

იამზე კაცაძე: „მაშინ ბევრი რამ გადავიტანეთ. ზვიადი 12 წლის იყო. რამდენიმე კვირა ტყეში ვიმალებოდით. ცოცხლები ძლივს გადავრჩით. შემდეგ კი, როგორც ბევრი სხვა ლტოლვილი, გემით ფოთში ჩამოვედით, იქიდან კი ბაღდათის რაიონში, სოფელ რუხში ნათესავებთან მივედით. მოგვიანებით კი პატარა სახლიც ავაშენეთ. იქ შევედით სკოლაში. ზვიადმა ახალი მეგობრები გაიჩინა, ყველამ შეიყვარა. ბევრი მეგობარი ჰყავდა. სწავლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს და წავიდა კიდევაც.

ძალიან უყვარდა ხატვა. თავისუფალ დროს ტაძრებს ხატავდა. ნივთებსაც აკეთებდა. ის ძალიან მორწმუნე იყო. ყველა ვუყვარდით, მაგრამ განსაკუთრებით დედა უყვარდა. ზვიადს ყოველთვის ჰქონდა ძმების ნოსტალგია, რომლებიც ომის შემდეგ რუსეთში იმყოფებოდნენ და დღემდე იქ არიან. მართალია, ხშირად ჩამოდიოდნენ ძმები, მაგრამ ზვიადს ეს არ აკმაყოფილებდა.

საცოლე ჰყავდა - ანა კორძაია. ძალინ უყვარდათ ერთმანეთი. ტელეფონზე ვნახეთ მისთვის გაგზავნილი უკანასკნელი წერილი, სადაც წერდა, რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ შეგრძნება ჰქონდა, რომ ვეღარასოდეს ნახავდა. ზვიადს წინასწარ ბინაც ჰქონდა ქუთაისში დაქირავებული. დაოჯახებას ორ თვეში აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა...

ომი რომ დაიწყო ძალიან შეგვეშინდა. მახსოვს 11 აგვისტოს დილას, დიდი წვალების შემდეგ დავუკავშირდი. ხმა არ მომეწონა, ძალიან შეცვლილი იყო, მოწყენილი და მკაცრი ხმა ჰქონდა. შევეკითხე, ზვიად რა გჭირს, ხომ კარგად ხართ, საჭმელი ხომ გაქვთ-მეთქი? კი კარგად ვარ, ჩვენ ახლა ვარჯიშზე ვართო. ახლა ვხვდები რა მწარედ მომატყუა. ტელეფონი თვითონ გათიშა, ალბათ, არ ეცალა... მის მერე ვეღარ დავუკავშირდით. მერე, მოგვიანებით, მეზობელი ბიჭები ჩამოვიდნენ და ასე გვითხრეს, დაჭრილი უნდა იყოს და ეძებეთო. დედას გულმა უგრძნო... 14 აგვისტოს წავიდა ზვიადის საძებნელად. სანამ ეძებდა, ჩვენთან ბაღდათის უფროსობა იყო მოსული და მათ შეგვატყობინეს ზვიადის დაღუპვის ამბავი. დედას დავურეკეთ, ზვიადი დაჭრილი მოიყვანესო, მოვატყუეთ.“

დედა ყველაფერს მიხვდა... 19 აგვისტოს ქრისტიანული წესით დაკრძალეს სოფლის სასაფლაოზე. გმირის დედა მედგრად იყო. დღესაც ამბობს „ამაყი ვარ, რომ ჩემი შვილი სამშობლოს შეეწირაო.“

კაპრალი

ზაქარია კვირიკაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

Ъхвისი შვილებისთვის ლოცულობდა დედა და არ იცოდა, რომ მისი შვილი ამ დროს გააფთრებული მტრის პირისპირ იდგა. გორში, რუსეთის საავიაციო იერიშის დროს დაიღუპა ზაქრო კვირიკაშვილი. 9 აგვისტოს ღამით გმირის ოჯახიდან უკვე ტირილის ხმა ისმოდა. შვილის გმირულად დაცემის ამბავი, იმავე დღეს გაიგეს. ზაქრომ სამშობლოსთან უვადო კონტრაქტი გააგრძელა.

თამილა საკაშვილი, დედა: „ომი რომ დაიწყო ლომისაში ვიყავით. კაზარმული გამოცხადდა. მისი ჯარის მეგობრებიც იმ დღეს ჩვენთან ერთად იყვნენ და ყველა წავიდა, მარტო ზაქრო დარჩა, რადგან ხელი ჰქონდა ნატკენი, არ გამოუძახიათ. მაგრამ სულ ბიჭებზე ლაპარაკობდა, ხშირად ურეკავდა და ეკითხებოდა რა ხდებოდა, რა მდგომარეობაში იყვნენ.

პარასკევს ადგა დილით და ჩავიდა გორის ჰოსპიტალში. თავის ექიმს უთხრა, უნდა მომხსნა სახვევი ბიჭების გვერდით უნდა ვიყოო. ექიმს უთქვამს, რომ მოგხსნა სახვევი, მაინც ვერ იხმარ მაგ ნატკენ ხელსო. ნაწილში წასულა, უფროსისთვის უთხოვია, მეც გამიშვითო, მასაც სახლში გამოუშვია. მობრუნდა დაღონებული და მითხრა, ფორმა გამომიღეო. გამოიცვალა და წავიდა... მეზობლები, მთელი სოფელი ეხვეწებოდა, რომ არ წასულიყო. ხელი ისევ შეხვეული ჰქონდა. სახლიდან რომ გადიოდა მაშინ თქვა, მე სახლში როგორ გავჩერდე, ბიჭები ომიდან რომ დაბრუნდებიან მათ თვალებში როგორ შევხედოო, რამეში მაინც გამოვადგები და დავეხმარებიო. უფროსს რომ არ მოეშვა საიარაღოს გუშაგად დააყენეს. გორში იყო იმ ღამეს. დაგვირეკა და გველაპარაკა, ნუ გეშინიათ არაფერი არ მოხდება, მალე დამთავრდება ყველაფერიო. მისთვის მართლაც მალე დამთავრდა სიცოცხლე... 9 აგვისტოს 11 საათზე დაიღუპა.

Ъхвისი შვილებისთვის ვლოცულობდი, მეგონა ჩემი შვილი ომში რომ არ გაგზავნეს, არაფერი მოუვიდოდა. მაგრამ ბომბი რომ ჩამოვარდა პირველი ზაქრო დაიღუპა.“

ზაქრო კვირიკაშვილი 1983 წლის 6 სექტემბერს, გორის რაიონში სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა, იქვე დაამთავრა სკოლა. ოჯახში მესამე შვილი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს, სავალდებულო მოიხადა და კონტრაქტით დარჩა.

დედა: „ზაქროს სულ უნდოდა რომ ჯარში ყოფილიყო, ჯარის მეგობრებზე გიჟდებოდა, სულ მათთან უნდოდა. სიცოცხლე უყვარდა. ბევრი აუხდენელი ოცნება დარჩა, შეყვარებული ჰყავდა და გვითხრა, ომი რომ დამთავრდება ცოლს მოვიყვანო. მანქანის ყიდვაც უნდოდა და არ ვაყიდინე, ძალიან მეშინოდა, რისი მეშინოდა არ ვიცი, ასე მეგონა, მანქანას რომ იყიდიდა რაღაც დაემართებოდა. პირველი ხელფასი მეგობრებთან ერთად დახარჯა. ყოველთვის რაღაცას მჩუქნიდა.

მისი დაღუპვის ამბავი იმავე ღამეს გავიგეთ. მისმა მეგობარმა გვითხრა. წარმოუდგენელი გრძნობა მქონდა, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ჩემს თავს ხდებოდა. მასთან ერთად დაიღუპა მისი კლასელი,ზურა ურიგაშვილი, იმ ღამესვე მოვასვენეთ ბავშვები.

სამი დღის შემდეგ დავკრძალეთ. თავზე დაგვტრიალებდა თვითმფრინავი. ძალიან მძიმე პერიოდი იყო.

აზრი დაკარგა ჩემმა ცხოვრებამ, ხანდახან რომ მივდივარ, მგონია რომ გვერდით მომყვება. “

დედას ტკივილი არ ტოვებს, მისთვის 9 აგვისტოს ყველაფერი დამთავრდა, მხოლოდ შვილის სახელის უკვდავსაყოფად ცოცხლობს, შვილის, რომელმაც ომში მეგობრები არ დატოვა და მათთან ერთად გმირის წოდებით შევიდა სავალდებულო სამსახურში, ამჯერად სამშობლოსთან უვადო კონტრაქტით.

325
331

სერჟანტი

ფილიპე მგალობლიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1976 - 2008

7 აგვისტოს ერგნეთის ტეკთან ავტომანქანების კოლონა მიდიოდა. ზაზა ერთ-ერთ მანქანას მართავდა... ახალი ნაოპერაციევი ფეხი ჰქონდა, მაგრამ ომში მაინც წავიდა. გამოგადგებითო, უთქვამს მეგობრებისთვის. საჰაერო დაბომბვის დროს დაიღუპა, ქორწინების მეცხრე წლისთავზე.

ჩხიკვიშვილი თამარი, მეუღლე: „ბოლოს 6 აგვისტოს მელაპარაკა. ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყო, მაგრამ მაშინ, რომ ველაპარაკე ტელეფონით, ისეთი ცივი და გაყინული ხმა ჰქონდა, ვერ მივხვდი რატომ იყო ასეთი... ვუთხარი დაწყნარდი კიდევ დაგირეკავ-მეთქი... იმის მერე ვურეკავდი, მაგრამ ტელეფონი უკვე გათიშული იყო. სად იყო და როგორ იყო არ მეუბნებოდა... 7 აგვისტოს ბავშვებთან ერთად ურეკში ვიყავით. ჩვენი მეგობარი გოგოა, მეოთხე ბრიგადაში მუშაობს, იმან დამირეკა და მითხრა, ვაზიანი დაბომბესო... მირეკავდნენ ნათესავები და ზაზას ამბავს მეკითხებოდნენ. ამ დროს უკვე გამორთული ჰქონდა ტელეფონი. ნათესავები მამშვიდებდნენ, ნუ გეშინია, ფილიპე არც დაჭრილების სიაშია და არც გარდაცვლილებშიო. 10 აგვისტოს, იმ ტყვიების ზუზუნში, ბიძაშვილმა და მეზობელმა ღამე ჩამოასვენეს გურიაში... ყველას სცოდნია, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდნენ... მეორე დღეს გავიგეთ... 15 აგვისტოს, სოფელ ერგნეთში, დედათა მონასტრის ეზოში დავკრძალეთ...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა. ყოველდღე უფრო მიმძაფრდება ეს ტკივილი...

ბოლო პერიოდში უფრო თბილი და მოსიყვარულე გახდა. მისმა მეგობრებმა მითხრეს, რომ ბოლო პერიოდში სამსახურში ძალიან ხშირად გახსენებდაო.

იმ ღამეს, როცა ომი დაიწყო, სახლში მარტო არ გაჩერებულა, მეგობრისთვის დაურეკავს და ჩემთან ამოდიო უთქვამს. კომპიუტერთან დამჯდარა და სიმღერებს იწერდნენ, ყოველ მეორე სიმღერაზე ამბობდა თურმე, ეს თამუნას უყვარსო...

ფეხის თითზე ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, ფეხსაცმელსაც ვერ იცვამდა, ბატინკზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ომში დაღუპული ყველა ბიჭი გმირია, მაგრამ, რაც ფილიპემ გააკეთა ომში, მილიონში ერთი ვერ გააკეთებდა... 21–ბატალიონის მეთაური შალვა დოლიძე იყო. 7 აგვისტოს, გამთენიისას რომ განგაში გამოცხადდა, ყველა გამოიძახეს. როცა ნაწილში მისულა, ყველა ემზადებოდა, ფილიპე, რომ დაუნახავთ ასეთ მდგომარეობაში – მეთაურს უთქვამს: სად მიდიხარო... „რას ჰქვია სად მივდივარ, „პედალზე“ ხომ მაინც მივაჭერო“. ნაოპერაციები მაინც წავიდა“.

ფილიპე მგალობლიშვილი 1976 წელს, წყალტუბოში დაიბადა. მესამე შვილი იყო. ორი ქალიშვილის შემდეგ ოჯახს ნანატრი ვაჟი შეეძინა. წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა. კარგი მოსწავლე ყოფილა. ორი წელი ქუთაისში შინაგან ჯარში იმსახურა. მადლობის წერილები და სიგელებიც უხვად ჰქონდა.

ჩხიკვიშვილი თამარი, მეუღლე: „1999 წელს დავქორწინდით. მე წარმოშობით გურიიდან ვარ. 22 დეკემბერს საერთო ახლობლის ოჯახში გავიცანით ერთმანეთი. მაშინ ფილიპე 22 წლის იყო. 7 აგვისტოს ვიქორწინეთ. ალბათ, სიმბოლური დამთხვევა იყო ისიც, რომ ზუსტად 9 წლის თავზე მოხდა ეს უბედურება... ფილიპე 7 აგვისტოს დაიღუპა...

23 წლისა მამა გახდა, წლისთავზე გოგონა, ნინო შეგვეძინა, 11 თვის შემდეგ კი ბიჭი - ნიკა. მაშინ კონტრაქტები არ იყო, მაგრამ სულ მივლინებაში უწევდა ყოფნა. ძალიან მოსიყვარულე იყო.

შინაგან ჯარში, ნებისმიერ სარდალს, რომ ჰკითხოთ, ახლაც გეტყვიან ვინ იყო ფილიპე.“

„ძმობის ყლორტი თუკი ფეხ-ქვეშ გავთელეთ,
თვალს როგორღა გავუსწორებთ ერთმანეთს“

– ეს არის სტრიქონები ლექსიდან, რომელიც ფილიპემ მეცხრე კლასში დაწერა, მაშინ, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტი დაიწყო. სამშობლოს სიყვარულს მაშინ ლექსებით გამოხატავდა, წლების შემდეგ კი სიცოცხლე ანაცვალა ქართულ მიწას.

კაპრალი

გიორგი
რომელაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1978 - 2008

ირაკლი რომელაშვილმა აგვისტოს ომში ორი შვილი გაუშვა. გზა ორივეს დაულოცა, თუმცა უკან მხოლოდ ერთი დაუბრუნდა... გიორგი რომელაშვილი სამშობლოს გმირად დარჩა.

გიორგი და მისი ძმა ერედვში დაიბადნენ. სკოლაც იქვე დაამთავრეს და მერე ორივე ერთად წავიდნენ ჯარში... ჯარში მსახური ორივეს ბავშვობის ოცნება იყო. 1991 წლიდან ერედვში მუდმივად დაძაბული მდგომარეობა იყო. ამის გამო მათ სწავლაც ხშირად უწყდებოდათ და დროებით დეიდასთან მიდიოდნენ ხოლმე, სხვა სოფელში... გიორგიმ პირველად იარაღი ხელში სოფლის საზღვრის დასაცავად აიღო. მაშინ ის ჯერ კიდევ პატარა იყო, თუმცა საზღვარზე მაინც მორიგეობდა. საკუთარ სოფელს და ოჯახს იცავდა მტრისგან...

ირაკლი რომელაშვილი, მამა:

„ძალიან წყნარი ბავშვი იყო. ძალიან კარგად სწავლობდა. განსაკუთრებით მათემატიკა უყვარდა. როგორც კი სკოლა დაამთავრა, მაშინვე მოუვიდა მოწვევა ჯარიდან და წავიდა კიდეც. ახალციხეში იყო ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს. სასაზღვრო დაცვის თანამშრომელი იყო. ორი წლის მერე დაბრუნდა ერედვში, ჩვენთან, და აქ იყო გარკვეული პერიოდი. 2004 წელს დაიწყო არეულობა და იარაღით ხელში იდგა საზღვარზე, მორიგეობდა ხოლმე... იმ პერიოდში გაიცნო ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც ასევე საზღვარზე მორიგეობდნენ. დაუმეგობრდა ძალიან და თან ჩვენც სულ შიშის ქვეშ ვიყავით, ამ დაძაბული სიტუაციის გამო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა და გვითხრა, მაინც სულ იქ ვარ და ბარემ კონტრაქტს გავაფორმებო. ეს იყო 2006 წელს. გადაანაწილეს გორის ჯავშანსატანკო ბატალიონის ასეულში, დაზვერვაში. კაპრალი იყო წოდებით. ცოტა ხნის მერე წავიდა მისი ძმაც. მეც ომის ვეტერანი ვარ, ცხინვალში ვიბრძოდი და უარი არასოდეს მითქვამს წასვლაზე, მით უმეტეს თვითონ უნდოდა ორივეს წასვლა“.

გიორგი ძმასთან ერთად მსახურობდა, ერთ დღეებში მორიგეობდნენ. სახლში ყოველ პარასკევს მოდიოდნენ და კვირას ისევ სამსახურს უბრუნდებოდნენ. ბოლოსაც ერთად ჩამოაკითხეს მშობლებს, 4 აგვისტოს. გიორგი ყოველ კვირას ისე მიდიოდა, თითქოს ბოლოჯერ ხედავდა საკუთარ სახლს, ოჯახს, მშობლებს და მეუღლეს, რომელიც გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე მოიყვანა...

9 აგვისტოს გიორგის ხმა მშობლებმა უკანასკნელად გაიგონეს... დაღუპვამდე ათი წუთით ადრე...

ირაკლი რომელაშვილი:

„29 წლის იყო, რომ დაიღუპა. ბოლოჯერ ზუსტად ათი წუთით ადრე ველაპარაკე და ტელეფონიც გაითიშა... ჯერ ერთს ველაპარაკე და მერე მეორეს. რომ ვუთხარი თავს მოუფრთხილდით-მეთქი, მიპასუხა, ჩვენ კი ვუშველით ჩვენ თავს და თქვენ ახლავე დატოვეთ სოფელი, მანდ გაჩერება აღარ შეიძლებაო... ეს მითხრა და გაითიშა კიდეც... მერე გაუჩერებლად ვრეკავდი, მაგრამ ვეღარ დავუკავშირდი. სახლში ვერ გავჩერდი და მაშინვე გორში წავედი... იქ რომ მივედი, ჩემი ბიჭების მეგობრები დავინახე, მივედი მათთან და მითხრეს ეს ამბავი... სმენის შეცვლის დრო იყო, ორივე, ტყვია-წამალს უგზავნიდნენ თავის ბატალიონს. მათთან ერთად ალბათ, კიდევ 20-25 ბიჭი იყო. უცებ მოუახლოვდა ვერტმფრენი და აფეთქება მოხდა“.

ძმა: „მე წავიქეცი, გიორგი წამოხტა, ხელი დამარტყა და მითხრა: დროზე, გავიქცეთო... ამ დროს მე გონება დავკარგე, თურმე მანქანაში ჩამსვეს... გონზე რომ მოვედი ჩემი ძმა დავინახე... უკვე დაღუპული იყო...“

დღეს რომელაშვილების ოჯახში წლის და სამი თვის გიორგი რომელაშვილი იზრდება...

კაპრალი

ამირან შაინიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1978 - 2008

ერგნეთთან ჩამოგდებულ ჭურვს ემსხვერპლა 30 წლის ამირანი. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ ჭრილობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მოწამლული ჭურვის ნამსხვრევი თვალთან ჰქონდა მოხვედრილი. მეგობრებმა ბრძოლის ველს გაარიდეს, მაგრამ სიკვდილს ვერ გადაურჩა.

კალანდაძე ნათია, მეუღლე: „ 6 აგვისტოს დილას გავიდა სახლიდან. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ჩვეულებრივ გვითხრა, საღამოს სახლში ვიქნებიო... საღამოს კი სენაკიდან დამირეკა და მითხრა, ველარ მოვდივარ ნაწილიდან, გავდივართ, ომი დაიწყოო. ვერ ვიჯერებდი, მეგონა მატყუებდა... ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი. იმ წუთიდან 24 საათი ტელეფონი მეჭირა ხელში და მასთან დაკავშირებას ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. ვერც მის მეგობრებს დავურეკე. ყველას გათიშული ჰქონდა...

როგორც მერე გავიგე, ერგნეთთან, 7 აგვისტოს, პირველივე დღეს დაჭრილა თვალთან. პირველად რომ ჩამოაგდეს ბომბი მაშინ დაიჭრა, რამდენიმე დაღუპულა. თბილისში ჩამოიყვანეს, ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ მოწამლული ჭურვები ყოფილა და ანასხლეტებმა ორგა-ნიზმში მოწამვლა გამოიწვია... ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა, მაგრამ იმ შხამს ველარ გაუძლო. 8 აგვისტოს დაიღუპა...“

ამირან შაინიძე 1978 წლის 1 მარტს, ქობულეთის რაიონში, სოფელ ჯიხანჯურში დაიბადა, მეორე შვილი იყო. 2002 წელს დაოჯახდა და 2 ქალიშვილი შეეძინა - მარიამი და თამთა.

კალანდაძე ნათია, მეუღლე: „შემთხვევით მოხდა ჩვენი გაცნობა და ძალიან მალე ვიქორწინეთ... მალევე დავკარგე... პირველად ბათუმის ბულვარში შევხვდით ერთმანეთს. მეხუთე შეხვედრაზე ცოლად გავყევი. ცოტა დრო გვქონდა შეყვარებულობის პერიოდი, მაგრამ ბევრი არც მიფიქრია. როდესაც ჩვენს ოჯახში მოვიდა და ჩემი ხელი სთხოვა ჩემებს, იმ დღესვე გავყევი. 2002 წელს დავოჯახდით, ამ დროს სამთავრობო დაცვაში მუშაობდა. ნორმალურად ვცხოვრობდით. ორი გოგონა გაგვიჩნდა, მარიამი და თამთა. უფროსი 7 წლის არის და უმცროსი 3 წლის. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, გიჟდებოდა თავის შვილებზე... ძალიან უნდოდა ბიჭი...

2006 წელს კომანდოსში ჩაირიცხა. მანამდე რამდენჯერმე სცადა ბედი, მაგრამ არ გაუმართლა. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღეს. მეორე ქვეითი ბატალიონის საინჟინროში იყო. წოდებით კაპრალი.

წელიწადი და სამი თვე იყო გასული, რაც კონტრაქტი გააფორმა.

ბოლო პერიოდში, ომამდე, ძალიან შეიცვალა, საერთოდ ძალიან მოსიყვარულე მამა და მეუღლე იყო, მაგრამ ბოლო დროს განსაკუთრებულად თბილი გახდა... სხვათა შორის ერთხელ თქვა, რაღაც საშინელი სიზმარი ვნახე და დიდხანს ვერ ვიცოცხლებო... ძმისთვის უთქვამს, ჩემს შვილებს შენ უნდა მიმიხედოო... საშინელი წინათგრძნობა ჰქონდა. მე საერთოდ არ ვფიქრობდი ცუდზე. აზრადაც არ გამივლია, რომ შეიძლება ომი დაწყებულიყო, მით უმეტეს, ამირანის სიკვდილს, ვერაფრით წარმოვიდგენდი.

ბოლოს სახლში 5 აგვისტოს იყო მოსული. 6-ში წავიდა და სამუდამოდ დაგვტოვა... 10 აგვისტოს სასწრაფოს მანქანა რომ გაჩერდა სახლთან, მაშინვე მივხვდით, რომ უბედურება დაგვატყდა თავს...

ჯიხანჯურში დავკრძალეთ...

ცხოვრება რთულია, მაგრამ მე ვამაყობ იმით, რომ გმირის მეუღლე ვარ. მან საქართველოსთვის გაწირა თავი“.

მამა გოგონებს ძალიან ენატრებათ... პატარას სჯერა, რომ მამა დაბრუნდება... ყოველდღე მიდიან საფლავზე და ყვავილები მიაქვთ. მათ საამაყო წოდება აქვთ - გმირი მამის შვილები.

კაპრალი

ილია შეყლაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1984 - 2008

ვაპრალი ილია შეყლაშვილი შინდისში დაღუპული გმირებიდან ერთ-ერთია. სნაიპერის ტყვია მას მაშინ დაეწია, როდესაც დაჭრილი თანამებრძოლები შუა ცეცხლიდან გაჰყავდა. „მკერდით იცავდა ხალხს, დაჭრილები გამოჰყავდა, გმირულად იბრძოდა“ - თანამებრძოლების ნათქვამი ამ სიტყვებით ინუგეშებს ილიას ოჯახი თავს. მათ იციან, რომ ილია სამშობლოსთვის დაღუპული გმირია.

აკაკი შეყლაშვილი, ძმა: „11 აგვისტოს შინდისში 17 დაღუპული ბიჭიდან ერთ-ერთი იყო. ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. სნაიპერმა ესროლა. 10 რიცხვში რამდენჯერმე მამაჩემთან დაურეკავს. მას მერე ველარ დავუკავშირდით. 11-ში რომ დავრეკეთ, გვითხრეს დაიღუპაო. 15-ში ღამე გადმოვასვენეთ თბილისში.

მასთან ერთად ვინც იყვნენ, ის ბიჭები გვიყვებოდნენ მერე, გმირულად იბრძოდაო, ბევრი გადაურჩენია.“

ილია შეყლაშვილი, 1984 წელს, თბილისში დაიბადა. პირველი შვილი იყო. დედმამიშვილებში თავიდანვე ყველაზე სამაგალითო. თბილისის 192–ე სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სამთავრობო დაცვაში მოიხადა სავალდებულო სამსახური და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

აკაკი შეყლაშვილი: „7 თვე ჰქონდა დარჩენილი და ოთხწლიან კონტრაქტს ამთავრებდა. კონტრაქტს უკვე ხელი რომ მოაწერა, მაშინ უთხრა მშობლებს, ჯარში წავედიო. პირველად ვაზიანში იყო, მერე ქუთაისში 1 წელი და დანარჩენი, ყველაზე დიდი დრო, სენაკში გაატარა.

დაოჯახებული არ იყო. ისევ ჯარში დარჩენას აპირებდა, ოღონდ სხვა მიმართულებით უნდოდა წასვლა. მეც სავალდებულო ჯარში ვიყავი ზუგდიდში, იქაც მაკითხავდა ხოლმე. ბოლოს სახლიდან 4 რიცხვში გავიდა. ჩვენი და გერმანიაში მიდიოდა, გააცილა და წავიდა.

დედაჩემი და მამაჩემი რაჭაში ცხოვრობენ. დედას არ ვეუბნებოდით, რომ ომში იყო. მერე კი ყველაფერი გაიგო...

ძმა ძალიან მაკლია. არც ღამე გავა და არც დღე, რომ არ გამახსენდეს. ჯარში რომ იყო, ვიცოდი, არაფერი გაუჭირდებოდა, მაგრამ ახლა, რომ აღარ არის, სულ სხვანაირად ვარ, ძალიან მიჭირს. 11-ში დაიღუპა და 23-ში დაბადების დღე ჰქონდა, 25 წლის უნდა გამხდარიყო. სოფელში ვაპირებდით აღნიშვნას.“

ილია შინდისის გმირია, საბედისწერო შინდისის, რომელიც აგვისტოს ომში გმირების სასაფლაოდ იქცა. ბევრი წელი გავა, სამშობლოსთვის დაცემული ბიჭების სახელებს წლები ლეგენდად აქცევს, მათი სახელი კი ისტორიაში შევა.

კაპრალი

ლევან თეფანია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1979 - 2008

ბამირის გოგონამ მამის დაღუპვის დღეს ამოიდგა ენა - დაიძახა „მამა“ და ატირდა...

ის, ცხრაში დილით, ათ საათზე ელაპარაკა მეუღლეს, ამშვიდებდა, მალე დავბრუნდებითო. თან ეხვეწებოდა - ბავშვს მიმიხედეო. პატარა ნინიკო მაშინ ათი თვის იყო, იმ დღეს თქვა პირველად - „მამა“ და ატირდა... ლევან თეფანია მეუღლესთან საუბრიდან ზუსტად ერთ საათში იმსხვერპლა რუსის ნასროლმა ტყვიამ...

ლევან თეფანია 1979 წლის 21 აგვისტოს დაიბადა სენაკში.

ნატა ყალიჩავა, მეუღლე: „ბავშვობაში ძალიან დინჯი ყოფილა, ქუჩა არ ჰყვარებია, სწავლითაც კარგად სწავლობდა, გვერდში ედგა მამას, საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა...

ქალაქში სეირნობისას მეგობარმა გამაცნო, მაშინ მეცხრე კლასში ვსწავლობდი, ლევანი 20 წლის იყო, სავალდებულო ჯარში მსახურობდა - სენაკის ბაზაზე. რამდენიმე თვეში გამომიტყდა, მიყვარხარო. მე კარგა ხანს მხოლოდ მეგობრული გრძნობა მქონდა მის მიმართ, დროთა განმავლობაში მეც შემიყვარდა. ისეთი ადამიანი იყო არ შეიძლება არ შემყვარებოდა. ექვს წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი... ჯარის მოვლის შემდეგ თურქეთში წავიდა სამუშაოდ, არაფერი გამოუვიდა, მალევე დაბრუნდა უკან... მახსოვს, რომ დაბრუნდა, ჩემი დაბადების დღე იყო. დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, ჩემთან სახლში ამოსვლა მოერიდა, ვერ გავედი შესახვედრად, სტუმრები მყავდა... მერე სახლის კართან მოვიდა და ძალიან ლამაზი საჩუქარი მომართვა... კარგა ხანს პრობლემების გამო ვერ ვქორწინდებოდით, შემდეგ ძმები ამოუდგნენ გვერდში და დავქორწინდით... ლევანი 27 წლის იყო, მე - 21-ის... წელიწადი და 8 თვე ვიცხოვრეთ ერთად...“

2007 წლის იანვარში ლევან თეფანია ჯარს დაუბრუნდა - კონტრაქტი გააფორმა სამშობლოსთან. უთქვამს, ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოს დავჭირდებითო და წასულა. მეორე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა.

მეუღლე: „ბავშვი რომ შეგვეძინა უზომოდ გახარებული იყო, საოცრად ფაქიზად უყურებდა, ხმას ვერ იღებდა, არასოდეს უთქვამს ბიჭი მინდაო, შვილი შვილიაო. თვალები უბრწყინავდა. სახელი მან დაარქვა - ნინო. სულ იმას ამბობდა, კარგად უნდა ისწავლოსო... დარწმუნებული ვარ ლამაზი გოგო იქნებაო... ლევანის დაღუპვის შემდეგ გავიგე, რომ მეორე შვილი მეყოლებოდა. ისე გარდაიცვალა არ იცოდა მეორე შვილის მამა რომ გახდებოდა. 8 თვის მერე დაიბადა მარიამი...“

ლევან თეფანია შინ ბოლოს 6 აგვისტოს იყო. ნატა გაიხსენებს, რომ ლევანს გული უგრძნობდა...

მეუღლე: „უხასიათოდ იყო, არ უსაუზმია ისე წავიდა ნაწილში. სამხედრო ნაწილამდე სულ ფეხით დადიოდა, დაახლოებით 4 კილომეტრშია ჩვენგან ნაწილი... წინა საღამოს ბიჭებისთვის უთქვამს, რამე რომ მოხდეს და ომი დაიწყოს, ცოცხალი ვერ გადავრჩებიო... ჩემთან არაფერი უთქვამს... ჩემი დედამთილი იყო უცნაურად აფორიაქებული, ადგილს ვერ პოულობდა, რაღაცას ნერვიულობდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რას... მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ შინ მშვიდობით დაბრუნდებოდა, მაგრამ სენაკის ბაზის დაბომბვის შემდეგ შიშმა ამიტანა, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, რომ გადარჩებოდა...

ცხრაში დილით ველაპარაკე, მითხრა, მალე მოვბრუ-ნდებითო. მეხვეწებოდა ბავშვს მიმიხედეო. ეს იყო დილით ათ საათზე. თორმეტზე კი ცხინვალში, ხეთაგუროვზე დაიღუპა... მისმა მეგობარმა გვითხრა, ზურგიდან ნასროლი ტყვიით არის მოკლულიო. რუსებმა, რომელიღაც სოფელში შეიტყუეს და ჩაცხრილესო. არტერიაში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია. მთელი დღე ვურეკავდით, მაგრამ ვერ ვუკავშირდებოდით, გამორთული ჰქონდა... ნინო მაშინ ათი თვის იყო, ლაპარაკიც არ იცოდა. იმ დღეს თქვა პირველი სიტყვა „მამა“ და მთელი დღე ტიროდა. გაოცებული ვიყავით ყველანი, რა ატირებსო. როგორც კი გავიგეთ ლევანის გარდაცვალების ამბავი, ბავშვმა ტირილი შეწყვიტა. სულ მიდიოდა სურათთან და ეფერებოდა მამა-მამაო... თუ რამე ხელში ჩაუვარდებოდა კანფეტი, ან ხილი, მამის სურათთან მიჰქონდა და დებდა. ამბობდა: მამას უნდაო... რაც წამოიზარდა, დასჩემდა ვინმე ტკბილეულს რომ მისცემს და ჰკითხავ საიდან მოიტანეო, ამბობს მამამ მომცა, მამამ მომიტანაო... ხშირად ფანჯარაში იყურება და რომ ვკითხავ, რას უყურებ-მეთქი, მეუბნება - მამა მოვა და ველოდებიო... ხშირად მეკითხება, მამა სად წავიდა, როდის მოვა? ვეუბნები, რომ ზეცაშია და იქიდან უყურებს და იცავს მას....“

ლევანს ორი ძმა ჰყავდა და ნატვრად ჰქონდა სამივე ძმას ერთ სახლში ეცხოვრათ, ერთ დიდ ოჯახად...

ნატა, ლევანის მეუღლე: „ლევანის ორივე ძმა, ირაკლი და ალექსანდრე, ლევანის დაღუპვის შემდეგ დაოჯახდნენ, დღეს ყველანი ერთად ვცხოვრობთ, ისე, როგორც ლევანს უნდოდა... ძალიან ძნელია ჩემთვის მის გარეშე ყოფნა... ერთმანეთისთვის ვყოფილვართ შექმნილი და ასეთი ბედი გვქონია, ყველაფერი ღვთის ნებაა...“

კაპრალი

ზაურ თეთიეშვილი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.



1986 - 2008

ზაურ თენიეშვილი ცხინვალში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა, მანამდე კი, საკუთარი სიცოცხლის ფასად, თანამებრძოლები გადაარჩინა....

სულ რაღაც 21 წლის იყო, თუმცა ცხოვრებაში იმაზე ბევრად მეტის გაკეთება მოასწრო, ვიდრე მის ასაკს შეეფერება... სწავლა, სამსახური, ოჯახის რჩენა და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის სამაგალითო თავდადება... კაპრალ ზაურ თენიეშვილს, როგორც დედისერთას, სავალდებულო სამხედრო სამსახური არ ეხებოდა, თუმცა კომისარიატში საბუთების შესავსებად მისული ახალგაზრდა, მოულოდნელად სამხედრო სამსახურით დაინტერესდა... დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვეტილება არ შეუცვლია, კონტრაქტი გააფორმა და შეიარაღებულ ძალებში რიგითი ჯარისკაცის სტატუსით ჩაეწერა. ზაურს მამა დაბადებამდე გარდაეცვალა, პირველი ჯგუფის ინვალიდი დედის და მოხუცი ბებიის რჩენა 12 წლიდან საკუთარ თავზე აიღო. მის მშობლიურ ოზურგეთში, დღესაც კარგად ახსოვთ, როგორ აგროვებდა პატარა ბიჭი ჯართს და როგორ ცდილობდა ოჯახისთვის ყოფა შეემსუბუქებინა. სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკუმში მოეწყო, სტომატოლოგიის განხრით, კაბინეტის გახსნაზეც ფიქრობდა... ხელფასი საკუთარ თავზე მეტად ოჯახისთვის და მეგობრებისთვის ემეტებოდა.

ნანი თენიეშვილი, ზაურის დედა:

„წინააღმდეგი ვიყავი ჯარში რომ წასულიყო, მაგრამ არ დაიშალა. ვაზიანში გაანაწილეს, სულ 8 თვე იმსახურა. პირველად სამი თვის ხელფასი ერთად მისცეს. იმ დროს გამზრდელი ბებია დაეღუპა, რომელსაც ხანდახან ჩემს წინ აყენებდა. ბებიის დაკრძალვას მოახმარა პირველი ხელფასი.

ვაზიანში სამხედრო სამსახურის შემდეგ რუსთავში დეიდაშვილთან რჩებოდა... პირველად სწორედ მას გაუმხილა შეყვარებულის შესახებ. ერაყშიც უნდოდა წასვლა, მაგრამ სწორედ შეყვარებულის გამო გადაიფიქრა, მალე ცოლადაც აპირებდა მოყვანას“.

ეკა ვეფხვაძე, დეიდაშვილი:

„შეყვარებული ჰყავდა, სექტემბერში აპირებდა მოყვანას. ტელეფონით გაიცნო ქუთაისელი გოგო, მაგრამ.... მისი გარდაცვალების შემდეგ დავუკავშირდი ამ გოგოს, 16 წლის ბავშვი იყო, ახლაც გვაქვს კონტაქტი“.

ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოფელში იყო ჩასული, დედას საჩუქრად მობილური ტელეფონი ჩაუტანა, მეგობრებს შეხვდა. მეგობრისთვის უთქვამს კიდეც: მგონი ეს ჩვენი ბოლო შეხვედრააო, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს საბედისწერო წინათგრძნობა იყო... ოზურგეთიდან კვლავ რუსთავში დეიდაშვილთან დაბრუნდა... 6 აგვისტოს გვიან, ნაწილიდან დაურეკეს, განგაში გამოცხადდა და ყველანი ვაზიანშიო...

ეკა ვეფხვაძე, დეიდაშვილი:

„ძალიან ვინერვიულე რომ წავიდა. ვურეკავდი, მაგრამ ოთხ საათზე უკვე გაითიშა ტელეფონი. გზაზე რომ მიდიოდა უკან არ მოუხედავს, ადრე სულ იხედებოდა, თავდახრილი მივიდა ტაქსამდე, უცებ ტირილი ამიტყდა, ეტყობა გულმა მიგრძნო. იმ ღამეს, სანამ ბაზაზე გამოცხადდებოდა, ლომბარდში გაუვლია, ტელეფონი დაულომბარდებია. უთქვამს, მე თუ ვეღარ დავბრუნდი ჩემს დეიდაშვილს დაურეკეთ და ის გაიტანს, არ დამიკარგოთო. მართლაც, 10 დღის მერე დამირეკეს ლომბარდიდან და მითხრეს, თქვენი ნომერი მოგვცაო. ამ დროს უკვე დაკარგული იყო, ვეძებდით, ავუხსენი ომშია ქალბატონო, გამოჩნდება, მაგრამ ხვალვე ჩამოვალ და გავიტან-მეთქი. სადღაც 3 დღე დამაგვიანდა, მაგრამ არ გაუყიდიათ. ის ტელეფონი რომ არ დაგვრჩენოდა ზაურის ფოტოებიც არ გვექნებოდა“.

ნანი თენიეშვილი:

„7 აგვისტოს მირეკავს ჩემი დისშვილი, დეიდა ომი დაიწყოო, მაშინვე აღმომხდა – ვაიმე, მგონი დავიღუპეთ-მეთქი“.

ომი დაიწყო, სამხედრო ნაწილებიდან ჯარისკაცები ცხელ წერტილებში გადაჰყავთ. მათ შორისაა, 21 წლის კაპრალი, ზაურ თენიეშვილი... ის ნაღმმტყორცნელი გახლდათ და ცხადია, მისმა ეკიპაჟმა პირდაპირ ცხინვალისკენ აიღო გეზი... ცხინვალშივე დაეცა გმირულად, თუმცა მანამდე რამდენიმე დაჭრილის სიცოცხლე გადაარჩინა, მათ გამოსაყვანად ომის ქარ-ცეცხლში ორჯერ შევიდა, მეორე ცდა ტრაგიკულად დასრულდა. ომშიც დედაზე ფიქრობდა და ცდილობდა მას არ ენერვიულა. 7 აგვისტოს დაურეკა და უთხრა – უსაფრთხოდ ვარ, შენ ნუ ინერვიულებო. რამდენიმე დღეში ნანი თენიეშვილი ხილული სასწაულის მომსწრე გახდა, ეს 9 აგვისტოს მოხდა, მაშინ, როცა ზაური ბრძოლის ველზე დაეცა.

ნანი თენიეშვილი:

„მატყუებდა გორში ვარო, შეყვარებულისთვისაც დაურეკავს – არ შეგეშინდესო. ტელეფონში გავიგონე მისი ბოლო სიტყვები – არ შეგეშინდეს, მალე დავბრუნდები სახლშიო. 9-ში დილით ტელევიზორი ჩავრთე, კარისკენ გავიხედე და მომელანდა სამხედრო ფორმით, ინსტინქტურად წამოვხტი, ვიკივლე ზაური-მეთქი, რომ მივედი უკვე აღარ იყო. სასწაული მოხდა, გამომეცხადა ხილულად, ზუსტად იმ დღეს დაიღუპა...“

9 აგვისტოს ჯარისკაცების 17–კაციანი ჯგუფი ცხინვალში დაჭრილი თანამებრძოლების გამოსაყვანად შევიდა, მათ შორის იყო ზაურ თენიეშვილიც... 17 კაციდან ცოცხალმა მხოლოდ ორმა გამოაღწია, ზაურს სამხედრო მანქანამდე სულ რაღაც 10 ნაბიჯი აშორებდა, სნაიპერის ტყვიამ რომ მოუსწრო... სასიკვდილო ჭრილობა კისერში ჰქონდა მიყენებული...

ახლობლები დიდხანს ფიქრობდნენ, როგორ შეეტყ-

ობინებინათ დედისთვის ერთადერთი ვაჟის გარდაცვალების ამბავი.

ნანი თენიეშვილი, დედა:

„ჩემს დისშვილთან ვიყავი რუსთავში, თავიდან არ მეუბნებოდნენ, ეშინოდათ ხელში არ ჩავკვდომოდი. ნათესავებს დაურეკეს, როგორც კი ისინი დავინახე, მივხვდი რაშიც იყო საქმე და იქვე ჩავიკეცე. ორი წელი გავიდა, ძალიან მიჭირს უმისოდ, მაინც ყოველდღე ველოდები...“

21 წლის კაპრალი, ზაურ თენიეშვილი მხედრული მამაცობისთვის გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა.

კაპიტანი

ვეფხია ჯიშკარიანი

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1968 - 2008

ეს შინდისთან ვერაგულად ჩასაფრებულმა მტერმა გამოასალმა სიცოცხლეს. მისი მძღოლი გაიხსენებს, რომ ვეფხია ჯიშკარიანმა უცებ დაიძახა „ვაი დედა“ და ბეჭზე დაადო თავი... მძღოლის ძახილზე პასუხი აღარ გაუცია. მძღოლმა მანქანა გააჩერა, მისი მანქანიდან გადმოყვანაც უცდია, მაგრამ ტანმორჩილი ბიჭი ვერ მორევია ზორბა ვაჟკაცს. აღარც სუნთქავდა უკვე... მერე მძღოლიც დაიჭრა. იძულებული გახდა მანქანაში დაეტოვებინა და ხოხვით გასცლოდა იქაურობას, უკან მოიხედა და... მანქანა, რომელშიც ვეფხია ჯიშკარიანი დარჩა, მტერმა ააფეთქა...

მანქანა ისე დაიწვა, რომ ვეფხია ჯიშკარიანის ცხედარიც არ დარჩენილა... შინდისის მიწაზე გაიფანტა მისი ფერფლი...

ვეფხია ჯიშკარიანი 1968 წლის 20 მაისს დაიბადა, ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოში. სკოლაც საწულუკიძეოში დაუმთავრებია, ცელქი ყოფილა, კარგი მოსწავლე. სკოლის დამთავრების შემდეგ პროფტექნიკუმში გაუგრძელებია სწავლა. სკოლის დამთავრებამდე კი... სიყვარული სწვევია.

14 წლის იყო ვეფხია, სოფელში სტუმრად ჩასული თანატოლი, ირმა ტაბატაძე რომ გაიცნო. სამი წელი უყვარდათ ერთმანეთი, ჩვიდმეტი წლისანი იყვნენ, რომ გაიპარნენ. ვეფხია იმჟამად უკვე მუშაობდა - ჩაის ფაბრიკაში მძღოლად. მალე ვაჟი შეეძინათ.

ირმა ტაბატაძე, მეუღლე: „მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ბიჭი შეგვეძინებოდა თუ გოგო, მაგრამ ძალიან გაუხარდა ბიჭი რომ შეგვეძინა. სახელი ორივემ ერთად შევურჩიეთ ჩვენს შვილს და ლაშა დავარქვით.“

მალე ახალგაზრდა მამა ჯარში გაიწვიეს, მაგრამ სულ 4 თვე მსახურობდა ოდესაში, ჯარიდან მამა მეორე ბიჭმა დაიხსნა თავისი დაბადებით.

უკვე დამოუკიდებელ საქართველოში კი თავად დაიწყო ჯარში სამსახური.

ირმა ტაბატაძე: „1992 წლიდან მუშაობდა ვეფხია ჯარში. ბოლო კონტრაქტი 2005 წელს გააფორმა. სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში, კაპიტანი იყო წოდებით. საინჟინრო დაგეგმარების ოფიცერი იყო. კიდევ ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ კიდევ აპირებდა გაგრძელებას“.

აპირებდა, მაგრამ ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ირმა ტაბატაძე: „საზღვარგარეთ ვიყავი წასული, კარგა ხანს არ ვაპირებდი ჩამოსვლას, მაგრამ ომამდე ერთი კვირით ადრე, ძალიან ცუდად გავხდი და სასწრაფოდ დავბრუნდი შინ. ვეფხიაც სახლში იყო იმ პერიოდში... ბოლოს შინიდან 6 აგვისტოს გავიდა, არ გვითხრა ომში რომ მიდიოდა... მერეც, ტელეფონით რომ ვუკავშირდებოდით, სულ გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, საგანგაშო არაფერიაო. ბოლოს, 11 აგვისტოს, გარდაცვალებამდე 2 საათით ადრე, თვითონ დაგვირეკა, ჩემს ბიჭს უთხრა: „ჩაისვი დედაშენი და შენი ძმა მანქანაში და წადით სოფელშიო. პანიკა იყო მაშინ, რომ ქუთაისიც დაიბომბებოდა. ჩვენ ქუთაისში, სამხედრო ნაწილთან ახლოს ვცხოვრობთ. რომ ვკითხეთ, შენ როგორ ხარო, რა გვიჭირს, ვერთობითო, გვითხრა, ხუმრობით. საერთოდ, ძალიან კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა... მერე ისევ ვცდილობდი დაკავშირებას, ისტერიულად ვრეკავდი, ორი ტელეფონი ჰქონდა, მაგრამ ორივე გამორთული იყო... 14 აგვისტოს შევიტყვე, თვითმხილველებისგან, რაც მოხდა, მაგრამ დაჯერება მიჭირდა. მთელი ოთხი თვის განმავლობაში დავდიოდი სურათებით სოფელ-სოფელ, მაგრამ ვერსად მივაგენი ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს. მისი ცხედარი საერთოდ არ არსებობს, დაიწვა და შესაბამისად, არც საფლავი არსებობს. მისი ფერფლი დარჩა შინდისში. დაღუპვის დეტალები მისი მძღოლისგან ვიცი, რომელიც გადარჩა. საშინელებაა. ბედნიერები არიან ის ოჯახები, რომლებმაც იციან სად არის მათი დაღუპული ოჯახის წევრების საფლავები... ვეფხიას დაღუპვის შემდეგ მე დავიწყე მუშაობა სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში, ბიბლიოთეკაში და იმ სახლში ვცხოვრობ, სადაც ჩემი მეუღლე ცხოვრობდა... ყოველთვის, როცა მესიზმრება, იღიმება, გადის სახლიდან და გაცილებას რომ მოვინდომებთ, არ გვანებებს, იყავითო, გვეუბნება...“

კაპრალი

გიზო წულაია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

9 აგვისტო... რუსულმა ავიაციამ გორის სატანკო ბატალიონზე ავიაიერიში მიიტანა. დაღუპულთა შორის ახალბედა სამხედრო მოსამსახურე, 28 წლის კაპრალი გიზო წულაიაცაა.

გიზო, წულაიების ოჯახში, პირველი ვაჟი იყო. მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში წლების წინ მას ცელქ და მოუსვენარ ბავშვად იცნობდნენ, დღეს კი ის გმირია. დიახ, ისიც ერთ-ერთი იყო იმ უამრავ გმირს შორის, რომელმაც საკუთარ ქვეყანას შესწირა თავი და ქვეყანასვე დაუტოვა ვაჟი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. წლინახევრის გიზო მამის გარდაცვალების შემდეგ მოევლინა ქვეყანას, თუმცა პატარას უკვე ესაუბრებიან თავდადებული მამის შესახებ.

ლორიტა გოგოხია, მეუღლე:

„ყოველთვის შვილზე ოცნებობდა, პირველი ბიჭი უნდოდა და აუსრულდა კიდეც ეს სურვილი, მაგრამ თვითონ ვერ მოესწრო, მისი სახელი დავარქვი ბავშვს. ორი თვის ორსული ვიყავი, რომ დაიღუპა. გორში გადმოვედით ქირით, რადგან იქვე მსახურობდა. ომი რომ დაიწყო 8-ში შემოირბინა და თბილისში გამაცილა. მალე ვნახავთ ერთმანეთსო. არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ თვითონ არ გამაჩერა, თან ორსულად რომ ვიყავი იქ არაფრით არ დამტოვებდა. გამომშვიდობებისას მუცელზე მომეფერა – ნუ გეშინია, ბავშვს ხომ გიტოვებო. იმ ღამეს დაიღუპა, სატანკო ბატალიონის დაბომბვისას“.

სამხედრო საქმე ბავშვობიდან უყვარდა, ზეპირად იცოდა პატრიოტული ლექსებიო – იხსენებს გიზოს მამიდა, ნინელი წულაია, რომელსაც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე: - 5 შვილი რომ შემეძინოს ამ გზით უნდა გავზარდოო.

სკოლის დამთავრების შემდეგ რუსეთში სამუშაოდ წავიდა. იქაური მილიცია ქართველ ახალგაზრდებს ხშირად დევნიდა, გიზოც არაერთხელ გამხდარა რუსული მილიციის სამიზნე, თუმცა პეტერბურგში ჩასვლა არასდროს უნანია, რადგან სწორედ იქ გაიცნო თავისი მეორე ნახევარი, სოხუმიდან დევნილი ახალგაზრდა გოგონა, ლორიტა გოგოხია.

ლორიტა გოგოხია, მეუღლე:

„პეტერბურგში გავიცანით ერთმანეთი, კაფეში ყავის დასალევად იყო შემოსული, მეც იქ ვიყავი, გამოველაპარაკეთ, მერე სატელეფონო ურთიერთობა გვქონდა, ერთი წელი შეყვარებულები ვიყავით, უფრო სწორად, აგვისტოში ქორწინებიდან ერთი წელი უნდა შეგვსრულებოდა. ძალიან კარგი პერიოდი იყო, თავიდან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, მერე შეგვიყვარდა. მალე საქართველოში ჩამოვედით და დავქორწინდით. ყოველთვის შვილზე ოცნებობდა, პირველი ბიჭი უნდოდა და აუსრულდა კიდეც ეს სურვილი, მაგრამ თვითონ ვერ მოესწრო, მისი სახელი დავარქვი ბავშვს“.

ნინელი წულაია, მამიდა:

„საქართველოში რომ ჩამოვიდა, მაშინვე გორის სატანკო ბატალიონში დაიწყო საკონტრაქტო სამსახური. ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა და უკვე გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ შვიდ თვეში დაიღუპა“.

8 აგვისტოს მეუღლესთან სახლში შეირბინა და თბილისში გააცილა. თვითონ კი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა... მეუღლემ ტელევიზორით შეიტყო სატანკო ბატალიონის დაბომბვის ამბავი, მიხვდა, რომ ყველაფერი ისე იმედიანად არ იყო, როგორც გიზო არწმუნებდა.

ლორიტა გოგოხია, მეუღლე:

„ტელევიზორში, როგორც კი გამოაცხადეს გორის სატანკო ბატალიონი დაბომბესო, მივხვდი რომ საქმე ცუდად იყო, მის ძმაკაცს დავუკავშირდი, მაგრამ დამიმალა. მას, რომ ვერ ვუკავშირდებოდი ვხვდებოდი, რომ ცუდად იყო საქმე, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა. ნათესავებს გაუგიათ მისი დაღუპვის ამბავი, მაგრამ მე მითხრეს, რომ დაჭრილიაო. გორში ჰოსპიტალში ჩავედით და იქ უკვე ცხედარი დაგვხვდა, ნაწილ-ნაწილ იყო დაფლეთილი. ძალიან რთულია მის გარეშე ცხოვრება, ერთადერთი იმედი ჩემი პატარაა, ბავშვი სურათით იცნობს მამას“.

28 წლის კაპრალი, გიზო წულაია 14 აგვისტოს მშობლიურ მიწას მიაბარეს.

კაპრალი

ალექსანდრე ზაზაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1975 - 2008

9 აგვისტოს რუსულმა კასეტურმა ბომბმა მისი სიცოცხლე გმირულად დაასრულა. კაპრალი ალექსანდრე ზაზაშვილი სამშობლოსთვის დაეცა, საკუთარი შვილებისთვის ის ყოველთვის სამაგალითო მამა იყო, დღეს კი გმირია. სამხედრო მუნდირს ახლა მისი მეუღლე ატარებს, ნინომ ფორმა 26 იანვარს ჩაიცვა, ქორწინების შვიდიწლისთავზე, 7 წლის წინათ, 26 იანვარს, ნინოს საქორწინო კაბა ეცვა.

ნინო მაისურაძე, მეუღლე:

„9 აგვისტოს დაგვირეკა. 2 საათი გვესაუბრა მე და ბავშვებს. „ბავშვებს მიხედე, მიყვარხარ და გკოცნიო“. მე თითქოს დამემშვიდობა, თანამებრძოლებს კი თურმე ამხნევებდა, „არ იდარდოთ ბიჭებო, ყველაფერი კარგად იქნებაო“. სწორედ ამ დროს კასეტური ბომბი ჩამოვარდნილა და ადგილზევე დაღუპულა ჩემი ქმარი. მეგობარს უყვირია დაწექითო, მან კი ვერ მოასწრო, თორემ ისიც გადარჩებოდა. წოდებით კაპრალი იყო. ქუთაისში მესამე ქვეითი ბრიგადის ჯავშან-სატანკო ბატალიონის საავტომობილო ოცეულში იყო მძღოლი.

გარდაცვალების ამბავი პირველად მის მამიდაშვილს შეატყობინეს, 10-ში გადმოვასვენეთ. შუა თითზე თავისი დაბადების წელი ჰქონდა ამოტვიფრული. რომ ვეკითხებოდი ხოლმე, რატომ დაიწერე-მეთქი, „რომ დავბერდები, შეიძლება დამავიწყდეს, დავხედავ და გამახსენდებაო“ ხუმრობდა. არ დასცალდა სიბერე. სწორედ ამ ნიშნით ამოვიცანით. სოფელ ოდაში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დავასვენეთ და 14 აგვისტოს დავკრძალეთ.“

ალექსანდრე ზაზაშვილი, 1975 წლის 5 აპრილს, სოფელ უდეში დაიბადა. ოჯახში მესამე შვილი იყო. როგორც ნაბოლარას და გვარის გამგრძელებელს, ოჯახი იმედით უყურებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ახალციხეში გაატარა ის ორი წელი. შემდეგ იყო საკონტრაქტო სამსახური, რომლის დასრულებაც ვერ მოასწრო.

ნინო მაისურაძე, მეუღლე: „თანასოფლელები ვართ, მაგრამ ერთმანეთი არასდროს გვყავდა ნანახი. გაცნობიდან ერთ თვეში - 2002 წლის 26 იანვარს დავქორწინდით. ორი ბიჭი გვყავს. 8 და 4 წლის. ძალიან ბედნიერი იყო, რომ ბიჭები ჰყავდა, არ არსებობდა, რომ რამე ეთხოვათ მამისთვის და იმას არ შეესრულებინა. კონტრაქტს ხელი რომ მოაწერა 2006 წელს, ქუთაისში გადავედით. კონტრაქტის დაწყებიდან 2 წელი და რამდენიმე თვე იყო გასული, რომ გარდაიცვალა. 33 წლის იყო. ბოლო პერიოდში ძალიან თბილი იყო. სულ უნდოდა, ერთად თუ არ ვიყავით ტელეფონზე გვესაუბრა, ან გვემესიჯა.

თვითონ არ გვეუბნებოდა, რომ ომში იყო. ამბობდა: ქუთაისში ვარ ჯერ არ გავსულვართო. ამ დროს ახალგორის სოფელ ჯავაში იყო. მარტო მისმა დებმა იცოდნენ.

მის გარეშე, არაფერს აზრი არა აქვს. მხოლოდ შვილებისთვის ღირს სიცოცხლე. ის მაძლევს ალბათ, იქიდან ამის ძალას. არ მეგონა თუ ამდენის გაკეთებას შევძლებდი ჩემი შვილებისთვის. ამჟამად ახალციხეში, ჯავშან-სატანკო სასწავლო ცენტრში შეიარაღების ბუღალტერი ვარ. თავიდან ძალიან გამიჭირდა ჯარში. ყველა ჯარისკაცის და ფორმის უკან ალიკას ვხედავდი. 26 იანვარს ჩავიცვი პირველად ფორმა. 26 იანვარს გვქონდა ქორწილიც. 7 წლის წინათ, ამ დღეს საქორწინო კაბა მეცვა - ახლა ფორმა“.

ალექსანდრეს ორი ვაჟკაცი დარჩა. დღეს ორივე ჯარისკაცობაზე ოცნებობს. იციან, რომ მამამ სიცოცხლე შესწირა სამშობლოს, იციან და ეამაყებათ. ისინი სამშობლოსთვის დაღუპული გმირის შვილები არიან.


Р 02 48 100

კაპრალი

ვალერი ციცქიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

ოერთმეტ აგვისტოს ბრონწლეთში დაიღუპა. წინა დღით, ცხინვალის შეტაკებისას, ფეხში დაჭრილ ვალერი ციცქიშვილს თანამებრძოლები სთხოვდნენ, ცხელ წერტილს გაგარიდებთო, მაგრამ მისგან უარი მიუღიათ, ბრძოლის ველის დატოვება არ უნდოდა, მაშინ, როცა იქ მისი მეგობრები ტყვიებს მკერდს უშვერდნენ. მის დანაყოფს თავი სოფელ ბრონწლეთში ერთ-ერთი შენობისთვის შეეფარებინა. შენობის დაბომბვას ვალერის რამდენიმე თანამებრძოლი შეეწირა. მძიმედ დაჭრილი ციცქიშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს. თუმცა ვალერი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა...

ლამზირა ციცქიშვილი, დედა: „7 აგვისტოს ისე წავიდა სახლიდან, რომ ვერც გავიგეთ... არ ვიცი, იქნება და მართლაც გული უგრძნობდა რამეს და მაგიტომ არ დაგვემშვიდობა არავის... ახალგაზრდა ნათესავის გასვენებაში იყო ჩამოსული და ძმაკაცებისთვის უთქვამს, რა ახალგაზრდები იღუპებიან ციცქიშვილები, რა მოგვდისო... ახლა ჩემი ჯერია, იცითო? ალბათ, ამ სიტყვების მიზეზი ის იყო, რომ ჩვენთან, ქარელის რაიონში, სოფელ ტახტისძირთან ძალიან ახლოს არის ოსების საზღვარი და არეულობა ჯერ კიდევ აგვისტოს პირველივე დღეებში იგრძნობოდა... ალბათ, საშიშროების მოახლოვებას გრძნობდა.

ბოლოს 10 აგვისტოს ველაპარაკე, ნუ გეშინია დედა, კარგად ვარო. ცხინვალში ყოფილა ამ დროს და არ გამიმხილა, ნუ ნერვიულობო დამამშვიდა. 11 აგვისტოს რომ ვრეკავდით უკვე პასუხს აღარ გვცემდა... 12-ში გავიგეთ, რომ ეს უბედურება დაგვატყდა თავს...“

ვალერი ციცქიშვილი 1988 წლის 25 თებერვალს ქარელის რაიონში, სოფელ ტახტისძირში დაიბადა და გაიზარდა. ოჯახში მესამე შვილი იყო. ციცქიშვილებს სამი ვაჟი ჰყავდათ, ახლა მარტო ორნი დარჩნენ, ნაბოლარა აღარ ჰყავთ...

ლამზირა ციცქიშვილი, დედა:

„ძმებთან შედარებით უფრო წყნარი და გაწონას-წორებული ბიჭი იყო... ჩვენ ძირითადად მიწით ვსუ-ლდგმულობთ, ვამუშავებდით ნაკვეთებს და მთელი წელი ასე გაგვყავს-ხოლმე. ვალერი, როგორც დიდი კაცი ისე გვედგა გვერდში, შრომა არასდროს უთაკილია. 18 წლის რომ გახდა, ჯარიდან მოწვევა მოუვიდა. არ დაფიქრებულა, მაშინვე გამოცხადდა კომისარიატში და ჯარში წაიყვანეს. ჯერ ახალციხეში იყო, შემდეგ ქუთაისში გადაიყვანეს. როცა სავალდებულო დაამთავრა, მაშინვე მოაწერა კონტრაქტს ხელი. ფაქტობრივად, სავალდებულო ჯარის მოხდის შემდეგ, სახლში არც დაბრუნებულა...

ქუთაისის 21–ე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა, წოდებით კაპრალი იყო. ერაყშიც იყო ნამყოფი და მეორედ აპირებდა წასვლას. სამსახურიდან გამომდინარე სახლში იშვიათად მოდიოდა. თუმცა გადაღლა არ დატყობია, იძახდა, კონტრაქტს რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო... ცხოვრება უნდა ავიწყოო, დიდი მიზნები ჰქონდა... სახლის გამართვა უნდოდა, მერე მანქანის შეძენას აპირებდა. ამ ყველაფერს, რომ მოვრჩები დედი, ცოლი უნდა მოვიყვანოო... შეყვარებული ჰყავდა თუ არა, არც ეგ ვიცით, არ უყვარდა ლაპარაკი ამ თემაზე და ჩვენც არ ვაწუხებდით. შემოდგომაზე მოვიყვან ცოლსო, მაგრამ შემოდგომა აღარ დასცალდა...

12 აგვისტოს გავიგეთ ეს თავზარდამცემი უბედურება. ვალერის ბიძაშვილმა ჩემს უფროს ბიჭს დაურეკა და ვალერი აღარ გვყავსო უთხრა... გამოსული ვიყავი იმ დროს სახლიდან და სახლში რომ შევედი, ბევრი ხალხი დამხვდა, ყველა ტიროდა და მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა... ჩემს დანახვაზე უფრო მეტად დაიწყეს ტირილი...

იმ დღესვე მოვასვენეთ სახლში, მაგრამ სოფელში ისეთი დაძაბული სიტუაცია იყო, წუთი–წუთზე უნდა შემოსულიყვნენ რუსები და აქვე სოფელში, ეკლესიის ეზოში ნახევრადგაჭრილ საფლავში დავასაფლავეთ. ცო-ტა რომ დამშვიდდა სიტუაცია, სოფლის სასაფლაოზე გადავასვენეთ. მეორე დღეს დილაუთენია დავტოვეთ სახლი და გავიქეცით... აქ რომ ვენახეთ, მიცვალებულთან ერთად, შეიძლება ჩვენს თვალწინ დაეწვათ და ჩვენც დავეხოცეთ... გასვლა მოვასწარით და შემოვიდნენ, მარადიორობდნენ, სოფელი ერთიანად დაარბიეს და სახლები გადაწვეს...“

როგორც დედა იხსენებს, შვილი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ესიზმრა, თითქოს სახლში შესულა და მალევე უკან გაბრუნებულა, მალე დავბრუნდებიო, უთქვამს – გმირები ყოველთვის ბრუნდებიან, მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს...

კაპრალი

ამირან მამალაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1985 - 2008

9 აგვისტოს, ცხინვალში, ამირან მამალაძეს უკანასკნელი ბრძოლა ჰქონდა მტერთან. დაჭრილი მეთაურის გადასარჩენად შებრუნდა უთანასწორო ბრძოლაში და დაიღუპა. მტრის ტყვიას გადარჩენილი მისი მეგობრები დღესაც აღფრთოვანებით იხსენებენ ამირანის გმირობის ამბავს. ყველაზე უშიშარი იყო და თავდადებით იბრძოდაო, – უყვებიან მშობლებს, რომლებსაც ნუგეშად მხოლოდ შვილის გმირობა დარჩათ.

გურამ მამალაძე, მამა: „ამირანს თავისი საქმე ძალიან მოსწონდა, ყოველთვის იცოდა, რას აკეთებდა და არასდროს შემცდარა. იცოდა, რომ სამშობლოს სჭირდებოდა და დადგა კიდეც მის სადარაჯოზე. ჩემთვის ძნელია ამყველაფრის გახსენება, მაგრამ მეამაყება, რომ გმირის მამა მქვია. დიდი ჯილდო დამიტოვა, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან.

ომში წასვლამდე ტელეფონით მიკავშირდებოდა – 6 აგვისტოს მერე აღარ გვილაპარაკია. გადმოცემით ვიცით, რომ თავდადებით იბრძოდა. ასმეთაური და ოცმეთაური ამბობენ, ის რომ არ ყოფილიყო, არც ერთი არ ვიქნებოდით ცოცხლებიო. როცა მეთაური გელა ჭედია დაიჭრა, მის გადასარჩენად სამი კაცი შევიდა საბრძოლველად და იქიდან ერთი გამოვიდა ცოცხალი... იცოდა, სადაც მიდიოდა, ისიც კარგად იცოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ამაზე ჩვენ ერთ სიტყვასაც არ გვეუბნებოდა. 9 აგვისტოს დაიღუპა ცხინვალში, ბრძოლის ველზე. ინტერნეტში ვნახეთ სურათები, დაჭრილი ამირანია გადაღებული...

დღესაც გულს მიკლავს მასზე საუბარი, უცრემლოდ ვერ ვიხსენებ.

სპორტსმენი იყო – კარატისტი, უყვარდა ვარჯიში, ჯარი. ამბობდა, საქართველოს თუ დავჭირდები, წამით არ დავიხევ უკანო. ასეც მოიქცა. ასმეთაურს რომ უკითხავს, ვინ წამოვაო, პირველი ამირანი გამოხმაურებია, წავიდეთო. ჩემი მეორე შვილი უშლიდა წასვლას, მაგრამ ეუბნებოდა: „უნდა წავიდე, სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი ბედი იქ მიმყვებაო“. არასოდეს არაფრის ეშინოდა. დარწმუნებული ვარ, შიში ბრძოლის დროსაც არ ექნებოდა, ასეთი იყო ჩემი ამირანი. ვაჟკაცი, სამშობლოს პატრიოტი, სულით მებრძოლი. 23 წლის უკვე გმირი გახდა, მეტი საამაყო რა უნდა მქონდეს, ეს ჯილდო ხომ ჩვენ დაგვიტოვა. ბედისწერაა, ეტყობა, ასეთი, მაგრამ მე ამაყი მამა ვარ, ასეთი შვილი რომ გავზარდე“.

ამირან მამალაძე 1985 წლის 21 ივლისს, შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულში დაიბადა. ბათუმში სწავლობდა, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში, სამხედრო კათედრაზე... შემდეგ იყო სავალდებულო სამსახური და სამუდამო კონტრაქტი სამშობლოსთან, რომელიც მან 23 წლის ასაკში გააფორმა.

კაპრალი

ზაზა
გლუნჩაძე

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1979 - 2008

8 აგვისტოს, დილით, 42-ე ბატალიონი უკვე ცხინვალში იყო. მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველი მეომრები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, რომ როგორმე რუსული აგრესია მოეგერიებინათ. ზაზა გლუნჩაძე მეორე ასეულში იყო, პირველ ხაზზე იბრძოდა, მანამ, სანამ რუსული ავიაცია ცხინვალის დაბომბვას არ დაიწყებდა. ამ დაბომბვის შემდეგ ზაზა ცოცხალი აღარავის უნახავს. მისი და მასთან ერთად დაღუპული ქართველი გმირების გადმოსვენება ცხინვალიდან მხოლოდ უწმინდესის ძალისხმევით მოხერხდა.

ქეთევან ცუცქირიძე, მეუღლე: „არასოდეს უთქვამს, რომ დაიღალა, ბოლოს 10 ივლისს იყო სახლში. მას შემდეგ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ჩამოსვლა. საერთოდ, ძალიან თბილი ადამიანი იყო, განსაკუთრებით ჩვენს მიმართ.

47 ბიჭი რომ გადმოასვენა პატრიარქმა, იმ 47 ბიჭში იყო ზაზაც.

ომი რომ დაიწყო, 7-ში არაფერი არ უთქვამს, ფიქრობდა, ალბათ, ინერვიულებენო. მათი ბატალიონი პირველ ხაზზე იბრძოდა. ზაზა მეორე ასეულში იყო. 7 აგვისტოს რომ შევიდნენ გორში, მაშინ დამირეკა. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და მითხრა, ომი დაიწყო და ავნევში ვარო. ღამის 11 საათი იყო. გამაფრთხილა, შენ ვერ დამირეკავ და არ ინერვიულო, მე თვითონ დაგირეკავ ხოლმეო. ბოლოს 8-ში, დილის 8 საათზე დარეკა, ცხინვალში შევდივართო. ამის შემდეგ კავშირი გაწყდა. თბილისში ზაზას თანამებრძოლი ვნახე ღუდუშაურის კლინიკაში, მისგან გავიგე, რაც მოხდა. მითხრა: როცა დაბომბვა მოხდა, ზაზა ვნახე, მაგრამ არ ვიცი, გადარჩა თუ არაო... სხვებმა თქვეს, დაჭრილების გამოყვანაში გვეხმარებოდაო...სწორედ ამ დროს მომხდარა დაბომბვა. გავიგეთ, რომ, როცა მეგობრების გადარჩენას ცდილობდა, თვითონაც დაჭრილი იყო.

6 ნოემბერს მოვიდა დეენემის პასუხი. ჩემს ძმას დაურეკეს, მან კი ვერ მითხრა. სხვისგან გავიგე, რომ ზაზა აღარ მყავდა. ხარაგაულში გადავასვენეთ და იქ დავკრძალეთ. ძალიან ძნელია ცხოვრება ზაზას გარეშე. ბევრი ოცნება დარჩა აუხდენელი. ძალიან გვინდოდა თბილისში ბინა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფომ მომცა ბინა, მაგრამ იქ ზაზას გარეშე მიწევს ცხოვრება. მეც დამასაქმა თავდაცვის სამინისტრომ, მაგრამ იმის კომპენსაცია შეუძლებელია, რაც მე დავკარგე“.

ზაზა გლუნჩაძე 1979 წლის 11 თებერვალს, ხარაგაულის რაიონის სოფელი ხიდარში დაიბადა. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი იყო, ყველას ძალიან უყვარდაო, – იხსენებს მეუღლე.

ქეთევან ცუცქირიძე, ზაზა გლუნჩაძეს მეუღლე: „ერთმანეთი მატარებელში გავიცანით. მე 17 წლის ვიყავი, ზაზა – 22 წლის. 5 თვე ვხვდებოდით ერთმანეთს და მერე დავქორწინდით. პირველი შვილი რომ შეგვეძინა, მარინა დავარქვით. მისი დედის სახელია. მეორე თეონა გვყავს. ძალიან უნდოდა, რომ ცეკვაზე ევლოთ გოგოებს, სულ ოცნებობდა. მარინა 7 წლის არის, თეონა – 5-ის. 2007 წლის 10 ივლისს დაიწყო მუშაობა ვაზიანში. კაპრალი, მსროლელი იყო. როცა დაიღუპა, ერთი წელი უსრულდებოდა ჯარში ყოფნისა. ერაყში წასასვლელად ემზადებოდა. მაგრამ მერე ომი დაიწყო და მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან“.

კაპიტანი

გიორგი ჯოჯუა

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1980 - 2008

ორმეტი წლის იყო მშობლიური სოხუმი რომ დაატოვებინა მტერმა... 28 წლისას იგივე მტერმა სიცოცხლეც მოუსწრაფა.

სიყმაწვილე გაილია დევნილობაში. აფხაზეთიდან გადმოსული სენაკში ცხოვრობდა. სენაკში დაამთავრა სკოლა. ჩააბარა სამხედრო აკადემიაში.

22 წლის იყო ქობულეთში მომავალი მეუღლე რომ გაიცნო. გაცნობიდან ხუთ თვეში დაოჯახდნენ, ერთად 5 წელიწადს იცხოვრეს. 2 ვაჟი დატოვა ამქვეყნად...

„ძალიან ბედნიერი იყო, ბიჭი რომ გვეყოლა. ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე, ოცნებობდა შვილებზე და უნდოდა ბიჭებსაც სამხედრო კარიერა ჰქონოდათ... უმცროსი ამბობს, რომ გავიზრდები ჯარში უნდა წავიდეო...“ – იხსენებს მეუღლე...

არც გიორგისთვის დაუშლია მამამისს ჯარში სამსახური, არ დაუშლია იმიტომ, რომ თავადაც იარაღით ხელში ებრძოდა ვერაგ მტერს აფხაზეთში...

კაპიტანი გიორგი ჯოჯუა მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა. სექტემბერში ერაყში უნდა წასულიყო. მაგრამ დაიწყო ომი და ერაყი მხოლოდ ალიბად იქცა – შეშფოთებული მეუღლის დასამშვიდებლად – სწავლებებზე ვარ, ხომ იცი ერაყში მივდივარო... „ამას ისე დამაჯერებლად მეუბნებოდა, ეჭვი არ შემიტანია... ცდილობდა რომ წინ წასულიყო, სამხედრო კარიერა გაეგრძელებინა. უნდოდა, რომ ყველაფრისთვის თვითონ მიეღწია. უნდოდა, რომ სამშობლოს გამოსდგომოდა...“ - იტყვის მეუღლე.

კაპიტანი ჯოჯუა შინიდან ბოლოს 4 აგვისტოს გავიდა. ოჯახს ამშვიდებდა. უმალავდა რომ ომში იყო. „ჩვენ გვეუბნებოდა რომ გორში იყო, მაგრამ ცხინვალში იბრძოდა...“ - იტყვის ჯარისკაცის მამა...

ჯარისკაცის ქვრივი: „9 აგვისტოს დილით ველაპარაკე, 10 –11 საათზე. საშიშროება თუ იყო რამე, არ გვეუბნებოდა, უფრო გვიან რომ დავურეკე, არ გვპასუხობდა... რა ვითარებაში დაიღუპა არ ვიცით, არავის უნახავს... თებერვალში დეენემის ანალიზით გავიგეთ მისი გარდაცვალება... ნოემბერში გადმოსვენებულ 17 ბიჭს შორის იყო... ცხოვრება მძიმე და აუტანელია მის გარეშე, მაგრამ ორი ვაჟი დამიტოვა... ვზრდი მათ... ვცდილობ ისე გავზარდო, რომ მუდამ ახსოვდეთ მამა...“

პოლიცია
307

კაპიტანი

კოზა სერგია

უმწიკვლო სამსახურისთვის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1975 - 2008

ეს გმირულად დაეცა ცხინვალში. ამქვეყნად დარჩა ორი მცირეწლოვანი ვაჟი, ახალგაზრდა ქვრივი და... გმირის სახელი.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, სკოლაახალდამთავრებულ, 17 წლის ჭაბუკში მეომარმა გაიღვიძა – წამითაც არ დაფიქრებულა, ისე ჩაება ბრძოლაში. დაჭრილი გამოარიდეს წინა ხაზს. ამ ომმა განსაზღვრა მთელი მისი მომავალი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვლის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად, სამხედრო აკადემიაში ჩააბარა.

20 წლის იყო, მომავალი მეუღლე – თამარ ჩიკორია რომ გაიცნო.

თამარ ჩიკორიაც აფხაზეთიდანაა. ომი მათი ცხოვრების თანამდევი იყო მუდამ...

თამარ ჩიკორია, მეუღლე: „რვა წელი ვიცნობდით ერთმანეთს, სანამ დავქორწინდებოდით. წლების მანძილზე კრწანისის 113-ე ბატალიონში მსახურობდა. შემდეგ ერაყში წავიდა. სულ ვეჭვიანობდი ჯარზე, ოჯახისთვის არასდროს ეცალა, ახალი წელი მისთვის არ იყო და აღდგომა. სულ ჩქარობდა, სულ მოსწრებაზე იყო. სულ ვეუბნებოდი, რატომ ხარ ასეთი სულსწრაფი, წყნარად ჭამე, წყნარად ილაპარაკე-მეთქი, სულ მეშინოდა... ბოლოს ძალიან შეიცვალა, ძალიან თბილი და მოსიყვარულე გახდა, სულ თვალებში შემომყურებდა, სულ მეფერებოდა. ბოლოს ერთი მეგრული სიმღერა ჰქონდა ამოჩემებული – „ჩემი გულის ვარდი ხარ და რომ მოვკვდები, კარგად მიტირეო“. ასეთი სიტყვებია ამ სიმღერაში... მე მიმღეროდა, ეს ძალიან მაღიზიანებდა და შიშს მგვრიდა, ახლა ვხვდები, რისიც მეშინოდა....“

კაპიტანი კობა სერგია ბოლოს ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა შტაბის უფროსად.

თამარ (მაკა) ჩიკორია: „ექვს აგვისტოს სახლში მოვიდა, მძღოლი გაუშვა და არც საჭმელი ჭამა, ძალიან უხასიათოდ იყო, ბავშვები გავიყვანე დასაძინებლად და მეც ჩამძინებია. რომ გამეღვიძა, უკვე ჩექმებს იცვამდა, მითხრა: დაიძინე, წავალ და მალე მოვალო. შევბრუნდი და ძილი გავაგრძელე, არც გამიცილებია, არც ბავშვებისთვის უკოცნია, არ დაგვმშვიდობებია. მარტო დედაჩემისთვის უთქვამს: მგონი, ომი დაიწყო და მაკასა და ბავშვებს მიმიხედეო. წინა კორპუსის მეზობელს უნახავს, ტელეფონით იძლეოდა ბრძანებებს... მე არაფერი ვიცოდი, დილით ბავშვები სასეირნოდ რომ გავიყვანე, მაშინ გავიგე მეზობლისგან, რომ ომი დაიწყო. მაგრამ კობას ვეღარ დავურეკე. გამახსენდა, ერთხელ გამაფრთხილა, ეგეთ სიტუაციაში არ დამირეკო, თორემ შეიძლება სნაიპერი მიმიზნებდეს და შენი მოკლული ვიქნები, იცოდეო. სამი დღე ვითმინე. პარასკევს, საღამოს, ცხრის ათ წუთზე დამირეკა სხვისი ტელეფონიდან, მითხრა: მე კარგად ვარ, მაგრამ მეგობარი ამირან ცერცვაძე მომიკლესო. ვიცოდი, რომ მარტო ამის გამო შეაკლავდა მტერს თავს... ვუთხარი: აი, ნახავ, ამირო ცოცხალი იქნება, მე მას ვიპოვი-მეთქი. მართლაც, ყველა საავადმყოფოში დავრეკე და მეორე დღეს ღუდუშაურში ვიპოვე, ხელში იყო დაჭრილი... კობას ვურეკავდი, რომ მეხარებინა, მაგრამ ტელეფონი არ აიღო, გულმა ცუდი მიგრძნო... თავის ნომერს რომ არ პასუხობდა, იმ ნომერზე დავრეკე, საიდანაც წინა დღეს დამირეკა. მეგობარმა მიპასუხა, იმ ბიჭს ვთხოვე, კობასთვის გადაეცა, რომ ამირო ცოცხალი იყო. მას მერე ვერც ამ ბიჭს დავუკავშირდი და ვერც კობას... არ მინდოდა, მისი სიკვდილი გამეგო... შვილებიდან ლუკა მე მგავს და დათო – მამას. ამიტომ დეენემი ლუკას ავუღე, იმ იმედით, რომ არ დაემთხვეოდა. 28 სექტემბერს პასუხი უკვე ცნობილი იყო, თუმცა თქმა ვერავინ გაბედა, ბოლოს მისი მეგობარი გამოვტეხე... ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, ორი თვე შვილებსაც ვეღარ ვუვლიდი...“

კაპიტნის მეუღლისთვის დღემდე უცნობია, ზუსტად რა ვითარებაში დაიღუპა მისი მეუღლე. ერთ-ერთი ვერსიით, კობა სერგია, მეთაური დოლიძე და ჯოჯუა ცხინვალში იყვნენ, როცა რუსები შემოვიდნენ. რუსებსა და ოსებს შორის მოექცნენ, ვეღარც წინ წავიდნენ, ვერც უკან მოდიოდნენ და თავი მახლობელ შენობას შეაფარეს, რუსებმა ნაღმი შეუგდეს და სამივე იქ დაიღუპა.

თამარ ჩიკორია: „მუხათგვერდში იყო 27-ე ნომრად დაკრძალული, იქ დავიტირე. ვერ ვიჯერებ, სიკვდილისთვის მაინც ვერ ვიმეტებ, ჩემმა ძმამ ძმათა სასაფლაოზე გადმოასვენა... ახლა მივხვდი, რა რთული ყოფილა ცხოვრება...“

კაპიტანი კობა სერგია 1975 წლის 13 იანვარს, ზუგდიდის რაიონში დაიბადა, ნანატრი ვაჟი იყო. მეშვიდე კლასამდე ზუგდიდის რაიონში ცხოვრობდა, შემდეგ ბიძებთან გადავიდა გაგრაში. გაგრაშივე დაამთავრა სკოლა. მერე იყო აფხაზეთის ომი, სავალდებულო ჯარი, სამხედრო აკადემია. მან თავისი კარიერა ომში გმირულად დაასრულა.

სამედიცინო სამსახურის სერჟანტი

მერაბ ჭელიძე

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1975 - 2008

არც პროფესიულ ფიცს უღალატა და არც სამშობლოსთვის მიცემულ პირობას. ქართველი მეომრების სიცოცხლის გადასარჩენად ომში წავიდა. სამხედრო ნაწილის ექიმი იყო და ბოლომდე მოიხადა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე. მერაბ ჭელიძე თანამებრძოლებს უხვევდა ჭრილობებს, როცა აფეთქება მოხდა. მისი ტრავმა სასიკვდილო აღმოჩნდა. მერაბ ჭელიძე 9 აგვისტოს რუსული ჭურვის აფეთქებისას დაიღუპა.

ნათელა ჭელიძე, დედა: „რუსეთ-საქართველოს ომში საკუთარი სურვილით წავიდა. ხელვაჩაურის რაიონში სამხედრო ნაწილში ექიმად მსახურობდა. პროფესიით ექიმი იყო. აგვისტოს დღეებში, რომ გაიგო ჯარისკაცები გორში მიდიოდნენ, არც კი დაფიქრებულა ისე წავიდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად. როცა ტელეფონით გვიკავშირდებოდა, სულ გვამშვიდებდა და გვეუბნებოდა: „კარგად ვარ, არ ინერვიულოთო“, მაგრამ დედის გული ხომ იცით... ტელევიზორს ვუყურებდით მთელი დღე, ბევრს ვერაფერს ვიგებდით, მაგრამ დაახლოებით ვხვდებოდით, იქ რაც ხდებოდა, თუმცა ჩემი შვილი ყველაფერს მიმალავდა. აბა, რომელ შვილს უნდა მშობლების ნერვიულობა?.. 9 აგვისტოს 12 საათზე გავიგეთ, რომ ჩემი ბიჭი დაიღუპა, ძმაკაცებმა გაგვაგებინეს.

მერაბი თბილისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე 7 წელი სწავლობდა. სწავლის მერე ჩამოვიდა და ერთი წლის შემდეგ ხელვაჩაურის სამხედრო ნაწილში დაიწყო მუშაობა. მესამე თვე იყო, ალბათ, ომში რომ წავიდა... გორში ყოფილან ჩასულები, როცა დაჭრილების დასახმარებლად გადმოსულან სასწრაფოს მანქანიდან, მაგრამ უცებ მანქანა აფეთქებულა, ჩემს ბიჭს კასეტური ბომბის ნამსხვრევი მოხვედრია და იქვე დაღუპულა“.

ჟუჟუნა ჭელიძე, და: „გორში წასვლამდე ერთი დღით ადრე დამირეკა, მითხრა: მივდივარ, არ ინერვიულოთ, არ იდარდოთო. მე ვუთხარი: შენ ისეთი ძლიერი ხარ, რა უნდა ვიდარდო, შენ არაფერი მოგივა-მეთქი. თვითონაც გვამხნევებდა, ისეთი არაფერი უთქვამს. 7 აგვისტოს წავიდა, 8-ში დამირეკა დილით, 9 საათზე, რაღაც პრობლემებია და ვეღარ დაგირეკავთ, ტელეფონები უნდა გავთიშოთ. დაძაბული სიტუაციაა, რუსები შემოდიანო. ამის მერე აღარ დაურეკავს. 9-ში გავიგეთ ჩემი ძმის დაღუპვის ამბავი.

ომის მოლოდინი არ ჰქონია, მაგრამ ყოველთვის ამბობდა, როცა საჭირო იქნება, აუცილებლად წავალო და წავიდა კიდეც იმ წუთასვე, როცა საჭირო გახდა.

ჩემმა ბიძაშვილმა გაგვაგებინა მისი დაღუპვის ამბავი. ისიც მასთან ერთად იყო. იარაღს ისროდნენ, მანქანიდან გადმოვედით, გაგვაფრთხილეს, არ გადმოხვიდეთო, მაგრამ მერაბი მაინც გადასულა და დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდა, ამ დროს აფეთქებულა მანქანა, თავში ჭურვის ნამსხვრევი მოხვედრია და მაშინვე დაღუპულა. ტელეფონში ჰქონდათ ჩანაწერი. ხელვაჩაურიდან რომ მიდიოდნენ, გორში გაჩერდნენ, მინდორზეა გადაღებული ყველა ჯარისკაცი, საბრძოლო სიმღერა ისმის. ეს ვიდეო შემოგვრჩა მხოლოდ მისი იქ ყოფნის პერიოდიდან. სულ იმას გაიძახოდა სამსახურთან დაკავშირებით, კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემს სამშობლოს ვემსახურებიო. თითქოს სულ რაღაც საბრძოლო მზადყოფნაში იყო. ვარჯიშობდა. სამხედრო მეთაურებიც აღფრთოვანებულები იყვნენ მისი ფიზიკური მონაცემებით“.

ვინ იცის, რამდენი ჯარისკაცის გადარჩენა მოასწრო, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაულოცავთ გადარჩენილი მეომრების მშობლებს მისი მარჯვენა. მერაბ ჭელიძე დღეს სამშობლოსთვის დაღუპული გმირია, რომელმაც ბოლომდე მოიხადა წმინდა ვალი ქვეყნისა და ადამიანების წინაშე.

მერაბ ჭელიძე 1975 წლის 15 ოქტომბერს ხულოს რაიონში დაიბადა.

FIRING

კაპრალი

ზურაბ ბალაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1981 - 2008

Სოფელ ნიქოზზე მიტანილი საავიაციო იერიშის დროს დაიღუპა ზურაბ ბალაშვილი, რუსულმა ბომბდამშენებმა ნიქოზს 9 აგვისტოს შეუტიეს. ზურა იქ იყო, თავის ბატალიონთან ერთად. სიკვდილის წინ მეგობრებისთვის უთხოვია, ოჯახს მიმიხედეთო. 4 თვის იყო ლიკა, მამამ რომ დატოვა და თავისი თავდადებით გმირის ქალიშვილის სტატუსი მიანიჭა.

კაპრალი ზურაბ ბალაშვილი 21-ე ბატალიონში მსახურობდა. 17 დეკემბერს 28 წლის გახდებოდა...

ბალაშვილი ირინა, ზურას მეუღლე: „სანამ ომი დაიწყებოდა, წინა პერიოდში, ერთი კვირით სახლში იყო ჩამოსული. იმ ერთ კვირაში სულ იმას გაიძახოდა, მე თუ რამე დამემართა, თქვენ თავს მიხედეთო... სახლიდან 2 აგვისტოს გავიდა. როცა გადიოდა უკან მობრუნდა და ყველას სათითაოდ გამოგვემშვიდობა... ცრემლიანი თვალებით წავიდა... თითქოს გრძნობდა რაღაცას.

კონტრაქტს ერთ წელში ამთავრებდა. ერაყშიც ნამყოფი იყო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, მითხრა - ბავშვს მიხედე და თავსაც გაუფრთხილდიო. მერე ჩემს ძმას დაურეკა, დაბადების დღე მიულოცა, უთქვამს: ერთი წლისთავი შეგვისრულდა, რაც მე და შენი და დავქორწინდით, შენს დაბადების დღეზეო... სახლშიც დაურეკავს და უთქვამს, ირინას არ გააგებინოთ, რომ ომში ვარო... ამ დროს უკვე ზემო ნიქოზში ყოფილა. არადა გვატყუებდა, არსად არ გავსულვარო. რომ დაიღუპა მერე გავიგეთ, რომ ომში იყო. 9 აგვისტოს დაღუპულა. ნიქოზში, საჰაერო დაბომბვა რომ მომხდარა, კასეტური ბომბის ანასხლეტი მოხვედრია... არტერია ჰქონია გადაჭრილი... მისმა თანამებრძოლებმა მითხრეს, ვინც მასთან ერთად იყვნენ ბოლო წუთამდე, უთქვამს ბიჭებისთვის ცოლ-შვილს მიმიხედეთ ბიჭებოო... მარტო ზურა დაიღუპა, მისი ბატალიონიდან ყველანი ცოცხლები არიან“.

ძალიან ბევრი გეგმები ჰქონდა... უნდოდა ხუთი შვილი გვყოლოდა. ძალიან უყვარდა ბავშვები...

ერთი წლის განმავლობაში თითქმის ყველაფრის გაკეთება მოასწრო. ხელი მოვაწერეთ, 9 თებერვალს გადავიხადეთ ქორწილი... 9 აპრილს, ზურას გარდაცვლილი მამიდის დაბადების დღეზე, გოგონა შეგვეძინა და მისი სახელი ლიკა დავარქვით. უბედნიერესი ადამიანი იყო, როცა ლიკა გაჩნდა. არ გამოუშვეს ჯარიდან და სურათები გავუგზავნეთ. სამ დღეში მოვიდა... ყველაფერს გვპირდებოდა, ყველაზე ბედნიერი ადამიანები თქვენ იქნებითო... მეუბნებოდა, ნახე, როგორ უნდა გაცხოვროთო...

ბავშვი ოთხი თვის იყო, მამა რომ დაეღუპა... მაშინ მოვნათლეთ ჩვენი შვილი. არადა ზურას უნდოდა დიდი ნათლობა გადაეხადა...

ახლა სურათებით იცნობს მამას, საფლავზე ხშირად დამყავს. იცის, რომ მამა წასულია და ტკბილეული უნდა მოუტანოს. დღეს ლიკა მამას, მამაჩემს და ჩემ ძმას ეძახის...

საშინელებაა მის გარეშე ცხოვრება. მთელი 5 თვე აზრზე ვერ მოვდიოდი. ყოველდღე სასწრაფო იდგა ჩვენს კარებთან. ალბათ, ადამიანი ეგუება ყველაფერს, შვილის გამო... ფეხზე უნდა დავდგე და გავზარდო. ჩემი გულიდან არასდროს არ წაიშლება ზურა...“

ზურა ბალაშვილი 1981 წლის 17 დეკემბერს დაიბადა. ოჯახში მეორე შვილი იყო. ზუსტად ერთი წელი იცხოვრა მეუღლესთან ერთად, ქორწინებიდან ერთი წლის თავზე დაიღუპა... არაფერი დარჩა ოჯახს სანუგეშო, გარდა იმისა, რომ იციან ზურა სამშობლოს შეეწირა და დღეს უკვდავყოფილი გმირების რიგებშია. პატარა ლიკა მამას მაინც ელოდება...

უმცროსი სერჟანტი

ედნარ დიასამიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1974 - 2008

8 აგვისტოს, ღამით, რუსულმა მოიერიშეებმა სენაკის სამხედრო ბაზაზე მიიტანეს იერიში. რუსული მოიერიშეების და ბომბდამშენების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, ქართული სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურება იყო.

პირველი დაბომბვისას რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. მოპირდაპირე ყაზარმიდან ჯარისკაცები თანამებრძოლთა მისაშველებლად გაიქცნენ. მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის უმცროსი სერჟანტი, ედნარ დიასამიძე, დაბომბილი ტერიტორიიდან მეგობრების ევაკუაციას აპირებდა, დაბომბვიდან რამდენიმე წუთში, რუსული მოიერიშე კვლავ ბაზის თავზე დაფრინავდა, ჩამოყრილმა ჭურვებმა თანამებრძოლის დასახმარებლად მისული უმცროსი სერჟანტი, ედნარ დიასამიძე იმსხვერპლა.

ედნარ დიასამიძე 1974 წლის 22 აპრილს, ქობულეთის რაიონის სოფელ სახალვაშოში დაიბადა. დაამთავრა სოფელ სახალვაშოს საშუალო სკოლა და სწავლა ბათუმის პროფესიული გადამზადების ცენტრში გააგრძელა. სწავლის დასრულების შემდეგ კი, 1992 წლიდან, ედნარ დიასამიძემ სამხედრო სავალდებულო სამსახური, ახლადჩამოყალიბებულ სასაზღვრო ჯარში გაიარა.

ხასან დიასამიძე, ედნარის ბიძა: „ბავშვობიდან ენერგიული და სხარტი იყო. ყოველთვის აინტერესებდა სამხედრო საქმე, სამხედრო ტექნიკა. ბევრს კითხულობდა სამხედრო საქმის შესახებ, კონტაქტი ჰქონდა იარაღთანაც, კარგად ისროდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურშიც ძალიან გამოადგა მანამდე მიღებული ცოდნა... ედნარს დედა ადრე დაეღუპა და მამასთან იზრდებოდა. ჩემი ძმა, ედნარის მამა, დურსუნ დიასამიძე, პოლიციელი იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და სამაჩაბლოს პირველი ომის მონაწილე იყო. ლოგიკურია, რომ ედნარს და მის ძმას, მალხაზს, პატარაობიდანვე აინტერესებდათ სამხედრო საქმე, მათზე ყოველთვის იგრძნობოდა მამის გავლენა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ კი, ედნარმა მუშაობა აჭარაში დისლოცირებული სწრაფი რეაგირების რაზმში (ე.წ. „ობეერი“) დაიწყო.“

2004 წლიდან ედნარ დიასამიძე, რეგულარულ ქართულ არმიაში, საკონტრაქტო სამსახურზე გადავიდა და სენაკში დისლოცირებული მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონში ჩაირიცხა. ამავე ბატალიონში ჩაირიცხა ედნარის ძმა, მალხაზ დიასამიძე. ძმები 2006 წელს ექვსი თვის განმავლობაში ერაყის სამშვიდობო მისიაშიც ერთად მონაწილეობდნენ. 2008 წელს მის კონტრაქტს ვადა გაუვიდოდა, თუმცა ძმები არმიიდან წამოსვლას არ აპირებდნენ.

ჟუჟუნა დიასამიძე, ედნარის მეუღლე: „ერთმანეთი 2000 წელს გავიცანით და იმავე წელს შევუღლდით. ყოველთვის თბილი და მოსიყვარულე იყო, უყვარდა სიურპრიზების მოწყობა. ორი შვილი გვყავს, ნუკრი და გიორგი. როცა პირველი შვილი შეგვეძინა, გახარებული იყო. ამბობდა, ჩემი ვაჟკაციც ჯარისკაცი უნდა გაიზარდოსო. შვილებთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. ჩემი შვილებიც დღეს ამბობენ, მამიკოს უნდა მივბაძოთ, ჯარისკაცები უნდა გამოვიდეთ და ჩვენც გმირები უნდა ვიყოთო. ომამდე რამდენიმე დღით ადრე, თითქოს ხასიათი შეეცვალა.

ბავშვების მიმართ უფრო თბილი და მოსიყვარულე გახდა. როცა სახლში ბრუნდებოდა, ცდილობდა მთელი დღე შვილებთან ერთად გაეტარებინა. ბოლოს, როდესაც სახლიდან მიდიოდა, მითხრა, ბავშვებს მიხედე, არაფერი მოაკლოო. მისი ბოლო სიტყვებიც ეგ იყო... არ ვიცოდი თუ ომი დაიწყებოდა და ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. ჩვეულებრივად გავიდა სახლიდან, როგორც მანამდე მიდიოდა, არაფერი უთქვამს, არ უნდოდა რომ შეგვშინებოდა.“

7 აგვისტოს, როდესაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია დაიწყო, ედნარ დიასამიძე უკვე სენაკის სამხედრო ბაზაზე იყო, ხოლო მისი ძმა, მალხაზ დიასამიძე, საკუთარ თანამებრძოლებთან ერთად, ცხინვალის მიმართულებით მიდიოდა.

ხასან დიასამიძე, ედნარის ბიძა: „სახლიდან პირდაპირ სენაკში წავიდა. იმ ღამეს, როდესაც სენაკის სამხედრო ბაზა რუსულმა ავიაციამ დაბომბა, ედნარი საკუთარ თანამებრძოლებთან ერთად დაბომბვის ადგილიდან რამდენიმე მეტრში, ყაზარმაში იყო. პირველი ჭურვის ჩამოვარდნის შემდეგ ბიჭები ყაზარმიდან დაჭრილების დასახმარებლად გამოსულან. ედნარი ბავშვობიდანვე უშიშარი იყო, არაფრის ეშინოდა... ბიჭებს დაჭრილი თანამებრძოლების ევაკუაცია დაუწყიათ, თუმცა რამდენიმე წუთში თვითმფრინავი უკან მოტრიალდა და ბაზის მიმდებარე ტერიტორია ხელმეორედ დაბომბა. ედნარს ამ დროს დაჭრილი თანამებრძოლი გაყავდა უსაფრთხო ადგილას, საავიაციო ჭურვი მისგან მარჯვნივ დაეცა, აფეთქების შედეგად გამოწვეულმა ტალღამ და ჭურვის ნამსხვრევებმა ადგილზევე მოკლა. გვერდში რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა... 8 აგვისტოს ორი ბიჭი მოვიდა ჩვენთან და გვითხრეს, ედნარს ფეხი აქვს დაზიანებულიო. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა ჩვენს თავს. შვილთან ერთად სენაკში წავედი და ვნახე მისი ცხედარი... დაღუპვიდან მეორე დღეს, ჩამოვასვენეთ სახლში. ერთ-ერთი მისი თანამებრძოლი, რომელიც პირველი დაბომბვის შემდეგ გამოყავდა, აქ მის წლისთავზეც იყო ჩამოსული. მისი ოცეულის ყველა წევრს უყვარდა და აფასებდა.“

ჟუჟუნა დიასამიძე, ედნარის მეუღლე: „როცა მისი დაღუპვის შესახებ გავიგე, თავიდან არ ვიჯერებდი. ვერ წარმოვიდგინე. მეშინოდა და ვნერვიულობდი, თუმცა ვიცოდი, რომ წინა ხაზზე არ იყო და ეს მამშვიდებდა.

ომის დაწყების დღიდანვე, რამდენჯერმე ტელეფონით დამეკონტაქტა, აღელვებაც კი არ ემჩნეოდა. პირიქით, აქეთ გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი მალე დასრულდება და სახლშიც მალე ჩამოვალო. 9 აგვისტოს ჩამოასვენეს, აქ დავკრძალეთ, ჩვენი სოფლის სასაფლაოზე. კონტრაქტის დასრულებამდე რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, თუმცა ჯარისთვის თავის დანებებას არ აპირებდა, ძალიან უყვარდა თავისი საქმე. ვერც წარმოედგინა ცხოვრება სამხედრო ფორმის გარეშე. მისი დაღუპვიდან უკვე ორი წელი გავიდა. მე დავკარგე ჩემი საუკეთესო მეგობარი, ჩემმა შვილებმა კი იდეალური მამა, თუმცა ვამაყობ იმით, რომ ჩემი მეუღლე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა, დაიღუპა გმირულად, საკუთარი თანამებრძოლის გადარჩენისას.“

უმცროსი სერჟანტი, ედნარ დიასამიძე, 34 წლის ასაკში დაიღუპა. დიასამიძეების ოჯახში კი ბრძოლა ერთგვარ ტრადიციად იქცა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში იბრძოდა - ედნარის მამა, მისი ძმა - მალხაზ დიასამიძე, დღემდე საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის რიგებში ირიცხება, გმირი მამის შვილები ნუკრი და გიორგი კი ამბობენ, რომ ჯარისკაცობას აპირებენ. მათაც უნდათ, წინაპართა მსგავსად, საქართველოს ემსახურონ.

ავიაციის უმცროსი სერჟანტი

ფელიქს კაკაურიძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1969 - 2008

ბამირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში. იმ უთანასწორო შეტაკებაში, რომელიც შინდისთან მოხდა.

ერთ-ერთი იყო ვინც გაშმაგებული ებრძოდა ვერაგულად ჩასაფრებულ მტერს...

ფელიქს კაკაურიძე საქართველოში არ დაბადებულა, არც გაზრდილა, დაიბადა ყაზახეთში, ქალაქ ჯამბულში, 1969 წელს. სკოლაც იქ დაამთავრა, ინსტიტუტშიც იქ ჩააბარა, მხოლოდ შემდეგ ჩამოსულა საქართველოში და სწავლა ქუთაისის უნივერსიტეტში, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გაუგრძელებია.

როგორც მეუღლისთვის, თამარ კაკაურიძისთვისაა ცნობილი, ფელიქსი ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა, თავიდანვე აინტერესებდა ჯარისკაცული ამბები. ჯარი სევასტოპოლში მოუვლია. ჯარის შემდეგ სწავლა გაუგრძელებია, თან პარალელურად ბაღდათის რაიონის სოფელ პირველ ობჩაში სამხედროს მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში.

20 წლის იყო რომ დაოჯახდა. მომავალი მეუღლე _ თამარი, მეგობარმა გააცნო. შეყვარებულობის ხანამ 3 თვეს გასტანა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს დანიშნულები იყვნენ, ყველაფერი მაინც გაპარვით დასრულდა – „მაინც გავიპარეთ“ – იტყვის ჯარისკაცის ქვრივი.

როგორც ყველა მამას, მასაც უნდოდა რომ ბიჭი ჰყოლოდა, მაგრამ ორი შვილი შეეძინათ, ორივე გოგონა.

თამარ კაკაურიძე: „შვილებისთვის გიჟი მამა იყო და ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა მათთან დაკავშირებით. შვილების უდიდესი მეგობარი იყო. უფროსი გოგონა 18 წლის იმ წელს გახდა, სექტემბერში, როცა მამამისი დაიღუპა...“

ჯარში სამსახური ფელიქს კაკაურიძემ 2000 წელს დაიწყო.

თამარ კაკაურიძე: „ჩვენ არც ვიცოდით, ისე გააკეთა საბუთები და შევიდა საკონტრაქტო სამსახურში, 2004 წელს მეორე კონტრაქტს მოაწერა ხელი. მსახურობდა სენაკის მეორე ბრიგადაში, მძღოლად, ბატალიონის მეთაურს ატარებდა... ბოლოს, ფიქრიანი გახდა, არაფერს ამბობდა, საკუთარ თავში ჩაიკეტა, ეს ყველაფერი მერე და მერე გავაანალიზეთ...

შინიდან ბოლოს დაღუპვამდე 2 კვირით ადრე წავიდა... შვებულებაში იყო, რომ გამოიძახეს და წავიდა. გამომშვიდობება ყოველთვის ასე იცოდა: დაგვკოცნიდა ყველას და ისე წავიდოდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ საღამოს ბრუნდებოდა სახლში... ტელეფონით ყოველდღე ვსაუბრობდით. 7 აგვისტოს რომ ველაპარაკე, მითხრა, საშიში არაფერია, მშვიდობაა, ცხინვალის დასაცავად მივდივართო, გვამშვიდებდა, მალე დავბრუნდებიო... ბოლოს გარდაცვალებამდე ნახევარი საათით ადრე ვესაუბრე 11 აგვისტოს. გორი დაიბომბა და მე დავურეკე – სადა ხარ-მეთქი? – გორში ვარო, მომატყუა, თურმე, შინდისში ყოფილან, სადაც შეტაკება მოხდა. ხმა მესმოდა ავტომატების ჯერის, ვუთხარი, ხომ მშვიდობაა-მეთქი, კიო, დაბომბვა მიდის და ამის ხმები გესმისო. ნახევარ საათში დაიღუპა... ჩვენ ეს ამბავი ოქტომბერში გავიგეთ დნმ-ის ანალიზით... მანამდე ველოდით... მუხათგვერდის სასაფლაოზე იყო დაკრძალული, 20 ოქტომბერს გადმოვასვენეთ და ბაღდათის რაიონის სოფელ საიმედოში, მამის გვერდით დავკრძალეთ... სულ შვილებზე ფიქრობდა, მათ სწავლა-განათლებაზე. ბაბუობაზე ოცნებობდა, რასაც სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. ახლა დღე-დღეზე ველოდები შვილიშვილს... ძალიან მიჭირს მის გარეშე ყოფნა, ვცდილობ ვძლიო დარდს, მაგრამ არ გამომდის...“

ფელიქს კაკაურიძე 40 წლის იყო რომ დაიღუპა. დარჩა ორი ქალიშვილი, გოგონები მაშინ 18 და 17 წლისანი იყვნენ...

უმცროსი სერჟანტი

ფრიდონ თურმანიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1980 - 2008

ბორთან, სოფელ ყელქცეულში ნახეს ადგილობრივებმა გმირულად დაცემული უცნობი ჯარისკაცი. უპატრონეს, დაკრძალეს და ხმაც მიაწვდინეს ოჯახს. ფრიდონ თურმანიძე 7 აგვისტოს რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა, ისევე, როგორც არაერთი მისი თანამებრძოლი. ცხელი წერტილიდან გამოსული, უკან შებრუნდა დაჭრილი მეგობრების გამოსაყვანად, მათი სიცოცხლე გადაარჩინა, თვითონ კი გამოსვლა ვეღარ შეძლო.

მზია ჯაბნიძე, მეუღლე: „ომის დაწყებამდე ველაპარაკე. ნაწილიდან დამირეკა, აინტერესებდა საინფორმაციო გამოშვებებში რას გადმოსცემდნენ. სევდიანი ხმა ჰქონდა... მე მერე ახალი ამბების გასაგებად ჩავრთე ტელევიზორი და დაკავშირება რომ ვცადე, ტელეფონი უკვე გათიშული ჰქონდა. მოლოდინი არ ჰქონდაო ვერ ვიტყვი... ადამიანი როცა ჯარში მიდიხარ, იქ ყველაფერს უნდა ელოდოო – ასე ამბობდა და მზად იყო კიდეც თავგანწირვისთვის. ჩემი მეუღლე ომში თავისი ქვეყნის და ოჯახის გადასარჩენად წავიდა. გულჩათხრობილი პიროვნება იყო, არ უყვარდა სხვისი შეწუხება, ომის დაწყების შესახებაც ჩვენ იმიტომ არ გვეუბნებოდა, რომ არ გვენერვიულა.

ძალიან უყვარდა თავისი ნაწილი და კმაყოფილი იყო, რომ ქვეყნის სამსახურში იდგა. გადარჩენილი თანამებრძოლები მიყვებიან, რომ ისე იბრძოდა, ისეთი თავგამეტებით, რომ თავს შეაკლავდა მტერსო. არადა, როგორც მითხრეს, გადარჩენის შანსი ჰქონია, მაგრამ ის არ იყო სამშობლოს მოღალატე. უკვე სამშვიდობოს ყოფილან გამოსული და მიბრუნებულა დაჭრილი მეგობრის დასახმარებლად, გამოუყვანია სამშვიდობოს, თვითონ კი ვეღარ შეძლო გამოსვლა. ის ბიჭი დღესაც ცოცხალია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს.

უფროსი შვილი ძალიან განიცდის მამის დაკარგვას. ხშირად იხსენებს. პატარა ჯერ ამას ვერ აცნობიერებს. ხშირად ველაპარაკები ბავშვებს მამაზე, მინდა, რომ არ დაივიწყონ მისი წარსული, დააფასონ მისი გმირობა.. ფრიდონი ხომ საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა გმირულად.

ადგილობრივებმა იპოვეს ჩემი მეუღლე გარდაცვლილი, დაკრძალეს და შეგვატყობინეს. მიუხედავად დიდი ტკივილისა, კმაყოფილები ვიყავით იმით, რომ ფრიდონი ნაპოვნი იყო. მადლობელი ვარ მათი, რომ უპატრონოდ არ დატოვეს მათთვის უცნობი ჯარისკაცი.“

ფრიდონ თურმანიძე 28 წლის იყო. 1980 წლის 14 ივლისს დაიბადა, დღეს მისი გმირობის ამბებს დედა პატარა ნიკოს და ნინოს უყვება.

„მე კი არ მოვკვდი, უკვდავი გავხდი
და თქვენს წინაშე ვარ ვალმოხდილი.“

ლექსის ამ სტრიქონებს, რომლებიც გმირის საფლავზეა ამოტვიფრული, შვილები ხშირად იმეორებენ. მათ იციან, რომ მამამ სიცოცხლე სამშობლოს ანაცვალა.

AB 29

კაპრალი

მამუკა სამაკაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

სენაკის ბაზიდან დაჭრილი ჯარისკაცები გადაჰყავდა საავადმყოფოში 22 წლის ჯარისკაცს, რუსულმა ბომბმა რომ იმსხვერპლა.

მამუკა სამაკაშვილი 5 წლის იყო, როცა მშობლიური გაგრა დაატოვებინეს. იზრდებოდა წყალტუბოში. მათი ოჯახი სანატორიუმ „საქართველოში“ იყო შეხიზნული.

უფროსი და გაიხსენებს, რომ მამუკა ძალიან ცელქი, მოუსვენარი და ხიფათიანი ბავშვი იყო, უნიჭიერესი მოსწავლე... წყალტუბოს მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა. სკოლის ბანკეტიდან ერთ კვირაში კი ჯარში წავიდა, ვალის მოსახდელად. მსახურობდა ქუთაისში, 6 თვის თავზე კონტრაქტი გააფორმა. ჯერ ვაზიანში და შემდეგ სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. წოდებით კაპრალი იყო, მუშაობდა მძღოლად, უფროსობა დაჰყავდა... კონტრაქტის ამოწურვამდე 8 თვე ჰქონია დარჩენილი. შეთავაზებაც მიუღია კარგ სამსახურზე, მაგრამ ჯარი არ მიუტოვებია, ქვეყანას, ბიჭებს ვერ ვუღალატებო.

ოჯახის წევრებმა, ომამდე ერთი კვირით ადრე ნახეს.

ნინო სამაკაშვილი, და: „წყალტუბოში ვცხოვრობთ, მაგრამ ზაფხული იყო და სოფელში ვიყავით. იქ ჩამოვიდა, 2 დღე დარჩა, კვირა დღეს წავიდა სენაკში, ჭიშკრიდან რომ გავიდა, მოგვისიგნალა, ეს იყო და ეს... ერთ კვირაში გარდაიცვალა... ტელეფონით ხშირად ვესაუბრებოდით, გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, კარგად ვარ, ბაზიდან არ გავყავართო. ჩვენც ამის იმედი გვქონდა...

8 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე დამირეკა, მანქანა გამოვატანე მეზობლის ბიჭს და წყალტუბოში მოიყვანსო. მე გავბრაზდი, ბაბუა გვყავდა მომაკვდავი და ბარემ მოსულიყავი-მეთქი სახლში, ხომ იცი, რომ ბაბუა სიკვდილის პირასაა-მეთქი. გოგო, რანაირად მოვიდე, ვერ გაიგე, ომია, ომიო!!! – შემზარავი ხმით მითხრა. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები...

დაღუპვამდე სამი დღით ადრე სიზმარში ცისარტყელა ვნახე, რომელსაც ერთი რკალი მთლიანად ჩამოვარდნილი ჰქონდა... იმ ღამით, როცა დაიღუპა, დედამ ნახა სიზმრად ჯარის ბიჭები, ყველა იყო, ნაცნობი, უცნობი, დაჭრილები, ცოცხლები, მაგრამ მამუკას ვერსად მივაგენიო, იმ დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა მამუკა, ჩვენ ჯერ არ ვიცოდით... ჩვენ, 9 აგვისტოს, გამთენიისას შეგვატყობინა მისი დაღუპვა მეზობელმა... იმ დღესვე მოასვენეს ცხედარი...

დაჭრილი რეზერვისტები გადაჰყავდა სენაკში, საჰაერო დაბომბვის შედეგად დაიღუპა. მძღოლის გვერდით იჯდა ჩემი ძმა. როგორც ვიცით, ადგილზევე გარდაიცვალა... დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ უფრო, ადამიანი დროთა განმავლობაში ეგუება ასეთ ტკივილს... 22 წლის დაიღუპა, ამ ასაკში იმდენი სითბოს და სიყვარულის დატოვება მოახერხა, ზოგი ას წელიწადს ვერ შეძლებდა... მანქანები უყვარდა, ერთ წელიწადს სამი მანქანა გამოიცვალა... ბოლოს რომელიც იყიდა, იმაზე ამბობდა, ამას უკვე აღარ შევცვლი, ბოლოაო. ალბათ, გული უგრძნობდა...“



უფროსი სერჟანტი

ზურაბ ნაჭყებია

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1964 - 2008

ცხინვალში, დაჭრილების გამოყვანისას სასიკვდილოდ დაიჭრა რუსული კასეტური მომბით. ზურაბ ნაჭყებიას ბოლო კონტაქტი ოჯახთან 8 აგვისტოს ჰქონდა, ამის მერე მისი ხმა არავის გაუგონია. მეუღლე ამაოდ ელოდა, რომ დაურეკავდა და ისევ დაამშვიდებდა, „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო." ზურაბ ნაჭყებიას იმ დღეებში შვილიშვილი შეეძინა, რამდენჯერმე ნახა, მერე ომიც დაიწყო, ახალგაზრდა ბაბუა გმირულად დაეცა ცხინვალში.

მზევინარ შეყილაშვილი, მეუღლე: „ბოლოს რომ დამირეკა, მითხრა: „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო." თავს მიხედე-მეთქი. ბოლოს 8 აგვისტოს დილით ველაპარაკე, მას მერე სულ ვრეკავდი, გადიოდა, მაგრამ არ მპასუხობდა. მეორე დღეს გავიგე, სამხედრო კომისარიატს რომ ვეძებდი, მითხრეს, რომ დაჭრილები გამოჰყავდაო, ამბობდა: „აქ ხომ არ დავტოვებთო" და შესულა. ცხინვალში, ნაძვნართან, დაჭრილების გამოყვანისას დაიღუპა ჩემი მეუღლე. კასეტური ბომბი ჩამოვარდა და იქვე გარდაიცვალა ზურა.

დღესაც ჩამესმის მისი სიტყვები: „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო" – რაც აფხაზეთიდან გადმოვედით, მას მერე სულ სამხედრო სამსახურში იყო. ჯერ ბათუმში 25-ე ბრიგადაში, მერე სენაკში და ბოლოს ვაზიანში მსახურობდა. მეოთხე ბრიგადაში იყო. ჩვენ აფხაზეთიდან ვართ და ომი და დაძაბული სიტუაციები, ჩვენთვის ნაცნობია. იქ გადავრჩით, მშვიდობით გადმოვედით, აქ კი.... დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეს პატარა გოგოს და ამით გაირკვა ყველაფერი. მუხათგვერდის სასაფლაოზე დავტოვეთ, რადგან თავის თანამებრძოლებთან ერთად დაიღუპა, გვერჩივნა ისევ მათთან ერთად ყოფილიყო."

ზურაბ ნაჭყებია 1964 წლის 26 დეკემბერს დაიბადა. აფხაზეთის ომგამოვლილი, ისევ რუსულმა აგრესიამ იმსხვერპლა. სულით მებრძოლი, სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. 2 ქალიშვილი დარჩა - ნინი და ნანა. დღეს ისინი მამის სახელით ამაყობენ, ისევე, როგორც პატარა შვილიშვილი იამაყებს, ბაბუის თავგანწირვით, როცა გაიზრდება.

ცხინვალი
TSKHINVALI 4

უმცროსი სერჟანტი

ანზორ გელდიაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

სამშობლოს წინაშე ფიცი დადო და ბოლომდე აღასრულა. ანზორ გელდიაშვილი 24 წლის ასაკში სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა. რუსულ აგრესიას შეეწირა მშობლიურ მიწაზე. ომში მეგობრებთან ერთად იბრძოდა, თავგამოდებით, ცხელი, ანთებული გულით. სჯეროდა, რომ მიზანთან ახლოს იყო, არ გაუმართლა, დაეცა... დატოვა გმირის სახელი და ახლადშერთული ცოლი, მასთან მხოლოდ 2 თვე იცხოვრა, შვილიც არ დარჩენია... დედისთვის ყველაზე მძიმე გასახსენებელი ის დღეებია, როცა გაიგო, რომ ანზორი აღარ ჰყავს. ნანობს, რომ მისმა ვაჟმა ვერც შვილიშვილი აჩუქა, ეს მაინც იქნებოდა შვილმკვდარი დედისთვის შვება... არც დედას გაუმართლა...

მზია ხახუტაშვილი, დედა: „ 7 აგვისტოს ვნახე ჩემი შვილი ბოლოს. თბილისში შევხვდით ერთმანეთს, ჩემი რძალი ჩამოვიყვანე ოძისიდან. ავტოსადგურში შევხვდით. ნაღვლიანი იყო, გამიკვირდა. ცოლსაც უცნაურად შეხვდა. რატომ გაგვირბიხარ-მეთქი და არაფერი მიპასუხა. ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და ვიფიქრე სიცხე ხომ არა აქვს-მეთქი... ვკითხე: დედა რა გჭირს, ხომ მშვიდობაა... თურმე ომი უკვე დაწყებულიყო, მე არ ვიცოდი. მისი მეგობრები იყვნენ წასული და ნაღვლობდა თვითონ რომ დარჩა, ტანკი ჰქონია გაფუჭებული და იმის შესაკეთებლად მიდიოდა. იმ დღის მერე აღარ მინახავს... ძალიან ნაღვლიანი დამამახსოვრდა.

2 თვის მოყვანილი ჰყავდა მეუღლე, გორის ჰოსპიტალში გაიცნო, მითხრა: „ძალიან კარგი გოგო გავიცანიო. ცოლად მინდა მოვიყვანოო“. ერთხელაც დამირეკა და მითხრა: „დედა ცოლი მომყავს და იცოდეო.“ ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, ჯერ კიდევ ღია ჰქონდა ჭრილობა, ისე წავიდა ომში.

მოსკოვის პროსპექტზე ბიძაჩემთან გაათენა ბოლო ღამე, უთქვამს, რომ ომში უნდა წავიდეო. მთელი ღამე არ სძინებია თურმე, ამბობდა ჩემი ბიჭები იქ არიან და მე აქ როგორ დავრჩეო, თვალებში როგორ შევხედო მერეო.“

ანზორ გელდიაშვილი 1983 წლის 4 სექტემბერს, თბილისში დაიბადა. 164–ე სკოლა დაამთავრა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში ჩადგა. დედა იხსენებს, რომ ანზორს ლექსების წერა ჰყვარებია, ერთი ლექსი აქვს შენახული, 2004 წლის 20 ნოემბრით დათარიღებული:

„ამ ღამით მთვარე გუშაგს გაათბობს,
არც ერთ ჯარისკაცს დღეს არ დაათოვს,
ყველა გუშაგი ქართველს დარაჯობს,
ღამით ყინვაში თავის გულს ართობს,
ფიქრებით სახლში მიედინება
ოჯახში ყველა მას ელოდება,
მშობელი დედა ფიქრით ტირდება
მან კი არ იცის, შვილი ბრუნდება.
ყველა ჯარისკაცს ღმერთი გვფარავდეს
და შინ მშვიდობით დაგვაბრუნებდეს.
ყველას მშვიდობა შინ დაგვხვდებოდეს
და ეს ცხოვრება მუდამ გვახსოვდეს.“

11 აგვისტოს, გორში, გმირულად დაეცა კაპრალი გელდიაშვილი, მოგვიანებით მეგობრებმა უამბეს დედას შვილის ამბავი.

მზია ხახუტაშვილი, დედა: „ჯარისადმი ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდა. დღეები აკლდა კონტრაქტის გასვლამდე, როდესაც დაიღუპა. სამომავლო გეგმებიც ისევ ჯარს უკავშირდებოდა, უნდოდა ოფიცერი გამხდარიყო და სამშობლოსთვის ემსახურა. კაპრალი იყო და გარდაცვალების შემდეგ მიანიჭეს სერჟანტის წოდება. მხედრული მამაცობისთვის ჯილდოც მიიღო.

მისი დაღუპვის ამბავი რომ გავიგე, მეგონა ეს ჩემს თავს არ ხდებოდა. მისმა მეგობრებმა მითხრეს, 8 საათი ებრძოდა დაჭრილი სიკვდილსო, მოძღვარი მოუთხოვია ბოლოს, მამა სერაფიმემ აზიარა სიკვდილის წინ.“

ეზიარა და ისე დატოვა სამშობლო, 4 შვილზე ოცნებობდა და ერთიც ვერ დატოვა გვარის გამგრძელებლად, მისი მხოლოდ სახელი დარჩა სამშობლოს, გმირი – ანზორ გელდიაშვილი.

უმცროსი სერჟანტი

პაატა კოპალიანი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1978 - 2008

ხელი წერტილიდან დაჭრილი მეომრების გამოსაყვანად მიიწევდა, როცა მისი სამხედრო კოლონა საავიაციო დაბომბვაში მოყვა. პაატა კოპალიანმა მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოასწრო, ექიმს ხელი მოუჭირა და აღმოხდა: „ლევან“.

ლევანი მის ბიჭს ჰქვია. დღეს ის გმირის შვილია.

პაატა კოპალიანი სოხუმში დაიბადა, 1978 წელს. მის ბედისწერას ომმა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაასვა დაღი.

12 წლის ბიჭუნა იყო, ჭუბერის გზით რომ გადმოვიდა სამშვიდობოს, ოჯახთან ერთად. ფეხით გამოვლილმა ამ უმძიმესმა გზამ ჯანმრთელობა შეურყია სამი შვილის დედას.

მზია ჭილაია, მეუღლე: „აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ, მარტვილის რაიონში, სერგიეთში, ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ. მერვე კლასიდან ერთად ვსწავლობდით. ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი. სკოლის შემდეგ 4 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, 1999 წლის ოქტომბერში დავქორწინდით. მალე პატარაც შეგვეძინა. უბედნიერესი ადამიანი იყო, მამა რომ გახდა. ამბობდა, ხელს არაფერში შევუშლი, თვითონ რასაც აირჩევს, ის გამოვიდეს, აუცილებლად შევუწყობ ხელსო. ბავშვს ხშირად უყვებოდა აფხაზეთზე, იქ გატარებულ წლებზე... 9 წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად. სანამ დავქორწინდებოდით, პაატამ სავალდებულო ჯარი მოიარა, ორი წელი მსახურობდა გომბორში, შემდეგ სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალში ჩააბარა, იურიდიულ ფაკულტეტზე. დაამთავრა, მაგრამ ამ განხრით მუშაობის სურვილი არც ჰქონია. უნდოდა, ჯარში ემსახურა და სამშობლოსთვის რაღაც გაეკეთებინა. კონტრაქტის გაფორმება რომ გადაწყვიტა, არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია. თავიდან სენაკში, მეორე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა, თვეში ერთხელ ახერხებდა შინ მოსვლას, შემდეგ ქუთაისში გადმოვიდა მესამე ქვეით ბრიგადაში, ასეულის უფროსი სერჟანტი გახდა. ორჯერ იყო ერაყში, 6-6 თვით...“

პაატა კოპალიანი შინიდან ბოლოს 6 აგვისტოს გავიდა.

მეუღლე: „შვებულება ჰქონდა, ერთად გავატარეთ სოფელში. სამსახურში 3 აგვისტოს გავიდა. ბოლოს სულ სახლში უნდოდა ყოფნა, გამძაფრებული ჰქონდა სახლში ყოფნის სურვილი... ყოველ საღამოს მოდიოდა სახლში. 6 აგვისტოს ნახევარი საათის მოსული იყო, რომ დაურეკეს და გამოიძახეს. წავიდა. ორ საათში დამირეკა და მითხრა, ომი დაიწყოო... ომში პაატას ფეხი დაუზიანებია, ბიჭებმა მითხრეს, ვეხვეწებოდით, ჰოსპიტალში წაგიყვანთო, მაგრამ არ მიგვატოვა, ბოლომდე ჩვენთან ერთად იყოო. როგორც ბიჭები იხსენებენ, ძალიან გაბრაზებული ყოფილა, უკან რომ ბრუნდებოდნენ. თურმე ამბობდა, ასეთ დაბრუნებას სიკვდილი მერჩიაო.

ბოლოს, 11 აგვისტოს, ღამის პირველის 20 წუთზე ველაპარაკე. მითხრა, ზღვაზე ვართ დაბანაკებული, ახლა უნდა ავიდეთ დასასვენებლად, ტელეფონი უნდა გავთიშო და დილით დაგირეკავო. მე რომ მელაპარაკა, ამის შემდეგ მისვლიათ ბრძანება, რომ დაჭრილების გამოსაყვანად მიბრუნებულიყვნენ. ხუთი თუ ექვსი მანქანა წასულა. გორთან დაბომბვა დაწყებულა... ღუდუშაურის კლინიკაში რომ მიიყვანეს, ცოცხალი ყოფილა, მაგრამ...

პაატას ბიძა და ნათლია იყვნენ მისულები ღუდუშაურში. ექიმს უთქვამს, ხელი მაგრად მომიჭირა, ერთადერთი სიტყვა თქვა: „ლევან“, და გარდაიცვალაო.

ლევანი ჩვენს ბიჭს ჰქვია...

მე მირეკავდა, ზარი გამოდიოდა, მაგრამ, რომ ვპასუხობდი, მისი არ მესმოდა. მერე მითხრეს, როცა გირეკავდა, ძალიან ცუდად იყო და ხმას ვერ გაგონებდაო...

12 აგვისტოს გავიგე ეს ამბავი. თავიდან სიკვდილი დამიმალეს, მაგრამ სოფლიდან რომ მოვდიოდით და გორი გამოვიარეთ, ის ადგილი ვნახე, იმ მანქანაში პაატას მობილური და კალამი იდო, მივხვდი, რომ ცოცხალი აღარ იყო... ჩემი ძმა მეჩხუბებოდა, მაგას ნუ ფიქრობ, ცოცხალია, გელოდებაო, მაგრამ მკვდარი დამხვდა...

ერაყიდან რომ ჩამოვიდა, „სკოჩით“ შეკრული თეთრი თაბახის ფურცელი ჰქონდა თან, ერაყიდან ჩამოტანილ შავ ყუთში შეინახა და მითხრა, როცა მოვკვდები, მაშინ გახსენი და მარტო შენ წაიკითხეო...

როცა დაიღუპა, ეს შავი ყუთი მაშინ არ გამხსენებია. არც შემდეგ... მოგვიანებით გავხსენი... იყო სურათები და ის წერილი, სადაც მთხოვდა, რომ ეს წერილი სხვისთვის არავისთვის წამეკითხებინა...“

უმცროსი სერჟანტი

ლევან კოხრეიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1975 - 2008

ბინდისში კბილებამდე შეიარაღებულმა რუსებმა ქართველი მეომრები რომ ალყაში მოაქციეს, ის თანამებრძოლებთან ერთად გამოეშურა... 9 მანქანა მოდიოდა, ტყვია-წამლითა და დაჭრილებით, მოდიოდა და... ყელქცეულში დააწია მტერმა ბომბები... აფეთქებამ მანქანიდან გადმოაგდო...

ბოლოს აღმოხდა: „ეს სად ვკვდები, ნეტავ, კიდევ ერთხელ ჩამახუტა ნანუკა...“

ლევან კოხრეიძე 1975 წელს დაიბადა სამტრედიაში.

სამი წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა. მსახიობმა მამამ ამ ტრაგედიის შემდეგ სცენა მიატოვა და მღვდლად ეკურთხა.

სკოლაში ქუთაისში შეიყვანეს. იმ პერიოდიდან ოჯახი უკვე ქუთაისში სახლობდა. კარგად სცოდნია რუსული და ინგლისური ენები. დადიოდა მხატვრულ ტანვარჯიშზე და არაერთი მედალი და ჯილდოც მიუღია.

სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკუმში განაგრძო სწავლა.

27 წლის იყო რუსთაველ გოგონაზე, ინგა ბარათაშვილზე რომ დაქორწინდა.

ინგა ბარათაშვილი, მეუღლე: „აღდგომა დღეს გავიცანი ჩემს მეგობართან, დიდ ჯიხაიშში, ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი... ლევანს მცირე ბიზნესი ჰქონდა და თითქმის ყოველდღე უწევდა რუსთავში ჩამოსვლა, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს... 9 თვის შემდეგ გავიპარეთ... ცხოვრებაში სულ ერთხელ მითხრა, მიყვარხარო, და ერთხელ, ცოლად გამომყევიო. მიაჩნდა, რომ ნამდვილი მამაკაცი ამას მხოლოდ ერთხელ ამბობს... სიურპრიზებს არ მაკლებდა, აივანზე მიყრიდა ყვავილებს... 9 თვის შემდეგ შვილი შეგვეძინა. ბავშვს მისი გარდაცვლილი დედის სახელი დავარქვით... ჯარში წასვლა გადაწყვიტა. დედაჩემი იყო ძალიან წინააღმდეგი, ეხვეწებოდა, ნუ წახვალო. მაინც წავიდა. სენაკში, მეორე ბრიგადაში მუშაობდა, კავშირგაბმულობის ხაზით. ორი წელი იმსახურა ჯარში, სექტემბერში უფროსი სერჟანტი უნდა გამხდარიყო...“

ომი დაიწყო და ლევანს სამშობლოსთვის თავგანწირვის გარდა, ყველა სხვა გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ინგა: „ლევანი უკანასკნელად 19 ივლისს ვნახე. შვებულება ჰქონდა. 19 ივლისს წამოვიდა სოფლიდან. მთელი ცხოვრება თავად აღებდა ჭიშკარს და იმ დღეს მე მთხოვა, ჭიშკარი გამეღო. შენ უნდა გამიღო ჭიშკარი და შენ უნდა გამაცილოო... გავაცილე... ხშირად ვეხმიანებოდი... თავიდანვე ცხინვალში იყო და ბოლომდე მატყუებდა, ხან გორს ამბობდა, ხან – ქარელს...

ლევანის დაღუპვა სამი დღის შემდეგ გავიგე... ერთადერთი ოცნება ჰქონდა, უნდოდა, ნანუკა ენახა მოცეკვავე. ნანუკა ახლა 6 წლისაა და არაჩვეულებრივად ცეკვავს... მიმძიმს უმისობა, ერთადერთი ბედნიერი იმით ვარ, რომ ლევანის ხატება დაიარება ამქვეყნად ნანუკას სახით...“

კაპრალი

მარლენ ბარამია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1984 - 2008

აფხაზეთი მისი მოუშუშებელი ტკივილი იყო, ხშირად იგონებდა წლებს, რომელიც იქ გაატარა. ენატრებოდა ცა, ზღვა და მიწა, სადაც დაიბადა, მაგრამ წაართვეს. აფხაზეთის დაბრუნება მისი ოცნება იყო. ოცნება, რომელიც ვერ აისრულა. 11 აგვისტოს შინდისთან ბრძოლაში დაეცა კიდევ ერთი ქართველი გმირი.

სალომე სანაძე, მეუღლე: „მისი ნაწილი ომში 8 აგვისტოს წაიყვანეს, მანქანების კოლონამ ჩვენი სახლის წინ 11 საათზე ჩაიარა, სენაკის ბაზიდან გამოსვლის წუთიდან მირეკავდა. ქუჩაში გამოდი, ბავშვი დაიკავე და დამანახვეო, თითქოს გრძნობდა, რომ მეტად ვეღარ გვნახავდა. ცრემლიანი თვალებით ვუყურებდით, როგორ გაგვიცინა, რომ ჩაიარა.

10 აგვისტოს, როცა კიდევ ერთხელ მოახერხა ჩვენთვის დაერეკა, მითხრა: მე კარგად ვარ, ჩემზე არ იდარდოთო. 11 აგვისტოს, 4 საათისთვის კი უკანასკნელად დამირეკა: ბრძანება მოვიდა, გამოვდივართ და მალე სახლში ვიქნებიო. 11 აგვისტოს შინდისში ჩამოჰკრა მისი სიცოცხლის უკანასკნელმა წამმა. ალბათ, მასავით ლამაზი იყო მაშინ სიკვდილი. ლამაზი იმიტომ, რომ მკვდარი გმირად იბადებოდა!

გადმოცემით ვიცით, რომ შეტაკება 11 აგვისტოს შინდისში დღის ოთხიდან ხუთ საათამდე მომხდარა, ამ დროს ომი დამთავრებული იყო. მე-2 ქვეითი ბრიგადა, სრული შემადგენლობით, მანქანებში ჩამჯდარა და ბაზაზე ბრუნდებოდა. როგორც კი შინდისს მიუახლოვდნენ, თურმე რუსებს ცეცხლი გაუხსნიათ, წინ მიმავალი მანქანა ააფეთქეს. 17 აგვისტოს ჩამოვასვენეთ სამტრედიაში და 20 აგვისტოს დავკრძალეთ. პრეზიდენტის განკარგულებით, დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“ სიკვდილის შემდეგ. მარლენმა ეს ლექსი ომის დაწყებამდე 2 თვით ადრე გამომიგზავნა:

„არ დაიჯერო არასდროს სხვისი,
უნდა იცოდე, გჯეროდს ვისი,
უნდა იცოდე, ილოცო ვისთვის,
ანდა სიცოცლე გასწირო რისთვის.
ვისთვის შესთხოვო ღმერთს პატიება
და ვისთვის შეძლო შენ ატირება,
უნდა იცოდე, ვინ არის ღირსი,
რომ სიყვარული ატარო მისი,
ვიცი, რომ იცი, ვინ არის ღირსი“.

გამორჩეული სიყვარული იცოდა. თითქოს უნდოდა, დაცლილიყო და მოფერებოდა ყველას, დაენახვებინა მისი სითბო, სანამ დრო ჰქონდა. საყვარელი, თბილი მეუღლე იყო. ჩვენ 2004 წელს შევუღლდით. 2005 წელს შეგვეძინა ქალიშვილი – თეკლა, რომელსაც მოფერებით პრინცესას ეძახდა. ვერ გეტყვით, რა დონეზე უყვარდა პატარა თეკლა. აგვისტოს მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, ხშირად მოსულა დაღლილი სახლში, ჩაგვსვამდა მანქანაში და გვასეირნებდა. ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი, ცისფერთვალება თეკლა უზომოდ უყვარდა“.

გმირის საყვარელი მეუღლე დღეს იხსენებს იმ წერილსაც, რომელიც მარლენმა 2008 წლის 15 მარტს, შვილის დაბადების დღეზე მოსწერა ზემო აფხაზეთიდან, სადაც სამშვიდობო მისიას ასრულებდა: „მიყვარხარ, ჩემო სიხარულო, და მინდა, მუდამ ეგრე იყოს, სიკვდილის მეტი ვერავინ დაგვაშორებს და თუ მოვკვდები და მარტო დაგტოვებ, ერთი თხოვნა მაქვს: მოდი საფლავზე და ქვაზე დახატულს ჩუმად მაკოცე, მე მივხვდები, რომ ეს შენ ხარ, ჩემო სიცოცხლევ და ლამაზ სიზმრად მოგევლინები, გაკოცებ და მოგეფერები“.

მარლენ ბარამია 1984 წლის 12 ნოემბერს დაიბადა ოჩამჩირის რაიონში. მას აფხაზეთის ომმა ბავშვობა დააკარგვინა და დევნილად აქცია „აფხაზეთი მისი მოუშუშებელი ტკივილი იყო“, – ამბობს მეუღლე და იხსენებს:

„ფიზიკურად ძლიერი წარმატებული იყო სპორტშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მუდამ მოფუსფუსე და საქმიანი, ყოველთვის იქ გამოჩნდებოდა, სადაც არ ელოდნენ. მისი სამხედრო სამსახურში წასვლის მიზეზი სამშობლოს სიყვარული და აფხაზეთში დაბრუნების იმედი იყო. 2007 წლის მარტში კარანტინი გაიარა ქუთაისის III ქვეით ბრიგადაში, მაგრამ სავალდებულო სამხედრო სამსახურის არქონის გამო უარი უთხრეს საკონტრაქტო სამსახურზე. იმავე წლის ნოემბერში ხელმეორედ გაიარა კარანტინი, ამჯერად სენაკის II ქვეით ბრიგადაში, სადაც დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების მე-2 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონში. 2007 წლის 1 დეკემბრიდან იმსახურა 8 თვე, მეტი ვერ მოასწრო. სამაგიეროდ გმირის სახელი დაგვიტოვა, რომლითაც ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ“.

სერჟანტი

ლევან მელქაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1984 - 2008

მერთმეტი აგვისტო თენდებოდა, გვიან ღამით ხეთაგუროვში პატარა სალოცავი იპოვა, მთელი ღამე ილოცა, ღმერთს ევედრებოდა... ახლად შერთული მეუღლე და 3 დღის ჩვილი დატოვა სამშობიაროში. ალბათ, მათთან კიდევ ერთხელ შეხვედრას სთხოვდა უფალს. 11 აგვისტოს, დილით, დედას უკანასკნელად დაურეკა: მშვიდობით ვარ, მოვდივარო... მას მერე ლევანის ხმა აღარ გაუგონიათ. ხეთაგუროვიდან გამოსვლისას მტრის ალყაში მოექცა მისი ოცეული, შეტაკებისას დაიღუპა... ლევან მელქაძე გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე.

ქეთევან ტორონჯაძე, დედა: „ბოლოს ჩვენგან 5 აგვისტოს წავიდა. ომი რომ დაიწყო, ვუკავშირდებოდით, მაგრამ გვატყუებდა, კოპიტნარში ვარ, კარგად ვარო. ამ დროს კი ცხელ ხაზზე იყვნენ თურმე. 11 აგვისტოს დილას დაგვირეკა, გვითხრა: ყველაფერი კარგად არის, გამოვდივართო. როცა დაგვირეკა და დაგვაიმედა, ხეთაგუროვში ყოფილან. გამოსვლისას მტრის ალყაში მოქცეულან და ამ შეტაკებას შეეწირა კიდეც. დაღუპულები პატრიარქმა გამოიყვანა. უწმინდესს ჩემი შვილი ერთ-ერთი პირველი გამოუყვანია. ამის მეტი არაფერი ვიცით... მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ხეთაგუროვში წინა ღამით სალოცავი უპოვია და მთელი ღამე ულოცია. სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩა“.

ლევან მელქაძე 1984 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა ქალაქ სამტრედიაში. ოჯახს სამი შვილი, ორი ბიჭი და ერთი გოგო ჰყავდა. ლევანი ყველასგან გამორჩეული იყოო, იხსენებს დედა. მოსიყვარულე და თბილი, ვაჟკაცური სულის, უზომოდ კეთილი.

ქეთევან ტორონჯაძე, დედა: „სხვების დახმარება ძალიან სიამოვნებდა. არავის არ აწყენინებდა. დიდი სამეგობრო ჰყავდა. დედისთვის რთულია ასეთ დროს შვილის ბავშვობაზე საუბარი. საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ ძმებს. უმცროსი დაიკოც ძალიან უყვარდა. ლევანს ყველაფრის მიმართ ჰქონდა მიდრეკილება. ალბათ, მეტი დრო არ ჰქონდა სიცოცხლის და ამიტომ. სამეგობრო წრეში უკრავდა. მეგობრები ყვებიან, ლევანი საოცარი ადამიანი იყოო. საინტერესო საუბარი იცოდაო. ყველაფერს ბოლომდე ჩაეძიებოდაო. მართალია, უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ თვითნასწავლი და განათლებული ბიჭი იყო. მეგობრები პატარა კომპიუტერს ეძახდნენ. განსაკუთრებით საქართველოს ისტორია უყვარდა.

2007 წელს დაოჯახდა. ქეთი ძალიან უყვარდა. ცხოვრებაში ყველაზე მეტად სურდა, დიდი ოჯახი ჰქონოდა. შვილებზე იცნებობდა. ანებრივდებდა მეუღლეს. სურვილი, მამა გამხდარიყო, აუსრულდა, მაგრამ მამობის ბედნიერება მხოლოდ სამი დღე იგემა. სამშობიაროში დატოვა საყვარელი მეუღლე და ჩვილი.

მამობას ვერ მოესწრო, მაგრამ შვილს გმირის სახელი დაუტოვა, დედა იხსენებს, რომ ლევანს ყოველთვის მოსწონდა სამხედრო საქმე, სულით და ხორცით პატრიოტმა ჯერ სავალდებულო სამსახური მოიხადა, შემდეგ კი კონტრაქტი გააფორმა.

ქეთევან ტორონჯაძე, დედა: „სკოლის დამთავრების შემდეგ ძმებმა სამხედრო სავალდებულო ჯარი ქუთაისში მოიხადეს. მერე 2004 წელს ორივემ საკონტრაქტოს მოაწერა ხელი. განაწილებით სხვადასხვა ადგილზე მოხვდნენ. ლევანი სენაკის მეორე ბრიგადის საარტილერიო დაზვერვაში იყო. შემდეგ სერჟანტთა მომზადების სკოლა გაიარა თბილისში, რომელიც 2006 წელს დაამთავრა და დაინიშნა უფროს სერჟანტად. სიცოცხლეშივე მიღებული აქვს სიგელი წარმატებული სამსახურისთვის. დაღუპვის მერე მიიღო ჯილდო „მედალი მხედრული მამაცობისთვის“.

პირველი შვილის ამქვეყნად მოვლინებით გახარებული წავიდა მტერთან შესახვედრად 23 წლის ქართველი ვაჟკაცი. ოჯახს გმირის სახელი დაუტოვა, მშობლიურ სამტრედიას კი – თავისი სახელობის ქუჩა.

სერჟანტი

ზურაბ ტურაშვილი

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1983 - 2008

ერთი თვის ჰყავდა გიორგი, კონტრაქტი რომ გააფორმა სამშობლოსთან.

ბიჭი უკვე ერთი წლის იყო, სამშობლომ რომ დაუძახა...

პატარა მაშინ იდგამდა ენას. მამას ძალიან უნდოდა, ბიჭს „მამა“ დაეძახა.

არ დასცალდა.

ზუსტად არავინ იცის, რა ვითარებაში დაიღუპა სნაიპერი ზურა ტურაშვილი...

ამბობენ, რომ კაზაკ სნაიპერ ქალს მაშინ უსვრია მისთვის და მხარში დაუჭრია, როცა სკოლის ეზოში გამოსულან ბიჭები... მაშინ უთქვამს, ცოლ-შვილს მიმიხედეთო...

ზურა ტურაშვილი 1983 წელს დაიბადა ყვარლის რაიონში, სოფელ ალმატში. მისი მეუღლე ლალი ბაწილაშვილი გაიხსენებს, რომ ზურა ცელქი ბავშვი იყო.

ლალი: „ერთად დავდიოდით ბაღშიც, მერე სკოლაშიც, ერთ მერხზე ვისხედით... მეხუთე კლასში ვიყავით, სიყვარული რომ ამიხსნა. მას მერე შეყვარებულები ვიყავით. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ვხვდებოდით ერთმანეთს, მაშინ რა გვესმოდა სიყვარულის, მაგრამ მაინც ვხვდებოდით...

9 კლასი რომ დავამთავრეთ, ჩემი ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. 9 წელი ვიცხოვრე მოსკოვში. ამასობაში ზაზამ ჯარი მოიარა, თელავში მსახურობდა 2 წელი... მე მოსკოვში ვიყავი, ზაზა – საქართველოში, მაგრამ არც ერთი წუთით არ განელებულა ჩვენი სიყვარული. ისევ ისე გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც თავიდან. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი სატელეფონო საუბარი... ძალიან ყურადღებიანი და თბილი გახლდათ. 13 წელი გვიყვარდა ერთმანეთი და როგორც კი მოსკოვიდან ჩამოვედი, მითხრა, ხვალვე უნდა მოვიდე თქვენთან და დაგნიშნოო. მოსკოვიდან მარტო მე და ჩემი ძმა ვიყავით ჩამოსულები, მშობლები ისევ მოსკოვში იყვნენ. ჩემს ძმასთან ძმაკაცობდა. უთხრა: ბაჩო, არ გეგონოს, რომ მარტო შენთან ძმაკაცობის გამო მოვდივარ შენთან, ლალი მიყვარს და მშობლების ტელეფონი მომეცი, უნდა დაველაპარაკოო. ჩემს მშობლებს დაურეკა და ყველაფერი უთხრა. ოჯახებმა ჩვენს შესახებ ყველაფერი იცოდნენ და არც ერთი წინააღმდეგი არ ყოფილა... პატარა ნიშნობა გადავიხადეთ და წამიყვანა. ჩემი მშობლები ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოში. ქორწილი ვერ გადავიხადეთ, ეს სულ გულს აკლდა და ბიჭი რომ შეგვეძინა, დიდი ნათლობა გადავიხადეთ. ძალიან ბედნიერი იყო, ბიჭი რომ გვყავდა. ამბობდა: რომ გაიზრდება, აუცილებლად ფეხბურთელი უნდა გამოვიდესო... ჯარში რომ შევიდა, მე და ბავშვი სოფელში დავრჩით. სულ ვენატრებოდით. ხანდახან სამი თვე ისე გავიდოდა, ვერ გვნახულობდა. „ესემესით“ ერთმანეთს ფოტოებს ვუგზავნიდით და ასე იკლავდა ჩვენს მონატრებას... ყოველთვის ამბობდა, ჩემს შვილს არაფერს მოვაკლებო. სახლის გადაკეთება უნდოდა და მერე გავარემონტოთო. ბევრი გეგმა ჰქონდა. თბილისში სახლის შეძენაც უნდოდა და მანქანის ყიდვაც...

კახეთში სიარული უჭირდა და ბოლო პერიოდში რუსთავში გადმოვედით ქირით საცხოვრებლად, ყოველდღე მოდიოდა შინ 6 საათის შემდეგ და დილით ნაწილში ბრუნდებოდა. ბოლოს ძალიან გაღიზიანებული იყო, სულ სახლში უნდოდა ყოფნა... პატარა ხმაურსაც ვეღარ იტანდა, ხან ბავშვის ტირილიც აღიზიანებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, შვილზე აბოდებდა. ერთი წლის იყო გიორგი, მამა რომ დაეღუპა... იმ პერიოდში იდგამდა ენას და ძალიან უნდოდა, მამა დაეძახა. ეტყოდა ხოლმე, მამი, აბა, თქვი, მამაო და გიორგი დედას ამბობდა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მამა ვერ დაუძახა შვილმა... გიორგი ახლა ყველა სამხედროფორმიანს მამას ეძახის...“

ზურა სახლიდან ბოლოს 5 აგვისტოს გასულა. როგორც ყოველთვის, ცოლისთვის უთქვამს, რომ საღამოს დაბ-რუნდებოდა. საღამოს შეატყობინა, რომ დილით მივიდოდა...

ლალი: „6 აგვისტოს უნდა მოსულიყო სახლში, მაგრამ შუაღამისას მომწერა, კარგად ვარ, არ ინერვიულო და მოვალო... თურმე იმ ღამით გაუყვანიათ ნაწილიდან და მე არაფერს მეუბნებოდა. იმ დღესაც რომ არ მოვიდა, მწერდა, სამთვიან კარანტინში ვართ და არ ინერვიულო, ტელეფონიც არ გვექნება და არ გაგიჟდეო. მატყუებდა... ტელევიზორს რომ ვუყურებდი, უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და მივწერე. ახლა კარანტინში არავინ წაგიყვანს, რა ხდება, სად ხარ-მეთქი. მითხრა, ცხინვალში ვარო. 9 აგვისტომდე მირეკავდა, ბოლოს 4-ის 15 წუთზე დამირეკა და გამოგვემშვიდობა. ყველანი მიყვარხართ და გიო დიდი კაცი გამიზარდეო. თან ვითომ მამშვიდებდა, ტელეფონი მიჯდება და ყველაფერი კარგად იქნებაო... 9 აგვისტოს შემდეგ ვერაფრით ვეღარ ვუკავშირდებოდით. ძალიან ბევრი ვეძებეთ, მაგრამ დღემდე არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მასთან ერთად ვინც იბრძოდა, იმან გვითხრა, ცხინვალში სკოლის ეზოში რომ გამოვედით, მაშინ მოხვდა ტყვია, მხარში დაიჭრაო. მაშინ უთქვამს, ცოლ-შვილს მიმიხედეთო. როგორც გვითხრეს, სნაიპერმა, კაზაკმა ქალმა ესროლა...

ნაწილიდან რომ გაჰყავდათ, თურმე საფულე ამოუღია და ჩვენს სურათებს უყურებდა... უთქვამთ, დატოვე, რად გინდა საფულეო და, იქნება ვკვდები და ამათთან ერთად მაინც მოვკვდებიო...

ბავშვს არ ახსოვს მამა, მაგრამ ახლა ფოტოებითა და ვიდეოჩანაწერებით ცნობს. იცის, რომ მამა ჯარისკაცი ჰყავს და უნდა მოვიდეს.

ერთი პერიოდი ძალიან ხშირად კითხულობდა მამას. მეუბნებოდა, სხვას რომ მოსდის მამა, ჩემი მამიკო სად არისო... რომ ვეკითხებით, ვინ უნდა გამოხვიდეო, „ჯალიო“, იძახის... ხანდახან აღარ მჯერა, რომ დაბრუნდება, მაგრამ მაინც ყოველთვის ველოდები...“

ProCredit Bank

კაპრალი

რომან უგრეხელიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1963 - 2008

9 აგვისტოს ცხინვალში მტერთან შეტაკებისას ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი მოხვდა ტანკს, რომელსაც ის მართავდა... ხედავდა, რომ ტანკს ცეცხლი ეკიდა და მაინც წინ მიიწევდა... ტანკზე მყოფი ორი ადამიანი გადარჩა, მან ამოსვლა ვეღარ მოახერხა...

რომან უგრეხელიძე 1963 წელს დაიბადა აფხაზეთში, სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავაში.

ოჯახში მესამე შვილი იყო. ცელქი და მხიარული ბავშვი ყოფილა, ზრდილობიანი მოწაფე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს და 3 წელი ვლადივასტოკში იმსახურა. ჯარიდან დაბრუნებულმა ცოლი შეირთო. რომანის და გულრიფშში იყო გათხოვილი და მომავალი მეუღლეც სწორედ მის სოფელში გაიცნო. ნანი ცქიტიშვილი და რომან უგრეხელიძე გაცნობიდან 6 თვეში დაოჯახდნენ. მალე სოხუმის პორტშიც დაიწყო მუშაობა გემზე. შვილიც შეეძინათ.

ნანი ცქიტიშვილი: „ბიჭი უნდოდა, მაგრამ ძალიან გაუხარდა, გოგო რომ გაჩნდა. ამბობდა, ძალიან მგავსო... მერე კვლავ გოგონა შეგვეძინა, მესამე – ბიჭი...“

რომან უგრეხელიძისთვის აგვისტოს ომი მეორე ომი იყო – ის აფხაზეთის ომშიც იბრძოდა, მშობლიურ სოფელს იცავდა მტრისგან. შემდეგ, ოჯახთან ერთად, უღელტეხილით დატოვა მშობლიური მხარე... კოპიტნარში დასახლდა.

2003 წელს კონტრაქტი გააფორმა სამშობლოსთან. მსახურობდა ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში, ტანკს მართავდა...

ნანი ცქიტიშვილი: „ომამდე ორი კვირით ადრე ჩამოვიდა სოფელში. ძალიან გულჩათხრობილი იყო... არაფერს ამბობდა, რომ არ გვენერვიულა. შინიდან ბოლოს ივლისის მიწურულს წავიდა. 7 აგვისტოს დაგვირეკა, მაგრამ არ გვიმხელდა, რომ ცხინვალში იყო, გვამშვიდებდა, გაგრაში ვარო... უფროს ქალიშვილს ელაპარაკებოდა, არ ინერვიულოთო...

ბოლოს 9 აგვისტოს, დილით დარეკა, ცოტა მოწყენილი იყო... ნათიას უთხრა, შენ ჩემი უფროსი შვილი ხარ და ხომ იცი, როგორ მიყვარხარო... ამის შემდეგ არ დაურეკავს... 9 აგვისტოს დაიღუპა, შუადღისას. ჩვენ მეორე დღეს გავიგეთ, ცხელი ხაზის მეშვეობით... არ გვინახავს, დაიწვა და დაიფერფლა... საფლავიც არ გვაქვს... მუდამ შვილებზე ფიქრობდა... 45 წლის იყო... ძალიან ძნელია მის გარეშე ცხოვრება... მესიზმრება, როგორც ცოცხალი – მოდის ჩუმად, არაფერს არ ამბობს და მიდის...“

რეზერვისტი

მიხეილ იოსავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ეს სულ რაღაც 22 წლის ბიჭი იყო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. დიდი ცხოვრებისთვის ემზადებოდა, ჰქონდა ოცნებები და მიზნები...

მაგრამ მის სამშობლოს რუსი მოადგა და რეზერვში გამოიძახეს. სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსულმა უფროსმა მეგობარმა თბილისში წაყოლა ურჩია. უარით გაუსტუმრებია: ასეთ დროს გაქცევა არ ივარგებსო.

ვერც მამას დაუყოლიებია შინ დარჩენაზე. „ამბობდა, ყველა ჩემი მეგობარი იქ არის და მე როგორ გამოვაკლდეო. მრცხვენოდა, დარჩენას რომ ვთხოვდი. სამშობლო მეძახისო, იმეორებდა“, – იტყვის მამა. მამა, რომელმაც თავად მიიყვანა შვილი სენაკის ბაზაზე...

ოჯახი ბოლოს 11 საათზე ელაპარაკა ბაზაზე მყოფ შვილს. პირველი დაბომბვის ხმა რომ გაიგეს, ურეკავდნენ. ზარს რომ არ უპასუხა, მშობლები ბაზაზე გაცვივდნენ. გარდაცვლილი შვილი საავადმყოფოში იპოვეს... რამდენიმე ნასხლეტი ჰქონდა თავში მოხვედრილი...

მიხეილ იოსავა 1986 წელს დაიბადა ხობში. ხობშივე დაამთავრა სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და დაამთავრა.

მარინე კაკულია, დედა: „უგემრიელესი შვილი იყო, ვამბობდი, დავბერდები და ბედნიერი დედა ვიქნები-მეთქი... უპრეტენზიო და დაუზარელი, ძალიან ეშმაკი და ჭკვიანი ბავშვი იყო. უფროსებთან მეგობრობა უყვარდა... სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, დაწყებითი კლასების პედაგოგი მეუბნებოდა, თვითნაბადი მათემატიკური ნიჭი აქვსო. მილიონების ფარგლებში ამრავლებდა და ყოფდა ელვის სისწრაფით. ბებია უკრაინელი ჰყავდა და რუსულიც ძალიან კარგად იცოდა. როდესაც სკოლაში ღია გაკვეთილი ტარდებოდა, სულ მიშიკოს მიჰყავდა... მეც სკოლაში ვმუშაობდი და ვთხოვე, შატალოზე არ წახვიდე, უხერხულობაში არ ჩამაგდო-მეთქი. არასოდეს წასულა... სამეგობროში, სამეზობლოში თუ ვინმეს რამე უჭირდა, ყველას კაცივით ედგა გვერდში. თავის საქმეს გადადებდა და სხვისას გააკეთებდა. ძალიან დამოუკიდებელი იყო. ბებია და ბაბუა ჰყავს სოფელში. ყველაფერში ეხმარებოდა. დილიდან ადგებოდა და მზის ამოსვლამდე ყანას უთოხნიდა, დაუზარელი იყო... მამაჩემმა გაიხსენა, ერთხელ მოირბინა და მანქანა მთხოვა, ჩემი მეგობრის დედა ჩანთებს მიათრევს და უნდა წავაღებინოო. მეგონა, სადღაც წასვლა უნდოდა და მატყუებდა. მივეცი გასაღები და გავყევიო. თურმე სიმართლე მითხრა, მართლაც იმ ქალს ეხმარებოდაო... ცდილობდა, ყველას დახმარებოდა, რითაც შეეძლო... ერთადერთი იმაზე ვუბრაზდებოდი, რომ მანქანას სწრაფად დააქროლებდა. თავს იმართლებდა ხოლმე, რა ვქნა, მამა და ბაბუა მანქანას სულ 15 წუთით მაძლევენ და მინდა, ყველაფერი მოვასწროო. მუშაობას როგორც კი დავიწყებ, პირველ რიგში, მანქანას ვიყიდიო...“

ბესო იოსავა, მამა: „ისე უყვარდა მანქანის ტარება, მართვის მოწმობის ასაღებად 3 დღე თავაუღებლად მეცადინეობდა. მარტო მსუბუქზე კი არა, სატვირთოზეც ჩააბარა და მოწმობა აიღო. უნდოდა, საკუთარი ბიზნესი ჰქონოდა და ამბობდა, რა იცი, რაში გამომადგებაო. დამოუკიდებელი იყო. ეტაპობრივად ყველაფერს მივაღწევო, ხშირად მიმეორებდა... ძალიან უყვარდა ნადირობა, თევზაობა, ბილიარდის თამაში. მისი გარდაცვალების შემდეგ, საბილიარდო კლუბის ხელმძღვანელის, ლერი ბასილაიას ინიციატივით, მიშიკო იოსავას სახელობის ტურნირი ჩავატარეთ. მიშიკო ხშირად დადიოდა იმ კლუბში და თურმე ეუბნებოდა, ტურნირი ჩავატაროთ და გამარჯვებული თასით დავაჯილდოოთო. მის სიცოცხლეში ეს ვერ მოხერხდა და შემდეგ ლერი ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. 23 ნოემბერს, მიშიკოს დაბადების დღეზე ჩატარდა ტურნირი. ამ ტურნირმა სისტემატური ხასიათი მიიღო. სამომავლოდ გვინდა, რომ რეგიონული გახდეს ეს ტურნირი. მიშიკოს სახელით საჩუქრებით ვაჯილდოებთ გამარჯვებულს...“

დედა: „გარდაცვალების მერე ვნახე მისი მობილური, იმდენი სასიყვარულო მესიჯები ჰქონდა, ვერ წარმოიდგენდი... ვიცოდით, რომ შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ არ ვიცით, ვინ იყო... მის ცხოვრებაში არ ვერეოდით. სახლში რემონტი გვქონდა და მეგობრებისთვის უთქვამს, რომ მორჩებიან, ცოლი უნდა მოვიყვანოო. სიურპრიზი უნდა გავუკეთო მშობლებსო... ძალიან ძნელია ცხოვრება მიშიკოს გარეშე. საოცრად მოსიყვარულე იყო. ერთი უხეშად მოქცევა არ მახსოვს მისგან. შემოვარდებოდა, გადამკოცნიდა და ისევ გაიქცეოდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა. ალბათ, გრძნობდა, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ეწერა და ყველაფრის მოსწრება უნდოდა. მიშიკოს გარდაცვალება რომ გავიგეთ, ჩვენს სახლში უამრავი ხალხი ირეოდა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ჩემი თავი გადამავიწყდა, სხვების მოსულიერებას ვუნდებოდი, ვფიქრობდი, ვინმე არ მოკვდეს და ცოდვა არ დამედოს-მეთქი. 60 წელს მიღწეული კაცები ბავშვებივით ტიროდნენ. გაოგნებული ვიყავი, 21 წლის ბიჭმა ასეთი დიდი სიყვარულის დათესვა როგორ მოახერხა-მეთქი. ნამდვილად არ ვიცოდი, ამდენ ადამიანს თუ უყვარდა...

2009 წელი რომ დგებოდა, ღამის 11 საათზე მიშიკოს საფლავზე ავედით, ახალი წელი რომ მიგველოცა. სახტად დავრჩით – ასამდე კაცს მოეყარა თავი, სუფრა ჰქონდათ გაშლილი და ახალ წელს ულოცავდნენ მიშიკოს... ვიდექი და ვფიქრობდი, რამ მოიყვანა ამდენი ხალხი ჩემი შვილის საფლავზე ამ ბედნიერ ღამეს, საშინელ თოვლსა და სიცივეში-მეთქი...“

რეზერვისტი

ზაზა ბოჭოიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1978 - 2008

Აგვისტოს ომში დაღუპული ბიჭის ოჯახი საინგილოში გადადიოდა. საზღვარზე საბუთების წარდგენისას უფროსმა ვაჟმა რიხით დაიძახა: „მე გმირი მამის შვილი ვარ!“

ბიჭუნა ჯერ მხოლოდ 4 წლისაა. იცის, რომ მამამისი გმირია. უნდა, რომ ჯარისკაცი გამოვიდეს და მამასავით გმირი გახდეს...

მამამისი – ზაზა ბოჭოიძე მანავში დაიბადა 1978 წელს. სკოლაში კარგად სწავლობდა, მეოთხე კლასიდან ჭიდაობაზე დადიოდა.

დედა, ნინო ბოჭოიძე: „სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. ჩემი მეუღლე რუსეთში იყო, თბილისში შვილის შენახვა მარტომ ვერ შევძელი და ამიტომ მარნეულში დაამთავრა უნივერსიტეტი. მესამე კურსზე იყო, როდესაც სასამართლოში დაიწყო მუშაობა მოსამართლის თანაშემწედ. შემდეგ 2 წელი ადვოკატად მუშაობდა. საბანკო საქმის მიმართ ჰქონდა ინტერესი. გაიარა კიდეც კომპიუტერისა და საბანკო საქმის კურსები წარმატებით. ეზოში რომ შემოვიდა, ვკითხე: დედა, როგორ ჩააბარე-მეთქი. ასი კითხვიდან ასივეს სწორად ვუპასუხეო... ზაზას გარდაცვალებიდან ერთ კვირაში დაგვირეკეს, სამსახურით ვაკმაყოფილებთ, თბილისში ჩამოვიდესო... როცა რეზერვში გამოიძახეს, წასვლას ვუშლიდი, მაგრამ მაინც წავიდა. ამ ამბის შემდეგ, სკოლის მასწავლებლებმა მისი საკონტროლო წერის რვეული მაჩვენეს და წამაკითხეს მისი დაწერილი თემა, როგორი უნდა იყოს თავისი ქვეყნის პატრიოტი... გული მკვდარი მაქვს, მაგრამ ამაყი და ბედნიერი ვარ – ჩემმა ერთადერთმა ბიჭმა გმირულად გაწირა თავი სამშობლოსთვის. არ მინდა, სხვა დედამ ის განიცადოს, რასაც მე განვიცდი, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი ასეთ ამბავში. მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში და არ გამწარდეს არც ერთი დედა...“

ზაზა თავისი ნათლულის გამოსაყვანად მივიდა საბავშვო ბაღში და იქ გაიცნო მომავალი მეუღლე – თეა.

მეუღლე: „მე 25 წლის ვიყავი, ზაზა – 26-ის. 6 მაისს, ჩემი დაბადების დღეს, ამიხსნა სიყვარული, სამსახურში მოვიდა ვარდებით. 23 ნოემბერს დავინიშნეთ... 3 წელი ვიცხოვრეთ ერთად, 2 ბიჭი შეგვეძინა, პატარა სამი თვის იყო, ზაზა რომ დაიღუპა. ახლა უკვე ორი წლისაა, უფროსი – ოთხი წლის. პატარა ძალიან ჰგავს მამას...

ძალიან თბილი და მოსიყვარულე გახდა, მეორე რომ შეგვეძინა, ცდილობდა, უფრო მეტი შემოეტანა ოჯახში, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა, ყველა გამოცდაზე გადიოდა.

ჯარში უნდოდა სამსახურის დაწყება. როცა რეზერვისტად წავიდა, სროლებში პირველი ადგილი აიღო, სერტიფიკატიც ჰქონდა...“

რეზერვისტ ზაზა ბოჭოიძეს 6 აგვისტოს მიუვიდა გამოძახება.

7 აგვისტოს დილას უნდა წასულიყო. ბიჭებს უნდა გაევლოთ მისთვის. მამა ძალიან ნერვიულობდა, მთელი ღამე არ სძინებია თურმე. დილით, როცა რეზერვში მიმავალმა ბიჭებმა დაუძახეს, ზაზას ვერ გაუგონია და არც მამას გაუღვიძებია – ეგებ ვერ გაიგოს და არ წავიდესო... ნახევარ საათში გაუღვიძია, მოუკითხავს, ბიჭებმა დაუძახეს თუ არა, მამას ისევ დაუმალავს... ზაზა წასულა.

მეუღლე: „რომ გადიოდა, ყველას დაგვემშვიდობა, ყველა დაგვკოცნა და წავიდა. ვაზიანში დაეწია ბიჭებს. ტელეფონით ვუკავშირდებოდი, ბოლოს რომ ველაპარაკე, მითხრა, დაძაბული სიტუაციაა, ცოტა ხანს აღარ დამირეკო, თვითონ დაგირეკავო. შემდეგ მესიჯებით ვეკონტაქტებოდი. იმ ღამით სამ საათამდე ვემესიჯებოდი, ამის შემდეგ ჩვენი კონტაქტი შეწყდა, პასუხს აღარ მცემდა მესიჯებზე... ვემუდარებოდი, მოეწერა... არ ვიცი, გულმა მიგრძნო თუ რა იყო, ძალიან ცუდად გავხდი... შემდეგ მხოლოდ მის ძმაკაცებს ვეკონტაქტებოდი. ჩემი დედამთილიც არ იყო შინ, საინგილოში იყო წასული...“

დედა: „ჩემმა რძალმა დამირეკა, ზაზა წავიდაო... ტელევიზიით გავიგე, რომ რეზერვისტებიც გამოიძახეს. მე როცა ველაპარაკე, მითხრა: დედა, გორს გავცდითო. გავამხნევე და ვუთხარი: ნუ გეშინია, არაფერი არ მოხდება, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, უკან დაბრუნდი-მეთქი. გავამხნევე და ვუთხარი, შენს ცოლ-შვილთან მივდივარ-მეთქი. მთხოვა, ცოლ-შვილს მიმიხედეო. ეს იყო მისი ბოლო სიტყვები...“

მეუღლე: „აქეთ მამხნევებდა და მეუბნებოდა, ნუ გეშინიაო. როცა ვაზიანი ააფეთქეს, მაშინ გამოღწევა მოახერხეს... მერე, როცა ვეკითხებოდი, როდის მოხვალ-მეთქი, მეუბნებოდა: მოვალ, კიო? ეტყობა, გრძნობდა რაღაცას... ყველა საავადმყოფო შემოვიარეთ... ბომბი ჩამოვარდა და დაიღუპა“.

დედა: „მეზობლები მოვიდნენ ამბის შესატყობინებლად, მაგრამ თეას ვერ ეუბნებოდნენ, ბოლოს ისევ მე მითხრეს: ნინო, შენ მაგარი ქალი ხარ, შენ გეტყვით, ზაზა დაჭრილიაო. ჩემმა რძალმა რომ გაიგო, ცუდად გახდა... მე ვამხნევებდი, ადექი, დაჭრილია, უნდა ვუშველოთ-მეთქი. მე უბედურს მეგონა, რომ თბილისში გადმოიყვანდნენ და უშველიდნენ...“

დედა და ცოლი შინ მოტყუებით წაიყვანეს. ყველამ იცოდა, მხოლოდ მათ უმალავდნენ ზაზას დაღუპვას. შინ რომ მიუსვენეს, მაშინღა მიხვდნენ დედა და ცოლი, რომ ზაზა ამქვეყნად აღარ იყო...

დედა: „მას მერე ჯანმრთელობა შემერყა, ნერვიულობისგან წელს ქვემოთ მოვწყდი... მამამისი კინაღამ

ჭკუიდან შეიშალა, შვილი რომ მკვდარი ნახა. მთელი გზა ზაზასთან ჩახუტებული მოდიოდა... მას სამშობლო ძალიან უყვარდა, არ მიატოვებდა თავის ქვეყანას. რომც სცოდნოდა, რაც მოუვიდოდა, უკან მაინც არ დაიხევდა... მე საკუთარ თავს არ ვჩივი, ჩემი რძალი მებრალება, მთელი ცხოვრება მარტომ უნდა ზარდოს შვილები. ორი ბიჭის გაზრდა იოლი არაა... იმ დღეს ატირებული მოვიდა სამსახურიდან: რაც მოვდივართ, პატარა მთელი გზა ტირის, მამა მინდაო...“

კაპრალი

მალხაზ აბაშიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1975 - 2008

„ამა, არ შეგეშინდეთ, ჩვენ მალე დავბრუნდებით“ – ამ სიტყვებით დააიმედა მალხაზმა მამა 7 აგვისტოს. მას შემდეგ მისი ხმა მშობლებს არ გაუგონიათ. შვილის გვარი 9 აგვისტოს გარდაცვლილთა სიაში ამოიკითხეს.

ილია აბაშიძე, მამა: „მალხაზი 8 აგვისტოს დაიღუპა ცხინვალში, ცხელ ხაზზე საავიაციო დაბომბვისას. მეგობრები მიყვებოდნენ, ცხელ ხაზზე რომ ვიყავით, გვამხნევებდა, აბა ბიჭებო, ყველაფერი კარგად იქნებაო. ჭურვის ნასხლეტი მოხვედრია და ადგილზევე გარდაცვლილა.“

მშობლებს ცრემლი არ უშრებათ, როცა მალხაზს იხსენებენ. მისი მშობლიური სოფლიდან ომში ბევრი ვაჟკაცი წავიდა, თუმცა მხოლოდ მალხაზი ვერ დაუბრუნდა კერას.

მალხაზ აბაშიძე 1975 წლის 12 იანვარს, ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში დაიბადა. მამა იხსენებს, რომ განსაკუთრებით დები უყვარდა: „სულ ეფერებოდა, ძმასთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ძალიან უყვარდა მეგობრებთან ყოფნა. მშობლებისთვისაც კარგი შვილი იყო. განსაკუთრებით დისშვილი ქრისტინე უყვარდა. სულ უნდოდა მის გვერდით ყოფილიყო. მისი დაღუპვის მერე გაჩნდა მეორე დისშვილი, რომლის დაბადებას დიდი სიხარულით ელოდა...

ერთ წელიწადში აპირებდა დაოჯახებას. სამხედრო სავალდებულო ჯარი გავლილი ჰქონდა. კონტრაქტს 2005 წელს მოაწერა ხელი. სენაკის სამხედრო ბაზის მეორე ქვეითი ბრიგადის გამანაწილებელ ასეულში იყო კაპრალი. ჯარში პატრიოტული სულისკვეთებით შევიდა. ომში, რომ არ დაღუპულიყო სამხედრო სამსახურს გააგრძელებდა. სურდა ჯარს გაჰყოლიდა. ბევრი მადლობა აქვს მიღებული.

– ბოლოს 2008 წლის აგვისტოში იყო ჩამოსული. 5 აგვისტოს გავაცილეთ. დედამისისთვის უთქვამს: „დედა, შენი გაკეთებული ხაჭაპური გამატანეო“.

დედამ მალხაზს ბოლო თხოვნა შეუსრულა, ამ დროს ვერც წარმოიდგენდა, რომ შვილს უკანასკნელად ხედავდა. სოფელი საკუთარ გმირს დღესაც სიამაყით იხსენებს. მალე სოფლის სკოლას გმირი მალხაზ აბაშიძის სახელი მიენიჭება.

უმცროსი სერჟანტი

ომარ ასლანიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1981 - 2008

ეტრის ავიაცია ზემო ნიქოზს დასტრიალებდა და ქართველ ჯარისკაცებს უტევდა. ქართველი მეომრები კი სოფლად ჩარჩენილ მოსახლეობაზე ზრუნავდნენ. ცდილობდნენ სამშვიდობოს გაეყვანათ. გაერიდებინათ იმ უბედურებისგან... ევაკუაციისას მან და მისმა თანამებრძოლებმა მოხუცი სარდაფში ჩაიყვანეს. ამობრუნდნენ და... 26 წლის უმცროსი სერჟანტი ომარ ასლანიძე მტრისგან ჩამოგდებულმა ჭურვმა იმსხვერპლა...

აგვისტოს რუსულ-ქართულ ომში, ქართველ ქვეითებზე იერიშები, ბუდიონოვკაში ბაზირებულმა 468-ე პოლკის ავიაციამ მიიტანა. სწორედ რუსული ავიაციის მიერ ჩამოყრილმა მასობრივი განადგურების კასეტურმა ბომბებმა იმსხვერპლა ქართველ სამხედროთა უმეტესობა. ცხინვალის დაბომბვის შემდეგ, მოზდოკის აეროპორტიდან აფრენილი რუსული მოიერიშეები – სუ-24 და სუ-25-ები სოფელი ზემო ნიქოზის თავზე დაფრინავდნენ და იქ ეძებდნენ ქართველ ჯარისკაცთა პოზიციებს. საჰაერო შეტევის შემდეგ, ქართველმა ჯარისკაცებმა, იქ დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყეს. ადლიის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მებრძოლებმა ერთ-ერთი ადგილობრივი მოხუცი საცხოვრებელი სახლის სარდაფში ჩაიყვანეს. ამ დროს, თბილისის მიმართულებით, ერაყიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები მოფრინავდნენ, მათ შორის იყო უფროსი სერჟანტი რომან ასლანიძე. ბაღდადის სამშვიდობო ოპერაციიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ძმამ ომარს ცოცხალს ველარ მიუსწრო.

ომარ ასლანიძე 1981 წელს დაიბადა, ქობულეთის რაიონის სოფელ ჯიხანჯურში.

ოჯახში სამი შვილი იზრდებოდა. ომარი შუათანა იყო.

მამა გაიხსენებს, რომ ომარი მხიარული და სხარტი ბავშვი იყო, ძლიერი ყოფილა და მეგობრებს „ძვალო“ შეურქმევიათ. ვარჯიში ჰყვარებია, შემდეგ სოფლის ბავშვებიც აუყოლიებია და მათაც ავარჯიშებდა.

„დღემდე ვინახავ მის გირებს... ყველას ძალიან უყვარდა, ყველა აფასებდა... ძალიან განიცდიან მის დაღუპვას მეგობრები, თანატოლები....“ - იტყვის მამა.

ჯარში წასვლა ომარს 2007 წელს გადაუწყვეტია და ჩარიცხულა კიდეც ადლიის ბატალიონში. მალე, მონდომებისა და ფიზიკური სიძლიერის წყალობით, ოცმეთაურიც გახდა და უმცროსი სერჟანტის წოდება მიიღო.

ლეო ასლანიძე, მამა: „აპრილში ჩემს დაბადების დღეზე ბანკიდან კრედიტი გამოიტანა და მანქანა მაჩუქა. ვუთხარი - უკვე 27-ე წელში ხარ, ცოლი მოიყვანე, ოჯახს მოეკიდე და ეგ იქნება ჩემთვის დიდი საჩუქარი-მეთქი. მითხრა, მამა ცოტაც მაცალე, ბინას გავარემონტებ, ჩემი ძმაც ჩამოვა ერაყიდან და შემოდგომაზე ცოლსაც მოვიყვანო, თუმცა ველარც ძმის ნახვას მოესწრო, ველარც ცოლის შერთვას...“

ომამდე ერთი თვით ადრე, საგურამოში იყო სწავლებებზე, მალე ორფოლოშიც უნდა წასულიყვნენ, მაგრამ სწავლების მაგიერ ომში წავიდნენ.

მამა: „საგურამოდან დაბრუნების შემდეგ თითქოს შეიცვალა, ყველას გვეფერებოდა, ყველას გვეალერსებოდა. ალბათ, ადამიანის ტანი გრძნობს მოახლოებულ აღსასრულს. შინ ბოლოს 6 აგვისტოს მოვიდა. დაძაბული და მოწყენილი იყო. მითხრა, ორფოლოში უნდა წავიდეთ სწავლებებზეო. 9 აგვისტოს მისი ძმა, რომანი ერაყიდან ბრუნდებოდა და გული სწყდებოდა, ვერ ვნახავო. დავპირდი, როგორც კი ჩამოვა, აუცილებლად შეგახვედრებთ ერთმანეთს-მეთქი... საღამოს სახლში რომ დაბრუნდა, მეზობლები მოინახულა, დას მოეფერა და უთხრა - დამლოცეო. ღამით ტელეფონმა გააღვიძა, თანამებრძოლებმა უთხრეს - სასწრაფო განგაშიაო. უთენია წამოდგა. ვუთხარი - ბიჭო საჭმელი მაინც ჭამე, მშიერი ხომ არ წახვალ-მეთქი. არა მამა, ძალიან მეჩქარება და უნდა წავიდეო... სახლიდან გასვლისას ოჯახის თითოეულ წევრს გვემშვიდობებოდა ხოლმე, იმ დღეს არც დაგვმშვიდობებია... ვუთხარი: მოიცადე და მანქანით გაგიყვან-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა... წავიდა... ორ საათში დამირეკა. ამ დროს მე უკვე ქობულეთში ვიყავი საქმეზე წასული. მკითხა, სად ხარო, რომ გაიგო სადაც ვიყავი, მთხოვა მანდ იყავი, ნახევარ საათში გამოგივლი და განახავო. ქობულეთის ყოფილი რაიკომის შენობასთან ვიდექი, რამდენიმე წუთში ჩემსკენ მომავალი კოლონა შევნიშნე. წინ მომავალ მანქანებში ტვირთი იყო, უკანა მანქანებში კი იარაღასხმული ბიჭები ისხდნენ. ვიცოდი, რომ ორფოლოში მიდიოდნენ სწავლებებზე, გამიკვირდა მათ ხელში იარაღი რომ დავინახე... თვალით ვეძებდი ჩემს შვილს. ყველას ხელს ვუქნევდი. თვითონ დამინახა, მანქანის ბორტზე იჯდა, წამოხტა და დამიძახა: „მამა, აქ ვარ, მე მალე დავბრუნდები!..“ ეს კადრი თვალებიდან არ ამომდის, ბოლოს ამ დღეს ვნახე ჩემი შვილი“.

მალე ბიჭები კონფლიქტის ზონაში შევლენ, ქართული სოფლების მტრისგან დასაცავად.

მამა: „საღამოს შემეხმიანა. აღელვებული ჩანდა. სად ხართ მეთქი, ვკითხე. გორში ვართო. გორში რა გინდათ, ორფოლოში ხომ ხაშურიდან უნდა გადაგეხვიათ-მეთქი, გავიკვირვე. მამა ომი დაიწყო და ომში მივდივართო...

ცოტა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა. ვერ გავაანალიზე რას მეუბნებოდა. შემდეგ დაამატა, მამა ჩემს თავს გაფიცებ, დედას არ უთხრა, არ ინერვიულოსო. ჩემი მეუღლე მეორე ჯგუფის ინვალიდია და ომარი დედას განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა...“

ადლიის ბატალიონის ბიჭებმა ისეთი იერიში მიიტანეს მტერზე, რომ მათი წარმატება ლეგენდად იქცა. ნაბიჯ-ნაბიჯ იწევდნენ წინ, მაგრამ მტერმა ჰაერიდან შემოუტია საქართველოს. ბომბავდნენ ყველაფერს, სადაც კი

ქართველი მებრძოლები ეგულებოდათ.

მამა: „როგორც ომარის მეგობრებმა მიამბეს, 9 აგვისტოს, ცდილობდნენ ქართულ სოფლებში ჩარჩენილი მოსახლეობა სამშვიდობოს გაეყვანათ. ერთი მოხუცი სარდაფში ჩაუყვანიათ. ომარი ამოსულა და დაბომბვაც დაწყებულა. ჭურვის ნამსხვრევები მოხვედრია. ბიჭებმა სასწრაფოდ წაიყვანეს გორის ჰოსპიტალში, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო... ჩვენ 10 აგვისტოს შევიტყვეთ, რომ დაჭრილი იწვა გორის ჰოსპიტალში. ჩემი ძმა წავიდა გორში და ჩამოასვენა.

მთელი სოფელი ტიროდა, ყველამ განიცადა მისი დაღუპვა. სოფელში ერთ კაცს ვერ ნახავ, რომ ომარი არ ჰყვარებოდა...“

ომარ ასლანიძე დაიღუპა და რამდენიმე საათში ერაყიდან საქართველოში მისი ძმაც დაბრუნდა... ომის შემდეგ, რომან ასლანიძე პირველი ქვეითი ბრიგადიდან ადლიის ბატალიონში გადავიდა. ბატალიონში, რომლის რიგებშიც უმცროსი სერჟანტი ომარ ასლანიძე იბრძოდა ოკუპანტების წინააღმდეგ.

მამა: „ჩემი ტკივილი განუზომელია, მაგრამ ომი მსხვერპლს მოითხოვს, ჩემი შვილი რომ არ დაღუპულიყო, სხვისი დაიღუპებოდა... ღმერთს ვთხოვ, ჩემი შვილი უკანასკნელი ახალგაზრდა ყოფილიყოს, ვინც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა. მისი დაკრძალვის დღეს, საფლავთან მივედი და დავპირდი, რომ მივახარებდი ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას. იმედი მაქვს საქართველო მალე გაერთიანდება და მე ჩემი შვილის საფლავთან ამაყად ვიტყვი - შვილო, თქვენს საქმეს უკვალოდ არ ჩაუვლია, საქართველო ერთიანია!“

კაპრალი

ბადრი ბასილაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1985 - 2008

9 აგვისტოს რუსულმა ჭურვმა იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. კაპრალი ბასილაძე ამ დროს თანამებრძოლებთან ერთად სანგარში იყო. ჭურვიც სწორედ იმ ადგილს მოხვდა. 5 წუთით ადრე, მამას ესაუბრა ტელეფონით, დაამშვიდა, არ ინერვიულო ჩემზეო, მართლაც ოჯახი მასზე აღარ ნერვიულობს, მაშინდელისგან განსხვავებით, დღეს ზუსტად იციან სადაც არის მათი შვილი, იციან, რომ იმ გმირთა შორისაა, ყველგან და ყოველთვის რომ დაფასდება მათი ამაგი სამშობლოს წინაშე.

დარეჯან აბულაძე, დედა: „მაშინ, როცა ბოლოს მამამისს ტელეფონზე ესაუბრა, სანგარში ყოფილა რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად. ბოლო წუთებში სხვას აფრთხილებდა - ნუ გამოხვალთ, საშიშიაო. ამ დროს თვითონ დაეცა ბომბი... დღესაც მიმძიმს ამ ყველაფრის გახსენება. ეჰ, რამდენი გადავიტანეთ...

თვითონ გვირეკავდა, გვაიმედებდა. მე კარგად ვარ, არ ინერვიულოთო. მეგობრები იხსენებენ, ჩვენ წინა საღამოს ცოტა თვალი მოვხუჭეთ. ბადრის კი თითქმის არ უძინიაო. დილას ადრე ყველა გაგვაღვიძაო. 9 აგვისტოს დილას მამამისს დაურეკა, კარგად ვარო. თურმე, ტელეფონზე საუბრიდან 5 წუთში დაღუპულა.

14 აგვისტოს, წესის აგებით, სოფლის სასაფლაოზე დავასაფლავეთ“.

დედას უმძიმს შვილზე საუბარი, იმ დღეების გახსენება მას ტკივილს გვრის, მაგრამ უნდა, რომ გმირი შვილის სახელი უკვდავყოს, ყველას უთხრას, როგორი ვაჟკაცი გაზარდა:

– ბადრი 1985 წლის 5 მარტს, თერჯოლის რაიონ სოფელ ჭოგნარში დაიბადა. ძალიან კონტაქტური და მეგობრის მოყვარე ადამიანი იყო. ჭოგნარის საშუალო სკოლა დაამთავრა. ძალიან მიჭირს მისი ბავშვობის გახსენება. ეს ჩემთვის დიდი გულისტკივილია. კარგი შვილი იყო. ზედმეტს არაფერს გააკეთებდა. ორი შვილი მყავდა. მეორეც ბიჭი. კარგი ძმობა ჰქონდათ. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. დიდი სამეგობრო ჰყავდა. ისინი დიდი სიყვარულით იხსენებენ. ამქვეყნად არავინ დაუტოვებია ნაწყენი.

2006 წელს სიყვარულით შექმნა ოჯახი. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მოსიყვარულე მეუღლე იყო. კარგი გოგონა მოიყვანა, ნათია ვაშაკიძე. ჩემთვის საშინელება იყო, რაც მოხდა, მაგრამ ნათიასთვისაც უმძიმესი იყო ეს, მან ხომ საყვარელი მეუღლე დაკარგა. ჯერ ხომ შვილიც არ ჰყავდათ. ძალიან უნოდა შვილები ჰყოლოდა, მაგრამ ვერ მოესწრო ამ ბედნიერებას. ბადრიმ დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე გაიგო, მისი ძმის ცოლის ორსულობა. ძალიან გახარებული იყო. საკუთარი შვილის დაბადებასავით ელოდა, მაგრამ ვერც ამას მოესწრო. მისი ძმისშვილი ბადრის სახელს ატარებს. ერთადერთი პატარა ბადრი გვახარებს“.

კაპრალი

ბადრი ბერანძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1986 - 2008

ედნიერი იყო გალელი ბიჭი ცხინვალში რომ შევიდა. თანაც თავის დაბადების დღეზე – ის იმ დღეს, 8 აგვისტოს გახდა 21 წლის და... და დაიღუპა კიდეც, დაიღუპა დაბომბვისას, როცა მეხუთედ შედიოდა ცხინვალში დაჭრილების გამოსაყვანად.

17 წლის იყო ჯარში რომ წავიდა, 17 წლის იყო ცოლი რომ შეირთო.

21 წლისამ თავი გასწირა. თანამებრძოლნი გაიხსენებენ, რომ უშიშრად, თავდაუზოგავად იბრძოდა.

ბადრი ბერანძე გალში დაიბადა, მაგრამ მტერმა მალე მოსწყვიტა პატარა ბადრი მშობლიურ გალს. ქობულეთში იზრდებოდა.

ესლიო სიგუა, დედა: „ძალიან მოსიყვარულე, ცელქი და ეშმაკი იყო პატარაობისას. სკოლაშიც კარგად სწავლობდა, მაგრამ მოუსვენარი იყო, მასწავლებელს ეუბნებოდა - 45 წუთი ერთ ადგილას რა დამაჯენსო“.

ბავშვობიდან გიჟდებოდა სამხედრო ფორმაზე. 17 წლის ყოფილა, დევნილ, ოჩამჩირელ მეგობარ ბიჭთან ერთად, კომისართან რომ მისულა, ჯარში წაგვიყვანეო. კომისარს უარით გამოუსტუმრებია, ჯერ 18 წლისანი არ ხართ, მშობლების თანხმობა გჭირდებათო.

მამა: „მე წამიყვანეს... ვერაფერს გავხდი, კომისარი უარზე იყო. ვერც ბადრის გადავაფიქრებინე, ვეუბნებოდი, გახდები 18 წლის და წადი-მეთქი, თავისას არ იშლიდა...“

მამა: „ზუგდიდში, შინაგანი ჯარის ნაწილებში მსახურობდა. ჯარი რომ მოიარა, უკვე დაცოლშვილებული იყო, მაინც ჯარისკენ უწევდა გული, კონტრაქტის დადება უნდოდა. ვეხვეწებოდი შენ ცოლ-შვილთან იყავი, სად მიდიხარ-მეთქი... მაინც წავიდა, მინდა ჩემს სამშობლოს ვემსახუროო. ამბობდა, კონტრაქტის ვადა რომ ამოიწურება, ისევ გავაგრძელებო... აფხაზეთში ხშირად გადავდიოდით, ჩვენ გალში ვცხოვრობდით და ძალიან უყვარდა იქაურობა, ოცნებობდა, როდის იქნება სულ აქ რომ ვიცხოვრებთ, აფხაზეთი მტკივა და უნდა ვიბრძოლო მის დასაბრუნებლადო... ადამიანებთან ურთერთობა უყვარდა, ჯარიდან ყოველ კვირა ჩამოდიოდა, მარტო არასოდეს ჩამოსულა, თან ერთი ან ორი მეგობარი ყოველთვის მოჰყავდა და მათი პატივისცემით ვერ ძღებოდა. ბოლოს, 4 აგვისტოსაც მეგობრებთან ერთად იყო მოსული სახლში, რომ დაურეკეს და გამოიძახეს. სასწრაფოდ დაბრუნდნენ ბიჭები ბაზაზე.

8 აგვისტოს დაბადების დღე ჰქონდა, რომ დავურეკეთ და მივულოცეთ – გვითხრა, ცხინვალის მისადგომებთან ვართო. გახარებული იყო, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო... საღამოს 11 საათზე დამირეკა უკვე ცხინვალში შევედითო... ვერაფერი ვუთხარი, ტანში რაღაც შიში მქონდა ჩამჯდარი, ცრემლები ჩამომივიდა... ზუგდიდი რომ დაიბომბა ქობულეთში წავიყვანე ოჯახი, ბადრის ვურეკავდით, არ მპასუხობდა... მერე იყო დაუსრულებელი ძებნა. მუხროვანიდან შემატყობინეს ჩემი შვილის მეგობრებმა, მითხრეს, ვიღაც პეტერბურგელ ჟურნალისტს სტატია დაუწერია ომზე და სურათებში ბადრის პირადობის მოწმობა და სხვა საბუთები იყო გადაღებული. 12 თებერვალს დამირეკეს და მითხრეს დეენემი დაემთხვაო... მუხათგვერდის სასაფლაოზე იყო დაკრძალული, საფლავი გავახსნევინე, დავათვალიერე, ჩემი შვილი იყო... იმ დღესვე გადმოვასვენე ზუგდიდში და რამდენიმე დღეში დავკრძალეთ...“

დედა: „ბადრის ბიჭი, საბა ახლა 6 წლისაა, ხშირად იხსენებს მამას... ბადრი აფხაზეთში დაბრუნებაზე და იქ ცხოვრებაზე ოცნებობდა, უნდოდა ბევრი შვილი ჰყოლოდა. 17 წლისა დაქორწინდა, სამი დღე ვეძებდით, ისე შორს ჰყავდა ლინდა გადამალული, ძლივს მივაგენით, ისიც თვითონ გვითხრა, უცნაური იყო ძალიან... ტყუილია, რომ ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო... რაც დრო გადის უფრო გვიმძიმის ცხოვრება მის გარეშე...“

უმცროსი სერჟანტი

გოჩა დანელია

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1982 - 2008

9 აგვისტოს, ცხინვალში, დაჭრილი მეომრების გამოყვანისას დაიღუპა. გოჩა დანელია მეთაურს ეძებდა, როცა მტერმა შენიშნა და იერიში მიიტანა. ოჯახის წევრებმა, მის შესახებ სხვა არაფერი იციან. ნუგეშად მხოლოდ გმირი შვილის სახელი დარჩათ.

გოჩა დანელია, 1982 წლის 16 აგვისტოს, ქუთაისში დაიბადა. 2007 წელს ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვაზიანის მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში მსახურობდა. გადაწყვეტილება მიიღო და ბოლომდე ერთგულად ემსახურა სამშობლოს.

თეა დანელია, ძმის მეუღლე: „2008 წლის 5 აგვისტოს სახლში იყო, მეგობრებთან ერთად. სწორედ, იმ დღეს დაურეკა მეთაურმა. 7 აგვისტოს კი დედამისისთვის მიუწერია. ,,ქეთევან, აბა ჰე და აბა ჰოო“. (დედას ქეთევანი ჰქვია). მას მერე არაფერი ვიცოდით. 8 აგვისტოს ჩავედით გორში. დაბომბვაში მოვყევით, თუმცა გადავრჩით. გოჩა ვერ ვნახეთ. 9 აგვისტოს გოჩას ტელეფონიდან ვიღაც ოსმა დამირეკა, დამტვრეული ქართულით, რომ ვკითხე ცოცხალია-მეთქი? მიპასუხა, რომ გოჩას თავს მოაჭრიან. მე გაშეშებული ვუსმენდი, ის კი იქედან შეურაცხყოფას მაყენებდა. თან ისიც მითხრა, მალე საქართველოს გავთელავთო. ილანძღებოდა, სანამ ტელეფონი არ გაეთიშა. მხოლოდ მოგვიანებით, 8 თვის შემდეგ, დნმ-ის ანალიზის შედეგად გავარკვიეთ მისი დაღუპვა. გაგებისთანევე გადმოვასვენეთ და მეორე დღესვე დავასაფლავეთ ჩვენი სოფლის სასაფლაოზე.

ჩვენთვის დღემდე გაუგებარია, რა ვითარებაში დაიღუპა გოჩა. მეთაურისგან ვიცით, რომ ცხინვალის მისადგომებთან, წინა ხაზზე იყვნენ და იქ თავისი მეთაურის ძებნის დროს დაიღუპა. ეს არის ის, რაც ვიცით. უამრავი ხალხი მოვიდა გასვენებაში. ის ხომ ყველას ძალიან უყვარდა. იმ სკოლაში, სადაც სწავლობდა, გოჩას სახელის უკვდავსაყოფად, მისი ბიუსტია გაკეთებული.“

გოჩა დანელია წარმატებული მოსწავლე და სამაგალითო სტუდენტი ყოფილა. წითელ დიპლომზე დაუმთავრებია საბაზო ეკონომოკის და სამართლის ინსტიტუტის სრული კურსი. სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, პირდაპირ კონტრაქტს მოაწერა ხელი, უამრავი ჯილდო და მადლობის წერილი ინახება დღეს გოჩას ოჯახში.

კაპრალი

ვლადიმერ დავითაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1989 - 2008

ბიორგობა დღეს – 6 მაისს დაიბადა 1989-ში. სოფელში „ვოლკს“ ეძახდნენ, ჯარში – „ბირთვისელს“. ჯანღონით სავსე იყო. ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი.

ყველაფერს ასწრებდა: კარგად სწავლასაც, ცურვასაც, ჯირითსაც, კარატეში ვარჯიშსაც, შრომასაც...

9 კლასი ისე დაამთავრა, სამიანი არ გამოჰყოლია. მერე მოუსვენარი გამხდარა...

კარგად ცურავდა. მთელ ზაფხულს ალგეთის წყალსაცავზე ატარებდა.

ცხენზე ჯირითი უყვარდა. ხშირად აკითხავდა პაპას მანგლისში და დააქროლებდა ბედაურებს.

ხალისით მიჰყვებოდა ტურისტებს ბირთვისის ციხეზე, გიდის მაგიერ, და სიამაყით აცნობდა მშობლიურ მხარეს. უყვარდა მშობლიური სოფელი, მაგრამ გული თბილისში ცხოვრებისკენ უწევდა...

სამხედრო საქმე მოსწონდა და აპირებდა კიდეც, სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. 18 წლის გახდა თუ არა, ჯარში გაიწვიეს. წავიდა და მხედრული ვალი რომ მოიხადა, ჯარში დარჩენა გადაწყვიტა. დედას არ უნდოდა ისევ ჯარში გაშვება. მან მაინც გააფორმა კონტრაქტი სამშობლოსთან – ჯარის ცხოვრობა მოსწონდა ძალიან.

ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა ოცმეთაურად – სულ ათი თვე.... ერაყში წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ...

შეყვარებული ჰყავდა, უცნაურად გაცნობილი გოგო. ჯარში ამერიკული იარაღი რომ დაურიგეს, იმ იარაღზე ნომერი ეწერა, ჯარისკაცმა ტელეფონზე ის ნომერი აკრიფა... ლაშა იკითხა სასხვათაშორისოდ... გოგონამ უპასუხა. ცოტა ხანში ისევ დარეკა და გოგონას გაცნობა შესთავაზა...

ექვსი თვე უყვარდათ ერთმანეთი. დედასაც უთხრა - გაგაცნობო. ერაყიდან დაბრუნებამდე დაოჯახებას არ აპირებდა. ყოველ შემთხვევაში, შინ ასე ამბობდა, მაგრამ...

7 აგვისტოს, გამთენიისას, ვიდრე ომში წავიდოდა, გოგონას დაურეკა – „თუ ცოცხალი დავბრუნდი, ცოლად უნდა მოგიყვანოო“.

გოგონა ატირდა. ბიჭი გაუბრაზდა – ნუ ტირი, თორემ აღარ დაგირეკავო...

ღამით თავისი უმცროსი ძმის ოთახში შევიდა. მის საწოლთან ჩაიმუხლა. თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა – შენ რომ ვინმემ რამე დაგიშაოს, არ ვიცი რას ვუზამ...

მერე დის ოთახში შევიდა. დასაც მოეფერა, აკოცა.

ოთახიდან გამოსულმა დედა დაინახა, რომელიც თვალს ადევნებდა. უკვე დიდი ვარ, არაფერს დავაშავებო. გულში ჩაიკრა დედა, აკოცა და დაიძინა.

ეს ომამდე ერთი კვირით ადრე ხდებოდა. ბოლოს შინიდან 3 აგვისტოს გავიდა. ოჯახის მანქანა გაფუჭებული იყო, მეზობლის ბიჭს სთხოვა სამარშრუტო ტაქსამდე მიყვანა. მისი თანდასწრებით დედისთვის კოცნა მოერიდა, ხელი დაუქნია მხოლოდ. არადა, კოცნით ემშვიდობებოდა სულ. ხელი დაუქნია და წავიდა...

შინ 5 აგვისტოსაც დარეკა, 6 აგვისტოსაც... დედას დაღონებული ეჩვენა. „არაფერი არ მიჭირს, გეჩვენება“ – დაამშვიდა დედა.

7 აგვისტოს წავიდა ომში. შინ არც კი დაურეკავს – „ჩემებს ვერ ვეტყვი, ომში რომ მივდივარ“... ტელეფონი ჩააბარა და წავიდა...

ომის დაწყებით თავზარდაცემული დედა რეკავდა... ბიჭს ტელეფონი გათიშული ჰქონდა. რეკავდა მის მეგობრებთან, ზოგს გათიშული ჰქონდა, ზოგთან არ გადიოდა... დედა ყველასთან კითხულობდა მის ამბავს, ვერაფერს იგებდა...

შვილი ამ დროს გააფთრებით, უშიშრად იბრძოდა ცხინვალში.

მეზობელ სოფელში ჯარისკაცი დაბრუნდა ომიდან, ის ჯარისკაცი ეტყვის, ბიჭის დედას, რომ ბოლოს 8 აგვისტოს ნახა, როცა ტყეში ისვენებდნენ.

ოჯახი ყველგან ეძებდა. დაჭრილებში, ყველგან შვილის სურათებს არიგებდა, შვილის ამბავს ეკითხებოდა. ბიჭებმა რომ ვაზიანში იწყეს დაბრუნება, დედა ვაზიანში მივიდა. ყველა მომავალ მანქანას წინ უდგებოდა, შვილს ეძებდა სისხლსა და ჭუჭყში ამოსვრილ ჯარისკაცებში. გარჩევა ჭირდა, უკუნი ღამე იყო.

დედა იდგა და იძახდა - „დავითაშვილი“, იმედი ჰქონდა, ლადო თავის გვარს რომ გაიგონებდა, გამოეხმაურებოდა დედას. დედას ამშვიდებდნენ, მათი ბატალიონი უკან მოდისო. არადა, ყველამ იცოდა, რომ...

12 აგვისტოს ღამე იყო... ის იყო ინათა... ვაზიანში 41-ე ბატალიონი ბრუნდებოდა, „ბირთვისელის“ ბატალიონი... ძალიან ცოტანი ისხდნენ მანქანაში.

დედამ დაიძახა - „დავითაშვილი“!!!

ყველამ თავი დახარა.

დედა მიხვდა, რომ მისი შვილი ამქვეყნად აღარ იყო...

ოცმეთაურის დედამ შინ ოცეულის სია იპოვა ტელეფონებით. ყველასთან რეკავდა. არავინ პასუხობდა. ბოლოს ერთმა უპასუხა – თორნიკე გადელიამ. დავითაშვილის ამბავი ჰკითხა. ჯარისკაცმა იუარა, არაფერი ვიციო.

„როგორ თუ არ იცი? თქვენი სერჟანტი იყო და მიგატოვათ?! – აღმოხდა დედას.

არადა ზუსტად იცოდა დედამ თავისი გაზრდილი შვილის ამბავი – მის გვერდით მისი მეგობარი რომ მოეკლათ, ის, არც ტყვიას აარიდებდა თავს და არც თავის გადარჩენაზე იზრუნებდა.

შემდეგ უკვე მამა, ძმა, ბიძა ურეკავდნენ ჯარისკაც გადელიას. უხსნიდნენ, რომ თუ რამე იცოდა უნდა ეთქვა.

ჯარისკაცმა ისღა თქვა – „ტელეფონში ვერაფერს გეტყვით, ნორიოში ვართ და აქ მობრძანდით...“

ნორიოში წავიდნენ - თორნიკეს სანახავად. ჯარის ბიჭები იყვნენ ერთად – ტირილისგან დასიებული თვალებით. თორნიკე ხმას ვერ იღებდა. სხვა ლაპარაკობდა... მათ ნახეს როგორ აფეთქდა „ბირთვისელი“...

ალყაში მოუმწყვდევიათ და ტანკიდან უსვრიათ...

ეს, 9 აგვისტოს, შუადღეს მომხდარა.

დარწმუნდნენ, რომ ლადო აღარ იყო ამქვეყნად.

დედამ ბოლოს 26 აგვისტოს, გადმოსვენებულ ბიჭებში მიაკვლია თავის ბიჭს.

ბიჭს საბუთები თან ჰქონდა.

47 კუბო იდგა. მხოლოდ ერთს ჰქონდა მიკრული შავი ვარდი...

იქ „ბირთვისელი“ ესვენა.

დედამ დღემდე არ იცის საიდან გაჩნდა ის შავი ვარდი მისი ვაჟის კუბოზე.

მარიამობას სოფელში გადაასვენეს...

ვლადიმერ დავითაშვილი 19 წლის იყო.

სერჟანტი

ნოდარ დევნოზაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1967 - 2008

წუთი-წუთზე ბრძანებას ელოდა, კოპიტნარში რომ წასულიყო დაჭრილების წამოსაყვანად, როცა მტერმა მარნეულის დაბომბვა დაიწყო და... თავად გახდა საავადმყოფოში გადასაყვანი...

ნოდარ დევნოზაშვილი 1967 წელს მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა, ბოლნისის რაიონში, სოფელ რატევანში. ოჯახში 4 შვილი იზრდებოდა.

რვა კლასი რატევანის სკოლაში დაამთავრა, სწავლის გაგრძელება აღარ უფიქრია, მართვის მოწმობა აიღო. მალე ჯარშიც გაიწვიეს და 2 წელი მონღოლეთში მსახურობდა. 25 წლის იყო თავის მომავალი მეუღლე რომ გაიცნო.

ლალი ღარიბაშვილი, მეუღლე: „ნოდარი ჩემი მამიდაშვილის ოჯახში გავიცანი, მისი ძმაკაცი იყო. ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო, პირველი დანახვისთანავე მოვწონებივარ... მერე ყოველდღე მაკითხავდა დმანისში, „06“ მარკის ჟიგული ჰყავდა, თავისი შრომით შეძენილი... გაცნობიდან 6 თვის შემდეგ დავქორწინდით...“

პირველად გოგონა შეეძინათ, შემდეგ ორი ვაჟი.

„მნიშვნელობას არ ანიჭებდა პირველი ბიჭი შეგვეძინებოდა თუ გოგო... გოგოზე ამბობდა, აქვე, ჩვენ სოფელში უნდა გავათხოვოო, ბიჭებიც გვერდში უნდა ვიყოლიოო... ძალიან თბილი და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვებთან, არ მახსოვს მათთვის დაეყვიროს. ძალიან უნდოდა მესამე შვილის ყოლა. ძალიან გაიხარა, რომ შეგვეძინა, ამბობდა ჭიდაობაზე უნდა შევიყვანოო, მოჭიდავე უნდა გავხადოო... მამამისი გაიღვიძებდა თუ არა, პატარა ბიჭიც წამოხტებოდა, რომ მანქანაში ჩახტომოდა...

ბავშვობიდან უნდოდა ჯარში მუშაობა. ოცნება ჰქონდა, ჯარის ფორმით ევლო, მაგრამ მე ძალიან ვუშლიდი ჯარში შესვლას. 3 შვილი მყავდა და არ მინდოდა ჯარში ყოფილიყო... ახლობელს სთხოვა დახმარება, შემოვალ ჯარში, რაღაც დაძაბულობაა და რა იცი, რაში გამოვადგე ქვეყანასო... 2007 წლის დეკემბრიდან წავიდა ჯარში სამუშაოდ... ბოლნისის სამხედრო ნაწილის მძღოლი იყო. ბოლოს, სიტუაცია რომ დაიძაბა, სახლში თითქმის ვეღარ მოდიოდა, სულ ბაზაზე იყო...

6 აგვისტოს ჩემი დაბადების დღეა. დედაჩემმა დაგვპატიჟა, ჩემთან მოდით, მე გადაგიხდიო... ნოდარი სამსახურიდან მოვიდა, მომილოცა, მერე დედაჩემთან წავედით... ღამის 3 საათზე გამოიძახეს. რომ გადიოდა თქვა, ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდაო. ჩავეკითხე, რა-მეთქი, არაფერიო, მითხრა და გავიდა... 7 აგვისტოს ვურეკავდი, გამორთული ჰქონდა, თანამშრომლებთან დავიწყე რეკვა, ყველას გამორთული ჰქონდათ... მერე ჩვენს მეზობელთან, თავის თანამშრომლის შვილთან დარეკა, გადადი ჩემს ცოლს უთხარი, საჭმელი მომიმზადოს, ჩამოვალ და წავიღებო... მოვუმზადე, მართლაც ერთ საათში მოვიდა, საღამოს 5-6 საათი იქნებოდა, რომ ვკითხე, ხომ მშვიდობაა-მეთქი, არაფერი მიპასუხა, ფული დამიტოვა და წავიდა... 8 აგვისტოს დილით დავურეკე, მარნეულში ვარ, კოპიტნარში უნდა წავიდე და არ დამირეკო, თვითონ დაგირეკავო. მას მერე ვეღარ დავუკავშირდი... “

ლალიმ მერე ტელევიზიიდან გაიგო, რომ მარნეულის ბაზა დაიბომბა, მაგრამ გულს არ გაიკარა, იმედს ჩაებღაუჭა, რომ ამ დროს მისი მეუღლე კოპიტნარში იქნებოდა წასული უკვე... არადა ჯერაც მარნეულში იყო, მისი მანქანა თვითმფრინავებთან მდგარა. ბრძანებას ელოდა, რომ კოპიტნარში წასულიყო. მანქანაში იჯდა. ერთ-ერთ ჯარისკაცს უთქვამს, გადმოდი, ვაზიანი დაუბომბავთ, ჩვენც არ დაგვბომბონო. არ გადმოსულა...

ლალი: „ბომბი იყო მანქანაზე დაცემული... ეტყობა კარი ჰქონდა ღია, აფეთქებას გარეთ გადმოუგდია, მანქანა მთლიანად დაიწვა...

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა ეს რომ გავიგე... მთელმა სოფელმა იცოდა ეს ამბავი, მაგრამ მიმალავდნენ, არაფერს მეუბნებოდნენ, თვითონ მივხვდი... 9 აგვისტოს დილას გადმოვასვენეთ...

40 წლის იყო რომ გარდაიცვალა, ძალიან გვიჭირს უმისოდ ყოფნა...“

უმცროსი სერჟანტი

ზურაბ ეფაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1982 - 2008

8 აგვისტოს საავიაციო აფეთქებისას დაიღუპა - ცხინვალის მისადგომებთან. ზურაბ ეფაძე მტრის ტყვიას შეეწირა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა შორის.

ავთანდილ ეფაძე, მამა: „6 აგვისტოს გამოიძახეს. არ იცოდა რა ხდებოდა, მაგრამ რომც სცოდნოდა, უკან მაინც არ დაიხევდა, ისეთი ბიჭი იყო. იმ დღეს ჩავიდა ქუთაისის ბაზაში და მეორე დილით კი გადაიყვანეს. დაურეკავს ძმისთვის და ასე უთქვამს, გადავყავართო და დედას არაფერი უთხრათო. ზურას, რადგან სადაზღვევოში იყო, ტელეფონით სარგებლობა არ შეეძლო, ტელეფონი ანათებს, ეს კი დაუშვებელია. ძმისთვის უთქვამს, ნუღარ დამიკავშირდებით მე თვითონ დაგირეკავთო. ეს 7 აგვისტოს საღამოს უთხრა. 8 აგვისტოს კი ცაგერში მოსულა ამბავი, ზურა ეფაძის დაღუპვის შესახებ. მე მითხრეს დაჭრილი არისო და მოგვყავსო, მაგრამ სოფელში შეგროვილი ხალხი რომ დავინახე, მივხვდი რაშიც იყო საქმე... როგორც შემდეგ გავიგე, 8 აგვისტოს საავიაციო დაბომბვისას დაიღუპა - ცხინვალის მისადგომებთან. მტრის ტყვიას შეეწირა ჩემი შვილი. ჟეტონის საშუალებით ამოიცნეს. მეგობრებისგან ვიცი, თურმე ჯარში ზურა ყოფილა ყველას პატრონი. ამბობენ, ჭკუას გვარიგებდა და გვპატრონობდა ხოლმეო. მეამაყება, რომ ასეთი შვილი მყავდა.

ზურა მოსიყვარულე ადამიანი იყო. ყველა უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით - დედა. ჩემი მეუღლე ცოტა წნევიანი იყო და ამის გამოც სულ დედას კითხულობდა. როცა დარეკავდა პირველი დედას მოიკითხავდა. მისთვის ყოველთვის წამლები მოჰქონდა. ჩვენ, მართალია, ყურადღებას არ ვაკლებდით ჩემ მეუღლეს, მაგრამ ასეთი იყო თვითონ. დედამისს ძალიან გაუჭირდა მის დაღუპვასთან შეგუება. ზურას გარდაცვალებიდან 6 თვეში, დამბლა დაემართა.

ვიცოდით, რომ შეყვარებული ჰყავდა, თამუნა ერქვა, მეუბნებოდა ცოლად უნდა მოვიყვანოო, მაგრამ არ დასცალდა. სპორტი უყვარდა ძალიან, და მანქანები, „მერსედესი“ ჰყავდა, მაგრამ სულ ჯარში იყო და ხშირად ვერ მართავდა. ძალიან დაგვაკლდა ყველას, ჩემი მეორე ბიჭი, მირიანი, ახლა ფრთამოტეხილივით არის, ზურა მისი ერთადერთი დასაყრდენი და იმედი იყო.“

ზურაბ ეფაძე 1982 წლის 17 მაისს ცაგერის რაიონ სოფელ ჩხუტელში დაიბადა. სოფელში დაამთავრა საშუალო სკოლა. მამა იხსენებს, რომ ყველაზე მეტად სამხედრო აკადემიაში სწავლა უნდოდა.

ავთანდილ ეფაძე, მამა: „სკოლა რომ დაამთავრა, ერთი წელი სახლში იყო. სწავლა არ გაუგრძელებია. მერე სამხედრო სავალდებულო ჯარში გამოიძახეს. წელიწადნახევარი იმსახურა და 2004 წელს საკონტრაქტოს მოაწერა ხელი. მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ არ დამიჯერა და წავიდა კიდევაც. ქუთაისის სამხედრო ბაზის მეოთხე ბრიგადაში, ოცმეთაურად მსახურობდა. მზვერავი იყო, სერჟანტის წოდებით. 2007 წელს სამშვიდობო მისიით წაიყვანეს ერაყში, სადაც 8 თვე იმსახურა. იქედან ყველას საჩუქრები ჩამოგვიტანა. დიპლომი და სერტიფიკატი ჩამოიტანა. სიცოცხლეშივე მიღებული აქვს სამხედრო ჯილდოები.“

სოფელ ჩხუტელში, სკოლა, რომელიც ზურაბ ეფაძემ დაამთავრა, დღეს მის სახელს ატარებს.

უმცროსი სერჟანტი

ფრიდონ ბრეგაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

რუსულმა ავიაციამ სოფელ ნიქოზზე მიიტანა იერიში. ფრიდონ ბრეგაძის ბატალიონი ქართულ პოზიციებს ამაგრებდა. 5 ქართველი მეომარი დაიღუპა დაბომვის დროს, ბრეგაძე მათ შორის იყო. ის გმირულად დაეცა სამშობლოს სადარაჯოზე. დღეს მის ისტორიას მეომარი ძმა იხსენებს, რომელიც ერთადერთ იმედად დარჩა ოჯახს.

კოტე ბრეგაძე, ძმა: „მე ვაზიანის ჯარში ვმსახურობ. 2008 წლის ივლისში, ორი თვე, შვებულებით ვიყავით ჩამოსულები სოფელში. ორივე გამოგვიძახეს. ჩვენ-ჩვენ ბაზებში წავედით. კარგად ვიცოდით სადაც გვიწევდა წასვლა, ვიცოდით, რომ ომი დაიწყო... მე პირველივე დღეს დავიჭერი, ფრიდონი კარგად იყო. ყოველ შემთხვევაში ასე მეუბნებოდა. ამ დროს ჩემი ძმა ნიქოზში იყო. 8 აგვისტოს დავუკავშირდით, და მითხრა, - გამოვდივარ სამშვიდობოს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერ მოახერხა, მამისთვისაც დაურეკავს, კარგად ვარო. 9-10 აგვისტოს ველარ დავ-უკავშირდი. 11 აგვისტოს თბილისში ჰოსპიტალში ვიწექი, დაჭრილი ვიყავი. მეგობარმა დამირეკა, მითხრა, რომ ჩემი ძმა დაიღუპა შეტაკებისას და გორში გადაასვენეს. ტყიბულში ჩამოვასვენეთ 15 აგვისტოს...“

ორივე ობლობაში გაიზარდა, ბიჭებს დეიდა ზრდიდა, დედის სითბოს მოკლებულებს, სამშობლოს სიყვარულს სწორედ დეიდა უნერგავდა.

კოტე ბრეგაძე, ძმა: „დედა ადრე გარდაგვეცვალა. ჩემი ძმა ამას ძალიან განიცდიდა... იცით, მიჭირს მისი ბავშვობის შესახებ რაიმეს თქმა. დედის დაღუპვის შემდეგ, ძირითადად დეიდა გვზრდიდა, და ის უყვარდა განსაკუთრებით. ჩვენ ძმებს, კარგი, თბილი ურთიერთობა გვქონდა, ხშირად ვსაუბრობდით ჯარის შესახებ, ფრიდონი მოწოდებით მეომარი იყო.

ჩვენ, ბოლო 4 წელი, იშვიათად ვნახულობდით ერთმანეთს, ორივე ჯარში ვიყავით და ამიტომ იშვიათად გვიწევდა ერთად ყოფნა. დიდი საერთო სამეგობრო გვყავდა. ძალიან უყვარდა ყველას. სული არ ენანებოდა მათთვის.“

ძმამ გადმოცემით იცის რა მოხდა ნიქოზში, მისთვის მტკივნეულია ამ თემაზე საუბარი, თუმცა ისიც მეომარია და ძალას იკრებს.

კოტე ბრეგაძე, ძმა: „ნიქოზში დაბომბვა მოხდა. სწორედ ამ საავიაციო დაბომბვაში მოყვა. პატარა შენობა ყოფილა, რომ გაუგიათ საჰაერო დაბომბვა იყო მოსალოდნელი ამ შენობაში გადაუწყვეტიათ თავის შეფარება, ნაწილი შესულა და ნაწილს კი ვერ მოუსწრია. შენობას ბომბი რომ დაეცა, ჩემი ძმა იქ იყო. 5 ბიჭი დაიღუპა...“

1987 წლის 4 დეკემბერს დაიბადა, ტყიბულში დღეს ფრიდონის სახელობის ქუჩაა, მის მშობლიურ სოფელში კი, გმირის სახელობის სპორტული მოედანია გახსნილი. მედალი მხედრული მამაცობისთვის ფრიდონ ბრეგაძის ოჯახში ინახება.

B-17

უმცროსი სერჟანტი

ილია გაბუნია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1975 - 2008

ეს გმირია, რომელიც შინდისის მიწაზე დაეცა. მტრის ალყას თავი ვერ დააღწია და საუკუნოდ შეუერთდა საქართველოსთვის თავდადებული გმირების რიგებს. ოჯახი დღეს მისთვის ლოცულობს, „ვნატრობ იმ დღეს, როცა იმერში გადავინაცვლებ და ჩავეკონები ჩემს მოუსიყვარულებლად დაღუპულ შვილს, ილოს“ - გმირის დედა შვილთან შეხვედრას ელოდება.

თეა ოქროპირაშვილი, მეუღლე: „გვეუბნებოდა ომში არ ვარო. 8 აგვისტოს დამირეკა და ისევ მომატყუა, კარგად ვარო. ბოლოს კი 11 აგვისტოს დავუკავშირდით და ვკითხე სად იყო, მითხრა: გორში ვართ, ბრძანებას ველოდებით და სამშვიდობოს გამოვდივართო. ამის შემდეგ არაფერი ვიცოდი.

როგორც გვითხრეს, 11 აგვისტოს მტრის ალყაში მოექცნენ შინდისში, ვერ გამოსულან, სწორედ მაშინ არის დაღუპული. ილია შინდისში იპოვეს გარდაცვლილი. მისი გადმოსვენება პატრიარქის დახმარებით მოხდა. 17 აგვისტოს ჩამოვასვენეთ და საღამოსვე წესის აგებით დავასაფლავეთ.

ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო ამის გაგება. როცა მოგვენატრება, მაშინ დიდ დარდთან, ყოველი ნუგეში ამაოა.“

ილია გაბუნია 1975 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა გორაში დაიბადა. ოჯახს ეიმედებოდა, ისიც ყოველთვის გვერდში ედგა, შრომისმოყვარე ყოფილა, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდაო, იხსენებს მეუღლე.

თეა ოქროპირაშვილი, მეუღლე: „საქართველოს ისტორია ჰყვარებია. მეფეთა საგმირო ამბები იტაცებდა თურმე. სკოლის დამთავრების შემდეგ გაუწვევიათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ქუთაისში გაუვლია სავალდებულო სამსახური. იქ მოწინავე ჯარისკაცის სახელი ჰქონდა. 2008 წელს კონტრაქტს მოაწერა ხელი. ყველა ვუშლიდით, მაგრამ მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. სენაკის საინჟინრო ბატალიონში მოხვდა. კონტრაქტის გაფორმებიდან კი 4 თვეში ეს უბედურება დაგვატყდა თავს.

1997 წელს დავოჯახდით სიყვარულით, სამი შვილი გვყავს. ძალიან თბილი და მოსიყვარულე მეუღლე და მამა იყო. “

ობლად დარჩენილ შვილებს, მამის გარეშე ცხოვრება უჭირთ, დედა ამხნევებს შვილებს, ხშირად ახსენებს მათ, რომ გმირი მამის შვილების საპატიო წოდება აქვთ.

კაპრალი

გიორგი შაინიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.



1982 - 2008

ეტერს ზემო ნიქოზიდან უტევდა. ოცეული ახალ პოზიციას იკავებდა. გიორგი შაინიძე მეტყვიამფრქვევის უკან მიდიოდა. სწორედ მეტყვიამფრქვევისთვის გამიზნულ ტყვიას ემსხვერპლა _ უცებ, სნაიპერმა სროლა დაიწყო, სამიზნეზე მეტყვიამფრქვევე ჰყავდა ამოღებული, მეტყვიამფრქვევემ გვერდით გადახტომა მოასწრო და ტყვია შაინიძეს მოხვდა.

ჯარისკაცმა გიორგი შაინიძემ, 3 აგვისტოს, ირინა მიქელაძე დანიშნა. ბანკიდან კრედიტი გამოიტანა ქორწილისთვის, დედას ჩააბარა - „დედი, აბა შენ მიხედე საქმეს, მე არ მცალია ამ ყველაფრისთვისო...“

შინიდან ბოლოს 7 აგვისტოს გავიდა _ ომში წავიდა. დედას უმალავდა...

„დედი, ირინას უთხარი კვირას ჩამოვალ და საქორწინო კაბის საყიდლად წავალთო...“

სნაიპერის ერთმა ტყვიამ ქორწილი ჩაშალა.

გიორგი შაინიძე 26 წლის იყო...

გიორგი შაინიძე 1982 წლის 19 იანვარს დაიბადა, ქობულეთის რაიონის სოფელ ოჩხამურში. თმახუჭუჭა იყო და მშვიდი, მეგობრებმაც „ბარაშკა“ დაარქვეს. უყვარდა მუსიკა, ხელოვნება... 9 კლასი ოჩხამურში დაამთავრა. სწავლა აღარ გაუგრძელებია. ჯარში გაწვევას ელოდა, რომ არ გაიწვიეს, თავად მიაკითხა კომისარიატს და სავალდებულო სამსახურის გავლა მოითხოვა. 2000 წელს გაიწვიეს, კარანტინის გავლის შემდეგ წელიწადნახევარი ახლადჩამოყალიბებულ სასაზღვრო ჯარში იმსახურა.

ჯარმოვლილი სოფელს დაუბრუნდა, მაგრამ გული ისევ ჯარისკენ უწევდა და 2003 წელს კონტრაქტი გააფორმა და კომანდოს ბატალიონში ჩაირიცხა.

მანანა შაინიძე, დედა: „დიდი სიხარულით წავიდა საკონტრაქტო სამსახურში. ყველაფერს ადვილად ითვისებდა. 2004-2005 წლებში მათი ბატალიონი გერმანიაში გადიოდა მომზადების კურსებს. ძალიან კმაყოფილი იყო. მერე გაიგო, რომ ერაყში უშვებდნენ და ძალიან იყო დაინტერესებული. 6 თვე იყო კიდეც ერაყში, ხშირად გვირეკავდა ერაყიდან და გვიყვებოდა იქაურ ამბებს.“

ერაყიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი აჭარაში, ადილიის ბატალიონში გადაიყვანეს. ოცნებობდა სამხედრო კარიერის გაგრძელებაზე. უნდოდა ავღანეთის სამშიდობო მისიაში მიეღო მონაწილეობა, კონტრაქტს ვადა ეწურებოდა და ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა. მაგრამ ომმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

დედა: „შვიდ აგვისტოს სახლიდან რომ ვაცილებდი, ამეტირა, გული ცუდს მიგრძნობდა... არაფერი უთქვამს წასვლის წინ, ისიც არ ვიცოდით განგაში თუ იყო გამოცხადებული. საღამოს ჩემმა ქალიშვილმა დაურეკა: კატო, გორში ვარ, მაგრამ დედას არ უთხრაო, უთქვამს. შემდეგ მე გამოვართვი ტელეფონი და ვკითხე სად ხარ, რატომ არაფერს არ მეუბნები-მეთქი, სწავლებებზე ვართ, ირინას უთხარი, რომ კვირას ჩამოვალ და საქორწინო კაბას ერთად შევარჩევთო. ბოლომდე მიმალავდა, რომ ომი დაიწყო... ომის დაწყება ტელევიზიით გავიგეთ... ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ჯარიდან ჩამოვიდა, მეგობრებთან ერთად იყო გვიან ღამემდე. ვუთხარი, დედა, ხვალ ადრე ხარ წასასვლელი, წამოდი სახლში-მეთქი. გამიბრაზდა, დედა, ისეთი სამსახური მაქვს, შეიძლება ნებისმიერ წუთს სიცოცხლე დავამთავრო და რატომ მიშლი მეგობრებთან ყოფნასო. გული დამეწვა ეს რომ მითხრა, მინდოდა ჩავხუტებოდი და ბოდიში მომეხადა მისთვის. ბოლო პერიოდში შეცვლილი იყო, ძალიან მოსიყვარულე გახდა ყველას გვეფერებოდა, ალბად, გრძნობდა ყველაფერს...

მოუთმენლად ელოდა საკუთარ ქორწილს, ხშირად რეკავდა საცოლესთანაც. ქორწილი 26 აგვისტოს გვქონდა დანიშნული, ქორწილისთვის ყველაფერი მზად იყო, ყოველწუთს გვირეკავდა და გვეკითხებოდა, როგორაა ამბებიო. დარბაზიც ვიქირავეთ, ნათესავებს, მეგობრებს და ოჯახის ყველა ახლობელს მოსაწვევები გავუგზავნეთ... ბოლოს, 8 აგვისტოს ღამის ორ საათზე ირინასთან დაურეკავს, ირინა ნერვიულობდა, ის ამშვიდებდა, სანერვიულო არაფერიაო, უთქვამს დედას დავურეკავ ახლაო, მაგრამ აღარ დაურეკავს... ეტყობა ვეღარ მოასწრო...“

დედას უმალავდნენ შვილის დაღუპვას. მეორე დილითღა შეაპარეს მეზობლებმა, რომ გიორგი ფეხში იყო დაჭრილი. დედა მიხვდა, რომ შვილი აღარ ჰყავდა...

„ვუთხარი, ჩემი შვილი ფეხში დაჭრილი კი არა, საერთოდ რომ ვერ ლაპარაკობდეს, ამბავს მაინც გამაგებინებდა და მეტყოდა, რომ კარგად არის, ალბათ, მკვდარია-მეთქი... ვტიროდი...

ბიჭებს მაშინვე გამოუყვანიათ ბრძოლის ველიდან. პარასკევს დაიღუპა. ჰოსპიტალში იყო დასვენებული, კვირას დილით წავიდნენ და ორ საათზე ჩამოასვენეს... ძალიან მიჭირს მის გარეშე ცხოვრება, ცოცხალი რომ ყოფილიყო ჩემი შვილი, უბედნიერესი ვიქნებოდი, ექნებოდა ულამაზესი ოჯახი და იცხოვრებდა ბედნიერად. ომის სიმწარე საკუთარ თავზე ვიწვნიე და ვიცი რას გრძნობენ ჩვენი დაღუპული ბიჭების დედები, მეუღლეები, შვილები, მეგობრები... ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვამშვიდებს, ჩვენი შვილები ღირსეულად, ვაჟკაცურად აღესრულნენ. მათ ჩვენი ქვეყნის ერთიანობას შესწირეს თავი, ჩვენი ქვეყნის მომავალს. ესაა ჩვენი ერთადერთი ნუგეში...“

C/C-2

კაპრალი

გიგა გოგორიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ეს ბრძოლის ველიდან ცოცხალი გამოვიდა, რუსულ აგრესიას მაინც ვერ გადაურჩა. გიგა გოგორიშვილი მაშინ დაიღუპა, როცა მისი ბატალიონი თბილისის გასამაგრებლად მოდიოდა.

შემოდგომით ქორწილს აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა...

გიგა გოგორიშვილი 1987 წელს დაიბადა ქუთაისში. ოჯახში პირველი შვილი იყო, მალე ძმაც შეეძინა.

მამა იტყვის, რომ გიგა სხვებისგან პატიოსნებით გამოირჩეოდა.

ტიტე გოგორიშვილი, მამა: „გამორჩეული იყო პატიოსნებით და ადამიანობით. ვერ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ გიგამ რაიმე დაუშავა. სკოლაში ჩვეულებრივი მოსწავლე იყო, ოთხები ჰყავდა, ხანდახან – სამებიც... სკოლის დამთავრების შემდეგ, ფარმაცევტული დაამთავრა. სამხედრო ვალი კრწანისში მოიხადა, წელიწადნახევარი მუშაობდა იქ ლაზარეთში. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ვურჩიე, ტყუილად ქუჩაში დგომას, ხელობა ისწავლე და დასაქმდი-მეთქი. არაო, მითხრა, ისევ ჯარში მინდა მუშაობის გაგრძელებაო. მე თვითონ ვეხმარებოდი საბუთების მოგროვებაში... ქუთაისში, მესამე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. თავისი პირველი ხელფასით მუსიკალური ცენტრი იყიდა. ძალიან უყვარდა მუსიკა.“

გიგა გოგორიშვილი მამამ თვითონ მიიყვანა სამხედრო ნაწილში, როცა გამოიძახეს.

მამა: „ღამის 3 საათზე ავიყვანე ნაწილში. ნაწილთან რომ მივედით, ვუთხარი, აბა, ჭკუით იყავი-მეთქი და მოიცა-მოიცა, გაკოცებო, მითხრა და ის იყო და ის... ტელეფონით ხშირად ვესაუბრებოდი. ახლა, მის ტელეფონს მე ვხმარობ... ომში რომ იყო, იქიდან მეუბნებოდა ტელეფონით, ეტყობა გული უგრძნობდა: „მამა, შენ მეორე შვილი გყავს, მე ნუ დამელოდებიო“. როდესაც თბილისის გამაგრების ბრძანება გაიცა, ნორიოს საწვრთნელ ბაზაზე იყვნენ. შემდეგ გორში გააგზავნეს საჯარისო ნაწილებისთვის პროდუქტებისა და მედიკამენტების დასარიგებლად. გორში ჩამოვიდნენ, ყველაფერი დაარიგეს უკან ბრუნდებოდნენ, საღამოს 8 საათი იყო, ნატახტრის ტეკსა და მცხეთის ასახვევს შორის შეჩერდა კოლონა, გამცილებელს ელოდნენ. ჩემი ბიჭი მანქანის დასათვალიერებლად გადმოვიდა, შეამოწმა, მანქანაზე მსხდომი ბიჭებისთვის წყალი გამოურთმევია... სწორედ ამ დროს დაიღუპა გიგა. ეს მოხდა 13 აგვისტოს, მე 14 აგვისტოს გავიგე, გამთენიისას, ჩემი შვილის მეგობრისგან... თბილისიდან ჩემმა ნათესავებმა ჩამოასვენეს... 21 წლის იყო. სექტემბერში ცოლი უნდა მოეყვანა, მაგრამ არ დასცალდა. არ ვიცი ამ ბავშვმა საიდან მოასწრო ამდენი, ყველასთან ყველაფრის ასე გაკეთება, რომ ცა და ქვეყანა ტიროდა მის დაღუპვას... სამხედროში აპირებდა საქმიანობის გაგრძელებას, საოფიცროზე უნდოდა სწავლის გაგრძელება. ჩემში ზის სამხედრო სულიო – ამბობდა...“

კაპრალი

ირაკლი ბაზაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1986 - 2008

8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან დაეცა კაპრალი - ირაკლი ბაზაძე. ჭურვის ანასხლეტი ჰქონდა მოხვედრილი, სხვა მის შესახებ ოჯახმა არაფერი იცის, თვითმხილველები არ არსებობენ.

ომარი ბაზაძე, მამა: „ბოლოს 5 აგვისტოს იყო ჩამოსული ჩვენთან. ომის დაწყების შესახებ, 7 აგვისტოს, თბილისში გავიგე. მაშინვე დავურეკე, მაგრამ არაფერი უთქვამს, კარგად ვარო მიპასუხა. გორი დაბომბვის პერიოდში გამოვიარე და არ ვიცოდი იქ თუ იყო... სულ გვატყუებდა. ბოლოს ძმისთვის უთქვამს, ომში ვარო, ნათესავებსაც ურეკავდა ხოლმე ამა და ამ სოფელში შევედითო. ერთი დღე კონტაქტზე ვერ გავდიოდით. ჩვენ გვეგონა დაჭრილი თუ იყო. ვეძებდით, მაგრამ ამაოდ... მერე თბილისიდან დაგვირეკეს... დნმ-ის ანალიზის შედაგად ერთი თვის მერე გაირკვა, რომ ირაკლი მუხათგვერდში იყო დაკრძალული... ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, თუ რა მოხდა. როგორც ამბობენ, ირაკლი 8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან დაღუპულა. ჭურვის ანასხლეტი ჰქონდა მოხვედრილი.

ირაკლი 1986 წელის 7 ოქტომბერს დაიბადა საჩხერეში. საშუალო სკოლა სოფელ მახათურში დაამთავრა. ზრდილი და ჭკვიანი ახალგაზდრა იყო. სამეგობროში ყველას უყვარდა. მხიარული, ხალისიანი იყო ჩემი შვილი. ძმისგან გამორჩეული იყო ყოველნაირად. კარგი ძმობა ჰქონდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია, სამხედრო სავალდებულო სამსახურში წავიდა. მიჭირს მის ბავშვობაზე საუბარი. ირაკლი ძალიან საყვარელი შვილი იყო. სავალდებულოში ერთი წელი იმსახურა, თბილისში. 2007 წელს მერე იქიდან გადავიდა. გადაწყვეტილება თავისი ნებით მიიღო. ვაზიანის სამხედრო ბაზაში მსახურობდა, მეოთხე ბრიგადის სადაზვერვო ასეულში, რიგით კაპრ-ალად. ჩვენ მაინცდამაინც არ გვინდოდა, მაგრამ თავისი გადაწყვეტელება იყო და... ასე გვითხრა, სადაც ბიჭები არიან, მეც იქ უნდა ვიყოო. ჰოდა, წავიდა კიდევაც. პატრიოტი შვილი მყავდა, ვაჟკაცი. დაღუპვის მერე ჯილდო გადაეცა. ჩვენთვის ძალიან რთული გადასატანია ეს ყველაფერი...“

მამას უჭირს შვილზე საუბარი, თვალები ცრემლით ევსება და ყელში ებჯინება სიტყვა. ძნელია შვილზე წარსულ დროში ილაპარაკო, მიუხედავად იმისა, რომ გმირი გაზარდა, უკვდავყოფილი სახელით.

კაპრალი

მურთაზ ირემაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ეოწინავე პოზიციაზე იბრძოდა, ომის დაწყების პირველივე დღიდან. 9 აგვისტოს კი სნაიპერის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

- სიკვდილზე არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა, ერთმანეთის იმედით და ვაჟკაცური რწმენით ვიბრძოდითო – იხსენებენ თანამებრძოლები, რომლებიც გმირი მეგობრის ხსოვნას უკვდავყოფენ და კვლავ სამშობლოს სამსახურში რჩებიან, მურთაზის გმირობის გასაგრძელებლად.

გურამ ირემაძე, მამა:

„ჩვენ ერთმანეთის მეგობრები ვიყავით. მეხმარებოდა შრომაში, მეც, რაც შემეძლო გვერდით ვედექი, ამ მხრივ გული არ მწყდება. ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობდა, მე ახლა ომში წასასვლელად ვემზადებიო, ერაყში მიდიოდა.

დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ყველგან, სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, მასთან ერთად კონტრაქტით 6 ბიჭი წავიდა.

ასმეთაური, დოლიძე რომ დაიჭრა, უფროსად ჩემი შვილი დანიშნა, მას გადააბარა ყველაფერი თურმე. ჩემი შვილის დაღუპვის შემდეგ, უფრო ახლოს გავეცანი სამხედროების ცხოვრებას. ვიცი რა უჭირთ, რა უხარიათ, რა აწუხებთ. ხშირად გვაქვს შეხვედრები მეოთხე ბრიგადაში, იქ სადაც ჩემი შვილი მსახურობდა. ხშირად მივდივარ ვაზიანში.

6 აგვისტოს იწვა გორის ჰოსპიტალში, ვაზიანიდან გადაიყვანეს. მაღალი სიცხე ჰქონდა. გლანდების ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. 6-ში დამირეკა და შემატყობინა ოპერაციას ვიკეთებო.

მეორე დღეს უკვე ომში იყო, ოპერაცია აღარ გაუკეთებია. სიცხიანი წავიდა საბრძოლველად... ჩვენ ტელეფონთან ვმორიგეობდით, ვურეკავდით ხშირად. გული ცუდს მიგრძნობდა. ჩემს ხელში გაზრდილი იყო, ჩემს გულზე მეწვა. 8 აგვისტოს დარეკა, კარგად ვარო, ცხინვალიდან გამოვედი, გორში ვარო, მომატყუა, პრობლემა არა მაქვს არაფერიო. ვთხოვე, თავს უპატრონე, ხომ იცი, შენს გარდა არავინ მეიმედება-მეთქი... კი, ვიციო, მითხრა, მაგრამ ერთი რამეა, ბიჭები მოგვიკლეს და შური უნდა ვიძიო, არ შევარჩენო. დამემშვიდობა და... სულ ეს იყო...

მურთაზი ყუმბარმტყორცნით იბრძოდა. როკის გვირაბში 4 ტანკი ააფეთქეს.

ჩემი შვილი სნაიპერის ტყვიას მოუკლავს ცხინვალში, 9 აგვისტოს. ჯერ მხარში მოხვედრია ტყვია, წამომდგარა, შემობრუნებულა და ავტომატი მოუმარჯვებია. ამასობაში ზურგიდან კეფაში დაუჭრიათ... ბიჭებო, მომკლესო დაუძახია მეგობრებისთვის. იქ იყო მისი ძმაკაცი, კაპრალი გაგა სირაძე. მან 12 კილომეტრი ზურგით ატარა ჩემი შვილი... ცხინვალიდან თითქმის გორამდე.

ძნელია მის გარეშე ჩემი ყოფა, მაგრამ ვდგავარ ფეხზე, გმირი შვილი გავზარდე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მისი სახელი არ შევარცხვინო.“

მურთაზ ირემაძე 1986 წლის 11 მარტს დაიბადა. 2003 წელს დაამთავრა ჩოხატაურის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. III კურსის დახურვის შემდეგ, მოხალისედ წავიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

2007 წლიდან მსახურობდა კონტრაქტით 41-ე ბატ-ალიონის მე-4–ე ბრიგადაში.

კაპრალი

შმაგი კუპატაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1986 - 2008

ცხინვალიდან გამოდიოდნენ, როცა მტერმა მისი ოცეული ალყაში მოაქცია. შმაგი კუპატაძე, აგრესორთან უთანასწორო ბრძოლაში, გმირულად დაეცა. რუსულმა ავიაციამ იერიში პირიდაპირ მათ პოზიციაზე მიიტანა.

ომის დაწყების ამბავი რომ გაიგეს, ოჯახი აფორიაქდა, ყოველ წუთს ურეკავდნენ შმაგის, რომელიც იმ დროს უკვე მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში იყო ჩართული და მშობლებს უმალავდა. ამბობდა, რომ თბილისში იყო, არ უნდოდა ოჯახს ენერვიულა. 11 აგვისტოს კი ყველას სათითაოდ ესაუბრა, კიდევ ერთხელ დაამშვიდა, კარგად ვარ, უკვე გორისკენ მოვდივართო და... რამდენიმე წუთში აფეთქებაც მოხდა. შმაგი ადგილზე გარდაიცვალა. ოჯახი დიდხანს ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ კონტაქტი უკვე გაწყვეტილი იყო. არ იციან რა ვითარებაში დაკარგეს შვილი, მხოლოდ დეენემის პასუხი აქვთ. 17 აგვისტოს გადაასვენეს და სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს, სოფლის, რომელიც შმაგის ძალიან უყვარდა.

შმაგი კუპატაძე ჭიათურაში 1986 წლის 11 სექტემბერს დაიბადა. საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა. უმაღლესში სწავლა არ გაუგრძელებია. სამხედრო საქმე იზიდავდა და კარიერის გაგრძელებაც ამ მიმართულებით გადაწყვიტა. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, 2007 წელს საკონტრაქტო სამსახურს მოაწერა ხელი. სენაკის სამხედრო ბაზის მეორე ბრიგადის საარტილერიო ასეულში რიგით კაპრალად მსახურობდა. მშობლებს ეუბნებოდა: „სადაც ჩვენი ბიჭები არიან, მეც იქ უნდა ვიყოო.“ ოჯახმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია. პატრიოტული სულისკვეთებით სავსეს, სამხედრო სამსახურში ყოფნა უნდოდა. შმაგიმ ეს სურვილი აისრულა, დანარჩენი ვერ მოასწრო. ოჯახი იხსენებს, რომ მანქანის ყიდვა უნდოდა, ძალიან ჰყვარებია ტექნიკა. მშობლებს შეყვარებულის ვინაობას არ უმხელდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ სექტემბერში ცოლის მოყვანას აპირებდა. საკუთარ დაბადების დღეზე, 11 სექტემბერს, უნდოდა ოჯახისთვის სიურპრიზი მოეწყო და დაბადების დღესთან ერთად, გაბედნიერებაც ეზეიმა.

შმაგი კუპატაძე დღეს სამშობლოსთვის თავგანწირული გმირია, ოჯახს უჭირს მის გარეშე ცხოვრება, მხოლოდ ის ეიმედებათ, რომ მათი შვილის სახელი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება.

კაპრალი

ავედიკ ლომიძე

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1959 - 2008

Აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთის ომის ვეტერანი ავედიკ ლომიძე გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე. რუისში დაეწია რუსული ტყვია. მისთვის ომი უცხო არ იყო. აფხაზეთში ნაბრძოლს, დევნილობაში გატარებულმა მრავალმა წელმა, კიდევ უფრო გაუღვივა სურვილი, რომ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში საკუთარი წვლილი შეეტანა. მან ყველაფერი გაიღო, რაც შეეძლო, სიცოცხლეც კი. დღეს ავედიკ ლომიძე გმირია.

შუბითიძე ლიდა, მეუღლე: „ავედიკი აფხაზეთის ომის ვეტერანია. აფხაზეთში იბრძოდა. მერე იყო დევნილობის და უიმედობის საშინელი წლები.

ბოლოს, რევოლუციის შემდეგ, იმედი გაუჩნდა, მიეცა შანსი კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო. 2004 წელს შინაგან ჯარში დაიწყო მუშაობა. 2005 წელს, ოთხწლიან საკონტრაქტო სამსახურს მოაწერა ხელი. ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მეოთხე ბრიგადაში იყო კაპრალი.

ძალიან ყურადღებიანი მეუღლე და მამა იყო. მისი სურვილი, ნატვრა იყო აფხაზეთში დაბრუნება და მშვიდი ცხოვრება. მეორე შვილის დაოჯახება სურდა, რომ მისი შვილი აეყვანა ხელში. შვილიშვილზე გიჟდებოდა და უნდოდა კიდევ ჰყოლოდა.“

მეუღლეს უჭირს იმ დღეებზე საუბარი, ძალას იკრებს, ცრემლს ვერ იკავებს და იხსენებს: „ერთი დღე არ გავიდოდა არ დაგვკავშირებოდა, რომ არ გვენერვიულა. თავიდანვე ცხინვალში იყო გადაყვანილი. სულ წინა ხაზზე იდგა. 11 აგვისტოს დილით დამიკავშირდა და მითხრა, ქარელში ვართ, ცხელ ხაზზე შევდივართ და შეიძლება ვერც დავბრუნდე, აბა კარგად იყავითო. ეს დამიბარა. მერე მე ვცდილობდი დაკავშირებას. 11 აგვისტოს 5 საათისთვის დავურეკე და მითხრა, გამოვდივართო, ჩქარი ნაბიჯების ხმა გავიგე. ვიფიქრე, რომ 50 წლის კაცი ვერ ირბენდა ისე, როგორც ახალგაზრდა. ამის შემდეგ კავშირი შეწყდა. მეორე დღესვე დავურეკე იმათ, ვისი ტელეფონის ნომრებიც მქონდა. შტაბშიც დავრეკე. მითხრეს გამოსულები არიან და ნუ გეშინიათ, მოვაო, ჩვენც იმედი გვქონდა იქნებ ტყვედ არის ჩავარდნილი და მოვიდეს-მეთქი. მაგრამ აღარ მოსულა... სად არ ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ 17 ოქტომბერს დნმ-ის შედეგად დამტკიცდა, რომ რუისის მხარეზე დაღუპული პიროვნება, ჩემი მეუღლე იყო.

ჩემი წინათგრძნობა გამართლდა, ის ჩამორჩა თავის მეგობრებს და... სენაკის ბრიგადის ბიჭებს უნახავთ დაღუპული და ქარელის საავადმყოფოში გადაუსვენებიათ. მეორე დღესვე დაასაფლავეს საავადმყოფოს ეზოში. 30 სექტემბერს კი თბილისში გადაასვენეს. ჩემთვის შოკი იყო, როცა დნმ-ის ანალიზი დაემთხვა. კიდევ მქონდა რაღაც იმედი, იქნებ სადმე ჩარჩა და მოვიდეს-მეთქი. დაღუპვის მერე ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მიჭირს მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ ამ კოშმარს უნდა გავუძლო, ბოლოს და ბოლოს გმირის მეუღლე მქვია.“

ავედიკ ლომიძე 1959 წლის 6 იანვარს, გაგრაში დაიბადა. ლესელიძის #1 საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. აფხაზეთის ომიდან - აგვისტოს ომამდე იყო დევნილობა და ოცნება აფხაზეთზე, რომელიც აუხდენელი დარჩა, თუმცა მან თავისი ვალი ორმაგად მოიხადა ქვეყნის წინაშე. დღეს ის გმირია, საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილი.

უფროსი სერჟანტი

თამაზ მელიქიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1976 - 2008

9 აგვისტოს, როცა რუსულმა ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა გორის ჯავშან სატანკო ბაზაზე, თამაზიც იქ იყო... პირველ იერიშს გადაურჩა, დაჭრილი მეგობრები გამოჰყავდა სამშვიდობოს, როცა მეორე კასეტური ბომბი ჩამოვარდა. თამაზ მელიქიძე ადგილზე გარდაიცვალა.

თეა ჯაფარიძე, თამაზის მეუღლე: „გამთენიისას გავიდა სახლიდან, მითხრა, ორ დღეში აქ ვიქნებიო... ორ დღეში მიცვალებული ამოიყვანეს... მანქანით იყო ამოსული და, როცა გამოიძახეს, მანქანა სახლში დატოვა... თავისი სპორტული ჩანთა მოიკიდა და წავიდა. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ჩვეულებრივ დაგვემშვიდობა.

ხომ ვუყურებდი ტელევიზორს და ვიცოდი რაც ხდებოდა, მაგრამ ერთი წამით არ გამივლია თავში თამაზის სიკვდილი...

როგორც გადმოცემით ვიცი, როცა ნაწილში ჩასულა, თავისი თანამებრძოლები, უკვე ბრძოლის ველზე გადიო-დნენ. თამაზისთვის უთქვამთ, შენ აქ დარჩი, აქაც ხომ უნდა იყოს ვინმეო... დარჩენილა, კაზარმაში... 9 აგვისტოს, როცა რუსულმა ავიაციამ საჰაერო იერიში მიიტანა გორის ჯავშან სატანკო ბაზაზე, თამაზიც იქ იყო... 11-ის 15 წუთი იყო... ყაზარმის წინ მდგარა. ერთ-ერთმა ბიჭმა მითხრა, რომელიც იმ დაბომბვის დროს გადარჩა, პირველად რომ ჩამოაგდეს ჭურვი, თამაზი ცოცხალი იყო და ყაზარმაში შებრუნებულა, ბიჭების გამოსაყვანადო. მეორე კასეტური ბომბი ამ დროს ჩამოაგდეს...

ბოლოს წინა ღამით ველაპარაკე. ჩემთვის არ უთქვამს გორში რომ იყო. მარტო იმას მეუბნებოდა, შენ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნებაო... ისე დაიღუპა, რომ არ ვიცოდი სად იყო... დილით უკვე ველარ ვუკავშირდებოდი. თამაზის ძმა, ჯავშან სატანკო ტაბალიონთან ძალიან ახლოს ცხოვრობს, დილით, დაბომბვა რომ მოხდა, ჩემი მაზლი მაშინვე იქ გაქცეულა. რომ მისულა, ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული... ძმამ თამაზი ამოიცნო. 9 აგვისტოს სასწრაფო რომ გაჩერდა ჩვენს სახლთან და სასახლე გადმოიტანეს, უკვე აღარაფერი მახსოვს... 16 აგვისტოს დავკრძალეთ...

32 წლის დაიღუპა... სოფელში მისი სახელობის სკოლა შენდება.

საშინელებაა მის გარეშე ცხოვრება“...

თამაზ მელიქიძე ოჯახში მეექვსე შვილი იყო... 1976 წლის 3 ივლისს, ახალქალაქის რაიონში, სოფელ კოთელიაში დაიბადა. 1983 წელს კოთელიას საშუალო სკოლაში შევიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გორის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, იურიდიულ ფაკულტეტზე.

თეა ჯაფარიძე, თამაზის მეუღლე: „ამ დროს გაიწვიეს სავალდებულოში. ჯარს გორის სამხედრო ნაწილში იხდიდა. სავალდებულო, რომ დაამთავრა, ამ პერიოდში დავქორწინდით. ერთმანეთი, მისი ძმის ოჯახში გავიცანით. ძმა გორში ჩემი მეზობელი იყო. ჯარიდან ხშირად ამოდიოდა ძმასთან. ორი წელი ვიყავით შეყვარებულები. ძალიან თბილი ადამიანი იყო. უყვარდა სიურპრიზების მოწყობა. დღესაც მაქვს შენახული შეყვარებულობის პერიოდში გაკეთებული საჩუქრები. სამკაულების და ყვავილების ჩუქება უყვარდა. ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო. მე 16-ის ვიყავი, თამაზი 21 წლის. 1997 წელს დავქორწინდით. ყველაფერი ოფიციალურად მოხდა, მოვიდნენ ოჯახში და დამნიშნეს. როდესაც დავოჯახდით, სოფელში წავედით. წლისთავზე ბიჭი შეგვეძინა. ძალიან ბედნიერი იყო, მამა რომ გახდა. სამწუხაროდ ოთხი წლის იყო ბავშვი, რომ დაგვეღუპა. ძალიან განიცდიდა. შემდეგ ორი გოგო შეგვეძინა, მარიამი და სალომე.

თამაზის და ჩემი მხრიდანაც ყველა სამხედრო პირია. მისი ორი ძმა სამხედროა, ასევე, მისი ძმიშვილები და დისშვილებიც. უნდოდა სამხედრო კარიერის აწყობა, ამის გამო შევიდა კონტრაქტზე, მაგრამ არ დასცალდა... 2007 წლის პირველ სექტემბერს შევიდა კონტრაქტზე, გორის ჯავშან სატანკო ბატალიონში იყო. წოდებით - უფროსი სერჟანტი. გორის ჯავშან სატანკო ბაზაზე დაცვის ასეულში, მსროლელი იყო.

ერთი წელიც არ იყო გასული, ეს უბედურება რომ მოხდა.

როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. მეც სამხედრო ოჯახში ვარ გაზრდილი, ჩემი ძმა და მამაჩემიც სამხედრო პირები არიან. მისი გადაწყვეტილება ძალიან ჩვეულებრივ მივიღე. თან ჯიუტი იყო და რასაც იტყოდა ვერ გადაათქმევინებდი“.

ვერც სამშობლოს სიყვარული გადაათქმევინეს, დადე-ბულ ფიცს არ უღალატა და საქართველოს ისტორიაში გმირის სახელით შევიდა.

კაპიტანი

მერაბ ახობაძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1979 - 2008

ერაბ ახობაძე 1979 წელს, ჩოხატაურში დაიბადა.

4 წლის იყო მომავალი მეუღლე რომ გაიცნო – კარის მეზობლებს გოგონა შეეძინათ. მთელი ბავშვობა ერთად გამოიარეს. 17 წლის იყო სიყვარულში რომ გამოუტყდა თამარ რამიშვილს. 7 წელი უყვარდათ ერთმანეთი, თან ისე ჩუმად, რომ მშობლებმა ბოლო წუთს გაიგეს, როცა 2004 წელს დაქორწინდნენ.

მაშინ მერაბი 24 წლის იყო და, უკვე მეშვიდე წელი, ჯარში მსახურობდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სამხედრო აკადემიაში განაგრძო.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, კრწანისში იყო განაწილებული, შტაბის უფროსად მუშაობდა, შემდეგ მეოთხე ბრიგადაში გადავიდა და სხვადასხვა თანამდებ-ობებზე მუშაობდა.

თამარ რამიშვილი, მეუღლე: „4 წელი ვიცხოვრეთ ერთად, ძალიან უნდოდა რომ გოგო გვყოლოდა და ნატვრა აგვიხდა. ლიკა 3 წლის იყო მერაბი რომ დაიღუპა. ძალიან ჰგავს მამას. კარგად ახსოვს მამა, ყველაფერი იცის, არაფერი დაგვიმალავს...

2004 წელს რომ შეტაკება იყო ცხინვალში, მაშინაც იქ იყო. 2008 წელსაც მისი დისლოკაციის ადგილი ზუსტად იმ ადგილას იყო, სადაც 2004 წელს...

მერაბის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, სწავლებების დროსაც ვაკითხავდი ბავშვთან ერთად პოლიგონზე, ახლა ნამდვილად მიკვირს, როგორ ვარ მის გარეშე, თურმე შემძლებია...

ჩვენი გამომშვიდობების სცენა მუდამ ერთნაირი იყო – ტირილი ლიფტთან.

კითხვა ყოველთვის ერთი და იგივე – „ამ საღამოს ხომ მოხვალ?“

პასუხიც ერთი და იგივე – „არ ვიცი“... ასე იყო 6 აგვისტოსაც. ტირილით გამოვემშვიდობე... იმ საღამოს აღარ მოსულა. 7 აგვისტოს სამ საათზე თვითონ დამირეკა, ცხინვალში მივდივარო. ავტეხე ტირილი... მითხრა, ტელეფონი მიჯდება, ხშირად არ დამირეკო, უნდა გავთიშო და როდესაც ჩავრთავ მე თვითონ დაგირეკავო, სხვასაც ჰყავს ცოლი, შენსავით ისტერიკაში არ ვარდებიან. ხომ იცი რა მაგარი ქმარი გყავს, არაფერი არ მომივაო...

8 აგვისტოსაც ველაპარაკე, 9 აგვისტოს დილით მითხრა, ისეთი რამ, რაც არასოდეს უთქვამს – ლიკას მიხედე, მე არაფერი მიჭირს და არაფერი არ მომივა და არასოდეს არ დაგავიწყდეთ, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართო. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი...

9 აგვისტოს საღამოს უკვე ვეღარ ვუკავშირდებოდი. ვლოცულონდი, რომ ცოცხალი მენახა, თუნდაც დაჭრილი, თუნდაც უფეხოდ, უხელოდ, ოღონდ ცოცხალი ყოფილიყო... ყველა საავადმყოფო შემოვიარე თბილისში. ვერაფერი გავიგე, ვერსად მივაგენი. 10 აგვისტოს ჩოხატაურში წავედი, ბავშვი მყავდა იქ დატოვებული. გორი მაშინ გავიარე, როცა იბომბებოდა. ჩოხატაურში ჩავედი და გავიგე, რომ შტაბის უფროსი დაიღუპა. მივხვდი, რომ საქმე კარგად არ იყო... ვრეკავდი მერაბთან, არ მპასუხობდა. არც მისი ორი ძმაკაცი პასუხობდა, ვისთან ერთადაც იყო... თან მქონდა მერაბის თანამშრომლების სია, ვურეკავდი ყველას, ვერაფერს ვიგებდი... 11 აგვისტო თენდებოდა, მერაბის ერთ-ერთ თანამშრომელთან რომ დავრეკე, მითხრა დაჭრილი ყოფილაო. როდის დაიჭრა-მეთქი, ვკითხე. სამი დღის წინო. ანუ მკვდარია-მეთქი? – ჩავეძიე. კიო და გამითიშა ტელეფონი... ვერ ვიჯერებდი, იმიტომ, რომ მიცვალებული არ მინახავს.

საბოლოოდ დეენემით გაირკვა, რომ დაღუპული იყო...

დაგეგმარების უფროსი იყო და წესით არ უნდა ებრძოლა, ბრძოლა უნდა ემართა, მაგრამ იბრძოდა. სამი ძმაკაცი, რომლებიც კურსელები იყვნენ, სიკვდილის ბოლო წუთებამდე ერთად იყვნენ. სამივე შტაბის თანამშრომელი იყო, არც ერთს არ ეკუთვნოდათ ბრძოლა, მაგრამ წინ წავიდნენ, რომ ჯარისთვის მაგალითი მიეცათ და სამივე ბრძოლის ველზე დაიღუპნენ.

ვისაც არ გამოუცდია, ვერავინ მიხვდება ეს რა ტკივილია. რამდენიმე დღის წინ, ლიკა მიმყავდა დაბადების დღეზე და ძალიან განიცდიდა, რომ იქ ყველა ბავშვს მამა მოიყვანსო და ყოველთვის აქვს განცდა, რომ სხვა ბავშვს უფრო მეტი აქვს, რადგან მას მამა ჰყავს. სანამ ახალ სახლში გადავიდოდით, ყოველთვის ამბობდა, მამა მკვდარი არ იქნება, ახალ სახლში მარტო არ გაგვიშვებსო. აუცილებლად მოვაო... მერე თქვა, ეტყობა მართლა მკვდარია, თორემ აქამდე მოვიდოდაო. მამამისის ფოტოებს ყოველთვის უყვება მთელი დღის განმავლობაში რა გააკეთა, თუ ვტუქსავ, მიდის და მამის სურათს ეუბნება... ყველას უყვება, რომ მამამისი გმირია. სტუმრად ვიყავით და ბავშვებისთვის უთქვამს, რომ თქვენ კი გყავთ მამები, მაგრამ მამაჩემი უფრო მაგარია – გმირიაო.“

უმცროსი სერჟანტი

მერაბ თუთისანი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1986 - 2008

ცხინვალის მისადგომებთან, ცხელი წერტილიდან დაჭრილი მეგობრების გამოყვანის დროს დაიღუპა - მერაბ თუთისანი, 22 წლის ვაჟკაცი, გმირულად შეხვდა მტრის ტყვიას. სამშობლოს დაცვა მისი მოწოდება იყო და შეეწირა კიდეც თავი საყვარელ საქმეს. „თუთი“ – ასე მიმართავდნენ მას მეგობრები.

თინა ფხაკაძე, დედა: „მერაბი, ქალაქ ხონში 1986 წლის 12 თებერვალს დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა ხონის მესამე საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდში რაიონის ნორჩტექნიკოსთა დირექციამ დააჯილდოვა - მხაზველთა და მხატვართა რაიონულ გამოფენაში მონაწილეობისთვის. მერაბს ხონის 1-ლი სამუსიკო სკოლა ჰქონდა დამთავრებული. 2002 წელს ხონის რაიონის განათლების განყოფილებამ ზედიზედ სამჯერ დააჯილდოვა, ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე, კალათბურთში პირველ და მეორე ადგილებზე გასვლისთვის. ძალიან საინტერესო და აქტიური ბავშვი იყო, კარგი მეგობარი და ძმა. ასე ამბობდა, ჯერ ძმას მივხედავ და მერე ჩემს თავსო. მამუკა ახლახან დაოჯახდა. დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად „თუთის“ გაუხარდებოდა ძმის ბედნიერება.

ქუთაისში სწავლობდა, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ დაუსწრებელზე გადავიდა, რადგან სამხედრო კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ჩემს შვილს დიდი გეგმები ჰქონდა... მისი დიდი სურვილი სამხედრო განათლების მიღება იყო. ასევე, ოჯახის შექმნა და ტკბილი ცხოვრება სურდა დიდ ოჯახთან ერთად, მაგრამ ვერ მოესწრო... ჩვენთვის სიურპრიზების მოწყობა უყვარდა. თურმე მანქანა უნდა გამოეყვანა, მაგრამ არ დასცალდა. ეს მისი მეგობრებისგან შევიტყვეთ.

შეყვარებული ჰყავდა, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მეგობრის მეჯვარე იყო და იქ გაუცვნია ის გოგო. ტელეფონზე წერდა წერილებს. ,,ყველაფერი მალე დასრულდება და სულ ერთად ვიქნებითო“.

მისი ძალიან დიდი სურვილი იყო, სამხედრო საქმეს გაჰყოლოდა. აკადემიაში სწავლის პერიოდში, სერტიფიკატები და მადლობები ჰქონდა მიღებული თურქი ოფიცრებისგან. სამხედრო აკადემიაში სწავლის დროს თბილისში გააუქმეს აკადემია და ამის შემდეგ მოაწერა ხელი ოთხწლიან სამსახურს. მსახურობდა ქუთაისის სამხედრო ბაზაზე, 32-ე ბატალიონის ქვეით ბრიგადაში. 2007 წელს გააგზავნეს ერაყში, სამშვიდობო მისიით. 2008 წლის აგვისტოში ბათუმში მუშაობდა ინსტრუქტორად. საშინელებაა საკუთარ შვილზე წარსულ დროში საუბარი. მიკვირს, რატომ ვარ ცოცხალი.

მერაბი ბოლოს 2008 წლის აგვისტოში იყო ჩამოსული. ერთად წავედით თბილისში. ომი რომ დაიწყო, ვერ ვახერხებდით დაკავშირებას. მეზობელი გოგო მუშაობდა კრწანისში და ის გვატყობინებდა-ხოლმე ამბებს. მერე გავიგეთ, რომ თურმე ცხინვალში წინა ხაზზე იბრძოდა. მეგობრები გვიყვებიან ახლა, ვინ იცის „თუთის“ მკლავებმა რამდენი დაჭრილი გამოიყვანა სამშვიდობოსო. 9 აგვისტოს გვაცნობეს, ვაი ამის გაგებას, შვილო... 9 აგვისტოს ყველამ იცოდა მერაბ თუთისანის დაღუპვის ამბავი. 10 აგვისტოს ჩამოასვენეს ხონში. ერთი კვირის შემდეგ დავკრძალეთ...“

მერაბ თუთისანი გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვდა. იმ ქუჩას, სადაც გმირი მერაბ თუთისანი ცხოვრობდა, მისი სახელი მიენიჭა. ქალაქ ხონში სპორტულ სკოლაში, სადაც ოლიმპიადები ტადრება, დაწესებულია მერაბ თუთისანის სახელობის ჯილდო, რომელსაც გამარჯვებულს მისი ძმა გადასცემს.



ავიაციის უმცროსი სერჟანტი

გიორგი ნანუაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

მცდაორი წლის გიორგი ნანუაშვილი, მარნეულში, საფრენი ბილიკის დაბომბვისას დაიღუპა. კოპიტნარში უნდა გაფრენილიყვნენ, თვითმფრინავის ავზს საწვავით ავსებდნენ, რუსულმა ბომბდამშენებმა რომ მარნეულის დაბომბვა დაიწყეს...

გიორგი ნანუაშვილი თბილისში, ვაზისუბანში დაიბადა, 1986 წელს.

ჯარისკაცის ქვრივი, მადონა იტყვის, რომ გიორგი „ძალიან ცელქი და ჯიუტი ბავშვი ყოფილა, აუღებელი ციხესიმაგრე – რასაც იტყოდა, იმას აკეთებდა ყოველთვის. სკოლაში, არც თუ ისე კარგად სწავლობდა, როგორც ბიჭების უმეტესობა... სკოლის დამთავრების შემდეგ, საავიაციო კოლეჯში განაგრძო სწავლა...“

გიორგის დედა ბორჯომიდან იყო და გიორგიც ყოველ ზაფხულს ჩადიოდა ბორჯომში ბებიასთან. სწორედ იქ გაიცნო ბორჯომელი გოგონა – მადონა.

გიორგის მადონა თავიდანვე მოსწონებია. გოგონას კი ეგონა, რომ მეგობრები იყვნენ... გაცნობიდან ერთი წლის შემდეგ, სიყვარულიც აუხსნია. მაშინ მადონა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა და ბორჯომში ცხოვრობდა. მერე მადონაც თბილისში ჩამოვიდა სასწავლებლად და ერთმანეთს უკვე ხშირად ხვდებოდნენ.

„სიურპრიზების კეთება უყვარდა, ხშირად მჩუქნიდა ყვავილებს... 4 წლის შემდეგ გადავწყვიტეთ დაქორწინება. პირველ აპრილს, ბზობას შევხვდით ერთმანეთს, სამების ტაძარში ვიყავით და იქიდან, პირდაპირ გიორგისთან წავედით სახლში. ერთი წლის შემდეგ შეგვეძინა ნიკოლოზი. თვითონ უკვე ავიაციაში მუშაობდა და ამბობდა, ჩემი შვილი დიდი მფრინავი გამოვაო. შვილთან დაკავშირებით, ძალიან დიდი გეგმები ჰქონდა. ჯერ ჭიდაობაზე შევიყვანო... თვითონაც ჭიდაობდა. საერთოდ, მამამისიც მოჭიდავე იყო და უნდოდა ბავშვიც შეეყვანა ჭიდაობაზე...“

ჯერ კიდევ ოჯახი არ ჰქონდა შექმნილი, კონტრაქტს რომ მოაწერა ხელი და, სწავლის პარალელურად, ავიაციაში დაიწყო სამსახური.

ბორტ-მექანიკოსი იყო. თვითმფრინავების შემოწმება ევალებოდა... როცა კონტრაქტს აწერდა ხელს, ოჯახს წინააღდეგობა არ გაუწევია, გიორგის ძმაც საკონტრაქტო ჯარში მსახურობდა, ორჯერ იყო ერაყში. სწორედ ერაყიდან ჩამოვიდა გიორგის დაკრძალვის დღეს...

გიორგი თავიდან თბილისში მუშაობდა „ალექსოვკაში“, დაქორწინებიდან რამდენიმე თვეში ბოლნისში გააგზავნეს.

„პარასკევს მოდიოდა სახლში და ორშაბათს დილით სამსახურში მიდიოდა... უმცროსი სერჟანტი იყო. რამდენიმე დღეში საოფიცრე კურსები უნდა გაევლო. ძალიან უნდოდა, რომ ოფიცერი გამხდარიყო, მაგრამ არ დასცალდა... სხვა არაფერზე ფიქრობდა, მისი სამომავლო კარიერა ჯარს უკავშირდებოდა... ბოლოს 5 აგვისტოს გავიდა სახლიდან. როგორც ყოველთვის ისე გამოგვემშვიდობა და წავიდა სახლიდან...

ძალიან გახარებული იყო, საოფიცრე კურსები უნდა გაევლო“...

მადონამ იმ ღამით გაიგო, რომ განგაში იყო გამოცხადებული...

მეუღლეს ხშირად ეხმიანებოდა. 8 აგვისტოს ბოლნისიდან თვითმფრინავი კოპიტნარში უნდა გაფრენილიყო.

მადონა: „ბოლნისიდან კოპიტნარში უნდა გაფრენილიყვნენ, ბევრნი ყოფილან და ერთ-ერთი უნდა გაჰყოლოდა. გიორგის ძალიან უნდოდა წასვლა, მის ძმაკაცსაც, მაგრამ უფროსმა გიორგი წაიყვანა. ძალიან გახარებული ყოფილა... ჯერ მარნეულში ჩაფრენილან, საწვავით უნდა აევსოთ ავზი. ბოლოს რომ ველაპარაკე, მარნეულში იყო... თვითმფრინავის ავზს საწვავით ავსებდნენ. ამ თვითმფრინავთან სამნი მდგარან. გიორგი, მისი უფროსი და ალბათ, პილოტი... მარნეულში, ბომბდამშენებმა რომ რამდენიმე ჭურვი ჩამოაგდეს, ერთ-ერთი სწორედ გიორგის თვითმფრინავს დაეცა... ბომბდამშენები რომ დაუნახავთ, გაქცეულან, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, ანასხლეტები მოხვდათ... სამივე ადგილზე დაიღუპა... მისი გარდაცვალება იმ დღესვე გავიგე. ოღონდ საღამოს... ჩემს გარდა ყველას სცოდნია ყველაფერი, მაგრამ მე მიმალავდნენ... ბავშვთან ერთად სახლში მარტო ვიყავი. სახლში ამოსვლას ვერავინ ბედავდა. თქმას ვერავინ მიბედავდა...

„კურიერში“ რომ გამოაცხადეს, მარნეულის საფრენი ბილიკი დაიბომბა და სამი ადამიანი გარდაიცვალაო, თავზარი დამეცა, ვიცოდი, გიორგი იმ დროს იქ იყო, ტელეფონი არ გამიჩერებია, გაუჩერებლად ვრეკავდი, მაგრამ გამორთული იყო... გიჟს ვგავდი. რაღაცას ვგრძნობდი, მაგრამ არ მინდოდა დამეჯერებინა... საღამოს 10 საათზე ჩვენთან გიორგის ძმაკაცის მამა მოვიდა და იმან გაგვაგებინა... იმავე ღამით მოასვენეს სახლში... ღამის პირველი საათი ხდებოდა... ძალიან რთულია მის გარეშე ცხოვრება...

პატარა, მამას ფოტოებით იცნობს. ერთხელ, როცა ვტიროდი, მკითხა -რატომ ტირიხარო? მამიკო მომენატრა და იმიტომ-მეთქი. იმ დღის შემდეგ, თუ ჩემს თვალზე ცრემლი დაინახა, მაშინვე იმას მეუბნება, მამიკო მოგენატრაო?... სულ მეუბნება არ იტიროო... ხშირად მთხოვს საფლავზე წაყვანას... საფლავის ქვას ეფერება...“.

უფროსი ლეიტენანტი

ალექსი ნატროშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

დედამ ერთხელ უთხრა, თავის მეომარ შვილს, ვნერვიულობ შენ რომ ჯარში ხარო.

პასუხი: - ხერხეულიძეების დედამ 9 შვილი შესწირა სამშობლოს და შენ რა გაქვს სანერვიულო?

ის გმირულად დაიღუპა ცხინვალში.

ალექსი ნატროშვილი 1978 წელს დაიბადა რუსთავში. მშვიდი და გაწონასწორებული ბავშვი ყოფილა. მეექვსე კლასში იყო, ოჯახი საცხოვრებლად გურჯაანის რაიონში, სოფელ შრომაში რომ გადასულა და ალექსიც სოფლის სკოლაში მიუყვანიათ. დედა იტყვის, რომ არც ერთ სკოლაში შენიშვნა არ მიუღია მის ვაჟს. კარგი და სამაგალითო მოსწავლე ყოფილა.

ნათელა ნატროშვილი, დედა: „ექიმობა უნდოდა. ყველა ფიქრობდა, რომ ალექსისგან მართლაც კარგი ექიმი დადგებოდა, მაგრამ პირველ წელს რომ ვერ ჩაირიცხა სამედიცინოზე, გადაწყვეტილება შეცვალა და თელავის უნივერსიტეტში ჩააბარა - ისტორიისა და სამართლის ფაკულტეტზე. სწავლისას სამხედრო კათედრა გაიარა, უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთ წელში, სამხედრო აკადემიაში გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება.

თანატოლები დღესაც იხსენებენ, ბავშვობაში, ომობანას რომ ვთამაშობდით, ისეთ იარაღს იგონებდა, გვაოცებდაო. ძალიან აინტერესებდა და ძალიან კარგად იცოდა საქ-ართველოს ისტორია. კითხვა უყვარდა. სამშობლოს სიყვარულმა გადააწყვეტინა სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო. სამხედრო აკადემიაში ჩააბარა და ერთწლიანი კურსი გაიარა. რომ დაამთავრა, მაშინ იქმნებოდა თელავის კომანდოს ბატალიონი, იქ დაიწყო სამსახური, ოცმეთაურად დანიშნეს. ცხინვალშიც იყვნენ წასული სამშვიდობო მისიით.

დაოჯახებული არ იყო, მაგრამ შემდეგ მისმა მეგობარმა მითხრა, რომ ერთი გოგო მოსწონდა... სამსახურის გამო ხშირად ვერ მოდიოდა შინ. მაგრამ სულ გვეხმარებოდა ოჯახს. არავინ ავიწყდებოდა, ყველას დახმარებას ცდილობდა. ბოლოს მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა. ომამდე ათი დღით ადრე ასმეთაურად დაინიშნა. ლექსო ბოლოს ივლისში იყო ჩამოსული. უმცროსმა ძმამ მანქანა უყიდა და რომ მიდიოდა გვითხრა, ახლა უფრო ხშირად ვივლიო...

ომი რომ დაიწყო და წაიყვანეს, არ უთქვამს ჩვენთვის. 6 აგვისტოს ველაპარაკე, თანხის ჩარიცხვა მთხოვა ტელეფონზე. ძალიან გამიკვირდა. ასეთი რამ ადრე არასდროს უთხოვია... ვკითხე, ამ შაბათ-კვირას ჩამოხვალ-მეთქი? კი, დედა, ჩამოვალო. დამიმალა რომ ომი იყო და წაიყვანეს... ჩემმა უმცროსმა ბიჭმა იცოდა, რომ ლექსო ცხინვალში, ომში იყო. ჩემს ძმასაც ხშირად ელაპარაკებოდა თურმე. გახარებულს დაურეკავს მისთვის, ცხინვალი ავიღეთო...

8 აგვისტოს, ღამით, 9 რომ უნდა გათენებულიყო, თითქოს რაღაცამ წამომაგდო ლოგინიდან. გარეთ მშვიდობა იყო, მაგრამ თითქოს რაღაც ჩამეწვა სულში... როგორც მერე მითხრეს, სწორედ მაგ დროს დაღუპულა ლექსო...

ლექსოს დაღუპვის ამბავი ყველას სცოდნია სოფელში, მაგრამ ვერავინ გვიბედავდა თქმას. ათ აგვისტოს ჩემი პატარა გოგონა, ნინიკო, წყალზე იყო წასული და ტირილით დაბრუნდა. შევშფოთდი, ვერ მივხვდი რა ხდებოდა. ნინიკოს უკან ჩემი სიძე მოჰყვა, რომ შემოვიდნენ მითხრეს,- ლექსო აღარ არისო...

როგორც ყვებიან, დაზვერვაზე იყო წასული და დაბრუნებულს უთქვამს, რომ დიდი ხაფანგები იყო და უკან დახევაზე შეთანხმებულან ბრიგადის მეთაურთან. უკან დახევისას მომხდარა აფეთქება.

როგორც ბატალიონის უფროსი ამბობს, ლექსოს ჯგუფი ხუთი კაცისგან შედგებოდა, რაღაც ისროლეს, ააფეთქეს და ამ ხუთიდან ორი ვერ გამოუყვანიათ, მათ შორის ლექსო...

ოცნებობდა ოჯახზე, შვილებზე, ოცნებობდა, რომ მისი შვილები ძალიან განათლებულები და წესიერი ადამიანები იქნებოდნენ... ტყუპ ბიჭებზე ოცნებობდა... ასეთ ყოფაში მტერს არ ვუსურვებ ცხოვრებას, ძალად ვიღიმი, თან თავს ვეუბნები - რა გეღიმება? ვიცი, ძლიერი უნდა ვიყო, უნდა გავიღიმო კიდეც, სასწაული რომ მოხდეს და დაბრუნდეს, კარგად დავხვდე... ეს ბიჭები სამშობლოს იცავდნენ, შემართულნი იყვნენ სამშობლოს დასაცავად...“

002

კაპრალი

თამაზ ნიკიტინი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1982 - 2008

დედა ომში წასულ შვილს შეეხმიანა. შვილი მალავდა, რომ ცხინვალში იბრძოდა, დედას მოესმა აფეთქების ხმა და „ვაიმე დედა“... კავშირი გაწყდა... 26 წლის ვაჟკაცი გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე.

მოუთმენლად ელოდა შვილს, საბა მისი გარდაცვალების შემდეგ მოევლინა ქვეყანას, შობა ღამით...

თამაზ ნიკიტინი 1982 წელს დაიბადა ქუთაისში. მშობლებისთვის მეორე ვაჟი იყო.

ნელი მჭედლიძე, დედა: „თავისებური ბავშვი იყო. სულ სადღაც ეჩქარებოდა, სულ რაღაცის მოსწრებაზე იყო, ხშირად მითქვამს, დამშვიდდი, გააანალიზე და ისე მოიქეცი-მეთქი, მაგრამ წამებში რეაგირებდა ყველაფერზე. ძალიან სულსწრაფი იყო“.

ძმებმა ერთად მოიარეს ბაღი, სკოლა, სამხედრო ლიცეუმი, ჯარი...

ძმები სასაზღვრო ძალებში მსახურობდნენ. ჯარ-ისკაცური შემართება გენებში ჰქონდათ _ ბიჭების ბაბუა თეთრგვარდიელი იყო, წითლებმა დახვრიტეს...

დედა: „იმდენად კარგი მონაცემები ჰქონდათ, რომ სავალდებულოს სანამ მოიხდიდნენ, შემოგვთავაზეს, აკადემიაში გაეგრძელებინათ სწავლა. მაშინ დიდი თანხები იყო საჭირო, საშუალება არ გვქონდა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მაშინ ვალერი ჩხეიძე იყო, მან გვითხრა, რომ თუ ნახევარს გადავიხდიდით, სწავლის საფასურის ნახევარს დეპარტამენტი გადაუხდიდა, მაგრამ ამის საშუალებაც არ გვქონდა, ობლები იყვნენ, მამა ადრე გარდაეცვალათ. შემდეგ უკრაინაში გაგზავნა შემომთავაზეს, მაგრამ 4 წელი უნდა ესწავლათ, შემდეგ კიდევ 4 წელი უკრაინაში ემსახურათ, ჩემთვის ეს ძალიან ძნელი იყო...“

ბიჭებმა ჯარის მოვლის მერე კონტრაქტი გააფორმეს სამშობლოსთან.

დედა:„ 8 წელიწადი ორივე ძმას სამხედრო ფორმა ეცვა, პირნათლად ემსახურნენ თავიანთ ქვეყანას. ბოლოს, 2-3 წელი, თავდაცვის სამინისტროში მსახურობდნენ, მანამდე საზღვრებზე მუშაობდნენ. პირველი ამერიკული წვრთნა წარმატებით გაიარეს. ამერიკელ ინსტრუქტორებთან ნიძლავიც აქვს მოგებული: თვალებახვეული ნებისმიერი სისტემის იარაღს ცნობდა, თვალებახვეული წამებში შლიდა და აწყობდა იარაღს...“

პირველ კონტრაქტს, მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე... ბოლო კონტრაქტი - სამშობლოსთან 2008 წლის აპრილში დადო... მეორე ბრიგადაში მსახურობდა, მეტყვიამფრქვევე იყო...

თამაზ ნიკიტინი 23 წლის იყო რომ დაოჯახდა – მომავალი მეუღლე თავის ძმის ქორწილში გაიცნო და რამდენიმე დღეში ცოლადაც შეირთო. ძალიან უნდოდა შვილი, მოუთმენლად ელოდა, საბა მამის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, შობა ღამით...

დედა: „ომამდე ორი კვირით ადრე, თითქმის მთელი ბრიგადა შვებულებაში გამოუშვეს. 8 წლის მანძილზე ორივე ბიჭი ერთად სახლში არ მინახავს, მიკვირდა, მეუბნებოდნენ ახალი წესი შემოიღეს, არაფერიაო. ბოლო ერთ კვირაში მთელი სანათესავო შემოიარა, ყველას დაემშვიდობა, წასვლის წინა დღეს, ზღვაზე წაგვიყვანა, პატარა ბავ-შვებივით ატრაქციონებზე დაგვსხა და საათობით გვი-ყურებდა. რომ ვკითხე, რატომ იქცევი, შვილო, ასე მეთქი, არა, ისე გიყურებო. მეორე ბიჭი მანამდე წაიყვანეს კოდორში და ძმაზე დარდობდა... ბოლოს ღამის 3 საათზე მოვიდა ჩემთან, გადამეხვია, თითქოს აუცრემლიანდა თვალები, ბიჭები მელოდებიან მანქანაში, გამომიძახეს, მივდივარ და აბა, შენ იციო. 5 აგვისტოს გამთენიისას წავიდა... ხშირად ვურეკავდი... მიბრაზდებოდა, რომელი იქცევა შენსავით, ნუ რეკავო... 8 აგვისტოს, დღის 1 საათზე დავურეკე, კარგად ვარ, ბაზაზე ვარ, ცხინვალში არ ვარო... ამ დროს აფეთქების ხმა მომესმა, რასაც „ვაი, დედა“ მოჰყვა და გაწყდა სატელეფონო კავშირი... მივხვდი, რომ კარგი ამბავი არ იყო ჩვენს თავს. სამი დღის ძებნის მერე მივაგენი გორში... შავნაბადას სპეცრაზმელებს უცვნიათ და არ დაუტოვებიათ... „ნიკიტას“ ეძახდნენ თურმე ბიჭები... ოზურგეთში დავკრძალეთ, მამაჩემის გვერდით. ომამდე ჩემი დისთვის უთქვამს, რამე რომ მოხდეს, ბაბუას გვერდით დამასაფლავეთო... კარგი მეუღლე ჰყავდა, სიცოცხლის მეტი არაფერი აკლდა. ერთადერთი, შვილზე ოცნებობდა, იცოდა, რომ ფიქრია ორსულად იყო... ბავშვმა მარტო სურათებით იცის მამა. საფლავზეც ხშირად დაგვყავს... დღემდე ვერ ვეგუები უმისობას, დღემდე ველოდები... ჩემთვის ცხოვრება 8 აგვისტოს დამთავრდა... მას მერე ჩემს სახლში აღარც ახალი წელია, აღარც არსად დავდივართ, არც სტუმრები მოდიან... მკვდრად არც ვიხსენიებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველგან ჩემთან ერთადაა...“

კაპრალი

ნიკოლოზ ფორჩხიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1984 - 2008

ოერთმეტ აგვისტოს შინდისში, მტრის ალყაში მოქცეული ნიკოლოზ ფორჩხიძე, გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოდა მისი ბატალიონი რუსულ არმიას. ქართველი გმირები მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. შინდისი დღეს მათ ხსოვნას ინახავს.

ნონა ფორჩხიძე, დედა: „პირველად 7 აგვისტოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა, გვითხრა ყველაფერი კარგად არისო. არადა ამ დროს თურმე ჯარისკაცები ცხელ ხაზზე გადაჰყავდათ და ზესტაფონი-თბილისის გზაზე გადადიოდნენ. ჩემი მული ამ დროს თბილისში მიდიოდა. მან არაფერი იცოდა ომის დაწყების შესახებ. ჯარისკაცები, რომ დაუნახავს გაჰკვირვებია, რა ხდებაო. ამ დროს ნუკრის დაურეკავს მასთან და სრულიად შემთხვევით გაუგიათ, რომ ერთ გზაზე იყვნენ. ნუკრის ასე უთქვამს მამიდასთვის, ომში მივდივარ და დედიკოს არაფერი უთხრა, მოკვდებაო. თუმცა ჩემმა მულმა მაინც მითხრა. 7, 8, 9 აგვისტო გათიშული ვიყავი თურმე, როგორც მითხრეს, მხოლოდ წყალზე ვიყავი. მე არაფერი მახსოვს. ამ პერიოდში გვიკავშირდებოდა და ისევ გვაიმედებდა. 10 აგვისტოს მამამისს დაურეკა, მალე ჩამოვალო. ამ დროს კი ცხინვალში იდგნენ. ამის მერე ველარ დავუკავშირდით. ჩვენ მთელი დღეები ველოდით, მაგრამ ამაოდ... ჩემთვის ეს საშინელი დღეები იყო. ნუკრი 18 აგვისტოს ჩამოასვენეს და როგორც იყო მითხრეს. უფრო სწორად, მე მივხვდი იმდენი ხალხი იყო ჩვენთან მოსული... ჩემს ნუკრის უკანასკნელი ღამე სახლში გავატარებინე. 19 აგვისტოს კი წესის აგებით დავასაფლავეთ.

სულით მებრძოლი იყო ჩემი შვილი. 2006 წელს სამხედრო სავალდებულო ჯარიდან რანდენიმე თვეში ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სენაკის სამხედრო ბაზაზე 22-ე ბატალიონის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალი იყო. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. ერთხელ სავალდებულოდან იყო სახლში ჩამოსული და გვითხრა: ,,დედა, იცი, ჩვენთან რჩეული ბიჭები უნდათ ჯარში, კონტრაქტს აწერენ ხელს და მე უარი როგორ უნდა ვუთხრა ქვეყნის სამსახურში ყოფნას?!“ ნუკრი მაღალი და მხარბეჭიანი ბიჭი იყო. ამის მერე როგორ უნდა დაგვეშალა. მას ეს მთელი გულით უნდოდა. შვებულებიდან რომ მოდიოდა ხოლმე, სულ იქით უწევდა გული. სულ იქითკენ მიიჩქაროდა.

ნიკოლოზ ფორჩხიძე 1984 წლის 7 თებერვალს, ქალაქ ტყიბულში დაიბადა. დედა იხსენებს: „დიდთოვლობა იყო. სამშობიაროში, რომ მიმიყვანეს საშინელი ქარი ქროდა, იძროდა ყველაფერი. ნუკრი რომ დაიბადა, შემოვიდა ექიმი და მეუბნება: ,,თქვენი შვილი გმირი იქნებაო“. მე გამიკვირდა, ვერ მივხვდი რატომ მითხრა მან ეს. გაკვირვებულმა ვკითხე, რატომ მეუბნებით მაგას-მეთქი. ,,აქ რომ მოგიყვანეს კედლები იძროდა ქარისგან, თქვენი შვილის დაბადებისთანავე ყველაფერი ჩაწყნარდაო“ - ასე მითხრა. მართალი გითხრათ, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ვერ მივხვდი ეს რას ნიშნავდა, ან საერთოდ ნიშნავდა კი რამეს? ახლა მენიშნება იმ ექიმის სიტყვები.

საოცარი ბავშვი იყო. თბილი და მოსიყვარულე. ყველას მიმართ ყურადღებიანი. დამთმობი და დინჯი, ამით იყო გამორჩეული. საოცრად კარგი ძმა იყო დისთვის. ნუკრიმ ტყიბულის მეოთხე საშუალო სკოლის 10 კლასი დაამთავრა. მერე მოეწყო თბილისში ნოდარ დუმბაძის სახელობის ინსტიტუტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. ასევე სპორტს მიჰყვებოდა. დიდი სამეგობრო ჰყავდა. ადვილად შედიოდა ადამიანთან კონტაქტში.

შეყვარებული ჰყავდა ბათუმელი - დიანა. ის მისი დიდი სიყვარული იყო. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. აგვისტოში უნდა მოვიყვანო ცოლი და დიდი ქორწილი გადავიხადოო, ამბობდა, მაგრამ ვერ მოასწრო. დიანამ, რომ გაიგო ნუკრის დაღუპვის ამბავი, ნერვიული სტრესი მიიღო და წელს ქვევით მოწყდა. დაახლოებით ნახევარი წელი ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან. ამის გამო ვერ მოახერხა დიანამ ნუკრის გასვენებაზე ჩამოსვლა. თქვენ არ იცით, მე როგორი შვილი დავკარგე, მაგრამ ამაყი დედა ვარ, გმირი გავზარდე, ქვეყნისთვის სასახელო.“

ნიკოლოზის მშობლიური ქუჩა დღეს მის სახელს ატარებს.

B 267

კაპრალი

შმაგი ნოზაძე

ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1984 - 2008

ცხინვალის მისადგომებთან იბრძოდა. პირველ დაბომბვას გადაურჩა.

ყველას გამოუღწევია იქაურობიდან. მასაც, მაგრამ მერე ისევ შებრუნებულა. ყველა ამბობდა თურმე, ეგ თუ ისევ იქ შებრუნდა, გიჟი ყოფილაო. გიჟი კი არა, გმირი იყო... გმირი, რომელსაც სნაიპერმა მოუსწრაფა სოცოცხლე...

შმაგი ნოზაძე 1984 წელს, სოფელ ნინიგორში დაიბადა.

წლის და 2 თვის იყო შმაგი, მამა რომ ავტოავარიაში დაეღუპა. პედაგოგი დედა ორ ობოლს ზრდიდა.

რუსუდან ჩუთლაშვილი, დედა: „შმაგი ბავშვობიდან ძალიან მშრომელი იყო. პატარა იყო, როცა თბილისში ჩამოდიოდა და ფიზიკურად მუშაობდა. ტანსაცმელსაც თავისით ყიდულობდა... ბავშვობაში ცეკვაზე და კარატეზე დადიოდა. ცეკვიდან გასტროლებზეც იყო უკრაინაში. მღეროდა კიდეც... გარეგნულად ტომ კრუზს ჰგავდა და ყველა ტომ კრუზს ეძახდა. თვითონ ვან დამზე და შვარცნეგერზე აბოდებდა, სულ მათი სურათები ეკრა კედელზე, უნდოდა მსახიობი გამოსულიყო და მათნაირი როლები ეთამაშა.

ბავშვობიდან სულ იარაღით თამაშობდა ომობანას. თავის სახელს ამართლებდა, მართლა შმაგი და ძლიერი, ძალიან ხიფათიანი ბავშვი იყო“.

ჯარისკენ გული ჯერ კიდევ სკოლის დამთავრების შემდეგ უწევდა.

დედა: „ძალიან მომწონდა ჯარისკაცები, მაგრამ იმ პერიოდში არ მინდოდა რომ წასულიყო. სანამ ცოტა არ ჩაწყნარდებოდა სიტუაცია საქართველოში. თელავში, სამხედრო ფიზკულტურაზე ჩააბარა უნივერსიტეტში. სწავლისას სულ საჩუქრებს მიკეთებდა, ხან რას მიყიდდა, ხან რას. ყვავილებსაც მიგზავნიდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს, ლაგოდეხში მსახურობდა - სასაზღვრო ჯარში. სავალდებულო რომ მოიხადა, დარჩენა უნდოდა სასაზღვრო ჯარში, მაგრამ სამჯერ „დაბრაკეს“. მერე საკონტრაქტო ჯარში შესვლა გადაწყვიტა, იქ არავის დაუწუნია. 9 თვე მსახურობდა... თავიდან კაპრალი იყო. მერე სერჟანტის წოდება მიიღო. სახლში იშვიათად მოდიოდა... ლაგოდეხის რაიონში ვინც კი გოგო იყო, ყველა უყვარდა. ბოლოსაც ჰყავდა შეყვარებული. გორელი იყო, ძალიან უყვარდა. უსაჩუქროდ მასთან არასდროს ჩადიოდა... ომი რომ დაიწყო, ჩვენი სოფლელი ბიჭისთვის მესიჯი მოუწერია, ომში მივდივარ და დედაჩემს არ უთხრათო... წასვლისას, შეყვარებულისთვისაც დაურეკავს, გორში დამხვდიო, მაგრამ სხვა გზით წავიდნენ და ვეღარ ნახა... მე მატყუებდა გორში ვარო, მაგრამ ცხინვალის მისადგომებთან იყვნენ. 8 აგვისტოს ერთხელ გადარჩენილა დაბომბვისას, ყველანი გამოსულან, ესეც გამოსულა, მაგრამ მერე შებრუნებულა. ყველა ამბობდა თურმე, ეგ თუ ისევ იქ შებრუნდა, გიჟი ყოფილაო. ვერ გამოიყვანეს. სნაიპერმა ესროლა. მკვდარი რომ არ მინახავს, მაინც ვერ ვიჯერებ, მე დღესაც ველოდები მის ზარს. არ მინდა დავიჯერო რომ აღარაა.... იმედს არ ვკარგავ...“

კაპრალი

ტარიელ ქამაშიძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1988 - 2008

9 აგვისტოს როკის გვირაბთან დაეწია ტარიელ ქამაშიძეს სნაიპერის ტყვია. სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა კიდევ ერთი ქართველი, რომელიც სულ რაღაც 20 წლის ასაკში, უკვე გმირი გახდა.

ზეინაბ ქამაშიძე, დედა: „მწარედ მახსენდება, ბოლოს სახლიდან რომ გადიოდა, როგორც ყოველთვის, ყველას გამოემშვიდობა. ქუჩიდან გამოიხედა და სახლს შეავლო თვალი...

20 წლის დაიღუპა... ვერ ვპოულობდით... ბოლოს ჩემმა მეუღლემ დეენემის ანალიზი ჩააბარა და სამი თვის შემდეგ, საზარელი პასუხი მოვიდა... ძმათა სასაფლაოდან, ოქტომბერში გადმოვასვენეთ...

როგორც ჩემი შვილის მეგობრები ყვებიან, სამ ჯგუფად გაუნაწილებიათ. სნაიპერს უსვრია ტარიელისთვის. მაგრამ კონკრეტულად სად და რა ვითარებაში დაიღუპა ჩემი შვილი, მარტო ღმერთმა იცის... გადმოცემით ვიცით, ეს რომ როკის გვირაბთან, 9 აგვისტოს მოხდა.

ძნელია მის გარეშე ცხოვრება, ძალიან გვიჭირს...“

სამხედრო კარიერა მისი არჩევანი იყო. მოსწონდა ეს საქმე და არც მკაცრი რეჟიმი აშინებდა. ერაყში წასასვლელად ემზადებოდა, როცა სამშობლოს დასჭირდა. წამით არ შეყოვნებულა, ეს გმირებს არ ახასიათებთ...

ზეინაბ ქამაშიძე, დედა: „მოსწონდა ჯარის მკაცრი ცხოვრება... ომამდე ერთი კვირით სახლში იყო, შვებულება ჰქონდა აღებული. ამ პერიოდში სახლში იშვიათად იყო. საზღვარგარეთის პასპორტს აკეთებდა და თან მთელი სანათესაო შემოიარა... ალბათ, გული რაღაცას უგრძნობდა... ან იცოდა, რომ რაღაცა საშინელება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამაზე საერთოდ არაფერს ამბობდა. არ უყვარდა სამსახურზე სახლში ლაპარაკი. შეყვარებული იყო. ხარაგაულელი გოგო უყვარდა... ერთმანეთს ტელეფონით იცნობდნენ და მომავალ შაბათს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ომი დაიწყო... ამბობდა, ერაყიდან რომ ჩამოვალ, ცოლს მერე მოვიყვანო... იქიდან ჩამოვიდა, პასპორტი აიღო, წავიდა და წავიდა... იმის მერე აღარც გვინახავს...“

ტარიელ ქამაშიძე 1988 წლის 20 აპრილს, ასპინძის რაიონის სოფელ მირაშხანში დაიბადა... დღეს ის გმირია, სამშობლოსთვის თავგანწირული, უკვდავყოფილი.

კაპრალი

გოგიტა ქარჩავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

ეტრის ალყაში იყვნენ, გოგიტას უკან ასაფეთქებელი მოწყობილობა რომ დავარდნილა. როგორც თანამებრძოლები გაიხსენებენ – რაღაც მობილურის მსგავსი. უყვირიათ „ქარჩავა დაწექი“!.. მას მხოლოდ გახედვა მოუსწრია და... აფეთქებას შეუზანზარებია კიდეც უკვე მერამდენედ იქაურობა...

10 აგვისტოს ოჯახს დაურეკეს, დაჭრილი გორის ჰოსპიტალშია, სისხლი სჭირდება, ოჯახის რომელიმე წევრმა ჩამოაკითხეთო. უფროსი ძმა გადარეული გავარდა, მაგრამ... ცოცხალს ვერ ჩაუსწრო... საკუთარი ხელით წაასვენა 20 წლის ძმის ცხედარი...

მანამდე იყო სოფელში გატარებული ბავშვობა.

დაიბადა 1987 წლის 23 დეკემბერს. ხობში, დაამთავრა სოფელ ქვემო ქვალონის სკოლა. ოჯახში მეორე ბიჭი იყო, მის შემდეგ კიდევ 2 ბიჭი შეეძინათ. ოთხი ძმა იზრდებოდა ერთად და როგორც დედა იტყვის, მათი წაკინკლავებაც არ ახსოვს.

დედა: „საოცრად მშვიდი ბავშვი იყო. გაბრაზებული არავის გვინახავს. მასწავლებლებს ძალიან უყვარდათ. ერთხელ, მე და ბებიამისს კანფეტები მოგვიტანა სკოლიდან, მასწავლებელს ბავშვები გაუშვია კლასიდან და გოგიტასთვის ბღუჯა კანფეტები მიუცია... ხელმარჯვე ოსტატივით იყო, ყველაფერი ეხერხებოდა. სკოლა სახლიდან ძალიან შორს, დაახლოებით 2 კილომეტრში იყო, მეზობლად მისი თანაკლასელი გოგონა ცხოვრობს, სულ მასთან ერთად დადიოდა სკოლაში. წვიმიან ამინდში გზები საშინლად ტალახდებოდა, აუარებელი გუბეები დგებოდა. ეს გოგონა გუბეებს ვერ ახტებოდა, გოგიტა იმ გოგონას ზურგზე მოიკიდებდა და გადაჰყავდა, ფეხი არ დაგისველდესო... სკოლამდე ასამდე გუბე მაინც ხვდებოდათ და არ ეზარებოდა... მერე, რომ წამოიზარდნენ, სულ ახსენებდა, ზურგით გათრევდიო... ყველასთვის სიკეთე უნდოდა...“

გოგიტამ, სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა სენაკის აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯში განაგრძო. მერე სავალდებულო ჯარში გაიწვიეს და წავიდა. 1 თვის თავზე კონტრაქტი გააფორმა, მსახურობდა ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში. მეტყვიამფრქვევე იყო. მტერმა სულ ერთი წელი აცალა სამშობლოს სამსახური...

კახა ქარჩავა, უფროსი ძმა: „კონტრაქტი თავისი სურვილით დადო, ამბობდა, სამშობლოს უნდა ვემსახუროო, ჩემი ძმაკაცები ყველა მიდის და მეც უნდა წავიდეო...“

დედა: „არ მინდოდა კონტრაქტი რომ დაედო, მაგრამ მე ვინ დამიჯერა... ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და ამბობდა, ჩემისთანებმა უნდა დაიცვან სამშობლოო. ახლა მრცხვენია ამას რომ ვამბობ, მაგრამ ვეუბნებოდი, სხვები დაიცავენ-მეთქი. მკაცრად გამომხედავდა და მეტყოდა, დედა ეს მეორეჯერ არ გაიმეოროო... ეტყობა წინათგრძნობა მქონდა და შვილის დაკარგვა არ მინდოდა... ჯარში რომ წავიდა, ქების სიგელი გამომიგზავნეს, რომელსაც პრეზიდენტი აწერდა ხელს, მადლობას მიხდიდა პატრიოტი შვილის აღზრდისთვის...“

კახა ქარჩავა, უფროსი ძმა: „აგვისტოს მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა სოფელში, ერაყში გვიპირებენ წაყვანას და ათდღიანი შვებულება მომცეს, ცოტა ხნით გამომიშვესო. ჩვეულებრივ იქცეოდა. როგორც ყოველთვის - ვხალისობდით, ფეხბურთს ვთამაშობდით... ფეხბურთი ძალიან უყვარდა... ცოტა ჩაფიქრებული კი იყო, მაგრამ მეგონა ერაყში რომ მიდიოდა, იმიტომ იყო ჩაფიქრებული... სახლიდან 31 ივლისს გავიდა. ცუდ ხასიათზე იყო. მთხოვა, მატარებლამდე მიმაცილეო, მერე სენაკამდე გაყოლა მთხოვა, წამოდი, ერაყში წაგვიყვანენ და ვინ იცის, მერე როდის გნახავო... ბევრი ვილაპარაკეთ, ამბობდა, სამხედრო სამსახურს გავყვები და სერჟანტი გავხდებიო. იქაურობა მოსწონდა, როგორც სახლში ისე ვგრძნობ თავსო, ძალიან ბევრი მეგობარი მყავსო... ბოლოს 7 აგვისტოს დამირეკა, განგაშია გამოცხადებული, გორისკენ მივყავართ და სახლში არ თქვაო, მთხოვა. მერე აღარ შეგვხმიანებია... 10 აგვისტოს დაგვირეკეს, რომ მძიმედ დაჭრილი გორის ჰოსპიტალში იწვა. რომელიმე ოჯახის წევრი ჩამოვიდეს, სისხლი სჭირდებაო, მე სასწრაფოდ გავქანდი, მაგრამ ცოცხალს ვერ მივუსწარი, ჩემი ხელით გადმოვასვენე, სულ რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა კისრის არეში... ალყაში ყოფილან მოქცეულები, მის უკან მობილურის მსგავსი ასაფეთქებელი დავარდნილა. დაუყვირიათ დაწექიო, დაწოლაც ვერ მოუსწრია ისე აფეთქებულა... არ ვიცით სიცოცხლის ბოლო წუთებში რას ლაპარაკობდა, არავის არაფერი მოუყოლია, ერთმა მისმა თანამებრძოლმა კი მითხრა, ოჯახზე წუხდაო. რამდენიმე დღეა არ დამირეკია და ინერვიულებენო... შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ ვინ იყო არ ვიცით, სულ ასაიდუმლოებდა... ძალიან უნდოდა სენაკში, მამიდაჩემის გვერდით ეყიდა სახლი და იქ დასახლებულიყო...“

დედა: „ძალიან მიმძიმს მის გარეშე ცხოვრება, მაკლია მისი სითბო, სიყვარული... ირგვლივ რომ გავიხედავ, ყველაფერი მის თავს მახსენებს... ძალიან მენატრება...“

POT
BAT

კაპრალი

შალვა ტრაპაიძე

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1978 - 2008

8 აგვისტოს ცხინვალში მტრის ალყაში მოექცა შალვა ტრაპაიძე. ქართველი მეომრები სისხლის ბოლო წვეთამდე ეწინააღმდეგებოდნენ მტრის შემოტევას. შალვა ჯერ ფეხში დაჭრილა, შემდეგ კი... დღეს ის გმირია, საყვარელ მეუღლეს საპატიო წოდება დაუტოვა სახსოვრად. სულ რაღაც თვენახევრის დაქორწინებული იყო... შვილზე ოცნება იმქვეყნად წაიღო.

მაია ტრაპაიძე, და: „მისი სურვილი იყო ღირსეული ჯარისკაცი ყოფილიყო. ახლადდაოჯახებულს სურდა დიდი ოჯახი ჰყოლოდა. ბევრ შვილზე ოცნებობდა.

ყველა ძალიან უყვარდა. მეგობრული და სანდო ადამიანი იყო. მისი დაღუპვა, საშინელება იყო ყველასთვის, მშობლები ძალიან უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებული მისთვის მეუღლე იყო. მაია იხსენებს ხოლმე „ჩემო სიხარულოს მეძახდაო“. უამრავი გეგმები ჰქონდათ, როგორც გავიგეთ, სიცოცხლის ბოლო წუთებში საყვარელ მეუღლეზე ფიქ-რობდა და ასე უთქვამს: „სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ თვენახევრის მოყვანილი ცოლის გამწარება არ მინდაო“. ვერ წარმოიდგენთ ისე უყვარდათ ამ ორ ადამიანს ერთმანეთი.

შაკო ისეთი მეუღლე იყო მაიკოსთვის. ჩემი რძალი ამბობს: „მადლობა ღმერთს, შაკოს რომ შემახვედრა და სიყვარული მასწავლაო“.

ძალიან რთული გადასატანი იყო ეს ყველაფერი, ერთი თვის დაოჯახებული მაიასთვის...“

შალვა ტრაპაიძე 1978 წლის 31 აგვისტოს დაიბადა. ვანის რაიონის სოფელ სალხინოში დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. შემდეგ ქუთაისში სტომატოლოგიურ ტექნიკუმში ჩაირიცხა. „კარგი ძმა და შვილი იყო მშობლებისთვის. კეთილი, ხალისიანი და იუმორით სავსე“ - იხსენებს შალვას და.

მაია ტრაპაიძე, და: „ჩემი ძმა ნამდვილი პატრიოტი იყო. ბოლოს, 7 აგვისტოს, თავის მეუღლეს ესაუბრა, მოიკითხა და დაგვამშვიდა. სხვისი ტელეფონით დაგვიკავშირდა. ჩემი ტელეფონი დამჯდარი მაქვსო. თავიდანვე ცხინვალში იყვნენ. ჩემი ძმა ალყაში ყოფნის დროს დაჭრილა - ფეხში. ჩემს მეუღლეს შეატყობინეს 8 აგვისტოს შაკოს დაღუპვის შესახებ. 9 აგვისტოს ჩამოვასვენეთ... გარდაცვალების შემდეგ მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენი. მისი დაღუპვა ჩვენთვის საშინელი გადასატანია, მას ხომ ძალიან, ძალიან უნდოდა სიცოცხლე...

ბევრი გეგმები ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა.“

ლეიტენანტი

ზოთა ხურციძე

უმწიკვლო სამსახურისთვის III ხარისხის მედალი, 2008 წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1980 - 2008

8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან იყვნენ განლაგებულნი. ტანკი აუფეთქდა და ეკიპაჟიანად ამოვარდა კონტუზირებული. საავიაციო დაბომბვა გაგრძელდა და ბრძოლის ველიდან ვეღარ გამოაღწია. წინა დღეებში მეგობრებისთვის უთქვამს: ,,რუსები ვერ მოგვერევიან თუ საავიაციო არ გამოიყენესო“ – საბედისწერო მისთვის სწორედ მტრის საავიაციო იერიში გახდა.

თამთა ხურციძე, და: „შოთა ქუთაისში 1980 წლის 19 მარტს დაიბადა. 1997 წელს დაამთავრა ვანის რაიონის სოფელ საპრასიის სკოლა. სხათა შორის, შოთა, მშობლებს ქორწინებიდან 5 წლის მერე შეძენიათ. ჩვენ სამნი ვიყავით. ორი ძმა და ერთი და. მე ყველაზე უმცროსი ვარ. აქედან გამომდინარე, მისი ბავშვობის შესახებ მშობლების გადმოცემით ვიცი. სკოლაში კარგად სწავლობდა. კარგად იხსენებენ მასწავლებლები. ძალიან კეთილი და სხარტი ბავშვი ყოფილა. ყველა სფეროში ერთნაირად ნიჭიერი. გაწონასწორებული და მშვიდი. პატარა, რომ ვიყავი, სადმე თუ წავიდოდა კანფეტები მოჰქონდა-ხოლმე. მე მისთვის პატარა, საყვარელი დაიკო ვიყავი. სკოლიდან რომ მოვიდოდი მშობელივით მეკითხებოდა: - აბა, რა ხდებოდა სკოლაშიო. ის ჩემთვის ძმაც იყო, მეგობარიც და მშობელიც. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ჩემს სამეგობროსთანაც ერთობოდა-ხოლმე. ჩემს მეგობრებს ძალიან უყვარდათ. მხიარული, ხალისიანი ადამიანი იყო. მოწყენილი შოთა არავის ახსენდება. ჯარის ამბებს სულ ვეკითხებოდი, აბა, რა ხდება-მეთქი? თათუშ, ნახე მალე ჩემი ტანკი მეყოლებაო – მპასუხობდა. ჩვენ ძალიან, ძალიან კარგი და-ძმობა გვქონდა. ძმებსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

1998 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 2000 წელს, სწავლის პარალელურად, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მას პატრიოტული სულისკვეთება ჰქონდა. მამისგან გამოჰყვა ეს სულისკვეთება. მამა 1993 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.

შოთა ბოლოს სოფელში 2008 წლის 30 ივნისს იყო. მაშინ სურათი გადავუღე. თურმე ეს მისი ბოლო ფოტო ყოფილა. ჩამოსული რომ იყო მაშინ გვითხრა, 10 აგვისტოს ისრაელში მივდივარო სამხედრო სწავლებაზე. მთელი თავისი ნივთები ჩაალაგა და წაიღო. მერე შეიძლება ვეღარც მოვახერხო ჩამოსვლაო. ომი რომ დაიწყო გვეკონტაქტებოდა და გვაიმედებდა, კარგად ვარო. სხვათა შორის ჩემი მეორე ძმაც ჯარში იყო, მაშინაც და ახლაც მსახურობს. ერთმანეთს ვერ ეკონტაქტებოდნენ. არადა ორივე ცხინვალში იყო, მაგრამ სხვადასხვა პოზიციებზე. 7 აგვისტოს მამას ესაუბრა ტექნიკის მოწყობაზე. წინა ხაზზე ვართ და დედას არაფერი უთხრაო. იცოდა, მამა ვაჟკაცურად გაუგებდა. მე კიდევ ამაოდ ველოდი მის ზარს... 8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან მოხდა ეს ყველაფერი, საავიაციო დაბომბვისას.

19 აგვისტოს კი სოფლის სასაფლაოზე დავასაფლავეთ...

ჩემი ძმისგან არაფერი დაგვრჩა ოჯახს, გარდა აკადემიის ფორმისა და მისი მობილური ტელეფონისა. ბოლოს რომ იყო ჩამოსული ტელეფონები გავცვალეთ. ჩემთვის განძია ეს ტელეფონი. კიდევ არ მჯერა მისი დაღუპვა, ასე მგონია წასულია და მალე მოვა... დედამ ვაჟკაცურად გადაიტანა მისი დაღუპვა. ერთხელ დედას უთხრა, როცა შოთას გარდაცვლილ ნათლულს, გიორგი მარგიევს ტიროდა: „დედა, გმირებს არ ტირიანო“. დედა არა მარტო შოთას დასტირის, არამედ ამ ომში დაღუპულ ყველა ვაჟკაცს. ხშირად ამბობს: ,,საქართველოში უცნობი ჯარისკაცები არ არსებობენო“. მართლაც, რომ ასეა... “

კაპრალი

გიორგი ტატუაშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1987 - 2008

ეს იყო მზვერავი, მეტყვიამფრქვევე და ერთ-ერთი პირველი დაიჭრა ომში... 21 წლის გიორგი ტატუაშვილის ასეულმა 7 აგვისტოს, ღამით აიღო გეზი - ის ტანკზე ზევიდან ჩამომჯდარა... სნაიპერმა თავში ესროლა... სასწრაფოდ გორში გადაიყვანეს, მაგრამ ვეღარ უშველეს.

გიორგი ტატუაშვილი 1987 წლის 27 მაისს მარნეულის რაიონ - დაბა თამარისში დაიბადა. ოჯახში მეორე შვილი იყო, თამთა სულ ერთი წლით უფროსი იყო მასზე. ათი წლის რომ იყო გიორგი - პატარა ძმა - რომიკოც გაჩნდა.

დედა: „9 წლიდან მკლავჭიდში ვარჯიშობდა. ქუთაისში და წყალტუბოში პირველი თანრიგი აიღო. ბოლომდე ვარჯიშობდა... ძალიან ბევრი ნათლულები ჰყავდა. ყველა მაგას ანათლინებდა ბავშვს...

დედა: „ერთხელ მოვიდა და მითხრა, საკონტრაქტო ჯარში მინდა წასვლაო. სოფელში 15 ბიჭი შეიკრიბა, ვისაც საკონტრაქტო ჯარში უნდოდა წასვლა. გიორგის ბავშვობის მერე შრამი ჰქონდა და შეიძლებოდა უარი ეთქვათ. მეგობრები ეუბნებოდნენ, შენ თუ „დაგბრაკეს“ არც ჩვენ წავალთო. გვიან ღამით მოვიდა და მითხრა, დე, მარტო შენი ბიჭი მოეწონათო. 15 ბიჭიდან მარტო გიორგი არ „დაბრაკეს“. ერთი კვირის მერე წავიდა. ჯერ ახალციხეში წაიყვანეს, მერე ქუთაისის მესამე ქვეით ბრიგადაში გადაიყვანეს. მზვერავი - მეტყვიამფრქვევე იყო. წოდებით კაპრალი... ყველას უყვარდა, ჯარისკაცებსაც, მეთაურებსაც,

ყველაფერში გიორგის იმედი ჰქონდათ. მეთაური „ცოცხალ პრაქტიკას“ ეძახდა...“

დედა ქუთაისში ჩავიდა, როცა მისი ვაჟი ფიცს დებდა სამშობლოს წინაშე.

დედა: „სადაც დავჭირდები ჩემს სამშობლოს, იქ ვიბრძოლებო, უკან არ დავიხევო“ - ისეთი თვალები ჰქონდა, ამას რომ ამბობდა, რომ სულ ის თვალები მახსოვდა და მზარავდა... ჯარში ყოფნისას ინგლისური ენა ისწავლა, პირველადი დახმარების წიგნიც დაბეჭდა ინგლისურად, ჩამომიტანა და გაუფრთხილდიო მითხრა... ძროხა მიყიდა, ხბორების ყიდვას აპირებდა... ყიფშიძეზე ბინასაც იშენებდა... სულ 3 წელიწადი და 6 თვე იმსახურა ჯარში, ექვსთვენახევარი იყო ერაყში, ბოლოს ორი კვირით გერმანიაში ჰყავდათ გაგზავნილი სადაზვერვო სკოლაში, „რკინის კაცის“ სერტიფიკატი ჩამოიტანა, ასეულიდან მხოლოდ ორმა დასძლია ეს ნორმატივები. ერთი თანატოლიც არ დაუტოვებია, რომ მათთვის საჩუქრები არ ჩამოეტანა... ომამდე ათი დღით ადრე მითხრა, პოლონეთში მგზავნიანო... ომში რომ მიდიოდა, დას დაურეკა, ომში მივდივარ, მაგრამ დედას უთხარი, რომ პოლონეთში წავედიო...

სიტუაცია რომ დაიძაბა, 8 აგვისტოს ეკლესიაში მივედი... ხალხმა უკვე იცოდა, რომ ჩემი შვილი დაჭრილი იყო... მე შვილი პოლონეთში მეგონა და ღმერთს ვევედრებოდი, ყველა ბიჭი კარგად დაახვედრე, რომ ჩამოვა-მეთქი....“

გიორგის დამ ტელევიზორი გააფუჭა, დედას რომ არაფერი გაეგო.

შინ დაბრუნებულ დედას გაეცალა, მეგობართან მივდივარო...

თამთა 9 აგვისტოს დილაადრიან ჩავიდა გორში, მაგრამ ჰოსპიტალში ვეღარ მიუსწრო _ უკვე საცხედრეში იყო მისი ძმა გადასვენებული...

დედას, ომამდე ერთი თვით ადრე, ფილტვების ანთება დამართნია. ახლობელ ექიმს გიორგისთვის დაურეკავს, წამლები სჭირდება დედაშენსო. დედა გაიხსენებს, რაც სთხოვა გიორგიმ ექიმს _ რამე დამამშვიდებლებიც გამოუწერეთო, დედას გაუკვირდა, რატომ ამბობდა მისი შვილი ასეთ რამეს... გიორგიმ მაინც გამოაწერინა ძვირადღირებული დამაწყნარებლები...

დედა: „გიორგის გარდაცვალება რომ გავიგე, სწორედ ეს დამაწყნარებლები გამიკეთეს... სამი დღე გათიშული ვიყავი... ალბათ, გული უგრძნობდა და მამზადებდა ამისთვის... მივხვდი რატომაც გამოაწერინა... კარგი დედა მაშინ ვიქნებოდი, გული რომ გამსკდომოდა და მეც მოვმკვდარიყავი. მოძღვარმა გამომიყვანა მდგომარეობიდან...“

გიორგი ტატუაშვილი მშობლიურ სოფელში დაკრძალეს...

დედა: „სოფლის ბავშვებს გიორგი ახლა იდეალად ჰყავთ და უნდათ გიორგისნაირები გამოვიდნენ, წავიდნენ ჯარში და მას დაემსგავსონ...“

სერჟანტი

კახაბერ თავგორაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1976 - 2008

9 აგვისტოს, შანხაის დასახლებაში, რამდენიმე წვევამდელი ბიჭი უმეთაუროდ იყო დარჩენილი... სპეცრაზმელები დაინახეს და მათ გაყვნენ... სპეცრაზმელ კახა თავგორაშვილს ბიჭებისთვის უთქვამს, სადმე ჩაწექით და მერე მოგხედავთო... წვევამდელებს შეშინებიათ, მაინც გამოდევნებიან... ის მოუბრუნდა, ნუ მოგვდევთო, ხელი ზემოთ აუწევია და...

მტრის სნაიპერის ტყვიაც მოხვდა...

კახაბერ თავგორაშვილი 1976 წელს დაიბადა რუსთავში. დედისერთა იყო და ანებივრებდნენ. ჯერ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ლიცეუმში გადავიდა. დღეს ის ლიცეუმი მის სახელს ატარებს... ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, რუსთავშივე ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე. როგორც დედისერთას, ჯარში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაინც წავიდა და თავისი ნებით მოიხადა სამხედრო ვალი. ვალის მოხდის მერეც გააგრძელა სამხედრო სამსახური, მუხროვანში, სპეცდანიშნულების რაზმში მუშაობდა. ჯერ შავნაბადის სპეცდანიშნულების სამსახურში იყო, ბოლოს ვაშლიჯვრის სპეცდანიშნულების ბატალიონში. სტაჟირებაც გაიარა ამერიკაში. სპეციალობით ამფეთქებელი იყო. წოდებით – სერჟანტი. ინსტრუქტორების სკოლა რომ შეიქმნა, დირექტორის მოადგილე იყო...

20 წლის კახა ჯერ კიდევ შავნაბადაზე მსახურობდა, თავისზე 9 წლით უფროსი, ირმა დარბაისელი რომ გაიცნო და შეუყვარდა...

ირმა დარბაისელი, მეუღლე: „შევარდნაძეზე ტერაქტის დროს, უშიშროების სამინისტროში ვმუშაობდი. კახა მაშინ შავნაბადაზე მუშაობდა, მორიგე იყო და იქ გავიცანით... ვმეგობრობდით, 5 წლის შემდეგ დავოჯახდით. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, მოვიდა და ამიხსნა სიყვარული. 9 წლით უფროსი ვიყავი მასზე, მე 34 წლის ვიყავი, კახა – 25-ის. ძალიან რომანტიკული ადამიანი იყო... ერთ-ერთ ჩემს დაბადების დღეზე ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, დამირეკა დაიძინეო და შუა ღამისას ჩემხელა ვარდებით მომადგა სახლში...“

კახას და ირმას მალე დემეტრე შეეძინათ...

ირმა დარბაისელი: „დიდი სურვილი ჰქონდა, რომ დემეტრე მებრძოლი გამოსულიყო, როცა საშუალება ჰქონდა დაჰყავდა თავის სამსახურში. დემეტრეს ხშირად პოლიგონზეც უსროლია. სულ დემეტრე ეკერა პირზე. დემეტრე თუ ტიროდა, მხოლოდ მამას ტიროდა და სულ მამა უნდოდა, კახა, თუ დრო ჰქონდა, სულ მასთან იყო...“

აგვისტოში, ომის დაწყებამდე დემეტრეს გლანდების ოპერაცია გაუკეთეს, მშობლები მუშაობდნენ და დემეტრე ბებია-ბაბუასთან იყო რუსთავში. კახა ყოველღამე ჩადიოდა – დემეტრე მის გარეშე არ იძინებდა.

ასე მომხდარა 6 აგვისტოსაც.

ირმა დარბაისელი: „რუსთავში რომ მიდიოდა, დამიჩოქა და მითხრა, ძალიან მიყვარხარ და თუკი რამე მიწყენინებია შენთვის, მაპატიეო...“

მერე დიდხანს იდგა კარში. კახა ომში წავიდა, ირმას ავი წინათგრძნობა დაეუფლა.

ირმა დარბაისელი: „კახას კოდორიც მოვლილი ჰქონდა, ცხინვალშიც იყო წინა შესვლაზე, მაგრამ ასეთი წინათგრძნობა არასოდეს მქონია. რომ არ რეკავდა, უფრო და უფრო ვნერვიულობდი. არადა, ძალიან ყურადღებიანი იყო, დღეში 15-ჯერ რეკავდა... მე რომ ვრეკავდი, არ მიმხელდნენ რომ დაღუპული იყო... მერე თანამშრომელს დავარეკინე და მასაც არ უთხრეს. საბოლოოდ, კახას დაჭრილი მეგობარი ჩამოვიდა, მან შეატყობინა მშობლებს. მაშინვე დაღუპულა... იმდენად უცებ მომხდარა ყველაფერი, ვერაფრის თქმა ვერ მოუსწრია... 10 აგვისტოს ჩამოვასვენეთ...

დემეტრეს, როცა მამა მოენატრება, გამოიღებს სურათებს დაათვალიერებს და ისევ ინახავს... იარაღებიც უყვარდა, ფიზიკურადაც ძლიერი იყო. სულით იყო მეომარი, სულ იმას ამბობდა, თუ სიკვდილი მიწერია, ნეტა ბრძოლის ველზე მოვკვდეო. ღმერთმა ეს თხოვნა შეუსრულა....“

კაპრალი

რუსლან წულაძე

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1983 - 2008

ძვილი გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე _ რუსლან წულაძე გააფთრებული ებრძოდა, შინდისში ვერაგულად ჩასაფრებულ მტერს... იმ დღეს დედამ არ იცოდა, რომ შვილი უკვე აღარ ჰყავდა... დილით, შინიდან გამოვიდა – ეკლესიაში მიდიოდა.

დედა: „მეზობლები სხვანაირად მიყურებდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, თურმე ყველამ იცოდა ჩემი შვილის გარდაცვალების ამბავი...“

დედა ავტობუსში ავიდა, მის უკან ზურგით მეზობლის გოგონა იჯდა და თანასოფლელს უყვებოდა, სამი ძმანი რომ არიან, იმათგან ერთი მოუკლავთო.

დედა: „შევცბი... იმ გოგოს ვკითხე, ვისზე ლაპარაკობ-მეთქი, გაოგნებული მიყურებდა... მერეღა მითხრა, თქვენ არ იცნობთ, ოზურგეთში ცხოვრობსო... თურმე ჩემი შვილის სიკვდილის ამბავს უყვებოდა...“

დედა ტაძარში შევიდა. ყველა მას უყურებდა და ტიროდნენ...

დედა: „გამიკვირდა... ვიფიქრე, ქვეყანაში ომია და ყველა დაძაბულია-მეთქი... მეც ავტირდი... თურმე ჩემს შვილს დასტიროდა ხალხი ტაძარში...“

ტაძრიდან გამოსულმა დედამ მეუღლეს მიაკითხა სამსახურში. მეუღლე სამსახურში არ დახვდა...

დედა: „გამიკვირდა... ცუდად ვიგრძენი თავი... იქვე მეზობლის ბიჭი ვნახე და ვთხოვე ქვიანში, ჩვენს სოფელში ავეყვანე...“

დედა შინ დაბრუნდა და... მიხვდა რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავს...

რუსლან წულაძე 1983 წლის 30 აგვისტოს დაიბადა, ლანჩხუთში. ლიდია ინშუნა და ვალერი წულაძე სამ ვაჟკაცს ზრდიდნენ...

დედა: „რუსლანი ძალიან განსხვავდებოდა ძმებისგან... საოცრად მოსიყვარულე იყო.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მისი სიკეთე და ძალა ყველას ეყოფოდა. მშვიდი და გაწონასწორებული იყო, უყვარდა ბუნება, სილამაზის აღქმა შეეძლო. ხატავდა, ხისგან ულამაზეს ფიგურებს აკეთებდა, პატარა ზომის ქანდაკებებს ასხამდა... უსაქმოდ არასდროს იჯდა, ყოველთვის რაღაცით იყო დაკავებული. საქართველოს ისტორია უყვარდა უზომოდ. ოცნებობდა საქართველოს ყველა კუთხე შემოევლო... სამხედრო საქმისადმი მიდრეკილება პატარაობიდანვე ჰქონდა, 8 წლის იყო, რომ მოვიდა მითხრა, მეზობლის კაცი სამხედრო ფორმას ყიდისო. ფული არ გვქონდა... წავიდა და სთხოვა სიმინდში გაგვიცვალეო... სიმინდში გავუცვალეთ იმ კაცს ფორმა... იმ ფორმით დადიოდა მე-10 კლასამდე, რომ გაიხდიდა დაკეცავდა და კოხტად დადებდა... რომ ჰკითხავდნენ ფორმა რატომ გაცვია, ჯარისკაცი ხომ არა ხარო, იცინოდა და „კიო“ პასუხობდა... კითხულობდა წიგნებს იარაღზე, სამხედრო ტექნიკაზე, ყველაფრის ცოდნა უნდოდა...“

ნიგოეთის სკოლა დაამთავრა, შემდეგ სამხედრო ვალი მოიხადა სენაკის ბაზაზე. შემდეგ კვლავ სოფელში დაბრუნდა. სამი თვის შემდეგ კი პოლკოვნიკი გია ჭელიძე ნახა შემთხვევით.

დედა: „შინ რომ მოვიდა მითხრა, გადავწყვიტე კონტრაქტი დავდო და ჯარში დავბრუნდეო. მეორე ბრიგადის საინჟინრო ბატალიონში მსახურობდა, გამნაღმველი იყო, სერჟანტი... ძალიან კმაყოფილი იყო თავისი სამსახურით, ერთხელ მითხრა, - მე ამ ყველაფერს სამშობლოს სიყვარულის გამო ვაკეთებო. რუსლანს უსაზღვროდ უყვარდა საქართველო... როცა ვკითხავდი, სიბერემდე ჯარში დარჩენას ხომ არ აპირებ - მეთქი, გაიცინებდა და მეტყოდა, სანამ საჭირო იქნება იქ დავრჩებიო... ცოლის მოყვანა უნდოდა. შეყვარებული ჰყავდა, მაკა ერქვა. ხშირად ამბობდა ბევრი შვილი მინდა მყავდესო... მაკა დღესაც მეხმიანება, მკითხულობს... მასაც ჩემს შვილად მივიჩნევ. 21 ნოემბერს აპირებდა ქორწილის გადახდას, არ დასცალდა...“

დედა გაიხსენებს რომ 20 ივნისს, შინ ათდღიანი შვებულებით ჩასული შვილი, გაუთავებლად ქორწილზე და... ომზე ლაპარაკობდა.

დედა: „გავბრაზდი, სულ ომს რატომ ახსენებ-მეთქი... გაეცინა, პასუხი არ მოუცია... მოგვიანებით კი მითხრა, დე, ომი რომ დაიწყოს, შენ ისეთი ხარ, იქ ჩამომაკითხავ და ძებნას დამიწყებ, იქაურობას აიკლებ, „რუსლანჩიკ, შვილო სად ხარო“... ძმები იცინოდნენ, მე ხმა არ ამომიღია, არ მომეწონა ეს ხუმრობა.... შინიდან რომ გადიოდა, ვურჩიე, ლამაზი შავი ზედატანი რომ გაქვს, ის ჩაიცვი-მეთქი. გახედა, გამოხედა ამ ზედატანს და მე გამომიწოდა, ეს შენ გქონდეს, გამოგადგებაო... არ მომწონდა მისი საქციელი... სახლიდან გასვლის წინ, ვერცხლის ჯვარი მაჩუქა და დამიბარა ეს შენ ატარეო.... ჩვევად მქონდა, ჯარში რომ მიდიოდა დავლოცავდი ხოლმე და პირჯვარს გადავსახავდი, იმ დღეს მისი საქციელით ნაწყენი ვიყავი და უგულოდ გადავსახე პირჯვარი. გამომხედა ნაღვლიანი თვალებით... არასოდეს დამავიწყდება ის თვალები... 5 აგვისტოს დამირეკა, პოლიგონზე მივყავართ სავარჯიშოდ და ტელეფონი გამორთული რომ მქონდეს, არ შეგეშინდესო. მე ეჭვი არ შემპარვია, არ მეგონა ასეთი დაძაბული სიტუაცია თუ იყო... ომი რომ დაიწყო შიშმა ამიტანა... 9 აგვისტოს დამირეკა, ოსიაურში ვარ, ომში არ მივყავართ, ნუ გეშინია, ტირილს მორჩიო, მკაცრი ხმით მითხრა. უცებ აფეთქების ხმა გავიგე, ისევ მომატყუა, წვრთნებს გავდივართ, ნუ გეშინიაო... მას შემდეგ სულ გამორთული ჰქონდა ტელეფონი.... არ მეგონა თუ რამე მოუვიდოდა.... “

რუსლან წულაძის გამოსვენება 17 აგვისტოს მოხერხდა უწმინდესის ძალისხმევით... დედამ არ ისურვა შვილის ცხედრის ნახვა... უნდოდა ისეთი ხსომებოდა, როგორიც

იყო – სიცოცხლით სავსე...

დედა: „შინდისში, იქ სადაც ჩემი შვილი დაიღუპა, წელიწადში ორჯერ მივდივარ. პირველად რომ ჩავედი ომი ახალი დამთავრებული იყო, მიწას სისხლის კვალი ეტყობოდა, ირგვლივ ქაოსი სუფევდა, ჩემი შვილის დაღუპვის ადგილიდან მიწა წამოვიღე, როცა მოვკვდები მინდა, რომ გულზე დამაყარონ... მეორედ რომ ჩავედი, სისხლიანი მინდორი უკვე მწვანედ იყო აბიბინებული, იმ ადგილას სადაც ჩემი შვილი და მისი მეგობრები დაიღუპნენ ჯვარი იყო აღმართული, გული გამინათდა... სანამ ცოცხალი ვარ, შინდისში სულ წავალ იმ ადგილს არასდროს მივატოვებ, რადგან იქ დაიღვარა ჩემი შვილის სისხლი, ის ხომ მხოლოდ 24 წლის იყო... სული მტკივა ჩემი შვილის არყოფნის გამო... ადრე სიცოცხლე არ მინდოდა, ახლა პირიქით, მინდა ვიცოცხლო დიდხანს და ბევრი რამე გავაკეთო მისთვის... ჩვენი სოფლის ცენტრში, მემორიალი დაუდგეს ჩემს შვილს. მინდა პატარა სამლოცველო ავაშენო რუსლანის სახელზე, სადაც ყველა დაღუპული გმირის მოგონებას შეძლებს ხალხი. ყველა დაღუპულ ჯარისკაცს მინდა მოვეფერო. ისინი ღმერთთან არიან. მინდა ყველა შვილმკვდარ დედას ვუთხრა, რომ გამაგრდნენ, ჩვენი შვილები სამშობლოსთვის დაიღუპნენ და მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში...“

კაპრალი

კობა წურწუმია

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1984 - 2008

ბობა წურწუმია 9 აგვისტოს, ცხინვალის მისადგომებთან, დაჭრილი თანამებრძოლების გამოყვანისას დაიჭრა სასიკვდილოდ. სამშობლოსთვის თავგანწირვით იბრძოდა პირველ ხაზზე. კობა რუსეთის მორიგი საავიაციო დაბომბვის დროს დაიღუპა.

ბესო წურწუმია, კობას ძმა: „იმ დღესაც ჩვეულებრივ გავიდა სახლიდან. ტელეფონზე თითქმის ყოველდღე ველაპარაკებოდით. ბოლოს 9 აგვისტოს გვითხრა, ნუ ინერვიულებთ ყველაფერი კარგად იქნებაო. ცხინვალში ყოფილა... 15 წუთში დამირეკეო და გამითიშა ტელეფონი. დავიწყე რეკვა, მაგრამ ზარი გადიოდა და ტელეფონს აღარავინ პასუხობდა... ომის დაწყების პირველივე წამიდან, ბრძოლის ქარცეცხლში წინა ხაზზე ტრიალებდა. უამრავი დაჭრილი გამოუყვანია ბრძოლის ველიდან. თვითონ კი ცხინვალის მისადგომებთან 9 აგვისტოს მძიმედ დაიჭრა. საჰაერო დაბომბვის დროს ანასხლეტი მოხვედრია.

14 აგვისტოს დაგვირეკეს და გვითხრეს, კობა წურწუმია გარდაცვლილია და წაიყვანეთო... 14 აგვისტოს გადავასვენეთ სოფელში, 21 აგვისტოს კი დავკრძალეთ. 24 წლის გარდაიცვალა...“

კობა წურწუმია 1984 წლის 23 აპრილს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლეწურწუმეში დაიბადა. მეოთხე შვილი ოყო ოჯახისთვის. მშვიდი და წყნარი იყო. 12 წლისას მამა გარდაეცვალა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩხოროწყუს რაიონის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩააბარა. ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ჯარში გამოიძახეს. ორი წელი მსახურობდა ფოთში.

ბესო წურწუმია, ძმა: „ჯარიდან, რომ დაბრუნდა საბუთების შეგროვება დაიწყო და გვითხრა, კონტრაქტზე უნდა შევიდეო. ისეთი მონდომებული იყო, რომ წინააღმდეგობა აღარავის გაგვიწევია. კონტრაქტს 2007 წელს მოაწერა ხელი. წოდებით კაპრალი იყო. ვაზიანში მსახურობდა. IV ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში, ათეულის მეთაური იყო. ყუმბარმტყორცნელი... იმდენად მოსწონდა იქ ყოფნა, რომ ამბობდა ხოლმე, 4 წელს რომ მოვრჩები, კიდევ უნდა გავაგრძელო კონტრაქტიო. სექტემბერში ერაყში უნდა წასულიყო.

პირველი ხელფასით დისშვილებს საჩუქრები უყიდა. ძალიან მზრუნველი და მოსიყვარულე ბიძა იყო.

ვიღაც გოგო ჰყვარებია, მაგრამ ამ თემაზე ოჯახში ნაკლებს საუბრობდა. სენაკელი გოგო იყო და რამდენჯერმე ჩაუკითხებია.“

ომამდე 20 დღით ადრე შვებულება ჰქონდა აღებული. სოფელში ჩააკითხა ოჯახს. ყველა ნათესავი მოინახულა და ისე წავიდა საბრძოლველად. უკან უკვდავი სახელით დაბრუნდა, კობა სამშობლოსთვის დაცემული ქართველი გმირია.

412
412

კაპრალი

შმაგი ხაიკაშვილი

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1989 - 2008

9 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან კაპრალი ხაიკაშვილი, თანამებრძოლთან ერთად, მტრის გამოჩენას ელოდებოდა... უცებ გასროლის ხმა გაისმა. 19 წლის შმაგი ხაიკაშვილს სნაიპერის ტყვია მოხვდა...

ხაიკაშვილი ანასტასია, დედა: „1989 წლის 28 თებერვალს დაიბადა. ერთადერთი შვილი მყავდა... მოძრავი და მოუსვენარი ბავშვი იყო. სულ რაღაცას ჩხირკედელაობდა. მერე თბილისში ჩამოვედით საცხოვრებლად, აქ გაიზარდა.

ერთადერთი შვილი დედას ჯარის მკაცრი ცხოვრებისთვის არ ემეტებოდა, მაგრამ ვერაფრით გადაიბირეს. ბავშვობის ოცნება - გავიზრდები და ჯარისკაცი გავხდებიო, შმაგიმ 18 წლის ასაკში აისრულა.

დედა: „სანამ კონტრაქტზე წავიდოდა, რამდენიმე თვით ადრე, მთაწმინდაზე ჯარისკაცები გაუცვნია. ჯიბეში რაღაც კაპიკები ჰქონია და მათთვის მიუცია... იცოდა რა იყო ჯარისკაცური ცხოვრება და ძალიან უნდოდა... დედისერთა იყო და სავალდებულოს მოხდა არ შეხებია... არ ეკუთვნოდა სავალდებულოს მოხდა, მაგრამ ვერ შევაკავეთ. პირდაპირ კონტრაქტზე შევიდა. საბუთები რომ შეჰქონდა მეხვეწებოდა, ხელი მომიწერეო, უარზე ვიყავი... მერე ჩემი დისთვის უთხოვია, მაგრამ მასაც უარი უთქვამს... ბოლოს მაინც შევიდა კონტრაქტზე. რვა თვის განმავლობაში არასდროს დაუწუწუნია, დავიღალეო. პირიქით, რასაც აკეთებდა გულით და ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა. კონტრაქტის მოწერიდან 9 თვე იყო გასული... ვაზიანში, მეოთხე ქვეით ბრიგადაში მეტყვიამფრქვევე იყო...

ძალიან მოსიყვარულე ბიჭი, ყველას ზედ ჰყვებოდა... თუმცა მისი სიყვარული ცალმხრივი იყო. თავისზე რამდენიმე წლით უმცროსი გოგო უყვარდა“.

სახლში ბოლოს 2 აგვისტოს მივიდა. რაღაც საბუთი სჭირდებოდა. დეიდაშვილისთვის დაურეკავს და უთქვამს, მომიძებნე და მალე მოვალო. იმ დღეს, როცა შმაგი სახლში უკანასკნელად იყო მისული, დედამ ვერ ნახა...

დედა: „ბოლოს, გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ვნახე... ჩაფიქრებული იყო... ყოველთვის მომღიმარი შმაგი, იმ დღეს სხვანაირი იყო... როცა სამსახურიდან მოვიდოდა მთელი დღე მეგობრებთან ატარებდა. გვიან მოდიოდა. 24 საათში სამი საათი ძილი, მისთვის საკმარისი იყო. დილაადრიან გაიღვიძებდა, სამსახურში არ დამაგვიანდესო და გარბოდა... ძალიან მოწესრიგებული და პასუხისმგებლობის მქონე იყო.

ბოლოს 4 აგვისტოს ველაპარაკე. არაფერი უთქვამს ისეთი, მომიკითხა... მისი ნაწილი ვაზიანიდან 7 აგვისტოს გაიყვანეს, ყველას ტელეფონი ადგილზე დაატოვებინეს და იმის მერე ვერაფრით ვეღარ ვუკავშირდებოდი...

სად იყო და როგორ იყო ჩემი შვილი, არაფერი ვიცოდი. ყველგან ვეძებდით. 10 თვის შემდეგ დეენემის ანალიზის პასუხი მივიღეთ... დედამ ერთადერთი შვილი დავკარგე... მაგრამ მაინც ამაყი და ბედნიერი ვარ იმით, რომ გმირი გავზარდე“.

შმაგი ხაიკაშვილი თანამებრძოლებთან ერთად ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

კაპრალი

კოზა ხარჩილავა

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.



1987 - 2008

ვაპრალი კობა ხარჩილავა ცხინვალის მისადგომებთან 11 აგვისტოს საავიაციო იერიშის დროს დაიღუპა. ჭურვის ანასხლეტი მოხვდა, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

დარეჯან ჩაჩიბაია, დედა: „ომამდე ერთი კვირით ადრე შვებულება ჰქონდა აღებული. ის ერთი კვირა, ძალიან დაღონებული იყო, ჩემთან არაფერს ამბობდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ დარდობდა. სახლიდან რომ გავიდა, ეკლესიასთან გაჩერებულა, მუხლებზე დაჩოქილა და ლოცულობდა. ეს ყველაფერი მერე ბავშვებმა გვითხრეს... დედის გულიც გრძნობდა ამ ყველაფერს, მაგრამ ვერ წარმომედგინა თუ ომი დაიწყებოდა... 7 აგვისტოს, როცა პირველი იერიში მოიტანეს ჩვენზე, ძალიან ცუდად გავხდი. დღე ერთი იყო და მასთან დარეკვა ასი. სულ ტელეფონზე ვეკიდე. ბოლოს, რომ ველაპარაკე, მითხრა, ქუთაისში ვარო... არადა ამ დროს ცხინვალში, მტერს ეომებოდა... ბოლოს 10 აგვისტოს ველაპარაკე, სად და როგორ ვარ, ამის თქმის უფლება არ მაქვსო.

არ ვიცი რუსი თუ ოსი ჯარისკაცი, ტყვედ აუყვანია და უფროსისთვის ჩაუბარებია... დაჭრილები გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან... საკუთარი სიცოცხლის ფასად ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა... ბიჭები ამბობდნენ, ისე იქცეოდა, თითქოს იცოდა, რომ უნდა დაღუპულიყოო... სანამ დაიღუპებოდა, ჩვენი მეზობელი ბიჭისთვის უთქვამს, როგორ ფიქრობ, აქედან ცოცხლები გავალთო? მერე ისიც დაუყოლებია, მგონი მე აქედან გასვლა არ მიწერიაო...

11 აგვისტოს, დილაადრიან, ცხინვალის მისადგომებთან, ჭურვის ჩამოგდების შემდეგ ანასხლეტი მოხვედრია ხერხემალში. ფეხი ჰქონდა მოტეხილი. როგორც კი წაქცეულა, ვერაფრის თქმა ველარ მოუსწრია, გაუღიმია და სულიც დაულევია...

ორი დღის მერე გავიგე, რომ აღარ მყავდა, ჩემი გაჭირვებით გაზრდილი შვილი... ყველას სცოდნია ჩვენს გარდა და თქმას ვერ გვიბედავდნენ...

ბებიის და ბაბუის გვერდით დავკრძალეთ...“

კობა ხარჩილავა 1987 წლის 14 ივნისს დაიბადა წალენჯიხაში. ოჯახში მეორე ბიჭი იყო. უმცროსი და ჰყავდა, სამი თვის ორსული იყო და, როცა კობა ომში წავიდა. ოცნებობდა დისშვილზე, ბიძა ვხდებიო, ამაყობდა თურმე, მაგრამ ვერც ბიძობას მოესწრო და ვერც საკუთარ ოჯახს, არადა საკონტრაქტოს დასრულების შემდეგ დაქორწინებას აპირებდა, შეყვარებული ჰყოლია, ტელეფონით გაცნობილი გოგო.

დარეჯან ჩაჩიბაია, დედა: „ჩემი გოგო სამი თვის ორსული იყო, როცა კობა დაიღუპა. ოცნებობდა, ნეტა ბიძა როდის გავხდებიო... არც მამობა ეღირსა და არც ბიძობა... დაოჯახება ვერ მოასწრო... მარტვილელი გოგო ჰყვარებია. ტელეფონით გაუცნიათ ერთმანეთი. იმ გოგოს ქუთაისში, ჯარშიც მიუკითხებია. ერთი წელი ტელეფონით ჰქონდათ ურთიერთობა. სულ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს... დაოჯახება გადაწყვეტილი ჰქონდათ, ამბობდა, სანამ კონტრაქტს არ მოვრჩები, იქამდე ცოლს არ მოვიყვანო. არ ვიცი გული მიგრძნობდა რამეს თუ არა, მაგრამ სულ იმას ვეხვეწებოდი, დედა შენს თანატოლებს უკვე დიდი შვილები ჰყავთ და შენც მოიყვანე, ბავშვს ჩვენ გაგიზრდით-მეთქი. არა დედა, სანამ კონტრაქტს არ მოვრჩები, მანამდე არ დავოჯახდებიო, ხომ ხედავ ჩემს თანატოლებს ცოლ-შვილი ჰყავთ, მაგრამ სულ ჯარში არიან და ენატრებათო... “

კობა ხარჩილავამ სოფელ ჯგალის საშუალო სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულოში გაიწვიეს. 6 თვის შემდეგ, კობამ და მისმა ორმა თანასოფლელმა, კონტრაქტზე შესვლა გადაწყვიტეს. ქუთაისში, 31-ე ბრიგადაში, III ბატალიონში გაანაწილეს. წოდებით კაპრალი, ყუმბარმტყორცნელი იყო.

დარეჯან ჩაჩიბაია, დედა: „ძალიან არ მინდოდა კონტრაქტზე რომ შედიოდა, ვეუბნებოდი კიდეც, დედა არ გინდა დამიჯერე-მეთქი, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინე... ბოლოს, ისე მოაწერა კონტრაქტს ხელი, რომ არავინ არ ვიცოდით. 2005 წელს შევიდა კონტრაქტზე, 2 წელი და 6 თვე იყო გასული... მანამდე ერაყშიც იყო ნამყოფი სამშვიდობო მისიით. გამორჩეული ბატალიონიაო და 6 თვის ნაცვლად 10 თვე დატოვეს... ძალიან მოსწონდა ჯარის მკაცრი ცხოვრება. ორი წლის განმავლობაში ერთი შენიშვნა არ დაუმსახურებია. ამბობდა, ამ კონტრაქტს რომ მოვრჩები, კიდევ უნდა გავაგრძელოო...“

კონტრაქტი გაგრძელდა, სამუდამოდ... 21 წლის კობა ხარჩილავამ სამშობლოს წინაშე დადებული ფიცი პირნათლად შეასრულა და ისტორიაში კიდევ ერთი თავდადებული ქართველი გმირის სახელით შევიდა.

AP

კაპრალი

კახაბერ ხუბულური

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1988 - 2008

დედამ არ იცის, სად და რა ვითარებაში მოუკლა პირსისხლიანმა მტერმა შვილი... მტერს გააფთრებული ებრძოდა, ტყვედ რომ ჩავარდა თანამებრძოლებთან ერთად... „ტელევიზორში უჩვენებიათ კადრები. ჩემს ნაცემ, და დასისხლიანებულ კახას, ერთი დაჭრილი ბიჭი ჰყავდა აკიდებული... თანამებრძოლებთან ერთად მტერს მიყავდა...“

დედა ამაოდ ელოდა თავის ერთადერთ შვილს...

კახა ხუბულური 20 წლის იყო...

დედისერთა იყო, მშობლებს ცა უნათდებოდათ მის დანახვაზე, მაგრამ არ ათამამებდნენ. არც თავად იყო თავნება და მოთავისე. წყნარი და მშვიდი ბავშვი ყოფილა. სწავლობდა გორის მეთერთმეტე სკოლაში. ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა იყო თავისუფალ ჭიდაობაზე რომ შეუყვანიათ. წარმატებებიც ჰქონია.

18 წელი შეუსრულდა თუ არა, ჯარში გამოიძახეს. დედამ ელვის სისწრაფით აიღო ცნობა, რომ მისი ვაჟი დედისერთა იყო, მაგრამ ვაჟმა ეს ცნობა დედის თვალწინ დახია და ჯარში წავიდა.

იზოლდა ხუბულური, კახას დედა: „მითხრა, დედა, წავალ სავალდებულოს მოვიხდი და მერე სადმე დავიწყებ მუშაობასო... 10 თვე მსახურობდა ბათუმში. სავალდებულო რომ მოიხადა, დაგვირეკა და გვითხრა, კონტრაქტზე მინდა გადასვლაო. არ მინდოდა, რომ წასულიყო, ეგ ერთი მყავდა და არ მემეტებოდა... არაფერი მითქვამს, წინააღმდეგობაც არ გამიწევია. რადგან თვითონ ძალიან მოწადინებული და მონდომებული იყო, აღარ დავუშალეთ....“

კახა ხუბულური მეოთხე ბრიგადაში გაანაწილეს.

პირველი ხელფასი ოჯახს მოახმარა.

დედა: „იცოდა რომ ძალიან ბევრს ვშრომობდი და ყველანაირად გვერდში მედგა.

6 თვით ნიქოზში იყო სამშვიდობო მისიით. მანამდე წვრთნებზე სენაკში, სულ 7-8 თვე იმსახურა, შინ იშვიათად მოდიოდა, მეტყოდა ხოლმე, დედა, შენი დარდი მაქვს, თორემ სახლში საერთოდ აღარ მოვიდოდიო. ჯარის მკაცრ ცხოვრებას გმირულად და მამაცურად იტანდა... არასოდეს დაუწუწუნია. შემოდგომით ერაყში უნდა წასულიყო. დიდი გეგმები ჰქონდა. სახლის მეორე სართული გასამართი გვაქვს, იმის გამართვას და დაოჯახებას აპირებდა, მეზობლებისთვის საიდუმლოდ უთქვამს. ჩვენთან ამ თემაზე არ საუბრობდა. ტელეფონზე ვიღაცას ხშირად ელაპარაკებოდა და ვხვდებოდი, რომ ვიღაც უყვარდა... ერთხელ ტელეფონზე საუბარს, რომ მორჩა, ვუთხარი, თუ გიყვარს დედა, ადექი და მოიყვანე-მეთქი. გაიცინა... კახას, ღიმილის ბიჭს ეძახდნენ... გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ...“

მაგრამ დაიწყო ომი და მოუსწრაფა სიცოცხლე...

დედა: „ბოლოს სახლში 2 აგვისტოს მოვიდა. შაბათი დღე იყო, კარგად მახსოვს... ღამის 12 საათი იყო და ფანჯარაზე მომიკაკუნა. როცა სახლში მოდიოდა ფანჯარაზე მომიკაკუნებდა და ვხვდებოდი, რომ ის იყო, დედა მოუკვდეს... ცოტა ნასვამი იყო. ოთახის კარებთან ჩაიცუცქა და მითხრა, ძმაკაცი აღარ მოგვეშვა და საქეიფოდ წავედითო. მთხოვა, დედი, იქნებ ფორმა გამირეცხო, ხვალ დილისთვის გაშრებაო... შუაღამისას გავურეცხე ტანსაცმელი. თურმე ბოლო თხოვნა იყო, დედა მოუკვდეს.... რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს საბოლოოდ ვურეცხავდი ტანსაცმელს... სახლიდან რომ გავიდა, რაღაც დაღონებული მეჩვენა. ვუთხარი კიდეც, კახა, ნეტა საერთოდ არ წასულიყავი ჯარში-მეთქი. ლოყაზე თითი ჩამომისვა, მომეფერა და წავიდა. უკან აღარც მოუხედია... როგორც კი სახლიდან გავიდა, გულმა რეჩხი მიყო, ეს სიტყვები ამოვიჩემე, ვაიმე კახა, დედა მოგიკვდეს-მეთქი... მერე ჩემს თავზე გავბრაზდი, ცოცხალ შვილს როგორ დავტირივარ-მეთქი... ვერ ვხვდებოდი რა მემართებოდა...“

7 აგვისტოს გზად მიმავალმა დედამ, ტანკების კოლონას რომ თვალი მოჰკრა, თავზარდაცემულმა მაშინვე შვილს დაურეკა: „7 საათი იყო. როგორ ხარ დედა, ფრთხილად იყავი-მეთქი... ნახევარი საათის შემდეგ უკვე აღარ გადიოდა ზარი. გათიშული ჰქონდა ტელეფონი....“

ამ დროს კახა, თანამებრძოლებთან ერთად უკვე ცხინვალის მისადგომებთან იბრძოდა... 8 აგვისტოს ტყვედ ჩავარდა...

დედა: „არავის უნახავს სად და როგორ მოკლეს ჩემი შვილი. არც იმ გადარჩენილ ტყვეებს... მჯეროდა, რომ ცოცხალი იქნებოდა და მალე დამიბრუნდებოდა, მაგრამ დეენემის ანალიზით ამოიცნეს. უკვე მუხათგვერდში იყო დაკრძალული... 27 ნოემბერს დაგვირეკეს... ამ დღეს დასრულდა ჩემი ცხოვრებაც...“

20 წლის კახა ხუბულური დღეს აგვისტოს ომის გმირია, სამშობლოსთვის თავგანწირული, რომლის სახელიც ისტორიამ უკვდავყო.

POLICE

კაპიტანი

ალბერტ ბალხამიშვილი

მედალი – სამშობლოსათვის თავდადებული, 2009 წ. (გარდაცვალების შემდეგ)
მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1958 - 2008

8 აგვისტოს მარნეულის აეროპორტის დაბომბვისას დაიღუპა მაიორი ბალხამიშვილი, პროფესიონალი მფრინავი, რომელმაც ცხოვრების 25 წელი სამოქალაქო ავიაციაში გაატარა, ბოლო 8 წელი კი – სამხედრო ავიაციაში. ალბერტ ბალხამიშვილი, ეკიპაჟის წევრებთან ერთად, კოპიტნარში გაფრენის ბრძანებას ელოდა, როცა მტერმა მარნეულს დაარტყა.

უშანგი ბალხამიშვილი, შვილი: „1958 წლის 15 სექტემბერს დაიბადა, ვაზიანის დასახლებაში. ოჯახში მეორე შვილი იყო. სულ სამი ძმანი იყვნენ. ბავშვობიდან სპორტით იყო დაკავებული. სკოლის შემდეგ, მოსკოვში წავიდა სასწავლებლად და საფრენოსნო დაამთავრა. ხუთი წელი ისწავლა და უკან დაბრუნდა. მფრინავი იყო. სავალდებულო ჯარიც რუსეთში გაიარა. დედა სოფელ აღაიანში ცხოვრობდა, მამაჩემის მამიდაც ამ სოფელში ცხოვრობს. ერთმანეთი იმ სოფელში გაიცნეს და გაცნობიდან 6 თვეში იქორწინეს.

პირველი შვილი მე გავჩნდი. ძალიან ბედნიერი ყოფილა. უნდოდა, რომ მფრინავი გამოვსულიყავი. ჩემი ძმა წელიწადნახევრის შემდეგ დაიბადა.

მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, სამოქალაქო ავიაციაში დაიწყო მუშაობა. 25 წელი იმუშავა... ამის შემდეგ გადავიდა ბოლნისში სამხედრო მფრინავად. „იაკ 40“-ზე იჯდა... 7-8 წელი იმუშავა...

დედამ და მამამ ერთად 28 წელი იცხოვრეს.

მე და ჩემი ძმა დასაოჯახებლები ვართ და სულ იმას გვეუბნებოდა, მალე დაინიშნეთ, შვილიშვილები მინდაო...

ბოლოს სახლიდან 5 აგვისტოს გავიდა. თითქმის ყოველდღე, დღეში რამდენჯერმე ველაპარაკებოდით. ბოლოს დაღუპვამდე 2 საათით ადრე დარეკა. გვამშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ნერვიულობთო... მე და ჩემს ძმასაც გვინდოდა ომში რეზერვისტებად წასვლა...

ბოლნისში მსახურობდა, მაგრამ ბოლნისიდან თვითმფრინავი დავალებით მარნეულში გაფრინდა... იქიდან კოპიტნარში აპირებდნენ გადაფრენას. კოპიტნარში მათ გაფრენამდე დაიბომბა მარნეულის აეროპორტი... 8 აგვისტოს დაიღუპა...

თვითმფრინავის გვერდით იდგა ეკიპაჟი. სულ სამნი იყვნენ...

იმ დღესვე გავიგეთ. ბიძაჩემმა შეგვატყობინა... იმ ღამესვე ჩამოვასვენეთ. მასთან ერთად ეკიპაჟის სამი წევრი იყო. ერთი გადარჩა, სამი დაიღუპა.

12 აგვისტოს დავკრძალეთ კასპის რაიონში, სოფელ ბოჟამში...

ახლა ორი ძმა, თავდაცვის სამინისტროს დახმარებით, ავიაციაში ვმუშაობთ... ჩემს ძმას გადაწყვეტილი აქვს, მფრინავი გამოვიდეს. სადაც მამაჩემი მუშაობდა, ჩემი ძმა იქ მსახურობს. მე მახათას მთაზე ვარ... მთელი ჩვენი საგვარეულო, ასე ვთქვათ, ავიაციასთან არის დაკავშირებული...

აფხაზეთის ომის დროსაც მამაჩემი სამოქალაქო თვითმფრინავზე იჯდა და ხალხი გადმოჰყავდა...“

კაპიტან–ლეიტენანტი

თეიმურაზ ჭიტაძე

მედალი – ქაქუცა ჩოლოყაშვილი, 2008 წ. (გარდაცვალების შემდეგ)
მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1979 - 2008

თეიმურაზ ჭიტაძე წოდებით კაპიტანი იყო. ფოთის სამხედრო საზღვაო ბაზაზე მსახურობდა. ფოთის პორტის დაბომბვისას კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. ომში რომ წავიდა, 29 წლის იყო.

მაკა დარბაიძე, მეუღლე: „პირველი შვილი იყო. 1979 წლის 30 მაისს, სოფელ გურიანთაში დაიბადა. ორი ძმა ჰყავს. საშუალო სკოლაც გურიანთაში დაამთავრა. ძალიან კარგი მოსწავლე ყოფილა. სკოლის დამთავრების შემდეგ ბიძამ უკრაინაში წაიყვანა. სწავლობდა სამხედრო აკადემიაში და პარალელურად მუშაობდა.

უკრაინიდან რომ ჩამოვიდა, მაშინ გავიცანი. ერთმანეთს დეიდაჩემთან შევხვდით. ჩემი დეიდაშვილის ქორწილში ამიხსნა სიყვარული. მაშინ 22 წლის ვიყავი, თეიმურაზი 5 წლით იყო უფროსი... სამი წელი ვიყავით შეყვარებულები. ბოლოს გავიპარეთ და დავოჯახდით. წლისთავზე გოგონა შეგვეძინა, რომელსაც თემურის დედის სახელი – ნადია დავარქვით...

ერთად წელიწადი და რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ... ბავშვი 10 თვის იყო, ომში რომ წავიდა...

ფოთში მსახურობდა. წოდებით კაპიტანი იყო. ძირითადად კომპიუტერთან უწევდა მუშაობა და ამის გამო თითქმის სულ ნაწილში იყო.

ომამდე რამდენიმე დღით ადრე საჩხერეში უნდა წავსულიყავით. დილით მითხრა, რაღაც საშინელი სიზმარი ვნახე და არ ვიცი, როგორ ვიქნებიო. ვუთხარი, ცრურწმენებს არ ავყვეთ-მეთქი. იმ დღეს ჩვეულებრივ წავედით საჩხერეში. სამი დღის შემდეგ დაურეკეს, განგაშია და სასწრაფოდ უნდა გამოცხადდე სამსახურშიო...

ბოლოს სახლიდან 5 აგვისტოს გავიდა. ჩქარობდა. ჩვეულებრივ დაგვემშვიდობა, მე, ალბათ, აქ ვეღარ ჩამოვალ და იქნებ შენმა ძმებმა ჩამოგიყვანონ ფოთშიო. იმის მერე აღარც მინახავს...

მარნეულის ბაზა რომ დაბომბეს, მეც და ბავშვიც ჩემს მშობლებთან, მარნეულში ვიყავით. მირეკავდა და მამშვიდებდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო... ბოლოს, 9 აგვისტო რომ თენდებოდა, მაშინ ველაპარაკე. მაწყნარებდა, არ ინერვიულო და ბავშვს მიხედეო... ამის მერე ვეღარ ვუკავშირდებოდი – ტელეფონის ხაზები უკვე გადატვირთული იყო. ვფიქრობდი, ამდენი ხანი როგორ არ დამირეკა-მეთქი. ბოლო წუთამდე ფოთში, სამხედრო საზღვაო ბაზაზე იყო. თავის ოთახში კომპიუტერთან იჯდა და მუშაობდა. როდესაც ფოთის პორტი დაბომბეს, ისევ ოთახში მჯდარა. თვითმფრინავს რომ გადაუფრენია, წამომხტარა და ფანჯარაში გაუხედავს. ეზოში თანამშრომლებისთვის გადაუძახია, ყველანი დაწექითო... ამ დროს ჩამოუგდიათ ჭურვი და კასეტურის ანასხლეტი მოხვედრია თავში... რამდენიმე წუთი უცოცხლია... იმ საღამოს დამირეკა მისმა თანამშრომელმა, დაჭრილია და იქნებ ჩამოხვიდეო... უკვე გურიანთაში იყო გადასვენებული. პირდაპირ იქ ჩავედი. სოფელში, სახლს რომ მივუახლოვდი, ბევრი ხალხი იყო და მივხვდი, რომ კარგად არ იყო საქმე...

ბავშვი ახლა მამას ფოტოებით იცნობს.... ახლა მარნეულში ვარ, თავდაცვის სამინისტრომ მარნეულის სამხედრო ბაზაზე დამასაქმა...“

3629/20
0420087

კაპრალი

ემზარ წილოსანი

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.



1978 - 2008

ვაპრალი ემზარ წილოსანი ცხინვალთან ახლოს სოფელ შინდისში, ტრაგიკულად დაიღუპა. ემზარი 29 წლის იყო, როცა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში სამშობლოსთვის გმირულად დაეცა.

თეონა წილოსანი, მეუღლე: „1978 წლის 7 ოქტომბერს, ქალაქ ლანჩხუთში დაიბადა. პირველი შვილი იყო. ერთი და ჰყავს... სკოლაში კარგად სწავლობდა... სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს. სავალდებულო სამხედრო სამსახური ლანჩხუთის ბაზაზე მოიხადა.

ერთმანეთი 2006 წელს გავიცანით. თავიდან მობილურით ვკონტაქტობდით, მერე ერთმანეთს შევხვდით, ერთ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და ბოლოს დავქორწინდით...

ორი წელი და ერთი თვე ვიცხოვრეთ ერთად. პირველი ბიჭი შეგვეძინა, მეორე – გოგო... მეორე ბავშვი ომამდე ერთი თვით ადრე გაჩნდა. შვებულება ჰქონდა აღებული და ერთი თვე ჩვენთან გაატარა. ძალიან ბედნიერი იყო, სამომავლოდ ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა...

მოსწონდა ჯარისკაცური ცხოვრება და კიდევ აპირებდა კონტრაქტის გაგრძელებას... სენაკში მსახურობდა, წოდებით კაპრალი იყო... მძღოლად მუშაობდა.

6 აგვისტოს დაურეკეს. ტელეფონზე საუბარს რომ მორჩა, მითხრა: გამომიძახეს და სასწრაფოდ უნდა წავიდე სენაკშიო. სახლიდან რომ გადიოდა, ცოტა აღელვებული იყო. არ მინდოდა იმ დღეს წასულიყო და ვთხოვდი, ხვალ დილით წადი-მეთქი. არ გაჩერდა, დღესვე უნდა გამოვცხადდეო... სენაკში რომ ჩასულა, პირდაპირ ცხელ ხაზზე წაუყვანიათ. მე არაფერს მეუბნებოდა, მერე გავიგე, რომ ცხინვალში იყო.

11 აგვისტოს შინდისში, სადგურთან დაღუპულა.

ბოლოს, გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, შუადღის 4 საათზე ველაპარაკე. მითხრა: ახლა არ მცალია და ცოტა ხანში დაგირეკავო...

2 ოქტომბერს დეენემის ანალიზით ამოვიცანით...

ახლა ბავშვებს მამობაც მე უნდა გავუწიო. შუქრი და მარიამი ახლა 3 წლის და 2 წლის არიან. ხშირად კითხულობენ მამას. ბავშვები მამას ფოტოებით იცნობენ. შუქრი იძახის, დიდი რომ გავიზრდები, ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო...“

№1 26.08.08

მაიორი

შალვა დოლიძე

უმწიკვლო სამსახურის III ხარისხის მედალი, 2008წ.
მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის, 2003წ.
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი, 2008 წ.

1977 - 2008

ბაიორი დოლიძე ცხინვალში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. 9 აგვისტოს, როდესაც რუსი აგრესორები მასიურად ბომბავდნენ სამაჩაბლოს, მისი ბატალიონი ცხინვალში იყო შესული, რათა მიმდებარე ქართული სოფლებიდან გამოეყვანათ და გადაერჩინათ მოსახლეობა.

შალვა დოლიძე გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე. ბატალიონის მეთაური ბრძოლის ველიდან თანამებრძოლებმა გამოიყვანეს. ისინი დღესაც სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ მეთაურს, მის თავდადებაზე და პრინციპულობაზე საუბრობენ.

შალვა დოლიძე 1977 წლის 21 სექტემბერს, ქ. ჩიტაში დაიბადა, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამა, ზაურ დოლიძე, იმ პერიოდში, სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი იყო.

6 წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა, რის გამოც მამა, სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად, თბილისში გადმოიყვანეს. შალვამ 67-ე საშუალო სკოლა დაამთავრა და 1995 წელს სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობდა. იყო ოცმეთაური, ასმეთაური, რამდენიმე წელი მუშაობდა გაერთიანებულ შტაბში.

2008 წლის 15 აპრილს, შალვა დოლიძე, ბატალიონის მეთაურად დაინიშნა. სამხედრო სამსახურის პერიოდში კვალიფიკაციის ასამაღლებლად რამდენჯერმე იყო თურქეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ერაყში.

მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები: მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის და III ხარისხის მედალი უმწიკვლო სამსახურისთვის.

მისი გმირობა და სიმამაცე სამაგალითო იყო ყველა ქართველი მეომრისთვის. მაიორ დოლიძეს მეუღლე და 4 წლის ვაჟი, ლუკა დარჩა, რომელიც მუდამ იამაყებს მამის საგმირო საქმეებით.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩასა და სკვერს მისი სახელი ეწოდა, ხოლო სახლზე, სადაც შალვა დოლიძე ცხოვრობდა, დღეს მისი მემორიალური დაფაა.

შალვა დოლიძე ყოველთვის იქნება სამშობლოს ერთგულებისა და სიყვარულის მაგალითი.

კაპრალი

დავით დვალიშვილი

მედალი მხედრული მამაცობისთვის, 2008 წ.

1980 - 2008

დავით დვალიშვილი 11 აგვისტოს ცხინვალში დაიღუპა. სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. სხვა ინფორმაცია მის ოჯახს არა აქვს. დათომ მათ მხოლოდ იმედი დაუტოვა: „ყველაფერი კარგად იქნება“, – ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. დავით დვალიშვილი წოდებით კაპრალი იყო, 42-ე ბატალიონში მსახურობდა.

ზაირა დვალიშვილი, დედა: „დათო 1980 წლის 15 აგვისტოს, ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოში დაიბადა. ქუთაისში ნიკოლაძის სახელობის სპორტული სკოლა დაამთავრა. სკოლის შემდეგ სწავლა ქუთაისის უნივერსიტეტში განაგრძო. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქუთაისში დაცვაში მუშაობდა, პირადი მცველიც იყო, შემდეგ ჯარში წავიდა.

2006 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. ერთი წლის შემდეგ კონტრაქტით ვაზიანში მსახურობდა, 42-ე ბატალიონში, წოდებით კაპრალი იყო. კონტრაქტიდან ერთი წელი იყო გასული, რომ დაიღუპა.

სახლში ბოლოს 3 აგვისტოს მოვიდა...

როცა ომი დაიწყო და საინფორმაციო გამოშვებები ყოველ 5 წუთში ერთხელ გადიოდა, ძალიან დავიძაბე, საშინლად ვნერვიულობდი. მაგრამ ჩემი შვილი ისეთი ადამიანი იყო, ზედმეტს არავის ეტყოდა, რომ არ გვენერვიულა. ჩემი ძმისთვის დაურეკავს და უთქვამს: ნუ გეშინიათ, არაფერი არ მოხდებაო. გვატყუებდა, მე არ ვარ ცხელ წერტილშიო...

ბოლოს 9 აგვისტოს გველაპარაკა: ნუ ნერვიულობ, დედა, ყველაფერი კარგად იქნებაო... 7 აგვისტოს ვაზიანის ბრიგადა ცხინვალში შეიყვანეს.

ერთი შვილი დარჩა. ბოლოს მისთვისაც დაურეკავს და უთქვამს: მამი, მე თუ რამე მომივიდა, შენ ჩემით იამაყეო...

11 აგვისტოს ცხინვალში დაიღუპა. როგორც ვიცით, სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. იმ დღესვე მოასვენეს სახლში. მის გარეშე ცხოვრება საშინელებაა, მაგრამ გმირის დედა მქვია... როგორღაც ვცოცხლობ, მისი საფლავი დამრჩა ერთადერთ ნუგეშად“.

სარჩევი

რომან ზოიძე 1

ალექსანდრე ონიანი 5

სერგეი გოროზია 9

თეიმურაზ ბერიძე 15

გოგა აბრამიშვილი 19

ერეკლე ყულოშვილი 23

გიორგი კირაკოზაშვილი 27

დათო ელიზბარაშვილი 31

გია და გელა რომელაშვილები 35

უშანგი (შმაგი) სოფრომაძე 39

გელა ჭედია 43

სერგო მელია 47

რეზო მამისაშვილი 51

ლევან ჭოჭუა 55

ელგუჯა ინაური 59

ალექსანდრე თანდაშვილი 63

გიორგი ჯავახიშვილი 67

ლევან იოსებიძე 71

გიორგი ანწუხელიძე 75

კახა კოშაძე 79

ნიკა ყალაბეგაშვილი 83

გიორგი ბერიკაშვილი 87

ილია ბაბუციძე 91

ვახტანგ გზირიშვილი 95

გელა მებაღიშვილი 99

ზურაბ ბეგიაშვილი 103

ლერი ლაგურაშვილი 107
გიორგი ნადარეიშვილი 113
სოსო ღვინიაშვილი 117
ზურაბ აბრამაშვილი 121
გიორგი მურადაშვილი 125
გოგიტა მაკრახიძე 129
ივანე ელიკაშვილი 133
ლევან დევდარიანი 137
გიორგი მამუკაშვილი 141
ლევან მანძულაშვილი 145
ზაზა ახალკაცი 149
ონისე დოიჯაშვილი 153
გიორგი ბადრიაშვილი 157
ლევან მიდელაშვილი 161
იოსებ ბეჟუაშვილი 165
რეზო ახალკაცი 169
მამუკა ბეკურაშვილი 173
ჯიმშერ კურდღელაშვილი 177
მიხეილ დვალიშვილი 181
ასლან შაინიძე 185
დავით ბლიაძე 189
ვასილ განჯელაშვილი 193
მზეჭაბუკ მიჩიტაშვილი 197
ზურაბ ურიგაშვილი 201
რამაზ ერაშვილი 205
ჯიმშერ ტოროშელიძე 209
ივანე კვალიაშვილი 213
ზაზა დოთიაშვილი 217

მიხეილ ცერცვაძე 221
ოთარ სუხიტაშვილი 225
ვიტალი თაყაძე 229
ოთარ ქარელი 233
იოსებ მეხატურიშვილი 237
ოლეგ ჭონაშვილი 241
ამირან რაზმაძე 245
შალვა გაბუნია 249
რაულ მჟავანაძე 253
ვალერი გოგნაძე 257
გოგა ბერაია 261
დიმიტრი ჯაილოვა 265
გიორგი ღვინჯილია 269
ირაკლი ჯანელიძე 273
ოთარ კიკალეიშვილი 277
მამია ფანცულაია 281
ზაურ მახარაშვილი 285
ვაჟა შაინიძე 289
თემურ ბოკუჩავა 293
თემურ ფიჩხაია 297
გელა თიგიშვილი 301
ზვიად დათუაშვილი 305
საბა დადვანი 309
ზაზა ფერაძე 313
გიორგი წიქარიშვილი 317
რეზო ალავერდაშვილი 321
ავთანდილ ქამაშიძე 325
არტემ ბალახაშვილი 329

ალია ბარდაველიძე 333
არჩილ ბერიანიძე 337
ზაზა ბირთველიშვილი 341
დევი ჩადუნელი 345
თენგიზ ჭაღალიძე 349
დათა ხურცილავა 353
გიორგი ღვინიაშვილი 357
გიორგი ქათამაძე 361
ზვიად ბარბაქაძე 365
ირაკლი მორბედაძე 369
დავით ჯიქია 373
გოგა ჭითანავა 377
ზვიად კაცაძე 381
ზაქარია კვირიკაშვილი 385
ფილიპე მგალობლიშვილი 389
გიორგი რომელაშვილი 393
ამირან შაინიძე 397
ილია შეყლაშვილი 401
ლევან თეფანია 405
ზაურ თენიეშვილი 409
ვეფხია ჯიშკარიანი 413
გიზო წულაია 417
ალექსანდრე ზაზაშვილი 421
ვალერი ციცქიშვილი 425
ამირან მამალაძე 429
ზაზა გლუნჩაძე 433
გიორგი ჯოჯუა 437
კობა სერგია 441

მერაბ ჭელიძე 445
ზურაბ ბალაშვილი 449
ედნარ დიასამიძე 453
ფელიქს კაკაურიძე 457
ფრიდონ თურმანიძე 461
მამუკა სამაკაშვილი 465
ზურაბ ნაჭყებია 469
ანზორ გელდიაშვილი 473
პაატა კოპალიანი 477
ლევან კოხრეიძე 481
მარლენ ბარამია 485
ლევან მელქაძე 489
ზურაბ ტურაშვილი 493
რომან უგრეხელიძე 497
მიხეილ იოსავა 501
ზაზა ბოჭოიძე 505
მალხაზ აბაშიძე 509
ომარ ასლანიძე 513
ბადრი ბასილაძე 517
ბადრი ბერანძე 521
გოჩა დანელია 525
ვლადიმერ დავითაშვილი 529
ნოდარ დევნოზაშვილი 533
ზურაბ ეფაძე 537
ფრიდონ ბრეგაძე 541
ილია გაბუნია 545
გიორგი შაინიძე 549
გიგა გოგორიშვილი 553

ირაკლი ბაზაძე 557
მურთაზ ირემაძე 561
შმაგი კუპატაძე 565
ავედიკ ლომიძე 569
თამაზ მელიქიძე 573
მერაბ ახობაძე 577
მერაბ თუთისანი 581
გიორგი ნანუაშვილი 585
ალექსი ნატროშვილი 589
თამაზ ნიკიტინი 593
ნიკოლოზ ფორჩხიძე 597
შმაგი ნოზაძე 601
ტარიელ ქამაშიძე 605
გოგიტა ქარჩავა 609
შალვა ტრაპაიძე 613
შოთა ხურციძე 617
გიორგი ტატუაშვილი 621
კახაბერ თავგორაშვილი 625
რუსლან წულაძე 629
კობა წურწუმია 633
შმაგი ხაიკაშვილი 637
კობა ხარჩილავა 641
კახაბერ ხუბულური 645
ალბერტ ბალხამიშვილი 649
თეიმურაზ ჭიტაძე 653
ემზარ წილოსანი 657
შალვა დოლიძე 661
დავით დვალიშვილი 665

PRIME
Time
გმირი
PRIME
Time